მ. სამსონაძე

საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1988

63. 3 (2 Г)
ს 241

ნაშრომში განხილულია XVIII საუკუნის ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის და მისი მნიშვნელობა საგარეო ორიენტაციის ჩამოყალიბებაში; თუ როგორ იდგა ქვეყნის გაერთიანების პრობლემა XVIII საუკუნის ქართველ მოღვაწეთა პოლიტიკაში, რომელიც ძირითადად რუსეთთან ურთიერთობით განისაზღვრებოდა.

მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს ამ პერიოდის ისტორიული მოვლენების თანამიმდევრობას.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი:
ისტორიის მეცნ. დოქტორები:
ე. ორჯონიკიძე, თ. ტივაძე, გ. ჯაბურია

С 0505040000—034 / М 601 (08)—88 42—88

ISBN 5—529—00246—3 © გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988

წინათქმა

საქართველო-რუსეთის კულტურულ-ეკონომიკური კავშირები, რომლებიც დასაბამს უკვე X საუკუნეში და შესაძლოა უფრო ადრეულ ხანებშიც იღებენ, მე-15 საუკუნიდან სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ხდება და თანდათანობით განუხრელად მტკიცდება. ამ პროცესს ობიექტური ისტორიული ვითარება განსაზღვრავდა: მონღოლთა უღლის გადაგდების შემდეგ აღმავლობისა და გაერთიანების გზაზე მდგარი ახალგაზრდა რუსეთის სახელმწიფო შავი და კასპიის ზღვისპირეთში ფეხის მოკიდებასა და სამხრეთის მიმართულებით საკუთარი მაგისტრალური პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებას იწყებდა, ხოლო შინა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველზე და საგარეო ფაქტორების ზემოქმედებით დაშლილი საქართველო, რომელსაც კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის ხელში ჩაგდებით თურქეთის იმპერიამ ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებთან ურთიერთობის გზა ჩაუკეტა და მტრულ მაჰმადიანურ გარემოცვაში მოაქცია, იმედის თვალით ჩრდილოეთისაკენ იყურებოდა, საიდანაც მზარდი ქრისტიანული სახელმწიფო „მესამე რომის“ სახელით აღმოსავლეთში მართლმადიდებლობის ბურჯისა და დამცველის ლოზუნგით მოდიოდა და ამ მხარეში პოლიტიკურ დასაყრდენს ეძებდა. სამი საუკუნე გრძელდებოდა პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია ორ ქვეყანას შორის. მათი დაახლოება თანდათანობით მტკიცდებოდა, რაც, 1783 წლის ტრაქტატით, საბოლოო დაკავშირებაში გამოიხატა. ბუნებრივია, ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობა ორ ქრისტიანულ ქვეყანას შორის ყოველთვის თანაბარი ინტენსიურობით არ მიმდინარეობდა, ბევრი იყო სიახლოვისა და მხარდაჭერის სიხარულიცა და იმედგაცრუების სინანულიც. მაგრამ ქართველ პოლიტიკოსთა მაგისტრალური ორიენტაცია რუსეთისადმი საუკუნეების განმავლობაში უცვლელი იყო, ისევე, როგორც რუსეთის სწრაფვა და იმედი იმისა, რომ საქართველოს სახით მის პოლიტიკას წინა აზიაში მტკიცე, მნიშვნელოვანი ბურჯი ეყოლებოდა. ორი ქვეყნის დაახლოების პერსპექტივას, ობიექტური ისტორი-

ული ვითარება და სახელმწიფოთა განვითარების ინტერესები განსაზღვრავდა და არა ფეოდალურ ხელისუფალთა ჰუმანური მისწრაფებები. ინტერესთა ერთობა განაპირობებდა მათი პოლიტიკის საერთო მიმართულებას და ურთიერთდამთხვევას. ხოლო როცა, ცალკეულ შემთხვევებში, ეს მისწრაფებები ერთმანეთს სცილდებოდა, ხელისუფლების წარმომადგენლები (მეფეები თუ ვეზირები) ყოველთვის ცდილობდნენ თავიანთი ინტერესები წინ წამოეწიათ. მხოლოდ რუსი და ქართველი მშრომელი ადამიანების, რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობა, ძმობა და საუკუნო მეგობრობა იყო ბოლომდე გულწრფელი და უანგარო; ხალხებისა, რომლებიც მეტნაკლებად თანაბრად განიცდიდნენ როგორც საკუთარ ფეოდალთა და მათი ინტერესების დამცველი სამეფო ხელისუფლების მხრივ ჩაგვრასა და თვითნებობას, ისე დამპყრობთა ძალადობასა და გამანადგურებელ მტაცებლობა-აოხრებას.

რუსეთთან ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა პოლიტიკაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა სამ ურთიერთდაკავშირებულ პრობლემას ენიჭებოდა. ეს იყო: ქვეყნის განთავისუფლება დამპყრობთა ბატონობისაგან, მისი დაკავშირება და კვლავ მოქცევა ევროპის ქრისტიანული ცივილიზაციის ორბიტაში და საქართველოს ისტორიულ საზღვრებში გაერთიანება.

წინამდებარე ნაშრომში ავტორი შეეცადა ყურადღება უკანასკნელ პრობლემაზე გაემახვილებია და ეჩვენებია, თუ რა მნიშვნელობას იძენდა იგი ქვეყნის საგარეო ორიენტაციის ჩამოყალიბებაში.

1. XVIII საუკუნის საქართველოს საგარეო ორიენტაციის გარკვევისათვის

აღმავალი ფეოდალიზმის ეპოქაში წარმოშობილი ერთიანი სახელმწიფოები განვითარების გარკვეულ ეტაპზე ევროპის უმრავლეს ქვეყნებში დაიშალნენ. ეს პროცესი ყოველ კონკრეტულ სახელმწიფოში დაემთხვა ფეოდალიზმის დაღმავალი განვითარების სტადიის დასაწყისს და გაგრძელდა იმ მომენტამდე, როდესაც სასაქონლო მეურნეობის განვითარების საფუძველზე ერთიანი, ეროვნული საშინაო ბაზრის ჩამოყალიბებამ და სხვადასხვა კუთხესა და მხარეს შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობების განმტკიცებამ დღის წესრიგში დაშლილი ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების აუცილებლობა დააყენა. გაერთიანების პროცესი ახალი წარმოებითი ურთიერთობებისათვის ნიადაგის მომზადებას, მის ჩახახვა-ჩამოყალიბებას უკავშირდებოდა. ამის შესაბამისად, დაშლილობის ეპოქის ხანგრძლივობა ძირითადად განისაზღვრებოდა პერიოდით ფეოდალიზმის დაღმავალი სტადიის დასაწყისიდან მის წიაღში ახალი ურთიერთობის, ახალი წყობის ჩამოყალიბების დასაწყისამდე.

ეს პრინციპული დებულება, განვითარების თავისებურებებისა და მრავალ სხვა გარემოებათა გამო, თვით კლასიკური ფეოდალიზმის ქვეყნების მიმართაც არ ატარებდა აბსოლუტურ ხასიათს და ხშირად მნიშვნელოვანი ცვლილებებით, ნიუანსებითა და საწინააღმდეგო მოვლენებითაც კი მეღავნდებოდა. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში ფეოდალური დაშლილობის ეპოქა თითქმის არ ყოფილა; იტალიის (ნაწილობრივ გერმანიის) სავაჭრო ქალაქებში, ახალი წარმოებითი ურთიერთობები მეტად ადრე ჩამოყალიბდა. ამას შედეგად ფეოდალთა უფლებების შეზღუდვა და ფეოდალური ექსპლუატაციის მოსპობაც კი მოჰყვა; მაგრამ ეს პროცესი არა საშინაო, არამედ საგარეო ბაზრის მოთხოვნილებათა საფუძველზე წარიმართა. საგარეო ბაზარზე კი იტალიის ქალაქ-სახელმწიფოები ურთიერთსაკონკურენციო ბრძოლებში იყვნენ ჩაბმული. ამის გამო, ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებამ ამ ქალაქთა დაკავშირების ტენდენცია კი არ გააძლიერა, არამედ

მათი გათიშულობა კიდევ უფრო გააღრმავა, რაც ხშირად სისხლისმღვრელ ომებშიც გადაიზრდებოდა ხოლმე.

ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც გათიშულობა-დაშლილობას ძირითადად არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა (საგარეო ვითარება ესპანეთში), ქვეყნის გაერთიანება საერთოდ ან თითქმის არ დაკავშირებია ერთიანი ეროვნული ბაზრისა და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ერთიანი საქართველოს დაშლის პროცესი, XIII საუკუნის მიწურულიდან რომ შეიმჩნევა, მარტო გარეშე ძალების, საგარეო ფაქტორის მოქმედების შედეგი არ ყოფილა. იგი ქვეყნის შინაგანი განვითარების კანონზომიერი პროდუქტიც იყო (ფეოდალური, ნატურალური, კარჩაკეტილი გათიშული მეურნეობა, ეკონომიკური კავშირურთიერთობების სისუსტე სათანადო პოლიტიკურ მმართველობას გულისხმობს). გარეშე ძალების უარყოფითი ზემოქმედების შედეგი დაშლილობის პერიოდის არაჩვეულებრივი ხანგრძლივობა იყო. საგარეო ფაქტორებმა, რომლებმაც ასე მძიმე ვითარება შექმნეს XIII—XVIII საუკუნეების საქართველოს ცხოვრებაში, ახალი წარმოებითი ურთიერთობების ჩამოყალიბების დაგვიანება განაპირობეს. ხუთი საუკუნის მანძილზე დაქუცმაცებულობის პროცესი თანდათან ღრმავდებოდა. თუკი რომელიმე იღბლიანი მმართველი შექმნილ ხელსაყრელ პირობებში ქვეყნის გაერთიანების გზაზე რაიმე მეტნაკლებად მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევას ახერხებდა, ეს დროებითი და ეფემერული იყო.

XIV საუკუნის შუა ხანებში საქართველოში შექმნილმა შედარებით სასურველმა ვითარებამ (მონღოლთა უღლის გადაგდება, საგარეო მშვიდობა) მაშინვე გამოამჟღავნა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დასახული ტენდენციები. საკანონმდებლო საქმიანობის სიცხოველე და მის ცენტრში გლეხის უფლებების საკითხის დაყენება, რასაც აღნიშნულ პერიოდში ჰქონდა ადგილი, იმის მაჩვენებელი იყო, რომ ფეოდალიზმის წიაღში უკვე გაჩნდა ძალა, რომელიც ახალი იდეებით გამოდიოდა და ფეოდალურ ექსპლუატაციას უპირისპირდებოდა. ამ ექსპლუატაციის კრიტიკა, რომლის ნიშნები ჯერ კიდევ XIII საუკუნეში შეინიშნებოდა[1], როგორც ჩანს, იმ ზომამდე მისულა. რომ მმართველი წრეები დაუფიქრებია და საკითხის მოწესრიგების აუცილებლობის წინაშე დაუყენებია. ამგვარ ვითარე-

---

1 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 57.

ბაში, ქვეყნის გაერთიანების პრობლემის დღის წესრიგში დაყენება და აქტიური მოძრაობა მისი განხორციელებისათვის (გიორგი ბრწყინვალის მეფობის პერიოდში) ლოგიკური და ისტორიულად კანონზომიერი იყო.

XIV საუკუნის მიწურულიდან ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. თემურლენგის არნახულმა გამანადგურებელმა შემოსევებმა ყველა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიღწევა არარაობად აქცია: „უბრალო შემთხვევითობანი, როგორც, მაგალითად, ბარბაროსული ხალხების შემოსევაა, ჩვეულებრივი ომებიც კი, საკმარისია, რათა განვითარებული საწარმოო ძალებისა და მოთხოვნილებების მქონე რომელიმე ქვეყანა იქამდე მივიდეს, რომ იძულებული გახდეს ყველაფერი კვლავ თავიდან დაიწყოს“[2]. საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ არაერთი ამგვარი კატაკლიზმი იცის.

ისტორიული განვითარების ყველაზე მძიმე წლებშიც არ წყდებოდა ქვეყანაში საწარმოო ძალთა ზრდის პროცესი, რასაც აშკარად ადასტურებს შესაბამისი პერიოდის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ლექსიკური მასალა. ამის გამო კიდევ უფრო ღრმავდებოდა შეუსაბამობა საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობებს შორის, ეს კი ფეოდალური ექსპლუატაციის უმახინჯესი ფორმების გაჩენის საფუძველი ხდებოდა, რამაც ყველაზე თვალნათლივ ტყვეებით ვაჭრობაში იჩინა თავი.

ქვეყნის დაშლილობამ XVI საუკუნეში საბოლოო სახე მიიღო. ჩამოყალიბდა სამი სამეფო და ოთხი სამთავრო. ამ ფაქტმა ცალკეულ სამეფო-სამთავროებში ფეოდალური პარტიკულარიზმი კიდევ უფრო გააძლიერა. მსხვილი ფეოდალები ახლა გაცილებით მეტ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დამოუკიდებლობას აღწევენ. ეს ამბავი, ერთი მხრივ, იმით იყო განპირობებული, რომ ცენტრალური ხელისუფლების დამცრობის გამო ცალკეულ მეფე-მთავართა და მათ ვასალ ფეოდალთა შორის განსხვავება მინიმუმამდე შემცირდა; ხშირად ცალკეული ფეოდალები სამხედრო ეკონომიკური თვალსაზრისით თავიანთ სიუზერენ მეფე-მთავრებზე ძლიერებიც კი იყვნენ, მეორე მხრივ, ერთიანი ქართული ხელისუფლებისაგან („მეფეთ მეფეთაგან“) გამოყოფისათვის ბრძოლაში ადგილობრივი ფეოდალების მხარდაჭერა რომ მი-

---

2 კ. მარქსი, ფ. ენგელსი. გერმანული იდეოლოგიიდან, თბ., 1948, გვ. 66.

ეღოთ, ცალკეულ სამეფო-სამთავროთა მფლობელები თავიანთ ვასალებთან სოციალურ და პოლიტიკურ კომპრომისზე მიდიოდნენ[3].

ქვეყნის გაერთიანების პერსპექტივას უდიდესი ზიანი მიაყენა იმან, რომ ორმა დიდმა აგრესორმა — ირანმა და ოსმალეთმა — დაშლილი საქართველო გავლენის სფეროებად გაინაწილა (1555).

ამავე დროს, საწარმოო ძალთა მაღალი განვითარების შედეგად, ქვეყნის ცალკეულ მხარეებში რომლებიც ხელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებსა და პოლიტიკურ მდგომარეობაში იყვნენ, ახალი ურთიერთობის ჩანასახები მაინც ახერხებდა გზის გაკაფვას. ეს სწრაფ ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას იწვევდა, რის საფუძველზეც ცალკეულ სამეფო-სამთავროთა ხელისუფალნი ფეოდალური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ მეტნაკლებად წარმატებულ ბრძოლის გაშლას ახერხებდნენ (კახეთი XVI ს., ქართლი XVI—XVII სს.).

ამგვარი ტენდენციები დამაბრკოლებელ გარემოებებთან ბრძოლაში, ნელა, მძიმედ, თანდათანობით, მაგრამ მაინც მეთოდურად იკაფავდა გზას.

საწარმოო ძალთა და სასაქონლო მეურნეობის განვითარების პარალელურად ვაჭრობა იყო ის რევოლუციური ძალა, რომელიც პირობებს ამზადებდა ქვეყნის სოციალური დაწინაურებისათვის. ხანგრძლივი ისტორიული ტრადიციისა და წინა აზიაში მნიშვნელოვანი როლის გამო საქართველოს ვაჭრობას ძნელბედობის წლებშიც არ დაუთმია მაღალი პოზიციები. საქართველოს ვაჭართა მოღვაწეობა საგარეო ვაჭრობაში და იქ მნიშვნელოვანი კაპიტალის დაბანდება ხელს უშლიდა შინავაჭრობის განვითარებას და, შესაბამისად, საშინაო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესს; ამავე დროს, ქართველ ვაჭართა სისტემატური კავშირი მსოფლიოს დიდ ცენტრებთან, პოლიტიკურად დასუსტებულ, დაშლილ და დიდ ისტორიულ გზაჯვარედინებს მიღმა დარჩენილ ქვეყანას საშუალებას აძლევდა არ მოწყვეტოდა მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებს მატერიალური თუ სულიერი ვანვითარების სფეროში, რაც მისი შემდგომი წინსვლის მასტიმულირებელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო. საქართველო კვლავ მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების საქმის კურსში რჩებოდა.

---

3 ამის მაგალითია ის არგუმენტაცია, რომლის საფუძველზე დარბაზი კონსტანტინე (1478—1505) მეფეს ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობისათვის ბრძოლაზე ხელის აღებას ურჩევდა (იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 87).

ქვეყნის ცალკეულ კუთხეთა გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების სხვადასხვაობა, საწარმოო ძალთა განვითარების არსებული დონე და ვაჭართა ბურჟუაზიული კლასის გაძლიერების (განმტკიცების) პროცესი ვიწრო ადგილობრივ ბაზართა თანდათანობითი გაფართოების, მათი თავმოყრისა და ერთიანი ქართული ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბების პირობებს ქმნიდა[4]. ვაჭართა კლასის წარმომადგენელთა საშინაო ვაჭრობაში აქტიური მონაწილეობა, ვიწრო სპეციალობების გაჩენა და ურთიერთსაქონელგაცვლაში ქვეყნის შორეული კუთხეების მონაწილეობა, ამ პროცესის მიმდინარეობის აშკარა ნიშანი იყო. დამმუშავებელი წარმოება, რომელიც, XVIII საუკუნის ავტორთა რწმუნებით, თავისი პროდუქციით მთელ ამიერკავკასიას ამარაგებდა, თანდათანობით სავაჭრო კაპიტალის გავლენაში ექცეოდა, რაც მრეწველობის კაპიტალისტური ფორმების ჩასახვა-ჩამოყალიბების შესაძლებლობას აპირობებდა. ამრიგად, სავაჭრო ბურჟუაზია იყო ის რევოლუციური ელემენტი, რომელიც, ერთი მხრივ, ცალკეულ, ვიწრო, ადგილობრივ ბაზრებს თანდათანობით აერთიანებდა, თავს უყრიდა და ერთ მთლიან ეროვნულ ბაზრად აყალიბებდა, ხოლო, მეორე მხრივ, აკავშირებდა რა საქონელგაცვლას საქონელწარმოებასთან, ეს უკანასკნელი ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავდა და ამით სავაჭრო კაპიტალი სამრეწველო კაპიტალად იქცეოდა.

XVIII საუკუნისათვის დადგენილად უნდა ჩაითვალოს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს შორის სამეურნეო სპეციალიზაციის არსებობა. სასაქონლო პროდუქციის წარმოების სპეციალიზაცია სოფლის მეურნეობაშიც იკიდებდა ფეხს, რასაც არაერთი ფაქტი და საბუთი ადასტურებს. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს შორის ეკონომიკური კავშირი იმდენად მტკიცე და აუცილებელი გამხდარა, რომ მისი თუნდაც დროებითი დარღვევა თითქმის უბედურებას ნიშნავდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა პაპუნა ორბელიანის ცნობა, რომელიც XVIII საუკუნის 50-იანი წლების სინამდვილეს ასახავს: ლეკთა თარეშის გამო „შეიკრა გზები მტრისაგან, რომ მგზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო ქართლიდამ ჩამოუშვეს და აღარც ახალციხის ქვეყნიდამ ქარავანი, ამით ქალაქს თბილისს ძვირობა შეიქნა და ხალხი, დიახ, შეწუხდენ". როგორც ვხედავთ, დედაქალაქთან ერთი მიმართულებით კომუნიკაციის მოშლას მეტად მძიმე შედეგი მოჰყოლია. ამიტომაც ერეკლე ენერ-

4 მ. სანსონაძე. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, თბ., 1980, გვ. 31.

გიულად მოქმედებს: „გაბძანდა ბატონი საქართველოს ჯარით, რომელი ქალაქში ახლდენ, მიბრძანდა, დადგა მცხეთას, შემოიყარა საერისთაოების ჯარი, დააყენა გზებზე, გაიხსნა გზები და უკუდგა მტერი. ჩამოვიდა ურიცხვი პური, ღვინო თუ რაც რაფერი საზდო, აივსო ქალაქი ყოვლითა სანოვაგითა“[5].

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათი და დონე. მის სხვადასხვა ნაწილს შორის ეკონომიკური კავშირის განმტკიცება, შრომის საზოგადოებრივი განაწილების გაღრმავება, ხოლო ამის საფუძველზე სხვადასხვა კუთხესა და რაიონში სამეურნეო სპეციალიზაციის ჩამოყალიბება და ერთიანი ქართული ეროვნული ბაზრის ფორმირების პროცესი, რამდენიმე ერთეულად დაშლილი ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას აუცილებლად მოითხოვდა. ამასვე მოითხოვდა დამპყრობთა წინააღმდეგ პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და ქართველობის ეროვნული კონსოლიდაციის ინტერესებიც. მრავალ სამეფო-სამთავროდ დანაწილებული და სხვადასხვა დამპყრობთა გავლენის სფეროში მოქცეული ხალხის შეკავშირება და საერთო საქმისთვის დარაზმვა შეუძლებელი იყო. საქართველოში ამას ყველა წოდება და ფენა გრძნობდა, მაგრამ ფეოდალთა კლასობრივი ინტერესები ობიექტურად ქვეყნის გაერთიანებას ეწინააღმდეგებოდა. ამ პროცესს ლოგიკურად უპირისპირდებოდნენ იმ სამეფო-სამთავროთა გამგებლებიც, რომლებსაც თავიანთი სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალი საშუალებას არ აძლევდა ამ გაერთიანების ინიციატორებად გამოსულიყვნენ და მეთაურობა ეკისრათ.

მსხვილ ფეოდალთა (თავადთა) პარტიკულარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენად ჩვეულებრივ წვრილი ფეოდალები (აზნაურები) გამოდიოდნენ. ამ კავშირის სოციალური საფუძველი გასაგებია: ცენტრალური ხელისუფლების სახით აზნაურობა მსხვილ ფეოდალთა მოძალებისაგან დამცველსა და მხარდამჭერს ხედავდა, მაგრამ ეს კავშირი მაშინ არის ეფექტიანი, როცა ერთიანი ქვეყანა მსხვილ საფეოდალოებად (სენიორიებად, სათავადოებად) არის დაშლილი. ხოლო მაშინ, როდესაც იგი რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულადაა (სამეფო-სამთავროდ) დანაწილებული, თითოეული მათგანის აზნაურობა (წვრილი ფეოდალები), იმავე სოციალური საფუძვლის გამო, ადგილობრივი ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდე-

---

5 პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ამბავნი ქართლისანი (ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა), თბ., 1981, გვ. 234—235.

ნად, მოკავშირედ გამოდიოდა და, ამდენად, ქვეყნის საერთო გაერთიანების საქმეს ხელს კი არ უწყობდა, არამედ ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ, ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ცალკეულ სამეფო-სამთავროთა გაერთიანების პრეტენზიას აცხადებდა, იძულებული იყო შემოსაერთებელ რეგიონში (ვთქვათ იმერეთში, გურიასა და ა. შ.) ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ წრეებს (ფენებს) დაკავშირებოდა. ასეთად კი, როგორც ცნობილია, მსხვილი ფეოდალები გამოდიოდნენ. ამგვარი მისწრაფება აშკარად შეიმჩნევა გიორგი XI-ის, ვახტანგ VI-ისა, და განსაკუთრებით, თეიმურაზისა და ერეკლეს პოლიტიკაში. მაგრამ ამგვარი ალიანსი არ შეიძლება ჯანსაღი და მტკიცე ყოფილიყო, რადგან ის პოლიტიკოსი, ვინც მთელი ქვეყნის გაერთიანების ინიციატორად გამოდიოდა, საკუთარ სამფლობელოში ფეოდალურ პარტიკულარიზმს რომ ებრძოდა (უამისოდ მას ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება და ამის საფუძველზე უფრო შორს გამიზნული ღონისძიებების დაგეგმვა არ შეეძლო) თავისი პოლიტიკის მაგისტრალურ ხაზს აშკარად ამქრავნებდა. ამის გამო დაპირისპირებულ სამეფო-სამთავროთა მსხვილი ფეოდალები მას მხოლოდ მანამდე უჭერდნენ მხარს, ვიდრე ეს კავშირი ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისკენ იყო მიმართული. მისი მოსპობა და უფრო ძლიერი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება, ბუნებრივია, მსხვილ ფეოდალებს არ აწყობდათ, რადგან ეს ავტომატურად უფრო ძლიერი პოლიტიკური ერთეულის შექმნასა და შესაბამისად მსხვილ ფეოდალთა პოლიტიკური უფლებების შეზღუდვას, თვითნებობის აღკვეთას გამოიწვევდა. ერთი სიტყვით, ეს კავშირი არამყარი და დროებითი იყო.

ერის ძირითადი, ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილი — მწარმოებელი მოსახლეობა — განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდა ქვეყნის გათიშულობის, ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის, მტრის შემოსევებისა და ფეოდალური ექსპლუატაციის სიმძიმეს. მაგრამ ბატონყმური წყობილება, საწარმოო ძალთა განვითარებისა და წარმოებითი ურთიერთობის ხასიათის შეუსაბამობის მეტად გახანგრძლივებული პერიოდის გამო, მძიმე და მახინჯი ფორმებით რომ გამოირჩეოდა, ის მთავარი დამაბრკოლებელი გარემოება იყო, რომელიც გლეხობას ხელს უშლიდა აქტიურად ჩაბმულიყო ქვეყნის გაერთიანებისა და ცენტრალიზაციისათვის ბრძოლაში.

გლეხობა ან ფეოდალურ უღელში იყო და, მებატონეთა ნება-სურვილის შესაბამისად, იძულებით მათი პოლიტიკის განხორციელებას ემ-

სახურებოდა, ან კლასობრივ ბრძოლას აწარმოებდა; მაგრამ რადგან ფეოდალური ქვეყანა დამპყრობთა გავლენაში იყო მოქცეული, რომელთაგან თავის დაღწევა ერის ყველა სასიცოცხლო პოტენციის სრულ მობილიზებას მოითხოვდა, გლეხთა სოციალური ბრძოლა საერთო ეროვნული საქმის წარმატებებს ძალაუნებურად ხელს უშლიდა. გლეხის უპირველესი მტერი ფეოდალი იყო, ამიტომ იგი თავის მეგობრად მიიჩნევდა განურჩევლად ყველას, ვინც იმ ძალას ებრძოდა, რომელიც ფეოდალურ ექსპლუატაციას უჭერდა მხარს.

მართალია, ერეკლე II-ის (ისევე, როგორც ვახტანგისა და თეიმურაზის) პოლიტიკა ბატონყმური რიგის მოწესრიგების, ფეოდალთა თვითნებობის შეკვეცისა და გლეხთა უფლებების დაკანონებისაკენ იყო მიმართული, მაგრამ ყველაფერი ეს ფეოდალური ექსპლუატაციის შენარჩუნებასა და განმტკიცებას ითვალისწინებდა. ლოზუნგი „რა ამოწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდესო“. იმის მაჩვენებელია, რომ ავტორს გლეხიკაცი ექსპლუატაციის მუდმივ ობიექტად მიაჩნდა, რომლის განთავისუფლება ან თუნდაც მდგომარეობის შემსუბუქება კი არ ანაღვლებდა, არამედ ამოწყვეტა აშინებდა, რადგან მაშინ ექსპლუატატორთა მარჩენალი არავინ დარჩებოდა. ყოველივე ეს ეროვნულ ფრონტს ასუსტებდა, ერის ძალებს თიშავდა და საბოლოოდ დამპყრობთა და მჩაგვრელთა წისქვილზე წყალს ასხამდა, რაც ქვეყნის პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ. მაგრამ ექსპლუატაციის შეცვლის, ან თუნდაც შერბილების საკითხს კი არ აყენებდნენ, არამედ ცდილობდნენ გლეხთა ანტიფეოდალური მოძრაობისათვის იურიდიული საფუძველი გამოეცალათ; ამიტომ სახელმწიფო-საკანონმდებლო საქმიანობაც ბატონყმური რიგის მოწესრიგებისაკენ იყო მიმართული.

კლასობრივი ანტაგონიზმის ნეგატიური როლი ქვეყნის გაერთიანებისა და განთავისუფლების ეროვნულ საქმეში კარგად ჰქონდათ შეგნებული პროგრესულ ძალებს. ამით უნდა აიხსნას ერთი საგულისხმო გარემოება: XVIII საუკუნეში მნიშვნელოვანი ძვრები შეიმჩნევა ქართული საზოგადოებრივი აზრის, კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განვითარების თვალსაზრისით (სულხან-საბა, დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, ვახუშტი, ისტორიული მეცნიერების განვითარება და ა. შ.). ეს ძვრები აშკარად აღორძინების ნიშნებს ატარებენ და ადრეული განმანათლებლობის იდეების გავრცელებით გვირგვინდებიან. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ თუმცა ქართველ მოღვაწეთა ნაშრომებსა და ნააზრევში აშკარად ჩანს, მშრომელი ადამიანის ინტერესთა დაცვის მოწოდება, მათი ბედით დაინტერესება და ა. შ., მინიშნებაც

კი არ არის ბატონყმობის არათუ მოსპობის, უბრალო, კრიტიკოსიც კი, მაშინ, როცა აღნიშნული და უფრო ადრეული პერიოდის ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ეს მოტივი ერთ-ერთი ძირითადია.

საქართველოს სინამდვილეში მხოლოდ ქალაქები (ვაჭართა კლასი, ბურჟუაზია) შეიძლებოდა გამოსულიყო იმ რეალურ ძალად, რომელიც სისხლხორცეულად იქნებოდა დაინტერესებული ქვეყნის გაერთიანებით და ამ საქმეში ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენის ფუნქციას შეასრულებდა.

სწორედ ვაჭრები (ქალაქები, ბურჟუაზია) ზარალდებოდნენ ყველაზე მეტად გზების მოუწყობლობითა და ხიფათით, აუარებელი ბაჟებით („ბაჟები წარმოიქმნა ხარკებიდან, რომლებსაც ფეოდალები ახდევინებდნენ მათს ადგილ-მამულებზე გამვლელ ვაჭრებს როგორც გამოსასყიდს მათ გაძარცვაზე უარის თქმისათვის“[6]), ცალკეულ სამეფო-სამთავროთა პოლიტიკურ მესვეურებთან ურთიერთობის სირთულით, მსხვილ ფეოდალთა და თვით მთავართა თავხედობით, თავაშვებულობით, უსამართლობითა და ძალადობით. ამავე დროს, ვაჭრები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკური სიძლიერის მიუხედავად ყმურ მდგომარეობაში რჩებოდა, ყველაზე მწვავედ განიცდიდნენ ფეოდალური ექსპლუატაციის სიმძიმეს და ფეოდალებს, როგორც კლასს, უპირისპირდებოდნენ.

ამრიგად, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებს შორის კავშირურთიერთობის გაფართოება, მათი ურთიერთგანპირობებულობა დღის წესრიგში ქვეყნის გაერთიანების აუცილებლობას აყენებდა, ხოლო თავადური პარტიკულარიზმისა და სამთავროთა სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მწიფდებოდა სამეფო ხელისუფლებისა და ბურჟუაზიის (ქალაქების, ვაჭრების) კავშირი. მაგრამ მხოლოდ მოქალაქეებზე და. მით უმეტეს, მის ვაჭრულ ზედაფენაზე დაყრდნობით ამ დიდი საქმის წამოწყება შეუძლებელი იყო. ზემოთ აღნიშნული კავშირის სიმტკიცეს არაერთი დამაბრკოლებელი გარემოება ასუსტებდა.

ბურჟუაზიული ელემენტები ქვეყანაში ჯერ კიდევ უძლური იყვნენ იმისათვის, რომ ასეთი დიდი საქმე ეტვირთათ, თუმცა იმდენი ენერგია კი შესწევდათ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას შინაური პარტიკულარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოდგომოდნენ. მაგრამ როდესაც საქმე ამაზე შორს მიდიოდა, როცა გამაერთიანებელ ძალებს შეჯახება ელოდათ არა მარტო ქვეყნის შინა ცენტრიდანულ მისწრაფე-

---

6 კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. გერმანული იდეოლოგიიდან, თბ., 1948, გვ. 71.

ბებთან, არამედ სხვა ქართულ სამეფო-სამთავროთა მთელ სამხედრო პოლიტიკურ პოტენციალთან და მათ დამხმარე საგარეო ფაქტორებთან (ირანი, თურქეთი, ლეკები და ა. შ.), ცხადია, მარცხი გარდაუვალი იყო.

ამას ის გარემოებაც ემატებოდა, რომ საქართველოს პირობებში ცენტრალური ხელისუფლებისა და ქალაქების (ბურჟუაზიის) კავშირი ბოლომდე გულწრფელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ქალაქური ზედაფენა ფეოდალთა კლასს უპირისპირდებოდა, თვით ცენტრალური ხელისუფლება კი (მიუხედავად პროგრესული მისწრაფებისა) ფეოდალთა ინტერესების გამომხატველი და ფეოდალური ექსპლუატაციის დამცველი იყო.

ვაჭართა ზედაფენა, ფართო საგარეო ვაჭრობას რომ ეწეოდა, კარგად იყო ინფორმირებული ბურჟუაზიის მდგომარეობით დაწინაურებულ ქვეყნებში, სადაც ფეოდალური ექსპლუატაცია ან მოსპობილი იყო, ან მისი მოსპობისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა. ქართული ბურჟუაზია თანდათან იკრებდა ეკონომიკურ ძალებს და, თავისი უცხოელი პარტნიორების მსგავსად, პოლიტიკური ძალაუფლებისა და სოციალური თავისუფლების მოთხოვნებს აყალიბებდა. აქ ცენტრალური ხელისუფლებისა და ვაჭრული ბურჟუაზიის ინტერესები ერთმანეთს სცილდებოდა.

მართალია, ცენტრალური ხელისუფლება ზრუნავდა ვაჭართა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პოლიტიკურ და დიპლომატიურ საქმიანობაში ჩაბმისათვის, რაც შეესანიშნავად ჩანს ვახტანგ VI-ის საკანონმდებლო მოღვაწეობაში, თეიმურაზ II-სა და განსაკუთრებით ერეკლე II-ის პოლიტიკაში და სხვ., მაგრამ ყველაფერი ეს მაინც პალიატიურ ღონისძიებებად რჩებოდა და XIX საუკუნეშიც კი ბევრი მსხვილი ვაჭარი, რომელიც დიდ საგარეო კომერციებში მონაწილეობდა და იმ დროის კვალობაზე უზარმაზარ კაპიტალს ატრიალებდა, ყმურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ყოველივე აღნიშნულს ქალაქური მოსახლეობის ეროვნული სიჭრელეც ემატებოდა. წამყვანი პოზიცია აქ (ეროვნებით თუ რელიგიით) სომხებს ეკავათ. ამის საფუძველზე ბურჟუაზიული ელემენტების დაპირისპირება ფეოდალური კლასის წარმომადგენლებისადმი ამ უკანასკნელთა მეცადინეობის შედეგად ეროვნულ სამოსელში ეხვეოდა.

ჟ. შარდენის მოწმობით, სომხები საქართველოში (იგულისხმება ქალაქებში — მ. ს.) „ისე მრავლად არიან, რომ ქართველებსაც კი სჭარბობენ, ამასთანავე ისინი ყველაზე მდიდრები არიან, მაგრამ პატარა ად-

გილები და დაბალი თანამდებობები უკავიათ, ქართველები უფრო უფლებამოსილნი... არიან"[7].

ის ეკონომიკური შეძლებულება, რომლის საფუძველზეც მოქალაქეთა ზედაფენის წარმომადგენლები სოციალური და პოლიტიკური უფლებებისათვის იბრძოდნენ, ბუნებრივია, მწარმოებელი მოსახლეობის ექსპლუატაციის პროდუქტი იყო. ექსპლუატირებულთა როლში კი ძირითადად ქართველი გლეხობა გამოდიოდა. ამგვარ ვითარებაში ფეოდალური იდეოლოგია ადვილად ახერხებდა მშრომელ მოსახლეობაში ანტისომხური ნაციონალიზმის გაღვივებას.

მართალია, ვაჭართა რიგებს მართლმადიდებელი, კათოლიკე თუ გრიგორიანული სარწმუნოების ბევრი ქართველი ავსებდა, ქალაქის მოსახლეობის თვით სომხური ნაწილიც მნიშვნელოვანწილად გაქართველებული იყო (ენა, წერა-კითხვა, კულტურა, განათლება და ა. შ.), მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ქართველებს, და არა მარტო ქართველებს, ტერმინი „სომეხი" ვაჭრის სინონიმად ესმოდათ.

ამრიგად, ეროვნული საკითხის გაცხოველების პირობებში საქართველოს ბურჟუაზიამ „მოახერხა" თავის წინააღმდეგ განეწყო მშრომელი მოსახლეობის მასები მანამდე, სანამ პოლიტიკურ ძალაუფლებას მიუახლოვდებოდა. ამდენად, საქართველოს ბურჟუაზია (ვაჭართა კლასი, მოქალაქეები) ქართული ეროვნული საქმის მედროშედ ვერ გამოვიდოდა. არაქართული წარმოშობის ელემენტი საქართველოს გაერთიანების საქმეს ვერ ითავებდა; იგი მთელი ერის სახელითა და მისი ინტერესების დამცველის პოზიციით ვერ ისარგებლებდა. ეს, როგორც ჩანს, ვაჭართა ზედაფენების წარმომადგენლებსაც კარგად ესმოდათ. ისინი გრძნობდნენ, რომ ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოში სოციალურ თანასწორობასა და პოლიტიკურ უფლებებს ვერ მოიპოვებდნენ; ამიტომ გაქართველების მძლავრ ტენდენციასთან ერთად (საგულისხმოა, რომ საქართველოში ყველა სომხური გვარი გადმოქართულებული იყო; მხოლოდ XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, დაიწყო მისი შეცვლა სომხურ და რუსულ ყაიდაზე), ისინი იმედს ხშირად საგარეო ფაქტორზე ამყარებდნენ. უცხო ძალის წინაშე მათ ეროვნულ განსხვავებულობას აზრი ეკარგებოდა და ირანული,

---

7 ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ. 1975, გვ. 298.

თურქი თუ რუსი ხელისუფლების მხრიდან მათ, სულ ცოტა, ქართველების თანაბარი დამოკიდებულების იმედი შეიძლებოდა ჰქონოდათ.

თუკი ის გარემოება, რომ XVIII საუკუნის ფეოდალური ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენელი მოქალაქეთა ზედაფენას ქართული ეროვნული საქმის ღალატში ადანაშაულებდა, ერთი მხრივ, ტრადიციული ანტაგონისტური დამოკიდებულების გამოხატულება იყო, მეორე მხრივ, ამგვარი შეხედულების არსებობას გავლენიანი ვაჭრული წრეების კლასობრივი ინტერესებიც ასაზრდოებდა. ამის გამო, ქვეყნის ბურჟუაზიული ელემენტები პროგრესული ძალების, ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლთა მხოლოდ მოკავშირის როლში შეიძლებოდა გამოსულიყვნენ.

ამრიგად, XVIII საუკუნეში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, საქართველოში მეტად რთული და თითქმის გამოუვალი ვითარება შეიქმნა. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, პოლიტიკური თავისთავადობის შენარჩუნებისა და ეროვნული კონსოლიდაციის ინტერესები ქვეყნის აუცილებელ გაერთიანებას (და, ცხადია, განთავისუფლებას) მოითხოვდა. ამავე დროს, ქვეყანაში არ არსებობდა კლასი ან თუნდაც ძლიერი ფენა, რომელიც ამ გაერთიანებით სისხლხორცეულად იქნებოდა დაინტერესებული, მის მედროშედ გამოვიდოდა და, რაც მთავარია, იმდენი შესაძლებლობა ექნებოდა, რომ ცენტრიდანული ძალების მთელ კომპლექსს დაპირისპირებოდა.

ქვეყანაში პროგრესული ძალების არსებობა უეჭველი ფაქტია. ისინი საზოგადოების ყველა კლასსა და ფენაში შეიმჩნეოდა. მაგრამ მათი შესაძლებლობები შეზღუდული იყო იმ რთული პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის, რომელიც იმ დროს ერის წინაშე იდგა. ბუნებრივია, იმდროინდელ საქართველოს დამოუკიდებლად, საკუთარი საშუალებებით ამ პრობლემის გადაწყვეტა არ შეეძლო.

საქართველოს ერთიანობის იდეა ქვეყანაში არასოდეს გამქრალა და ყველა პროგრესული ძალა, ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი, ამ იდეის მატარებელი იყო. მაგრამ XVIII საუკუნის დასაწყისიდან ქართველი პროგრესისტები ამ იდეის ხორცშესხმისათვის პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას გეგმავდნენ. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ვახტანგ VI-მ ჩამოაყალიბა მწყობრი პროგრამა, მაგრამ შექმნილმა გაუთვალისწინებელმა საგარეო ფაქტორებმა ამ წამოწყების მარცხი განაპირობა.

გაერთიანების აუცილებლობას კიდევ უფრო ამწვავებდა და, თავის მხრივ ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მთელ საქართველოს, მის ყველა კუთხეს ერთი აღიარებული კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი

ჰქონოდა თბილისის სახით, რომელსაც დაშლილობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეს პოზიცია არასოდეს დაუთმია.

ქალაქურ (ბურჟუაზიულ) წრეებთან კავშირის შესაძლებლობა იმ ხელისუფალს ჰქონდა. ვის განგებლობაშიც თბილისი რჩებოდა. ამის გამო იყო, რომ საქართველოს გაერთიანების მედროშედ ჩვეულებრივ ქართლი გამოდიოდა (ბუნებრივია, ამ ფაქტში მთავარი მნიშვნელობა ქართლის გეოგრაფიულ მდებარეობას და იმ ისტორიულ ტრადიციას ჰქონდა, რომლის მიხედვითაც გაერთიანებული საქართველოს პირდაპირ მემკვიდრედ ქართლი და ბაგრატიონთა ქართლის შტო ითვლებოდა).

თეიმურაზმა და ერეკლემ დაარღვიეს ეს ტრადიცია; ამიტომ, როგორც ვნახავთ, ქართლისა და კახეთის გაერთიანება მათ გაუძნელდათ და ამ ფაქტის იურიდიულ დაკანონებას 40 წლის ბრძოლა დასჭირდა.

თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს, რომელთა გამგებლობაშიც ქართლ-კახეთის შეერთების შემდეგ თბილისი იმყოფებოდა, შეეძლოთ მთელი საქართველოს გაერთიანება დღის წესრიგში დაეყენებინათ. ამ მისწრაფების საფუძველი ის იყო, რომ ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფო მთელ ამიერკავკასიაში სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად და აღიარებულ ლიდერად ითვლებოდა.

საქართველოს გაერთიანების პროგრამა თეიმურაზისა და ერეკლეს პოლიტიკაში უკვე XVIII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბებულ ხასიათს ატარებდა. ათანასე თბილელისა და სვიმონ მაყაშვილის რუსეთში 1752 წლის ელჩობის ერთ-ერთ მთავარ მოტივად მოჩანს ქართლ-კახეთის მეფეების მიერ ელისაბედ დედოფლისათვის გაგზავნილი წერილის სიტყვები: „ხოლო, ვინათგან აწ შყოფსა ამას ჟამსა არღარავინ არს უსჯულოთა მეფეთაგანი უფალი ჩვენზედა. ესე მოეხსენოს სიწმიდისა ცასა გონებასა შენსა. აწ არს ჟამი გამოხსნისა ჩვენისა და დღე აღდგომისა ჩვენისა უკეთუ არა სრულიადსა განწირულებასა მიცემულ ვართ ცოდვათა ჩვენთათვის[8]“.

ფორმულა: „აწ არს ჟამი აღდგომისა ჩვენისა და დღე გამოხსნის ჩვენისა“ დიდი ხანია ახსნილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღდგომა

---

8 ი. ც ი ნ ც ა ძ ე. ათანასე თბილელისა და სვიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში (1752—1754), საისტორიო მოამბე, 6, თბ., 1952, საბ. 2, გვ. 140 (ხაზი ჩვენია — ზ. ს.).

გაერთიანებას, „გამოხსნა“ კი დამპყრობთაგან განთავისუფლებას ნიშნავს. მაგრამ თუ ამ ფორმულას მხოლოდ ქართლ-კახეთის მასშტაბით გავიგებთ, მაშინ მას არავითარი აზრი არ აქვს, რადგან, ქართლი და კახეთი ამ დროს ფაქტობრივად გაერთიანებული იყო. მართალია, მეფეები ცდილობდნენ, რომ ეს გაერთიანება რუსეთს ეცნო და ამით მისი იურიდიული განმტკიცება მომხდარიყო, მაგრამ თუ მოცემულ დებულებას ამის მიხედვით გავშიფრავთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ იგი ცუდადაა ჩამოყალიბებული, რასაც ამ შესანიშნავი წერილის ავტორებს ვერ დავაბრალებთ. კიდევ უფრო საყურადღებოა ამ ფორმულის მეორე ნაწილი: „აწ არს... დღე გამოხსნისა ჩვენისა“. რა „გამოხსნაზე“ (განთავისუფლებაზე) შეიძლება იყოს საუბარი? აკი მეფეები თვითონ აცხადებენ: „ამა ჟამსა არღარავინ არს უსჯულოთა მეფეთაგან უფალი ჩვენზედაო“.

სრულიად აშკარაა, თუ „აღდგომას“ და „გამოხსნას“ გაერთიანებად და განთავისუფლებად გავიგებთ, რაც თითქოს საეჭვო არ უნდა იყოს. მაშინ აქ საუბარია არა ქართლ-კახეთზე, არამედ მთელ საქართველოზე, რომლის სამხრეთი და დასავლეთი ნაწილი იმ დროს მართლაც საჭიროებდა „უსჯულოთაგან“ გამოხსნას.

მაშასადამე, თეიმურაზი და ერეკლე რუსეთის დედოფლის წინაშე მთელი საქართველოს „უსჯულოთაგან“ განთავისუფლებისა და გაერთიანების საკითხს აყენებდნენ და ამით თავიანთი მოღვაწეობის მაგისტრალურ ამოცანას აცხადებდნენ. არსებულ საშინაო და საგარეო პირობებში ქვეყნის გაერთიანებისა და გამოხსნის საკითხის დამუშავება საიდუმლო ვითარებაში უნდა მომხდარიყო და ფრთხილად, მეთოდურად და შენიღბულად უნდა განხორციელებულიყო. ამ ამოცანის ნაადრევი გამჟღავნება მისი მარცხის პირობა იქნებოდა.

როგორც ითქვა, ქვეყნის გათიშულობა მნიშვნელოვანწილად საგარეო ფაქტორებითაც იყო განპირობებული, ქვეყნის სხვადასხვა კუთხის შეტანაკლებად დაკარგული თავისუფლების აღსადგენად საგარეო ძალებთან შეჯახება იყო აუცილებელი; მაშასადამე, პროგრესისათვის მებრძოლთ, ქვეყნის „აღდგომისა“ და „გამოხსნისათვის“ მებრძოლთ თავის ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენად შესაბამისი დამხმარე საგარეო ძალები უნდა ეძებნათ. „რეაქციის ძალებს მხარში ედგათ და აქტიურად ეხმარებოდნენ ოსმალეთი და ერანი. ასეთივე დამხმარე უნდა

გაეჩინათ პროგრესისათვის მებრძოლ ძალებსაც"[9]. მაგრამ რა საგარეო ძალებზე დაყრდნობით შეეძლოთ მათ ამ დიდი და რთული ისტორიული საქმის წარმატებით გადაწყვეტის იმედი ჰქონოდათ?

ქართლ-კახეთის ფორმალური „ბატონი" ირანი იყო[10]. მართალია, როგორც ვნახავთ, 1749 წლიდან ქართლ-კახეთის სამეფოს ირანისადმი დამოკიდებულების საკითხი მისი უმაღლესობის სიტყვიერი აღიარებით შემოიფარგლებოდა და ამ ფორმალურ აღიარებასაც ქართველი ხელისუფალნი მხოლოდ უშუალოდ ირანთან კონტაქტების დროს ამჟღავნებდნენ, მაგრამ ეს ირანის სისუსტით იყო განპირობებული და როგორც კი იგი საამისო ძალებს მოიკრებდა, ეჭვი არ არის, მაშინვე საქართველოს ფაქტობრივ დაქვემდებარებას მოითხოვდა.

ერთი შეხედვით, თითქოს ირანს არაფერი უნდა ჰქონოდა იმის საწინააღმდეგო, რომ ქართლ-კახეთის გამგებლებს თავის ძალაუფლებაში მთელი საქართველო გაეერთიანებინათ და, მაშასადამე, მთელი რეგიონი ირანის გავლენაში მოექციათ (სხვა საკითხია, ამგვარი გამოსავალი ხელს აძლევდა თუ არა თვით ქართლ-კახეთის მესვეურებს), თუ ეს მოხდებოდა შესაფერის საგარეო სიტუაციაში, ე. ი. თურქეთთან კონფლიქტის ვითარებაში, რაც მოსალოდნელიც იყო.

საქართველო-ირანის ურთიერთობის მთელი ისტორია იმის მაგალითია, რომ ირანი ამას არ დაუშვებდა, ყოველ შემთხვევაში შეძლებისდაგვარად წინ აღუდგებოდა. როგორც ქვევით დავინახავთ, ირანი მხოლოდ თავისი სისუსტის გამო იყო იძულებული ეღიარებინა ქართლ-კახეთის გაერთიანება. ამ აღიარების მისაღწევად თეიმურაზსა და ერეკლეს წლების მანძილზე ფრთხილი, მეთოდური დიპლომატიური ბძოლის წარმოება უხდებოდათ. ამ თვალსაზრისით სყურადღებოა შემდეგი ფაქტი: 1743—1746 წწ. ირან-თურქეთის ომის დროს ნადირშაჰი ქართველებს თურქეთის წინააღმდეგ გამოსვლას უბრძანებდა და აქეზებდა. მართლაც, თეიმურაზმა და ერეკლემ თარეშის ხასიათის არაერთი ლაშქრობა მოაწყვეს ყარსისა და ახალციხის საფაშოში; მაგრამ

---

9 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1971, გვ. 179.

10 ვინაიდან დიდი ეროვნული საქმის მედროშედ გამოსვლის ყველაზე მეტი საფუძველი და პრეტენზია ქართლ-კახეთის სამეფოს ჰქონდა, ამიტომ ჩვენ საკითხს სწორედ ამ კუთხით ვიხილავთ. თუმცა, ეს არსებითად არაფერს ცვლის და ამგვარი პრეტენზიით სხვა რომელიმე ქართული სამეფო ან სამთავროც რომ გამოსულიყო, რაც ნაკლებად მოსალოდნელია, საგარეო ძალთა პოზიცია არსებითად არ შეიცვლებოდა.

როგორც კი მათ ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე ციხეების დაკავება სცადეს, ირანის ხელმწიფემ მაშინვე მათი დატოვება უბრძანა და მეფეებიც იძულებული იყვნენ დამორჩილებოდნენ. ნადირ-შაჰს ქართველთა გამოყენება თურქეთის სამხედრო პოტენციალის დასასუსტებლად და დასაქსაქსავად უნდოდა. ქართველებს კი ახალციხის საფაშოში ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდათ და ამ ძველის-ძველი ქართული მიწა-წყლის შემოერთებაზე ოცნებობდნენ. ასეთი ნაბიჯი ქართველების გაძლიერებას გამოიწვევდა, რაც ირანის გეგმებს სულაც არ ეთანხმებოდა. ირანი გაერთიანებული ქართლ-კახეთის დამორჩილებასაც ვეღარ ახერხებდა, გაძლიერებული კი მით უფრო დაშორღებოდა მას.

ირანი თვით ქართველებისთვისაც მიუღებელი მოკავშირე იყო სწორედ იმის გამო, რომ იგი იურიდიულად მაინც ქართლ-კახეთის სიუზერენად ითვლებოდა. დასუსტებული ირანი ქართველებს არაფერში გამოადგებოდა. ძლიერი კი მათ ფაქტობრივ მორჩილებას მოითხოვდა. იქნებ საკითხი სხვაგვარადაც დამდგარიყო — დაქუცმაცებული და ორი აგრესორის მფლობელობაში ყოფნას გაერთიანებული ქვეყნის ერთი აგრესორის გავლენაში ყოფნა ჯობდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი პოლიტიკოსები ირანის შემადგენლობაში ქვეყნის გაერთიანებას შეუძლებლად მიიჩნევდნენ. აქ არაერთი ფაქტორი მოქმედებდა, სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური შეუთავსებლობა, კულტურულ-პოლიტიკური მისწრაფებანი და ა. შ. თანამედროვეთა მოწმობით, ერეკლე ქვეყნის ევროპეიზაციაზე ოცნებობდა. ევროპა პროგრესისა და განათლების, ეკონომიკური და კულტურული აყვავების მაგალითი იყო, ხოლო ირანის მფლობელობაში დარჩენა ჩამორჩენილობის, აზიურობის, რეგრესის გარემოცვაში ყოფნას ნიშნავდა.

ასევე, და კიდევ უფრო მეტად, მიუღებელ პოტენციურ მოკავშირედ მოჩანდა თურქეთი. მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ურთიერთობისა და დაპირისპირებულობის მაგალითზე ქართველებმა იცოდნენ, რომ თურქეთი, ირანთან შედარებით, გაცილებით უფრო მკაცრი და შემტევი აგრესორი იყო. იგი დამორჩილებულ ქვეყნებში ვერ ითმენდა სულ მცირე რელიგიურ თავისუფლებასა და შინაურ დამოუკიდებლობას. სუნიზმი ისლამის გაცილებით უფრო შემტევი და სხვა სარწმუნოებასთან შეურიგებელი სექტა იყო. სწორედ ამის გამო, საქართველოს განაპირა მხარეებში, როგორც ცნობილია, შიიზმმა საერთოდ ვერ მოიკიდა ფეხი, სუნიზმის პოზიციები კი საკმაოდ მომაგრდა (სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურიის ნაწილი, კაკ-ეწისელი). ქართულისაგან გა-

ცილებით შორს იყო ოსმალეთის იმპერიაში გაბატონებული სოციალურ-ეკონომიკური წყობა და, განსაკუთრებით, მიწათმფლობელობის ფორმები. თურქეთი დაქვემდებარებულ ქვეყნებში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისადმი კიდევ უფრო მეტ შეუწყნარებლობას იჩენდა. იგი ყოველთვის სიამოვნებით ეხმარებოდა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს (აქეზებდა) პარტიკულარისტულ ძალებს დასავლეთ საქართველოში. ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ყველა მებრძოლი, ამ ხელისუფლების ყველა მტერი, ყველა განმდგარი, თურქეთის სულთნისა თუ ახალციხის ფაშის კარზე თავშესაფარს პოულობდა. თურქეთი ქართველი (და საერთოდ ქრისტიანი) ტყვეებით ვაჭრობის ძირითადი ცენტრი და მომხმარებელი იყო. ამ ბარბაროსულ ვაჭრობას იგი თავგამოდებით უწყობდა ხელს და იბრძოდა მისი გავრცელებისათვის. თურქეთს დასავლეთ საქართველოსთან ყველაზე დიდი წინააღმდეგობა სწორედ ამ საკითხის გამო ჰქონდა.

ოსმალობა ქართველობის ისტორიული და შეურიგებელი მტერი იყო და მისი დახმარებით ქართული ეროვნული საქმე ვერ გაიმარჯვებდა. მასთან, კავშირი ქვეყნის ევროპეიზაციის თვალსაზრისით ისევე მიუღებელი იყო, როგორც ირანთან. მით უმეტეს, რომ ყველაფერთან ერთად, თურქეთის ძალაც საკმაოდ პირობითი იყო და მისი ირანისადმი დაპირისპირების შემთხვევაში, ურომლისოდაც ქვეყნის ორი ნაწილის შეერთება ვერ მოხდებოდა, წონასწორობის საკითხი ბევრ გარემოებაზე რჩებოდა დამოკიდებული, მათ შორის რუსეთზე, რომელიც შავი ზღვის გამო თურქეთის ასევე ისტორიული და შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო. ქართველებმა ეს ისტორიული გამოცდილებით იცოდნენ. ამრიგად, ეს კავშირი მიუღებელი და შეუძლებელიც იყო.

ქართველი პოლიტიკოსები, როგორც ცნობილია, ევროპაშიც ცდილობდნენ მოკავშირის პოვნას. მაგრამ ამ მიმართულებით გატარებულმა ღონისძიებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. საქართველო ევროპას არ აინტერესებდა, ან მხოლოდ ირანთან და განსაკუთრებით თურქეთთან კავშირში აინტერესებდა. ევროპის ბურჟუაზია საქართველოში არსებითად მიმზიდველს ვერაფერს ხედავდა. საქართველოში არ მოიპოვებოდა რამდენადმე მნიშვნელოვანი წიაღისეული (მარგანეცის მადანი გვიან აღმოჩნდა). წიაღისეულის საკითხი იმ დროს, სამრეწველო რევოლუციის ჩასახვის პერიოდში, ჯერ კიდევ არ იყო მიზიდულების ძირითადი ფაქტორი. აღმავალი კაპიტალისტური მრეწველობისათ-

ვის საქართველოში არც შესაფერისი ნედლეული ჩანდა. საქართველოს ევროპასთან არ ჰქონდა სასაზღვრო კავშირი (თურქთა მიერ 1453 წელს კონსტანტინოპოლის აღებისა და ამით შავი ზღვის ჩაკეტვის შედეგად ამ კავშირის გაწყვეტა საქართველოსათვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიული მარცხი იყო). მაშასადამე, საქართველოს მისთვის არც სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოთი ერთადერთი დაინტერესება ევროპის ბურჟუაზიას ინდოეთთან სახმელეთო სავაჭრო გზის თვალსაზრისით შეიძლება გამოეჩინა, მაგრამ ეს გზა მაინც თურქეთთან და ირანთან კავშირში რჩებოდა. ქვეყანა, რომლის მოსახლეობა ერთ მილიონსაც არ აღწევდა, არც პროდუქციის გასაღების ბაზრის მნიშვნელობით იყო მაინცდამაინც მიმზიდველი. ამგვარად. ევროპა საქართველოთი იმდენად არ იყო დაინტერესებული, რომ მისი გულისათვის თურქეთს, ირანს ან თუნდაც რუსეთს დაპირისპირებოდა. ქრისტიანობის დაცვა და ალტრუისტული ლოზუნგები კი მხოლოდ ლიტონი სიტყვები იყო, რომელთა უკან სახელმწიფოთა ფისკალური მიზნები და ფაქტობრივი ეროვნული ამოცანები იმალებოდა. ამდენად, საქართველოსადმი ევროპის დახმარება მხოლოდ თანაგრძნობის გამოხატვით შემოიფარგლებოდა. ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზიის ინტერესებმა და კონკურენციამ მნიშვნელოვანწილად განაპირობეს თურქთა გაბატონება შავ ზღვაზე. იგივე ინტერესები, კონკურენცია და ქიშპი იყო აქ ოტომანთა პორტას სიმტკიცის ერთ-ერთი საფუძველი.

ევროპაში იყო ძალა, რომლის მიმართ ქართველი პოლიტიკოსები დიდ ყურადღებას იჩენდნენ და ეროვნული საქმისათვის მის გამოყენებას ცდილობდნენ. ეს იყო კათოლიკური ეკლესია. ამ ძალისადმი ქართველ ხელისუფალთა დამოკიდებულებას რომ პოლიტიკური მოსაზრებები ედო საფუძვლად, ეს ცნობილია. საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობას გარკვეულად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი შესამჩნევ კულტურულ და სამედიცინო საქმიანობას ეწეოდნენ, ხელს უწყობდნენ ცალკეულ ქართველთა მიერ ევროპის გაცნობას და მის კულტურულ და მეცნიერულ მიღწევებთან დაახლოებას; ტყვეებით ვაჭრობის ბარბაროსულ პროცესს რომ ებრძოდნენ (თუმცა ეს ბრძოლა მნიშვნელოვანი ეფექტიანობით არ გამოირჩეოდა), კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობა პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენდა. მაგრამ პაპობას საქართველოში (ისევე როგორც ყველა აღმოსავლურ ქვეყანაში) თავისი მიზნები ჰქონდა; კათოლიკური ეკლესია, მისიონერების მეშვეობით, იმ ამოცანის ნაწილობრივ მაინც შესრულე-

ბას გეგმავდა, რაც მან საუკუნეების მანძილზე ჯვაროსნული ომებით ვერ გადაწყვიტა: გაევრცელებია კათოლიკობა, გაემრავლებია მრევლი და ამით ეკლესიის შემოსავალი გაეზარდა. ცხადია, „პროპაგანდა ფიდეს“ საქმიანობა მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვდა, მაგრამ ეკლესიის ხელისუფალთ მიაჩნდათ, რომ წარმატების შემთხვევაში ეს ხარჯები დიდი სარგებლით აუნაზღაურდებოდათ. უფრო დიდი ხარჯების გაწევისაგან რომის ეკლესია თავს იკავებდა. ამიტომ ვერავითარი დადებითი შედეგი ვერ მოუტანა ვახტანგ VI-ს სულხან-საბას ელჩობამ პაპის კარზე. ამ მარცხს ბევრი მიზეზი ჰქონდა და ერთ-ერთი ვატიკანის მხრიდან ოსმალეთის ხელისუფლებისადმი ანგარიშის გაწევისა და ერთგვარი მორიდების პოლიტიკაც იყო. ურთიერთობის გამწვავების შემთხვევაში ოტომანთა პორტას შეეძლო ნულამდე დაეყვანა მისიონერთა საქმიანობის შედეგი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ წინა აზიაში.

ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები მზად იყვნენ კათოლიკური სარწმუნოება ელიარებინათ და მოსახლეობაც ამ რჯულზე მოექციათ, თუკი ვატიკანი მათ ქვეყნის გამოხსნასა და გაერთიანებაში დაეხმარებოდა. მაგრამ იგი პრაქტიკულად ამგვარ მისწრაფებას არ იჩენდა. არსებული მწირი მასალებით შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა პოლიტიკურ იდეებს ქადაგებდნენ მისიონერები საქართველოში; მაგრამ ის კი ცნობილია, რომ კათოლიკური ეკლესია ევროპაში გათიშულობის, დაქუცმაცებულობის, პარტიკულარიზმის დასაყრდენს წარმოადგენდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ევროპის უმრავლეს ქვეყნებში გაერთიანებისათვის ბრძოლა პაპობის საწინააღმდეგო ღონისძიებებთან კავშირში ხორციელდებოდა. ევროპის ბევრი ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება რეფორმაციის ლოზუნგითა და დროშით მიმდინარეობდა. არ არის მოსალოდნელი, რომ აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ კათოლიკობას თავისი ბუნება და პოლიტიკა რამდენადმე არსებითად შეეცვალა.

ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლნი კათოლიკური ეკლესიისადმი დამოკიდებულებაში პროგრესულ მიზნებს ისახავდნენ. მაგრამ დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ კათოლიკობისადმი მნიშვნელოვან ინტერესსა და მისწრაფებას თავადური პარტიკულარიზმის წარმომადგენლებიც იჩენდნენ და ამჟღავნებდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ იმ იდეოლოგიაში, რომელსაც კათოლიკე პატრები საქართველოში ქადაგებდნენ, მათ თავიანთი პოლიტიკის სასარგებლო მოტივები დაინახეს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და იმერეთის სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების ძლიერმა და დაუძინებელმა მტრებმა, როსტომ რაჭის ერისთავმა და მისმა ძმამ ბესარიონმა, რომლებმაც, როგორც გადმოგვცემენ, წერა-კითხვაც კი არ იცოდნენ რიგიანად, სათნოებისა და საერთო თეოლოგიური პრინციპების გამო შეიყვარეს კათოლიციზმი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი ადგილი კაპუცინის იერონიმე ნორჩელის წერილიდან, ანტონ კათალიკოსის მწვალებლობაში ბრალის დადებასა და ქვეყნიდან გაძევებას რომ შეეხება. ავტორი აღნიშნავს: „რავდენისამე თვის განმავლობაში წმიდა ეკლესიას შეუერთდენ ასზედ მეტი ქართველი, რომელთა შორის სახელდობრ 60 თავადს უჩივლეს განყრილებისათვის, ხოლო სინოდმა მათი გასამართლება ვერ გაბედა შიშის გამო, რათა საერთო აღშფოთება არ მომხდარიყო. უმაღლესო ბატონებო, ეს თავადები დამოუკიდებელი ჰატრონები არიან კაი შოზდილი საბჯატონოებისა: აქათ სხვებჭა უწოდეს პატარა მეფენი“[11]. აი, რა ძალები ამაგრებდნენ და ეხმარებოდნენ კათოლიკობას საქართველოში. თუ საკითხს ამგვარი კუთხით მივუდგებით, ადვილი შესაძლებელია, საქართველოს ქალაქებში გრიგორიანულ და კათოლიკურ სარწმუნოებებს შორის გაჩაღებულ რელიგიურ შუღლს მიღმა, ქართული ბურჟუაზიის (გრიგორიანობა ხომ საქართველოს ვაჭრებისა და, საერთოდ ქალაქური მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი სარწმუნოება იყო) პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლა დავინახოთ ცენტრიდანული ძალებისა და ფეოდალური რეაქციის ახლადგაჩენილი მოკავშირის — კათოლიციზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში უცხოური ბურჟუაზიის მხრიდან საშინაო ბაზარზე მოსალოდნელი კონკურენციის თავიდან აცილების მისწრაფებებიც მოჩანს.

ამ დაპირისპირებაში ქვეყნის ძირითადი (მართლმადიდებლური) მოსახლეობა ერთგვარ ინდიფერენტულობას იჩენდა. სამეფო ხელისუფლების პოზიცია კი გაორებული იყო. რამდენადაც კათოლიკური მისიები საქართველოსათვის ევროპასთან კავშირის ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო, ხოლო ამ კავშირს ქვეყნის გამგებლები თავიანთ პოლიტიკაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ, ხელისუფლება ერთგვარ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას იჩენდა მათდამი, მაგრამ

---

11 მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ., 1902, გვ. 372 (ხაზი ჩვენია — შ. ს.).

რამდენადაც ქვეყნის გაერთიანების პოლიტიკა ბურჟუაზიასთან მჭიდრო კავშირს მოითხოვდა, ამდენად ქალაქური მოსახლეობის ზედაფენების ბრძოლას მისიონერთა წინააღმდეგ იგი ხელს არ უშლიდა, ხშირად ეხმარებოდა, აქეზებდა კიდეც.

ამ დამოკიდებულებაში ანგარიშგასაწევია რუსეთთან ურთიერთობის ხასიათიც. ვინაიდან რუსული მართლმადიდებლობა კათოლიციზმის მტერი იყო, საქართველოში ამ რელიგიის შეწყნარება რუსეთის იმპერიას შეიძლებოდა მის საწინააღმდეგო ზომად ჩაეთვალა. რუსეთთან დამოკიდებულების მდგომარეობა ამა თუ იმ ეტაპზე საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლების კათოლიკობისადმი დამოკიდებულებასაც ვანსაზღვრავდა.

ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ კათოლიკური ეკლესია ის ძალა არ იყო, რომელზე დაყრდნობითაც ქვეყნის „აღდგომისა“ და „გამოხსნის“ საქმე შეიძლება გადაწყვეტილიყო.

ასეთი იყო საგარეო ძალთა განლაგება საქართველოს ირგვლივ, როცა ჩრდილოეთიდან ევროპული ცივილიზაციისა და მართლმადიდებლური ქრისტიანობის დროშით ამიერკავკასიაზე პრეტენზიას აცხადებდა ახალგაზრდა რუსეთის იმპერია.

ის, რომ რუსეთი მართლმადიდებლური ქრისტიანობის ქვეყანა იყო, მეტიც, რომ იგი თავს ამ რელიგიის მსოფლიო ბურჯად თვლიდა, ქართველებისათვის მასთან კავშირს განსაკუთრებით სასურველსა და საიმედოს ხდიდა. ფეოდალიზმის ეპოქაში რელიგიური ფაქტორის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია. უდავოდ სწორი არიან ის მეცნიერები, რომლებიც რელიგიას ფეოდალური ერის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ნიშნად მიიჩნევენ. განსახილველ ხანაში რიგითი ქართველისათვის რელიგიურ ერთობას გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სისხლით ნათესაობას. ამის შესაბამისად, ქრისტიანი ქართველისათვის მისი გამაჰმადიანებული თანამოძმე მტერი, ხოლო ქრისტიანი უცხოტომელი ძმა და მეგობარი იყო.

მართალია, ეკონომიკური კავშირურთიერთობები, საერთო ქართულ ეროვნულ ბაზარში ჩართვა, მასში აქტიური მონაწილეობა და ბევრი სხვა ფაქტორი თანდათანობით ქართველთა სისხლით ნათესაობისა და ერთიანობის გრძნობას აღვივებდა, მაგრამ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობდა და მუსლიმანი ქართველების პროგრესულ ზედაფენაშიც კი რამდენადმე მნიშვნელოვანი ფორმა მხოლოდ XIX საუკუნეში ძიიღო.

ამრიგად, რელიგიური ერთობა რუსეთისადმი ქართველთა მიდრეკილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივი იყო.

რუსეთი მისაღები და ახლობელი იყო ეკონომიკური წყობის, სოციალური ურთიერთობის, მიწათმფლობელობის ფორმების თვალსაზრისითაც. საქართველოს ვაჭართა კლასი რუსეთში ხელსაყრელ პარტნიორს, ადგილობრივი ნაწარმის გასაღების ბაზარს, ევროპული პროდუქციის მომგებიანად შესყიდვის რეგიონს ხედავდა. იმ დიდი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ძვრების შედეგად, რასაც XVII—XVIII საუკუნეებში რუსეთში ჰქონდა ადგილი, საქართველოსათვის რუსეთი თვითონ იყო ევროპა, ე. ი. ქვეყანა, რომელიც ევროპული ყაიდის პროდუქციას ევროპული (კაპიტალისტური) წესით აწარმოებდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობაში. მთელი XVIII საუკუნის მანძილზე საქართველოში რუსეთიდან შემოზიდული საქონელი ადგილობრივ ბაზარზე მეთოდურად ავიწროებდა ირანულ და თურქულ პროდუქციას. ასევე მნიშვნელოვნად იზრდებოდა რუსეთის ბაზარზე ქართული ნაწარმის გატანაც. ქართველი ვაჭრები რუსეთში კლასობრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას ხედავდნენ. თავიანთ კლასობრივ ბრძოლაში ისინი იმგვარ პირობებს ითხოვდნენ, როგორც რუს ვაჭრებს ჰქონდათ სამობლოო[13].

მშრომელი მოსახლეობა ფეოდალური და ეროვნული უღლის შემსუბუქების იმედით უყურებდა ერთმორწმუნე რუსეთს. განსაკუთრებით დიდი იყო ლეკთა თარეშების აღკვეთისა და ტყვეებით ვაჭრობის მოსპობის იმედები. საქართველოს უშუალოდ დამეზობლებული ხალხებიდან მხოლოდ რუსები ებრძოდნენ ქრისტიანი ტყვეებით ვაჭრობას და რუსეთის ხელისუფალთა მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად არაერთი დაკარგული ქართველი დაუბრუნდა სამშობლოს. დავით გურამიშვილის ტრაგიკული ისტორიაც ხომ ამის მაგალითია.

მთავარი ის იყო, რომ რუსეთი მთელი თავისი ეროვნული ინტერესებით შავი და კასპიის ზღვების აუზში პოზიციების განმტკიცებისაკენ ისწრაფოდა, ამიტომ, სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული საქართველოთი, რადგან საქართველო ამოდენა რეგიონში ერთადერთ ქრისტიანულ ქვეყნად რჩებოდა, რომელსაც სახელმწიფოებრიობა შენარჩუნებული ჰქონდა და, შესაბამისად, პოლიტიკურ დასაყრდენად გამოდგებოდა. საქართველოს რუსეთისათვის სტრატეგიული პლაც-

---

13 ვ. სამსონაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 121—122.

დარმის ფუნქცია უნდა შეესრულებინა წინა აზიაში პოლიტიკურ-ეკონომიკური გაბატონების დასახული ამოცანის განხორციელების პროცესში. სხვა რეალური მოკავშირე, რეალური დასაყრდენი მას ამ რეგიონში არ გააჩნდა. მართალია, სომხური ეკლესია და სომეხი ხალხი რუსეთში განმათავისუფლებელ ძალას ხედავდნენ და დახმარებისათვის მისკენ ხელს იშვერდნენ, მაგრამ თავისთავად სომხეთი პოლიტიკურ (სახელმწიფოებრივ) ერთეულს არ წარმოადგენდა და მისი საკითხი მხოლოდ საქართველოსთან ერთად შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო. საქართველო რუსეთს დიპლომატიური თვალსაზრისითაც იზიდავდა, რადგან შავი და კასპიის ზღვისპირეთში თავისი სამფლობელოების გაფართოების მისწრაფებას ევროპის საზოგადოებრივი აზრის წინაშე იგი ქრისტიანობის გამოხსნის ლოზუნგით ამართლებდა. სამომავლოდ რუსეთს კავკასია და, განსაკუთრებით, საქართველო ეკონომიკური თვალსაზრისითაც აინტერესებდა; ჩრდილოეთის ქვეყანა მოკლებული იყო თბილი ქვეყნების ნედლეულს და მისი შემოზიდვა ძვირი უჯდებოდა. საქართველოში ამ მხრივ საიმედო პერსპექტივები მოჩანდა.

რუსეთი ძლიერი სახელმწიფო იყო. პეტრე I-ის დიდი გარდაქმნელი ღონისძიებების შედეგად იგი ევროპაში, და ამდენად მსოფლიოში, შეტად მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. თუკი შესაფერისი ვითარება შეიქმნებოდა, მას ადვილად შეეძლო გამკლავებოდა თურქეთსაც და ირანსაც.

რუსეთი საქართველოში მფარველი მოკავშირის უფლებებით მოდიოდა და ამიტომ მას ერჩია საქმე ძლიერ და ერთიან მოკავშირესთან ჰქონოდა.

რუსეთი საქართველოში თავისი საკუთარი, ეროვნული ინტერესების კარნახით მოდიოდა. საქმე ის არის, რომ იმჯერად რუსეთის ეროვნული ინტერესები, მისი მიზნები ამიერკავკასიასა და საქართველოში, ქართული პროგრესული ძალების ინტერესებსა და მისწრაფებებს ძირითადად ემთხვეოდა.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, სხვადასხვა კუთხესა და მხარეს შორის ეკონომიკური კავშირის გავრცელება-განმტკიცება და ამის საფუძველზე ერთიანი ქართული, ეროვნული ბაზრის ფორმირების პროცესის მიმდინარეობა, დამპყრობთა წინააღმდეგ ერთიანი ქართული ფრონტის შექმნის აუცილებლობა გადაუდებლად მოითხოვდა გათიშულობის მოსპობას, ფეოდალური დაქუცმაცებულობის აღკვეთას, ქვეყნის გაერთიანებას. დიდ დამპყრობლებთან დაპირისპირებული პატარა ქვეყნის ეკონომიკური და ფიზიკური პოტენციალი ერთ-

დროულად ყველა აღნიშნული ამოცანის (ფეოდალური პარტიკულარიზმის აღკვეთა, ქვეყნის გაერთიანება-განთავისუფლება, მეზობელ მთიელ ფეოდალთა გამანადგურებელი შემოსევების ალაგმვა) გადაწყვეტის საშუალებას არ იძლეოდა. საჭირო იყო გარეშე ძალის გამონახვა. ამგვარ ძალად, რომელსაც შეეძლო დახმარება გაეწია და თვითონაც ამით დაინტერესებული იქნებოდა, მხოლოდ რუსეთი ჩანდა.

ამიტომ ბრძნული, პოლიტიკურად სწორი და ისტორიულად გამართლებული იყო ქართველი პროგრესისტების გადაწყვეტილება, რომლებმაც ჯერ კიდევ XV საუკუნიდან კურსი ერთმორწმუნე რუსეთზე აიღეს. ეს კურსი, ეს მიმართულება. სამი საუკუნის განმავლობაში ღრმავდებოდა, მუშავდებოდა და იხვეწებოდა. ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობის მანძილზე ქვეყნის ყველა პროგრესული ძალა ამ მიმართულების მომხრე და მოსურნე იყო, რადგან „ქართველებს რუსეთის მფარველობა აუცილებელ პირობად მიაჩნდათ ქართულ სამეფო-სამთავროების პოლიტიკური გაერთიანებისათვის (მათ კარგად ესმოდათ, რომ საქართველოს გაერთიანების შეურიგებელი მოწინააღმდეგენი იყვნენ როგორც ოსმალეთი, ისე ერანი")[14].

ორი ქვეყნის ურთიერთდაახლოების მისწრაფებამ საბოლოოდ მათ შორის 1783 წლის მფარველობითი ხელშეკრულების გაფორმება განაპირობა.

---

14 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1971, გვ. 169.

2. ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი პროგრამა და საგარეო-პოლიტიკური კურსი

ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოს დაწყებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა XVIII საუკუნის დამდეგისათვის ირანი დაშლამდე მიიყვანა.

დიდი სახელმწიფოს მზის ჩასვენების დასაწყისი მაშინვე იგრძნეს როგორც მის შემადგენლობასა თუ ქვეშევრდომობაში მყოფმა ხალხებმა. ისე მეზობელმა სახელმწიფოებმა და ყველამ ერთად მისდამი ტრადიციული თუ ახალი პრეტენზიები წამოაყენა.

ირანის საკითხში კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა ერთმანეთს ორი ძველი მეტოქის — რუსეთისა და ოსმალეთის ინტერესები. აღმავლობის გზაზე მდგარი რუსეთი, რომელიც პეტრე I-ის დიდი საშინაო გარდაქმნებისა და საგარეო გამარჯვებების შედეგად ევროპაში ანგარიშგასაწევ ძალად ქცეულიყო, ირანის საქმეებში ჩარევას თავისი პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა.

- ევროპის ძლიერი კაპიტალისტური ქვეყნების მხარდაჭერით, ამ მაჰმადიანურ ქვეყანაზე პრეტენზიას თურქეთიც აცხადებდა და მის ხარჯზე გაძლიერების იმედს ინარჩუნებდა.

- ორივე მოწინააღმდეგე თვით ირანშივე ეძებდა დასაყრდენს. რაკი აქ შინაამლილობა რელიგიური ნიშნით მიმდინარეობდა, თურქეთისათვის დასაყრდენი ქვეყნის სუნიტური მოსახლეობა იყო. რუსეთისათვის, ბუნებრივია, ძირითადი დასაყრდენი ირანის ქვეშევრდომობაში მყოფი ქრისტიანი ხალხები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც ეროვნულთან ერთად კიდევ უფრო მწვავედ რელიგიურ ჩაგვრას განიცდიდნენ. ამ თვალსაზრისით რუსეთის დიპლომატიამ ორიენტაცია ვახტანგ VI-ზე აიღო და არც შემცდარა.

XVIII საუკუნის ათიანი წლების ბოლოს პეტრე I-ლი კასპიისპირეთის დაკავებისათვის ენერგიულად ემზადებოდა და ცხოველ ურთიერთობას ამყარებდა ქართლის მეფესთან, რომელმაც მისი გეგმების განხორციელებაში არაჩვეულებრივი მზადყოფნა, გულმოდგინეობა გამოიჩინა და პეტრეს მიერ ჩაფიქრებულ ლაშქრობაში აქტიურ მონაწილეობაზე დათანხმდა.

1722 წლის 2 ივლისს ვახტანგს აცნობეს, რომ სულ მალე რუსები კასპიისპირეთში მოქმედებას შეუდგებოდნენ. ერთი თვის შემდეგ პეტრემ თავისი ლაშქრობა დაიწყო. იმავე წლის 22 აგვისტოს კი ქართველთა ლაშქარი განჯისკენ გაემართა, სადაც მას სომხური რაზმებიც შეუერთდა.

ქართლის მეფე დიდხანს ელოდა შირვანში რუსეთის ჯარის შემოსვლას, რათა მას შეთანხმებისამებრ, დარუბანდსა და ბაქოს შორის შეერთებოდა, მაგრამ უშედეგოდ. პეტრე I-მა დარუბანდამდე მოაღწია, ტერიტორიები დაიკავა, მაგრამ გართულებული მდგომარეობის გამო იძულებული გახდა ასტრახანს დაბრუნებულიყო და ლაშქრობის გაგრძელება მომავალი წლისათვის გადაედო. ლაშქრობა ვერც შემდეგ წელს განახლდა. ქართველებს ანგარიში არ გაუმართლდათ. მათ ამ ლაშქრობით ვერავითარი სარგებელი ვერ ნახეს. პირიქით, ვახტანგმა გადადგმული ნაბიჯით ირანის შაჰიც განარისხა და თურქეთის სულთანიც, საბოლოოდ ტახტი დაჰკარგა და იძულებული გახდა მთელი ოჯახითა და დიდი ამალით რუსეთს წასულიყო, იმ იმედით, რომ რუსთა ჯარის დახმარებით დაბრუნდებოდა, ტახტს დაიბრუნებდა და დასახულ გეგმებს განახორციელებდა. მაგრამ აღსრულება არც ამ იმედებს ეწერა. ქართველთა პოლიტიკამ მარცხი განიცადა. ეს მარცხი მით უფრო მტკივნეული და დასანანი იყო, რომ იგი გაუთვალისწინებელი არ ყოფილა.

რუსეთის ორიენტაციის საკითხი ქართველ პოლიტიკოსთა წრეებში წლების განმავლობაში მუშავდებოდა და იგი აზრთა მწვავე ჰიდილითა და შეჯახებებით მიმდინარეობდა. პეტრე I-ის წამოწყებასთან დაკავშირების საკითხი მოწინააღმდეგე ბანაკის წევრებს სახიფათო და სარისკო საქმედ მიაჩნდათ. დ. გურამიშვილის გადმოცემით, მათი არგუმენტაცია სრულიად ლოგიკურია:

> „მათ უთხრეს, თუ უჭკუო ვართ, ნახაეთ ბოლოს გამოჩნდების;
> არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის, თუ ეგ საქმე მალ მოხდების.
> მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ ყველა ჩვენზე წამოდგების
> ვინემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდების“.

როცა რუსული ორიენტაციის პრინციპულ უარყოფაზე ვერ დაითანხმეს, ოპოზიციონერებს უცდიათ მეფისთვის ლაშქრობაში ფარულად, მცირე რაზმით, მონაწილეობა ჩაეგონებიათ, მაგრამ ამაოდ. ვახტანგმა კატეგორიული პოზიცია დაიკავა:

„ბევრნი ბევრს რასმე იტყოდნენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?
მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა რასაც ინებდა!
შემოიყარა ლაშქარი თვალს ვერვინ გადაწვდინებდა
წავიდა განჯის მიდამოს სისხლის ღვართ მოადინებდა“

წერს დ. გურამიშვილი და სიმპათიებს ვერ მალავს ოპოზიციური ბანაკის არგუმენტაციების მიმართ, რომელსაც როგორც ჩანს, ვახტანგის ვაჟი ბაქარ ბატონიშვილიც უჭერდა მხარს. ერთი სიტყვით, ქართლის მეფე და მისი თანამოაზრენი, პეტრე I-ის წამოწყებაში მონაწილეობაზე რომ თანხმდებოდნენ, გარკვეულ რისკზე მიდიოდნენ; მათ გათვალისწინებული ჰქონდათ ის საფრთხე, რომელიც ამ წამოწყების მარცხის შემთხვევაში ქვეყანას ემუქრებოდა. როგორც ითქვა, რუსეთის ორიენტაციის საკითხი ქართლის სამეფო კარზე ნაუცბათევად მიღებული გადაწყვეტილება არ ყოფილა. იგი წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. მის დამუშავებას ხელმძღვანელობდა ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი პიროვნება ვახტანგ VI. მასში აქტიურად მონაწილეობდა ისეთი ბრწყინვალე გონებისა და უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მოღვაწე, როგორიც სულხან-საბა ორბელიანი იყო; მას ემხრობოდა ქვეყნის საზოგადოების ყველაზე პროგრესული ნაწილი. მაშასადამე, რაკი ამგვარი სარისკო ნაბიჯი მაინც გადაიდგა, ჩანს, იგი დიდი ეროვნული საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და შინა პოლიტიკური თუ საგარეო სიტუაციით გამართლებული.

თანამედროვენი ვახტანგის გადაწყვეტილებას, რელიგიური მოსაზრებით, ქრისტიანობის დაცვის ინტერესებით ხსნიდნენ. ისტორიკოს სეხნია ჩხეიძის აღნიშვნით, პეტრე დიდის წინადადება ერთობლივი მოქმედების შესახებ „იამა მეფეს სიხარულითა დიდითა, ვითარცა ქრისტეს მოყვარი იყო, ქრისტიანი ხელმწიფე იპყრობდა ქვეყანასა“. ვახუშტის რწმუნებით, ვახტანგმა „განუტევნა ყოველნი და აღირჩია რუსთ მეფე, რამეთუ ჰგონებდა განთავისუფლებასა ეკლესიათასა და ძალსა ქრისტიანობისასა“, იმავე აზრს ატარებდა დ. გურამიშვილიც: „ქრისტიანის ხელმწიფისა ხელდებულნი შევიქმნებით“. ცხადია, ეს საკითხის ერთგვარად პროპაგანდისტული ახსნაა, რადგან, მიუხედავად ქრისტიანობისადმი მისი ერთგულებისა, ირანში ყოფნისას მაჰმადიანობა რომ აღიარა, ვახტანგ VI-მ თვალნათლივ დაამტკიცა, რომ ძირითადი მნიშვნელობა მისთვის არა რელიგიურ, არამედ პოლიტიკურ ამოცანებს ჰქონდა. ამდენად, ბუნებრივია, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ქართლის მეფის გადაწყვეტილება ახსნილია სურვილით, რომ „რუსეთის

დახმარებით გაეთავისუფლებინა საქართველო ირანის ბატონობისაგან და დაებრუნებინა თურქეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს მიწები"[1], მაგრამ, როგორც ჩანს, ვახტანგის გეგმები მარტო ამით არ ამოიწურებოდა.

არსებულ მასალებზე დაკვირვებამ და მათმა გულდასმითმა ანალიზმა განსახილველი ხანის ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკის სხვაგვარად შეფასებისა და დაზუსტების შესაძლებლობა შექმნა.

ძირჩნეულია, რომ ვახტანგსა და პეტრე დიდს შორის ოფიციალური ხელშეკრულება არ გაფორმებულა და მათი ურთიერთპასუხისმგებლობა მხოლოდ სიტყვიერ შეთანხმებაზე იყო დამყარებული. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ამგვარი ოფიციალური დოკუმენტი მიკვლეული არ არის. ასეა თუ ისე, რუსეთი აღნიშნულ წამოწყებაში ქართლის სამეფოს მონაწილეობის სანაცვლოდ გარკვეულ მნიშვნელოვან ვალდებულებას კისრულობდა. ეს აზრი აშკარად ჩანს იმ წერილებიდან, რომლებიც ვახტანგს რუსეთში მიუწერია პეტრეს ლაშქრობის ჩაშლის შემდგომ პერიოდში: „ჩვენ ამის მოსვლამდინ ჯარი შევყარეთ და განჯას მოვედით, და ამის მომლოდინენი ვიყავით, რომე სადაც ხელმწიფის ბრძანება მოსულ იყო. იქი ვხლებოდით: ამაში. ეს ივანე ანდრიაშვილი მოიწია და რომელიც დავედრებული ამბავი მოგვიტანა ის მოვისმინეთ, იმაზედ გამოვბრუნდით, თუმცა, ამ საქმით, ყეენიც დაგვემდურა, კახი ბატონიც აგვეშალა და ხონთქარიც წყინობს და იმუქრების, მაგრამ, ჩვენ ჩვენი თავი მაგათს ერთგულებასა და სამსახურზე დაგვიძს, რაც უნდა გარდაგვხვდეს წამებად შეგვირაცხია, ოღონდ ესიქნას, რომელიც იმედი და წყალობა უბძანებიათ. ვიაჯებით, მაგათს მაღალს ხელმწიფობასა, რომე რაც იმედი გვაქვან აღგვისრულონ და შეწუხებული არ დაგვაგდონ"...[2] იგივე აზრია გატარებული სხვა წერილშიც.

თუკი რუსეთი კასპიისპირეთს დაიკავებდა, ეს ბუნებრივად საქართველოს ირანის ბატონობისაგან განთავისუფლებას ნიშნავდა. მაგრამ ირანის ქვეშევრდომობიდან გამოსვლა იმ დროს შექმნილ ვითარებაში სერიოზულ პრობლემას არ წარმოადგენდა. სწორი არიან ის ავტორები, რომლებიც ითვალისწინებენ რა ქართული ლაშქრის რეპუტაციას ირანის სახელმწიფოში და როლს, რომელსაც იგი ირანში შექმ-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 415.

[2] М. Броссе. Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими Государями, с 1739 г. по 1770 г., СПб, 1861, с. 141 (ხაზი ჩვენია—მ. ს.).

ნილი არეულობის პირობებში ასრულებდა, საკითხს აყენებენ იმის შესახებ, თუ რატომ არ შეეცადა ვახტანგი გარეშე ძალის დამოუკიდებლად დაეხსნა თავი ირანელთა ბატონობისაგან. უფრო მეტიც, ზოგიერთი იმდროინდელი უცხოელი ავტორი ვახტანგ VI-ს იმასაც საყვედურობს, 1722 წელს აჯანყებულთა წინააღმდეგ დახმარების თხოვნაზე მას შაჰისათვის უარი რომ არ ეთქვა (რასაც ადგილი ჰქონდა), ირანსაც გადაარჩენდა და მეფობასაც შეინარჩუნებდაო. მართლაც შაჰის თხოვნაზე ამ უარით ვახტანგმა, იურიდიულადაც კი, თავი ირანის ბატონობისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა.

მაშ რა „იმედსა" და „წყალობაზე" მიუთითებს ქართლის მეფე, რომლის აღსრულებასაც ასე დაბეჯითებით მოაგონებს რუსეთის კარს? ამის შესახებ შეიძლება წარმოდგენა ზოგიერთი არაპირდაპირი მონაცემის საშუალებით შეგვექმნას.

რუს-ქართველთა ერთობლივი ლაშქრობა ჩაიშალა, მაგრამ პეტრემ კასპიისპირეთში მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაკავება მოახერხა. შექმნილ ვითარებაში იგი დაინტერესებული იყო შეენარჩუნებინა მონაპოვარი და ამ რეგიონზე მისი უფლებები ოფიციალურად დაეკანონებინა, ამისთვის რუსეთის ხელმწიფე ვახტანგს თხოვდა შუამავლობა ეკისრა შაჰის კართან შემდეგი პირობით: რუსეთი დაეხმარება შაჰს აჯანყების ჩაქრობასა და ტახტზე განმტკიცებაში, სამაგიეროდ მან უნდა სცნოს პეტრეს დაპყრობები და რუსეთს კასპიის ზღვის სანაპირო პროვინციები დაუთმოს; ხოლო იმისათვის, რათა ქართლის მეფე ამგვარი მისიის წარმატებაზე წააქეზონ, მას არწმუნებენ, რომ გარიგება ირანსა და რუსეთს შორის მისთვისაც დიდად ხელსაყრელი იქნება, „... თუ ამ საქმეს მოაგვარებს, აქედან ისიც უდიდეს სარგებლობას ნახავს, რადგან განთავისუფლდება ურჯულოთა უღლისაგან, იქნება ხელმწიფის (პეტრე I-ის — მ. ს.) წყალობაში და მთელი იქაური ქრისტიანების გამგებლობა მიეცემა"[3].

ტერმინში „იქაური ქრისტიანები" მთელი საქართველო და ნაწილობრივ სომხეთიც რომ იგულისხმება, ეს სადავო არ არის, უეჭველია ისიც, რომ რუსეთი ცდილობს დიპლომატიური გზით მიაღწიოს იმას, რაც მან სამხედრო ოპერაციებით ვერ მოახერხა, ხოლო ქართლის მეფეს კი, დიპლომატიური მისიის წარმატების შემთხვევაში, მშვიდო-

---

3 М. Броссе. Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, с 1739 г. по 1770 г. СПб., 1861, с. 179—180.

ბიანი გზით თავაზობენ იმ სარგებელს, რომელსაც იგი პეტრეს კასპიისპირეთის ლაშქრობაში მონაწილეობით გეგმავდა. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, პეტრე I-ის და ვახტანგ VI-ის შეთანხმება თავიდანვე გულისხმობდა, რომ ქართველები დაეხმარებოდნენ რუსეთის ლაშქარს კასპიისპირეთის ხელში ჩაგდებაში, რაც ამ რეგიონში რუსეთის პოზიციის დამკვიდრების საფუძველი იქნებოდა. ამის შემდეგ კი რუსეთს საშუალება მიეცემოდა, თურქეთთან დაპირისპირებით, მთელი საქართველო ვახტანგ VI-ის პოლიტიკურ მფლობელობაში მოექცია, ე. ი. მთელი საქართველო გაეერთიანებინა.

ეს აზრი აშკარად ჩანს პასუხში, რომელიც პეტრეს სიკვდილის შემდეგ ეკატერინე I-მა ვახტანგ VI-ეს მისწერა ამ უკანასკნელის მიერ წაყენებულ იმ პრეტენზიაზე, რომ რუსეთმა არ შეასრულა შეთანხმება და საბოლოოდ ვახტანგს ტახტი დააკარგვინა. პასუხში იმპერატრიცა წარუმატებლობას მთლიანად ვახტანგს აბრალებს, რაც ცხადია, მართალი არ არის, მაგრამ ჩვენთვის ახლა ეს არაა საინტერესო, არამედ ის, რომ პეტრეს კასპიისპირეთის ლაშქრობის მიზნები ახსნილია სურვილით, როგორც ქართლის მეფეს სწერდნენ: „დაეხსნა ქრისტიანები მაჰმადიანთა მოძალებისაგან, გაენთავისუფლებინეთ თქვენც მაჰმადიანთა უღლისაგან და გაქცევდათ რა დამოუკიდებელ ქრისტიან ხელმწიფედ გაეფართოვებინა თქვენი ძალაუფლება“[4]. როგორც ვხედავთ, აქაც ვახტანგი ნაგულისხმევია მთელი ქრისტიანების ხელმწიფედ. ტერმინი „ხელმწიფე“ აქ შემთხვევით არ არის ნახმარი. ვახტანგი რუსეთის თვალში ხელმწიფე არ იყო, იგი ხელმწიფედ უნდა გამხდარიყო მას შემდეგ, რაც მთელ აქაურ ქრისტიანებს გააერთიანებდა და თავის მფლობელობაში მოაქცევდა. ეს აზრი უფრო ნათლადაა გამოხატული რუსეთის მინისტრების პასუხში ვახტანგის პრეტენზიაზე მის ტიტულატურაში „პრინცის“ მაგივრად „ცარის“ შეტანის თაობაზე. „განსვენებულმა იმპერატორმა სპარსეთის ლაშქრობა მხოლოდ იმისთვის მოაწყო, რათა ქრისტიანებისათვის ურჯულოთა უღელი მოეშორებინა და იგი — პრინცი, მისი სამფლობელოების გავრცელების შედეგად კვლავ მეფედ ექცია“[5]. მაშასადამე, ვახტანგი „პრინცად“ იწოდება იმიტომ, რომ იგი ამიერკავკასიის საქრისტიანოს მხრ-

---

[4] П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, часть первая, СПб, 1869, с. 31—32 (ხაზი ჩვენია—მ. ს.).

[5] М. Броссе. Переписка на иностранных языках Грузинских царей с российскими государями, с 1739 г. по 1770 г., СПб, 1861, с. 194.

ლოდ ერთი ნაწილის (ქართლის) მფლობელია, ხოლო როცა იგი მთელი საქართველოს მფლობელი იქნება, მეფედ იქცევა, და მიიღებს იმ ტიტულს, რომელსაც მისი წინაპრები, გაერთიანებული საქართველოს მეფეები, ატარებდნენ.

ვფიქრობთ, გასაგები და გამართლებულია ის გაბედული ნაბიჯი, რომელსაც ქართლის მეფე და მისი მომხრეები, რუსეთთან ურთიერთობაში დგამდნენ. გამართლებულია იმდენად, რამდენადაც იგი დიდ ეროვნულ საქმეს, ქვეყნის გაერთიანების მიზანს ისახავდა, რაც შექმნილ ვითარებაში, ქართველობის გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო.

აღვნიშნეთ, რომ საქართველოს დაშლის დღიდანვე ცოცხლობდა ქვეყნის ერთიანობის იდეა. XVII საუკუნეში საქართველოში მომხდარმა ამბებმა — ზეადამიანურმა ბრძოლამ დამპყრობთა წინააღმდეგ და იმ დიდმა ტრაგედიებმა, რაც ამის შედეგად ქვეყანაში დატრიალდა — ქართველთა ერთიანობის იდეა კიდევ უფრო გააღრმავა და დღის წესრიგში დააყენა. XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე ამ იდეის მედროშედ გამოჩენილი პოლიტიკოსი და მხედართმთავარი ქართლის მეფე გიორგი XI მოსჩანს. თავისი მოღვაწეობით იგი ქვეყნის გაერთიანებას უყრიდა საფუძველს; ყოველ შემთხვევაში, დამოკიდებულება დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებისადმი, კახეთის შემოერთების ცდა და სხვა ღონისძიებები ამგვარი დასკვნის საშუალებას იძლევა.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ამ დიდი ეროვნული მოძრაობის მედროშედ გიორგი XI-ის კარზე გაზრდილი, შემდეგ კი მისი თანამოაზრე და თანამებრძოლი, ვახტანგ VI გამოდის.

ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში რთული პოლიტიკური ვითარება სუფევდა: დაცემის გზაზე მდგარი ირანის კარი, რომლის გავლენაშიც აღმოსავლეთ საქართველო რჩებოდა, ქართველ ხელისუფალთადმი კიდევ უფრო მეტ უნდობლობას იჩენდა. გარდა იმისა, რომ ქართლისა და კახეთის ტახტზე ასვლის უფლება მხოლოდ გამაჰმადიანებულ პრეტენდენტს ჰქონდა, იმისათვის, რათა ანტიირანული მოძრაობის შესაძლებლობა მინიმუმამდე შეემცირებინათ, დამპყრობები თავისებურ ხერხს მიმართავდნენ: ქართლის ან კახეთის ტახტზე ოფიციალურად დამტკიცებულ პირს შაჰის ადმინისტრაციაში მაღალ თანამდებობას აძლევდნენ; ამ მოტივით, ერთგვარი გამოსაცდელი ვადით, რომელიც ხშირად ზოგიერთი მათგანის ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში გრძელდებოდა, ირანში ტოვებდნენ, ქვეყნის მართვას კი მის

მოადგილეს (ჯანიშინს) ავალებდნენ. ლეგიტიმიზმის პრინციპებისა და ბაგრატიონთა გვარის ტრადიციულად ერთგულ ქართველებზე ზემოქმედებისათვის ამგვარი ხერხი ეფექტიანი იყო, რადგან თუ კი ჯანიშინი (შაჰის მოადგილე) განდგომას მოინდომებდა, იგი ავტომატურად უპირისპირდებოდა არა მარტო ირანის ქარს, არამედ იქ მყოფ ქართლის (ან კახეთის) ტახტის კანონიერ მფლობელსაც.

ამ წესით ირანში მყოფი გიორგი XI-ის ჯანიშინად ჯერ მისი ძმა ლევანი დაინიშნა, ხოლო მას შემდეგ, რაც შაჰმა ლევანიც ირანში გაიწვია, მისი ძმისშვილი — ვახტანგ ლევანის ძე.

მის წინამორბედთაგან განსხვავებით, რომლებიც საქართველოს გაერთიანების საქმეს ამზადებდნენ, როგორც ჩანს, ვახტანგი ამ საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტას გეგმავდა.

ქვეყნის გაერთიანების საქმეში ყველაზე რთული და მძიმე უბანი დასავლეთ საქართველო იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს რეგიონი პოლიტიკურად სხვა (ოსმალეთის) გავლენის სფეროს ეკუთვნოდა; მეორე ის, რომ მთელ რეგიონში ერთი სამეფო იყო, რომელიც ყველაზე მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაშიც კი მთელ დასავლეთ საქართველოს ხელისუფლების პრეტენზიას არ თმობდა. ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს პროგრესულ პოლიტიკურ მოღვაწეთა მეცადინეობა იმერეთის ტახტზე სასურველი კანდიდატის გაყვანისა და ამ რეგიონზე ქართლის მფლობელთა გავლენის თანდათანობითი გაძლიერებისკენ იყო მიმართული.

ქართლში ვახტანგის გაჯანიშინება (1703 წ.) თურქეთში დიდ საშინაო არეულობას დაემთხვა. ამან კი იმერეთსა და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოზე ქართლის მეფის გავლენის გაძლიერების შესაძლებლობა შექმნა. ბრწყინვალე წარმატებებმა, რომლებიც მას თითქმის ყველა სარბიელზე ჰქონდა, ქართლის ჯანიშინის ავტორიტეტი მთელს საქართველოში განუზომლად აამაღლა. იგი მთელი საქართველოს აღიარებული ლიდერი გახდა. ვახუშტის თქმით, „მას მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდნენ კახნი“.

ვახტანგის მოღვაწეობის ე. წ. ჯანიშინობის პერიოდი საქართველოს გაერთიანების იდეოლოგიური შემზადების ხანა იყო. ეს პერიოდი, ქართლის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური გაძლიერების ღონისძიებებთან ერთად, დიდი მეცნიერულ-კულტურული მუშაობითა და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მიღწევებით აღინიშნა. ეს მიღწევები მთელ საქართველოს სწვდებოდა. ვახტანგის მიერ შედგენილი კანონთა კრებული „მთელს ფეოდალურ საქართველოში მოქმედ სამართ-

ლის წიგნად იქცა". ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ისტორიის დამუშავებას. ქართლის მეფის მიერ შედგენილი სწავლულ კაცთა კომისია, რომელსაც ამ საქმის შესრულება დაევალა, ამუშავებდა არა უპირატესად ქართლის, არამედ მთელი საქართველოს ისტორიას. ვახტანგ VI-ის პირადი ხელმძღვანელობით შესრულებული ეს შრომა „როგორც გამოყენებული მასალის სიუხვით, ისე ამ მასალის დალაგებითა და მისი იდეური გამართულობით... საუკეთესო აკმაყოფილებდა ქართული ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილის მოთხოვნილებას და ქართველი ხალხის განმტკიცებას დამოუკიდებლობა-თავისუფლებისათვის ბრძოლაში ძლიერად ხელს უწყობდა" (ნ. ბერძენიშვილი). აქეთკენ იყო მიმართული ღონისძიებები განათლების მოწესრიგების, ქართული სალიტერატურო ენის დახვეწისა და, განსაკუთრებით, წიგნის ბეჭდვის გავრცელების საქმეში. წიგნების გავრცელება ქვეყნის სხვადასხვა კუთხის შემჭიდროების, მათი ურთიერთდაახლოების, ენის სიწმინდის შენარჩუნებისა და, რაც მთავარია, ქრისტიანული რელიგიის განმტკიცების საუკეთესო საშუალება იყო, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ვახტანგმა და მისმა მომხრეებმა იცოდნენ, რომ ქვეყნის გაერთიანების იდეოლოგიური საფუძველი ქრისტიანული რელიგია უნდა ყოფილიყო. ამ პრობლემის დღის წესრიგში დაყენებას ხელს უწყობდა ის ვითარება, რომელიც მოცემულ პერიოდში იქმნებოდა, ერთი მხრივ, ირანსა და თურქეთში, მეორე მხრივ, კახეთსა და იმერეთის სამეფოებში.

მაგრამ 1711 წელს ვახტანგი ქართლის ტახტზე ოფიციალურად დასამტკიცებლად ირანში გაიწვიეს, რის გამოც მის მიერ ასე ბრწყინვალედ დაწყებული საქმიანობა შეფერხდა. როგორც ჩანს, ქართლის მეფის ტიტულის ოფიციალურად მიღებისათვის ირანში გამოძახებას ქართლის ჯანიშინი რამდენადმე მოუმზადებელი შეხვდა. მართალია, ამგვარი რამ მისთვის, არსებული წესის გამო, მოულოდნელი არ იყო, მაგრამ იმის გათვალისწინება, რომ სულ რამდენიმე წლის განმავლობაში ირანის სამსახურში მყოფი ქართლის მეფე გიორგი XI-ც დაიღუპებოდა, მისი ძე, ტახტის მემკვიდრე, ბაგრატიც, გიორგის ძმა, ვახტანგის მამა, ლევანიც, ლევანის უფროსი ვაჟი, ქართლის ტახტზე დამტკიცებული ქაიხოსროც და მემკვიდრეობის რიგი ვახტანგს მოუწევდა, შეუძლებელი იყო.

როგორც ითქვა, შაჰის კარი ქართლის ტახტის მიღების პრეტენდენტს აუცილებელ პირობად მაჰმადიანობის მიღებას სთხოვდა. ვახტანგმა ამ პირობის შესრულებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

არავითარწა ჴემოქმედებამ არ გაჭრა. ვახტანგს ტახტის დაკარგვისა და ირანში სამუდამოდ ტყვედ დარჩენის საშიშროება დაემუქრა. ის კი კვლავ შეუპოვრად იდგა თავის პრინციპზე. ერთი შეხედვით, ეს თითქოს გაუგებარი და გაუმართლებელი საქციელი იყო ასეთი ჭკვიანი პოლიტიკოსისათვის.

მიუხედავად თანამედროვეთა რწმუნებისა, ვახტანგი ძნელია წარმოვიდგინოთ ისეთ ორთოდოქს ქრისტიანად, რომლისთვისაც რჯულის ფორმალური გამოცვლა გადაუტანელი ტრაგედია იქნებოდა. იგი ამგვარი ფინალისათვის არ შეიძლება მორალურად შემზადებული არ ყოფილიყო, რადგან, როგორც ითქვა, ტახტის მიღების წესი ამას ითვალისწინებდა და მისი ოჯახის ვერც ერთმა წევრმა ამგვარი განსაცდელი თავიდან ვერ აიცილა (ბიძებმა, ბიძაშვილმა, მამამ, ძმებმა, შვილმა). ბოლოს ხომ მანაც აღიარა მაჰმადის რჯული და, მართალია, ჩქარა უარყო, მაგრამ ამითაც ქვეყანა არ დაქცეულა. ამდენად უფრო სწორი იქნებოდა ქართლის მეფობის კანდიდატის ასეთი „სიჯიუტე“ პოლიტიკური მოსაზრებებით აგვეხსნა. უნდა ვიფიქროთ, ვახტანგის მიზანი მხოლოდ ქართლის ტახტზე დამკვიდრება რომ ყოფილიყო, იგი ერთი წუთითაც არ შეიკავებდა თავს ამ ფორმალური პროცედურისაგან, მაგრამ როგორც ჩანს, უკვე მაშინ, მას სხვა, უფრო დიდი გეგმები ჰქონდა.

საუკუნოვანი გათიშულობისა და ფეოდალური დაჩიხულობის პირობებში ქართველთა სისხლით ნათესაობისა და თვით ენობრივი ერთიანობის ეროვნული თვითშეგნება ძლივს ბოგინობდა და იგი საზოგადოების რჩეულ (პროგრესულ) ნაწილსღა შერჩენოდა. ქრისტიანობა იყო ერთადერთი ძალა, რომელიც ქართველობას აკავშირებდა. ქრისტიანობის დაკარგვა ქართველობის დაკარგვას ნიშნავდა, გამაჰმადიანება კი — გალეკებას, გათათრებას, გაყიზილბაშებას. ქვეყნის გაერთიანება მხოლოდ ქრისტიანობის იდეოლოგიური დროშით შეიძლება მომხდარიყო. ამ დიდ საქმეში საგარეო ძალის გამოყენების პერსპექტივაც მხოლოდ ქრისტიანობას უკავშირდებოდა. ამიტომ აქცევდნენ ვახტანგი და, საერთოდ, პროგრესული ძალები ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისა და მოწესრიგების საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას. აქეთკენ იყო მიმართული კახტანგისა და მის თანამზრახველთა მეცადინეობა და ღონისძიებანი, რომელთა რიგში ვახტანგის ძმის — დომენტის კათალიკოსად გაყვანა მნიშვნელოვან წარმატებად მოჩანს. უნდა ვიფიქროთ, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოღვაწის, ვახტანგის აღმზრდელის, მისი სულიერი მეგობრისა და პოლიტიკური თანამებრძოლის, ქვეყნის გაერთიანების საქმის ერთ-ერთი მთა-

ვარი ხელმძღვანელის, სულხან-საბა ორბელიანის ბერად აღკვეცაც სასულიერო წრეებში ვახტანგის პროგრამის გატარების ინტერესებით იყო განპირობებული.

გამაჰმადიანებული მეფე იმ დიდი ეროვნული საქმის მეთაურად, რომელიც ქრისტიანობის დროშით უნდა განხორციელებულიყო, ვერ გამოდგებოდა. ამდენად, ვახტანგის ბრძოლას ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის არა რელიგიური, არამედ პრინციპული პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა.

მაგრამ არც ირანის კარი აპირებდა დათმობას. ვახტანგი ტყვედ იყო, საქართველოში კი მისი დაწყებული დიდი საქმე იშლებოდა. ასეთ ვითარებაში პროგრესულმა ძალებმა ევროპაში ელჩობის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღეს.

სავარაუდოა, რომ ქვეყნის განთავისუფლებისა და გაერთიანების საქმეში გარეშე ძალის გამოყენების საკითხს ქართველი პატრიოტები ადრევე გეგმავდნენ და ამუშავებდნენ. ორი შესაძლო ვარიანტიდან — რუსეთი და ევროპა. — პირველი ჯერჯერობით სათანადოდ მომაგრებული არ იყო. და მისი დახმარება მხოლოდ მორალური მხარდაჭერით შეიძლებოდა შემოფარგლულიყო. ამდენად, ევროპისადმი ორიენტაციის საკითხი, ჩანს უფრო პერსპექტიულად იყო აღიარებული და ამით უნდა აიხსნას ქართველ მოწინავე პოლიტიკოსთა დამოკიდებულება კათოლიკური ეკლესიისადმი. ეტყობა ვახტანგმა ელჩობის გამგზავრებამდე გაცილებით ადრე დაამყარა კავშირი ევროპის მონარქებთან; ასევე ადრე დაგეგმილი ჩანს ევროპაში ელჩობის გაგზავნაც, მაგრამ ეს რთული და ძნელი საქმე სათანადო მომზადებასა და შესაფერისი საერთაშორისო ამინდის დადგომას ელოდა. შექმნილმა გამოუვალმა მდგომარეობამ ამ ელჩობის მოწყობა დააჩქარა და ამდენად მისი წარმატების შანსები შეამცირა.

ირანში ჩასვლიდან 3 თვის შემდეგ ვახტანგმა სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც თან ახლდა, ქართლში გამოისტუმრა ევროპაში გასამგზავრებლად, ხოლო უკვე 1714 წ. იანვარში საბა მარსელში ჩავიდა.

ისტორიოგრაფიაში სულხანის ელჩობა ირანისა და თურქეთისაგან ქვეყნის გამოხსნის გზების ძიებისა და გაჭირვებაში ჩავარდნილი ვახტანგის განთავისუფლების აუცილებლობითაა გაგებული. ამგვარი ახსნა ზოგადია და არაზუსტი. როგორც ითქვა, ელჩობის დაჩქარება ვახტანგისათვის დახმარების აუცილებლობამ განაპირობა, მაგრამ მისი ტყვეობიდან დახსნა გამაჰმადიანებასთან იყო დაკავშირებული. მაშასადამე, საკითხი ეხება ვახტანგისათვის ქრისტიანობის შენარჩუნებას.

სულხან-საბა ორბელიანის პიროვნება, მისი წონა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი გავლენა მეფის ოჯახზე და თვით ვახტანგ VI-ზე, რომელსაც იგი ბიძად ერგებოდა და მისი აღმზრდელი იყო, დახასიათებას არ საჭიროებს. იგი ქართველებში „ერის მამად“ იყო მიჩნეული და როგორც ჩანს, ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი მედროშე და ორგანიზატორი იყო. უნდა ვიფიქროთ, ამ მიმართულებით იგი მნიშვნელოვან მოსამზადებელ მუშაობას ატარებდა დასავლეთ საქართველოს პროგრესულ წრეებშიც, სადაც მისი პირადი მეგობარი და მოსალოდნელია თანამოაზრე ამ დიდ ეროვნულ საქმეში გრიგოლ კათალიკოსი მოღვაწეობდა. სავარაუდოა, რომ დასახული გეგმის განხორციელებისათვის საბა სამცხე-ჯავახეთშიაც ამზადებდა ნიადაგს, სადაც იგი დიდი გავლენით სარგებლობდა (ჯაყელთა ძლიერი ოჯახის ნათესავი იყო). ამ გავლენას, უნდა ვიფიქროთ, კიდევ უფრო აძლიერებდა მისი სიახლოვე კათოლიკურ ეკლესიასთან, რომელიც ამ ძველისძველ. ქართულ რეგიონში განსაკუთრებით ფეხმოკიდებული იყო. დაბოლოს, როგორც აღინიშნა, მისი ბერად შედგომის ფაქტიც რელიგიურ წრეებში ქვეყნის გაერთიანების იდეის გავრცელებისა და გაფართოების ინტერესებითაც უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

ვახტანგს მორალური უფლება არ ჰქონდა, ასეთი დიდი პიროვნება, რომელიც იმ დროს უკვე მოხუცი იყო, თავისი პირადი ინტერესებისათვის, თუნდაც მხოლოდ ქრისტიანობის შენარჩუნების ინტერესებისათვის ასეთ შორეულ, რთულ და საჰიფათო მოგზაურობაში გაეგზავნა. მოხუცი საბას მხრიდან ეს თავგანწირვას უდრიდა და, მართლაც, როგორც ცნობილია, ამ მგზავრობაში მას არაერთი მძიმე განსაცდელის გადატანა მოუხდა, რომლის დროსაც მისი სიცოცხლეც კი ბეწვზე ეკიდა. ამგვარი თავგანწირვა მხოლოდ დიდი ეროვნული საქმის ინტერესებით შეიძლება ყოფილიყო გამართლებული.

ელჩობა საიდუმლო ხასიათს ატარებდა. როგორც ჩანს, თვით მეფის ოჯახის წევრებმაც კი არ იცოდნენ მისი ამოცანები. იგი თითქოს მხოლოდ სულხანის პირადი ინიციატივით ეწყობოდა, მისი ნამდვილი მიზნები კი საგულდაგულოდ იყო შენიღბული. ამ მხრივ საყურადღებოა სიტყვები, რომელიც საბას კონსტანტინოპოლში საფრანგეთის მინისტრისათვის უთქვამს, „ჩემი ყოფნა აქ გრძლად არ ვარგა მისთვის, რომ ვინ იცის თუ ჩემი რამ ითქვა, და საჭაროდ გამოვიდა მრავალი საქმე წახდება“. ამის მიუხედავად, თვით ელჩობის მასალების გაცნობა, მის მიზნებს სრულიად აშკარად მიანიშნებს.

სულხან-საბამ ლუი XIV-ეს ვახტანგის ტყვეობიდან დასახსნელად ფულადი დახმარება თხოვა, რომლითაც თითქოს მას სპარსეთის კარის გავლენიანი პირები უნდა მოექრთამა და ვახტანგი გაენთავისუფლებინა, ხოლო პროპაგანდა ფიდესადმი მიწერილ წერილში იგი ითხოვს რომ პაპმა იშუამდგომლოს ლუი XIV-თან „რომ ჩუენს ქუეყანას მართალი სარწმუნოება გამრავლდეს: — იმისი უკეთესი ღონე ეს არის, რომ ფრანციის დიდი მეფე ჩუენის მეფის მოხმარებას ეცადოს“[6].

უნდა ვიფიქროთ, ყველაფერი ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა და ელჩობის ძირითადი მიზნის კონსპირაციისათვის არის წინ წამოწეული. ნამდვილი მიზნები კი იმ დაპირებებიდან მჟღავნდება, რომელსაც სულხანი საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებს გაწეული დახმარების სანაცვლოდ აძლევს: ესაა, მთელი საქართველოსა და მეზობელი პროვინციების კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევა და შავი ზღვიდან სპარსეთამდე საქართველოზე გავლით საფრანგეთისათვის სავაჭრო გზის გახსნა. საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში ვახტანგი ვალდებულებას იღებდა, რომ „უზრუნველყოფს დაიცვას საფრთხისაგან საქონელი, რომელსაც ფრანგები ჩამოიტანენ საფრანგეთიდან და რომელსაც ისინი გაატარებენ საქართველოზე სპარსეთში წასაღებად და ან პირიქით, რომელსაც ისინი ჩამოიტანენ სპარსეთიდან საქართველოში“[7] და სხვ.

მაგრამ ამ პირობების შესრულება ვახტანგს არ შეეძლო, თუ იგი სამშობლოში მხოლოდ ქართლის მეფის უფლებებით დაბრუნდებოდა. ეს კარგად ესმოდათ როგორც ელჩობის წევრებს, ისე რომისა და საფრანგეთის რელიგიურ და პოლიტიკურ წრეებს. ამ ვალდებულებათა შესრულება შეეძლო ეკისრა ერთიანი საქართველოს მმართველს (ხელმწიფეს), რომლის სამეფოს შემადგენლობაშიც თავმოყრილი იქნებოდა ის პროვინციები და ხალხები, რომელთა გაკათოლიკებასაც იგი ასე საზეიმოდ ჰპირდებოდა და მისი სამეფოს ტერიტორიაში მოექცეოდა მთელი გზა შავი ზღვიდან სპარსეთამდე, რომლის უსაფრთხოებაც მას უნდა დაჰკისრებოდა.

საქართველოს გაერთიანება ვახტანგ VI-ის მეთაურობით ის საფუძველი უნდა ყოფილიყო, რომელზედაც შეიძლებოდა დამყარებულიყო სულხან-საბა ორბელიანის ელჩობის მთელი შინაარსი. ცხადია,

---

6 მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობის ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 315.

7 ი. ტაბაღუა. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, თბ., 1972, გვ. 212.

უს მოტივი ორივე მხარის მიერ საგანგებოდ შენიღბული იყო, რადგან მისი ადრეულად გამჟღავნება საქმის წარუმატებლობას ნიშნავდა.

საქართველოს გაერთიანების საკითხი რელიეფურად მოჩანს იმ მემორანდუმში, რომელიც სულხან-საბას მონაწილეობით ლუი XIV-სადმი წარსადგენად შეადგინეს. მაგალითად, აყენებენ რა საკითხს იმის შესახებ, რომ თურქეთი და სპარსეთი ხელს შეუშლიან საქართველოს გავლით საფრანგეთის ვაჭრობის გავრცელების დასახულ პროგრამას, ავტორები იქვე აღნიშნავენ, რომ საქართველოს ამ ქვეყნებზე დამოკიდებულება ნომინალურია და მისგან განთავისუფლება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ქვეტექსტით, უნდა ვიფიქროთ, გულისხმობენ, რომ ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში თუ საქართველო გაერთიანდება, რადგან მაგალითად მოყვანილია ვახტანგ VI-ის პაპა ვახტანგ V, რომელმაც ამ მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია „სხვის დაუხმარებლად, მხოლოდ თავის ძალებით და შვილის — არჩილის საშუალებით გახდა ბატონ-პატრონი თავისი სამფლობელოების მოსაზღვრე სამი პროვინციისა“ და სხვ. აქედან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა, რომელსაც ავტორები არ ამბობენ, მაგრამ აშკარად გულისხმობენ: ვახტანგ VI-ეს, თუკი მას სათანადო დახმარება ექნება, გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლია ქვეყნის გაერთიანებისა და დამპყრობთაგან მისი გამოხსნის თვალსაზრისით. თავისთავად, როცა ვახტანგთან დაკავშირებით ქვეყნის თურქთა ბატონობისაგან გამოხსნაზეა საუბარი, იქ ყოველთვის, გარკვეული აზრით, საქართველოს მის მფლობელობაში გაერთიანება ივარაუდება, რადგან, როგორც ცნობილია, ვახტანგს, როგორც ქართლის მეფეს, თურქეთთან გამოსახსნელად იმ დროს არავითარი საქმე არ ჰქონდა.

ცხადია, პროექტის ავტორები ითვალისწინებენ იმას, რომ საფრანგეთის მეფე საქართველოს საკითხით (ვაჭრობის გატარების თვალსაზრისით) რომ დააინტერესონ, საჭიროა იგი მის პოტენციურ სიძლიერეში დაარწმუნონ. თუკი ქვეყანა იმდენად სუსტია, რომ მისი დაცვა საფრანგეთს გამუდმებით კისერზე დააწვება, მასთან ურთიერთობასა და შემოთავაზებულ პროექტებს აზრი ეკარგება. ამიტომ ავტორები შეფარვით ატარებენ აზრს იმის შესახებ, რომ საქართველოს სჭირდება მხოლოდ ერთდროული (და არა პერმანენტული) დახმარება, რათა იგი გაერთიანდეს და განთავისუფლდეს, შემდეგ კი მას საკმარისი ძალა ექნება, რათა მისი გეოგრაფიული მდებარეობის პირობებში გაძლიერდეს და თავი დაიცვას დამპყრობთა მოსალოდნელი მოძალებისაგან. ეს აზრი ხსენებულ მემორანდუმში შემდეგნაირადაა

ჩამოყალიბებული: „რომ მას (ვახტანგს) შეეძლოს ერთხელ დაიბრუნოს ის პროვინციები, რომლებიც მის წინაპრებს თურქებმა და სპარსელებმა წაართვეს, მაშინ მისი დაბლობი ქვეყანა კვლავ აღმოჩნდებოდა თითქმის მთლიანად გარშემორტყმული ზღვითა და მთებით; რომ მისთვის ადვილი იქნებოდა მისი დაცვა“[8] და სხვ. ამგვარი მაგალითები არაერთია.

ვფიქრობთ, ნათელია ის პოზიცია, რომლის გატარებასაც სულხან-საბა ლუდოვიკო XIV-ის კარზე ცდილობდა: ქართველები ითხოვენ დახმარებას ფულით, არტილერიით, სამხედრო სპეციალისტებით და დიპლომატიური გზით (თურქეთის ნეიტრალიზაცია). ეს დახმარება ერთდროული ხასიათისა უნდა იყოს და საჭიროა იმისათვის, რათა ვახტანგმა დაიბრუნოს ის პროვინციები, რომლებიც უწინ მის წინაპრებს ეკუთვნოდათ (ე. ი. საქართველო გააერთიანოს); სამაგიეროდ იგი კისრულობს კათოლიკური სარწმუნოება გაავრცელოს მთელ საქართველოში და მისცეს საფრანგეთს საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზა უბაჟოდ და უსაფრთხოების გარანტიით.

აღსანიშნავია, ერთი გარემოება, რომელიც ნიშანდობლივად მოსჩანს; საბუთებში, რომლებიც სულხან-საბას ელჩობასთანაა დაკავშირებული, ვახტანგი ყველგან საქართველოს მეფედაა მოხსენიებული, მაშინ როცა მისმა შემდგენლებმა კარგად იციან, რომ ვახტანგი საქართველოს მხოლოდ ერთი ნაწილის — ქართლის მეფობის პრეტენდენტია.

სულხან-საბას ელჩობამ შედეგი არ გამოიღო. ევროპელთა დაინტერესება საქართველოთი ზედაპირული გამოდგა. გაწეული დახმარების სანაცვლოდ მოსალოდნელი უკუგება მათ საეჭვოდ ეჩვენებოდათ. ის მცირედი წარმატება, რომელიც ამ ელჩობას თითქოს უნდა ჰქონოდა მატერიალური დახმარების მიღების თვალსაზრისით, საბოლოოდ გააქარწყლა ლუი XIV-ის გარდაცვალებამ (1715 წ. 1 სექტემბერს).

ირანში ჯერ კიდევ ტყვეობაში მყოფმა ვახტანგმა, რომელიც ევროპიდან პერიოდულად იღებდა ინფორმაციებს, ჩქარა შეიტყო ამ წამოწყების მარცხი. ამასობაში კი მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა.

რაკი ვახტანგი მაჰმადიანობის მიღებაზე ვერ დაიყოლია, 1714 წელს შაჰ-სულთან-ჰუსეინმა ქართლის ტახტი მის გამაჰმადიანებულ ნახევარძმას იესეს უბოძა (ალი-ყული-ხანს). ვახუშტის ცნობით შაჰმა „... ომართაგან იძულებულმან წარმოავლინა იესე მეფედ ქართლისად

[8] ი. ტაბაღუა, საბუთები საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ნაწ. 1, თბ., 1975. გვ. 221.

ნიჭითა, ვინაიდან აღეთქუა იესეს ყეენისათვის წარვლინებად დედოფალი და ძენი ვახტანგისანი და ხუთასი ქართველნი ცოლშვილით, რათა დაასახლოს ფარაბათს"[9]. ამრიგად, იესე ქართლში უკვე ვახტანგის პირად მტრად და მისი პოლიტიკის სასტიკ მოწინააღმდეგედ ჩავიდა და ამ პოლიტიკის შესაცვლელად ენერგიულ მუშაობას შეუდგა. ჩვენ არ ვიცით, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ეს, მაგრამ ვახტანგი რომ შეშფოთებულია იესეს მოქმედებით, აშკარად ჩანს მისი წერილებიდან სულხან-საბა ორბელიანისადმი[10].

დიდი საქმე იშლებოდა. საჭირო იყო სასწრაფო ღონისძიების მიღება. საჭირო იყო პროგრესის წინააღმდეგ მებრძოლი იესე მეფის ნეიტრალიზება. და მოხდა ფაქტი, რომელიც ისტორიაში სრულიად უპრეცედენტოა: ქართულმა ეკლესიამ, კათალიკოსის მეთაურობით, მეფეს, რომელიც ქრისტიანობისადმი ერთგულებასა და თავდადებას იჩენდა და მოწამებრივ ტყვეობაში იმყოფებოდა, ქრისტიანობის დათმობა და მაჰმადის რჯულის მიღება ურჩია[11]. მან ეს რჩევა უყოყმანოდ მიიღო. ვახტანგისათვის ქართლის ტახტზე დაბრუნება უკვე გადაუდებელი ამოცანა იყო, ვინაიდან წყალში იყრებოდა დიდი ხნის ნაშრომი და ნაოცნებარი. მაგრამ გამაჰმადიანებული მეფე იმ საქმის ხელმძღვანელად ვერ გამოდგებოდა, რომელიც ქრისტიანობის ერთობისა და ერთიანობის იდეოლოგიური დროშით ეწყობოდა. ამდენად, ეს ეპიზოდიც ვახტანგთან შეთანხმებული აქციაა, რათა მეფის გამაჰმადიანება ქრისტიანობის საქმის ერთგულებად გამოჩენილიყო.

ამ ღონისძიებამ თავისი შედეგი გამოიღო. იესეს სასწრაფოდ ჩამოართვეს ქართლის ტახტი და იგი ვახტანგს დაუმტკიცეს, მის მაგივრად კი ქართლის გამგებლობა ერთხანს მის ვაჟს — ბაქარს დაავალეს.

---

9 ქართლის ცხოვრება, ტ. IV (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა) ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 493.

10 მ. თამარაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 317.

11 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 493; გ. პაიჭაძე. ვახტანგ მეექვსე, თბ., 1981, გვ. 32. ვახუშტი ბატონიშვილს ქრონოლოგიურად ეს ეპიზოდი ცოტა ადრე აქვს მოთხრობილი, იესეს ტახტზე ასვლის წინ, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს ფაქტი დაახლოებით 1715 წელს უნდა მომხდარიყო, როცა სულხან-საბას მისიის მარცხი გამოირკვა. ჩვენი ვარაუდი სწორიც რომ არ გამოდგეს, ფაქტი ის არის, რომ ვახტანგმა ეს მომენტი გამოიყენა რათა ქართლის ტახტი დაებრუნებინა ისე, რომ ეს ეკლესიის (ქრისტიანობის) ღალატის ნიშნით კი არა, პირიქით, მისი ერთგულებისა და თავდადების ფორმით მომხდარიყო.

ბაქარმა ენერგიულად დაიწყო ირანიდან მამის ნაკარნახევი პოლიტიკის გატარება. ვახტანგის შერყეული მდგომარეობა თანდათან სწორდებოდა. ამასობაში კი წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ძალა გამოჩნდა რუსეთის ახალგაზრდა და ძლიერი სახელმწიფოს სახით და ამ რეგიონში თავისი შორსგამიზნული პოლიტიკის გატარებას შეუდგა. პეტრე დიდსა და ვახტანგს შორის კონტაქტები დამყარდა, ქვეყნის გაერთიანებისა და განთავისუფლების საქმეს ახალი პერსპექტივა დაესახა.

საჭირო იყო ორიენტაციის სასწრაფოდ შეცვლა და მოქნილი ტაქტიკის გამოყენება. რუსეთი აღმოსავლეთში მართლმადიდებელთა დაცვის ლოზუნგით მოდიოდა. ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა კათოლიკობისადმი სიმპათიები და მათი ევროპული ორიენტაცია ახლა უკვე საზიანო ჩანდა. პეტრე I-სათვის, ცხადია, ცნობილი იყო სულხან-საბას ელჩობის ფაქტი ევროპაში. იმ დროს კი რუსეთში კათოლიკობისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება სუფევდა[12]. ამდენად, სულხან-საბას ელჩობის აფიშირება არც რუსული ორიენტაციისა და არც ირან-თურქეთთან დამოკიდებულების თვალსაზრისით იყო ხელსაყრელი. ამით უნდა აიხსნას კიდევ ერთი „უცნაური" ეპიზოდი განსახილველი ხანის საქართველოს ცხოვრებაში: ყველასათვის პატივსაცემ, ღვაწლმოსილ და ამაგდარ საბას, რომელიც მეფის ოჯახის წევრებმა ევროპაში ცრემლების ფრქვევითა და გულის შეწუხებით გააცილეს, ამდენი წვალების, გაჭირვებისა და ტანჯვის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულს ცივად შეხვდნენ. იგი ერთხანს პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოაშორეს. ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, ახალი პოლიტიკით გამოწვეული დიპლომატიური ნაბიჯი იყო. ვახტანგის პარტიამ ამით მეზობელ ქვეყნებს აჩვენა, რომ სულხან-საბას ყველა მოქმედება ევროპაში მხოლოდ მისი პირადი ინიციატივის შედეგი იყო და ქართლის სამეფოს პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ამ ვარაუდის საფუძვლიანობა იქიდან ჩანს, რომ სამშობლოში ჩამოსულმა ვახტანგმა იგი კვლავ შემოირიგა და ჩვეულ მჩქეფარე სახელმწიფო საქმიანობაში ჩააბა.

1719 წ. ქართლში დაბრუნებულმე ვახტანგმა საჯაროდ უარყო ისლამი და აღიარა ქრისტიანობა[13]. მან მალე განიმტკიცა შერყეული

---

[12] კ. კეკელიძე. ზოგიერთი მომენტი სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიისა (კრებულში „სულხან-საბა ორბელიანი"). თბ., 1959, გვ. 142.

[13] П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, ч. I, СПб. 1869, с. 16; დე პეისონელის შენიშვნით, ვახტანგმა „მოიხადა ყაუხი და უარყო ის

მდგომარეობა: ურჩი თავადები დასაჯა; განმდგარნი შეირიგა; გაორგულებული ყმადნაფიცები კვლავ დაიმორჩილა და ყურადღება მეზობელ ქართულ სამეფოებზე გადაიტანა. იმერეთშიც და კახეთშიც, როგორც ჩანს, ვახტანგის ერთგული, ძლიერი დასები მოქმედებდნენ და 1720—1721 წლებში საქართველოში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ გაერთიანების საქმეს ქვეყნის შიგნით რაიმე არსებითი ხასიათის დაბრკოლება თითქოს არ უნდა შეხვედროდა:

1720 წელს ფეოდალებმა (დადიანმა, რაჭის ერისთავმა, აბაშიძემ) გიორგი იმერეთის მეფე მოკლეს. ამ ფაქტს იმერეთში დიდი გამოხმაურება არ ჰქონია, რადგან გიორგი ქვეშევრდომებში მაინცდამაინც პოპულარული არ ყოფილა. იმერეთი ამ ფეოდალებმა კვლავ სამად გაიყვეს. წყაროებში ვახტანგის დამოკიდებულება ამ აქტისადმი არ ჩანს, მაგრამ დიდი აღშფოთება არც მას გამოუთქვამს. ყოველ შემთხვევაში იმავე წელს მან იმერელი ფეოდალები სალაშქროდ მიიწვია. ისინიც სიამოვნებით დათანხმდნენ (მათ შორის იყო გიორგი მეფის უშუალო მკვლელი სვიმონ აბაშიძე)[14].

მართალია, ახალციხის ფაშას ინიციატივით 1721 წელს იმერეთის ტახტზე გიორგის ვაჟი ალექსანდრე აიყვანეს, რომელიც მანამდე ქართლში ვახტანგის კარზე ცხოვრობდა[15], მაგრამ ალექსანდრე მცირეწლოვანი იყო, ქვეყნის მართვა მას არ შეეძლო და საქმეებს ფაქტობრივად ბეჟან დადიანი განაგებდა, თუმცა ფეოდალთა ერთი ნაწილი მას არ ემორჩილებოდა. ვახტანგის გავლენა იმერეთში კიდევ უფრო გაიზარდა.

არანაკლებ ძლიერი იყო ეს გავლენა კახეთშიც.

ამ ხანებში ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის არსებული ურთიერთობა იმ დასკვნის საფუძველს იძლევა, რომ ვახტანგი კახეთის შემოერთებას პრაქტიკულად ანხორციელებდა.

1715 წელს ირანიდან დაბრუნებულმა დავით ერეკლეს ძემ (იმამყული-ხანმა) კახეთის მმართველობა მიიღო და ქართლის მეფის გამაერთიანებელი პოლიტიკის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას

სარწმუნოება, რომელიც წან პოლიტიკური მოსაზრებით მიიღო და რომელიც ახლა გამოსადეგარი არ იყო მისთვის; იგი ხელახლა მოინათლა" (იხ. ი. ტაბაღუა, დასახ. პუბლიკაცია, გვ. 311).

14 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 880.

15 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 880. სხვა ცნობით იმერეთში ალექსანდრეს გამეფების ინიციატივა ვახტანგს ეკუთვნის (იხ. საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 82.).

შეუდგა. ამგვარ ღონისძიებად გამოიყურებიან მისი დამოყვრება და კეთილი ურთიერთობა იესე მეფესთან, რომელიც ვახტანგის ირანში ტყვეობისას ქართლს „მართავდა“ და მის წამოწყებებს ენერგიულად შლიდა; ლეკთა საკითხის მავნე „გადაწყვეტა“ (თავისი სამეფო რომ გადაერჩინა, იგი ქართლის სოფლებზე თავდასასხმელად მომავალ ლეკოა ურდოებს კახეთზე თავისუფალ გასასვლელსა და გამყოლებსაც კი აძლევდა), ქართლის პოლიტიკოსთა თავდასაცავი ღონისძიებებისათვის ხელის შეშლა და სხვ. ყველაფერი ეს იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ დავით მეფისათვის ვახტანგის განზრახვები საიდუმლოს აღარ შეადგენდა და ძის წინააღმდეგ იბრძოდა.

ორი ქართული პოლიტიკური ერთეულის ურთიერთობის ხასიათის გასარკვევად საინტერესო დაკვირვების საშუალებას იძლევა მათდამი რუსეთის დიპლომატიის განსხვავებული დამოკიდებულებაც.

იმ დროს, როცა პეტრე I კასპიისპირეთში თავის პოლიტიკას აყალიბებდა და ვახტანგთან კონტაქტებს ამყარებდა, მის წინაშე ლოგიკურად კახეთის სამეფოს საკითხიც უნდა დასმულიყო. უფრო გვიან (1722 წ.), როცა კახეთში დავით მეფის გამაჰმადიანებული ვაჟი კონსტანტინე გამეფდა, რუსეთის ხელისუფლება მასთან დაკავშირებას შეეცადა[16]. უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარ ცდას დავით მეფის მიმართაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია. დავით მეფეს, ისევე როგორც მის ვაჟს კონსტანტინეს, არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ ირანის იმდროინდელი მდგომარეობა და წონა არ იძლეოდა იმის იმედს, რომ მასზე დაყრდნობით ისინი კახეთის ტახტზე განმტკიცებას შეძლებდნენ. ამის გამო, მათი ირანისადმი ერთგულება, ისევე როგორც მათი მაჰმადიანობა, მოჩვენებითი იყო. შესაბამისად ახალი ძლიერი ძალის — რუსეთის სახელმწიფოსთან დაკავშირება-დამეგობრება კახელი პოლიტიკოსებისათვის სასურველი და მისაღები უნდა ყოფილიყო. მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, გრძნობდნენ და ხვდებოდნენ, რომ ვახტანგისა და პეტრე I-ის კავშირი კახეთის სამეფოს გაუქმებას და აქ ქართლის ბაგრატიონთა გაბატონებას ითვალისწინებდა, რის გამოც ამ კავშირში მათი ადგილი არ რჩებოდა. გამორიცხული არაა, რომ რუსეთისა და კახეთის სამეფოს დაახლოებას თვით ვახტანგმა შეუშალა ხელი, რადგან ამგვარი ალიანსი მის გეგმას არ ესადაგებოდა.

როგორც ჩანს, კახეთში ვახტანგის გამაერთიანებელი პოლიტიკის მომხრე ძლიერი დასი მოქმედებდა. 1721 წლისათვის მათ ხელსაყრელი

---

16 პ. ბუტკოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

ვითარება შეექმნათ. ამ წელს ქართლ-კახეთის ფორმალურმა „ხელმწიფემ“ ირანის შაჰმა ვახტანგ VI-ს ჰარის დალაშქვრა და ლეკთა საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა უბრძანა (დაღესტნელთა ურდოები ირანის განაპირა პროვინციებზეც აწყობდნენ გამანადგურებელ თავდასხმებს). ეტყობა, პროგრესულმა ძალებმა ამ მომენტის გამოყენება გადაწყვიტეს, რადგან ჰარის წინააღმდეგ ბრძოლა ქართლის ლაშქრის კახეთის ტერიტორიაზე მოქმედებას გულისხმობდა: „მცნობნი წარვიდნენ, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი და ვედრებდნენ ვახტანგ მეფეს, რათა ჰყოს ბრძანებული ყეენისა. მან აღუთქვა და წარმოვიდა სპითა დიდით“ — გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი.

კახეთის მეთაურებმა კი ამ ფაქტში, არცთუ უსაფუძვლოდ, ტახტის დაკარგვის რეალური საფრთხე დაინახეს. ჭემატიანის გადმოცემით: „ეს ეფიქრებინათ. „თუ მეფემ ვახტანგ ჰარი დაიჭირა, ქვეყანასაც ის დაიჭერსო“[17]. ცხადია გაერთიანების მოწინააღმდეგე (რეგრესის) ძალები კონტრზომების მიღებას შეეცდებოდნენ, რაში გამოიხატა, ეს უცნობია. ფაქტი ისაა, რომ მოულოდნელად შაჰმა ქართლის მეფეს ლაშქრობის მოშლა უბრძანა. ვახტანგი ბრძანებას დამორჩილდა.

კახეთის ხელისუფალთა პოზიცია გასაგებია. ისინი შიშით ადევნებდნენ თვალს ქართლის მეფის ძალაუფლების ზრდას და მის მიზნებს კახეთის მიმართ. მაგრამ ვერსაიდან დახმარებას რომ ვერ ნახულობდნენ, ერთხანს ისევ მასთან ურთიერთობის მოგვარებითა და სიამტკბილობით შეეცადნენ თავის გადარჩენას (ნიშანდობლივია დავით მეფის სიტყვები ვახტანგისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში: „...ჩვენი თავი და ჩვენი ქვეყანა ყველა თქვენს ხელში ჩამოვაგდეთ და მოგაბარეთო“[18]). როცა ამ გზით ვერაფერს მიაღწიეს, ისევ საერთო „ხელმწიფეს“, დაჯუსტებულ ირანის კარს მიმართეს, ქართლის მეფის განზრახვის შესაკავებლად.

გასაგებია ირანის კარის პოზიციაც: იგი აშკარად ხედავდა, რომ ვახტანგ VI ქართლის ვალის (ირანის სახელმწიფოებრივ იერარქიაში ქართლის მეფე, ირანის მოხელედ, ქართლის პროვინციის გამგებლად — ვალად ითვლებოდა) უფლებამოსილებას დიდი ხანია გასცდა. იგი მარტო კახეთს კი არა, სხვა მეზობელ პროვინციებსაც თავისად უყუ-

---

17 საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913 წ., გვ. 33.

18 დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე. მასალები XVIII ს. ოციანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკ. 33. თბ., 1960 წ., გვ. 155.

რებდა. მისთვის არც ვახტანგის რუსეთთან ურთიერთობა იქნებოდა უცნობი. შესაბამისად ირანის ხელისუფლები ეცდებოდნენ არ დაეშვათ ქართლის მეფის გაძლიერება, რაც მის დამორჩილებას კიდევ უფრო გაართულებდა.

მაგრამ გასარკვევია თვით ვახტანგის პოზიცია. რატომ შეწყვიტა მან ასე საგულდაგულოდ მომზადებული და მომწიფებული ოპერაცია? ირანის კართან მას იმ ხანებში ისეთი დამოკიდებულება ჰქონდა, რომ მისი ანგარიშის გაწევისათვის ასეთი დიდი საქმე თითქოს არ უნდა მოეშალა. როგორც ირკვევა, შაჰმა ჭარზე ქართლ-კახელთა შეერთებული ლაშქრობა ორჯერ აკრძალა[19]. არის ცნობა, რომ ერთ-ერთი ამგვარი აკრძალვის შემდეგ „ვახტანგმა მოიხმო თავისთან შაჰის დესპანი, ამოიღო ქარქაშიდან... ხმალი და დაიფიცა, რომ ამიერიდან უკვე აღარ იბრძოლებს შაჰის სამსახურად და ირანის დასაცავად"[20]. და მართლაც ამის შემდეგ ვახტანგს ირანის კარის არცერთი ბრძანება აღარ შეუსრულებია. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ფაქტი ლაშქრობის პირველი აკრძალვის შემდეგ მოხდა. რადგან მეორე ლაშქრობის მზადების დროს ვახტანგმა მისი შეწყვეტის ბრძანება რომ მიიღო შაჰისგან, იგი არაფრად ჩააგდო და სამზადისი განაგრძო[21]. მართალია, ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე ვახტანგის მიერ ლეკების საწინააღმდეგო ლაშქრობის მოშლას ირანის კარის სათანადო აკრძალვით ხსნის[22], მაგრამ იგი, გარკვეული მოსაზრებით, თავის ნაშრომში ყველაფერს არ ამხელს. მაგალითად, არაფერს ამბობს იმაზე, რომ იმ ხანებში ვახტანგმა პეტრე I-თან ელჩობა გაგზავნა, რომლის ერთ-ერთი წევრი თვითონ იყო[23]. თუ ეს ცნობა, რომელიც თ. ჟორდანიას ქრონიკებში წყაროს მიუთითებლადაა შესული, ზუსტია, მაშინ სრული უფლება გვაქვს, ქართლის მეფის აღნიშნული წამოწყების შეწყვეტა სწორედ ამ ელჩობას დავუკავშიროთ.

რაკი, როგორც ვფიქრობთ, 1721 წელს ვახტანგ VI კახეთისა და იმერეთის შემოერთებას (არსებითად საქართველოს გაერთიანებას) პრაქტიკულად გეგმავდა, რისთვისაც ქვეყნის შინაპოლიტიკური სიტუაცია ხელსაყრელი ჩანდა, მას ეს გადაწყვეტილება, რუსეთთან — მის

---

19 დ. მგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

20 მ. ხუბუა, ქართულ-ირანული ურთიერთობიდან, ენიმკის მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 255.

21 იქვე.

22 საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 32.

23 თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნი III, თბ., 1967, გვ. 79.

მოკავშირესთან, — უნდა შეეთანხმებინა და მისგან დასტური მიეღო. მაგრამ პეტრე I იმხანად მას ამგვარ დასტურს ვერ მისცემდა. როგორც ითქვა, რუსეთის მიზანი კასპიისპირეთში გაბატონება იყო. იგი ცდილობდა ეს პრობლემა ისე გადაეწყვიტა, რომ თურქეთისათვის საქმეში ჩარევის საბაბი არ მიეცა. ქართულ ლაშქარს მის გეგმებში მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა. გაერთიანებისკენ მიმართული ვახტანგის ღონისძიებები კი ქვეყანაში სამოქალაქო ომის გაჩაღების საშიშროებას ჰქმნიდა. ამის დაშვება არ შეიძლებოდა; ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში პეტრეს ლაშქრობაში ვახტანგის მონაწილეობის საკითხი პრაქტიკულად იხსნებოდა, მეორეც, ეს აქცია თურქეთს ამიერკავკასიის საქმეებში ჩარევის საბაბს მისცემდა; პეტრე I კი მოკავშირეს დახმარებას ვერ აღმოუჩენდა. ყველაფერი ეს რუსეთის ხელისუფალთ კარნახობდა ვახტანგისათვის ამ წამოწყებისგან თავის შეკავება ერჩია და იგი რუსეთის კასპიისპირეთის პროგრამის წარმატებით განხორციელების შემდგომი პერიოდისათვის გადაედო. ვფიქრობთ, ეს უნდა ყოფილიყო ჭარზე ლაშქრობის შეწყვეტის მიზეზი.

კასპიისპირეთში რუსეთ-საქართველოს გაერთიანებული ლაშქრობის ჩაშლამ ქართლის მეფის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაართულა. მან განარისხა ირანი და განსაკუთრებით — თურქეთი. რაც მთავარია ვახტანგს დაუპირისპირდნენ ქართველი მეფე-მთავრები, რადგან როგორც ჩანს, ამასობაში მისი გეგმები საბოლოოდ გამომჟღავნდა. ამ მხრივ საგულისხმოა ასეთი ფაქტი: პეტრე I-თან მოლაპარაკების პერიოდში, სულთანმა ვახტანგს სპარსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყება აცნობა, მასში მონაწილეობა სთხოვა და დახმარების შემთხვევაში მას მთელი საქართველოს მფლობელობაში გადაცემას შეჰპირდა. ძნელი სათქმელია, რამდენად გულწრფელი იყო სულთნის წინადადება. ვახტანგს ამ დროს პეტრე I-თან შეთანხმება ჰქონდა და მისი დარღვევა არ შეეძლო; მით უმეტეს, რომ თურქეთისაგან მიღებული მფლობელობა თურქეთის უზენაესობის აღიარებას ნიშნავდა. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ისაა, რომ სულთანი ვახტანგს ზუსტად იმას სთავაზობდა, რისი სურვილითა და იმედით იგი პეტრე I-ის წამოწყებას უერთდებოდა, რაც იმის ნიშანია, რომ მისი გეგმები და ამოცანები უკვე ცნობილი იყო როგორც თურქეთის კარისათვის, ისე ქართველი მეფე-მთავრებისთვისაც. როგორც ჩანს, ამ გეგმების გამჟღავნებამ ქვეყნის საზოგადოებრივი აზრიც ვახტანგის წინააღმდეგ განაწყო. აქ უჩვეულო და მოულოდნელი არაფერია, რადგან ფეოდალურ საზოგადოებაში ერთიანობა საერთო მტრის წინააღმდეგ ქვეყნის

ცალკეულ, დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულთა ერთობლივი ბრძოლის აზრით ესმოდათ. მთელი ქვეყნის ერთი მმართველის ხელქვეით მოქცევა (ქვეყნის რეალური გაერთიანება) უსამართლო მოქმედებად, ტახტის მიტაცებად, უღირს საქციელად მიაჩნდათ. ამის გამო ისეთმა დიდმა პატრიოტმა და ბრწყინვალე გონების პიროვნებამაც კი, როგორიც დავით გურამიშვილი იყო საღად ვერ შეაფასა ქართლის მეფის დიდი გაშაერთიანებელი პოლიტიკის არსი და ეროვნული მნიშვნელობა. ამით უნდა აიხსნას მისი ნეგატიური დამოკიდებულება ვახტანგის საგარეო პოლიტიკისადმი და ის აშკარა სიმპათიები, რომელთაც იგი ვერ შეალავს კახეთის მეფის კონსტანტინეს მიმართ, როდესაც ვახტანგის წ-ნააღმდეგ მის ბრძოლას აღწერს.

ამასობაში ვითარება კიდევ უფრო გართულდა.

1722 წელს შაჰ-სულთან-ჰუსეინმა, რომელიც ირანის ტახტზე უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, კახეთის გამგებლობა დავით მეფის გამაჰმადიანებულ შვილს — კონსტანტინეს მისცა. მალე ვახტანგზე განაწყენებულმა, ქართლის გამგებლობაც მასვე დაუმტკიცა. კონსტანტინემ თავიდანვე ვახტანგის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა, შემდეგ კი აშკარა ომზე გადავიდა. ეს არ იყო ქვეშეერდომის მიერ ყაენის დავალების შესრულების ფორმალური ცდა. ის თავგამოდება და ენერგია, რომლითაც კონსტანტინე ვახტანგის წინააღმდეგ მოქმედებდა უფრო სამაგიეროს გადახდის, შურისძიების ხასიათს ატარებდა იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც თავის დროზე ქართლის მეფე თავისი დიდი პროგრამის შესაბამისად კახეთის მიმართ გეგმავდა და ანხორციელებდა. ის წარმატებები კი, რომლებიც კონსტანტინემ ამ ბრძოლაში მოიპოვა, მხოლოდ ქართული საზოგადოებრივი აზრის ნეგატიური განწყობილებით შეიძლება აიხსნას.

ერთ-ერთ წერილში ვახტანგი აღნიშნავს, რომ მის წინააღმდეგ, ყაენთან და ხონთქართან ერთად, „ამათონი მეზობლებიც“ იბრძოდნენ, რაშიც უეჭველია მრავალი ქართველი მეფე-მთავარიც იგულისხმება.

ვახტანგის პოზიცია შეირყა.

1723 წლის 4 მაისს ყიზილბაშური გარნიზონის დახმარებით და ქართლელთა ბანაკში ღალატის გამო კონსტანტინემ თბილისი აიღო. ქართლის მეფე გორს გადავიდა; შემდეგ ოჯახი იმერეთში გადაიყვანა, თვითონ კი ცხინვალის გზას დაადგა. დროის მოგების მიზნით ერთხანს კომპრომისს შეეცადა თურქებთან, რომლებიც ამასობაში საქართველოში გაბატონებულიყვნენ. თურქებმა მას ირანისაგან ჩამორთმეული ქართლის ტახტი კვლავ დაუბრუნეს. მაგრამ ვახტანგი გრძნობდა, რომ

მას შემდეგ, რაც ქვეყნის გაერთიანების გეგმა ცნობილი გახდა და ქართული ფეოდალური სამყარო ამის გამო აუმხედრდა, მას მეზობლებთან კონტაქტის დამყარება გაუჭირდებოდა. როგორც ჩანს, ამით იყო განპირობებული ის, რომ ტახტი ბაქარმა დაიკავა, რომელიც, როგორც ცნობილია, მამის რადიკალურ პროგრამას არ იზიარებდა.

ამ ღონისძიებამ საქმეს ვერ უშველა, შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში ბაქარმა ქართლის მეფობა ვერ შეძლო. ჩქარა მან ტახტი მიატოვა და ერთხანს კავკასიის მთებს შეფარებული მეფეყოფილი მამა-შვილი თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლებს ეწეოდა. მაგრამ, რადგან ყველა დასაყრდენი გამოეცალათ და ყოველმხრივ გზა მოეჭრათ, ქვეყანაში მათი დარჩენა შეუძლებელი შეიქმნა. მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ როგორც თურქეთის ხელისუფლების დამქაშები, ისე ირანული ორიენტაციის მომხრეები; როგორც მეზობელი ქართველი მეფე-მთავრები, ისე პარტიკულარიზმის მსურველი დიდებულები.

ასეთ ვითარებაში გაერთიანების მომხრე და დასაყრდენი ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა დასი იზოლირებული აღმოჩნდა, ვახტანგი და მისი ახლობლები კი გარიყული.

გვიან, როცა რუსეთში გადახვეწილი მეფე პოეტურ შემოქმედებაში თავის მოღვაწეობას აფასებდა და აჯამებდა, სინანულით აღნიშნავდა, რომ თანამემამულეებმა მას ვერ გაუგეს, მისი ბრძოლის მნიშვნელობა ვერ შეაფასეს და მის წინააღმდეგ ამხედრდნენ.

„ყმაზე წამიხდა წყალობა ცუდ რაცა სამსახურები,
ამხანაგთზედა სიკეთე, სხვათაგან შესაშურები,
ძმათა და თვისთა მოყვრობა, რა ჩემგან მოსასურები,
განმაძეს ასე უბრალოდ თვალთ ცრემლთა მომაწურები“[24].

ან კიდევ:

„თუცა ვიყავ ამათს რჯულზე მაშ ესენი რას მტერობდენ?
თუ ქრისტესთვის თავი დავსდევ, მაშ ისინი რას მაქრობდენ?
უცხო არის ჩემი საქმე საარაკო თუ ფიქრობდენ.
მილთონთა ვსჩან მეფედ მათად, თვის ტომსა სწადს რომ მაქრობდენ“[25].

ვახტანგი დიდხანს იკავებდა თავს ქვეყნის დატოვებისაგან. როგორც ეტყობა, კიდევ ჰქონდა იმედი, რომ რუსეთის დახმარებით მდგო-

---

[24] ვახტანგ VI. ლექსები და პოემები, თბ., 1947, გვ. 19.
[25] იქვე, გვ. 21—22.

მარეობას გამოასწორებდა, მაგრამ ჩქარა მას უკანასკნელი იმედიც გადაეწურა.

საიმპერატორო კარი კასპიისპირეთში მიღწეული წარმატებების შენარჩუნებაზე ზრუნავდა და შექმნილ ვითარებაში ახალ წარმატებებზე ფიქრი მას არ შეეძლო. იმჯერად მას თურქეთთან ომის არც ძალა ჰქონდა და არც სურვილი. ამიტომ პეტრე დიდი თურქეთთან მორიგეობის პოზიციას ადგა და კასპიისპირეთში მის მიერ დაკავებული პროვინციების სანაცვლოდ პორტას მთელ ამიერკავკასიაზე ბატონობა დაუთმო, რაც 1724 წლის 12 ივნისს კონსტანტინოპოლის ზავით გაფორმდა[26].

იმავე წლის ივლისში ვახტანგ VI-მ, უჩვეულოდ დიდი ამალით (1200 კაცზე მეტი) საქართველოს ფარგლები დატოვა და რაჭის გზით რუსეთში გადავიდა, რათა იქ ქართული კულტურისა და რუსეთის დიპლომატიის სამსახურში დაელია ნატანჯი სული და პოლოს ასტრახანის ჭაობიან მიწაში მოესვენებინა საქართველოს თავისუფლება-ერთობისათვის ბრძოლაში დაღლილი სხეული. მას, როგორც ჩანს, სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ ასვენებდა თავისი დიდი პოლიტიკის მარცხისა და უპატრონოდ მიტოვებული სამშობლოს დარდი:

„დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი ტომნი, მონაძები,
დაეკარგულთარ უცხოს თემსა, ვარ არვისგან მონაძები.
ვინ დამბადე, შემიწყალე ყველასაგან მონაძები!
შემომძარცვე, რაც მაცვია, ჰირი, ცმუნვა საძაძები"[27].

როგორც ითქვა, რუსეთში გამგზავრებული ქართლის მეფეყოფილის ამალა უჩვეულოდ მრავალრიცხოვანი იყო. მასში შედიოდნენ ქვეყნის მოწინავე, განათლებული, ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლები. თანამედროვენი (ქართველებიც, რუსებიც, უცხოელებიც), სხვა დიდებულ ადამიანურ თვისებებთან ერთად, ვახტანგის გამორჩეულ სიამაყესაც ალნიშნავენ. ბუნებრივია, ამალის რიცხვმრავლობას მეფეყოფილის სიამაყე არ განსაზღვრავდა. ტახტდაკარგული და კავკასიის მთებში გახიზნულ ვახტანგ VI-ს არც მორალური და არც ფაქტობრივი უფლება არ ჰქონდა ვინმესთვის რუსეთში ხლება დაევალებინა ან დაეძალებინა; მაგრამ მას არც იმისი უფლება ჰქონდა, თანამებრძოლებისა და ქვეშევრდომებისათვის მასთან ერთად წასვლა დაეშალა.

---

[26] О. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966, с. 112.

[27] ვახტანგ VI. ლექსები და პოემები, გვ. 10.

აქ ალბათ გამართლებული იქნება ერთი ადრინდელი ფაქტის მოგონება: 1714 წელია, ვახტანგი ირანშია და მაჰმადიანობის მიღებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს; ქართლის ტახტი თავისუფალია, შაჰი ვახტანგის დიდ ავტორიტეტს ანგარიშს უწევს, კვლავ მის დაყოლიებას ცდილობს და ტახტზე სხვა პრეტენდენტის აყვანაზე თავს იკავებს. მაგრამ დიდებულთა შემოტევის გამო იგი იძულებულია მეფობა ვახტანგის გამაჰმადიანებულ ნახევარძმას იესეს მისცეს. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ეპიზოდს შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: „... არამედ ომართაგან (დიდებულთაგან — მ. ს.) იძულებულმან წარმოავლინა იესე მეფედ ქართლისად ნიჭითა, ვინაიდან აღეთქუა იესეს ყეენისათვის წარვლინებად დედოფალი და ძენი ვახტანგისანი და ხუთასი ქართველნი ცოლშვილით, რათა დაასახლოს ფარაბათს". ვინ არის ეს 500 ქართველი, რომლის ვახტანგის ოჯახის წევრებთან ერთად ირანში გადმოსახლების პერსპექტივას ასე დაუინტერესებია შაჰის კარი? ეჭვი არ არის, ეს ვახტანგის უახლოეს თანამებრძოლთა ის გვარდიაა, რომელიც ქვეყნის განთავისუფლებისა და გაერთიანების საქმეს განსაკუთრებული თავდადებითა და ენერგიულად ემსახურებოდა, ამიტომ იყვნენ ისინი ასე საშიში ამ პოლიტიკის მტრებისათვის, როცა ამ ბრძოლის ლიდერზე ზემოქმედება იყო საჭირო და როცა ქვეყნის ძირითადი ძალები ამ პოლიტიკის პერსპექტიულ მომხრეებად რჩებოდნენ, ამიტომ იყო მტრისათვის მათი ნეიტრალიზება ასე საშური.

ახლა (1724 წ.), როცა ვითარება შეიცვალა, როცა გარედან დახმარების მიღების იმედი გადაიწურა და ქვეყნის საგარეო მტრები მის წინააღმდეგ დაირაზმნენ; როცა ვახტანგის გეგმა ჩაიშალა, მისმა პოლიტიკამ მარცხი განიცადა და მტრული ძალები გამარჯვებას ზეიმობდნენ; როცა ქვეყნის შინაურმა ძალებმა ვერ გაიგეს და ვერ მიიღეს პროგრესისათვის მებრძოლთა ნაადრევად გამყღავნებული პროგრამა, ვახტანგის უახლოეს თანამებრძოლებს სამშობლოში აღარ დაედგომებოდათ: მათ აქ უეჭველი რეპრესიები ელოდათ. ისინი ქართლის მეფესთან ერთად თავდადებულად იზიარებდნენ დიდი ეროვნული საქმის განხორციელებისათვის ბრძოლის ჭირ-ვარამს; ისინი იძულებულნი იყვნენ მათი აღიარებული ბელადის საბოლოო ბედიც გაეზიარებინათ და მასთან ერთად დაეტოვებინათ სამშობლო. როგორც ჩანს, სხვაგვარად მათი გადარჩენა შეუძლებელი იყო. საქართველოში დარჩენა მათ განადგურებას ნიშნავდა.

მაშასადამე, ვახტანგის ამალის წევრთა ძირითადი ნაწილი ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლთა ბირთვისაგან შედგებოდა და მათი

რუსეთში გადასახლება მათივე სურვილითა და დასტურით მოხდა. ამ დასკვნას ის ფაქტიც აძლიერებს, რომ ამ ამალაში საქართველოს თითქმ-ს ყველა კუთხის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული.

რუსეთს გამგზავრებული ქართველი პოლიტიკოსები იმედოვნებდნენ, რომ ძლიერი მოკავშირე მათ ღვთის ანაბარად არ დატოვებდა, რომ კონსტანტინოპოლის ხელშეკრულება მხოლოდ დროის მოგებისა და ხელსაყრელი პოლიტიკური ამინდის დადგომის მოლოდინში გადადგმული ნაბიჯი იყო; რომ რუსეთის ჯართან ერთად ისინი მალე დაბრუნდებოდნენ სამშობლოში და დასახულ პროგრამას განახორციელებდნენ. მაგრამ მათ ახალი იმედგაცრუება ელოდათ.

ასტრახანიდან პეტერბურგს მიმავალმა ემიგრანტებმა ცარიცინთან შეიტყვეს, რომ მათი მთავარი მოკავშირე და იმედი — პეტრე დიდი გარდაცვლილიყო (1725 წ.). მის უნიათო შთამომაცვლებს კი დიდი მეფის წამოწყებების გაგრძელებისა და დასრულების თავი არ ჰქონდათ. ამდენად, ისინი ვახტანგ VI-ეს რეალურ დახმარებას ვეღარ აღმოუჩენდნენ. მათ მხოლოდ ის მოახერხეს, რომ 7 წლის შემდეგ (1732 წ.) სპარსეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში საგანგებო მუხლი შეიტანეს: „Понеже обще верный ея императорского величества и шахова величества, царь Вахтанг Грузинский лишен своего владения, то когда Грузия будет по прежнему в Персии, в протекции шаха, обещает шах ему... определить владение и правление в Грузии по прежнему обыкновению“[28].

იმ დროს, როცა ეს ხელშეკრულება ფორმდებოდა, საქართველო, ისევე როგორც მთელი ამიერკავკასია, თუმცა ჯერ კიდევ თურქეთის ხელში იყო, მაგრამ ირანი ძალას იკრებდა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში სარდალ თამაზ-ყული-ხანის (შემდეგში ნადირ-შაჰი) მეცადინეობით მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა. ჩქარა მან მართლაც დაიბრუნა ამიერკავკასიაში ტრადიციული გავლენა და ბატონობა, მაგრამ ვერც ვახტანგი და ვერც მისი შთამომავლები აღნიშნული მუხლის ცხოვრებაში გატარებას ვერ ეღირსნენ. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ხელშეკრულების ამ არსებითად ფორმალურმა მუხლმა მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შემდგომი პერიოდის საქართველოს საგარეო პოლიტიკის განვითარებაში.

ქვეყნის გაერთიანებისაკენ მიმართული ქართველ პატრიოტთა დიდი წამოწყება დამარცხდა. იგი ჩაშალა შექმნილმა არახელსაყრელ-

---

28 ბ. ბუტკოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

მა შიდაპოლიტიკურმა და, განსაკუთრებით, საგარეო ვითარებამ. მაგრამ საქართველოს გაერთიანების დიდი იდეა არ მოსპობილა. იგი ბუდამ ღვიოდა ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა გულებში და მან მალე ახალი ძალით იჩინა თავი ჯერ ვახტანგ VI-ის ქალიშვილისა და სიძის (თამარ დედოფალი და თეიმურაზ II), შემდეგ კი მისი სახელოვანი შვილიშვილის ერეკლე II-ის პოლიტიკაში.

8. ქართლისა და კახეთის შეერთება

1723 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოშიც ოსმალთა ბატონობა დამყარდა. ახალი დამპყრობელი ახალი ენერგიით შეუდგა ქვეყნის ძარცვა-აოხრებას. ოსმალებმა საგანგებო გადასახადები დააწესეს: „აღწერეს ქართლი სრულიად და დასდეს ხარკი კაცს სულზედ დრაჰკანი, ცხვარზედ ორი შაური, ზროხაზედ აბაზი, კამბეჩსა და ცხენზედ ექუსი შაური, მოსავლის ზედა ხუთისთავი ხილითურთ, და ამის გამო იქმნა ჭირი დიდი...“[1].

ქართლ-კახეთი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ერთი იმდროინდელი საბუთის ცნობით „... ოდეს ქრისტეს აქათ გარდასრულ იყვნეს წელნი ვითარ, ჩღკგ — ამას ჟამსა საქართველო დაიპყრნეს და აღაოხრნეს ქვეყანანი ქართლთანი და მრავალნი მოსრნეს და ეკლესიანი ფრიად წარტყუენეს და საჭურჭლენი და სამკაულნი მათნი აიანორნეს და ბოროტი მრავალი მოიწია ჩვენ ზედა“[2].

ქვეყანაში არ დარჩენილა არც ერთი კლასი და ფენა, რომელსაც მტკივნეულად არ განეცადა ახალი დამპყრობლის უღელი. ოსმალო მოხელეთა ძალადობა, მექრთამეობა, უვიცობა, მათი უგულობა, სისასტიკე, თავხედობა მეტნაკლებად აწუხებდა ქვეყნის ყველა სოციალურ ფენას. აბუჩად აგდებას თვით დიდებული თავადებიც კი ვერ აღწევდნენ თავს: „გარნა დაიმორჩილეს... ოსმალთა ესრეთ, რამეთუ უკეთუ მალემსრბოლისად არა მიეცათ მყის ცხენი, შესხდიან თვით მას ზედა, ვითარცა უყვეს მანუჩარ ყაფლანიშვილსა და გიორგი ქავთარისშვილსა, აღუდვეს ლაგამნი, შესხდენ და ჩხულტდენ დეზითა წასვლად“[3]. ყველაფერმა ამან ხალხის არნახული აღშფოთება და რისხვა გამოიწვია. ოსმალთა ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოში 12 წელიწადს გრძელდებოდა და ამ ხნის განმავლობაში „არც ერთი დღე არ ყოფილა, რომ ქვეყანა მთლად დამშვიდებული ყოფილიყოს. ყველგან აჯან-

---

1 ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973., გვ. 508.

2 თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წიგნი III, თბ., 1967, გვ. 89.

3 ბატონიშვილი ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 510.

ყების ცეცხლი ღვიოდა. მისი ალი ხან ერთ კუთხეში ამოვარდებოდა ხან მეორეში“[4].

ვახტანგისა და ბაქარის სამშობლოდან წასვლის შემდეგ ოსმალებმა ქართლში იესე მეფესთან ადვილად გამონახეს საერთო ენა და ქვეყნის გამგებლობა უბოძეს, თუმცა მისი ხელისუფლება ნომინალური იყო. ხოლო იესეს გარდაცვალების შემდეგ (1727 წ.) ოსმალებმა ქართლში მეფობა გააუქმეს და ქვეყანა 6 დიდ თავადს შორის გაანაწილეს, რომელთაც ახალციხის ფაშა ხელმძღვანელობდა.

ოსმალთა გაბატონების შემდეგ კონსტანტინემ კახეთში კიდევ 6 წელი იმეფა, მაგრამ ეს იყო მეტად მშფოთვარე და უბედური წლები მისთვისაც და ქვეყნისთვისაც. იგი ხან ლეკებთან კავშირში ოსმალებს ებრძოდა, ხან ოსმალების დახმარებით ლეკების ალაგმვას ცდილობდა; ერთხანს (იესეს სიკვდილის შემდეგ) კახეთში ლეკთა მოძალების გამო, ქართლში გადმოვიდა და ქართლის ტახტის ხელში ჩაგდებასაც კი აპირებდა. ვერც ქართლელებთან მონახა საერთო ენა და შემდეგ თუშეთში იმალებოდა, ვიდრე, 1731 წელს, ოსმალებმა თავისთან არ მიიტყუეს და ვერაგულად სიცოცხლეს გამოაცალმეს.

დამპყრობლები კიდევ ერთხელ დაერივნენ კახეთს. უსუფ-ფაშას დავალებით „სულხავი მოვიდა და მოადგა თელავს... მერმე შემუსრა შილდა, ყუარელი და გავაზი, მოსრნა, მოსტყუევნა, წარიყვანა მრავალნი სულნი“[5].

კონსტანტინეს შვილი არ დარჩენია. ასე რომ კახეთის ტახტი მეშვიდრეობით მის უმცროს ძმას თეიმურაზს (ვახტანგ VI-ის სიძეს) ერგებოდა. მაგრამ ერთი მხრით, ლეკთა, ხოლო მეორე მხრით, ოსმალთა მოძალების ვითარებაში მას კახეთში არ დაედგომებოდა და ოჯახით ფშავს შეაფარა თავი. აქედან თურმე რუსეთში აპირებდა წასვლას, მაგრამ. როგორც ჩანს, დიდებულთა დაძალებით კახეთში დაბრუნება გადაწყვიტა.

როგორც ითქვა, ქართლ-კახეთის ფაქტობრივი ხელისუფალი ამ დროს ახალციხის ისაყ-ფაშა იყო, კახეთის გამგებლობა კი მის შვილს, უსუფ-ფაშას ჰქონდა მინდობილი. მაგრამ იგი რეალურ ძალაუფლებას ვერ ანხორციელებდა. ამიტომ 1732 წელს ისაყ-ფაშამ თეიმურაზი თავისთან თბილისს დაიბარა და კახეთის გამგებლობა უბოძა.

---

4 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 311—312.

5 ბატონიშვილი ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 625.

ამასობაში ირანში მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა. შაჰ-თამაზის სარდალი ნადირი (იგივე თამაზ-ყული-ხანი), რომელმაც უკვე 1730 წელს ავღანელები განდევნა, მეთოდურად იბრუნებდა ირანის კუთვნილ დაკარგულ ტერიტორიებს და ამავე დროს — უმაღლესი ხელისუფლების დასაკავებლად ემზადებოდა.

1732 წლის რეშტის ტრაქტატით რუსეთმა ირანს 1723 წელს დაპყრობილი კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროები დაუთმო. 1735 წელს კი ბაქო-დარუბანდზედაც აიღო ხელი. 1734 წელს ნადირი ამ მხარის ოსმალთაგან გასაწმენდად შირვანში შევიდა. ერთდროულად მან განჯისა და ერევნის წინააღმდეგაც გაგზავნა ლაშქარი[6].

შექმნილი ვითარება კახელმა პოლიტიკოსებმა ოსმალთა ბატონობის გადაგდებისათვის ხელსაყრელად მიიჩნიეს; ქართველთა რაზმები თავს დაესხნენ ოსმალთა დამხმარე ჯარს, რომელიც თბილისიდან შამახიისკენ მიემართებოდა და გაანადგურეს. ამით თითქოს თამაზ-ყული ხანთან მათ ერთგვარად ურთიერთობა გაიუმჯობესეს და მალე ამით გულმოცემული თეიმურაზი ეპისკოპოსთა და დიდებულთა თანხლებით ირანის სარდალს წარუდგა. სარდალმა იგი საკმაოდ ცივად მიიღო[7], მაგრამ ჯარი მაინც გამოატანა და ჰარის დალაშქვრა უბრძანა.

თეიმურაზმა ეს დავალება წარმატებით შეასრულა და თამამად გაემგზავრა ერევნისაკენ, სადაც ირანის გამგებელმა ხელმეორედ დაიბარა. აქ კახეთის მეფე მოულოდნელად დაიჭირეს, თბილისისაკენ წამოიყვანეს და უბრძანეს დედოფალი თამარიც იქ გამოცხადებულიყო. გზაზე თეიმურაზმა გაქცევა მოახერხა, კახეთს მიაშურა და, ბუნებრივია, დედოფალთან ერთად თბილისს ჩასვლა არც უფიქრია, სასწრაფოდ თუშეთს შეაფარა თავი.

თამაზ-ყული-ხანმა კახეთი დალაშქრა, აქედან ჰარსაც შეუტია, მაგრამ დიდი ზარალი ნახა და უკან გაბრუნდა. კახელი და ქართლელი ტყვეების დიდი პარტია კი ირანში გააგზავნა. გზაზე ტყვეებმა დრო იხელთეს და მათმა დიდმა ნაწილმა გაქცევით უშველა თავს.

---

6 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 320.

7 ბატონიშვილი ვახუშტი. დასახ. ნაშრომი, გვ. 627. სპარსული გამგებლის შემოწყრომის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ქართველთა ბანაკში რუსეთის წარმომადგენლის სერგი გოლიცინის ვიზიტი. ამ ვიზიტს მიზანი ოფიციალური ვერსიით ქრისტიანებს შორის წირვის მოსმენის სურვილი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ნადირმა ამ ფაქტში ქართველთა და რუსთა თავის საწინააღმდეგო საეჭვო კონტაქტები დაინახა.

ნადირი (თამაზ-ყული-ხანი) თბილისში შემოვიდა, მაგრამ აქ მხოლოდ 17 დღე დაჰყო და ოსმალთა დასახმარებლად დაგვიანებით მოსული ყირიმელი თათრების გასანადგურებლად სასწრაფოდ დარუბანდისკენ გაეშურა. ყირიმელები უკან გაბრუნდნენ, ხოლო გამარჯვებული ხანი მუღანს მივიდა, იქ მთელი ირანის დიდებულები დაიბარა და თავი შაჰად გამოაცხადა.

ოსმალები იძულებული შეიქნენ ამიერკავკასიაში ირანელთა გამარჯვებას შერიგებოდნენ და ეს რეგიონი ისევ ძველი „პატრონისათვის“ დაეთმოთ.

1735 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალობა ისევ ყიზილბაშობით შეიცვალა, რასაც ახალი გადასახადები, დარბევები, დატყვევებები და გადასახლებები მოჰყვა.

ქართლ-კახეთი კვლავ აჯანყებებმა მოიცვა.

ჯერ კიდევ 1735 წელს ნადირმა ქართლ-კახეთის მმართველობა თეიმურაზის ძმისწულს ალექსანდრე დავითის ძეს უბოძა. ალექსანდრე მუღანის ყრილობას ესწრებოდა და ნადირის შაჰად გამოცხადების ცერემონიალში მონაწილეობდა. მუღანიდან ყაენმა ის საქართველოში გამოისტუმრა ყიზილბაშთა ჯარით, რომელსაც სეფი-ხანი სარდლობდა. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოში ფაქტობრივი მმართველობა ამ სეფი-ხანმა ჩაიგდო ხელში.

ქართლ-კახეთი აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული, მაგრამ აჯანყებულთა შეუთანხმებელი მოქმედებისა და დამხმარე ძალების არყოლის გამო ბრძოლის ეფექტი დიდი არ ყოფილა: ირან-ოსმალეთის ახალი ზავის გაფორმების შემდეგ აჯანყებულებს ოსმალთა მხარდაჭერის იმედი არ შეიძლება ჰქონოდათ. ერთადერთ შესაძლებელ დამხმარე ძალად კვლავ რუსეთი რჩებოდა. და სულ რაღაც 2—3 წლის განმავლობაში საქართველოდან იქ რამდენიმე ელჩობა ჩადის. ასეთი აქტიურობა, ერთი მხრივ, ყიზილბაშობის უღლის სიმძიმით, მეორე მხრივ, კი რუსეთ-თურქეთის (1735—1739 წწ.) ომის დაწყებით იყო გამოწვეული, რაც ქართველი პოლიტიკოსების აზრით, ამიერკავკასიის საქმეებში რუსეთის ჩარევის შესაძლებლობასა და აქედან რეალური დახმარების მიღების იმედს სახავდა.

აჯანყებული ქართლის თავადები საიმპერატორო კარს ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებასა და ბაქარ ვახტანგის ძის ქართლის მეფედ გამოგზავნას თხოვდნენ. მაგრამ არსებულ ვითარებაში ეს თხოვნა არარეალური იყო. რადგან თურქთთან ომში ჩაბმულ რუ-

სეთს ირანთან მდგომარეობის გართულება არ აწყობდა და, ცხადია, ქართველებს სამხედრო დახმარებას ვერ აღმოუჩენდა.

თეიმურაზ II-ის პოზიცია უფრო შორსმჭვრეტელური იყო. იგი საღად აფასებდა სიტუაციას და რუსეთს, ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას კი არა, ნადირ-შაჰთან შუამდგომლობას თხოვდა, რათა ამ დამპყრობს დასასჯელად განწირულ ქვეშევრდომზე გული მოებრუნებინა და იგი კახეთის ტახტზე დაემტკიცებინა. ამავე დროს, თე-მურაზი რუსეთის ხელისუფალთა წინაშე ქართლის ტახტის დასაკავებლად ამ ტახტის მემკვიდრის ბაქარ ვახტანგის ძის გამოგზავნის საკითხსაც აყენებდა. მისი რწმენით, ეს ამბავი რუსეთ-ირანის ურთიერთობაში რაიმე გამწვავების საბაბი არ უნდა გამხდარიყო, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, რეშტის ზავით ირანმა იკისრა ქართლის ტახტის ვახტანგისა ან მისი მემკვიდრეებისათვის დაბრუნება. 1735 წელს რუსეთ-ირანს შორის განჯაში გაფორმებული ხელშეკრულებით აღნიშნული მუხლი ნადირმაც მიიღო[8]. თავისთავად ბაქარის გამოგზავნის საკითხის დაყენება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ თეიმურაზის ბანაკი, ჯერჯერობით კახეთში განმტკიცებაზე ოცნებობდა და ქართლის შემოერთებაზე სულაც არ ფიქრობდა.

მაგრამ ქართლში დაბრუნებას თვით ბაქარი არ ჩქარობდა. ა. ი. ოსტერმანისადმი მოგვიანებით, 1737 წლის იანვარში, მიწერილი წერილიდან კარგად ჩანს ბაქარის თავშეკავების ნამდვილი მიზეზიც და, რაც მთავარია, ვახტანგის სახლის კარდინალური პოლიტიკაც რუსეთთან ურთიერთობის საკითხში. რუსეთის ხელისუფალთაგან ვიღაც, შეიძლება თვით ოსტერმანიც, ურჩევდა ბაქარს ქართლში დაბრუნებას, მიუთითებდა რა ზემოთ დასახელებულ განჯის ზავზე, რომლითაც, როგორც ითქვა, ნადირმა აღიარა მისი უფლებები ქართლის ტახტზე. ასე, რომ მას შიში არაფრის არ უნდა ჰქონოდა. წერილში ბაქარი აღნიშნავს, რომ ნადირი ვერაგია, მისი ნდობა არ შეიძლება, რომ მას სურს ბაქარი თავისთან მიიტყუოს და დაატყვევოს. როგორც ეს თეიმურაზს უყო და სხვ. ამრიგად. ქართლის ტახტის მემკვიდრე ამართლებს თავის გადაწყვეტილებას უარი განაცხადოს საქართველოში დაბრუნებაზე, რასაც მას ქართველები თხოვდნენ და როგორც ჩანს, რუსეთის ხელმწიფის კარზეც თავაზობდნენ; შემდეგ კი, რაც განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია, იგი აყალიბებს თავის ინტერესებს, ანუ ინტერესებს ვახტანგისა და მისი პოლიტიკის მომხრეებისა, რომელთა გამოც

---

[8] პ. ბუტკოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

იგი თავის დროზე რუსეთს დაუკავშირდა და როშლის იმავე რუსეთის დახმარებით განხორციელების იმედი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს:

„И ежелиж сие ея императорского величества высокая милость учинена мне будет, то мое намерение в том состоит и надежду имею, что оную Грузию от оного (ე. ი. შაისავან—მ. ს.) волсю или иным каким способом себе сыскать также и прочих тамошних земель народов к себе соединить и над неприятелями Всероссийской империи злодеям состоять, и над добрым доброе чинить»[9]. როგორც ვხედავთ, აქ არსებითად გამჟღავნებულია ის (ჩვენს მიერ ზევით დაწვრილებით განხილული) კურსი საქართველოს გაერთიანებისა, რომელსაც ასე დაბეჯითებით მიჰყვებოდა ვახტანგ VI.

როგორც ჩანს, საიმპერატორო კარმა თეიმურაზის სასარგებლოდ შაჰის წინაშე რაიმე შუამდგომლობისაგანაც შეიკავა თავი. ქართველი აჯანყებულები მარტონი დარჩნენ. ასეთ ვითარებაში, საქართველოში ყიზილბაშთა ჯარის სარდალმა სეფი-ხანმა, აჯანყების მოთავეებს პატიება, ყეენთან შუამდგომლობა და ხარკის შემცირება აღუთქვა და თავისთან მიიტყუა მოსალაპარაკებლად. შემდეგ ფიცი გატეხა, მოთავეები დააპატიმრა და ისპაანში ნადირ-შაჰთან გააგზავნა. მათ შორის იყო თეიმურაზ II.

ვერც გამაჰმადიანებულმა ქართველმა მმართველებმა და ვერც მათ დასახმარებლად გამწესებულმა ყიზილბაშმა სარდლებმა საქართველოში ირანელთათვის სასურველი წესრიგი ვერ დაამყარეს. სეფი-ხანსა და ქართლ-კახეთის მმართველ ალექსანდრე დავითის ძეს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო ნადირმა უკანასკნელს ქართლი ჩამოართვა და სამართავად იესეს გამაჰმადიანებულ ვაჟს არჩილს, ანუ აბდულა-ბეგს მისცა. ალექსანდრე კახეთში გამეფებას შეეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჩქარა კახეთიც დატოვა და ბოლოს ნადირ-შაჰის ინდოეთის ლაშქრობაში დაამთავრა სიცოცხლე.

ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ისპაანში წყალობით მიიღო. ქართველთა აჯანყებებმა ირანის ხელმწიფე დათმობის ხასიათზე დააყენა. ამიტომ მან თეიმურაზს კახეთის ტახტზე დამტკიცება შესთავაზა, სამაგიეროდ კი ვაჟის — ერეკლესა და ქალიშვილის ირანში გამოძახება მოსთხოვა. ერეკლე ამ დროს ჯერ მხოლოდ 15 წლის იყო, მაგრამ სახელმ-

---

[9] Г. Пайчадзе. Русско-Грузинские политические отношения в первой половине XVIII века., Тб., 1970, с. 198 (ხაზი ჩვენია—მ. ს.)

წიფო საქმეებში აქტიურად ეჩეოდა და სამხედრო შეტაკებებშიც მონაწილეობდა[10]. თეიმურაზმა შაჰის პირობები კახეთში შემოთვალა და შვილები ირანში დაიბარა.

კახელ პოლიტიკოსებს ბჭობა შეექმნათ. ბატონიშვილებს რომ ხელში ჩაიგდებდა, არავინ იცოდა, ვერაგი ნადირი შეასრულებდა თუ არა თეიმურაზისათვის მიცემულ სიტყვას სამშობლოში დაბრუნების თაობაზე. ქვეყანა უპატრონოდ რჩებოდა; ამიტომ ისინი ერეკლეს წასვლას არ გაუპირდნენ; მაგრამ საკითხი თვით ახალგაზრდა ბატონიშვილის პრინციპულმა პოზიციამ გადაწყვიტა: „მამა ჩემი იქ უნდა ჰყვანდესთ და ჩემის იქ მისვლით გამოუტევებდნენ და მე ამა-ზედ უნდა დავბრკოლდე და არა წავიდე, ეს ჩემგან შეუძლო არისო“[11] — განუცხადებია მას.

1737 წლის თებერვალში ბატონიშვილები ირანს გაემგზავრნენ, მარტში კი შაჰთან გამოცხადდნენ. ნადირმა თეიმურაზის ქალიშვილი ქეთევანი თავის ძმისწულს მისცა ცოლად, ერეკლე თავისთან დაიტოვა, რათა ინდოეთის ლაშქრობაში ხლებოდა, თეიმურაზს კი კახეთის მეფობა უბოძა და საქართველოში გამოუშვა.

თითქმის ორნახევარი წელი დაჰყო ერეკლემ ნადირ-შაჰთან. ახალგაზრდა ბატონიშვილისთვის ეს იყო შესანიშნავი სკოლა, სადაც მან საფუძვლიანად შეისწავლა ირანის სამხედრო და სამოქალაქო წყობა, გაიწაფა აღმოსავლეთის დიპლომატიაში, პოლიტიკასა და სტრატეგიაში.

1739 წლის 28 მაისს ნადირმა სახელოვნად ნამსახური ქართველი ბატონიშვილი დიდი ქებითა და საჩუქრებით სამშობლოში გამოისტუმრა[12]. იმავე წლის 13 დეკემბერს ხანგრძლივი მგზავრობით დაღლილი ჰაბუკი ღამის 4 საათზე ალავერდის სასახლეში მივიდა, სადაც იმჟამად მეფე და დედოფალი იმყოფებოდნენ.

ირანიდან დაბრუნებული ბატონიშვილი ჩქარა ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ პერიოდში დაიწყეს კახეთის მეფის კარზე ქვეყნის გაერთიანების გეგმის დამუშავება, რაც პირველ რიგში ქართლ-კახეთის გაერთიანებას გულისხმობდა და რომლის ერთ-ერთ მთავარ ინიციატორად და წარმმართველად ვახტანგ VI-ის ასული კახეთის დედოფალი თამარი გვევლინება.

---

[10] საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 244.
[11] იქვე.
[12] იქვე, გვ. 245.

თამარი ენერგიული პიროვნება, ჭკვიანი პოლიტიკოსი და ბრწყინვალე დიპლომატი იყო, რომლის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე კარგად იყო ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეთაც. მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე არც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე არ გადაწყვეტილა: როგორც ზევით ითქვა, 1735 წელს ერევანში მდგომი ნადირი თეიმურაზს შემოსწყრა, დააპატიმრა და თბილისში წამოიყვანა, რათა კახეთის მეფეს თამარ დედოფალიც იქ დაებარებია. მართალია, თეიმურაზმა გაპარვა მოახერხა და დედოფლის მოყვანა აღარ შეიქნა საჭირო, მაგრამ ამ ფაქტიდან აშკარად ჩანს, თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა თამარს საქართველოში, რადგან ნადირს თავისი პოლიტიკის განსახორციელებლად მისი ნეიტრალიზება აუცილებლად მიუჩნევია.

1736 წლიდან, როცა თეიმურაზი იძულებით ნადირ-შაჰთან ირანს გაემგზავრა, კახეთის გამგებელი თამარი იყო. იგი მტკიცედ და ენერგიულად მართავდა ქვეყანას და სახელმწიფო თანამდებობებსაც თავისი შეხედულებით ანაწილებდა[13].

აწ ხანებში, როგორც აღინიშნა, ალექსანდრე დავითის ძე შაჰმა ქართლის გამგებლობიდან გადააყენა და მის მაგივრად აბდულა-ბეგი დანიშნა. ალექსანდრე დავითის ძის შემდგომი ბედის შესახებ წყაროები სხვადასხვაგვარ ცნობას გვაწვდიან. სეხნია ჩხეიძის გადმოცემით შაჰმა ალი-მირზას კახეთის ბატონობა უბოძა[14]. ვახუშტი ბატონიშვილის მტკიცებით, კი ალი-მირზა (იგივე ალექსანდრე დავითის ძე) თანამდებობიდან გაათავისუფლეს, ხოლო კახეთში გამეფება მან თავისი ინიციატივით მოიწდომა. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად ეს დეტალები არ არის საინტერესო. მნიშვნელოვანი ის არის, რომ კახეთში გამეფებისათვის ალექსანდრეს თავისი რძლის თამარის მხარდაჭერა ჩაუთვლია აუცილებლად და დახმარება უთხოვია. თამარმა მას ცხადია მხარი არ დაუჭირა და ალექსანდრეს წამოწყებაც მარცხით დამთავრდა: „ამან ალი-მირზამ ინება, განზრახვითა აბელ მოურავისათა განდგომა ყეენისა და თვით დაპყრობა კახეთისა და ამისათვის ეზრახაცა თამარს. რათა ჰყონ ესე. არამედ თამარ არა ინება, რამეთუ ვინაითგან იყვნენ ქმარი მისი თეიმურაზ და ძე მისი ერეკლე ყანდაარს წინაშე შანადირისა.

---

13 საქართველოს სიძველენი, ტ. III (ე. თაყაიშვილის რედაქტორობით), თბ., 1910, გვ. 451.

14 საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 50.

ესე აცნობა თამარ ქისიყელთა და თუშთა არა-ყოფად ამისა ესრეთ. მაშინ იგინი მტკიცედ დაადგრენ ერთგულებასა ზედა თამარისასა... ამისთვის ალი-მირზა ვეღარ დამყოფელი კახეთსა შინა წარვიდა წინაშე შანადირისა ყანდაარს"...[15]

ნადირი კვლავ შემოსწყრა ქართველებს. იქაურმა გამგებელმა აბდულა-ბეგმა ქართლში აჯანყების ჩაქრობა ვერ მოახერხა, თეიმურაზს მასში მონაწილეობა დააბრალა და შაჰთან დაასმინა, გამძვინვარებულმა შაჰმა „განიგულა აყრა მათი და მოწყვეტა ქართლ-კახეთის ერისა"[16]— გვაუწყებს ომან ხერხეულიძე. ახალ დიდ სისხლის ღვრასა და აოხრებას კახეთი თამარ დედოფლის დიპლომატიამ გადაარჩინა, რომელიც შაჰის ბანაკში გაემგზავრა: „ხოლო მოვიდა რა დედოფალი თამარ დაღისტანში ნადირ-შაჰს-თანა და ევედრა აუყრელობასა ქართლ-კახეთისასა და ესრეთვე აცნობა უცოდველობა ქრმისა თვისისა მეფის თეიმურაზისა და ერთგულება ძისა თვისისა ირაკლი მეორისა, რომლისთვის მყის თანად ლმობიერ-იქმნა მძლავრი იგი და პატივ-ჰსცა, ვითარცა დედასა და ყოველი თხოვილი მიანიჭა და გამოუტევა დიდითა ნიჭითა კახეთს"[17].

1742 წელს ამ ნიჭიერმა პოლიტიკოსმა მანდილოსანმა კიდევ ერთი ბრძნული ნაბიჯი გადადგა. ამ წელს გარდაიცვალა კათალიკოსი დომენტი. მან თავისსავე სიცოცხლეში ურბნელი ეპისკოპოსი ნიკოლაოზი (ხერხეულიძე) დალოცა პატრიარქად. თამარი თბილისში ჯერ კიდევ დომენტის ავადმყოფობის პერიოდში ჩამოვიდა. მისი გარდაცვალებისთანავე მთელი თავისი გავლენა მოიშველია, მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზედაც ქართლ-კახეთის ეპისკოპოსები შეკრიბა და კათოლიკოსად თეიმურაზ იესეს ძე (ანტონ I) აარჩევინა. პაპუნა ორბელიანის გადმოცემით: „მას ჟამსა შინა დედოფალი კახეთისა, სადგური კეთილისა და საუნჯე სათნოებისა, თამარ ქალაქს ბძანდებოდა, ვითაც ბიძა იყო კათალიკოზი და სნეულებისათვის ჩამობძანდა, მიცვალებასაც აქ ღაესწრო, მიიღო კურთხევა სრული, შეკრიბნა ეპისკოპოსნი დედოფალმან ქართლისანი და კახეთისანი და კათალიკოზად, ვითაც მრჩობლად ღირსი იყო, ანტონი, ძე მეფისა იესესი, გამოარჩიეს..."[18] ეს რომ თა-

15 ბატონიშვილი ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 628.

16 საქართველოს ცხოვრება, გვ. 247.

17 იქვე. მართალია ვახუშტი ბატონიშვილი ამ ეპიზოდს ცოტა სხვაგვარად გადმოგვცემს, მაგრამ მასთანაც აშკარად ჩანს ქვეყნის გადარჩენის საკითხში თამარ დედოფლის ძირითადი წვლილი (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 630).

18 პ. ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 52.

მარის მიერ კარგად მოფიქრებული ნაბიჯი იყო, სადავო არ არის; ანტონი მაშინ სულ 22 წლის იყო და შეუძლებელია მას ისეთი ავტორიტეტი ჰქონოდა საეკლესიო წრეებში, რომ მისი კათალიკოსად არჩევა ვინმეს აზრად მოსვლოდა. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რა უაღრესად დიდი როლი შეასრულა ანტონ I-მა ქართლ-კახეთის გაერთიანების საქმეში და საერთოდ, ერეკლეს პოლიტიკასა და ქვეყნის მართვაში, ნათლად გამოჩნდება, თუ რა შორსმჭვრეტელური და ბრძნული იყო ეს ნაბიჯი. მართალია, იმის გამო, რომ დომენტის ანდერძით ნიკოლოზ ურბნელი თავის ადგილზე დაულოცია, იმჯერად ანტონმა კათალიკოსის ტახტი არ მიიღო (თუ ვერ მიიღო), მაგრამ სულ ორიოდე წლის შემდეგ ნიკოლოზ ურბნელის საეჭვო და ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ (ხანჯლით განგმირა ვინმე ტარიელ თამაზიშვილმა) იგი უკვე კათალიკოსად ეკურთხა და აქტიურად მონაწილეობდა თეიმურაზისა და ერეკლეს პოლიტიკაში.

ქართლ-კახეთის გაერთიანების გეგმას თეიმურაზი და თამარი თანამიმდევრულად და ტაქტიანად ანხორციელებდნენ. ისინი მოხერხებულად იყენებდნენ ქართლში ურთიერთშორის თუ ყიზილბაშების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისმღვრელ ბრძოლებს და ახერხებდნენ, რომ ამ ბრძოლების ფონზე თავისი ერთგულებით შაჰის განსაკუთრებული წყალობაც დაემსახურებინათ და ამავე დროს პატრიოტული (ანტიყიზილბაშური) ძალების თანაგრძნობა და პატივისცემა შეენარჩუნებინათ. იმ დროს, როცა აჯანყებულ ქართლს ყიზილბაშთა ხანები რეპრესიების სახით ისედაც მძიმე ბეგარა-გადასახადებს კიდევ უფრო უმძიმებდნენ, კახეთი გაცილებით შეღავათიან მდგომარეობაში იყო; მოგვიანებით კი საერთოდ განთავისუფლდა საყიზილბაშო გადასახადებისგან. 1742 წლიდან კახეთს, ნადირ-შაჰის ბრძანებით, მხოლოდ 500 ნოქრის (დაქირავებული მოლაშქრე) გამოყვანა დაევალა და ისიც ადგილზევე უნდა დარჩენილიყო თეიმურაზის სამსახურში[19].

ქართლში ფეოდალური თავაშვებულობა და პარტიკულარიზმი მძვინვარებდა, ცენტრალური ხელისუფლება სუსტი იყო. ქსნისა და არაგვის ერისთავთა დიდ ფეოდალურ სახლებს შორის ძველი ურთიერთმტრობა გრძელდებოდა.

1739 წელს ქსნის ერისთავმა შანშემ არაგვის საერისთაოს შეუტია, დაიმორჩილა და ახლა სამუხრანბატონოსა და საამილახვროს დაადგა თვალი. ამდენად, დიდი თავადი გივი ამილახვარი შანშეს პოტენციური

---

19 პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

მოწინააღმდეგე გახდა. ამიტომ, როცა 1741 წელს, დაღესტნის დასალაშქრავად ამიერკავკასიაში მოსულმა ნადირმა ქართლის თავადები თავისთან მიიწვია, წყალობა აღუთქვა და შანშეს წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა, გივი ამილახვარმა ეს საქმე ხალისით იკისრა. ქართველ თავადთა და ყიზილბაშთა ერთობლივი ლაშქარი ქსანს შეესია. შანშე დამარცხდა და ახალციხეში გაიქცა. ქსნის ერისთაობა გივი ამილახვარმა შეითავსა[20]. თეიმურაზი ამ ბრძოლაში არ გარეულა. შაჰის დავალებით იგი ამ ხანებში დაღესტნელთა წინააღმდეგ იბრძოდა, თუმცა კი გარკვეულად თითქოს შანშეს ეხმარებოდა კიდეც, ყოველ შემთხვევაში ახალციხეში გაქცეული ერისთავის ოჯახი კახეთის მეფის ქარზე აფარებდა თავს.

ინდოეთის, შემდეგ კი ბუხარისა და ხივის ძლევამოსილი ლაშქრობების. მომდევნო ხანებში ლეკთა საკითხის გადასაწყვეტად ნადირშაჰი მთელი ძალებით ამიერკავკასიაში მოქმედებდა. ეს უზარმაზარი ლაშქრობა დიდ მატერიალურ ხარჯებს მოითხოვდა, რაც, ბუნებრივია ადგილობრივ მოსახლეობას დააწვა მხრებზე. იმის გამო, რომ შაჰმა კახეთი გადასახადებისაგან გაათავისუფლა, ეკონომიკური ტვირთი ქართლს კიდევ უფრო დაუმძიმდა და ამან საერთო მღელვარება გააძლიერა.

ჰკვიანსა და ენერგიულ თავადს — გივი ამილახვარს, ამ დროს ქართლის ვექილის პოსტი ეკავა, რაც ყიზილბაშური იერარქიით ქვეყანაში მესამე მნიშვნელობის ხარისხი იყო, მაგრამ სპარსელთა ერთგული მსახური არ ყოფილა.

ირანში შექმნილმა გართულებებმა მისი მტრები გამოაფხიზლა. თურქეთი, რომელსაც ნადირის ძლევამოსილი ლაშქრობები მოსვენებას არ აძლევდა, ომისთვის ემზადებოდა. როგორც ჩანს, რუსეთიც გულისყურით ადევნებდა თვალს მოვლენათა განვითარებას წინა აზიაში. ბაქარ ბატონიშვილმა პეტერბურგი დატოვა და მოსალოდნელი მწვავე ამბების ასპარეზის სიახლოვეს — ასტრახანში გაჩერდა.

1741—1742 წლებში ქართლში დიდი შეთქმულება მზადდებოდა, რომელიც, როგორც ჩანს, თურქეთთან და ბაქართანაც შეთანხმებული იყო. ამ შეთქმულების მეთაურად გივი ამილახვარი გვევლინება. აჯანყების საბაბი გახდა ნადირ-შაჰის მიერ ქართლისათვის ხარკის სანაცვლოდ პურის მოთხოვნა: 1741—42 წლებში ქართლში დიდი მოუსავლიანობა ყოფილა. ქვეყანა შიმშილობდა, პური ზღაპრულად გაძვირდა

20 პ. ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

და ამ დროს ყიზილბაშებმა ხარკის ნაცვლად პურის ჩაბარება მტკიცე ფასებში მოითხოვეს[21]. ქვეყანა აჯანყებამ მოიცვა. გივი ამილახვარმა აჯანყებაში მონაწილეობა თეიმურაზსაც შესთავაზა, მაგრამ კახეთის მეფე მას არ აჰყვა.

ცნელია დაბეჯითებით მტკიცება, თუ რა მიზნებს ისახავდა გივი ამილახვარი კონკრეტულად. მაგრამ, როგორც ჩანს, თეიმურაზმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო. გივი ამილახვარი ყიზილბაშებთან ბრძოლას ოსმალების მეშვეობით აპირებდა, ოსმალები კი, როგორც ქართველებმა სულ ცოტა ხნის წინათ გამოსცადეს, ყიზილბაშებზე უარესი დამპყრობები იყვნენ. იმჯერად, როგორც ეტყობა, არც ბაქარის ქართლში გამეფება უხაროდა მაინცადამაინც კახეთის მეფეს. თეიმურაზი და თამარი ქართლ-კახეთის გაერთიანების გეგმას ანხორციელებდნენ. ბაქარის საქმეში ჩარევა კი ამ გეგმის აშკარა მარცხი იქნებოდა.

თეიმურაზი არამც თუ მიემხრო აჯანყებას, არამედ პირველი მნიშვნელოვანი არაპირდაპირი დარტყმაც მიაყენა. შეთქმულების ერთერთი მოთავე ვახუშტი აბაშიძე იყო. შეთქმულების დაწყების დროს მისი მეუღლე ანუკა, ვახტანგ VI-ის ქალიშვილი და თამარ დედოფლის და, თამართან იმყოფებოდა სტუმრად. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ თამარის ჩაგონებით ანუკამ მოახერხა ვახუშტი შეთქმულებისათვის ჩამოეშორებინა და ამით მისი ძალა მნიშვნელოვნად შეესუსტებინა: „ველარ უგულებელსყო ვახუშტი აბაშიძემ მეუღლე თვისი... და ჩამოვიდა ქალაქსა თბილისისასა“[22].

დაღესტნელთა წინააღმდეგ ლაშქრობაში ნადირ-შაჰმა რაიმე არსებით წარმატებებს ვერ მიაღწია. ამან მისი ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შეარყია. თურქეთთან ომი კარზე იყო მომდგარი. რუსეთის მოიმედე ბაქარი კი ასტრახანში იდგა და არავინ იცოდა რას მოიმოქმედებდა. ბაქარის აქციები ქართლში, შექმნილ მწვავე სიტუაციაში, ირანის პოზიციების შესუსტებას გულისხმობდა. ამგვარად, თეიმურაზისა და თამარის გეგმები და ნადირ-შაჰის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. „თეიმურაზს ქართლის მეფობაზე კანონიერი უფლებაც ჰქონდა. მისი მეუღლე თამარი ვახტანგ VI-ის ქალი იყო. ასე რომ, კახეთის მეფე ქართლში ბაქარის მეტოქედ გამოადგებოდა ირანის ხელმ-

---

21 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 390.

22 პ. ორბელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

წიფეს"[23]. მაგრამ ქართლის ტახტს სხვა პრეტენდენტებიც შეიძლებოდა გამოსჩენოდა. ერთ-ერთი მათგანი ანტონი, თამარის მეცადინეობით კათალიკოსად რომ იქნა არჩეული, ამ ბრძოლას ჩამოშორდა და თეიმურაზისა და თამარის მომხრეთა ბანაკში დაიკავა საპატიო ადგილი, მაგრამ იყო სხვა სერიოზული მეტოქეც; აბდულა-ბეგ (იგივე არჩილი) იესეს ძე, რომელსაც ოფიციალურად ქართლის ხანობა ეჭირა და, ე. ი. ქვეყნის უმაღლესი გამგებელი იყო. არსებობდა კიდევ ერთი სავარაუდო პრეტენდენტი, აბდულა-ბეგის ძმა, იესე მეფის ვაჟი — გამაჰმადიანებული ისაყ-ბეგი, მაგრამ იგი პოლიტიკურ ასპარეზზე ჯერჯერობით მნიშვნელოვან აქტიობას არ იჩენდა. მაშასადამე, საჭირო იყო აბდულა-ბეგის ნეიტრალიზება და როგორც ჩანს, ამ საქმეში წამყვანი როლი, ალბათ, ისევ თამარ დედოფლის ჩარევისა და შთაგონების შედეგად, შეასრულა კიდევ ერთმა პატრიოტმა ქართველმა მანდილოსანმა — ბატონიშვილმა ბეგუმმა, რომელიც თეიმურაზ II-ის და და აბდულა-ბეგის მეუღლე იყო. მართალია, წყაროები იმ ხანებში არც აბდულა-ბეგის პრეტენზიებსა და არც ბატონიშვილი ბეგუმის პოზიციაზე პირდაპირ არაფერს ამბობენ, მაგრამ, როგორც ქვევით ვნახავთ, ეფრო გვიან აბდულა-ბეგი ქართლის ტახტის ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლას დაიწყებს, ხოლო განსახილველ პერიოდში ბეგუმის აქტიური პოლიტიკური საქმიანობა და ის ამბავი, რომ იგი თითქმის ყოველთვის თამარ დედოფლის გვერდითაა მოხსენიებული, იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ იგი თეიმურაზისა და თამარის გამაერთიანებელი პოლიტიკის მომხრე და მჭიდრო თანამებრძოლი იყო.

40-იანი წლების დასაწყისიდან თეიმურაზი და თამარი მოხერხებულად იყენებდნენ ქართლში შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებას და აქ თავის გავლენასა და პოზიციას თანდათან აძლიერებდნენ.

ქართლ-კახეთში ირანის გაბატონების ძირითადი შემაფერხებელი ძალა აჯანყებული გივი ამილახვარი იყო. მას საამილახვრო და ქსნის საერისთავო ეჭირა, არაგვის ერისთავი კი მისი მოკავშირე იყო: ამდენად, ეს ძლიერი ფეოდალი ქართლის მთელ ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილს კონტროლს უწევდა.

1742 წელს არაგველები ბეჟან ერისთავს აუჯანყდნენ. ამილახვარმა მოკავშირეს დაუჭირა მხარი და აჯანყება სასტიკად ჩაახშო: „შეუტყო ამილახორმა და იმ საქმეში რეულნი კაცნი სულ ერთად მოტყუებით შეჰყარა, დაიჭირა და პატიმარ ჰყო ყოველნი. გაგზავნა ამინა (სა-

---

23 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 332.

უბარია ამ-ნა კობიაშვილზე, არაგველთა შეთქმულების მოთავეზე — მ. ს.) სახლთუხუცესი ერისთავისა და არშას ციხიდამ გადმოაგდებინა, მოვიდა ანანურს, იავარ-ყვნა ორგულნი და უწყალობნა ერთგულთა ამით. რომ ბეჟან ერისთავი სიძე იყო ამილახორისა და მერე, თუ არაგვის კაცნი უკუსდგებოდნენ, ველარც ქსნის ხევს დაიმორჩილებდა"[24].

როგორც ვხედავთ, არაგვის ხეობას განმდგარი გივი ამილახვრისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მაშასადამე, მისთვის ამ რეგიონის ჩამოცილება ირანის განმგებელთათვის მეტად საჭირო და საშური საქმე იყო. და აი, უშუალოდ არაგველთა აჯანყების შემდეგ. შაჰმა კახეთის განმგებლები სათათბიროდ თავისთან მიიწვია: „გამოეგზავნა ხელმწიფეს ერთი მახლობელი ყული, ფრიდონბეგ, დაეპატიჟა დედოფალი კახეთისა თამარ და მეუღლე აბდულბეგისა, ბატონიშვილისა. რომელი იყო ასული კახეთისა ბატონისა, ბეგურ"[25], იანვარში აღნიშნული მანდილოსნები და მათთან ერთად თეიმურაზ II-ც ყაენს ეახლნენ. ნადირმა ისინი გამორჩეული პატივით მიიღო: „მიიჩნივა ფრიად. დასდვა პატივი უზომო, უბოძა ხალათი მძიმე და ინამი ფრიადი"[26], გვაუწყებს ისტორიკოსი.

ცხადია, ასეთი წარმომადგენლობითი დელეგაცია, ქართლში დაძაბული ვითარების პირობებში, ყაენმა რაღაც მნიშვნელოვან საკითხზე მოსათათბირებლად მიიწვია. თუ რა საკითხებზე იყო მსჯელობა ამ შეხვედრისას, ამაზე წყაროები არაფერს ამბობენ, მაგრამ საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ის რაც ამის შემდეგ ქართლის სამეფოში დატრიალდა, სწორედ ამ თათბირის დროს დაიგეგმა. მოხდა ის, რომ ქართლში სახელგატეხილი ყიზილბაშური ადმინისტრაცია შეიცვალა, ჩანს ეს ფაქტი ხალხისათვის დამპყრობთა ბატონობის უღლის შემსუბუქების დამაიმედებელი უნდა ყოფილიყო და გივი ამილახვრის მომხრეთა ბანაკის შესუსტებას ისახავდა მიზნად. მალე კი არაგვის ხეობაში ახალი შეთქმულება მომზადდა: „მას ჟამსა შინა უღალატეს არაგვის ერისთავს ბეჟანს და მის ბიძაშვილს ოტიას არაგვის კაცთ და ორივე მოკლეს, იავარ-ჰყვეს საქონელი". — გვაუწყებს ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი. ამ ამბავში აშკარად ჩანს, კახეთის ხელისუფალთა მონაწილეობა. აჯანყების საფუძველი ერისთავთა მიერ ბეგარა-გადასახადების მეტისმეტი გაზრდა იყო. მემატიანის ცნობით, „ამ ერისთვის სიკვდილზე გაუგზავნეს კაცი არაგვის კაცთ კახს ბატონს თეიმუ-

24 პ. ორბელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

25 იქვე, გვ. 63.

26 იქვე, გვ. 64.

რაზს, მიიწვიეს: „თქვენს მეტი ბატონი არ გვინდაო“. ამ დროს „ბატონი მაინც გამზადებულიყო და მაშინვე წაბძანდა, მოეგებნენ ქვეყნის კაცნი, მიუძღვნენ ანანურს“[27]. მთელი ეს ამბავი რომ თეიმურაზისა და მისი მომხრეების მიერ იყო მომზადებული სრულიად აშკარაა. აჯანყებულებმა, ეტყობა, წინასწარ იცოდნენ, რომ კახეთის მეფე მათ მდგომარეობას შეამსუბუქებდა და მართლაც: „უბოძა ხალათი და დაჰპირდა: „რაც ძველი ერისთავებისაგან არა გდებიათ, მის მეტს მე თქვენ არას გთხოვო. და ხელმწიფის სამსახურსაც მე გადავსწყვეტო“[28].

როგორც ჩანს, არაგვის საერისთაოში ერთიანი აზრი მაინც არ ყოფილა. ზოგს ბატონად იესეს გამაჰმადიანებული ვაჟი ისაყ-ბეგის მოწვევა განუზრახავს. ამგვარი შესაძლებლობა ამ უკანასკნელისთვისაც სასურველი ყოფილა, რაც ქართლში მისი პოლიტიკური პრეტენზიების არსებობაზე მიუთითებს. გორთან გივი ამილახვრის წინააღმდეგ ლაშქრად მდგარი ისაყ-ბეგი სასწრაფოდ არაგვის ხეობისაკენ გამოეშურა და დუშეთში მოვიდა, მაგრამ დააგვიანა. „რახან კახი ბატონი ანანურს ბძანდებოდა. აღარ შეუშვეს არაგვის ხევსურთა“[29].

ამრიგად, არაგვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ხეობა კახეთის ბატონმა დაიკავა. ხოლო ირანის შაჰმა მას საერისთაოს მფლობელობა დაუმტკიცა. თან შეჰპირდა: „თუცა ქსნის ხევსაც დაიჭერო ორსავ საერისთაო შენთვის მოგვიცემიაო“.

არაგვის ხეობის ხელში ჩაგდების შემდეგ ქსნის ხეობის დაკავება დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა. მაგრამ თავდაპირველად თეიმურაზი და მისი მომხრეები შეეცადნენ ეს პრობლემა ისე გადაეჭრათ, რომ ძმათა შორის სისხლის ღვრა როგორმე თავიდან აეცილებინათ. ამიტომ „ეცადა მეფე თეიმურაზ მრავლის წყალობის დაპირებითა და ქსნის ხევის კაცნი ვერ შემოირიგა“. მაშინ იძულებული შეიქნა კახეთიდან ერეკლე ეხმო ჯარით და მართლაც ჩქარა „შევიდა კახი ბატონი თეიმურაზ, დაიმონა ხმლით ქსნის ხევი, დადგა შიგ“[30].

იმ ხანებში ნადირ-შაჰს საკმაოდ გართულებული მდგომარეობა ჰქონდა. ოსმალეთთან ომი მიმდინარეობდა. იმპერიის არაერთ კუთხეში აჯანყების ალი მძვინვარებდა. თურქეთის წაქეზებით აჯანყების პირას იყო ამიერკავკასიის არაერთი სუნიტური სახანო. ამგვარ ვითარებაში

---

27 ჰ. ორბელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

28 იქვე.

29 იქვე.

30 იქვე, გვ. 72.

გივი ამილახვრის ბრძოლა, რომელიც უშუალოდ თურქეთის მოსაზღვრე ქართულ ტერიტორიას უწევდა კონტროლს, საქართველოში ირანის ბატონობისათვის საშიში და სახიფათო იყო. მაგრამ აჯანყების ჩაქრობა ირანს უჭირდა, რადგან ქვეყნის ეს ტრადიციული მტერი ხალხის მასებში სიძულვილს, უნდობლობას და, შესაბამისად, მის საწინააღმდეგო რეაქციას იწვევდა. ყველაზე კარგი გამოსავალი ნადირშაჰისათვის ის იყო, რომ ქართველი ფეოდალის აჯანყება ისევ ქართველთა ხელით ჩაექრო და ამ საქმეში იგი თეიმურაზზე უკეთეს კანდიდატურას ვერ იპოვიდა. ქრისტიანი მეფე ქვეყანაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ამდენად თანამემამულეთა მხარდაჭერა მას გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ საამისოდ კახეთის მეფის დაინტერესება იყო აუცილებელი და აქ კახეთის მეფის გამაერთიანებელი მისწრაფებები ნადირ-შაჰის გეგმებს დაემთხვა. ირანის მბრძანებელი იძულებული იყო მოეთმინა და ზოგჯერ კიდეც წაექეზებია ეს მისწრაფებები, რადგან საქართველოში თეიმურაზი და თამარი მას იმჟამად თავისი პოლიტიკის ყველაზე საიმედო დასაყრდენად მიაჩნდა.

არაგვისა და ქსნის ხეობების შემოერთების შემდეგ კახეთის ხელისუფლებს შეეძლოთ შეტევა უშუალოდ გივი ამილახვრის წინააღმდეგ დაეწყოთ. როგორც ჩანს, ამგვარი ვალდებულება მათ არაგვისა და ქსნის ხეობების შემოერთების სანაცვლოდ და ახალი სამფლობელოების მიღების იმედით ნაკისრი ჰქონდათ. ომან ხერხეულიძის სიტყვით, „ხოლო შაჰ-ნადირ უბოძა არაგვის საერისთავო მეფეს თეიმურაზს და მოუმცნო ბრძოლა და კირთება გივი ამილახორისა“[31]. ამრიგად, 1743 წლიდან გივი ამილახვრის წინააღმდეგ ბრძოლა ირანის კარმა უშუალოდ თეიმურაზს დააკისრა. ამ ბრძოლას კახეთის მეფის გამაერთიანებელ მისწრაფებებთან ერთად მორალურად და იდეურად ის გარემოება ამაგრებდა, რომ (საციციანოსა და ბორჯომის ხეობის ხელში ჩავდების შემდეგ) ეს აჯანყებული ფეოდალი უშუალოდ დაუკავშირდა ახალციხის საფაშოს და ქვეყანას თურქთა შემოსევის საშიშროება შეუქმნა. ამ რეგრესულ ნაბიჯს არ შეეძლო ქართული საზოგადოებრივი აზრის საპასუხო უარყოფითი რეაქცია არ გამოეწვია. ხოლო ის გარემოება, რომ გივი ამილახვარი თავის ბრძოლაში ქართველების დაუძინებელი მტრის ლეკების გამოყენებასაც არ ერიდებოდა, მის ავტორიტეტს კიდევ უფრო სცემდა. ყველაფერი ეს კახეთის მესვეურთა ბრძოლას აჯან-

---

31 საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 246.

ყების წინააღმდეგ, იდეოლოგიური და ეროვნული თვალსაზრისით, სამართლიან ხასიათს აძლევდა.

ამავე დროს ნადირ-შაჰი ხედავდა, რომ საყიზილბაშო გადასახადის სიმძიმე ქართლის მოსახლეობას აჯანყებულთა სასარგებლოდ განაწყობდა და ბრძოლისათვის რაზმავდა, ამიტომ იგი იძულებული იყო ეს გადასახადი მნიშვნელოვნად შეემსუბუქებინა[32], რითაც პროტესტის განწყობილება არსებითად შეანელა. ამასობაში აჯანყებულთა ბანაკში განხეთქილებამ იჩინა თავი. კახელმა პოლიტიკოსებმა ამით ისარგებლეს და გივი ამილახვარს ერთ-ერთი მთავარი თანამებრძოლი, მისი ბიძაშვილი რევაზი ჩამოაშორეს. ომან ხერხეულიძის გადმოცემით: „ეზრახნენ მეფენი ამ რევაზს და აღუთქვეს წყალობა, უკეთუ მოსცეს ციხენი და მაშინ მოსცა რევაზ ციხენი ქსნის-ხევისანი და დაიპყრეს ქსანიცა მეფემან თეიმურაზ და ირაკლიმ და მრავალნი ბრძოლანი გარდაიხადეს“[33].

გივი ამილახვრის აჯანყების ხანებში კახელ პოლიტიკოსთა პოზიცია, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ისინი ვერ აფასებდნენ ან ურიგდებოდნენ ირანელთა ბატონობას. ისინი რეალურად უყურებდნენ ვითარებას და მიიჩნევდნენ (ჩვენი აზრით, სწორად) — რომ იმჯერად ამგვარი პოლიტიკა ეროვნული საქმის გადაწყვეტის — ქვეყნის გაერთიანების — ინტერესებით იყო გამართლებული.

გივი ამილახვრის წინააღმდეგ ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ქსნის ხეობის აღების შემდეგ ქართველთა და ყიზილბაშთა შეერთებული ლაშქარი უშუალოდ ამ ფეოდალს დაუპირისპირდა, რომელსაც „ჰქონდა გამაგრებული სხვილოს ციხე, ორი ჭალა, სურამი, კეხვი, ქცხინვალი და საქართლის ციხე ქსანზე, კიდევ წიქორი“. აღნიშნული ციხეების აღება არტილერიის დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომ თეიმურაზის ბრძანებით ერეკლემ თბილისიდან „წამოიღო თოფხანა ჯაბახანით და შეეყარა მამასა თვისსა“.

ამასობაში ახალციხიდან აჯანყებულთა დასახმარებლად ოსმალთა დიდი ლაშქარი გამოემართა. მოკავშირეებმა ეს ლაშქრობა დიდი მონდომებით მოამზადეს, ქართლის თავადებს მოწოდებები და წყალობის დაპირებები გამოუგზავნეს და ზოგიერთი მათგანის გადაბირება მოახერხეს[34]. მაგრამ თეიმურაზი და ერეკლე ენერგიულად და ხერხი-

---

32 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, გვ. 331.
33 საქართველოს ცხოვრება, გვ. 246.
34 პ. ორბელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

ანად მოქმედებდნენ, მათ მოწინააღმდეგეს დაასწრეს და ფიცხელი შეტევით აჩაბეთის ციხე დაიკავეს. როცა ოსმალთა და ამილახვრის ლაშქარი აჩაბეთის ციხეს მოადგა, იქ ერეკლე იყო გამაგრებული. მოწინააღმდეგემ ციხის დაბრუნება სცადა, მაგრამ მისი შეტევა ჩაიშალა. ციხისელებმა მომხვდურები სასტიკად დაამარცხეს და უკუაგდეს. ჩქარა ამილახვარსა და ოსმალებს ცხინვალის ციხის დათმობაც მოუხდათ. რის შემდეგაც, როგორც ჩანს, ოსმალთა ლაშქარმა ქართლის საზღვრები დატოვა, ამილახვარი კი თავისი მომხრეებით სურამის ციხეში გამაგრდა[35].

იმ ხანებში საშინაო და საგარეო მტრებმა ნადირ-შაჰის წინააღმდეგ პროპაგანდისტული ბრძოლა გააჩაღეს, რაშიც მის მიერ ირანის ტახტის არაკანონიერი მითვისების ფაქტიც გამოიყენეს. როგორც ითქვა, ნადირი თამაზ-შაჰის სარდალი იყო; ძალაუფლება რომ მოიხვეჭა, თამაზ-შაჰი გადააყენა და ერთხანს მისი მცირეწლოვანი ვაჟის რეგენტის უფლებებით განაგებდა ქვეყანას. შემდეგ კი მუღანის ველზე მოწყობილი სპექტაკლით შაჰის ტახტი ოფიციალურად დაიკავა. ახლა, თურქეთთან ომისა და საშინაო გართულებების ვითარებაში, ოსმალეთის საზღვრებთან გამოჩნდა პიროვნება, რომელიც თავს შაჰთამაზის შვილად აცხადებდა, მამისეული ტახტის დაბრუნებას ითხოვდა და ირანელებსა და მისი ქვეშევრდომი ქვეყნების ხალხებს უზურპატორ შაჰ-ნადირის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. ამ ფაქტს შეეძლო ირანის მბრძანებლის არამყარი მდგომარეობა კიდევ უფრო გაერთულებინა. ნადირი შეშფოთდა. სასწრაფო ღონისძიებები დასახა და ირანის ტახტის მაძიებლის შეპყრობა უშუალოდ თავის მემკვიდრეს — ნასრულა მირზას დაავალა. ნასრულამ ამ საქმეში წარმატებას ვერ მიაღწია, სამაგიეროდ ირანის ტახტის პრეტენდენტის შეპყრობა ერეკლემ მოახერხა, რითაც დიდი სამსახური გაუწია ხელმწიფეს და მისი მადლობა და წყალობა დაიმსახურა[36]. ირანის ბრძანებელმა მის ერთგულ მამა-შვილს ოსმალთა და ლეკთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლა და სამსახური გულუხვად დაუფასა და ქართლისა და ბორჩალოს საქმეების გაძღოლა დაავალა: „მოუვიდა მეფეს თეიმურაზს წყალობის რაყამი ხელმწიფისა, დადვა საქმე ქართლისა და ყაზახ-ბორჩალუსი: „შენი უნებური არა იქნას რაო, როგორც შენ მაქსახურებ, ჩვენ შენ სიტყვას ვერვართო“. ამასთან, ქართლის გა-

35 პ. ორბელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

36 იქვე, გვ. 76.

დასახადები კიდევ ერთხელ შეუმცირა. ხოლო თეიმურაზს „დაპირებოდა მიცემასა ქართლისასა“[37].

ამრიგად, კახეთის ხელისუფლებმა ქართლში პოზიცია მნიშვნელოვნად განიმტკიცეს და მისი შემოერთების საკითხი დღის წესრიგში დააყენეს. თეიმურაზისა და ერეკლეს ერთგული სამსახურით მადლიერი ნადირი თითქოს მზად იყო მათთვის ქართლის სამეფოც დაემტკიცებინა, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა, როგორც ჩანს, ადვილი საქმე არ იყო. ისიც აშკარაა, რომ ირანის მბრძანებელი მაინცდამაინც არ ჩქარობდა თავისი ქვეშევრდომებისათვის ესოდენ სასურველი სახეჩუქრის მიძღვნას. მას ამ საკითხის გაჭიანურება აწყობდა, რათა ისინი თავდადებულ სამსახურზე კიდევ უფრო წაექეზებინა; მაგრამ იყო სხვა, უფრო მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომელიც ქართლ-კახეთის შეერთებას ართულებდა. მართალია, ყიზილბაშთა ბატონობის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ქართლში არაერთი განმგებელი (ხანი) გამოიცვალა, მაგრამ ისინი ირანის ჩვეულებრივი მოხელეები იყვნენ, რომელთაც ამ სახელოს მემკვიდრეობით გადაცემის არც უფლება ჰქონდათ და არც პრეტენზია. ქართველი პროგრესული მოღვაწეები, თეიმურაზისა და თამარ დედოფლის მეთაურობით, ქართლის ტახტის მემკვიდრეობით მიღებისათვის იბრძოდნენ. თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართულ ფეოდალურ სამყაროში ტახტის მემკვიდრეობით დაკავების საკითხს. ეს კარგად ჩანს ქართველი პროგრესულ მოღვაწეთა შესანიშნავი წარმომადგენლის — ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის თხზულებიდან. ქართველებს, არაფსაფუძვლოდ მიაჩნდათ. რომ მოხელე-მმართველი, მიუხედავად იმისა, გამაჰმადიანებული ქართველი იქნებოდა იგი, თუ არაქართველი, ქვეყნისათვის უცხო პიროვნება იყო, რომელსაც ხალხის სატკივარი ნაკლებად აწუხებდა, თანამდებობას მხოლოდ ხელმწიფის წინაშე ვალის მოხდისა და საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების თვალსაზრისით უყურებდა. სხვა იყო მემკვიდრე მეფე, რომელიც სამეფოს პატრონად, მფარველად უნდა გამოსჩენოდა და მისი ჭირი თუ ლხინი საკუთრად მიეჩნია. სწორედ ამ აზრს ატარებს ისტორიკოსი, როცა, აღწერს რა იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც ქართლში ირანის ბატონობის განახლების პირველ წლებში დამყარდა და რომელმაც ქვეყნიდან მშრომელი მოსახლეობის მასიური აყრა,

---

37 პ. ორბელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

გაქცევა გამოიწვია, იქვე შენიშნავს „ვინც დარჩა კიდევ ამისი იმედი ჰქონდათ, რომ ერთი მ ე მ კ ვ ი დ რ ე ბ ა ტ ო ნ ი გამოგვიჩნდება და ამ ჭირისაგან გამოგვიხსნისო“[38].

კახეთის ბაგრატიონთათვის ქართლის ტახტის მიღება რთული საქმე იყო და, როგორც ირკვევა, ეს სირთულე კვლავ თამარ დედოფლის იშვიათმა დიპლომატიურმა ნიჭმა, შორსმჭვრეტელურმა ალღომ და არაჩვეულებრივმა ენერგიამ გადაწყვიტა. მართალია, წყაროები თითქმის არაფერს ამბობენ, თუ რა შრომა ჩაატარა პატრიოტმა ქალმა ამ უაღრესად პროგრესული საქმის მოგვარებისათვის, მაგრამ მასში მისი წამყვანი და გადამწყვეტი როლი სრულიად უეჭველია. არის მოსაზრება, რომ კახეთის დედოფალი შაჰის ბრძანებით ერთხანს ქართლის გამგებლადაც კი დაინიშნა, ხოლო შემდეგ „თამარმა, როგორც ვახტანგ VI-ის კანონიერმა მემკვიდრემ, მოლაპარაკება გაჰართა გავლენიან თავადებთან და დაარწმუნა ისინი წინააღმდეგობა არ გაეწიათ, რომ მისი ქმარი მისი მამის ტახტზე დავჯდარიყო“[39]. რუს ისტორიკოს პ. ბუტკოვს დაცული აქვს ცნობა იმის შესახებ, რომ თამარ დედოფალმა დაითანხმა ქართლის თავადები, მისი ძმების რუსეთიდან დაბრუნებამდე მას ემართა ქართლი, ისე, რომ არც თეიმურაზს და არც ერეკლეს ამაში ხელი არ ეჭნებოდათ. ეს ამბავი ძმებსაც შეატყობინა რუსეთში და ერთი წლის განმავლობაში მართლაც ასე იყო[40]. არ ვიცით რა წყაროებით სარგებლობდა პ. ბუტკოვი, როცა ამგვარად წარმოსახავდა ვითარებას. სხვა ცნობებით ქართლის ტახტი თავიდანვე თეიმურაზმა მიიღო, მაგრამ ამჯერად ეს არ არის მთავარი, მთავარი ისაა, რომ მისი ცნობაც, ისევე როგორც ყველა სხვა წყაროს მიხედვით, ამ საქმეში მთავარი როლი თამარმა შეასრულა. ეს როლი კიდევ უფრო აშკარად ჩანს იმ შეფასებაში, რომელიც თამარ დედოფლის ღვაწლს მისმა თანამემამულეებმა მისცეს „ვინა გამოგვიჩინა ხსნად ჩვენდა ჭირვეულთაო და გვიხსნა მტერთაგან ჩვენთაო“[41]. ასეთი იყო ქართველთა აზრი დიდი ვახტანგ VI-ის სახელოვან ასულზე.

ამრიგად, 1744 წლის ივლისში ნადირ-შაჰმა ქართლის ბატონობა თეიმურაზს უბოძა, ხოლო კახეთისა — ერეკლეს[42]. ამ ცნობას ხალხის არ-

---

38 პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 46 (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

39 გ. ქ ი ქ ო ძ ე. ერეკლე მეორე, თბ., 1941, გვ. 45.

40 პ. ბ უ ტ კ ო ვ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

41 პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

42 იქვე, გვ. 81.

ნახული აღფრთოვანება გამოუწვევია, რადგან მემატიანეს გადმოცემით „კ(20) წელს გადეცლო და მემკვიდრე-მეპატრონე აღარავინ მჯდარიყო ქართლსა. ამისთვის უფრო სიხარული ჰქონდათ, მემკვიდრე ქრისტეს მოყვარე მეფე დაუჯდათ და ამით ყოველი შეჭირვება დაავიწყდათ ქართველთა“[43].

თანამემამულეებმა ღირსეული პატივი მიაგეს ამ დიდი ისტორიული მოვლენის ინიციატორსა და შემოქმედს. ირანიდან სასიხარულო ცნობა რომ მოვიდა, თამარ დედოფალი კახეთში მბრძანდებოდა. თეიმურაზმა მასთან დელეგაცია გაგზავნა და მისი თბილისში ჩამოსვლა საგანგებო ზეიმით მოაწყო: „ქალაქს დააყენა სიძე თვისი მანდატურთუხუცესი, გასაგებად საქმისა და მზადყოფად ბატონის დედოფლის დასახვედრელ. მსწრაფლ აღასრულა ბრძანებანი მეფისანი, მოამზადნა და მოაფარდაგნა სარაია საყოფელნი. კუალად განაწესნა მოქალაქენი ანუ დასნი სამღვდელონი, რომელიმე მიმგებელ და შემსხმელ ქებათა, რომელიმე შლად ფინდაზთა, მიმრთმეველ შაქარ-საყნოსელთა და რომელიმე იყვნეს ცდად მეჯლისისათა“[44]. თამარს ერეკლე მეფე და ანტონ კათალიკოსი მოაცილებდნენ, რადგან დედოფალს მათ გარეშე წამოსვლა არ უსურვებია. „გაეგებნენ დასნი სამღვდელონი ანუ ერთა გუნდნი და დედათა ბანაკნი, შეასხეს ქება და მადლობდენ ღმერთსა... შემობრძანდა ქალაქში და დაბრძანდა ტახტსა ზედა დედისა თვისისა რუსუდან დედოფლისათა“...[45].

ირან-თურქეთის ომი გრძელდებოდა. საქართველო ამ ომში თურქეთის წინააღმდეგ ორ ფრონტზე იბრძოდა. ერთი — ბორჯომის ხეობის ყელთან გადიოდა, სადაც გივი ამილახვარი იყო გამაგრებული, მეორე — ქვემო ქართლში — სადაც თურქებს დმანისის ციხე ჰქონდათ დაკავებული. ცხადია, ამგვარი ვითარება ძალების დაქსაქსვას იწვევდა და ბრძოლის ეფექტს ამცირებდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ თურქეთის წაქეზებით საქართველოში ლეკთა შემოსევები გახშირდა. მაგრამ ჩქარა თეიმურაზმა დმანისის ციხის აღება მოახერხა, ხოლო შემდეგ მთელი ქვემო ქართლიც გაწმინდა მტრისაგან და უკვე აქედან ჯავახეთში უტევდა მოწინააღმდეგეს.

იმ ხანებში ირანის ლაშქარი ყარსის აღებას ცდილობდა, მაგრამ ზამთრის სიცივეების გამო ნადირმა ალყა მოხსნა და ჯარით უკან გა-

---

43 პ. ორბელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 82. (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

44 იქვე, გვ. 85.

45 იქვე.

მობრუნდა. ირანში გზად მიმავალმა თეიმურაზი, ერეკლე და თამარ დედოფალი თავისთან დაიბარა. ჯერ ქართლისა და კახეთის მეფეები ეახლნენ ხელმწიფეს, შემდეგ კი აღჯაყალას, სადაც ნადირი იყო გაჩერებული, თამარ დედოფალიც ჩავიდა ბეგუმისა და ანუკა ბატონიშვილის თანხლებით. შაჰმა მანდილოსნები არაჩვეულებრივი პატივით მიიღო და უეჭველია ქართლ-კახეთის პოლიტიკოსებთან მნიშვნელოვანი თათბირი გამართა. თუ რა საკითხები იხილებოდა ამ თავყრილობაზე, ამის შესახებ ცნობები არა გვაქვს. ის კი ცნობილია, რომ შაჰმა ამიერკავკასიაში მყოფი ირანის ჯარების ხელმძღვანელობა თეიმურაზს მიანდო, თან მრავალმნიშვნელოვნად დააიმედა, „ვითა შვილი ჩემი, ეგრე გიყურებო, მარტო ქართლი შენი საკადრისი არ არისო, სხვის ქვეყნისაც მოიმედე იყავო“[46]. ეს დაპირება ქართლ-კახეთის პოლიტიკოსთა პერსპექტიული პროგრამის თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა და ცხადია, იგი შემთხვევით არ გაჩენილა. მოკავშირეთა მიზნებისა და ინტერესების გათვალისწინება აღჯაყალის თათბირის შინაარსის სავარაუდოდ წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

ნადირ-შაჰის მიზნები და მოთხოვნილებები ნათელია. მას ოსმალეთთან ომი ჰქონდა. ომის ასპარეზი საქართველოს გარშემო იყო გაშლილი. ამ ომში ირანის წარმატებას მნიშვნელოვნად აფერხებდა ზემო ქართლში გივი ამილახვრის განდგომა და მისი კავშირი მოწინააღმდეგესთან. შესაბამისად, ირანი ხედავდა, რომ ქართლსა და კახეთს მისი ნიჭიერი და ენერგიული მეფეების ხელმძღვანელობით შეეძლო დიდად დახმარებოდა მტერზე საბოლოო გამარჯვებაში. მაშასადამე, აღნიშნულ თათბირზე იგი ქართველ პოლიტიკოსებს ამ მიმართულებით ღონისძიებების გაძლიერებასა და თავდაუზოგავ ბრძოლას თხოვდა და სამაგიერო წყალობას ჰპირდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველი დიპლომატები თავის მხრივ სპარსეთის ხელმწიფეს თავდადებით ბრძოლას ჰპირდებოდნენ და მტერზე გამარჯვების შემთხვევაში დამარცხებული თურქეთის ხარჯზე ტერიტორიების შემომატებას ითხოვდნენ. ქართველებისათვის სასურველი ტერიტორიები შექმნილ ვითარებაში მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის ისტორიული ქართული მიწები შეიძლება ყოფილიყო. ნადირ-შაჰს ამგვარი მოთხოვნის საწინააღმდეგო პრინციპულად არაფერი უნდა ჰქონოდა. მისი მიზანი თურქეთის დამარცხება და ამ ტრადიციული მტრის დასუსტება, ე. ი. მის-

---

46 ჰ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 90 (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

თვის რაც შეიძლება მეტი ტერიტორიის წართმევა იყო. სამცხე-ჯავახეთი უშუალოდ ქართლს ესაზღვრებოდა. ქართლ-კახეთი ირანის სახელმწიფოში შედიოდა ოფიციალურად, მაშასადამე, აღნიშნული მიწების ქართლის მეფისთვის გადაცემა, ფაქტობრივად ირანის სახელმწიფოს შემადგენლობაში მათ მოქცევას ნიშნავდა. ამგვარი ლოგიკისა და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უნდა იყოს გაჩენილი ნადირ-შაჰის დაპირება: „მარტო ქართლი შენი საკადრისი არ არისო, სხვის ქვეყნისაც მოიმედე იყავო“. მაშასადამე, ნათელია, რომ უკვე 40-იანი წლების პირველ ნახევარში ქართველი პოლიტიკოსები მარტო ქართლისა და კახეთის შეერთებას კი არ გეგმავდნენ, არამედ ქვეყნის გაერთიანების გზაზე ისინი გაცილებით შორს იხედებოდნენ და მეთოდურად მთელ საქართველოს გაერთიანებას ამზადებდნენ.

აღჯაყალის თათბირიდან შაჰის დავალებითა და დაპირებით გულმოცემული და ყიზილბაშური ჯარის ნაწილებით გაძლიერებული მეფეები პირდაპირ გივი ამილახვრის წინააღმდეგ მიდიან. აქ მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ: მტრის მომხრეთაგან რამდენიმე გავლენიან თავადს თავის მხარეზე იბირებენ, ამით მოწინააღმდეგის ბანაკს მნიშვნელოვნად ასუსტებენ. შემდეგ საერთო ენას ნახულობენ ამილახვრის ვაჟთან — დიმიტრისთან, რომელიც ახალდაბის ციხეში იყო გამაგრებული, მას ამილახვრობას (თანამდებობას) ჰპირდებიან და ახალდაბის ციხეს ხელთ იგდებენ. ჩქარა მათ ხელში გადადის კეხვის ციხეც.

ამ მარცხის შედეგად აჯანყებულთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გართულდა, რადგან ახალდაბის ციხის დაკარგვით მათ მოკავშირესთან (ახალციხის საფაშოსთან) უშუალო, ძირითადი კომუნიკაცია დაეხშოთ და აქედან დახმარების მიღების შესაძლებლობა ფაქტობრივად მოესპოთ. ამავე დროს, ქართველ მეფეებს ახალციხეზე პირდაპირი შეტევისათვის გზა გაეხსნათ და მათაც მაშინვე ისარგებლეს: სურამის ციხეს, სადაც გივი ამილახვარი იყო გამაგრებული, ღრმა თხრილი შემოავლეს და მოალყეები დაუყენეს. თვითონ კი ლაშქრით ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ, ფიცხელი ბრძოლით საკირეს ციხე აიღეს, მაგრამ უწინდებურად, როცა ისინი ამ რეგიონში თარეშის სახის ოპერაციებს აწარმოებდნენ, უკან კი არ გამობრუნდნენ, არამედ აქ გამაგრდნენ, რითაც ამ ტერიტორიების დაკავების მიზნები გამოამჟღავნეს. თავისი გამარჯვების შესახებ მეფეებმა ნადირ-შაჰს ცნობა

გაუკვირდნენ, მაგრამ მისგან მოულოდნელი ბრძანება მიიღეს: „ახალციხის ქვეყანაში რომ ციხე დაგიშენებიათ, ისევ დაანგრიოთ...“[47].

თუ ზევით მოტანილი ვარაუდები აღჯაყალის თათბირისა და იქ მიღებული შეთანხმების თაობაზე სინამდვილეს შეეფერება, მაშინ გასარკვევია, თუ რამ გამოიწვია შაჰის ასეთი განკარგულება; ეს ფაქტი ორგვარად შეიძლება აიხსნას: ან ერთობლივი გადაწყვეტილებისა და ურანელთა გეგმის შესაბამისად, გათვალისწინებული იყო ჯერ ამილახვრის აჯანყების საკითხის გადაწყვეტა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაწყებულიყო შეტევა ახალციხის მიმართულებით. შესაბამისად ირანელებს შეიძლება მიაჩნდათ, რომ ახალციხის ოპერაციის გაგრძელება, აღნიშნულ (ამილახვრის) ძირითადი საკითხის მოგვარებას გაართულებდა და გააჭიანურებდა, ამიტომ შაჰმა მეფეები აჩქარებისა და შეთანხმების პირობების დარღვევისათვის გაკიცხა და დასჯა; ან ნადირი თურქეთთან საზავო მოლაპარაკებას იწყებდა (უკვე 1745 წელი იყო და ამ წელს ომი ირანსა და თურქეთს შორის ფაქტობრივად დასრულდა) და ამდენად მოწინააღმდეგის ზედმეტად გაღიზიანება, რასაც შეიძლება სასურველი საზავო შეთანხმების ჩაშლა გამოეწვია, აღარ აწყობდა და არც თავისი მიზნების ნაადრევად გამჟღავნება უნდოდა. ასეა თუ ისე, ახალციხის საკითხი იმჯერად დღის წესრიგიდან მოიხსნა.

ამის შემდეგ მეფეებმა, კვლავ თამარ დედოფლის აქტიური ჩარევით, ამილახვრის აჯანყების ჩაქრობა მოახერხეს. მოკავშირესა და დახმარებას მოკლებული ეს ძლიერი თავადი დედოფლის სიტყვას ენდო და სურამის ციხიდან გამოვიდა. ქართლი მთლიანად თეიმურაზ II-ის ხელში მოექცა. ამრიგად, დასრულდა ქვეყნის გაერთიანების ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი.

ქართლისა და კახეთის ფაქტობრივი შეერთებით ეს ქართული პოლიტიკური ერთეული ამიერკავკასიაში უმნიშვნელოვანეს ძალად იქცა, რომელსაც შეეძლო ქვეყნის გაერთიანების გზაზე შემდგომ წინსვლაზე ეზრუნა.

---

47 პ. ორბელიანის დასახ. ნაშრომი, გვ. 96 (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

4. ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა და 1752 წლის ელჩობა

1745—1750 წლებში ქართლ-კახეთი თანდათან ძალას იკრებდა და ამიერკავკასიაში თავის გავლენას აფართოებდა. ეს მეტად რთული და მტკივნეული პროცესი იყო. მარცხი და წარმატება, სიხარული და იმედის გაცრუება ერთმანეთს ცვლიდა. ჯერ იყო და ამდენ ნაპატიებ და ნაფერებ ქართველებს ნადირ-შაჰი მოულოდნელად შემოსწყრა და უზარმაზარი გადასახადი (200 000 თუმანი) შეაწერა. მეფეები ომისთვის მოემზადნენ, ხალხი მთებში გაიხიზნა. შემდეგ ყაენი თითქოს მოლბა და ქვეყანას გადასახადი აპატია. მაგრამ ერეკლე მეფე თავისთან დაიბარა. ერეკლეს წასვლას ქართველი პოლიტიკოსები არ გაუპირდნენ და ეს მისია თეიმურაზმა იკისრა. ვინ იცის, რით დამთავრდებოდა მისი ვიზიტი ირანის ცბიერ გამგებელთან, მაგრამ 1747 წელს, ვიდრე თეიმურაზი ირანში ჩავიდოდა, ნადირ-შაჰი შეთქმულებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

ირანის საქმეები კვლავ აიშალა. ტახტის მაძიებლები ერთმანეთს დაერივნენ. თეიმურაზმა ირანში ორი წელი დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში იქ არაერთი ხელმწიფე შეიცვალა, მაგრამ ჭკვიანი დიპლომატი ყველასთან ახერხებდა საერთო ენის გამონახვას და იმასაც კი მიაღწია, რომ ახალი მიწების მიღებით სამეფოს ტერიტორია მდინარე აღსტაფის ხეობამდე გააფართოვა[1].

ცენტრიდანული ძალები შეეცადნენ ესარგებლათ თეიმურაზის ირყოფნით და ქართლი და კახეთი კვლავ ერთმანეთისთვის დაეცილებინათ: ჯერ ალი-ხანი აჯანყდა, შემდეგ კი ქართლის გამგებელი აბდულა-ბეგი. იესე მეფის ამ გამაჰმადიანებულმა ვაჟმა ქართლის დასაკუთრება მოინდომა და ერეკლეს პირობა წამოუყენა: „მეფე ირჩილობით ქართლი ჩემიაო, დამანებეო და შენ კახეთს მიეპატრონეო“[2]...

აბდულა ბეგმა მრავალი ქართველი თავადის მიბრობა მოახერხა, თბილისის ყიზილბაშურმა გარნიზონმაც მას დაუჭირა მხარი და მალე იგი თითქმის მთელ ქვემო ქართლს უწევდა კონტროლს. ერეკლემ

---

1 გ. ქიქოძე. ერეკლე მეორე, თბ., 1941, გვ. 58.

2 თ. ორბელიანი. ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981, გვ. 128.

ენერგიული ზომები მიიღო აჯანყების წინააღმდეგ და ფიცხელ ბრძოლაში არაერთხელ დაამარცხა განმდგარი ბატონიშვილის რაზმები, მაგრამ ამ აჯანყების მთლიანად ჩაქრობას თითქმის 2 წელი დასჭირდა.

1749 წელს მეფე თეიმურაზი ირანიდან დაბრუნდა. ამ ხანებში ირანის კარზე დაწყებული არეულობის გამო, უპატრონოდ დარჩენილი ამიერკავკასიის მცირე სახანოები ერთმანეთს დაერივნენ. შექმნილი ვითარებით მოხერხებულად სარგებლობდნენ ერეკლე და თეიმურაზი და ამ რეგიონში თავის გავლენას ზრდიდნენ. „გაერთიანებული ქართლ-კახეთი ამიერკავკასიის სხვა სახანოებს შორის ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო. ამიტომ მეზობლის მიერ მიძძლავრებული ესა თუ ის ხანი „დახმარება-მფარველობას“ ქართლ-კახეთის მეფეებთან ეძებდა“[3]. ამდენად, როცა 1749 წელს ერევნის ხანმა მეფეებს ერევნის დასაპყრობად წამოსული მაჰმად-ხანის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა, ქართველებმა მომხდური დაამარცხეს და გააქციეს, ხოლო ერევანს ყოველწლიური ხარკი განუწესეს.

იმავე წელს ქართლ-კახეთმა ნახიჩევნის ბამან-ხანის მფარველობაც იკისრა და ეს სახანოც თავის გავლენის სფეროში მოაქცია.

ამავე ხანებში გაძლიერებული ყარაბადის ფანა-ხანი განჯას და ნახიჩევანს ავიწროებდა. განჯის შავერდი-ხანმა დახმარებისათვის ქრისტიან მეფეებს მიმართა და ისეთივე ხარკი და მორჩილება იკისრა, როგორიც ერევნის ხანმა. ქართველი მეფეების პოლიტიკაში განჯას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკავა როგორც სტრატეგიული, ისე პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. განჯის ხანმა ლაშქრობის საზღაურად მეფეებს ფულადი გასამრჯელო მისცა, შამშადილუს პროვინცია დაუთმო და ყოველწლიური ხარკი და მორჩილებაც ივალდებულა[4].

ქართველთა წარმატებები ბევრს არ მოსწონდა. განსაკუთრებით დაფრთხნენ ლეკთა თემები, რომელთა დამორჩილებას მეფეები ახლა პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევდნენ. ბრძოლის ინიციატორად ჭარ-ბელაქნის „უბატონო თემები“ გამოვიდნენ (ისინი გრძნობდნენ, ქართველთა პოლიტიკა იქეთკენ მიდიოდა, რომ ჩქარა ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ენისელის შემოერთების საკითხსაც დააყენებდნენ).

---

[3] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 341.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 615—616.

1750 წელს საქართველოზე ლეკთა 7000-იანი ჯარი წამოვიდა. მომხდურებმა ერთდროულად კახეთსა და ყაზახს შეუტიეს. ქართველებმა ენერგიული მოქმედებით მოახერხეს ამ საფრთხის უკუგდება. ლეკები სასტიკად დაამარცხეს და ახლა „უბატონო თემების“ დაპყრობისათვის სამზადისს შეუდგნენ[5]. ყველაფერი ისე იყო ორგანიზებული, რომ საქმის წარმატებას ვერაფერი დააბრკოლებდა, მაგრამ ამ დიდ წამოწყებას წინ აღუდგა შექი-შირვანის ხანი აჯი ჩალაბი, რომელიც ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უძლიერესი მფლობელი იყო და ქართველთა წარმატებებს ერთდროულად შურისა და შიშის თვალით უყურებდა. 1751 წლის თებერვალში ჭარელებზე გალაშქრებულ მეფეებს მოულოდნელად სწორედ აჯი ჩალაბის ლაშქართან მოუხდათ შეტაკება. აჯი ჩალაბმა სამხედრო ხერხი იხმარა. ქართველები მის ფანდს წამოეგნენ და სასტიკად დამარცხდნენ.

ამ წარუმატებლობას თეიმურაზისა და ერეკლეს გულის გატეხვა არ გამოუწვევია. იმავე 1751 წელს მათ სასტიკად დაამარცხეს ირანის ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი აზატ-ხანი, რომელიც ადერბაიჯანს ფლობდა და მთელი ამიერკავკასიის დაპყრობას ცდილობდა. ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა და რეზონანსი ჰქონდა, ვინაიდან ერეკლემ იგი ბრწყინვალე სამხედრო ნიჭისა და სიმამაცის წყალობით მტრის 18000-იანი ლაშქრის წინააღმდეგ 3—4 ათასიანი რაზმით მოიპოვა. ქართლ-კახეთის პოლიტიკური ბატონობის სფერო მდინარე არაქსამდე გავრცელდა[6].

იმ ხანებში ქართლ-კახეთის საერთაშორისო ავტორიტეტი უზომოდ გაიზარდა. „გაითქვა ხმა ყოველგან ადრიბეჟანის ქვეყანაში: „ქართლის ჯარი ჩამოდგაო და პირველისაებრ ადრიბეჟანის ქვეყანა ქართველმა ბატონმა დაიჭირაო“, შეშინდა ყოველი ქვეყანა და მონებდნენ მეფესა ქართლისასა თეიმურაზს და ძესა მისსა, მეფესა კახეთისასა, ერეკლეს“[7] — გვაუწყებს ისტორიკოსი პ. ორბელიანი. მისივე თქმით, „შეშინდა ყოველი ქვეყანა და მონებდენ ქართველ ბატონს ხმლის ძალით გარეშემონი ქვეყანანი“[8]. ქართველთა გამარჯვებების ექო შორს გასცდა ამიერკავკასიის ფარგლებს.

---

5 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 349.
6 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 621.
7 პ. ორბელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 164.
8 იქვე, გვ. 172.

ასეთი იყო ძირითადად საქართველოს მდგომარეობა იმ ხანებში, როცა თეიმურაზმა და ერეკლემ (1752 წლის 30 მაისს) რუსეთში ელჩობა გაგზავნეს მიტროპოლიტ ათანასე თბილელისა და თავად სიმონ მაყაშვილის მეთაურობით[9].

ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ამ ელჩობის მიზანი ზოგადად „ატეხილი მტრების წინააღმდეგ“ დახმარების თხოვნა იყო[10]. კონკრეტულად კი ის, რომ მეფეებს სურდათ, ლეკების საწინააღმდეგოდ რუსეთისაგან დამხმარე ჯარი ან მისი დასაქირავებელი თანხა მიეღოთ და საიმპერატორო კარს პირიქითა ლეკებისათვის, რომლებზედაც მისი გავლენა ვრცელდებოდა, საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედება აეკრძალა. ამასთანავე, ითვალისწინებდნენ რა ირანში შექმნილ ვითარებას, საიდუმლო მუხლებით მეფეები რუსეთს ამ მიმართულებით ლაშქრობას, კასპიისპირეთის ქალაქების რუსეთისათვის დაპყრობასა და იქ სასურველი პერსონის ტახტზე აყვანას სთავაზობდნენ[11].

მართლაც, მიუხედავად სერიოზული წარმატებების და სამეფოს გავლენის სფეროს მნიშვნელოვანი გაფართოებისა, თეიმურაზმა და ერეკლემ ლეკების საკითხი არათუ ვერ გადაჭრეს, არამედ ამ მიმართულებით რაიმე არსებით წარმატებასაც ვერ მიაღწიეს. როგორც ზემოთ ითქვა, მათი ლაშქრობა ჭარ-ბელაქნის წინააღმდეგ, რომელიც ლეკების საქართველოზე თარეშის დასაყრდენი პუნქტი იყო, ჩაიშალა. მართალია, ქართული რაზმები წარმატებით ებრძოდნენ ლეკთა მსხვილ ურდოებს, მაგრამ შედარებით მცირე რაზმების გაუთავებელი სისხლისმსმელი შემოტევები (თარეშები) იმდენად საზიანო იყო, რომ მეფეთა დიდ წარმატებებს ანეიტრალებდა.

---

9 მართალია, ელჩობის გამგზავრების წინ, იმავე წლის აპრილში, ქართველთა ლაშქარმა, რომელსაც მოკავშირე ხანებმა ვერაგულად უღალატეს, სასტიკი დამარცხება განიცადა აჯი-ჩელებთან შეტაკებაში, მაგრამ ამ მარცხის დაკავშირება ელჩობის გაგზავნასთან ვაუმართლებელი იქნება, რადგან უეჭველია, რომ ელჩობა დიდი ხნით ადრე მზადდებოდა. აღსანიშნავია, რომ იმავე წლის სექტემბერში ქართველებმა სამაგიერო გადაუხადეს შექის-ხანს და თულქითაფასთან ბრძოლაში მისი ჯარები ერთიანად გაჟლიტეს, მოღალატე მოკავშირეები კი სასტიკად დასაჯეს. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 624—625.).

10 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 360.

11 ი. ციცაძე, ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში, საისტორიო მოამბე, 6, თბ. 1952. გვ. 149. Г. Паичадзе. Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII века, Тб., 1970,

რუსეთს ამ საქმეში მართლაც არსებითი დახმარების გაწევა შეეძლო. ის მცირე 3000-იანი რაზმიც კი, რომელსაც თეიმურაზი და ერეკლე ითხოვდა, რუსი ჯარისკაცის მაღალი საბრძოლო თვისებებისა და წინა აზიაში გავრცელებული კიდევ უფრო მაღალი ავტორიტეტის გამო, საკმარისი იყო მეზობლებში შიშისა და მორიდების სულისკვეთების ჩასანერგად. დიდი მნიშვნელობა ექნებოდა აგრეთვე საქართველოში რუსის ჯარის ყოფნის თვით ფაქტს, როგორც ქართველების გამამხნევებელ და მტრის დასაშინებელ მორალურ ფაქტორს. ეს მომენტი კარგად ჩანს სვიმონ მაყაშვილის მოხსენებაში: „ამის წინათ დიდი ხანი არ არის ჩვენმა მეფეებმა თვითონ დაიბარეს ჩერქეზების ჯარი. და მოვიდნენ თუმცა იმათი მოსვლა ჩვენთვის მაგთენი შასამატი არ იყო, მაგრამ ჩვენმა მტერმა ნახეს დიდი შიში შეექმნათ და ეგონათ ისინი რუსეთის ხემწიფისაგან... ჩვენთვის საშკელად და რუსეთის ყმანი ვყოფილიყოთ ისე გაშინჯა მტერმა“[12].

როგორც ჩანს, მეფეები ირანის საკითხშიც ინტერესების დამთხვევას ითვალისწინებდნენ. მათ შესანიშნავად იცოდნენ ირანის მიმართ პეტრე I-ის პოლიტიკის არსი, რომელიც კასპიის ზღვაზე გაბატონებას და, რაც მთავარია, დასუსტებული ირანის ხარჯზე თურქეთის მოსალოდნელი გაძლიერების შესაძლებლობის აღკვეთას ითვალისწინებდა. სიტუაცია კი ირანში ამჯერადაც ისეთი იყო, რომ ამ გეგმის განხორციელებას თითქოს არაფერი უშლიდა ხელს (სხვა საკითხია, რომ 50-იან წლებში ევროპაში შექმნილმა ვითარებამ რუსეთს ამის საშუალება არ მისცა). ქართველები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი რუსეთის პოლიტიკის დეტალებში. მაგალითად, მათ უნდა სცოდნოდათ, რომ 1747—1748 წლებში, ჯერ კიდევ ნადირის სიცოცხლეში და მის შემდეგაც, რუსეთსა და ირანს შორის ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ კინაღამ ომი დაიწყო[13]; რომ რუსეთი გაფაციცებით ადევნებდა თვალს წინა აზიის ამბებს და მზად იყო თურქეთის ყოველ შეუფერებელ ნაბიჯზე სათანადოდ ეპასუხა. საქმე იქამდეც მიდიოდა, რომ რუსეთის იმპერიის კანცლერის აზრით, საჭირო იყო ახალი ექსპედიციის მოწყობა გილანის ხელში ჩასაგდებად. მართალია, თათბირის შემდეგ, 1747 წლის 7 აგვისტოს, საგარეო საქმეთა კოლეგიამ თავი შეიკავა ირანში

с. 152; О. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966. с. 128.

12 ი. ციცაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

13 ო. მარკოვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

აქტიური მოქმედებისაგან, სამაგიეროდ საგანგებო ღონისძიებები დასახა ამ რეგიონში თურქეთის მოსალოდნელი აქციების შემთხვევაში საბრძოლო მზადყოფნის შესახებ[14].

ქართველები თვითონაც დაინტერესებულნი იყვნენ ირანში სასურველი კანდიდატურის დასმით და იქ არეულობის აღკვეთით ცხადია, თუკი ირანში ისეთი მორჩილი გამგებელი დაჯდებოდა, როგორიც, ვთქვათ, თავის დროზე ადილ-შაჰი იყო, რომელიც ქართლ-კახეთის მეფეებს პატივისცემასა და ყურადღებას არ აკლებდა და სამაგიეროდ თითქმის არავითარ სამსახურს არ ითხოვდა, ისინი ამას სიხარულით მიესალმებოდნენ. მაგრამ 50-იანი წლების დასაწყისში ევროპაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და მასში რუსეთის სახელმწიფოს ადგილი და მიზნები ირანის საქმეებში მისი აქტიური ჩარევის შესაძლებლობას გამორიცხავდა. ამიტომ, რუსეთის ხელისუფალთა მთელი გულისყური იქითკენ იყო მიმართული, რომ არ დაეშვათ ამიერკავკასიის (ირანის) საქმეებში თურქეთის ჩარევა და თავისი მოქმედებით მისთვის ამ ჩარევის საბაბი არ მიეცათ. რუსეთის პოლიტიკის არსი შესანიშნავად ჩანს 1752 წელს კონსტანტინოპოლში რუსეთის რეზიდენტ ობრეზკოვისადმი პეტერბურგიდან გაგზავნილ საგანგებო ინსტრუქციიდან: „სპარსეთის საქმეების გამო შრომა და ხარჯები არ უნდა დაზოგოთ. არავითარი ეჭვი არ შეიძლება ვიქონიოთ იმაში, რომ თავისი ინტერესებისა და ერთმორწმუნეობის გამო პორტას ხელს აძლევს დაეხმაროს ავღანელებს და არ დაუშვას ქართველების გაძლიერება, რომლებსაც იგი ბერძნებისაგან ვერ ანსხვავებს. რაკი ჩვენ თვითონ არ შევდივართ სპარსეთის საქმეებში, არ შეგვიძლია პორტასაც არ ვურჩიოთ, ჩვენს მაგალითს მიბაძოს; თქვენ უნდა ჩააგონოთ თურქეთის მინისტრებს, რომ პორტამ საშუალება მისცეს სპარსელებს თვითონ მოაგვარონ თავისი საქმეები, რადგან მათი მხრიდან, მათი სისუსტის გამო, თურქეთის საზღვრებს არავითარი საშიშროება არ ელის. ამასთან თქვენ არ უნდა აჩვენოთ, რომ ჩვენ, ეს გვაწუხებს. ჩვენ მხოლოდ ვურჩევთ პორტას და ძალის დატანება არ გვინდა. გაუმეორეთ თურქეთის მინისტრებს, რომ ჩვენ აქამდე ქართველებს არ ვეხმარებით; რომ ეს ხალხი არ იმსახურებს ისეთი გამოჩენილი სახელმწიფოს ყურადღებას, როგორიც პორტაა. მათზე განაწყენება უსაფუძვლოა"[15].

---

14 გ. პაიჭაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 239—240.

15 ი. ცინცაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 89; გ. პაიჭაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 240—241.

როგორც ამონაწერიდან ჩანს, იმჟამად საქართველოსთვის დახმარების გაუწევლობა, რუსეთის პოლიტიკის ხაზი იყო და მართალია, ისტორიკოსი ო. მარკოვა, როცა იმ ამბების თანამედროვის, პაპუნა ორბელიანის ცნობას, ვითომც ელჩობის მარცხი (როგორც მიჩნეულია ამ ელჩობას წარმატება არ მოჰყოლია) რუსეთში მცხოვრები ქართველების ინტრიგებმა განაპირობეს, კრიტიკულად უდგება და მიუღებლად მიიჩნევს[16].

მიუხედავად ამისა. როგორც ჩანს, ინტრიგებს მაინც ჰქონდა ადგილი. პ. ორბელიანის ცნობით: რუსეთის ხელმწიფეს ქართველებისათვის „იმედი ებრძანა, ჯარი კი არ მოეცათ შურითა ვისმე და ეჩხუბა ისევ ქართველთა შვილსა, თორემ დიდი მოხმარებისა და ჯარის იმედი გვქონდა...“ და შემდეგ „მას აქეთ (პეტრე I-ს გარდაცვალების შემდეგ — მ. ს.), ვინცა ხელმწიფენი დასხდენ რუსეთისა მპყრობელად. იმათაც მოინდომეს, რომ პეტრე ხელმწიფის ანდერძს ვერ მოშლიდენ, მაგრამ ვინა ქართველთა შვილნი რუსეთსა შინა იყოფებოდენ, იმათ ერთმანეთის მტრობა და შური არ მოშალეს და ამათის მიზეზით ქართლში მოხმარება რუსთა აღარ ინებეს“[17].

რუსეთში მყოფ „ქართველთა შვილნზე“ და ელჩობის საწინააღმდეგო მათ ღონისძიებებზე დოკუმენტური მასალა ჩვენ დღესდღეობით არაფერი გვაქვს, მაგრამ თვით ელჩებს შორის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა და შემდეგ დაპირისპირებაც რომ იყო, რამაც უარყოფითად იმოქმედა ელჩობის მუშაობაზე, ეს სრულიად აშკარაა.

როგორც ირკვევა, ათანასე თბილელი ოფიციალურად ქართლის სამეფოს წარმომადგენელი იყო, სიმონ მაყაშვილი კახეთისა. დელეგაციის ხელმძღვანელად ათანასე თბილელი ჩანს. მაშასადამე, ქართველ მეფეთა დავალებების შესრულება მას ევალებოდა, მაგრამ, როგორც მაყაშვილს შეუმჩნევია, იგი ამ დავალებების შესრულებას მაინც დამაინც არ ჩქარობდა. ათანასე თბილელმა, რომელიც 1752 წელს უკვე მოსკოვში იყო, 1754 წლამდე რუსეთის საგარეო საქმეთა მოხელეებს ზეპირად გადასაცემი საიდუმლო მუხლების შესახებ არაფერი აცნობა. უფრო მეტიც, მას თავის დროზე არც ოფიციალური წერილები გადაუცია ადრესატებისათვის[18]. ს. მაყაშვილმა თბილელის მხრიდან ეს აშკარა ღალატად მიიჩნია; სავარაუდოა, ელჩებს შორის ადრევე

---

16 ო მ ა რ კ ო ვ ა. დასახ. ნაშრომი, გვ. 129.
17 პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 222.
18 ი. ც ი ნ ც ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 106—107.

არსებული წინააღმდეგობა კონფლიქტში გადაიზარდა ისე, რომ ს. მაყაშვილმა ათანასესთან ერთ სახლში ცხოვრება შეუძლებლად ჩათვალა. ს. მაყაშვილის მოხსენებიდან ჩანს, რომ ელჩობის საქმიანობაში რუსეთში მყოფი ზოგიერთი ქართველი, კერძოდ, იაგორ ამილახვრის შვილი და სვიმონ ბატონიშვილის მეუღლეს ანა პაატას ასული, არაკანონიგებლო რჩევა-დარიგების მიცემით ნეგატიურ როლს ასრულებდნენ[19]. მისი ერთი განცხადებიდან კი ვიგებთ, რომ ათანასე თბილელს თანაზრახველები, წამქეზებლები და დამხმარეები რუსეთში ბევრი გამოსჩენია[20].

ჩანს, ათანასე უფრო მოხერხებული პოლიტიკოსი იყო. მას ელჩებს შორის ურთიერთობის გამწვავების ამბავი სასწრაფოდ ქართველი მეფეებისათვის უცნობებია და საქმე ისე დაუხატავს, რომ ისინი თავისი პოზიციის სისწორეში დაურწმუნებია. ამის საფუძველზე, მეფეებს რუსეთის ვიცე კანცლერის მ. ი. ვორონცოვისათვის საგანგებო წერილი გამოუგზავნიათ, რომლითაც ათანასე თბილელის კომპეტენტურობას ადასტურებენ, ხოლო ს. მაყაშვილს, ფაქტობრივად, როგორც ელჩს, უფლებებს ჰყრიან და მას ათანასეს უბრალო გამყოლად წარმოადგენენ: „ყოვლად მოწყალის მის იმპერატორობის დიდებულებისა წინაშე წარმოივლინა რა ჩვენ მიერ ათანასი ყოვლად სამღვდელოჲ მიტროპოლიტი ტფილისისა და სხვაჲცა ვინმე კნიაზი ჩვენი. სახელით სიმეონ, რომელი თანაწარმოვატანეთ ყოვლად სამღვდელოსა ათანასის“ და შემდეგ: „ჩვენნი ყოველნი საიდუმლოთ განზრახვითანი სიტყუანი ვარწმუნენით ყოვლად სამღვდელოსა ათანასის მიტროპოლიტსა ტფილისისასა და მაგის მიერ მოიხსენეთ. თუ სხვამან ვინმე, ანუ თვით ჩვენმან კნიაზმანცა სიმეონ, თუ სხვა რაიმე სიტყვა მოგახსენოსთ ყოვლად სამღვდელოსა ათანასის სიტყუათა გარდა ცდომილ არს ყოვლად[21].

ქართველი მეფეები გვიან დარწმუნდნენ, რომ მათ ინტერესებს რუსეთის საიმპერატორო კარზე სწორედ სვიმონ მაყაშვილი იცავდა თავგამოდებით, ხოლო ათანასემ მათ უღალატა. რაში გამოიხატა ეს ღალატი, ჩვენ არ ვიცით: უფრო ზუსტად, ვიცით, თუ რაში დებდა მას ბრალს სვიმონ მაყაშვილი (საიდუმლო ზეპირი დანაბარების არ მოხსენება, ადრესატისადმი წერილის დროულად არ ჩაბარება), მაგრამ არ ვიცით, თუ როგორ იმოქმედა კონკრეტულად, თუნდაც თვით სვიმონ

19 ი. ც ი ნ ც ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

20 იქვე, გვ. 110.

21 ი. ც ი ნ ც ა ძ ე. დასახ. პუბლიკაცია, საბ. 12.

მაყაშვილის ან ქართველ პოლიტიკოსთა აზრით, ამ ღალატმა ელჩობის შედეგებზე. მაგრამ ის ამბავი, რომ ათანასე თბილელმა საქართველოში დაბრუნება არ ისურვა, ხოლო ქართველი მეფეები საიმპერატორო კარზე გაგზავნილი საგანგებო წერილებით კატეგორიულად მოითხოვენ მის დაბრუნებას, ღალატის ფაქტს აშკარას ხდის: „ახლა ამას მოგახსენებთ მათს სიმაღლესა, ეს ზემოხსენებული არქიერი წარმოგვიელინოთ, რომ თავისავ ადგილს დავადგინოთ. მაგისს ეკლესიას მაგისი აქ ყოფნა დიდად ეჭირება და თუცა რომ მაგის ნებაც არ იყოს მანდიდამ წამოსვლისა, წყალობას ვითხოვთ, რომ მაინც არ დააყენოთ მანდა და წარმოვგვიელინოთ"[22].

ნათელია, რომ ელჩობის შემადგენლობაში ჯანსაღი ატმოსფერო არ ყოფილა, მათ ქართველი მეფეების ინტერესები სათანადოდ არ დაიცვეს. ამ საქმეში სრულიად აშკარაა რუსეთში მყოფ ქართველთა (ვახტანგის სახლისშვილთა) მონაწილეობა, რომლებიც ელჩობის მარცხის შემდეგ ენერგიას არ იშურებენ, რათა ათანასეს თავიდან აცილონ საქართველოში დაბრუნება და, შესაბამისად, ქართველი მეფეების რისხვა.

გასარკვევია, როგორ ან რატომ უნდა ცდილიყვნენ რუსეთში მცხოვრები ქართველები ელჩობის ჩაშლას. თუ მივიღებთ, როგორც ეს ისტორიოგრაფიაშია მიჩნეული, რომ ელჩობის მიზნები ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტებით შემოიფარგლებოდა, მაშინ ვახტანგის სახლისშვილებსა და მათ მომხრეებს საწინააღმდეგო მოქმედების არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ. მაგალითად, რა უნდა ჰქონოდათ საწინააღმდეგო იმისა, თუკი რუსი ხელმწიფე ერეკლესა და თეიმურაზს ლეკიანობის აღკვეთის საქმეში დახმარებას გაუწევდა, ანდა ის, რომ ირანში ქართველებისთვის სასურველ კანდიდატს აიყვანდა ტახტზე? როგორც ჩანს, იყო სხვა მიზეზიც, რომელსაც ანგარიში არ ეწევა ან ნაკლებად ეწევა, როცა აღნიშნულ ელჩობაზეა საუბარი[23].

---

22 ი. ც ი ნ ც ა ძ ე. დასახ. პუბლიკაცია, საბუთი 30 (ხაზი ჩვენია — მ. ს).

23 გ. პაიჭაძე ჩვენთვის საინტერესო ელჩობას თეიმურაზისათვის ქართლის ტახტის შემომტკიცების სურვილთან აკავშირებს, რადგან მიიჩნევს რომ რუსეთის მიერ ქართლიდან თვით ელჩობის მიღების ფაქტი ქართლის ტახტზე თეიმურაზის აღიარებას გულისხმობდა.

სხვა ნაშრომში გ. პაიჭაძე აღნიშნავს: „საკვლევით მართებულია ვიფიქროთ, რომ ამ აქტით თეიმურაზსა და ერეკლეს სურდათ რუსეთში მცხოვრები ვახტანგ VI-ის შთამომავლებისათვის რუსეთის მთავრობის მხრიდან მხარდაჭერა მოეპოვ-

1744 წლის აქტით ქართლი და კახეთი ფაქტობრივად გაერთიანდა, მაგრამ იურიდიულად ისინი ცალკე სამეფოებად დარჩნენ მთელი თავისი სამოხელეო აპარატითა და სხვა ატრიბუტით. ეს ცხადია, შემთხვევით არ მომხდარა. ნადირ-შაჰმა კარგად იცოდა თუ რას აკეთებდა. როცა თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე კახეთის მეფეებად დაამტკიცა. გარდა იმისა, რომ ეს დამპყრობელი, რომელიც შექმნილი ვითარების გამო იძულებული იყო თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომებისადმი ლმობიერება გამოეჩინა და დათმობაზე წასულიყო, იმასაც ითვალისწინებდა, რომ მათ მიმართ, შეცვლილ ვითარებაში, მას სხვა, სრულიად საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება დაჭირდებოდა და ამდენად, ქართლისა და კახეთის გაძლიერება მას მხოლოდ გარკვეულ ფარგლებსა და გარკვეულ პერიოდში აინტერესებდა; ნადირ-შაჰი, როგორც ჩანს, რაღაც სხვა გარემოებასაც უწევდა ანგარიშს. შესაძლებელია, ეს იყო იგივე რეშტისა და განჯის ხელშეკრულებები, რომელთა ძალითაც ირანმა (და თვით ნადირ-შაჰმაც) ქაროლის ტახტის მემკვიდრედ ვახტანგი და მისი შთამომავლები აღიარა. იქნებ ადგილობრივ ფეოდალთა პოზიციაც გარკვეულ როლს ასრულებდა, ან სხვა რაიმე გარემოებაც იყო, რომლის გათვალისწინება ამჟამად ჭირს. ფაქტია, რომ საქართველოსთვის უმჯობესი იყო ქართლის მეფობაც თეიმურაზს შეეთავსებინა. მაშინ ეს ორივე სამეფო ფაქტობრივად და იურიდიულად გაერთიანდებოდა და მემკვიდრეობის საკითხიც თავისთავად გადაწყდებოდა.

უფრო მეტიც, როგორც ჰგავს, თეიმურაზისათვის ქართლის ტახტის მიცემის პირობებში, რაღაც ფორმით, გათვალისწინებული იყო, რომ ერეკლეს ამ ტახტის მემკვიდრეობა არ მიეღო. ამ თვალსაზრისით ალბათ, მიზანშეწონილია ზუსტად მოვიტანოთ პ. ბუტკოვის ზემოთ აღნიშნული ცნობა იმის შესახებ, რომ „ძისძა (თეიმურაზის — მ. ს.) ბეუღლემ თამარმა, ვახტანგ ლევანის ძის ქალიშვილმა, ჩამოვიდა რა ქართლში, დაიყოლია უპირველესი ქართველი თავადები, რათა იგი დაეშვათ ემართა ქართლი რუსეთიდან მისი ძმების დაბრუნებამდე, ი

და ამით ლახვარი ჩაეცათ იმ ოპოზიციურად განწყობილი ქართველი თავადებისათვის, რომლებიც ვახტანგ VI-ის შთამომავლებს კანონიერ მემკვიდრეებად თელდნენ და მათი ქართლის ტახტზე აყვანისაკენ ზრისწრაფოდნენ". (გ. პ ა ი ჭ ა ძ ე. ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIII ს-ის 50—60-იან წლებში, კრებულში: „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან". თბ., 1973, გვ. 64.).

პირობით, რომ არც მეუღლეს, — თეიმურაზს, და არც ვაჟს, — ერეკლეს, მმართველობასთან არავითარი საქმე არ ექნებოდათ"[24]. ყველაფერი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, სიმართლის გარკვეული მარცვალი ამ ცნობაში არის. სხვაგვარად ძნელია აიხსნას ის გარემოება, რომ 1747 წელს, როცა თეიმურაზი საქართველოზე გუნებაშეცვლილ ნადირთან გაემგზავრა ისპაანში, მან ქართლის გამგებლობა გამაჰმადიანებულ აბდულა-ბეგს (იასეს ძეს) მისცა (თამარ დედოფალი ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო). ეს ამბავი რომ შემთხვევით არ მომხდარა, იქედანაც მტკიცდება, რომ უფრო გვიან (1760 წ.), როდესაც თეიმურაზმა კიდევ ერთხელ (და ამჯერად სამუდამოდ) დატოვა ქვეყანა, რუსეთს დიდ ელჩობას რომ გაუძღვა, ქართლის გამგებლობა ერეკლეს კი არ ჩააბარა, არამედ თავის შვილისშვილს — გიორგი ბატონიშვილს[25].

ეჭვი არ არის, თეიმურაზისა და თამარის ქართლ-კახეთის გაერთიანების გეგმა მარტო მამა-შვილს შორის მეფობის განაწილებას არ გულისხმობდა. ჩანს, ეს ამ რთული პროცესის მხოლოდ პირველი ეტაპი იყო, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ღონისძიებები ამ აქტის იურიდიულად გაფორმებისათვის. საფიქრებელია, რომ ამ გეგმაში წამყვანი ადგილი, თეიმურაზისა და განსაკუთრებით თამარის ბრწყინვალე დიპლომატიურ ნიჭთან ერთად, ირანის კარსა და მასთან თეიმურაზისა და თამარის დამოკიდებულების ხასიათს ენიჭებოდა. მაგრამ ნადირ-შაჰის სიცოცხლეში ამ შეერთების მეორე ეტაპის განხორციელება ვერ მოხერხდა. უფრო ადრე გარდაიცვალა დედოფალი თამარიც. როგორც ეტყობა, ირანის კარზე ორ წელიწადს მყოფი თეიმურაზი ამ საკითხის მოგვარებასაც ცდილობდა.

როგორც ითქვა, თეიმურაზის ირანში გამგზავრების შემდეგ ქართლში აბდულა-ბეგი აჯანყდა. თეიმურაზისაგან საქართველოში კარგა ხანს არავითარი ცნობა არ იყო. როგორც პ. ორბელიანი ირწმუნება, ერეკლემ მისი ადგილ-სამყოფელიც კი არ იცოდა. შესაბამისად, ლტოლვილ მეფეს საქართველოდან ინფორმაციაც არ მისდიოდა. ჩვენ არ ვიცით, ინფორმაციის სხვა რა წყაროები ჰქონდა მას ირანში, სადაც ისეთი არეულობა სუფევდა, რომ ყველას თავგზა ჰქონდა აბნეული. სავარაუდოა, თეიმურაზმა არაფერი იცოდა ქართლის გამგებლად დატოვებული აბდულა-ბეგის განდგომისა და ფაქტობრივად თავის ქართლის მეფედ გამოცხადების შესახებ. მაგრამ ჩანს, იგი ირა-

---

24 პ. ბუტკოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

25 პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936, გვ. 9.

ნის კარზე, რომელსაც სათავეში მისი სიძე ადილ-შაჰი ედგა, ქართლის ტახტის მომავალი მემკვიდრეობის საკითხს ენერგიულად აგვარებდა. ყოველ შემთხვევაში, თეიმურაზის პირველსავე წერილს თან მოჰყვა ადილ-შაჰის რაყამიც ერეკლესადმი: „მოვიდა ადილ შაჰ ყაენისაგან ჩაფარი, ებოძა მეფის ერეკლესათვის ხალათი მძიმე და რაყამი დიდი წყალობისა: „რადგან მეფე თეიმურაზ ჩვენს სამსახურში არისო, ქართლსა და კახეთს ორსავ კარგად მოუარეო“. აგრეთვე მეფის თეიმურაზის წიგნი და მშვიდობიანი ამბავი მოვიდა, შეიქნა დიდი სიხარული“[26]. მაშასადამე, ქართლის გამგებლად აბდულა-ბეგის დატოვება თეიმურაზის კაპრიზი კი არ იყო, არამედ იძულებითი ნაბიჯი, რადგან, როგორც ჩანს, შაჰის საგანგებო ნებართვის გარეშე მას უფლება არ ჰქონდა ეს განმგებლობა ერეკლესათვის მიეცა. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ცნობის შემდეგ პაპუნა ორბელიანი ერეკლეს იხსენიებს „მეფედ კახეთისა და გამგებლად ქართლისა“, ხოლო მისივე რწმუნებით, აქედან მოკიდებული ერეკლე აქტიურად იწყებს ქართლში თავისი პოლიტიკის გატარებას, არიგებს მაღალ თანამდებობებს და ა. შ. და, რაც მთავარია, ოჯახით საცხოვრებლად თბილისში გადმოდის.

ამრიგად, თეიმურაზი ირანის კარზე დიპლომატიურად და მეთოდურად მუშაობდა. ადილ-შაჰის სიგელებით ერეკლეს უფლებები თანდათანობით იზრდება: „მოუვიდა ჩაფარი ადილ-შაჰ ყაენისა, რაყამი დიდის წყალობისა, მეფეს ერეკლესთან კახეთის ბატონობით და ქართლის ნაიბობით მოეწერათ“. და აქვე პაპუნა მეტად საგულისხმო ცნობას გვაწვდის: „... დიდი ხანი იყო მეფის თეიმურაზის ამბავი არა ესმოდათ და მერმე ადილშაჰის წყალობა და ქართლის ბატონობის განახლების რაყამიც მოუვიდათ“[27]. აქ ზუსტად არ ჩანს, ვის ეკუთვნის ქართლის „ბატონობის განახლების რაყამი“, თეიმურაზს თუ ერეკლეს. კონტექსტიდან იგი თითქოს უფრო ერეკლეს შეეხება, მაგრამ რაკი განახლებაზეა საუბარი, მაინც თეიმურაზი უნდა იგულისხმებოდეს. ცნობა ამ შემთხვევაშიც მეტად მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც ითქვა, თეიმურაზმა ქართლის ტახტი როგორც თამარის, ვახტანგ VI-ის ქალიშვილისა და ქართლის მემკვიდრის, მეუღლემ დაიჭირა. მაშასადამე, თამარის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზმა მიაღწია იმას, რომ შაჰმა მას უშუალოდ დაუმტკიცა ქართლის მეფობა. ამ შემთხვევაში უკვე მემკვიდრეობის საკითხიც თითქოს გადაწყვეტილი

---

[26] პ. ორბელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

[27] იქვე, გვ. 140.

იყო. მაგრამ ჩქარა ამის შემდეგ ადილ-შაჰმა ირანის ტახტი დაკარგა. ცხადია, ამ დროისათვის თეიმურაზი უკვე კარგად იყო ინფორმირებული საქართველოდან, ე. ი. მან დაწვრილებით იცოდა აბდულ-ბეგის განდგომისა და ერეკლეს სხვა გართულებების ამბებიც. იგი ახალ შაჰთან იწყებს ურთიერთობის მოგვარებას და წარმატებას აღწევს. ერეკლეს ახლა უკვე ახალი შაჰისაგან მოსდის „ხალათი მძიმე და რაყამი წყალობისა:" „რადგან მამა შენი მეფე თეიმურაზ ჩვენს სამსახურში არის, შენ ქართლს კარგად მოუარეო"[28], შემდეგ კი, როცა ერეკლემ ახალ შაჰს ერთგულება დაუმტკიცა, უკანასკნელმა აჯანყებული აბდულა-ბეგი თავისთან გაიწვია, მანაც მაშინვე შეასრულა ბრძანება, ამით კი ერეკლეს აჯანყების ჩაქრობაში დიდი შეღავათი მიეცა.

ირანში კვლავ შეიცვალა ხელმწიფე. ამასობაში თეიმურაზი სამშობლოში დაბრუნდა. ახალმა შაჰმა კი კვლავ დაადასტურა თეიმურაზის პირველობა ამიერკავკასიაში და, რაც მთავარია, ერეკლე მეფის მისი მოადგილეობა და, უნდა ვიგულისხმოთ, მემკვიდრეობა: „მოვიდა ჩაფარი შარუხ-შაჰ ყაენისა და ებოძა რაყამი მეფის თეიმურაზისათვის, ერაყისა და აღრიბეჟანის სპასალარობისა და მეფის ერეკლესათვის ამის ნაიბობისა და დიდის წყალობისა..."[29]. ამაზე მეტის გაკეთება კი ირანის ყაენისაგან მეფეებმა ვერ შეძლეს, რადგან ირანის საქმეები ისე აირია, რომ იქ ფაქტობრივად შაჰი არ იჯდა და ქართველებისთვის არავის ეცალა. ქართლ-კახეთმა ირანისაგან თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა.

ასეთ ვითარებაში თეიმურაზმა და ერეკლემ მეტად დიდი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს: მათ ქართლი და კახეთი ერთ სამეფოდ გააერთიანეს: „მას ჟამსა გაერთნეს ქართლი და კახეთი, იურვიდენ საქმეთა ორისავ ქვეყნისას ერთად. ვითაც მამა-შვილნი იყვნეს მეფენი ჩვენნი, სახელმწიფონიც გაერთნეს, დაადგინა მეფემ ერეკლემ დედოფალი დარეჯან სახლსა მამისა თვისისასა"[30]. ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება ერთბაშად წყვეტდა ქართლის ტახტის რუსეთში მყოფ პრეტენდენტთა უფლებებისა და შესაბამისად ერთიანი ქართლ-კახეთის სამეფოს მემკვიდრეობის საკითხს. რაკი ქართლის სამეფო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, აღარ არსებობდა, მაშასადამე ავტომატურად იხსნებოდა ვახტანგის სახლის-

---

28 პ. ორბელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

29 იქვე, გვ. 179.

30 იქვე, გვ. 180

შვილთა პრეტენზიებიც. ამ ღონისძიებების პოლომდე წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ერეკლეს შეეძლო ქართლ-კახეთის მომავალი მფლობელობის საკითხი გადაწყვეტილად მიეჩნია და ყურადღება სხვა მნიშვნელოვან (ქვეყნის ფარგლების შემდგომი გაფართოება) საკითხებზე გადაეტანა. მაგრამ ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება ძლიერ გართულდა.

ჯერ კიდევ 1748 წელს ბაქარ ვახტანგის ძემ ტახტის დასაბრუნებლად ენერგიული ბრძოლის დაწყება მოინდომა. იმპერატრიცა ელიზავეტასადმი მიწერილ წერილში იგი ქართლის მეფობის მისაღებად ირანში წასვლის სურვილს გამოთქვამდა. როგორც ჩანს, მას ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველს რეშტისა და განჯის რუსეთ-ირანის ხელშეკრულებები აძლევდა, რომელთა მიხედვითაც, როგორც ითქვა, ქართლის ტახტის კანონიერ მფლობელად ვახტანგი და მისი შთამომავლები აღიარეს (სხვაგვარად მის განზრახვას არავითარი აზრი არ ჰქონდა, რადგან არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ირანის ძველმა და ახალმა შაჰმაც ქართლის ტახტზე თეიმურაზი დაამტკიცა), მაგრამ ბაქარი ელიზავეტასადმი მიწერილ წერილში იქვე შენიშნავდა: თუ მისი ირანში წასვლა რუსეთისათვის მიუღებელი იქნებოდა, იგი მზად იყო პირდაპირ საქართველოში გამგზავრებულიყო[31].

იმჟამად რუსეთის ხელისუფლება საქართველოს საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკას ადგა, ბაქარის გაშვება კი თურქეთის მიერ სწორედ ამგვარ ჩარევად შეიძლება შეფასებულიყო. ამასთან, ისიც საფიქრებელია, მომავალი გეგმების თვალსაზრისით რა უფრო აწყობდა რუსეთის დიპლომატიას, ის, რომ ქართლის ტახტი „კანონიერ“ მემკვიდრეს სჭეროდა თუ ის, რომ საქართველოს გამგებლებს ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ ჩაეთვალათ და მათზე ზემოქმედებისათვის მემკვიდრე-პრეტენდენტი, ყოველი შემთხვევისათვის, თავისთან ჰყოლოდა. როგორც დავინახავთ, შესაფერის სიტუაციებში იგი მოხერხებულად იყენებდა თეიმურაზსა და ერეკლეზე ზემოქმედების ამ საშუალებას. ასეა თუ ისე, რუსეთის ხელისუფლებამ ბაქარის წინადადება არ მიიღო. ქართლის მეფეყოფილი მაინც ჯიუტად ცდილობდა თავისი განზრახვის შესრულებას მას შემდეგაც კი, რაც მას რუსეთის გამგებლები დაემუქრნენ: თუ შენსას არ დაიშლი, რაც ჩვენგან წყალობა მიიღე, მამულები და სხვა, ყველაფერს ჩამოგართმევთო. არ დაიშალა. ჩამოართვეს. მერე შეპირდნენ, თუ ჩვენს სიტყვას და-

31 გ. პაიჭაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

იჯერებ და საქართველოში დაბრუნებაზე ხელს აიღებ, ყველაფერს უკან დაგიბრუნებთო. კვლავ არ დაიშალა და ძნელი განსასაზღვრია, რა ამბები დატრიალდებოდა საქართველოში, რომ, მოულოდნელად, 1750 წლის 1 თებერვალს ბაქარი არ გარდაცვლილიყო[32].

ბაქარის სახით თეიმურაზსა და ერეკლეს ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი ჩამოსცილდა, მაგრამ იმავე 1750 წელს საქართველოში კიდევ ერთი პრეტენდენტი — პაატა ბატონიშვილი გამოჩნდა. იგი ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი იყო; პაპუნა ორბელიანის თქმით: „რუსეთს სასწავლოში ყოფილიყო, ესწავლა არტილერია, საქმე თოფხნისა. მეფე ვახტანგ რომ მიცვლილიყო, რუსეთს აღარ დამდგარიყო, იქიდამ გაპარვით წასულიყო. საფრანგეთის ქვეყანა მოევლო, სტამბოლს მისულიყო და იქიდამ მოვიდა ქალაქსა თბილისისასა“[33]. მეფეებმა პაატა პატივით მიიღეს როგორც მეფის (ერეკლეს) ბიძას შეეფერებოდა. მაგრამ მალე ამ ბატონიშვილმა მათი უკმაყოფილება დაიმსახურა. ისტორიკოსის რწმუნებით, პაატას დანაშაული იმჟამად თითქოს ის იყო, რომ მან მეფეებთან ერთად განჯის ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება არ ისურვა. ამის გამო, მისი დაპატიმრება, რასაც ადგილი ჰქონდა, თითქოს სრულიად შეუფერებელი სასჯელი იყო. რაკი ვიცით, რომ გვიან პაატა ქართლის ტახტის ხელში ჩასაგდებად დიდი შეთქმულების ორგანიზატორი გახდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თეიმურაზმა და ერეკლემ მას ამგვარი განზრახვა ადრეც შენიშნეს; რაკი თვითონ ლაშქრად მიდიოდნენ, პაატას მარტო დატოვება სახიფათოდ ჩათვალეს და თან წაყოლა დააძალეს, რაკი არ ისურვა, დაპატიმრეს; ჩქარა ისევ გაათავისუფლეს, თუმცა კახეთში წაიყვანეს, ქართლის თავადებს მოაცილეს, სადაც მას მაქინაციების მეტი გასაქანი ექნებოდა. მაგრამ კახეთში იგი არ გაჩერდა, გაიპარა და იმერეთს შეაფარა თავი, რითაც დაამტკიცა, რომ ერეკლესა და თეიმურაზთან იგი სამოყვაროდ და სანათესაოდ არ იყო ჩამოსული.

ასეთ ვითარებაში თეიმურაზსა და ერეკლეს გაუჭირდათ ქართლისა და კახეთის იურიდიული გაერთიანების ცხოვრებაში გატარება. ყოველ შემთხვევაში არსებული მასალების მიხედვით არ ჩანს, რომ გარდა ზემოთ აღნიშნული ფაქტის განცხადებისა, მათ ამ მიმართულებით რაიმე ღონისძიება განეხორციელებინოთ (სახელმწიფო აპარატის შეერთება, გარდაქმნა და სხვ.). თვით ფაქტი იმისა, რომ თეიმუ-

32 გ. პაიჭაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 250.
33 პ. ორბელიანი. დასახ. შრომა, გვ. 191.

რაზი და ერეკლე ორივე მეფეებად იხსენიებიან, თანაც ერთი — ქართლისა და მეორე — კახეთისა, ამას მიუთითებს (თუმცა საქართველოს სინამდვილეში ერთ სამეფოში ორი მეფის არსებობის სხვა ფაქტებიც არის). უფრო ჭეტიც, ამ ხანებში და სავარაუდოა ამ ღონისძიების ცხოვრებაში გატარებისათვის, როგორც ჩანს, ერეკლესა და თეიმურაზს თავადური ოპოზიციის მიმართ გარკვეულ დათმობაზე წასვლა მოუხდათ. მენატიანის ცნობით: „მუხრანის ბატონს სალთ-ხუცეს კონსტანტინეს და ამილახორიშვილს შაჰ-ყული-ხან გივს დადვეს საქმე ქართლისა, ასე რომ ამათსა უნებურსა და გარდუალსა ვერცა მეფენი, ვერცა თავადნი ვერა-რას იქმოდენ“[34]. პ. ორბელიანის ამ მოკლე ცნობაში მეფეთა და თავადთა დიდი დაპირისპირება და დიდი ბრძოლა უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც, ჩანს, ქართლისა და კახეთის შეერთებით და, შესაბამისად, ქართლის ტახტის საკითხისადმი თეიმურაზისა და ერეკლესეული მიდგომით იყო გამოწვეული და პაატა ბატონიშვილისა და რუსეთში მყოფი ვახტანგის სახლიშვილთა მოქმედებით გაძლიერებული. ამ აქტით თეიმურაზი და ერეკლე ქართლის დიდებულებს იმის გარანტიას აძლევდნენ, რომ მათ უნებურად რადიკალურ საკითხებს არ გადაწყვეტდნენ, სამაგიეროდ, ალბათ თავადებიც ვალდებულებას კისრულობდნენ, თავი შეეკავებინათ თეიმურაზისა და ერეკლეს ინტერესების საწინააღმდეგო რაიმე მოქმედებისგან. ამის მეთვალყურეობა კი გივი ამილახვარსა და კონსტანტინე მუხრან ბატონს მიანდვეს. ეს კი მოახერხეს, რომ არბიტრები მათი სასურველი კანდიდატები იყვნენ, რომელთა წინაშე მეფეებს დიდი დამსახურება ჰქონდათ და საერთო ენის გამონახვაც გაუადვილდებოდათ.

ქართლისა და კახეთის გაერთიანების საქმე, რაც მომავალში მთელი საქართველოს გაერთიანების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო, იწლებოდა. საჭირო იყო გარეშე ძალა, დიდი ავტორიტეტული სახელმწიფო, რომელიც ქართლ-კახეთის გაერთიანების ფაქტს ცნობდა და შესაბამისად ქართლის ტახტზე ვახტანგის სახლისშვილთა პრეტენზიებს მოხსნიდა. თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ გარეშე სახელმწიფოს ავტორიტეტს, ეს შემდეგი ფაქტიდან ჩანს: თეიმურაზის ირანში ყოფნის პერიოდში ქართლის დაკავება აბდულა-ბეგის აჯანყების პარალელურად ალი-ხანსაც უცდია. ეს ალი-ხანი ერთ დროს ქართლის გამგებელი ყოფილა, ახლა ყაზახში მოვიდა, აქაური სულთნის ძმას თალი-ბეგს დაუკავშირდა, ყაზახის ჯარის იმე-

34 პ. ორბელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 196.

დით მოქმედება დაიწყო და ერეკლესთან „დიდად ამაყი სიტყვა შემოეთვალა". როგორც ითქვა, იმ ხანებში ირანში არეულობა იყო. შაჰს ფაქტობრივად არავითარი ძალაუფლება არ ჰქონდა, ქართლ-კახეთის მმართველებიც ირანის მიმართ ნომინალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ; მიუხედავად ამისა, ერეკლემ საკმაოდ მორიდებული პასუხი გასცა ამ ავანტურისტს: „თუ ყაენის ბძანება და რაყამი გაქვს, ის შემატყობინეო და თუ სამტროდ მოხვალ, მეც მზა ვარო"[35]. ჩვენ არ ვიცით, მართლაც რომ აღმოჩენოდა ყაენის რაყამი ალი-ხანს, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა ერეკლე, მაგრამ მისი პასუხიდან აშკარაა, რომ ამგვარ საბუთს მისთვის, და რაც მთავარია ქართლ-კახეთის საზოგადოებრივი აზრისათვის, მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მაშასადამე, ქართლისა და კახეთის შეერთების აქტის ცხოვრებაში გატარებისათვის აუცილებელი იყო მისი ცნობა რომელიმე დიდი სახელმწიფოსაგან. შესაძლებელი კანდიდატურა ორი ჩანდა, ირანი და რუსეთი. გარდა საქართველოს და კავკასიისადმი მათი დამოკიდებულების ხასიათისა, აქ, როგორც ეტყობა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა რეშტისა და განჯის ხსენებულ ხელშეკრულებებს. მაგრამ ირანში შექმნილი ვითარება და, განსაკუთრებით, თეიმურაზისა და ერეკლეს შემდგომი გეგმების განხორციელების პერსპექტივები, ირანის საკითხს ხსნიდა და ერთადერთ სასურველ ვარიანტად ზემოხსენებული აქტის რაღაც ფორმით რუსეთის მიერ ცნობა და დამტკიცება რჩებოდა. მით უმეტეს, რომ ქართლის ტახტის ძირითადი პრეტენდენტები რუსეთში ცხოვრობდნენ.

1752 წლის ელჩობის არსებული მასალების მიხედვით თითქოს ძნელია მისი მიზნების ზემოთ განხილულ საკითხთან დაკავშირება, მაგრამ აქ ზოგი რამ უნდა იქნას გათვალისწინებული: ჩვენ ვიცით, რომ გარდა წერილობითი დავალებებისა თეიმურაზისა და ერეკლესაგან ელჩობას, საიდუმლო ოფიციალური სიტყვიერი დანაბარებიც ჰქონდა. სვიმონ მაყაშვილის საჩივრის მიხედვით და სხვა საბუთებითაც, აშკარაა, რომ ათანასე თბილელმა დიპლომატიური მისიის ეს მხარე არ შეასრულა და ამაში გამოიხატა მეფეთა ინტერესებისადმი მისი ღალატი. მართალია, სვიმონ მაყაშვილი, მას შემდეგ, რაც ამ საკითხზე ელჩებს შორის განხეთქილება მოხდა, თვითონ შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას და რაღაც საიდუმლო მუხლები მოახსენა რუსეთის ხელისუფალთ, მაგრამ სვიმონ მაყაშვილი ელჩობის რიგითი წევრი და

35 პ. ორბელიანი. დასახ. შრომა, გვ. 130.

კახეთის სამეფოს წარმომადგენელი იყო, ათანასე თბილელი კი ქართლის სამეფოს წარმოადგენდა და ელჩობას ხელმძღვანელობდა. ვინაიდან ქართლისა და კახეთის შეერთების საქმე ქართლის ტახტის საკითხის გადაწყვეტას ისახავდა მიზნად, მიზანშეწონილი იყო იგი ათანასე თბილელს, ქართლის დიდებულთა და ქართული ეკლესიის წარმომადგენელს დაეყენებინა. საფიქრებელია, რომ ამგვარი დავალების შესახებ სვიმონ მაყაშვილი ინფორმირებული არც იყო. ამგვარ ეჭვს ის გარემოებაც აძლიერებს, რომ თეიმურაზისა და ერეკლეს მოწმობით მათ ეს საიდუმლო დავალება მხოლოდ ათანასეს გაანდეს.

ამდენად, მოსალოდნელია, რომ მეფეების მიერ ათანასე თბილელს დავალებული ჰქონდა, რუსეთის ხელისუფალთა წინაშე დაეყენებინა საკითხი ქართლ-კახეთის შეერთების ფაქტის ცნობისა და დამტკიცების შესახებ, მაგრამ ვახტანგის სახლისშვილთა მიმართ თავისი ერთგულებისა და თვით ამ სახლისშვილთა ჩაგონებისა და დაძალების შედეგად მან ეს დავალება არ შეასრულა. ამგვარად ფინალი მითუმეტეს მოსალოდნელია, რომ ელჩობას რუსეთის ხელისუფალთა დავალებით თეიმურაზისა და ერეკლეს ორი ცნობილი და ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგე ევგენი ამილახვარი და ქართლის ტახტის მომავალი მაძიებელი ალექსანდრე ბაქარის ძე უწევდა შეფობას[36].

რაღაც ფორმით, რომ ელჩობას შეერთების საკითხის მოგვარებაც ევალებოდა, ამის საბუთად შეიძლება ისიც გამოდგეს, რომ თეიმურაზის ხელმოწერით გაცემულ ერთ-ერთ დოკუმენტში ერეკლე კახეთის მეფედ კი არ მოიხსენიება, არამედ ბატონიშვილად[37], რაც ნიშანდობლივია და შემთხვევით არ შეიძლება მომხდარიყო.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ ჩვენი ვარაუდი მცდარია, სინამდვილეში ათანასე თბილელს ქართულ სამეფოთა შეერთების საკითხის დაყენება დავალებული სულაც არ ჰქონდა, არსებობს ერთი გარემოება, რომლის მიხედვით ელჩობა აღნიშნულ პრობლემასთან მაინც უშუალო კავშირშია: ელჩებს მიჰქონდათ XVII საუკუნეში რუსეთის მეფის ალექსი რომანოვის მიერ ერეკლე I-სადმი მიცემული წყალობის სიგელის პირი[38]. ეს სიგელი ჯერ კიდევ 1641 წელს რუსეთის მეფეს მიხეილ თევდორეს ძეს უბოძებია კახთა მეფის თეი-

---

36 ო. მ ა რ კ ო ვ ა, დასახ. ნაშრომში, გვ. 127.

37 ი. ც ი ნ ც ა ძ ე. დასახ. პუბლიკაცია, საბ. 8.

38 ი ქ ვ ე, გვ. 98.

მურაზ I-ისათვის. შემდეგ ეს საბუთი 1658 წელს რუსეთში ჩასული თეიმურაზ I-ს რუსეთის უკვე ახალმა მეფემ ალექსი მიხეილის ძემ გაუახლა; 1674 წელს კი რუსეთში ხანგრძლივად მყოფ ერეკლე დავითის ძეს (თეიმურაზ I-ს შვილიშვილსა და თეიმურაზ II-ის მამას) იმავე ალექსი მიხეილის ძისათვის სიგელის უკვე მის (ერეკლეს) სახელზე განახლება უთხოვია და ასეც მომხდარა[39]. ასე რომ, სიგელი კახეთის ბაგრატიონთა დინასტიის უკვე სამ თაობას ჰქონდა განახლებული და თეიმურაზისა და ერეკლესათვის ამგვარი, უკვე ტრადიციულად ქცეული, აქტის შესრულების თხოვნაში მოულოდნელი არაფერი იყო. მაგრამ ჩვეულებრივი გაგებით ამ სიგელის განახლებით, ქართველ მეფეებს თითქოს თავისთვის მაინცდამაინც ხელშესახები სარგებლის იმედი არ უნდა ჰქონოდათ, რადგან საბუთი თავისთავად რუსეთის მხრიდან რაიმე კონკრეტულ ვალდებულებას არ გულისხმობდა. მისი შინაარსის მიხედვით, რუსეთი იღებდა ერეკლე დავითის ძეს (განახლების შემთხვევაში, თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს) მფარველობაში. ამის საფუძველზე, მფარველობაში მიღებული ვალდებული იყო რუსეთის კართან შეთანხმების გარეშე არაფერი მოემოქმედა, მისი სიტყვა დაეჯერებინა, სამაგიეროდ კი რუსეთის მეფეს უნდა ეზრუნა თავის ქვეშევრდომზე. მაგრამ რაში უნდა გამოხატულიყო ეს ზრუნვა, საბუთში არ ჩანს. ასე რომ, დამატებითი შეთანხმებების გარეშე, აღნიშნული საბუთით ქართველები თავის მდგომარეობას ვერ გაიუმჯობესებდნენ. ისტორია კი ერეკლესა და თეიმურაზს იმის გაკვეთილს აძლევდა, რომ, მათ მამას, პაპას და პაპის მამას თუმცა ამგვარი სიგელები ხელთ ჰქონდათ, მაგრამ ამას მათთვის ფაქტიურად არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. მართალია, სიგელში დიდის ამბით იყო ხაზგასმული, რომ მის საფუძველზე, მიხეილ თევდორეს ძემ შაჰ-აბასს თხოვა შეეწყალებინა თეიმურაზ I და მისთვის დედა და შვილები დაებრუნებინა, მაგრამ ცნობილია, რომ ამ თხოვნამ შედეგი არ გამოიღო, თეიმურაზს ახლობლები არათუ არ დაუბრუნეს, პირიქით, დედა, ქართველობისა და ქრისტიანობისათვის თავდადებული ქეთევან დედოფალი, სასტიკად აწამეს, შვილები გააუბედურეს და სიგიჟემდე და სიკვდილამდე მიიყვანეს. ამრიგად შეუძლებელია, ქართველ მეფეებს ამ სიგელის გაფორმებაზე რაიმე ილუზიები დაესახათ. პირიქით, შექმნილ ვითარებაში აღნიშნული სიგელის განახლებას და თუნდაც რაიმე სხვა საბუთის გაფორმებას შეეძლო საქართველოს ფაქტობრივი

---

39 ი. ც ი ნ ც ა ძ ე. დასახ. პუბლიკაცია, გვ. 98.

შედგომარეობის მნიშვნელოვანი გართულება გაჩოეწვია. განა შეიძლება ერეკლესა და თეიმურაზს არ სცოდნოდათ, როგორი ინტერესით ადევნებდა თვალს საქართველოსა და კავკასიაში მოვლენების განვითარებას თურქეთი და მზად იყო რუსეთის საქმეში ჩარევის პირველი ცდისთანავე შესაბამისი ზომები მიეღო? გამოცდილმა პოლიტიკოსებმა და ჭკვიანმა დიპლომატებმა ეს ყველაფერი იცოდნენ. მათ იცოდნენ, რომ რუსეთისაგან იმჯერად რეალური დახმარების მიღება საეჭვო იყო; იცოდნენ ისიც, რომ ამგვარი დახმარების მიღების ცდა საქართველოსათვის შეიძლება სავალალოც გამხდარიყო, რადგან თურქეთს საქმეში ჩარევის საბაბს მისცემდა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც აგზავნიდნენ ელჩობას და მას, პირველ რიგში, ხსენებული სიგელის განახლების საკითხის მოგვარებას ავალებდნენ.

მეფეების ამგვარი გაბედული და რამდენადმე სარისკო ნაბიჯის შთელი აზრი იმაში ჩანს, რომ აღნიშნული სიგელით თეიმურაზ I-ცა და ერეკლე I-ც განხილულნი არიან არა როგორც კახეთის მეფეები, არამედ მთელი ივერიის (იგულისხმება მთელი აღმოსავლეთ საქართველოს) ხელმწიფენი და ეს აზრი მკაფიოდ არაერთხელაა გატარებული საბუთში: «...великому гдрю, ведая ево цря Теймураза Давидовича разорение, пожаловати в утеснение его помощь ему учинить и впредь ево, Теймураза цря со всею иверскою землею в его в государство в милостивом призрении по-прежнему иметь». სხვა ადგილას: «А нам, гелксму гдрю нашему, ц-скому в-ву, и нашим гдрским детем, и наследникам, впредь ево, цря Теймураза Давидовича, и внучат ево и наследников, у них которые впредь будут, и их людей и всю иверскую землю держати под нашей царского в-ва высокою рукою в нашем царском милостивом жаловании и вооберегании, смотря службе и правде»[40]. იგივე აზრია გატარებული ერეკლე I-ის მიმართაც «...велели ему дати сню нашу ц-ского в-ва жаловалную грамоту, против деда ево цря Теймураза Давидовича впредь для подтверждения нашего царского величества подданному, грузинскому царевичу Николаю Давидовичу (ასე უწოდებდნენ რუსეთში ერეკლე I-ს—მ. ს.) и наследникам ево и всей иверской земле, быть под нашею ц-ского в-ва высокою рукою в подданестве во всем»[41].

---

40 ი. ც ი ნ ც ა ძ ე. დასახ. პუბლიკაცია, საბ. 1, გვ. 138—139.

41 ი ქ ვ ე, გვ. 139 (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

აღსანიშნავია, რომ ივერიის მიწად ადრეულ რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში კახეთის სამეფო იგულისხმებოდა. მაგრამ დროთა განმავლობაში ტერმინის შინაარსი შეიცვალა და უკვე XVII ს. II ნახევარსა და განსაკუთრებით XVIII საუკუნეში ივერიად მთელი აღმოსავლეთ საქართველო იგულისხმება. ამგვარად, მსგავსი სიგელის თეიმურაზისა და ერეკლეს სახელზე განახლების შემთხვევაში, რისი მოთხოვნის უფლებაც, როგორც თეიმურაზ I-ისა და ერეკლე I-ის მეშვიდრეებს, მათ იურიდიულად ჰქონდათ, ისინი თავისთავად რუსეთის მიერ აღიარებული იქნებოდნენ მთელი ივერიის, ე. ი. ქართლ-კახეთის კანონიერ მფლობელებად, რისკენაც ისინი ასე თავგამოდებით ისწრაფოდნენ და რისთვისაც, ჩვენი აზრით, აღნიშნული ელჩობა იყო გაგზავნილი. ქართლ-კახეთი აღიარებული იქნებოდა ერთ სამეფოდ — „ივერიის მიწად“. მაშასადამე, ავტომატურად იხსნებოდა ვახტანგის სახლისშვილთა უფლებები ქართლის ტახტზე.

ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში რუსეთში მყოფი ვახტანგის სახლისშვილები ელჩობისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოიჩენდნენ და მისი ჩაშლისათვის ენერგიას არ დაიშურებდნენ. სხვა საკითხია, რამდენად გაუწევდა მათ ანგარიშს რუსეთის ხელისუფლება. ფაქტია, რომ რუსეთში მყოფ ბატონიშვილთა ინტერესები რუსეთის იმდროინდელ სახელმწიფო პოლიტიკის ხაზს დაემთხვა. ელჩობამ მარცხი განიცადა. ბუნებრივია, მოტანილი მსჯელობა არ უარყოფს ელჩობის სხვა ცნობილ მოტივებს. მაგრამ ვფიქრობთ, წამყვანი, ძირითადი მნიშვნელობა სწორედ აღნიშნულ საკითხს ენიჭებოდა.

ცარიზმის პოლიტიკის გამგებლებმა თეიმურაზისა და ერეკლეს არც ერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. მეფეებს საკმაოდ ზომიერი საჩუქრები გამოუგზავნეს; ელჩობის წევრები ასე მოკრძალებულად დააჯილდოვეს; ხოლო იმისათვის, რათა მეფეების საბოლოო გულის გატეხა არ გამოეწვიათ და მათთვის სხვა მიმართულებით დახმარების ძიების სურვილი არ გაეღვივებიათ, მომავალში შესაძლო დახმარების გაწევის დამაიმედებელი წერილი გამოუგზავნეს, მაგრამ ისიც კონსპირაციის მიზნით უმისამართოდ და ხელმოუწერლად, რათა თურქეთის ხელისუფალთ ამის საფუძველზე პრეტენზიების წამოყენების საშუალება არ ჰქონოდათ.

ამრიგად, რთული საერთაშორისო ვითარებისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის განსხვავებული მიმართულების გამო, იძულებით

რუსეთის მხრიდან რაიმე რეალური დახმარების მიღების იმედი არ გამართლდა. უშედეგოდ დამთავრდა აგრეთვე თეიმურაზისა და ერეკლეს ცდა იმისა, რომ საიმპერატორო კარს ეცნო და დაემტკიცებია ქართლ-კახეთის გაერთიანება.

ქართველი მეფეები კვლავ თავისი თავის იმედზე რჩებოდნენ და თავიანთი გეგმების განხორციელების საფუძვლები თვით ქვეყნის შიგნით უნდა გამოენახათ.

5. 1760 წლის ელჩობა რუსეთში

რუსეთი და თურქეთი ერთმანეთის შიშით არ ერეოდნენ ირანისა და მისი ყოფილი სამფლობელოების საქმეებში. ირანის ფორმალური ქვეშევრდომები თავისი თავის იმედზე რჩებოდნენ. აზერბაიჯანის ხანები ძრწოლით შეჰყურებდნენ, თუ როგორ აფართოებდნენ თავისი გავლენის სფეროს ქრისტიანი მეფეები, თეიმურაზი და ერეკლე, და მათ დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნიდნენ. მეფეები აშკარად შეცდნენ, თუ მათ მართლაც გაუმხილეს (როგორც პ. ბუტკოვი ირწმუნება) თავიანთი განზრახვები ირანის ტახტის საკითხებზე მაჰმადიან ხანებს. ყოველ შემთხვევაში, 1752 წლის ელჩობის საიდუმლო პუნქტები ირანში შეჰრისა და იქ სასურველი შაჰის ტახტზე აყვანის შესახებ გავრცელდა და ამ ხმებმა ამიერკავკასიის სახანოებში თავისებური შეფერილობა მიიღო: ქართველებს თვითონ სურთ ირანის ტახტის ხელში ჩაგდება, ირანის მოსახლეობისა და მისი ქვეშევრდომების გაქრისტიანება და ა. შ. ლოგიკურია სახანოების ანტიქართული და ანტიქრისტიანული განწყობილება ასეთ ვითარებაში. „დამპყრობი“ გურჯისტანის განადგურება მათ თავის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად მიაჩნდათ. ამ განწყობილებას აღვივებდა თურქეთის აგენტურა, რომელიც, მიუხედავად დიდი სურვილისა, საქმეში აშკარად ჩარევისგან თავს იკავებდა.

ქართლ-კახეთის სამეფო დიდი განსაცდელის წინაშე დადგა. ამხედრებული სახანოებისა და გაავებული ლეკების წინააღმდეგ მას მთელი თავისი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის მობილიზება უნდა მოეხდინა და ამავე დროს დიპლომატური შესაძლებლობები მოეშველებინა, რომ თვით სახანოებს შორის არსებული ურთიერთშუღლი და უნდობლობა გაეღვივებინა და ამით თავის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის საშიშროება თავიდან აეცილებინა: „ასეთ ჭიშკს მათ შორის მოხერხებულად აღვივებდა ერეკლე მეფე“[1]. კაპიტან იაზიკოვის ცოტა მოგვიანებითი ცნობის მიხედვით, ერეკლე „სპარ-

---

1 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1972, გვ. 368.

სულ სახანოებს, რომლებიც მის მიწებს გარს აკრავენ შიშში და უთანხმოებაში ამყოფებს. განხეთქილების შემთხვევაში იგი მათ შორის შუამავალი არის ხოლმე"[2].

ათანასე თბილელისა და სვიმონ მაყაშვილის ელჩობის გამგზავრების წინ, მოკავშირე ხანების ღალატის გამო, 1752 წლის 12 აპრილს მეფეები შექი-შირვანის ხან აჯი-ჩელებთან ომში სასტიკად დამარცხდნენ და დატყვევებას ძლივს გადაურჩნენ. აჯი-ჩელები საქართველოს წინააღმდეგ ყველა მაჰმადიანის ერთობლივი ბრძოლის დროშით გამოდიოდა. შექის ხანს ერთგულება შეჰფიცეს ყაზახის, ბორჩალოს, ბაიდარისა და დემურჩი-ასანლუს თურქმანმა ტომებმაც. აზატ-ხანმა შექმნილი ვითარებით ისარგებლა და ერევანი დაიმორჩილა. ქართლ-კახეთის მეფეები იძულებული გახდნენ აჯი-ჩელებთან არასასურველ ზავზე წასულიყვნენ, მაგრამ შექის ხანმა მათ ისეთი პირობები შესთავაზა, რომელთა მიღება შეუძლებელი იყო (მეფეებს უარი უნდა ეთქვათ სახანოების საქმეებში ჩარევაზე და ამიერკავკასიაში შექის ხანის ჰეგემონია ელიარებინათ).

მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაში ერეკლემ და თეიმურაზმა შეძლეს ქვეყნის ძალების მობილიზება. სასწრაფოდ იშოვეს მნიშვნელოვანი თანხა (სამეფო სალაროდან ოქრო-ვერცხლის იარაღი გამოიტანეს და ამით ზარაფხანაში ფული მოაჭრევინეს). იმიერკავკასიიდან ოთხიათასკაციანი რაზმი გადმოიყვანეს, თითქმის სამი თვის განმავლობაში მოლაპარაკება-კინკლაობით შეიქციეს მტერი, სამზადისის დამთავრება მოასწრეს, მერე კი სასტიკად დაამარცხეს იგი.

შექის ხანი მაინც ძლიერი კოლიციის ძეთაურად რჩებოდა და ამიტომ ერეკლემ და თეიმურაზმა აზატ-ხანთან მოლაპარაკება დაიწყეს. აჯი-ჩელებს შემახიისა და ყუბის ხანები დაუპირისპირდნენ, დაამარცხეს და საქართველოზე გამოლაშქრების ხალისი დაუკარგეს.

ამასობაში ირანის ტახტის მაძიებელი აზატ-ხანიც დარწმუნდა, რომ საქართველოსთან ბრძოლით იგი ირანის ტახტს ვერ მიუახლოვდებოდა და მასთან ზავი და მთელი ძალების სხვა მიმართულებით გადასროლა გადაწყვიტა. ეს ქართლ-კახეთისთვის დიდი შეღავათი იყო, რადგან მაჰმადიანთა ერთიანი ანტიქართული ფრონტი იშლებოდა.

---

2 А. Цагарели. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии, т. I, СПб, 1891, с. 183.

ქართლ-კახეთის ავტორიტეტი კი მტკიცდებოდა და ამიერკავკასიის ხანებიც მის სასარგებლოდ ცვლიდნენ პოლიტიკას[3].

ლეკების ურთულესი პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩებოდა და ქართველები ამ საშიშროების შენელებას ციხე-სიმაგრეების შენებით ცდილობდნენ.

ასეთი იყო ვითარება, როცა რუსეთიდან 1752 წელს გაგზავნილი ელჩობა, არასრული შემადგენლობით, საქართველოში დაბრუნდა და მეფეებს (უეჭველად უკვე მანამდე ცნობილი) რუსეთის საიმპერატორო კარის დახმარებაზე ღარის პასუხი ჩამოუტანა.

ქართლ-კახეთის გაერთიანებისა და მისი მომავალი პერსპექტივების საკითხი კვლავ გადაუწყვეტი რჩებოდა. ამის გამო ქართველმა პოლიტიკოსებმა სხვა გამოსავალი მოძებნეს. თეიმურაზმა და ერეკლემ ქართლისა და კახეთის ტახტი ერთ უფლისწულს, ერეკლე II-ის უფროს ვაჟს — ვახტანგს უანდერძეს: „მეფეს თეიმურაზს მეფის ერეკლეს მეტი ძე არ ესვა და ორთავ მეფეთა სასურველი ვახტანგი იყო ძე მეფის ერეკლესი, მშვენიერი და ხელმწიფობისა მათისა საკადრისი ძე და ყოვლისა სიკეთითა შემკობილი. ასაკითა იყო მცირე, მაგრამ ამას იტყოდა მისი მნახველი „ახლავ ხელმწიფობა შეეფერებაო“. ამას უბოძეს მეფეთა რაც ქართლში ან კახეთში საბატონისშვილო მამული იყო, სოფელში ან ციხე და ალაგი, აგრევე არაგვის ერისთავის მამული, მთლივ მთა და ბარი საუფლისწულოდ გაურიგეს“[4] — გვაუწყებს ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი. ეს თავადური ოპოზიციის საწინააღმდეგოდ გადადგმული ნაბიჯი იყო, ამიტომ მათი კონტრზომების ძალა რომ შეესუსტებინათ, უფლისწულის რეგენტობა მეფეებმა გავლენიან თავადთა წარმომადგენელს უბოძეს, მასვე უბოძეს სახასო მამულების გამგებლობაც და ამით ქვეყანას დაანახეს, რომ ვახტანგ ბატონიშვილი მთელი ქვეყნის, ე. ი. მეფეებისა და თავადების საერთო მემკვიდრე უფლისწული და მომავალი ხელმწიფე იყო: „უბძანეს ჯიმშერს ერისთავს: „სანამდის ეს ჩვენი შვილი გაიზრდებოდესო, ან ქვეყნის მოვლას შეიძლებდესო, ეს ჩვენი შვილიცა და ეს ქვეყნებიც შენთვის მოგვიბარებია, რიგიანის საქმით ამ ქვეყნებს მოუარეო და ჩვენს შვილს ამსახურეო“. ამისა შემდგომად აღაშენა ციხე დუშეთისა ჯიმშერ... და ცდილობდა შემატებასა ამა ქვეყნებისასა. მეფენიც ჯეროვ-

---

3 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 360—361.

4 პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, თბ, 1981, გვ. 206.

ნად უსმენდნენ“[5]. 1754 წელს თეიმურაზი ვახტანგთან ერთად აძლევს სიგელს ამირინდო ამილახვარს[6]. 1756 წელს გაცემულ თეიმურაზის სიგელში ვახტანგი „ორსავე საქართველოს უფლისწულად“ არის მოხსენიებული[7].

ტახტის მემკვიდრეს, ეკონომიკურ ძლიერებასთან და პირად კეთილთვისებებთან ერთად, ხალხში პოპულარობის მოპოვება და სახელმწიფო საქმეებში გაწაფვა სჭირდებოდა, ამიტომ მას ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილს, სერიოზულ სახელმწიფო დავალებებს აძლევენ: 1755 წელს გივი ამილახვრის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ ბატონიშვილს ქალაქის მოურაობა უბოძეს (ამ დროს მისი მოადგილე რევაზ ამილახვარია)[8]. ხუნძახის ბატონის შემოსევისათვის მზადების პერიოდში ვახტანგ ბატონიშვილისათვის ფშავში ჯარის შეგროვება და ჩამოყვანა დაუვალებიათ, ახალგაზრდა ბატონიშვილს ეს დავალება წარმატებით შეუსრულებია[9]. ეს ღონისძიებები რომ ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების იურიდიულად გაფორმებას და მისი მემკვიდრეობის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას ისახავს მიზნად, ეს, ვფიქრობთ, სრულიად ნათელია და დამატებით მსჯელობას არ მოითხოვს.

ქვეყანაში კი რთული პოლიტიკური ვითარება გრძელდებოდა. 1754—1759 წლებში ქართლ-კახეთს არნახული სისხლისმღვრელი ომების წარმოება მოუხდა და ამ ბრძოლებში ძირითადი მოწინააღმდეგე ლეკები იყვნენ. ისინი ან დამოუკიდებლად ესხმოდნენ თავს ქართლ-კახეთს მცირე რაზმებით, ან საქართველოს მოწინააღმდეგე მფლობელთა ლაშქარში მთავარ შენაერთებს წარმოადგენდნენ.

1754 წელს კახეთს ლეკის დიდი ჯარით ხუნძახის ბატონი შეადგა და დაიმუქრა: „ქართლი და კახეთი უნდა დავიჭიროო“. მეფეებმა სასწრაფო ზომები მიიღეს: თეიმურაზი ქართლში დარჩა, ერეკლემ კახეთს მიაშურა და მოსახლეობა გახიზნა. ნურსალ-ბეგი შილდის თავში იდგა და ჯარებს იმატებდა. ამასობაში წალკას ნდგარი ლეკები ქართლს შეესივნენ და დაარბიეს. ნურსალ-ბეგმაც ჯარის შევსება დაამთავრა, კახეთს თავი მიანება, ქართლისაკენ წამოვიდა და არაგვის ხეობას შე-

---

5 ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 206.

6 საქართველოს სიძველენი, ტ. III. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1910, გვ. 206.

7 იქვე, გვ. 160. საინტერესოა, რომ უფრო გვიან სხვა მელნით სიგელში გიორგია ჩამატებული.

8 პ. ორბელიანი. დასახ. შრომა, გვ. 211.

9 იქვე, გვ. 227.

ესია. მხოლოდ ქართველთა გმირობამ და თეიმურაზისა და ერეკლეს ხერხიანმა მოქმედებამ ააცდინა ქართლს დიდი უბედურება. 1754 წლის 16 აგვისტოს მჭადიჯვართან ქართველებმა ნურსალ-ბეგის ლაშქარი სასტიკად დაამარცხეს. ხუნძახის ბატონი სირცხვილნაჭამი დაბრუნდა დაღესტანში. მაგრამ ქართლში ლეკთა მცირე რაზმების თარეში გრძელდებოდა. დღე ისე არ გაივლიდა, რომელიმე სოფელი რომ არ აეფორიაქებინათ ყაჩაღებს. ლეკთა წვრილ-წვრილი რაზმების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის საშუალება ქართველებმა ვერ გამონახეს. საქართველოში რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ აქაური ვითარების დასაზვერად გამოგზავნილი ოთარ თუმანოვის სამართლიანი შენიშვნით, „ქართლში ქურდის ლეკისაგან დიდი ძალა ჭირს თუ დიდი ჯარი გამოვა, პირდაპირ შეებმიან და ქართველები აჯობებენ, თუ არ, ქურდობით ძალას შვრებიან“[10].

1755 წელს ლეკების ორგანიზებულ შემოტევას ნახიჩევნის ყოფილი ხანი, წარმოშობით ქართველი, ბაამი მეთაურობს. მისი რაზმები ქვემო ქართლს სასტიკად არბევენ. იმავე წელს განმეორებით ილაშქრებს ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი, რომელმაც მჭადიჯვარში მიღებული გაკვეთილი არ იკმარა. მისი 20-ათასიანი ლაშქარი, რომელშიც შამხალისა და სურხაის ხანებიც იღებდნენ მონაწილეობას, ყვარლის ციხეს შემოადგა, ერთი რაზმი ქართლს შეესია, ჭარელებს კი ქიზიყის დარბევა დაევალა.

ყვარლის ციხე კახეთის ერთ-ერთი ძირითადი ფორპოსტი იყო, ამიტომ მის დაცვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მეფეებს კი იმიერკავკასიიდან მაშველი ჯარი არ მოუვიდათ და ასეთ დიდ ლაშქართან შებმა მარტო საკუთარი ძალებით შეუძლებლად მიიჩნიეს. ციხეში გამაგრებული ქართველების თავდადებამ და ციხის გარეთ შეკრებილი ასსამოცკაციანი რაზმის გმირობამ, რომელიც ალყაშემორტყმულ ციხეში შეიჭრა, და იქ სურსათი და ტყვია-წამალი შეიტანა, კახეთი მორიგ აოხრებას გადაარჩინა. მოალყე ჯარებში იმედგაცრუებამ იჩინა თავი. ამავე დროს, ერეკლეს ინიციატივით ქიზიყელები ჭარის სოფლებში შეიჭრნენ. დაარბიეს და დიდძალი საქონელი და ტყვე წამოიყვანეს. ციხესთან მდგომმა ჭარელებმა ყოყმანი დაიწყეს. ჩქარა კი, როცა ერეკლემ ამგვარი ხასიათის და უფრო დიდი მასშტაბის ოპერაცია გაიმეორა, ალყა მოშალეს და თავიანთ სახლებს მიაშურეს. თანდათანობით მოალყეთა ლაშქარი დაიშალა და ნურსალ-

---

10 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 369—387.

ბეგმა კიდევ ერთხელ სასტიკი მარცხი განიცადა; თუმცა გული არ გაიტეხა და ახლა მცირე, პარტიზანული რაზმებით დაიწყო რბევა-თარეში, ვიდრე ქართველთა მედგარმა წინააღმდეგობამ ხუნძახის ბატონი არ აიძულა უკან გაბრუნებულიყო. ლეკთა წვრილი თარეშები მაინც გრძელდებოდა.

1756 წლისათვის, როგორც ჩანს, ლეკთა შემოსევების გამო, ქვემო ქართლი თანდათან დაიცალა და ახლა ძირითადი დარტყმები შიდა ქართლზე მოდიოდა. ერეკლე ქართველთა რაზმებით სოფელ-სოფელ დასდევდა ამ ყაჩაღებს, სადაც მიეწეოდა, ამარცხებდა და ანადგურებდა, მაგრამ ლეკთა მოქნილ ტაქტიკას მაინც თავისი გაჰქონდა. კახთა ჯარით ერეკლე ქართლში მებრძოლი რომ დაიგულეს, ლეკების სხვა რაზმები ახლა კახეთს დაესხნენ თავს, დაარბიეს და უკან გაბრუნებულებმა კახელთა მდევარი რაზმიც დაამარცხეს. ერეკლემ სასწრაფოდ კახეთს მიაშურა და ლაშქარი ჭარსა და დაღესტნის სოფლებს შეუსია.

ასე გრძელდებოდა შემდგომ წლებშიც. ქვეყანა აოხრდა, „დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთაოებში. აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს, მცირედნი კაცნი ქვეშის ციხეში იდგა და ყარაბულახის-შვილები სამშვილდესა შინა. იყო ცემა და ოხრება საქართველოს შინა. გავიდიან მეფენი ქალაქით, შეებიან, ზოგჯერ გაემარჯვისთ ლეკზე და ზოგჯერ წაიღიან ფრიადი“[11]. 1758—1759 წლებში საქმე იქამდე მივიდა, რომ კოხტა ბელადისა და ჩონჩოლ-მუსას ლეკთა ლაშქარი უკვე ზემო ქართლს არბევდა[12].

ლეკიანობა საქართველოსათვის იმჟამად ისეთი ჭირი იყო, რომლის მოცილება დასუსტებულ ქვეყანას თავისი ძალებით მეტად უჭირდა. ლეკთა წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის მუდმივი ჯარის ყოლა იყო აუცილებელი. ამისათვის კი დიდი თანხა იყო საჭირო, რაც დასუსტებულ სამეფოს არ გააჩნდა. მართალია, უფრო გვიან ქართველებმა გამონახეს ამ საკითხის გადაჭრის საშუალება, მორიგე ჯარი რომ შემოიღეს, მაგრამ იმჟამად ბრძოლის ეს ფორმა მომწიფებული არ იყო და ამ საკითხის გადაწყვეტას ქართველი მეფეები ქვეყნის გარეთ ეძებდნენ.

---

11 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 384.

12 იქვე, გვ. 384—385.

გადასაჭრელი იყო ქართლ-კახეთის გაერთიანებისა და მემკვიდრეობის საკითხი, რომელიც, როგორც ვნახეთ, 1752 წლის ელჩობამ ვერ მოაგვარა. ვახტანგ ბატონიშვილის ორივე სამეფოს უფლისწულად გამოცხადება ამ გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, მაგრამ სანამ ეს აქტი დამტკიცდებოდა, პრობლემა გადაწყვეტილად მაინც ვერ ჩაითვლებოდა.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ქართლისა და კახეთის შეერთების ფორმალურ აქტსა და მისი მემკვიდრეობის საკითხს მეტად დიდ ყურადღებას ვუთმობთ, მაგრამ მას ასევე დიდ ყურადღებას უთმობდნენ თეიმურაზი და ერეკლე. საქმე ისაა, რომ ამ „ფორმალურ“ აქტთან დიდი ამბები და ვნებათაღელვანი იყო დაკავშირებული.

თუ იმ დროს ქართლ-კახეთისათვის ყველაზე საშიში გარეშე მტერი ლეკიანობა იყო, ქვეყნის შიგნით კიდევ უფრო საშიში მტერი იყო სათავადოთა სისტემა და თავადური პარტიკულარიზმი. „სათავადოების სისტემა საქართველოს ჩამორჩენილობას ემყარებოდა და თავის მხრივ ამ ჩამორჩენილობას ემსახურებოდა. გასაგებია, რომ საქართველოს „აღდგომისათვის“ ბრძოლა სათავადოების სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდა“[13]. ეს სისტემა უკვე დრომოჭმულ სოციალურ ურთიერთობას ემყარებოდა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად ამუხრუჭებდა. „საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა, ქვეყნის ძალთა მობილიზაციის შეუძლებლობა და უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლაში დამარცხება, სათავადოთა სისტემის ნიადაგზე შექმნილი მოვლენა იყო“[14]. ამრიგად, ქართლ-კახეთის ჭეშმარიტი გაერთიანება შეუძლებელი იქნებოდა ამ ისედაც მცირე ზომის სამეფოებში კიდევ უფრო წვრილი და მრავალრიცხოვანი „სამეფოების“ მოსპობის გარეშე. ეს თეიმურაზისა და ერეკლეს რადიკალური პოლიტიკა იყო, რაც შესანიშნავად ესმოდათ ამ სისტემის მესვეურთ (წარმომადგენლებს), მაგრამ არც ერთი მათგანი ერეკლესა და თეიმურაზის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველობის „აღდგომის“ წინააღმდეგ, ფორმალურად, ცხადია, არ გამოდიოდა. ყველა მათგანი თავის პარტიკულარისტულ მისწრაფებებს ქართველობისა და სამართლიანობის დაცვის დემაგოგიური ლოზუნგით ნიღბავდა და აქ მათი ძირითადი დასაყრდენი სწორედ თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ ქართლის ტახტის „უკანონოდ“ მითვისების აქტი იყო. ქვეყნის გაერთიანე-

13 ს. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 393—394.

14 იქვე, გვ. 393.

ბის წინააღმდეგ ისინი ლეგიტიმიზმის დროშით გამოდიოდნენ და თავიანთ ბრძოლას სხვადასხვა ტახტის მაძიებლებს უკავშირებდნენ იმ იმედით, რომ გამარჯვების შემთხვევაში ახალი გვირგვინოსანი „ამაგს“ დაუფასებდა და მათ ძლიერებას განამტკიცებდა. თავადური ოპოზიციის არსებობის ფაქტი და მისი დამოკიდებულება თეიმურაზისა და ერეკლეს პროგრამისადმი არაერთ პოლიტიკურ ინტრიგანსა და ავანტურისტს ქართლის ტახტის დაპატრონების სურვილს უღვივებდა. ამ საქმეში მათი მხარდამჭერი და წამქეზებელი საქართველოს. ისტორიული მტრები — ირანი და ოსმალეთი იყვნენ. ნიშანდობლივია, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში რუსეთის ხელისუფალთ რამდენადმე სერიოზულად მხარი არც ერთი ტახტის მაძიებლისათვის არ დაუჭერიათ.

ქვეყნის მომავალს სათავადოთა სისტემის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა სჭირდებოდა, ქართლის ტახტის მაძიებელთა ინტრიგების განეიტრალებლად კი თეიმურაზი და ერეკლე იძულებული იყვნენ ისევ თავადებისათვის მიემართათ და დათმობებისა და წყალობების საშუალებით მათი მხარდაჭერისათვის მიეღწიათ (აბდულა-ბეგის წინააღმდეგ ბრძოლაში ერეკლე იძულებული იყო გაუქმებული ქსნის საერისთაო აღედგინა; ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების აქტს გივი ამილახვრისა და კონსტანტინე მუხრანბატონის უფლებებს არნახული გაზრდა მოჰყვა; ვახტანგ ბატონიშვილის ორივე სამეფოს უფლისწულად გამოცხადებას ჯიმშერ ჩოლოყაშვილის აღზევება).

ამრიგად, ორი სამეფოს შეერთება და მისი მემკვიდრეობის საკითხის მოგვარება ქვეყნის მომავალი განვითარებისა და პერსპექტივების მაგისტრალურ ხაზს უკავშირდებოდა და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვდა.

დაახლოებით 6 წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის მეფეებს რუსეთიდან ხელმოცარული ელჩობა დაუბრუნდათ და, უკვე თვით თეიმურაზ მეფის მეთაურობით, რუსეთში ახალი ელჩობის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღეს და, რაც მთავარია, ეს ელჩობა იმავე წინადადებებით, იმავე სათხოვარითა და იმავე არგუმენტებით მიდიოდა საიმპერატორო კარზე: ერეკლე I-სადმი რუსეთის ხელმწიფის მიერ ბოძებული წყალობის სიგელის თეიმურაზ II-ისა და (უფრო მოსალოდნელია) ერეკლეს II-ის სახელზე განახლება; ლეკთა თარეშის ასალაგმავად 3—4-ათასიანი რაზმის ან მისი დასაქირავებელი ფულის თხოვნა; ირანში ერთობლივი აქტიური მოქმედება და იქ სასურველი კანდიდატურის ტახტზე აყვანა.

მჭიდრო ამგვარი „აჩქარება“ ირანში შექმნილი ვითარებით იყო განპირობებული.

როგორც ითქვა, ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ მისი დაპყრობებით შექმნილი უზარმაზარი იმპერია, რომელსაც ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური ბაზა არ ჰქონდა, დამოუკიდებელ ფეოდალურ სამფლობელოებად დაიშალა. ნადირ-შაჰის არმიის შემადგენლობაში მყოფი ავღანთა რაზმები, რომლებსაც ახმედ-ხან აბდალი ედგა სათავეში, ავღანეთში დაბრუნდნენ და თან ნადირის სასახლიდან გატაცებული უამრავი ქონება წაიღეს. ახმედ-ხანმა ავღანეთის ქალაქები დაიკავა, ეს ქვეყანა დამოუკიდებლად, ხოლო თავისი თავი მის მმართველად გამოაცხადა.

ირანში 1747 წლის ივნისს შეთქმულებმა შაჰად ნადირის ძმისშვილი ალი-ყული-ხანი აღიარეს. მან სახელად ადილ-შაჰი (სამართლიანი შაჰი) დაირქვა, მაგრამ ამ „სამართლიანმა“ შაჰმა ნადირის ყველა შვილი და შვილიშვილი გაწყვიტა, გარდა უფროსი შვილიშვილის — შაჰ-როჰ მირზასი, რომელიც დააბრმავა, ხალხში კი ხმა გაავრცელა, ისიც მკვდარიაო (თანადროულ ისტორიკოსთა ცნობით, ადილ-შაჰს მისი სიცოცხლე იმ შემთხვევისათვის სჭირდებოდა, თუ ხალხი კანონიერ მემკვიდრეს მოითხოვდა). ადილ-შაჰმა ჩქარა აზლობლებიც აიმხედრა. დაახლოებით ერთი წლის მეფობის შემდეგ იგი მისმა ძმამ იბრაჰიმმა დაამარცხა, დააბრმავა და ტახტიდან გადააყენა. მაგრამ იბრაჰიმმაც მხოლოდ ორი თვე იმეფა. ხორასნის ამირებმა შაჰ-როჰი ციხიდან გამოიყვანეს და შაჰად აღიარეს. ამის შემდეგ 1751 წლისათვის ირანი მრავალ ფეოდალურ სამფლობელოდ დაიშალა. ხორასანში, ავღანეთის მმართველის ახმედ-ხან-დურანისა და მისი რაზმების აქტიური მონაწილეობის შედეგად, დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა, რომელსაც დაბრმავებული შაჰ-როჰი ედგა სათავეში. ასტრაბადი და მაზანდარანი ყაჯართა ტომის ბელადს, მოჰამედ-ჰასან-ხან-ყაჯარს ემორჩილებოდა. სამხრეთ აზერბაიჯანში ნადირ-შაჰის ერთერთი ავღანი სარდალი აზატ-ხანი გაძლიერდა. გილანში იქაურმა ფეოდალმა ხედოიათოლა-ხანმა თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. ისპაანში ალი-მარდან-ხან ბახტიარი, ხოლო შირაზში ქერიმ-ხან-ზენდი გაბატონდა[15].

ზენდები ერაყის ერთ-ერთ უძველეს ტომს შეადგენდნენ და ფერისა და მალაირის რაიონში ცხოვრობდნენ. შემოსევების დროს ისინი

---

15 ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა. ირანი ქერიმ-ხან-ზენდის დროს, თბ., 1973, გვ. 64.

დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ავღანელებსა და თურქებს, მაგრამ ნადირ-შაჰის გამარჯვებების შემდეგ, როცა შემოსევები აღიკვეთა, ეს მებრძოლი ხალხი ყაჩაღობაზე გადავიდა და თვით ნადირ-შაჰის ბანაკსაც კი უბედავდა აოხრებასა და ძარცვას. ამის გამო, ნადირ-შაჰმა ისინი ჯერ სასტიკად დასაჯა (400 მზედარი ამოხოცა), შემდეგ კი ხორასნის მახლობლად, დერგეზში, გადაასახლა. ნადირის სიკვდილის შემდეგ ეს ტომი ისევ თავის ძველ საცხოვრებელ ადგილს დაუბრუნდა. ჩქარა ქერიმი ამ ტომის მეთაური გახდა და მეზობელ ფეოდალებთან წარმატებით ბრძოლაში დიდი სახელი და ავტორიტეტი მოიპოვა. ალიმარდან-ხანთან დაპირისპირებასა და ბრძოლაში 1753 წელს ქერიმ-ხანმა გაიმარჯვა. იგი ისპაანის ერთპიროვნული მმართველი გახდა. ზენდთა ბელადი მეთოდურად მიიწევდა წინ და თავის გავლენას სულ ახალ და ახალ ტერიტორიებზე ავრცელებდა. მალე მის მფლობელობაში სამხრეთი აზერბაიჯანიც მოექცა. დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მას ყაჯარებმა. ეს ბრძოლა 1758 წლამდე გაგრძელდა, როცა ქერიმ-ხანმა მოჰამედ-ჰასან-ხანის ლაშქარი დაამარცხა. თვითონ მოჰამედ-ხანი ამ ბრძოლაში დაიღუპა[16].

ირანში შინაომლილობის პერიოდი მთავრდებოდა. ქერიმ-ხანმა ირანის ტერიტორიის დიდ ნაწილზე გაავრცელა თავისი უფლებები და ახლა მას სულ ორიოდე რაიონში ჰყავდა მოწინააღმდეგე: შაჰროჰი ჯერ კიდევ მტკიცედ იდგა ხორასანში, ხოლო აზერბაიჯანში დასუსტებული აზატ-ხანი იარაღის დაყრას არ ფიქრობდა.

თეიმურაზი და ერეკლე გრძნობდნენ, რომ მალე ირანის ახალ მფლობელთან მათი დამოკიდებულების საკითხი დადგებოდა. მათ შესანიშნავად ესმოდათ, რომ ირანის სახელმწიფოს ახალი გამაერთიანებელი საქართველოს ასე თავისუფლად არ დატოვებდა. საჭირო იყო ორიენტაციის გარკვევა: ან რუსეთის საშუალებით ირანში სასურველი კანდიდატურა უნდა გაეძლიერებინათ, ან ირანის ტახტის მაძიებლებთან მოქნილი პოლიტიკით საერთო ენა გამოენახათ და შესაბამისი კურსი გაეტარებინათ.

ირანის ტახტის პრეტენდენტთაგან საქართველოს ყველაზე უახლოესი მეზობელი — აზერბაიჯანის გამგებელი აზატ-ხანი, ჯერ კიდევ 1756 წელს შეეჯახა გილანისა და მაზანდარანის მფლობელს მოჰამედ-ჰასან-ხანს და დამარცხდა ვამარჯვებული მოჰამედ-ჰასანი მუღანს მოვიდა და ამიერკავკასიის ხანები თავისთან დაიბარა. ხანები არ გამო-

---

16 История Ирана, М., 1977, с. 211.

ცხადდნენ. მუღანიდან იგი აზერბაიჯანისაკენ გაემართა და 1757 წლის გაზაფხულზე თავრიზი აიღო, აქედან ყაჯარი ყარაბაღის მფლობელ ფანა-ხანის წინააღმდეგ წამოვიდა, შუშას ალყა შემოარტყა და ქართველებს დახმარება სთხოვა. მეფეებმა დახმარებაზე უარი უთხრეს, მაგრამ ძვირფასი საჩუქრები კი გაუგზავნეს[17]. თეიმურაზი და ერეკლე ფრთხილ პოლიტიკას ანხორციელებდნენ და ძალთა თანაფარდობას სწავლობდნენ. არავინ იცის რა განზრახვები ჰქონდა ყაჯარ მოჰამედ-ხანს ამიერკავკასიაში, მაგრამ ამასობაში მისი მეფლობელოს წინააღმდეგ ქერიმ-ხანის გამოლაშქრების ამბავი მოუვიდა, უმალ ირანს დაბრუნდა და ბრძოლაში სიცოცხლეს გამოესალმა.

ქართველ ხელისუფლებს სასწრაფოდ უნდა განესაზღვრათ ქვეყნის საგარეო კურსი. აქვე უნდა შევნიშნოთ: თეიმურაზისა და ერეკლესათვის რუსეთისა და ირანის ორიენტაციის ალტერნატივა არასოდეს მდგარა. რუსეთთან ისინი, თავის დიდ გეგმებს აკავშირებდნენ და ქვეყნის „აღდგომის“ და „გამოხსნის“ საქმის გადაწყვეტა, მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობაში წარმოედგინათ. მაგრამ ეს მომავლის საქმე იყო. ახლა კი ქართლ-კახეთის სამეფოს დღევანდელი პოლიტიკა უნდა დაზუსტებულიყო.

ასეთი იყო ვითარება საქართველოს გარშემო, როდესაც თეიმურაზის რუსეთში ელჩობა მზადდებოდა. 1760 წლის აპრილის შუა რიცხვებში ელჩობა საქართველოდან გაემგზავრა[18]. რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა იმ დროს ისეთი იყო, რომ საქართველოდან ელჩობის მიღება საიმპერატორო კარს მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნიდა. რუსეთის იმპერია ევროპის საქმეებში იყო ჩაფლული. მოკავშირეების უნიათობის გამო „შვიდწლიანი ომის“ (ერთი მხრივ, პრუსიასა და ინგლისს, მეორე მხრივ, საფრანგეთ-ავსტრია-რუსეთს შორის) მთელი სიმძიმე რუსეთს დააწვა მხრებზე. ეს ომი მას დიდ მატერიალურ და ფიზიკურ ზიანს აყენებდა. ფერხდებოდა ვაჭრობა, დაიძაბა ქვეყნის ეკონომიკა. დაცარიელდა ხაზინა. თურქეთი, რომელსაც ინგლისი ენერგიულად აქეზებდა რუსეთის წინააღმდეგ, მხოლოდ იმიტომ იკავებდა თავს რუსეთთან ომის დაწყებისაგან, რომ ეშინოდა ამით ირანსა და ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცება არ გამო-

---

17 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 391.

18 ვ. მაჭარაძე. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, II, თბ., 1968, გვ. 42.

ეწვია. ამავე დროს, იგი ფხიზლად ადევნებდა თვალს ამ რეგიონში რუსეთის ყოველ ნაბიჯს და მზად იყო საპასუხო ღონისძიებებისათვის. ერთი სიტყვით, ირანისა და ამიერკავკასიის საქმეებში ჩარევა თურქეთთან ომის გარეშე არ ჩაივლიდა. ერთდროულად ორი ომის წარმოება რუსეთს არ შეეძლო. ამიტომ გასაგებია ის დიდი შეშფოთება, რაც საიმპერატორო კარზე თეიმურაზის ელჩობის საზღვარზე გამოჩენამ გამოიწვია. ელჩობა რუსეთისათვის ერთობ უდროო და არასასურველი იყო. მიუხედავად ამისა, არ უნდა იყვნენ მართალი ის ავტორები, რომლებიც აღნიშნული ელჩობის მოწყობის საფუძველზე, თეიმურაზსა და ერეკლეს საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში გაურკვევლობას მიაწერენ.

როგორც ითქვა, ელჩობის აუცილებლობა და გადაუდებლობა თვით საქართველოს საგარეო საქმეებით იყო გამოწვეული, ხოლო აღნიშნული მისია რომ გარკვეულ სირთულეებს წააწყდებოდა რუსეთში, ეს, როგორც ჩანს, თეიმურაზმა და ერეკლემ კარგად იცოდნენ. მათ ელჩობის შესაძლებელი მარცხი გაითვალისწინეს და საქმე ისე მოაწყეს, რომ ასეთი არასასურველი შედეგის შემთხვევაში, ირანის გაძლიერებული მფლობელის წინაშე ურთიერთობის დამყარების საშუალება დაიტოვეს. ამით იყო განპირობებული ის გარემოება, რომ თუმცა ელჩობა ქართლისა და კახეთის სამეფოების სახელით მიდიოდა, ერეკლე II-ს რუსეთის ხელისუფლებაში წარსადგენ არც ერთ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია, ხოლო შესაბამის სიტუაციაში იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თეიმურაზი რუსეთში თავისი ინიციატივით, თავისი სურვილით წავიდა[19].

არც ის შეხედულება უნდა იყოს მართალი, თითქოს თეიმურაზსა და ერეკლეს ელჩობის გაგზავნის გადაწყვეტილება წინასწარი მომზადებისა და შეთანხმების გარეშე მიეღოთ. გარდა იმისა, რომ საქართველოდან რუსეთში სისტემატურად დადიოდნენ ვაჭართა ქარავნები, რომელთაც შეეძლოთ, რუსეთიდან სხვადასხვა ზეპირი ინფორმაციების გარდა, კორესპონდენციებიც ეტარებიათ, ელჩობას წინ უფრო სერიოზული და, შეიძლება ითქვას, ნახევრად ოფიციალური კონტაქტებიც უსწრებდა. მაგალითად, იმ ხანებში პ. ორბელიანის ცნობით, „მო-

---

19 ვ. მაჭარაძე. დასახ. პუბლიკაცია, გვ. 223, სად. მ. მაგალითად, თ. ამილახვრისადმი 1760 წლის 1 აპრილს მიწერილ წერილში ერეკლე აღნიშნავს, რომ თეიმურაზი... «по соизволению своему отправился к ея императорскому величеству, не имея другова прибежища кроме того».

ვიდა რუსეთით ბარათაშვილი თომა ქართლში, რომელი გაყოლოდა ქართველს ბატონს. მეფეს ვახტანგს რუსეთს. მეფე ვახტანგი რა გარდაცვლილიყო, ვინა ქართველი თავადთა შვილი იყო, რუსეთის ხელმწიფ-ს დავთარში დაწერილიყვნენ (ე. ი. რუსეთის მოქალაქეობა მიეღოთ — მ. ს.), მიეცათ ჯამაგირი და მას აქეთ იყოფებოდნენ იქ ქართველნი რომელიმე და მსახურებდენ. ახლა ამ თომასათვის მიეცათ თეთრი და იმ ქვეყნიდამ ეთხოვნათ ხელმწიფისა შესაკადრნი ცხენნი ბედაურნი. წავიდეს ეს თომა ახალციხის ქვეყანას, გადავიდა იმერეთს, ოდიშ-გურიასა და სადა პოვა ცხენნი ბედაურნი, იყიდნა ძვირფასად და გამოიყვანა და დააყენა სურამს, ბძანებითა ქართლის მყპრობელისა მეფის თეიმურაზისათა, მოუყენა რუსნი, რომელთაც ახლდენ რუსისა ხელმწიფისა გამოტანილნი რუსნი. თითონ თომა ჩამოვიდა ქალაქსა თბილისისასა, დააყენა პატივით მეფემა“[20].

თომა ბარათაშვილი მარტო ცხენების შესასყიდად რომ არ იყო ჩამოსული, ეს აშკარაა. საქართველო მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარეობდა და თბილისში მრავალი ქვეყნის ვაჭრები ირეოდნენ, მაგრამ მათდამი ყურადღება არც მეფეებს გამოუჩენიათ და არც მემატიანეებს ისე, რომ მათი ჩამოსვლა საგანგებოდ აღენიშნათ. პაპუნა ორბელიანის ეს ცნობა აშკარად მოწმობს, რომ ცხენების შესყიდვის საბაბით ჩამოსულ ბარათაშვილს, გარდა აქაური ამბების დაზვერვისა, სახელმწიფო მნიშვნელობის დავალებებიც ჰქონდა და, ცხადია, ამაზე მეფეებსაც ეთათბირა. ამ ვარაუდს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ საქართველოში კარგა ხანს დარჩენილი თომა ბარათაშვილის „წასაყვანად“ რუსეთიდან სპეციალური დელეგაცია ჩამოვიდა: „მოვიდნენ რუსეთის ქვეყნიდამ კაცნი თომას წასაყვანად, რომელი იყო ბარათაშვილი და ყმა რუსეთის ხელმწიფისა, მოვლინებული საქართველოში, რომ ამისი ამბავი ზემო აღგვიწერია. უბოძეს მეფეთა საბოძვარი და გაისტუმრეს, წავიდნენ და წაიყვანეს ცხენები, რომელი ეყიდა თომას ბარათაშვილს რუს ხელმწიფისათვის“[21].

თუ აღნიშნული დელეგაცია სპეციალური მოლაპარაკებისთვის არ იყო ჩამოსული (როგორც ჩვენ მიგვაჩნია), ის ხომ აშკარაა, რომ მეფეები მათი მეშვეობით რუსეთის ამბებსა და რუსეთის განწყობილებას დაწვრილებით შეიტყობდნენ. ეს ამბები 1754—1755 წლებში მოხდა. მაშინ საქართველოში ისეთი რთული ვითარება სუფევდა

---

20 პ. ორბელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 221—222.

21 იქვე, გვ. 225—226.

(რის შესახებაც ამ ნაშრომში გაკვრით იყო საუბარი), რომ რუსეთში ელჩობის გაგზავნის საშუალება არ იყო. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ აღნიშნულმა ფაქტმა 1760 წლის ელჩობის მომზადებაზე გარკვეული გავლენა იქონია.

ახლა, როგორც ითქვა, რუსეთში სხვა ვითარება სუფევდა. თეიმურაზის ელჩობის საზღვართან გამოჩენამ რუსეთის საიმპერატორო კარი საგონებელში ჩააგდო. ამ ფაქტს შეიძლება თურქეთთან ურთიერთობის გამწვავება გამოეწვია. მაგრამ რუსეთის ხელისუფალთ არც თეიმურაზისა და ერეკლეს განაწყენება შეეძლოთ, რადგან ქართლ-კახეთი ამიერკავკასიასა და წინა აზიაში მათი პოლიტიკის დასაყრდენად ითვლებოდა და თუ იმჯერად მასთან ურთიერთობა პოლიტიკური თვალსაზრისით მიუღებელი იყო, შეცვლილ ვითარებაში, რაც შორეული მომავლის საქმედ არ ჩანდა, ქართველ პოლიტიკოსთა განწყობაზე ბევრი რამ იქნებოდა დამოკიდებული. ამიტომ, რუსეთის საგარეო საქმეთა გამგებლებმა სხვა ვერაფერი მოიფიქრეს გარდა იმისა, რომ ვითარების შეცვლის მოლოდინში თეიმურაზის პეტერბურგში ჩასვლის საკითხი გააჭიანურეს და 1760 წლის აპრილში წარმოსულმა მეფემ 1761 წლის აპრილში ძლივს მოახერხა იმპერატორ ელისაბედთან შეხვედრა.

ელჩობის ნამდვილ მიზნებს მეფეები გულმოდგინედ მალავდნენ, ხოლო ოფიციალურად აცხადებდნენ, რომ თეიმურაზი იმპერატრიცას თაყვანის საცემად მიდიოდა ამხელა გზაზე. ცხადია, ამგვარი განმარტება არც არავის აკმაყოფილებდა და არც არავის სჯეროდა. საიმპერატორო კარი ელჩობის მისაღებად მომზადებული უნდა ყოფილიყო და ამისთვის მისი ფაქტობრივი მიზნების გარკვევა იყო აუცილებელი. მაგრამ რატომ მალავდა თეიმურაზი ასე გულმოდგინედ ელჩობის ნამდვილ მიზეზს? ერთი მხრივ, შეიძლება ფიქრობდა, რომ მისი მიზნების გამჟღავნების შემთხვევაში რუსეთის კარი მის მიღებას შეუძლებლად მიიჩნევდა, მეორე მხრივ ალბათ, მთავარ ანგარიშს იმას უწევდა, თუ როგორ შეხედავდნენ ამ საქმეს ისინი, ვისაც ეს მიზნები შეეხებოდა — ირანი, ლეკები, მაჰმადიანური მეზობელი სახანოები. საქმე ისაა, რომ თუმცა თეიმურაზი ყველგან ხაზგასმითა და სიამაყით აცხადებდა, ქართლ-კახეთი არავისგან დამოკიდებული არ არისო და ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ირანში შექმნილი ვითარებით იყო განპირობებული. ირანში კი მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა. თვით ელჩობის სასწრაფოდ გამგზავრებაც სწორედ ამით იყო გამოწვეული.

თეიმურაზი ლეკების წინააღმდეგ დახმარებას ითხოვდა. ლეკების გათავხედება კი ამიერკავკასიაში ძლიერი ხელისუფლების არყოფნითაც იყო განპირობებული. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი ადგილი ეჩმიაძინის კათალიკოსის აკოფ შამახეცის წერილიდან, რომელიც მან რუსეთის ხელისუფლებას მისწერა თეიმურაზისათვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე. მართალია, იგი გაურკვეველი მიზეზის გამო საიმპერატორო კარს არ მისვლია, მაგრამ ეს საკითხის არსს არ ცვლის: „როდესაც ყიზილბაშთა სამეფო გაუქმდა, ჩვენი უბედურება და წამება ყველგან და ყველაფერში გამრავლდა... განსაკუთრებით კავკასიაში მცხოვრები ლეკებისაგან, — ველური ყაჩაღებისა და სისხლის მსმელებისაგან, რომლებიც გაცოფებულნი, აი უკვე რამდენიმე წელია, ამგვარი განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში, ერთი შეორის მიყოლებით ჩვენს ქვეყნებს, უმეტესად კი საქართველოს გუნდებად თავს ესხმიან“[22]. ნადირ-შაჰის სარწმუნოებრივი პოლიტიკა და განსაკუთრებით მისი მფარველობითი დამოკიდებულება სომხური ეკლესიისადმი ცნობილია (ისევე, როგორც ამ ფაქტის საფუძველიც). ამდენად, სომეხი კათალიკოსის მოსაზრება ყიზილბაშთა სამეფოს თაობაზე ქართველებისათვის საზომად არ გამოდგება; მაგრამ ამ სიტყვებში ჭეშმარიტების დიდი ნაწილი მაინც არის. ამიერკავკასიაში არ აღმოჩნდა ძალა, რომელიც ლეკთა თარეშებს ალაგმავდა, არ აღმოჩნდა იმიტომ, რომ წვრილი სამფლობელოები და სახანოები მხოლოდ მაშინ ებრძოდნენ ამ ავაზაკებს, როცა ისინი მათ საკუთარ ტერიტორიაზე იჭრებოდნენ. სხვა შემთხვევაში კი სიამოვნებით იყენებდნენ მათ მეზობელი სამფლობელოების წინააღმდეგ.

ქართლ-კახეთი, ამ პერიოდში რეგიონის ყველაზე ძლიერ ერთეულად გამოიყურებოდა. მისი სამხედრო პოტენციალი, ეკონომიკური წყობა, სოციალური ურთიერთობა თუ გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელ პირობას ქმნიდა ამიერკავკასიის გაერთიანების საქმეში ჰეგემონობისათვის. მაგრამ ამ მისწრაფებას მხოლოდ სომხები უჭერდნენ მხარს. ერთი მხრივ, სარწმუნოებრივი სიახლოვის, მეორე მხრივ, პოლიტიკური ძალაუფლების არქონის გამო. არც ერთი სახანო თუ სამფლობელო თეიმურაზისა და ერეკლეს ბოლომდე ერთგული არ რჩებოდა, მაჰმადიანური ზედაფენა ქრისტიან მეფეებს ვერ ენდობოდა და შიშობდა, რომ ძალებს რომ მოიკრებდნენ, ისინი მის პოლიტიკურ ხელისუფლებას საერთოდ გააუქმებდნენ. ანტიქართულ გან-

---

[22] ე. მაკარაძე. დასახ. პუბლიკაცია, საბ. 42, გვ. 272.

წყობილებას მოსახლეობაც აქტიურად უჭერდა მხარს, რადგან რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილთ შთააგონებდნენ, რომ ქართველები ამიერკავკასიაში ქრისტიანობის გასავრცელებლად მოდიოდნენ, რაც მათ დიდ უბედურებად მიაჩნდათ.

ამრიგად, როცა თეიმურაზი რუსეთის ხელისუფლებს ლეკების წინააღმდეგ ჯარით ან ფულით დახმარებას სთხოვდა და ირანში სასურველი კანდიდატურის გამეფებაში კავშირს სთავაზობდა, ეს ფაქტობრივად ერთი საკითხის ორი მხარე იყო. ერეკლესა და თეიმურაზისთვის ასეთი ავანტურიზმის დაბრალება, თითქოს ისინი ირანის ტერიტორიაზე თავისი ძალაუფლების გავრცელებას ისახავდნენ მიზნად, გულუბრყვილობა იქნებოდა. ისინი რეალურად მოაზროვნე გამჭრიახი პოლიტიკოსები იყვნენ და მათი გეგმა ირანის თაობაზე სულაც არ იყო უტოპიური. თეიმურაზი რუსეთს ირანის ტახტზე ნადირ-შაჰის უფროსი ვაჟიშვილის — შაჰ-როჰის კანდიდატურას სთავაზობდა. „უდიდესო ხელმწიფეო, — მიმართავდა თეიმურაზი ელისაბედს — ამა მოწყალებრივითა წყალობითა მე თავის უფლებრივ ძალმიძს მამული და მპყრობელობა ჩემი სასურველსა ჩემსა უშიშვრობასა ჩემსა შინა მწარეთაგან მტერთა მოყუანებად დავფარავ საქართველოსა და კახეთსა საიმედოთი შეირაღებულის ერითა, მწადის გამორჩეულის დასით სპარსეთში შევიდე. რათა მოყვანებად ერთხმობით ჩინებულთა სპარსთა შეკრებანი, ვინათგან მით შევიძლო შებოკლება შფოთისა და ვეცადო მოგროვებულის ძალით ყენი კეთილმოსურნე რუსეთის შესამტკიცებლად ტახტზე ავიყუანო. განზრახვითა ჩემითა გაიცნჯვის რომ არ ვიცი, თუ ვინ სპარსეთის სახემწიფოსი კეთილმსწრაფლად დამკუდრებას შეძლებს. გარჭა შაჰრუხმა, [ვი]ნათ[გან] მისთვის ქვემოთ ჩამომავლობით ორისავ კერძოთი მამით შაჰნადირისაგან და დედით პირველთაგან ყეენთა სეფევინის ნათესაობისა ჭეშმარიტი მჭონებელი. თუმცა იგი არაბედნიერის შემთხვევითა დაბრმავებულია, მეუღლებიდამ ყმაწვილთ ბატონიშვილთაგან ჰყავს სიყუარული და სიმხურვალება სპარსეთის ერსა მის მიერ. და მის სახლისა ზემო მოხსენებულსა ნათესაობრივისა ღირსებასა უზეშთაეს სეფენის ნათესაობით სრულიად არ შემცირებულ არს და არც გაცივებულა“[23]...

თეიმურაზი არაფერს აჭარბებდა. შაჰ-როჰი იმ დროს ხორასანს ფლობდა და თუმცა ამ მხარეს დიდებულებზე დაყრდნობით მართავდა, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. ირანელი

---

23 ე. მაჭარაძე. დასახ. პუბლიკაცია, საბ. 148, გვ. 454.

ისტორიკოსის ცნობით, „შაჰ-როპი ლამაზი სახისა და მოსიყვარულე გულის ადამიანი იყო. მან მალე მეშჰედელთა სიყვარული მოიპოვა"[24]. ეს პოპულარობა იმის საფუძველს იძლეოდა, რომ შესაბამისი დასაყრდენის პირობებში, ირანელი ხალხის მიმხრობა მის სასარგებლოდ ძნელი არ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ეს უფლისწული, ერთ დროს ირანის შაჰადაც იყო გამოცხადებული და ამ ტიტულს ჯერაც ატარებდა. იგი მამით ირანში პოპულარული დიდი ნადირ-შაჰის შვილიშვილი იყო, დედით კი ასევე სახელგანთქმული სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელი. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, ქართული სამხედრო შენაერთების დიდ ავტორიტეტს ირანში, ერეკლესა და თეიმურაზის სამხედრო ნიჭსა და ირანის საქმეების ცოდნას, აგრეთვე იმას, რომ ირანში ქართული და განსაკუთრებით სომხური კოლონია ჯერ კიდევ ძლიერი იყო და ამ კოლონიის წარმომადგენლები პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიურად ერეოდნენ, აშკარა გახდება, რომ თეიმურაზის გეგმა სრულიად რეალური და პრაქტიკულად არც ძნელი განსახორციელებელი უნდა ყოფილიყო. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მას დაეხმარებოდა თუნდაც იმით, რომ დასახული ოპერაციის შესრულების პერიოდში, ქვეყნის მშვიდობიანობა დაეცვა.

თეიმურაზის დასაბუთებულმა მსჯელობამ, ეტყობა, ზემოქმედება მოახდინა და დაიფიქრა რუსეთის საგარეო საქმეთა მესვეურნი. საგანგებო შეხვედრისას კანცლერმა მ. ვორონცოვმა მას ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა; გაერკვა ქართველთა გეგმებში, რომლებმაც იგი სერიოზულად დააინტერესეს. კანცლერი აზუსტებდა, რა ძალები პყავდა შაჰ-როჰს, რას წარმოადგენდა მისი მომხრეების პარტია, რა დახმარება იყო საჭირო საქართველოს დასაცავად და ა. შ. ერთი სიტყვით, გამოცდილი პოლიტიკოსი და დიპლომატი მ. ვორონცოვი ირანის საკითხს პრაქტიკული თვალსაზრისით სწავლობდა.

თეიმურაზმა ამომწურავი პასუხი გასცა მ. ვორონცოვის კითხვებს და იქვე დაუმატა, რომ თუ რუსეთის კარი სხვა შესაფერის კანდიდატურას დაუჭერს მხარს, იგი მზად არის მას აქაც დაეხმაროს. ეს აშკარად დიპლომატიური ნაბიჯი იყო. ცხადია, შაჰ-როჰის კანდიდატურა ქართველებს მისი ლამაზი გარეგნობისა და კეთილი სულიერი თვისებების გამო არ წამოუყენებიათ. შაჰ-როჰი ცნობილი იყო შემწყნარებლური დამოკიდებულებით ქრისტიანობის მიმართ. მთავარი კი ქართველებისათვის ის იყო, რომ ჯერ კიდევ 1750 წელს, შაჰ-როჰმა, მისი

---

24 ლ. შენგელია. დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

ირანის შაჰად გამოცხადებისთანავე, თეიმურაზს „არაყისა და ადრიბეჟანის სპასალარობა“, ხოლო ერეკლეს მისი ნაიბობა უბოძა. ამრიგად, შაჰ-როჰის ირანში გაბატონების შემთხვევაში, ეს ფორმალური აქტი რეალურ ძალას იძენდა და თეიმურაზი და ერეკლე ამიერკავკასიის ირანის ხელდებული ნაწილის ფაქტიური ბატონ-პატრონები ხდებოდნენ. ერეკლე ასევე ავტომატურად თეიმურაზის მემკვიდრედ ცხადდებოდა. ამ გეგმის სუსტი მხარე, ერთი შეხედვით, თურქეთის მოსალოდნელი პოზიციის გაუთვალისწინებლობა იყო; მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. მართალია, თეიმურაზი აცხადებდა, რომ ხონთქარი არავის „საქმეებში არ ერევის, ესოდენ საქართველოსათვის სარგოიანი, რომ მზგავსი შეძლებულობის ჟამი დიდის ხნითგან არ ყოფილა, ვინათგან ორთაგან არა უძლიერესთაგან მაჰადისთაგან მპყრობელთა საქართველოს მპყრობელობა აწ მოსვენებასა შინა იმყოფებისო“, მაგრამ მეფეებს არ შეეძლოთ თურქეთის ნეგატიური პოზიციის მოსალოდნელობა არ გაეთვალისწინებინათ. მართალია, იურიდიულად თურქეთს საქმეში ჩარევის უფლება არ ჰქონდა, რადგან თეიმურაზი ირანის ვალი და შესაბამისად ერთ-ერთი პირველი თანამდებობის პირი იყო, ასე, რომ მისი მოქმედება ირანის ტახტის საკითხში ირანის შინაური საქმეების ფარგლებში რჩებოდა. მაგრამ, თუ თურქეთი ამ იურიდიულ არგუმენტს არ დასჯერდებოდა, მისი ნეიტრალიზაცია რუსეთს უნდა ეკისრა. თეიმურაზისა და ერეკლეს გეგმით, სწორედ ამაში გამოიხატებოდა მისი ფუნქცია. ამისთვის ულოდებოდა თეიმურაზი შესაფერისი საერთაშორისო ამინდის დადგომას.

როგორც ჩანს, სათანადო წრეებში თეიმურაზის წამოყენებული გეგმა დაწვრილებით განიხილეს და, უნდა ვიფიქროთ, ჰკუაში დაუჯდათ. მაგრამ მისი განხორციელებისათვის სათანადო საერთაშორისო სიტუაცია იყო საჭირო. შვიდწლიანი ომის პირობებში ამაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. მაგრამ შვიდწლიანი ომი დასასრულს უახლოვდებოდა და ამის მოლოდინში თეიმურაზს პასუხს უგვიანებდნენ. ამასთან, საფიქრებელია, რომ თეიმურაზი საქმის ვითარების კურსში ჩააყენეს. სწორედ ამით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის გარემოება, რომ 8 თვის განმავლობაში იგი მოთმინებით და უდრტვინველად ელოდა პასუხს და არც ერთხელ ამ ხნის განმავლობაში არ გამოუთქვამს საჩივარი, პროტესტი, გაკვირვება ან თუნდაც უბრალო შეკითხვა.

ისეთი სურათი იქმნება, თითქოს თეიმურაზი დარწმუნებული იყო, რომ დადებით პასუხს მიიღებდა, ოღონდ ეს პასუხი გარკვეულ დროს მოითხოვდა და ისიც მოთმინებით ელოდა. მაგრამ შეეძლო კი ასეთ

ენერგიულ პიროვნებას, მეფეს, სარდალს, დიპლომატს, ამდენი ხნის განმავლობაში გულხელდაკრეფილი ჯდომა? ამ კითხვის გაჩენისთანავე ერთი რამდენადმე დელიკატური საკითხი იჭრება, რომლის საბოლოოდ გადაწყვეტა არსებული მასალების საშუალებით შეუძლებელია, მოსაზრების გამოთქმას კი თითქოს წინ არაფერი ეღობება.

თეიმურაზი რუსეთის გზას საკმაოდ მნიშვნელოვანი მატერიალური სახსრებით გაუდგა. ყიზლარში შეჩერებისას, საიმპერატორო კარმა, რომელიც, როგორც ითქვა, დიდ ანგარიშს უწევდა, რა თვალით შეხედავდა ამ საქმეს თურქეთი, მას ალტერნატივა წაუყენა: თუ პეტერბურგში ჩამოსვლა აუცილებლად მიგაჩნია, საკუთარი ხარჯით ჩამოდი, თუ არა და უკან გაბრუნდიო[25]. თეიმურაზმა უყოყმანოდ გადაწყვიტა პეტერბურგში საკუთარი სახსრებით გამგზავრება[26]. მაშასადამე, იგი პეტერბურგს თითქმის ასკაციანი ამალით უნდა ჩასულიყო. არავინ იცის, რამდენი ხანი მოუწევდა იქ დარჩენა (წინა ელჩობა ხომ თითქმის ორი წლის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში). ბუნებრივია, ამ ხნის განმავლობაში ელჩობას საკუთარი სახსრებით უნდა ერჩინა თავი, შემდეგ კი დამატებით უკან დასაბრუნებელი გზის აუარებელი ხარჯები დაეფარა. ასე რომ ერეკლეს პრეტენზია ელჩობის დამთავრების შემდეგ იმის შესახებ, რომ მას ეს ღონისძიება 100.000 მანეთი დაუჯდა, სულაც არ არის გადაჭარბებული. ეს თანხა ელჩობას თან მიჰქონდა და ამის იმედით აპირებდა მთელი ამ წამოწყების დაფინანსებას. შემდგომ ვითარება შეიცვალა. ელჩობას გზის ხარჯებიც აუნაზღაურეს და სახარჯო ფულიც მისცეს. თანაც, მის მოცულობას თანდათან ზრდიდნენ და, ბოლოს, თეიმურაზს სარჩოდ თვეში 1000 მანეთი დაუნიშნეს, რაც ერთობ დიდი თანხა იყო და პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდის 9000 ოქროს მანეთს უდრიდა[27]. მოსკოვსა და პეტერბურგში ელჩობა უზრუნველყოფილი იყო სურსათით, ფურაჟით, სათბობით, ბინით, ეკიპაჟებით და ა. შ. ასე რომ მას გამოყოფილი ჯამაგირი მთლიანად თითქოს ვერც უნდა დაეხარჯა. მოხდა კი ისე, რომ თეიმურაზმა „გაფლანგა“ მთელი მიღებული ჯამაგირი, საქართველოდან წამოღებული თანხა 100.000 მანეთი და როცა მისი გარდაცვალების შემდეგ, ელჩობის წევრებმა ფინანსები დაიანგარი-

---

25 ი. მაჭარაძე. დასახ. პუბლიკაცია, გვ. 267, 276.

26 იქვე. საბ. 50, გვ. 285.

27 ი. ციცაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში, საისტორიო მოამბე, 17—18. თბ., 1964, გვ. 156.

შეს, აღმოჩნდა, რომ მას სხვადასხვა პირისაგან (ძირითადად სომეხი ვაჭრებისგან) უზარმაზარი თანხა (12000 მანეთი) ვალად ჰქონდა აღებული, რის გასასტუმრებლადაც მათ ელჩობისათვის საიმპერატორო კარიდან გამოყოფილი საჩუქრების სასწრაფოდ რეალიზაცია დასჭირდათ. ამგვარ ვითარებაში არ შეიძლება არ დაიბადოს სრულიად ლოგიკური კითხვა: სად, რაში ან როგორ „გაანიავა“ ამ სათნო თვისებებისა და წყნარი ბუნების მოხუცებულმა გვირგვინოსანმა ამოდენა თანხა? მართალია, საამისოდ ჯერჯერობით არავითარი საბუთი არ არსებობს და არც იმის იმედი შეიძლება ვიქონიოთ, რომ მომავალში აღმოჩნდეს, მაგრამ, სხვა პასუხი თითქოს არ ჩანს, გარდა იმისა, რომ ვივარაუდოთ, თეიმურაზი თავის მიზნების მიღწევისათვის იძულებული იყო რუსეთის იმპერიის გავლენიანი მოხელეები მატერიალური პატივისცემის მოშველიებითაც განეწყო თავისი გეგმების სასარგებლოდ. ესე იგი, მთელი 8 თვის განმავლობაში ქართლის მეფე გულხელდაკრეფილი კი არ იჯდა, არამედ რუსეთის საგარეო საგანგიოს კულისებში ენერგიულად მოქმედებდა და ამ საქმეში დღევანდელი მორალის პირობებში საჩოთირო, მაგრამ იმხანად საკმაოდ მიღებულ და ჩვეულებრივ მეთოდებსაც არ ერიდებოდა. ამგვარი ვარაუდი თუ სწორია, კიდევ უფრო აძლიერებს იმ მოსაზრებას, რომ თეიმურაზი არცთუ უსაფუძვლოდ, თავისი წამოწყების დადებითად გადაწყვეტას მოელოდა.

თეიმურაზმა და ერეკლემ კარგად (დაწვრილებით) გაითვალისწინეს 1752 წლის ელჩობის სავალალო გაკვეთილი, რომლის წარუმატებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ვახტანგის სახლისშვილთა ამ ელჩობის მიზნებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ჩანდა და, როგორც აღინიშნა, არც უსაფუძვლოდ. ამიტომ, ამ ძალების ნეიტრალიზაცია აუცილებელ საქმედ იქნა მიჩნეული. როგორც ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, ამ მიზანს ემსახურებოდა თეიმურაზისა და ერეკლეს წერილები რუსეთში მცხოვრები ბატონიშვილებისა თუ სხვა ქართველი გავლენიანი პირებისადმი ელჩობისათვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე. ამ მიზანს ემსახურებოდა პაპუნა გაბაშვილის წერილი ალექსანდრე ბაქარის ძისადმი — თეიმურაზმა და ერეკლემ დამავალეს გაცნობო, რომ თუ სურვილი გაქვს, ჩამოდი საქართველოში და ქართლის ტახტს დაეპატრონეო. თუკი რუსის ხელმწიფე დაგეხმარება და მხარს დაგიჭერსო[28]. მეფეებს, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია

---

[28] ე. მაჭარაძე. დასახ. პუბლიკაცია, გვ. 250—251.

აღნიშნული, ამ ღონისძიებებით ვახტანგის სახლისშვილთა ყურადღების მოდუნება და ამის შედეგად მათი ნეიტრალიზაცია უნდოდათ.

ამავე მიზანს და, ამავე დროს, ქართლის თავადური ოპოზიციის შეკავებას ისახავდა ერთი გარემოებაც, რომელზედაც ყურადღება ზემოთაც გავამახვილეთ და რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში რატომღაც შეუფასებელია. რუსეთში მიმავალმა თეიმურაზმა ქართლის ოფიციალური გამგებლობა ერეკლეს კი არა, გიორგი ბატონიშვილს, დაუტოვა. პლატონ იოსელიანის ცნობით: „ოდეს დროთა გარემოებათა გამო, წარვიდა რუსეთად (1760 წელსა) მეფე თეიმურაზ, მაშინ მეფისა ძესა გიორგის, ვითარცა შვილისშვილსა უბოძა სკიპტრა ქართლისა მეფობისა, გარემოსდვა მას თვისი სამეფო ხრმალი, დაჰკიდა მას ძალი მორწმუნეთა ჯვარი ძელ-ჭეშმარიტითა ცმული, ოქროსა ჯაჭვითა საკიდარი და თვალ-მარგალიტით შემკული, მცხეთის ეკლესიასა შინა, თანა დასწრებითა იოსებ კათოლიკოსისა და ეპისკოპოსთა, თავადთა, აზნაურთა და კარისკაცთა. აკურთხა იგი ღვთისმშობლის მცირედითა შემკულითა ხატითა (დღე მე მაქვს ესე) და კურთხევითითა სიტყვითა და ცრემლითა გამოეთხოვა შვილსა ირაკლის, შვილისშვილსა გიორგის და სხვათაცა სახლისა თვისისა წევრთა და წარვიდა დუშეთისა აწინდელისა გზით რუსეთად“[29]. ამ აქტით, როგორც ითქვა, ერთი მხრივ, ქართლის თავადთა ოპოზიციის შეკავება იყო გათვალისწინებული, რადგან იგი ქართლ-კახეთის შეერთებას თითქოს უარყოფდა, რაც ერეკლეს თვითმპყრობელობას უშლიდა ხელს, მეორე მხრივ, გარკვეული აზრით, რუსეთში მყოფი ბატონიშვილებიც უნდა დაემშვიდებინა, თუ ქართლი დამოუკიდებელ სამეფოდ დარჩებოდა, მათ ტახტის დაბრუნების შანსი საბოლოოდ არ ესპობოდათ. ეტყობა, მიღებულმა ღონისძიებებმა, რომელთა შორის გარკვეული ადგილი პეტერბურგში საგანგებოდ ქართველებთან მოსალაპარაკებლად თავადი ტუსიშვილის გაგზავნასაც ეკავა. თავისი ნაყოფი გამოიღო. ამდენად, ელჩობას მოსკოველი და პეტერბურგელი ქართველები გულგაშლილად შეხვდნენ, უფრო გვიან კი, როგორც ჩანს, მათი დამოკიდებულება (ყოველ შემთხვევაში, ერთი ნაწილის) შეიცვალა, რაც ელჩობის ყველა ძირითადი მიზნის საბოლოოდ გამჟღავნებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

ელჩობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი კი ქართლ-კახეთის სამეფოების შეერთების ცნობა და მისი მემკვიდრეობის საკითხის მოგვარება იყო. მაგრამ ეს საკითხი განსაკუთრებულად შენიღბულია და არც

---

29 პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936, გვ. 8.

ერთ საბუთში ამკარად დაწმული არ არის. ეს ადვილი გასაგებია. ამგვარი საკითხის დაყენების ფაქტი მისადმი დაეჭვების, სადაოდ გახდომის პრეცედენტის შემქმნელი იქნებოდა. ამგვარი რამის დაშვება თეიმურაზსა და ერეკლეს არ შეეძლოთ, რადგან ელჩობის პოზიცია და მისი ავტორიტეტი საიმპერატორო კარზე მაშინვე დაეცემოდა. საყურადღებოა, რომ ყველა ოფიციალურ საბუთში თეიმურაზი შემთხვევას არ უშვებს, რათა ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ ქართლის ტახტი მას მემკვიდრეობით აქვს მიღებული. მაგალითად, იმპერატრიცასთან აუდიენციის დროს თეიმურაზი ასე მიმართავს ელისაბედს: „ყოველად მოწყალეო ხელმწიფეო, მე მიმღები მემკვიდრეობით საქართველოს მპყრობელობისა ვერ შევიძელ არ აღვსრულებინა თაყვანისცემა ჩამომავლობისა ჩემისაებრ“[30]. (ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ თეიმურაზი საქართველოს ახალხელებს, ეს საბუთი დედანია, იგი საქართველოში, დუშეთშია შედგენილი. ამის შესახებ ჩვენ უტყუარი მოწმე გვყავს მისი გადამწერის იესე ოსეს ძე ბარათაშვილის სახით. მაშასადამე. იგი მთარგმნელის შეცდომით ან რაიმე სხვა შემთხვევითი გარემოებით არ შეიძლება აიხსნას). ტახტის მემკვიდრეობით ფლობას თეიმურაზი ხაზს უსვამს კანცლერ ვორონცოვთან გამართულ თათბირზეც. ამ თათბირის ჩანაწერში ვკითხულობთ: «...он владетель в нынешнее время первенствующей персидскаго государства член обретается, владея по наследственному праву Грузиею и Кахетиею»[31]... როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდაა წარმოდგენილი, რისი აღიარებაც ელჩობის მიზანს შეადგენდა.

1761 წლის 21 ივნისს თეიმურაზმა პეტერბურგში აკადემიის სტამბა დაათვალიერა; სტამბის გრავიორებმა მის პატივსაცემად სპილენძის დაფაზე ცნობილი რუსი მხატვრის ა. ანდროპოვის მიერ შესრულებული თეიმურაზის პორტრეტი ამოჭრეს. გრავიურას ასეთი წარწერა აქვს ქართულად: „თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე მემკვიდრე მეფე საქართველოისი, კახეთისა და ქართლისა...“ და რუსულად «Теимураз Николаевич наследный царь Грузинской, Кахетинской и Ка-

---

30 ვ. მაკარაძე. დასახ. პუბლიკაცია, საბ. 132. გვ. 434 (ხაზი ჩვენია — მ. ს.)
31 იქვე, საბ. 150, გვ. 458. (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

рталинской...»[32] ყველაფერი ეს, ცხადია თეიმურაზისა და ელჩობის სხვა წევრთა მეცადინეობის შედეგი. მათივე მეცადინეობის შედეგია ისიც, რომ ერეკლეს მიერ თეიმურაზთან გამოგზავნილ წერილს მთარგმნელებმა შემდეგი თავსათაური გაუკეთეს: «Письмо к грузинскому царю Теймуразу Николаевичу от сына ево кахетскаго царя и грузинского престола наследственного правителя Ираклия...» და სხვ. ამგვარი რამ ხომ თავისთავად არ გაჩნდებოდა, ყველაფერი ეს ელჩობის წევრთა კარნახით იყო გაკეთებული. ვიცით, რომ წამოსვლისას თეიმურაზმა ქართლის გამგებლად ერეკლე კი არ დატოვა, არამედ გიორგი ბატონიშვილი. ამრიგად, ელჩობამ ისე მოახერხა, რომ ქართლ-კახეთის შეერთებისა და მისი მემკვიდრეობის საკითხის აღიარება რუსეთის საიმპერატორო კარზე ამ საკითხის ოფიციალურად დაყენების გარეშე მოხდა. ელჩობის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ეს საკითხიც თავისთავად გადაწყვეტილი იქნებოდა, მით უმეტეს, რომ თეიმურაზს თან ჰიჰქონდა მისი მამის— ერეკლე I-სადმი რუსეთის მეფის წყალობის სიგელი, რომლის განახლების შემთხვევაში, რაც ელჩობის ერთ-ერთი ამოცანა იყო, თეიმურაზი ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფედ, ხოლო ერეკლე II მის მემკვიდრედ ცხადდებოდა.

მაგრამ ელჩობა შეიძლება უშედეგოდ დამთავრებულიყო, ამის მაგალითი ქართველებს ჰქონდათ და ამგვარ სამწუხარო დასასრულს, როგორც ითქვა, ისინი ითვალისწინებდნენ. ამ შემთხვევაში, რთულდებოდა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაც. თეიმურაზი დაბრუნდებოდა სამშობლოში, დაიკავებდა ქართლის ტახტს, ერეკლე დარჩებოდა კახეთის მეფედ, მომავლის საკითხი კი კვლავ გაურკვეველი რჩებოდა და მისი გადაწყვეტა ბევრ გარეშე ფაქტორზე იქნებოდა დამოკიდებული (რუსეთისა და ირანის პოზიცია, ვითარება ქვეყნის შიგნით, თავადური ოპოზიცია და ა. შ.). იმ მძიმე და რთულ დროში საქართველოს გარშემო ყველაფერი ისე სწრაფად იცვლებოდა, რომ წინასწარ რამის განჭვრეტა რთული იყო. მეფეები, უეჭველია, იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ ელჩობის წარუმატებლობის შემთხვევაში დღეს თუ ხვალ მათ ირანის შაჰისთვისაც მოუხდებოდათ პასუხის გაცემა. აქეთკენ კი დაბეჯითებით ქერიმ-ხანი იკაფავდა გზას, რომელთანაც, რო-

---

32 გ. პაიჭაძე. ქართლისა და კახეთის პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIII საუკუნის 50—60-იან წლებში, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973 (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

გორც ეტყობა, თეიმურაზსა და ერეკლეს სასურველი კონტაქტი არ ჰქონდათ. ბოლოს, ერეკლეს მართლაც მოუხდა ქერიმ-ხანისათვის ახსნა-განმარტების მიცემა, მაგრამ მან აქ თავი ადვილად გაიმართლა, მამაჩემი რუსეთში თავისი სურვილით წავიდა, მე არ დამიჭერია და დიდი ზარალიც მომაყენაო. ქერიმ-ხანმა ასეთი ვერსია ადვილად „დაიჯერა", რადგან, როგორც ითქვა, ელჩობის არცერთ ოფიციალურ საბუთზე ერეკლეს ხელმოწერა არ ყოფილა, მაგრამ როგორღა გაიმართლებდა თავს თვით თეიმურაზი, ამ დღეს რომ მოსწრებოდა? მას ხომ ამგვარი სათადარიგო გამოსავალი დატოვებული არ ჰქონდა. ასე რომ, ირანის მფლობელს საფუძველი ექნებოდა ქართლის ვალზე განრისხებულიყო და არავინ იცის, რა ზომით და რაში გამოეხატებოდა ასეთი რისხვა. არაა გამორიცხული, რომ ასეთი დასასრული საქართველოსთვის სავალალო ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით, ელჩობის კიდევ ერთი საკითხის გარკვევაა აუცილებელი.

ელჩობის გამგზავრების წინა ხანებში საქართველოში გავრცელდა ხმა თეიმურაზსა და ერეკლეს შორის ჩამოვარდნილი სერიოზული უთანხმოების შესახებ. ეს ხმა ჩქარა ქვეყნის ფარგლებს გასცდა სხვადასხვა შეფერილობითა და დეტალებით. პ. ბუტკოვის გადმოცემით „მასა და მის ვაჟს, ერეკლეს შორის, უკანასკნელის პატივმოყვარეობის გამო, უთანხმოება ჩაისახა და 1760 წელს იმპერატრიცა ელიზავეტას თაყვანსაცემად თეიმურაზი რუსეთს გაემგზავრა"[33]. რუსეთის კონსტანტინოპოლელი რეზიდენტის ობრესკოვისადმი 1760 წლის 14 ივლისს პეტერბურგიდან გაგზავნილ რესკრიპტში აღნიშნულია, რომ „თეიმურაზმა, მასა და მის ვაჟს — ერეკლეს შორის მომხდარი უთანხმოების გამო, საქართველოში თავის მფლობელობაზე უარი განაცხადა და იგი თავის ვაჟს დაუთმო, თვითონ კი ქალაქ გორში გადავიდა". ამის საფუძველზე გამოტანილი იყო დასკვნა, რომ მოსალოდნელია თეიმურაზი რუსეთში თავშესაფარის საძებნელად მოდისო[34]. ცარიზმის მოხელეთა მიერ ელჩებისადმი მზვერავად ჩაჩენილი ო. თუმანოვი აღნიშნული დავის რამდენადმე განსხვავებულ ვერსიას იძლევა. მისი რწმუნებით, უთანხმოებას თეიმურაზსა და ერეკლეს შორის კი არ ჰქონია ადგილი, არამედ ერეკლესა და მის დედინაცვალს (თეიმურაზის მეორე ცოლს — ანა ხანუმს) შორის და, რომ ერეკლეს არაერთხელ უც-

---

[33] П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, ч. I, СПб, 1869, с. 241.

[34] ვ. მაკარაძე. დასახ. პუბლიკაცია, საბ. 44, გვ. 277.

დია დაეთანხმებინა თეიმურაზი, რათა მას სიბერის გამო ხელი აეღო სახელმწიფო საქმეებზე და იგი მთლიანად ერეკლესათვის მიენდო, თვითონ კი ან ბერად აღკვეცილიყო, ან, თუ ამას არ მოისურვებდა, დაეტოვებინა ტახტი და მოსვენებულად ეცხოვრა საქართველოს ნებისმიერ ქალაქში. მისი ვერსიით, თეიმურაზმა აღნიშნული წინადადება არ მიიღო და პოლიტიკურ სარბიელზე დარჩენა ამჯობინა. რუსეთში კი იგი ერეკლეს რჩევითაა გამოგზავნილი. ელჩობის დამთავრების შემდეგ საქართველოში ადგილობრივი ვითარების დასაზვერად გამოგზავნილი დ. მანგოვის გადმოცემით, „ხალხისგან ვრცელდება ხმა, რომ... თეიმურაზი რუსეთში მისი შვილის შიშით წავიდა, რომელიც მას აიძულებდა დაეტოვებია სამეფო მმართველობა და შორეულ განცალკევებულ მონასტერში გარიდებულიყო, რადგან მას ამის შესრულება არ სურდა, იძულებული იყო რუსეთს წასულიყო“[35].

ი. ცინცაძე, რომელმაც ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთმა პირველმა დააყენა ეს საკითხი, მიიჩნევდა, რომ „ქართველმა დიპლომატებმა, მზვერავებისთვის გზის დასაბნევად, ჯერ კიდევ საქართველოში გაავრცელეს ხმა, თითქოს თეიმურაზსა და ერეკლეს შორის უკმაყოფილება სუფევდა. ერეკლეს თითქოს თეიმურაზის ქართლიდან გაძევება და ქართლ-კახეთის საკუთარ მმართველობის ქვეშ გაერთიანება სურდა... სინამდვილეში არავითარი კონფლიქტი გვირგვინოსან მამა-შვილსა და დედინაცვალს შორის არ ყოფილა“[36]. ვ. მაჭარაძემ გაიზიარა მოსაზრება ხმების განგებ გავრცელების შესახებ, მაგრამ არა რუსეთის მზვერავების შეცდომაში შესაყვანად, არამედ იმისათვის, რათა „მეზობლები არ შეშფოთებულიყვნენ თეიმურაზის რუსეთს გამგზავრებით“[37]. აღნიშნულ ხმებს საგანგებოდ გავრცელებულად მიიჩნევს გ. პაიჭაძეც, ოღონდ ოდნავ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს და აღნიშნულ ფაქტს ხსნის მეფეების სურვილით, რათა თეიმურაზის ელჩობას თურქეთთან და ირანთან მათი ურთიერთობისათვის არ შეეშალა ხელი[38].

როგორც ვხედავთ, ყველა მკვლევარი ერთხმად მიუთითებს აღნიშნული ხმების უსაფუძვლობას და, რაც მთავარია, ქართველი დიპლომატების მიერ მათ საგანგებო გავრცელებას. მიუხედავად ასეთი

---

35 ვ. მაჭარაძე. დასახ. პუბლიკაცია, საბ. 218, გვ. 554.
36 ი. ცინცაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 156.
37 ვ. მაჭარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 81.
38 გ. პაიჭაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

ერთპულოვნებისა. მოცემული ახსნა მაინც საეჭვოდ გამოიყურება, იმიტომ, რომ, ამგვარ, არსებრიობულ აქციას რაიმე ხელშესახები დიპლომატიური ეფექტი არ შეიძლება მოჰყოლოდა და არც მოჰყოლია (საბოლოოდ, ელჩობის ნამდვილი მიზეზი რუსებმაც გაიგეს, ცხადია, მეზობლებმაც და ირან-თურქეთმაც). მორალური ზარალი კი დიდი შეეძლო მოეტანა და მოიტანა კიდეც. ისტორიული მნიშვნელობის დიდი გეგმების მქონე და მეტად რთული პრობლემების გადაწყვეტისათვის მებრძოლი გვირგვინოსანი მამა-შვილისათვის საზოგადოებრივ აზრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერეკლეს ხომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მისი მტრები დაუსრულებლად უკიჟინებდნენ, რომ მან მამა ძალით ჩამოაგდო ტახტიდან, გააძევა, მოკლა და ა. შ. ერთი სიტყვით, ამგვარი ხმები თეიმურაზსა და ერეკლეს არ შეეძლოთ გაევრცელებინათ.

როგორც ჩანს, უთანხმოებას მართლაც ჰქონდა ადგილი. ზოგიერთ წყაროში წინა პლანზე ანა ხანუმსა და ერეკლეს შორის არსებული უთანხმოებაა წამოწეული, მაგრამ, ცხადია, ანა ხანუმს გვერდით თეიმურაზი ედგა. ეს უთანხმოება კი გამომჟღავნდა ისეთ დიდ და სერიოზულ საკითხში, როგორიც კათოლიკე მისიონერებისადმი დამოკიდებულება ან ანტონ კათალიკოსის ექსორიის საქმე იყო, და ისეთ უმნიშვნელო საკითხშიც. იესე ბარათაშვილისათვის ერეკლეს კარზე მდივნის მეოთხედი სახელოს ბოძებას რომ შეეხებოდა. ორივე შემთხვევაში ერეკლემ დათმო: 1754 წელს საქართველოში კათოლიკებსა და სომხებს სასტიკი ბრძოლა ჰქონდათ. ამ ბრძოლაში ერეკლეს კათოლიკების მხარე ეჭირა, ანუ ხანუმს — სომხებისა[39]. საბოლოოდ, როგორც ცნობილია, კათოლიკებმა მარცხი განიცადეს.

უეჭველია, რომ ერეკლე არ იზიარებდა თეიმურაზის პოზიციას ანტონ კათალიკოსის გასამართლებისა და გაძევების საქმეშიც. მაგრამ მამის პატივისცემისა და შეიძლება, სხვა მოსაზრებების გამოც, იგი იძულებული იყო ანტონის გამოსარჩლებისგან თავი შეეკავებინა. მისი საქციელი თეიმურაზის ანგარიშის გაწევით რომ იყო ნაკარნახევი, ეს იქიდან ჩანს, რომ მამის გარდაცვალებისთანავე ერეკლემ რუსეთს გაძევებული ანტონი კვლავ საქართველოში ჩამოიყვანა და საკათალიკოსო ტახტზე აღადგინა. ანა ხანუმი იესე ბარათაშვილს უსაფუძვლოდ გაუწყრა და თანამდებობა წაართვა. იესე კარგა ხანი გა-

---

39 მ. თამარაშვილი. ისტორია კათალიკობისა ჭართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 369.

კიცხული იყო. ბოლოს მან თავის გამართლება მოახერხა. ერეკლემ შეიბრალა და თავის სამსახურში აიყვანა. ამაზე, როგორც ჩანს, ანა ხანუმმა უკმაყოფილება გამოთქვა. დედინაცვალი რომ არ გაეწყენებინა, ერეკლე იძულებული შეიქნა იესესათვის ბოძებული სახელო ჩამოერთმია[40].

ერთი სიტყვით, გარკვეული უთანხმოების ფაქტი უეჭველია, მაგრამ ასევე უეჭველია ისიც, რომ, ერეკლე ყველა აღნიშნულ და სხვა მსგავს შემთხვევებშიც, სანაქებო თავშეკავებასა და ტაქტს იჩენდა და არასოდეს მამის საწინააღმდეგო მოქმედება არ უკადრებია. ამის გამო ეს უთანხმოება კონფლიქტში არ გადაზრდილა. ამასთან, თეიმურაზი ხედავდა, რაკი ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ იქცა, მას ერთი მმართველი მეფე უნდა ჰყოლოდა. სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა ტემპერამენტისა და ხასიათის მამა-შვილს ყველაფერში შეთანხმებული მოქმედება თანდათან უძნელდებოდა. თეიმურაზი ზედიზედ თმობდა პოლიტიკურ პოზიციებს ერეკლეს სასარგებლოდ. ჯერ კიდევ 1754 წელს რუსეთიდან საქართველოში დასაზვერად მოვლინებული ოთარ თუმანოვი აღნიშნავდა, რომ „... ქართლის მეფე თეიმურაზ უფრო მშვიდი და მოწყალე არის, საქმე სლაბად უჭირავს, მისი შვილი ერეკლესი უფრო ეშინიათ, უფრო საქმის წამყვანია, უიმისოდ არა იქნება რა..."[41]. დროთა განმავლობაში თეიმურაზი, როგორც ჩანს, თანდათან სცილდებოდა პოლიტიკურ საქმიანობას. მას ერეკლეს ნებართვის გარეშე გადაწყვეტილების მიღება უჭირდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია იესე ბარათაშვილის შემდეგი ცნობა: კათოლიკე პატრები თეიმურაზს ეკლესიის შენობას თხოვენ, მათ ანა ხანუმი შუამდგომლობს; პატრები თეიმურაზს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან თანხას სთავაზობენ, თეიმურაზის პასუხი საყურადღებო და დამაფიქრებელია: „... ჩემს შვილს ერეკლეს შევატყობინებ ნებას მცემს თუ არაო, მაგრამ არა მგონიაო"[42].

როგორც ვნახეთ, ერეკლესა და თეიმურაზს შორის განხეთქილების არსებობის ზოგიერთი ვერსიის მიხედვით თეიმურაზმა მიატოვა ტახტი და გორში გადასახლდა. პ. ორბელიანის თხზულებიდან კი ცნობილია, რომ 1756 წ. „დედოფალი საქართველოსი ანნა-ხანუმ წაბრძანდა

---

40 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, თბ., 1950, გვ. 35.

41 ი. ც ი ნ ც ა ძ ე. კაპიტან ოთარ თუმანოვის მოხსენებითი ბარათები საქართველოდან, თსუ შრომები, XXVII, თბ. 1946, გვ. 26—28.

42 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 25.

გორს, თან იახლნენ დარბაისელთა ჯალაბანი. რომელნი იყოფებოდენ ქალაქსა შინა, აღაშენა სახლნი გორისა ციხესა შინა და დადგა მას შინა ერთი ზაფხული"[43]. მაშასადამე, თეიმურაზს გორში რეზიდენცია ნამდვილად ჰქონდა. იმავე ავტორის ცნობით, 1758 წელს „დედოფალი ანნა-ხანუმ მიიყვანეს, დააყენეს სამაჩაბლოში ციხესა, რომელსა ქვიან ციხე-კლდე"[44]. საინტერესოა, რომ აღნიშნული მოკლე ცნობა ავტორს განცალკევებით მოჰყავს სხვა ამბებთან დაკავშირების გარეშე.

როგორც აღინიშნა, თეიმურაზი თანდათან სცილდება პოლიტიკურ სარბიელს და ასპარეზს ერეკლეს უთმობს. მაგრამ ეს ხდება არა კონფლიქტითა და დაპირისპირებით, არამედ შეგნებულად და შეთანხმებულად. ამდენად, არაფერია იმაში მოულოდნელი, რომ თეიმურაზსა და ანა ხანუმს ქალაქის ვნებათაღელვებიდან მოშორებით, უფრო მყუდრო და მშვიდ ადგილსამყოფელში ერჩიათ ცხოვრება (მუდმივად იქნებოდა, თუ ხანგრძლივი პერიოდით). ასეთ ვითარებაში, როდესაც რუსეთში ელჩობის გამგზავრების პროექტი მუშავდებოდა, შეიძლებოდა წარმოშობილიყო გეგმა, ელჩობის წარუმატებლობის (ან იქნებ წარმატებისაც?) შემთხვევაში, თეიმურაზის, ამალის გარკვეული ნაწილით, რუსეთში ხანგრძლივი პერიოდით ან სამუდამოდ დარჩენის შესახებ. ვიმეორებ, ეს არ იყო კონფლიქტის შედეგი. ეს ერთობლივი შეთანხმებით მიღებული გეგმა-გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის გაჟონვას შეიძლება მოჰყოლოდა მისი დაკავშირება გაზვიადებულ ხმებთან მამა-შვილსა და დედინაცვალს შორის არაპრინციპული ხასიათის უთანხმოების შესახებ. უნდა ვიფიქროთ, ამის შედეგად წარმოიშვა ელჩობის მიზეზების ზემოგანხილული ვერსიები.

ჩვენი მსჯელობა გასაგები და უფრო მისაღები იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ თეიმურაზს ჯერ კიდევ 1732 წელს ჰქონდა ოჯახით რუსეთში გადასახლების განზრახვა. უნდა ვიფიქროთ, ამგვარი გამოსავალი დედოფალ ანა ხანუმისთვისაც მისაღები და სასურველი იქნებოდა. ამას უნდა მოწმობდეს ის გარემოება, რომ თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ იგი დაბეჯითებით ითხოვდა რუსეთში წასვლას. მართალია, დედოფალი ამ მგზავრობას თითქოს მეუღლის ხსოვნის პატივისაცემად აწყობდა, მაგრამ ის გარემოება, რომ ერეკლემ მას

---

43 პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. დასახ. შრომა, გვ. 240.

44 იქვე, გვ. 245.

ამის ნება არ მისცა, მოწმობს, რომ ქართლ-კახეთის მეფეს დედინაცვლის რუსეთში სამუდამოდ დარჩენის შესაძლებლობა აფიქრებდა.

დაბოლოს, წამოყენებული აზრის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს ის ფაქტიც, რომ ელჩობის წინა პერიოდში თეიმურაზი გულდასმით ეცნობოდა და სწავლობდა ვახტანგ VI-ის რუსეთში ცხოვრების დეტალებს: რა პირობებში იყო იგი, როგორ ექცეოდა საიმპერატორო კარი და ა. შ. ერთი სიტყვით, თითქოს იგი წინასწარ იმ მდგომარეობას ეცნობოდა და ითვალისწინებდა, რომელიც შესაძლებელია თვითონ შექმნოდა.

თუ თეიმურაზ II-ის რუსეთში შესაძლებელი დარჩენის წამოყენებული ვარაუდი სწორია, მაშინ უეჭველია, რომ ამგვარი გადაწყვეტილება საერთო ეროვნული საქმის ინტერესებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. ემიგრაციაში მყოფი მეფე კვლავ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივ სამსახურში დარჩებოდა. იგი იქ გაანეიტრალებდა ვახტანგის სახლისშვილთა საქმიანობას და საიმპერატორო კარზე მისი ქვეყნის წარმომადგენელი, რეზიდენტი და ინტერესების თავგამოდებული დამცველი იქნებოდა. ყველაფერი ეს ერეკლე II-ს ხელს შეუწყობდა უფრო მჭიდრო კონტაქტები დაემყარებინა რუსეთის ხელისუფლებასთან, განმტკიცებულიყო ქართ-კახეთის ტახტზე და ღვაწლმოსილ მამასთან ერთად შემუშავებული პოლიტიკური გეგმები ჩვეული ენერგიით განეხორციელებინა.

მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი სხვაგვარად შეტრიალდა.

1761 წლის 25 დეკემბერს დედოფალმა ელისაბედ პეტრეს ასულმა ეს წუთისოფელი დატოვა და თან წაიღო ქართველი ელჩების იმედები დახმარების თაობაზე. ახალი იმპერატორი პეტრე III მეტად ახირებული ხასიათისა და უგუნური საგარეო პოლიტიკის გამტარებელი გამოდგა. მან არათუ ელჩობის წამოყენებული საკითხების დადებითად გადაწყვეტა, თეიმურაზის რუსეთში საცხოვრებლად დარჩენაც კი არ ისურვა (ცხადია, თუ ამგვარი გეგმა ნამდვილად არსებობდა).

1761 წლის 27 დეკემბერს საიმპერატორო კარმა თეიმურაზის ელჩობის სამშობლოში ფაქტობრივად ხელცარიელი გასტუმრების გადაწყვეტილება მიიღო. ეს დახმარებაზე იმედმიცემული, ხანდაზმული მეფისათვის აუტანელი დარტყმა გამოდგა. რამდენიმე დღის შემდეგ, 1762 წლის 8 იანვარს იგი გარდაიცვალა.

ნაშუადღევის 6 საათზე მეფე ცუდად შექმნილა. სასწრაფოდ ზიარება მიუღია. მერე მარჯვენა გვერდზე მიწოლილა და გაურკვეველ ბუტბუტს მოჰყოლია. როცა დააკვირდნენ, გაარჩიეს, ლოცვას ამბობ-

და. შემდეგ რაღაცის თქმა დაუპირებია, როცა რამდენჯერმე ჩაეკითხნენ, გარკვევით წარმოუთქვამს: „კათოლიკებს ხომ შეიწყნარებენო. მღვდელმან მალ უპასუხა — დიახ შეიწყნარებენო. მეფემ მეორედ წარმოსთქვა — მე ხომ აღმოსავლეთის კათოლიკე ვარო და მიიძინა"[45].

ელჩობის წევრები უკან გამომგზავრების სამზადისს შეუდგნენ. მათ სასწრაფოდ დაყიდეს საიმპერატორო კარის მიერ ერეკლესათვის გადასაცემად ბოძებული საჩუქრები, აღებული თანხა ასევე საჩუქრად ბოძებულ 5000 მანეთს დაუმატეს და თეიმურაზის მიერ პეტერბურგში აღებული ვალები გაისტუმრეს. ამის შემდეგ სამშობლოსაკენ აიღეს გეზი. გვირგვინოსანი და მირონცხებული მეფის ცხედარი დიდი სიცხეებისა და სახიფათო გზის შიშით საქართველომდე ვერ ატარეს და ასტრახანის მიძინების ტაძარში, მისი სიმამრის, დიდი ვახტანგ VI-ის გვერდით მიწას მიაბარეს. ერეკლე მეფესთან კი მხოლოდ საიმპერატორო კარის დახმარების თაობაზე ცარიელი დაიმედება, წმინდა ანდრიას ორდენი, კანცლერ ვორონცოვის წერილი და მის მიერ გამოგზავნილი ბრილიანტის თვლიანი ოქროს საათი წამოიღეს.

1762 წლის 20 აგვისტოს ელჩები თბილისში ჩამოვიდნენ და ქართლ-კახეთის მეფეს წარუდგნენ. ამბები აცნობეს და ერთობ მოკრძალებული გზავნილები გადასცეს. ამ ამბების მომსწრის გადმოცემით, ერეკლემ თურმე ერთხანს ზიზღით უყურა კანცლერ ვორონცოვის მიერ გამოგზავნილ საათს, რომელიც მას მამის სიცოცხლედ და 100 000 მანეთად დაუჯდა, და ისე ანიშნა მსახურს შეენახა, რომ ხელითაც კი არ შეხებია.

საერთო წარუმატებლობის მიუხედავად, აღნიშნულ ელჩობას ერთი არსებითი შედეგი მაინც ჰქონდა: კანცლერმა ვორონცოვმა წერილში ერეკლე II-ს იმპერატორის წყალობა და მფარველობა დაუდასტურა და, რაც მთავარია, იგი ქართლ-კახეთის მეფედ მოიხსენია. ერეკლესთვის ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მასაც და შესაბამის წრეებსაც, ეს ფაქტი რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანებისა და აღნიშნული სამეფოს მემკვიდრეობით მეფედ ერეკლეს აღიარებად უნდა მიეჩნიათ. ეს დიდი წარმატება იყო და ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმაც, როგორც ჩანს, ასე შეაფასა. საგულისხმოა, რომ იმ ხანებში საქართველოდან გადასახლებულმა და რუსეთში მცხოვრებმა ანტონ კათალიკოსმა ერეკლეს უძღვნა კვინტოს კურციუსის მის მიერ თარგმნილი ალექსან-

---

45 ვ. მაჭარაძე. დასახ. პუბლიკაცია, გვ. 465.

დრე მაკედონელის ისტორია, რომლის მთარგმნელისეულ წინასიტყვაობაში გვირგვინოსან მეგობარს, თანამოაზრესა და თანამებრძოლს მხურვალედ მიულოცა ეს გამარჯვება: „მოგილოცავ ახალსა წინა-პართა პაპათა ჩუენთა ადრით განჭრილისა საყდრისა შეერთებულად მიღებასა, შენ გონიერსა მხნესა მეფესა ვითა კვიროსს და მემკვიდრესა ვითა ქსერქსისს“[46].

ელჩობის მარცხის შემდეგ ერეკლესათვის პირველი რიგის ამოცანად ირანთან ურთიერთობის მოგვარების საკითხი დადგა (თურქეთი კეთილსინდისიერად იცავდა რუსეთთან შეთანხმებას და ქართლ-კახეთის საქმეებში ჩარევის არავითარ აშკარა პრეტენზიას არ აცხადებდა), სადაც ამასობაში თითქმის მთლიანად ქერიმ-ხანი გაბატონებულიყო.

ირანის ახალმა ბრძანებელმა ერეკლეს, რუსეთში გაგზავნილ ელჩობასთან დაკავშირებით, ახსნა-განმარტება მოსთხოვა. ამასთან, იგი თავისთან დაიბარა და თავრიზისა და თავრიზის აქეთა ტერიტორიების ბოძებას დაჰპირდა. ერეკლემ ამ მოწვევაში განჯის ფენა-ხანის მაქინაციები დაინახა, რომელიც ქართლ-კახეთის მეფეს ფათალი-ხანთან ქერიმ-ხანის საწინააღმდეგო კავშირს აბრალებდა. მეფემ ლეკების წინააღმდეგ ლაშქრობა მოიმიზეზა და მიწვევაზე უარი შეუთვალა. შემდეგ კი ვექილთან (ქერიმ-ხანთან) დიდებული ელჩობა გაგზავნა საპასუხო წერილით, რომელშიც თავს იმართლებდა: მამაჩემი რუსეთში ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ წავიდა, ვერაფერს მიაღწია, მე კი 100 000 მანეთი ზარალი მომაყენაო. ხოლო თავისი ერთგულების დასამტკიცებლად თან ირანის ტახტის პრეტენდენტი — აზატ-ხანი გაატანა, რომელიც ერეკლემ ჯერ კიდევ 1760 წელს ჩაიგდო ხელთ და აქამდე თავისთან ჰყავდა.

ძნელი სათქმელია, ასე ადვილად დაიჯერა თუ არა ქერიმმა ერეკლეს განმარტება. ფაქტია, რომ ქართლ-კახეთის ძლიერ მფლობელთან მას ურთიერთობის გამწვავება არ აწყობდა. ქართველთა დელეგაცია მაღალმობიერად მიიღო და დიდებული საჩუქრებითა და ხალათებით გამოისტუმრა[47]. ირანის ხელისუფლებამ ფაქტობრივად ცნო ერთ სამეფოდ ქართლ-კახეთის გაერთიანება შესაბამისად, ერეკლეს მიერ აღ-

---

46 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები.., III, თბ., 1967, გვ. 273,

47 ვ. მ ა ჭ ა რ ა ძ ე. დასახ. პუბლიკაცია, საბ. 218, გვ. 554—555.

ნიშნული სამეფოს მემკვიდრეობითი ფლობა და მისი უფლებები განჯისა და ერევნის სახანოებზე[48].

აშრიგად, ერეკლე ამიერკავკასიაში უძლიერესი მფლობელი შეიქნა. ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს მდგომარეობა მნიშვნელოვნად განმტკიცდა და შედარებით სტაბილური გახდა. ქართლ-კახეთის მეფემ თავისი გეგმის ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი წარმატებით გადაწყვიტა და საშუალება ჰქონდა, სხვა უფრო შორს გამიზნული საკითხები დაეყენებინა.

რუსეთთან ურთიერთობა რამდენიმე წლით ერთგვარად შენელდა. პარტნიორები ჯერჯერობით სხვა საშინაო თუ საგარეო პრობლემებით იყვნენ დაკავებული. მაგრამ ეს შენელება დროებითი იყო.

---

[48] ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 392.

6. რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომი და ქართველ პოლიტიკოსთა გეგმები

XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში, თითქმის 60 წლის მანძილზე, დასავლეთ საქართველოში ძნელად წარმოსადგენი პოლიტიკური ქაოსი სუფევდა. ერთადერთი „სინათლის სუსტი სხივი, დასავლეთ საქართველოს უკუნეთ ანარქიაშიც“ რომ შეიმჩნეოდა, ის იყო, რომ იმერეთის მეფის ხელისუფლება, რაგინდ უძლურიც არ უნდა ყოფილიყო იგი, მაინც არ კარგავდა მთელი რეგიონის პოლიტიკური მეთაურის პრეტენზიას. „მთელი ლიხთიქითი იმერეთის მეფეს თავის საყმოდ მიაჩნდა და მის წინააღმდეგ მებრძოლი მთავრები თუ თავადები აჯანყებულ-უკუმდგარებად წარმოედგინა“[1]. მაგრამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მას ამგვარი პრეტენზიის არავითარი მატერიალური საფუძველი არ გააჩნდა, გარდა დინასტიური წარმოშობის და ისტორიული ტრადიციისა. პრაქტიკულად იმერეთის მეფეები ხშირად ცალკეულ თავადებზეც კი სუსტები იყვნენ, როგორც მატერიალური, ისე სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით. ამის გამო თავადთა პარტიკულარიზმი და მთავართა სეპარატიზმი აქ გაცილებით უფრო ძლიერი იყო და იმერეთის სამეფო ტახტზე პრეტენდენტები საოცარი სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს იმის მიხედვით, თუ რომელ მათგანს უფრო მეტი მომხრეები ეყოლებოდა გაძლიერებული და გათამამებული თავადური ოჯახების სახით. საშინელი პოლიტიკური ანარქია, სრული განუკითხაობა, ურთიერთის რბევა და თარეში, ძარცვა-გლეჯა, ტყვეთა ყიდვა, მამულების, ქონების, თანამდებობებისა და ცოლების მიტაცებაც კი სრულიად ჩვეულებრივი და გავრცელებული საქმიანობა იყო. ფეოდალთა და საეკლესიო წრეებში ფეხმოკიდებული სულიერი დაცემა და მორალური გახრწნილება თანდათანობით დაბალ ფენებშიც იჭრებოდა. ერთმანეთს გადაჭდობილი ეროვნული და სოციალური ჩაგვრის უმძიმესი ფორმები მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების პირობებს აუტანელს ხდიდნენ და ქვეყანა თანდათანობით ცარიელდებოდა. ვინც ტყვედ გაყიდვას გადაურჩე-

---

1 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 346.

ბოდა, ცდილობდა თავისათვის გაქცევით, გადაკარგვით ან გააბრაგებით ეშველა.

1721 წელს ვახტანგ VI-ისა და ახალციხის ფაშის დახმარებით იმერეთის ტახტი ალექსანდრე V-მ დაიკავა. ფაშამ ახალგაზრდა მეფის „მეურვედ“ თავისი მორჩილი ბეჟან დადიანი დანიშნა. ახალგაზრდა მეფე გაორებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ერთი მხრივ, იგი ვახტანგ VI-ის პოლიტიკის მომხრე და მიმდევარი იყო, მეორე მხრივ, მისი სამეფოს მდგომარეობა აიძულებდა თურქეთის მიმართაც მაამებლური კურსი დაეჭირა[2].

პეტრე I-თან ურთიერთობაში ალექსანდრეს მიერ დაკავებულ პოზიციასა და ვახტანგ VI-ის ლაშქარში იმერელთა აქტიურ მონაწილეობას დასავლეთ საქართველოში თურქთა აგრესიის გაძლიერება მოჰყვა[3]. 1723—1736 წლებში თურქებმა ძირითადად დაიკავეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ციხეები და საქართველოს ზღვაზე გასასვლელი გადაუკეტეს. ამავე პერიოდში მათ ფოთში ფაშა დასვეს და სანაპირო ზოლის გამგებლობა დააკისრეს. დამპყრობლებმა მოხერხებულად ისარგებლეს თავადებისა და მთავრების შუღლით და დასავლეთ საქართველოს მთავარ შიგა ციხეებში თურქული გარნიზონები ჩააყენეს.

ლიხთიმერეთის მოსახლეობა არ შერიგებია თურქთა ბატონობას და დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა, მაგრამ მიუხედავად ამ ბრძოლის საერთო ხასიათისა, ფეოდალური შუღლი და გათიშულობა მას სასურველ ეფექტს უკარგავდა. მხოლოდ ხალხის შეუპოვრობამ, თურქთა ძლიერების დაცემამ და ახალციხის ფაშის თურქეთის ცენტრალური ხელისუფლებისადმი ორპირმა დამოკიდებულებამ გადაარჩინა დასავლეთ საქართველო თურქეთის პროვინციად გადაქცევას.

ალექსანდრე V, რომელიც 1728 წლიდან, ბეჟან დადიანის სიკვდილის შემდეგ, დამოუკიდებლად განაგებდა სამეფოს, ძლიერ ფეოდალთა ურთიერთდაპირისპირებით ცდილობდა ხელისუფლების განმტკიცებისათვის მიეღწია. მან ამ თვალსაზრისით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა, მაგრამ არსებითი ხასიათის წარმატება

---

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 44.

3 ქ. ჩხატარაიშვილი. საქართველოს საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან, კრებულში: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972, გვ. 66.

მას არ ჰქონია. არც რუსეთის დახმარების იმედი გაუმართლდა ალექსანდრე მეფეს. იმჯერად რუსეთს მისთვის არ ეცალა და, შაწშე ქსნის ერისთაოთან ერთად გაგზავნილმა მისმა ელჩობამ შედეგი არ გამოიღო. თავადურმა ოპოზიციამ მას ტახტის პრეტენდენტი მამუკა ბატონიშვილი დაუპირისპირა და ორჯერ მოახერხა მისი ტახტიდან ჩამოგდება. მართალია, ალექსანდრემ ორჯერვე დაიბრუნა მეფობა, მაგრამ ფეოდალთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის საშუალება მას არ ჰქონდა. იგი მათი გულის მოგებას მოსყიდვა-დასაჩუქრების გზით ცდილობდა, რითაც სამეფო ეკონომიკას მნიშვნელოვნად ასუსტებდა.

1752 წელს ალექსანდრე V გარდაიცვალა და ტახტზე მისი 17 წლის ვაჟი სოლომონი ავიდა. დაშლილი ქვეყანა, თავაშვებული ქვეშევრდომები, დაცლილი სოფლები, თურქთა გარნიზონების მიერ დაკავებული ციხეები და განიავებული ხაზინა ერგო წილად ტახტზე ახალ სოლომონ I-ს. ჩანს, ახალგაზრდა მეფემ თავიდანვე გამოამჟღავნა ფეოდალური გათიშულობის წინააღმდეგ ბრძოლის მისწრაფება და მის წინააღმდეგ ძლიერი ოპოზიცია შეიქმნა, რომელშიც გარდა მისი ბიძების, პაპისა და დედისაც კი, ისეთი ძლიერი ფეოდალები მონაწილეობდნენ, როგორებიც იყვნენ გურიელი მამია IV, რაჭის ერისთავი როსტომი, როსტომის ძმა აფხაზ-იმერთა კათალიკოსი ბესარიონი და ძლიერი ფეოდალი ლევან აბაშიძე. ოპოზიციამ მისი ტახტიდან გადმოგდება შეძლო, მაგრამ სოლომონმა დიდი დიპლომატიური ნიჭი გამოიჩინა, მტრების წინააღმდეგ ახალციხის ფაშას დაუკავშირდა და მისი დახმარებით მეფობა დაიბრუნა[4].

ყველაფერი რეაქციული და ჩამორჩენილი რაც კი ახასიათებდა XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს, თავს იყრიდა ეპოქის ყველაზე ბარბაროსულ და დამღუპველ სენში, ტყვეთა სყიდვაში. საუკუნის შუა ხანებისათვის ამ მოვლენამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ იგი ქვეყნის ყველა სოციალური ფენისათვის აუტანელი და მიუღებელი შეიქნა. ტყვეთა სყიდვისა და მშრომელი მოსახლეობის მხრიდან მისი საპასუხო ღონისძიებების — გაქცევის, გადაკარგვის გავრცელების გამო, ქვეყანაში საწარმო ძალთა ნაკლებობა კატასტროფულ მასშტაბებს აღწევდა. ამის საფუძველზე ფეოდალური მეურნეობის დაცემა სავალალო ხასიათს იღებდა. ამავე დროს, სხვადასხვა კუთხეს შორის კავშირურთიერთობის ჩამოყალიბების მიმდინარე პროცესი სასაქონლო წარმოების განვითარების პერსპექტივებს სახავდა და სამუშაო ძალის

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 636.

საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. ქვეყანაში არ იყო კლასი, რომელიც ტყვის სყიდვის გამანადგურებელ შედეგს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაგალითზე არ ხედავდა. ტყვის სყიდვის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა, რომელიც ახალგაზრდა სოლომონ I-მა თავისი საშინაო პოლიტიკის ძირითად ამოცანად დაისახა, არა მარტო პროგრესული, არამედ მომწიფებული და ამდენად, ქვეყნის ყველა კლასისათვის მისაღები და სასურველი ღონისძიება იყო. ამის გამო, ამ ბრძოლას მიემხრენ სეპარატისტ ფეოდალთა ის წარმომადგენლებიც კი, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მოწინააღმდეგენი იყვნენ. ცალკეული ფეოდალები, ამ საყოველთაოდ გავრცელებულ მოვლენაზე საკუთარი მატერიალური ინტერესების შელახვის გარეშე ხელს ვერ აიღებდნენ, მაგრამ, როგორც კი ახალგაზრდა მეფემ ამ ღონისძიებას საყოველთაო ბრძოლის ფორმა მისცა, მას თითქმის ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლას, ნიჭიერი პოლიტიკოსი სოლომონ I მაჰმადიანობის გავრცელების საპირისპიროდ და ქართული ეკლესიის განმტკიცების ღონისძიებათა კავშირში აწარმოებდა. ეს ბრძოლა მას მთელი დასავლეთ საქართველოს აღიარებულ ლიდერად აქცევდა. ამას მოწმობს დასავლეთ საქართველოს 1759 წლის საეკლესიო კრება. ამ და ქვეყნის პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცებისაკენ მიმართულმა სხვა ღონისძიებებმა ახალგაზრდა მეფის ავტორიტეტი მეტად გაზარდა. ამასთან, სოლომონი დაუპირისპირდა ოსმალეთს. მაგრამ მეფე საოცარ შემართებასა და გაბედულებას იჩენდა; არ დაელოდა თურქთა დამსჯელ ღონისძიებებს და 1757 წელს ხრესილის მინდორზე სასტიკი დამარცხება აგემა იმერეთში მყოფ თურქულ გარნიზონებსა და მათ მომხრე ქართველ ფეოდალებს.

გამარჯვებას უდიდესი რეზონანსი ჰქონდა. ქართველები ზეიმობდნენ. თურქეთში საშინელი შეშფოთება სუფევდა. მარცხის გამო ახალციხის ფაშა ჰაჯი-აჰმედი სულთნის ბრძანებით დაახრჩეს და მის ადგილზე ჰასანი დანიშნეს[5]. 1758 წელს კი იმერეთში თურქთა ორი დამსჯელი ექსპედიცია მოეწყო, თუმცა ამას არსებითი შედეგი არ გამოუღია და ხრესილის გამარჯვების ექო არ შეუნელებია.

ქართველი ტყვეების ძირითადი მომხმარებელი და გამსაღებელი თურქეთი იყო. მის ბაზარზე ეს „საქონელი“ მეტად საჭირო იყო და

---

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 639.

ძვირადაც ფასობდა. ამიტომ ტყვის სყიდვის აკრძალვა თურქეთის საწინააღმდეგო ყველაზე მკაცრ ღონისძიებად იქნა მიჩნეული.

1760 წელს ახალციხის ფაშამ სოლომონს ტყვეებით ვაჭრობის დაშვება ოფიციალურად მოსთხოვა. მაგრამ უარი მიიღო. ამის საპასუხოდ თურქებმა მეფის ბიძაშვილის თეიმურაზ მამუკას ძის სახით იმერეთის ტახტის შესაფერისი და დამჯერი პრეტენდენტი იშოვეს და იმავე წელს 20000-ანი ლაშქრით საქართველოში შემოიჭრნენ, მაგრამ ქართველებმა ისინი სასტიკად დაამარცხეს და უკუაგდეს.

1763 წლის ორი წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ, თურქეთის კარმა საგანგებო ზომები მიიღო და 1764 წლისათვის მეტად ფართო მასშტაბის ექსპედიცია მოამზადა, რომელშიც ახალციხისა და არზრუმის გარდა ბევრი სხვა ფაშაც მონაწილეობდა. ამჯერად თურქები იმერეთამდე ვეღარ მოვიდნენ, მაგრამ გურიაში შეიჭრნენ და ციხეები — ასკანა, ლიხაური და ბუკისციხე დაიკავეს. სოლომონისა და მამია გურიელის გაერთიანებულმა ლაშქარმა იმავე წელს ასკანა და ბუკისციხე დაიბრუნა[6], მაგრამ რიცხობრივად ჭარბმა მტერმა იმძლავრა, 1765 წელს თურქებმა გურია დაიკავეს, მამია გურიელი გადააყენეს და მის ნაცვლად მისი ძმა გიორგი გაამთავრეს. 1766 წელს კი დიდი ძალებით იმერეთში შემოიჭრნენ, სოლომონის გამაერთიანებელი პოლიტიკის მოწინააღმდეგე თავადები დაიხმარეს და გაქცეული სოლომონის ნაცვლად იმერეთის ტახტზე თეიმურაზ მამუკას ძე დასვეს. ასეთ მძიმე ვითარებაში, სოლომონი შეეცადა დამპყრობთა წინააღმდეგ გარეშე ძალა გამოეყენებინა და ერთადერთი შესაძლებელი საშუალება — რუსეთის დახმარების მიღება სცადა.

ჯერ კიდევ 1765 წელს იმერეთის მეფემ თხოვნით მიმართა საიმპერატორო კარს, რომ მას ეშუამდგომლა პორტას წინაშე, რათა ქვეყანაზე შეწერილი ადამიანების ხარკი ფულადი გადასახადით შეეცვალა[7]. იმჯერად რუსეთი თურქეთთან მშვიდობიანობას ჯერ კიდევ უფრთხილდებოდა (იმერეთი თურქეთის ქვეშევრდომი იყო), ამიტომ საიმპერატორო კარზე საქმეში ჩარევა შეუძლებლად მიიჩნიეს და შუამდგომლობა ერეკლეს მიანდეს. ამ ხანებში სულთანი ერეკლესაც უწყრებოდა, თითქოს იმერეთისათვის ფარული დახმარების აღმოჩენის გამო. ამიტომ ქართლ-კახეთის მეფემ საჭიროდ მიიჩნია ხონთქრის კარზე საგანგებო ელჩის

---

6 თ. ქორდანია, ქრონიკები, III, გვ. 282.
7 ო. მარკოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

გაგზავნა, რომლის პირითაც წაყენებულ ბრალდებაზე თავს იმართლებდა და ამავე დროს სოლომონის სათხოვარსაც გადასცემდა.

ამასობაში სოლომონი დროს უქმად არ კარგავდა. როგორც კი თურქეთის ლაშქარმა იმერეთის ტერიტორია დატოვა, სასწრაფო ღონისძიებები მიიღო, ქვეყანა მტრისაგან გაწმინდა და ტახტი კვლავ დაიბრუნა.

თურქეთი გრძნობდა, რომ იმერეთის ამბებში ღრმად შეჭრა მას მატერიალური და მორალური ზარალის მეტს არაფერს აძლევდა. ამიტომ იგი სიამოვნებით დათანხმდა ერეკლეს შუამდგომლობას და აღიარა იმერეთი არა ქვეშევრდომ, არამედ მფარველობაში მყოფ ქვეყნად და დათანხმდა, ყოველწლიურად იმერეთის მიერ ხარკის სახით გაგზავნილი 60 ჭალი აუცილებლად ქართველი არ ყოფილიყო[8]. მაგრამ მალე გაირკვა, რომ სოლომონს ამგვარი გადაწყვეტილება არ აწყობდა. მან ადამიანებით ხარკის გადახდაზე გადაჭრით უარი განაცხადა[9].

საერთაშორისო ვითარება საქართველოს ირგვლივ შეიცვალა. რუსეთ-თურქეთის ომი მომწიფდა. რუსეთმა სოლომონის ადრინდელ ელჩობას თავის დროზე მიანიშნა, რომ მათ საკითხზე მსჯელობა თურქეთთან მშვიდობიანობის პირობებში არ შეიძლებოდა და იმერლები ვითარების შეცვლას უნდა დალოდებოდნენ. იმერეთში ვითარების შეცვლა, როგორც ჩანს, იგრძნეს და 1768 წელს რუსეთში ახალი ელჩობა გაგზავნა მიტროპოლიტ მაქსიმე ქუთათელის მეთაურობით.

სიგელში, რომელიც ელჩობამ პეტერბურგს ჩაიტანა, სოლომონი იმპერატრიცას ატყობინებდა, რომ 12 წელია იგი მედგრად ებრძვის მოძალადე თურქებს, რომ ამ ხნის განმავლობაში მტერი 7-ჯერ შეიჭრა მის სამფლობელოში, ციხეებიც დაიკავა და ხარკისა და ტყვეების მიცემა მოსთხოვა, მაგრამ სოლომონს ზამთარ-ზაფხულ მათ წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუნელებია, მრავალგზის დაამარცხა მტერი, გაყარა თავის სამეფოდან და ამჟამად მთელ ქვეყანას უწევს კონტროლს. სოლომონი რუსეთის კარს ქვეშევრდომობას სთხოვდა და პირდებოდა, რომ ქრისტეს რჯულისათვის შეურიგებელ ბრძოლას კვლავაც გააგრძელებდა. თუ ქვეყნის ქვეშევრდომობაში მიღებას საიმპერატორო კარი შეუძლებლად მიიჩნევდა, მაშინ, იმისათვის რომ მტრის წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით გაეგრძელებინა, სოლომონი ფულითა

---

8 ი. მარკოზა, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

9 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 646.

და სამხედრო საჭურველით დახმარებას ითხოვდა. მაგრამ იმერეთის მეფე უარეს შესაძლებლობასაც ითვალისწინებდა: თუ იგი რიცხვმრავალი მტრის წინააღმდეგობას ვეღარ შეძლებდა, მაშინ მისთვის, სხვა ქართველ მეფეთა გვარად, რუსეთში გადასახლების უფლება და საშუალება უნდა მიეცათ[10].

იმერეთის ელჩობა ოქტომბრის პირველ რიცხვებში ყიზლარში ჩასულა და იქაური კომენდანტის პოტაპოვის დიდი შეშფოთება გამოუწვევია. საქმე ის იყო, რომ ამ ამბებამდე დაახლოებით წლინახევრით ადრე მას პეტერბურგიდან საგანგებო ინსტრუქცია გამოუგზავნეს იმის თაობაზე, რომ რადგან საქართველოსთან და, განსაკუთრებით, იმერეთთან ურთიერთობა ოსმალეთის გულისწყრომას იწვევს, ხოლო ჩვენ მასთან მშვიდობიანი დამოკიდებულება გვაქვს, ამ მხარიდან არავითარი ელჩობა დედაქალაქში არ გამოატაროო. გენერალი ინსტრუქციის მიხედვით მოქმედებდა და მაქსიმე მიტროპოლიტის დელიკატურად სამშობლოში გაბრუნება დაუპირებია, მაგრამ იმერელი მღვდელმთავარი მტკიცე ხასიათის კაცი გამოდგა და მისი უკან გაბრუნება პოტაპოვმა ვერაფრით მოახერხა. პოტაპოვი იძულებული შეიქმნა ყველაფერი ცენტრისათვის შეეტყობინებინა.

პეტერბურგში კი ამ დროს სულ სხვა განწყობილება სუფევდა. ამასობაში თურქეთთან ომი დაწყებულიყო და საქართველოს მიმართ საიმპერატორო კარზე ახლა დიდი გეგმები ისახებოდა. ცარიზმი ამ ომს (ისევე როგორც თურქეთის წინააღმდეგ სხვა ომებსაც) შავი ზღვის აუზში თავისი ტერიტორიების გაფართოებისა და განმტკიცებისათვის აწარმოებდა. მაგრამ თავისი პოლიტიკის ნამდვილი მიზნები რომ შეენიღბა და გაემართლებინა, იგი ამჯერად თურქეთის მფლობელობაში მოქცეული ქრისტიანული ხალხების ინტერესების დაცვის დროშით გამოდიოდა. ასეთ ვითარებაში ომის წარმოების ფორმებისა და მეთოდების ძიებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და ამ საკითხთან დაკავშირებით საიმპერატორო კარზე სხვადასხვა პროექტი იხილებოდა. სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ პირველ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, თურქეთთან ბრძოლაში მის უღელქვეშ მყოფი ქართლმადიდებელი ხალხების ჩაბმის შესახებ. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი როლი ქართველებს უნდა ეთამაშათ. ერთი სიტყვით, რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ ერთგვარ „ჯვაროსნულ ომს“ ამზა-

---

[10] А. Шагарели. Грамоты и другие исторические документы относящиеся к Грузии, т. I, СПБ. 1891, с. 18—19.

დებდა[11]. ამგვარ სიტუაციაში იმპერიის საზღვრებში იმერეთის ელჩობის გამოჩენა რუსეთის ხელისუფალთათვის პირდაპირ მისწრება იყო. ამ თვალსაზრისით იმერელი პოლიტიკოსები ცოტა აჩქარდნენ. სრულიად უეჭველია, სოლომონს ინიციატივა რომ არ გამოეჩინა, რუსეთის დიპლომატია პირველი გადადგამდა შესაბამის ნაბიჯს და, 1766 წლის მოთხოვნებზე დაყრდნობით, თვითონვე შეთავაზებდა ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებას. ეს ერთობლივი მოქმედება კი იმერეთისათვის პოლიტიკურად უფრო ხელსაყრელ ვითარებაში განხორციელდებოდა. ყოველ შემთხვევაში საიმპერატორო კარი ომის დამთავრების შემდეგ სოლომონს იმას მაინც ვერ დააყვედრიდა, მოწყალება მოვიღეთ და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის უფლება მოგეცითო[12]. საიმპერატორო კარმა ყიზლარის კომენდანტს სასწრაფოდ მიტროპოლიტის პეტერბურგში პატივით გამომგზავრება უბრძანა. ამავე დროს დაავალა, ელჩობის ერთ-ერთი წევრი უკან იმერეთში გაებრუნებინა, რათა სოლომონ მეფე საიმპერატორო კარის კეთილგანწყობაში დაერწმუნებინა და შესაბამისი წერილების მოშველიებით თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად კიდევ უფრო მეტად წაექეზებინა.

საიმპერატორო კარს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სოლომონი თურქეთის წინააღმდეგ ომში აქტიურად ჩაებმებოდა. მიტროპოლიტ მაქსიმეს ელჩობამ მას ეს რწმენა განუმტკიცა; მაგრამ საქმის წარმატებით განხორციელებისათვის პეტერბურგში ერეკლეს მონაწილეობაც აუცილებლად ჩათვალეს. მისი თურქეთის წინააღმდეგ ამხედრება რთულ და თითქმის შეუძლებელ საქმედ მიაჩნდათ. ამიტომ რუსი პოლიტიკოსები იმედოვნებდნენ, თუ ერეკლე თვითონ არ ჩაებმება ომში, სარწმუნოების დაცვისა და სინდისის ძალით იმას მაინც მივაღწევთ, რომ მან იმერეთის მეფეს არ დაუშალოს ამგვარი მოქმედებაო. საიმპერატორო კარის ამგვარ პესიმისტურ განწყობილებას თავისი საფუძველი ჰქონდა.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განმტკიცდა. როგორც ითქვა, თეიმურაზის ელჩობის ტრაგიკულად დამთავრების შემდეგ ერეკლემ ადვილად მოაგვარა ურთიერთობა ირანის ახალ განმგებელ ქერიმხანთან და ამის შემდეგ თავისი სიცოცხლის ბოლომდე ეს შარაგზის

---

[11] З. Авалов. Присоединение Грузии к России, СПБ, 1906, с. 96.

[12] А. Цагарели. Грамоты...т. I, с. 265.

ყაჩაღი (სიტყვის არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან ახალგაზრდობაში, ვიდრე ირანის ტახტისათვის ბრძოლაში ჩაებმებოდა, იგი ყაჩაღების რაზმს მეთაურობდა, გზებზე დათარეშობდა და იქაურობას შიშის ზარს სცემდა), რომელიც ირანის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მშვიდი და ლმობიერი მმართველი გამოდგა, სწორად აფასებდა ძალთა თანაფარდობას, ერეკლესაგან ირანის კარის უმაღლესობის ფორმალურ აღიარებას სჯერდებოდა და ამით კმაყოფილდებოდა. ქართლ-კახეთის მეფე ამიერკავკასიაში თავის ვავლენას ამტკიცებდა. ქვეყნის საზღვარი მდ. არაქსზე გადიოდა და ერეკლე ადვილად აბერხებდა დაეთრგუნა ცალკეული ხანების ქართველთა გავლენისაგან თავის დაღწევის მისწრაფებები.

განსახილველ პერიოდში ერეკლეს მეფობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი პაატა ბატონიშვილის შეთქმულება იყო. ვახტანგ VI-ის უკანონო შვილის მცდელობა, რეაქციონერ თავადთა მხარდაჭერით, რომელთა უმრავლესობას ერეკლეს მიმართ პირადი ხასიათის ანგარიშები ჰქონდა გასასწორებელი, ქართლის ტახტს დაპატრონებოდა, ერეკლემ ადვილად აღკვეთა და შეთქმულები სასტიკად დასჯა, რითაც ქართველ თავადობას დიდი ხნით მოუსპო ამგვარი მოქმედების სურვილები. ხელსაყრელი დამოკიდებულება იყო თურქეთის მხრიდანაც. განმდგარი სოლომონ I-ის დამორჩილებისათვის წარუმატებელ ბრძოლაში ჩაბმულ სულთნის კარსა და მის დასაყრდენს ამიერკავკასიის საქმეებში — ახალციხის ფაშას ერეკლესთან ურთიერთობის გამწვავება არ აწყობდათ. ამიტომ ისინი ერეკლეს დიდ ანგარიშს უწევდნენ და შესაფერ პატივს არ აკლებდნენ. ნიშანდობლივია, რომ როცა ახალციხის ფაშამ, თურქეთის ჯარის იმერეთის დასალაშქრავად ქართლის ტერიტორიაზე გატარების თხოვნაზე ერეკლესაგან უარი მიიღო, იგი იძულებული შეიქნა ამას უდრტვინველად შერიგებოდა და ყოველგვარი საპასუხო ღონისძიების გარეშე დაეტოვებინა. ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთის სამეფოში იმგვარი ვითარება იყო შექმნილი, როგორიც სულ რამდენიმე წლის წინათ სანატრელი ჰქონდათ. ერეკლე ყოველმხრივ უნდა ცდილიყო ამგვარი ვითარების შენარჩუნებას. ერთი შეხედვით, ეს თითქოს ასეც იყო.

ცხადია, ამ მდგომარეობას ანგარიშს უწევდნენ საქართველოს საქმეებში მეტნაკლებად ჩახედული რუსეთის ხელისუფლების ის წრეები, რომლებიც თურქეთის წინააღმდეგ ერეკლეს გამოყენების შესაძლებლობას საეჭვოდ მიიჩნევდნენ. ინსტრუქციაში, რომელსაც საგარეო საქმეთა მესვეურნი ყიზლარის კომენდანტს უგზავნიდნენ, მიუთი-

თებდნენ: „თითქმის არ არის ეჭვი, რომ პირველი (იმერეთის მეფე — მ. ს.) წერილის მიღებისა და თქვენგან შიკრიკის მისვლისთანავე დაიწყებს ომისთვის მზადებას და ამასთან თუკი რამდენიმე შესაძლებლობა უნება, იმოქმედებს კიდეც, ამიტომ, თქვენმა გაგზავნილმა დიდი თავდადება უნდა გამოიჩინოს ვეორის (ერეკლეს — მ. ს.) დასაყოლიებლად“[13]. თუ რუსეთის წარმომადგენლის მეცადინეობა ამ მიმართულებით საკმარისი არ იქნებოდა, მას ყოველი ღონე უნდა ეხმარა, რომ ერეკლეს თანხმობისათვის სოლომონის ჩარევით შაინც მიეღწია. ამის თაობაზე ნ. ი. პანინი ქობულაშვილის ხელით გაგზავნილ წერილში იმერეთის მეფეს პირდაპირ თხოვდა: „მე ვიმედოვნებ, რომ თქვენი ბრწყინვალება თვითონ თქვენი მხრითაც არ დააყოვნებთ ქართლისა და კახეთის მეფე ...დაიყოლიოთ, რათა იგი, თქვენთან ერთად ქრისტიანობის საერთო მტრის წინააღმდეგ საერთო საქმეში ჩაებას“[14] და ა. შ.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურთა მოულოდნელად და გასახარად სრულიად პირიქით მოხდა: ერეკლეს არავითარი დაყოლიება და შთაგონება არ დასჭირდა. მან, არათუ დაუშალა სოლომონს ომში ჩაბმა, თვითონ საოცარი აქტივობა გამოიჩინა და თურქეთის საწინააღმდეგო აქციებში დახმარების კი სრა, ძირითადი მოქმედის როლი იკისრა და შესაბამისი გეგმები წამოაყენა.

ქართლ-კახეთის მეფის ამგვარი „არალოგიკური“ მოქმედება მხოლოდ იმ დიდი გეგმების არსით შეიძლება აიხსნას, რომლებიც თეიმურაზ II-სთან ერთად მან ჯერ კიდევ 50-იან წლებში ჩამოაყალიბა, დაამუშავა და რომლის განხორციელება, ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, შესაფერისი საერთაშორისო ამინდის დადგომაზეც იყო დამოკიდებული. მას შემდეგ რაც 1762 წელს მან ქართლ-კახეთის გაერთიანებისა და შემომტკიცების საქმე ასე თუ ისე მოაგვარა, დღის წესრიგში ახალი საკითხები წამოიჭრა, რომლებიც უკვე თურქეთს უკავშირდებოდა. ერეკლემ ირანის ჰეგემონობაში მყოფი ქართული ტერიტორიების გაერთიანება ძირითადად 1762 წლისათვის დაასრულა და ზოგან მნიშვნელოვნადაც გასცდა მის ფარგლებს. ქვეყნის გაერთიანების დიდი ეროვნული საქმე ახლა თურქეთის „წილხვედრი“ ქართული ტერიტორიების შემოერთების გზით უნდა წასულიყო, ე. ი. ქართლ-კახეთის მეფე. თუკი მიღწეულით დაკმაყოფილებას და აღმოსავლეთ

---

[13] А. Цагарели. Грамоты..., т. I, с. 21.

[14] იქვე, გვ. 25.

საქართველოს ჩარჩოებში დარჩენას არ აპირებდა, ოსმალეთს უნდა დაპირისპირებოდა.

ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ერეკლე II-ის რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომში ჩაბმა ახალციხის საფაშოს შემოერთების ინტერესმა განაპირობა. ეს რეგიონი, რომელიც თურქეთის შემადგენლობაში შესული უძველესი ქართველი მიწებისაგან შედგებოდა, ყველაზე ადრე ჩამოშორდა დედასამშობლოს და მას პოლიტიკურად და რელიგიურად ყველაზე მეტად დაცილდა. საქართველოს ერთიანობის უძველესი ცენტრისა და ქართული კულტურის უპირველესი აკვნის დაბრუნება დიდი პოლიტიკური და იდეოლოგიური მნიშვნელობის ამოცანა იყო. მაგრამ საკითხის სიმწვავე მარტო ამით არ ამოიწურებოდა: ახალციხის საფაშოს ქვეყნისათვის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი შემომტკიცება ქვეყნის დაცვისა და სიმშვიდის აუცილებელი პირობა იყო. ერთიანი საქართველოს იმჟამად მოშლილი სამხრეთის ზღუდე, მისი რბევისა და აოხრების, მასზე დამპყრობთა ბატონობის ძირითად ბურჯად ქცეულიყო. ახალციხის საფაშო საქართველოს სამხრეთ ჭიშკარს წარმოადგენდა, რომლის ჩაკეტვის გარეშე სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფა სამხრეთიდან შეუძლებელი იყო. ამავე დროს, ახალციხის საფაშო მთელ დასავლეთ საქართველოს სამხრეთიდან და დასავლეთიდან კეტავდა და მისი ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში მოქცევა, მთელ დასავლეთ საქართველოზე გავლენისა და მეთაურობის ერთერთი ძირითადი პუნქტი იქნებოდა. ხოლო ამგვარი გავლენა და მეთაურობა (უფრო სწორად შემოერთება) თეორიული ამოცანა არ ყოფილა, ეს საკითხი, როგორც ჩანს, ერეკლეს პოლიტიკის დღის წესრიგში იდგა.

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურთა გეგმებში რუსეთ-თურქეთის ომს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მინიჭებოდა. ამიტომ ამ ომში ჩაბმა მათ ინტერესებში შედიოდა. მაგრამ ყველაფერი ეს რუსეთის საგარეო საქმეთა გამგებლებისათვის უცნობი იყო. რა საკვირველია, მათ გულდასმით რომ შეესწავლათ თეიმურაზისა და ერეკლეს მთელი პოლიტიკა, რუსეთთან ურთიერთობის მათი მრავალწლიანი ისტორია და მიზნები, ამის მიხვედრა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მაგრამ საქართველოზე, მის ინტერესებზე, მიზნებსა და პოლიტიკაზე საიმპერატორო კარს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. საკმარისია გავიხსენოთ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ეკატერინე II-ის

მოთხოვნით გასარკვევი გაუხდათ, სად მდებარეობდა თბილისი შავი ან კასპიის ზღვის სანაპიროზე, თუ სადღაც მათ შუაში.

ცხადია, 1768—1774 წლის რუსეთ-თურქეთის ომი უეცრად არ დაწყებულა. იგი თანდათანობით მწიფდებოდა. რუსეთის დიპლომატია მას მრავალი წლით ადრე გეგმავდა და მისთვის ემზადებოდა. ამავე დროს რუსეთში კარგად იცოდნენ, რომ თურქეთთან განხეთქილებას, მაშინვე საქართველოსთან ურთიერთობის გაცხოველება მოჰყვებოდა. არაერთი ქართული ელჩობა თუ მიმოწერა, მას რომ უსწრებდა წინ, ამ პერსპექტივას ადასტურებდა. ამასთანავე რუსეთის დიპლომატიას არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია იმ გარემოებისათვის, რომ 1762 წლის შემდეგ ერეკლეს ინტერესი რუსეთისადმი ერთგვარად შენელდა. ქართლ-კახეთის მეფე მტკიცე ხასიათის, ძლიერი პიროვნება იყო, რომელიც დამოუკიდებელ პოლიტიკას ანხორციელებდა. თეიმურაზის ელჩობის გარკვეულმა წარუმატებლობამ ერეკლე დაარწმუნა, რომ იმჯერად რუსეთს საქართველოსთვის არ ეცალა და ამიტომ ცდილობდა მისთვის ზედმეტად თავი არ შეეწყინა. მით უმეტეს, რომ შედარებით ხელსაყრელი ვითარება, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს გარშემო მოცემულ პერიოდში ჩამოყალიბდა, რუსეთისადმი რაიმე დახმარებისათვის მიმართვის აუცილებლობას არ მოითხოვდა. მაგრამ რჩებოდა ერთი ძველი და მტკივნეული საკითხი, რომლის უგულებელყოფა ერეკლეს არ შეეძლო. საქმე ის იყო, რომ ქართლის ტახტის ოფიციალურად დამტკიცებას მან მაინც ვერ მიაღწია. ამ გარემოებას სხვა ვითარებაში, შესაძლოა, რაიმე სერიოზული მნიშვნელობა არც მიენიჭებოდა, რადგან ერეკლე უკვე საკმაოდ მტკიცედ ედგა სათავეში ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოს და მისი ტერიტორიის შემდგომ გაფართოებაზე ზრუნავდა. მაგრამ ქართლის ტახტის „კანონიერი" მემკვიდრეები — ვახტანგის სახლისშვილები — რუსეთის საიმპერატორო კარზე პატივით იმყოფებოდნენ, ბატონიშვილებად იწოდებოდნენ და ქართლის სამეფოზე პრეტენზიებს არ თმობდნენ. თუ რამდენად სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ტახტზე დამტკიცების საკითხს განსახილველი ხანის საზოგადოებრივი აზრისათვის, იქედან ჩანს, რომ ერეკლე ოფიციალურად ვერ ეკურთხა მეფედ (ეს მან მხოლოდ 1783 წლის ტრაქტატის შემდეგ შეძლო). ნიშანდობლივია, რომ არც ერთი ქართული წყარო ამ ფაქტს უყურადღებოდ არ ტოვებს: „ხოლო წელსა 1762...გარდაიცვალა მეფე თეიმურაზ პეტერბურგს... და

ირაკლი ძე მისი იწოდა მეფედ ქართლისადცა"[14] (დავით ბატონიშვილი), „ამასვე წელსა 1762... მეფემან კახთამან ირაკლიმ II,.. შემდგომად მამისა თვისისა, მეფისა თეიმურაზისა მიიღო ქართლიცა სამეფოდ" (ბაგრატ ბატონიშვილი)[15], „იხწოდა ერეკლე-მეფედ ქართლისაჲცა"[16] (შედეგი კახეთის ცხოვრებისა), «По смерти (Теимураза II-го), сын его Кахетинский царь Ираклии принял в свое владение Карталинию, наименовав себя царем Карталинии и Кахетии, совокупно...» (დავით ბაგრატიონი)[17] და ა. შ. ეს საკითხი, რომ უბრალო და ხელწამოსაკრავი არ იყო იქედან ჩანს, რომ ერეკლეს მტრები მის წინააღმდეგ ბრძოლაში ამას ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად იშველიებდნენ. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ალექსანდრე ამილახვრის განცხადება: „ირაკლის სინდისი აწუხებდა, რომ უკანონოდ მიმძლავრებით დაეპატრონა ამ სამეფოს და ადვილად შეიძლებოდა ხელახლა დაეკარგა იგი; მან აგრეთვე სთხოვა მეზობელ სახელმწიფოებს, რომ იგი ქართლის მეფედ დაემტკიცებიათ მემკვიდრეობით, მაგრამ რადგან ჩვენი ტახტის მემკვიდრეობის კანონი ძველიდანვე ცნობილი იყო, არავინ ამას არ დათანხმდა"[18]. ვერ ვიტყვით თუ რამდენად ზუსტია ავტორის ცნობა მეზობელი სახელმწიფოებისადმი თხოვნის შესახებ. ძნელი წარმოსადგენია, რომ ერეკლეს ამგვარი თხოვნით ქერიმ-ხანისათვის მიემართოს, გარდა იმისა, რომ ამაზე არაფერი საბუთი არ არსებობს, თვით მისი პოლიტიკის ხასიათი ამგვარ შესაძლებლობას თითქოს გამორიცხავს. მით უმეტეს წარმოუდგენელია, რომ ერეკლეს ამ საქმეში სულთნის კარის ჩარევა ეცადოს. მით უმეტეს, რომ მას ქართლ-კახეთზე არავითარი იურიდიული უფლება არ ჰქონდა. რუსეთთან კი როგორც ითქვა, იმ ხანებში ერეკლეს ურთიერთობა ერთგვარად გაციებული ჰქონდა. გარდა ამისა, რუსეთის მიმართ ამგვარი მიმართვა იმ პერიოდის მრავალრიცხოვან მასალებში დაუფიქსირებელი არ დარჩებოდა და ეს საკითხი 1768 წელს, როცა ერეკლეს მიმხრობა ასე სასურველი იყო რუსეთისათვის, ამოტივტივდებო-

---

14 დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია; ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 81 (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

15 იქვე, გვ. 51.

16 საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 283.

17 Д. Багратиони, История Грузии, Тб. 1971, с. 162.

18 ა. ამილახვარი. გიორგიანული ისტორია, „მნათობი", 1939, № 8. გვ. 141. (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

და. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერეკლეს ამგვარი სურვილი არ ჰქონდა.

ერეკლე საკითხის მოგვარების, უფრო სწორად მისი მოხსნის გზებს ეძებდა. სხვა ღონისძიებებთან ერთად ამისთვის მიზანშეწონილი ჩანდა პრეტენდენტების საქართველოშივე ქართლ-კახეთის მეფის ძეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა (საყურადღებოა, რომ თვით ანტონ კათალიკოსმაც კი, რომელიც ერეკლეს უახლოესი თანამებრძოლი და სულიერი მეგობარი იყო, ესქორციაში მისი სახლის ქართლის ტახტზე პრეტენზიები არ დაივიწყა და იგი ოფიციალურ მიმოწერაში წამოატივტივა). სავარაუდოა, პრეტენდენტთა ერეკლეს კარზე ყოფნა მისი მეფობის კანონიერების ფაქტობრივი აღიარებაც იქნებოდა. ამითაც უნდა აიხსნას, სხვა მოტივთა შორის, ანტონ კათალიკოსის საქართველოში სასწრაფოდ დაბრუნება (თეიმურაზ მეფის გარდაცვალების შემდეგ) და ვახტანგ VI-ის უკანონო ვაჟის პაატას შემოშვებაც საქართველოში. მათთვის ერეკლეს პატივი და დიდება არ დაუკლია. პირველმა იმედები მთლიანად გაამართლა და ათეული წლების მანძილზე, მისი ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი მონაწილე და დასაყრდენი იყო; მეორემ კი თავისი პრეტენზიები ვერ დაივიწყა, ტახტისათვის ბრძოლას თავი არ დაანება და სასტიკადაც დაისაჯა. ორივე შემთხვევაში ერეკლეს პოლიტიკა გამართლებული იყო.

ასე წვავედ და მტკივნეულად იდგა ერეკლეს პოლიტიკაში ქართლის ტახტის საკითხი და აი, შექმნილ ვითარებაში, როცა რუსეთის ხელისუფალნი ქართლ-კახეთის მეფეზე ზემოქმედების გზებს ეძებდნენ, რათა იგი თურქეთის საწინააღმდეგო მოქმედებაზე წაექეზებინათ. საქართველოს საზღვრებთან გამოჩნდა ქართლის ტახტის ძირითადი პრეტენდენტი, „კანონიერი მემკვიდრე“, ვახტანგ VI-ის შვილიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე.

იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულის კარზე მიღებულ და განებივრებულ ბატონიშვილს ახალი იმპერატრიცა ეკატერინე II შემოსწყრა. სავარაუდოა, რომ გულისწყრომის მიზეზი ალექსანდრეს დედოფლის მეუღლესთან — პეტრე III-სთან სიახლოვე უნდა ყოფილიყო (ცნობილია, ეკატერინე და პეტრე III ერთმანეთის მტრები იყვნენ და ეს მტრობა საბოლოოდ პეტრეს ტახტიდან ჩამოგდებით და სიკვდილით დამთავრდა). ახალმა იმპერატრიცამ შერისხა მის მეუღლესთან მეტ-ნაკლებად დაახლოებული პირები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ერთი პირობა მისთვის ტახტის დაბრუნებას შეეცადნენ. მათ შორის რუსეთში გადასახლებული არაერთი ქართველი ოჯახის-

შვილი აღმოჩნდა. ალექსანდრე ამგვარ საქმიანობაში შემჩნეული არ ყოფილა, ამის მიუხედავად, ეკატერინე მას არ წყალობდა. იგი ჯერ პეტერბურგიდან მოიცილა, შემდეგ ანტისახელმწიფოებრივი დანაშაული დასწამა (თუმცა დაუსაბუთებლად) და მისი იმპერიის ფარგლებიდან გაძევება ბრძანა.

როგორც აღნიშნული იყო, ვახტანგის სახლისშვილებს რუსეთის დატოვება ადრეც უცდიათ. 1748—1750 წწ. საქართველოში დაბრუნებისათვის ბაქარ ვახტანგის ძე იბრძოდა. საიმპერატორო კარი მისი ამ მისწრაფებას წინააღმდეგ იყო და მუქარით აიძულებდა თავი შეეკავებინა. საბოლოოდ ბაქარის სიკვდილმა ეს საკითხი მოხსნა.

60-იან წლებში საქართველოში წამოსვლის სურვილი პაატა ბატონიშვილმა განაცხადა. მას არათუ რაიმე დანაშაული მიუძღოდა საიმპერატორო კარის წინაშე, არამედ პირიქით, თვითონ ჰქონდა პრეტენზიები მის წარმოშობასთან შეუფერებელი პირობების გამო. მას იმპერიის დატოვების ნება არ მისცეს. მაინც არ დაიშალა და გაიპარა. კარგა ხანს სდევნეს და ეძებეს, მაგრამ რამდენიმე სახელმწიფოს გავლით, მან მდევრებისათვის გზა-კვალის აბნევა მოახერხა. ბოლოს თურქეთში მოხვდა, იქიდან კი საქართველოში ჩამოვიდა.

ალექსანდრე ბაქარის ძე კი, რომელსაც სახელმწიფო დანაშაულში სდებდნენ ბრალს, ჩამოიყვანეს ყიზლარში (გაუგებარია, რატომ მაინცადამაინც ყიზლარში, რადგან ძას თურმე პოლონეთში ჯანელის სურვილი გამოუთქვამს), არაფერი არ ჩამოართვეს, პირიქით, საკმაოდ სოლიდური თანხით მოამარაგეს და თავისუფლად გაუშვეს. ეს კი იყო, რომ მანამდე ჩინები აჰყარეს და მუნდირი გაბადეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი რუსეთის სახელმწიფოს მსახურად და ქვეშევრდომად აღარ ითვლებოდა და, შესაბამისად, ამიერიდან მის მოქმედებაზე რუსეთი ოფიციალურად პასუხს აღარ აგებდა. მეტად უცნაური და გაუგებარი საქციელია. უფრო უცნაურია ის, რომ რუსეთის მოხელეები ალექსანდრე ბაქარის ძეს ამის შემდეგაც არ აკლებდნენ ყურადღებას და მფარველობას, ცხადია, არაოფიციალურად და ფარულად[19]. უფრო მეტიც, თვით იმპერატრიცა ეკატერინე II მისდამი, „დასჯილი“ კაცის პირობაზე, აშკარად ზედმეტ ყურადღებას იჩენდა და იმასაც კი უწევდა ანგარიშს. თუ რა მოეწონებოდა ქვეყნიდან გაძევებულ ქართველ ბატონიშვილს. ძნელია ეს ამბავი იმპერატრიცას გულჩვილობითა და გულკეთილობით აიხსნას.

---

[19] Н. Тарсаидзе. Исторические этюды, Тб., 1972, с. 98—118.

ერთი სიტყვით, უცნაური და გაუგებარი საკმარისზე მეტი იქნება ალექსანდრე ბატონიშვილის რუსეთიდან გამოძევების ისტორიაში, თუკი იმ მოსაზრებას არ მივიღებთ, რომ მისი ეს „გამოძევება“ სრულიად გარკვეული პოლიტიკური და დიპლომატიური მიზნებით იყო ნაკარნახევი[20].

თუ რა რეაქციას გამოიწვევდა „ქართლის ტახტის მემკვიდრის“ გამოჩენა საქართველოს საზღვარზე, რუსეთის დიპლომატიამ შესანიშნავად იცოდა. საგარეო საქმეთა კოლეგიის მასალებში ხომ დაცული იყო დაზვერვის მიზნით საქართველოში გამოგზავნილი კაპიტან ოთარ თუმანოვის ჯერ კიდევ 50-იან წლებში საქართველოდან მიწერილი მოხსენებები, სადაც ერეკლესა და თეიმურაზის დამოკიდებულება ვახტანგის შთამომავალთა მოსალოდნელი გამოჩენის შესახებ საკმაოდ მკაფიოდაა აღნიშნული „... ყოველთვის იქ ჰორები გაიშლება, რომე მეფე ვახტანგის ძენი ანუ იმისი ჩამომავლობა მოდიანო. ამაში ის კახ ბატონებს (თეიმურაზი და ერეკლე — მ. ს.) ეფიქრებათ, თუმც რუსეთმან დაიჭიროსო იმათ მიცემენო თავათ სამკვიდროსაო, ამიტომ ბეჯითად არ ეჩიდებიან, კახეთს უფრო ხელს უწყობენ. ამიტომ დაფარული პარტიები არის... აგრეთვე ამავე მეფის ვახტანგის ნათესავი ფერსიას დაფანტული არის, აქედან ცალკე ეფიქრება და იქედამ ცალკე“[21].

ალექსანდრეს „აშვებამ“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ პოლიტიკოსებზე, უკვე 1767 წელს ერეკლე საჭიროდ თვლის, ამ საკითხთან დაკავშირებით, ეკატერინე II-ს წერილით მიმართოს. უეჭველია, რომ ცარიზმის დიპლომატიის ამ ნაბიჯმა ერეკლეს კიდევ უფრო გაუცხოველა ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთთან ერთობლივი მოქმედების მისწრაფება. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ევროპის საზოგადოებრივმა აზრმა ერეკლეს მოქმედება სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილის საკითხს დაუკავშირა. ერთი ფრანგული ენციკლოპედიის აღნიშნულია: „ერეკლეს ჰყავდა მეტოქე, სახელად ალექსანდრე,

[20] Принимая во внимание сложную политическую ситуацию, невольно возникает вопрос—не был ли использован русской дипломатией в своих интересах грузинский царевич в критический 1766 год; Александр Бакарович был подходящим человеком для выполнения любых дипломатических поручений... наказанию в виде принудительной высылки он мог подвергнуться для отвода глаз, «чтобы не был подан омбраж царю Ираклию». Во всяком случае императрица избавилась от нежелательного...человека, с другой же стороны, он мог быть полезным императрице и за пределами России»—ს. ტარხნიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

[21] ი. ციციშვილი. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 94.

რომელიც ქართლის ყოფილი ხელმწიფეების, ბაგრატიონების შთამომავალი იყო და რომელმაც მოიპოვა ეკატერინე მეორის მხარდაჭერა, მაგრამ მან (ერეკლემ — მ. ს.) რუსეთის არმიასთან ერთობლივი მოქმედებით... მას ეს მხარდაჭერა მოუსპო"[22].

ამიერკავკასიაში ყველაფერი საიმპერატორო კარის ინტერესების სასარგებლოდ აეწყო: 1765 წელს ქართლში პაატა ბატონიშვილის შეთქმულება გამომჟღავნდა, რამაც ერეკლეს ვახტანგის სახლისშვილთა მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის საშიშროება გაუცხოველა; 1766 წელს ალექსანდრე გამოჩნდა ასპარეზზე და ამ საფრთხის რეალობა კიდევ ერთხელ დაადასტურა; 1767 წელს კი თურქეთის დახმარებით სოლომონ I ტახტიდან ჩამოაგდეს და, მართალია, მან ტახტი დაიბრუნა, მაგრამ იმერეთის ციხეებში თურქთა გარნიზონები დარჩნენ და მათი გათავისუფლება პოლიტიკურად დასუსტებული მეფისათვის რთული საქმე იყო, ამიერიდან მას თურქეთთან ყოველგვარი ურთიერთობის სურვილი და საშუალება მოესპო.

ამრიგად, ერეკლეს აქტიური ჩაბმა თურქეთის საწინააღმდეგო მოქმედებაში ორ მხრივ იყო მომზადებული. ერთი მხრივ, მას რუსეთის დიპლომატიის ინსპირაცია და ქართლის ტახტის საკითხის საბოლოო მოგვარების მისწრაფება უბიძგებდა, მეორე მხრივ, საქართველოს გაერთიანების პროგრამა და თურქეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები. მაგრამ ამ უკანასკნელ საკითხს ის ართულებდა, რომ ახალციხის საფაშოს იმერეთის მეფეც თავისად თვლიდა და რუსეთის იარაღის წარმატებისა და შესაფერისი სიტუაციის დადგომის შემთხვევაში მასზე უფლებებისაგან ხელის აღებას სულაც არ აპირებდა.

რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომი შავი ზღვის ხელში ჩაგდების ჯერ კიდევ პეტრე I-ის მიერ დასახული გეგმის განხორციელებასა და სანაპირო ზოლში რუსთა მფლობელობის გაფართოებას ისახავდა მიზნად. რუსეთის პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი ყირიმის საკითხს ეჭირა, რომლის დაუფლებით იგი შავ ზღვაზე იარაღთანობით გაბატონებას გეგმავდა. ამ თვალსაზრისით, ომში საქართველოს ჩაბმას რომ ესწრაფოდა, რუსეთის დიპლომატიას ძირითადი აქცენტი დასავლეთ საქართველოზე გადაჰქონდა, სადაც მისი პოლიტიკის დასაყრდენი იმერეთის სამეფო უნდა ყოფილიყო. ამის გამო, სოლომონ I-ს წამყვანი (ძირითადი) მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხოლო ერეკლეს მისი დამხმარისა და ხელის შემწყობის მეორეხარისხოვანი როლი. ეს

22 ნ. ტარსაიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

აზრი ნათლადაა ჩამოყალიბებული ნ. ი. პანინის ერეკლესადმი საგანგებო წერილში[23] და მისსავე წერილში სოლომონ I-სადმიც[24]. ფუნქციების ამგვარი განაწილება ერეკლესათვის მიუღებელი იყო. იგი ამიერკავკასიაში ყველაზე ძლიერ და გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწედ ითვლებოდა. თანამედროვის აღნიშვნით: „თუმცა საქართველოში ასევე სხვა მფლობელებიცაა, მაგრამ ერეკლე იქ ისეთი აბსოლუტია და საქართველოს სხვა მფლობელები ისე დაიმორჩილა, რომ იმათგან ამჟამად არც ერთს არ შეუძლია მას წინააღმდეგობა გაუწიოს და რომ უკვე დიდი ხანია საქართველოში ასეთი მფლობელი არ ყოფილა“[25]. ერეკლე რომ იმჟამად ამიერკავკასიაში ყველაზე ძლიერი მფლობელი იყო, ეს ცნობილია. პოლიტიკური წონა, ირანისა და ოსმალეთის კარზე გავლენა და რუსეთთან ურთიერთობის მისი და მისი წინაპრების ხანგრძლივი ტრადიციები, ერეკლეს საფუძველს აძლევდა, ამჟამადაც საქართველოს სხვა მფლობელებთან შედარებით, რუსეთთან დამოკიდებულებაშიც წამყვანი (ძირითადი) პოზიცია დაეკავებინა.

1769 წლის მარტში რუსეთის წარმომადგენელი ქობულაშვილი საქართველოს ფარგლებში შემოვიდა. ცხინვალიდან მაჩაბლის მეშვეობით მან ერეკლეს თავისი ჩამოსვლა აცნობა და დაუყოვნებლივ იმერეთში გამგზავრების განზრახვა შეატყობინა. ერეკლეს ეს არ მოსწონებია და სურვილი გამოუთქვამს რუსეთის წარმომადგენელი პირველ რიგში მას ხლებოდა[26]. ცხადია, ერეკლეს ამგვარ სურვილს მარტო მისი ამბიციები არ განსაზღვრავდა. მან იცოდა, ვინც ამ ომში რუსეთის მხარეს ძირითად როლს შეასრულებდა, გამარჯვების შემთხვევაში (რაშიაც მას, როგორც ჩანს, მაინცდამაინც ეჭვი არ ეპარებოდა) ძირითად ნაყოფსაც ის მოიმკიდა. ასეთი სასურველი ნაყოფი კი მისთვის ახალციხის საფაშო იყო. ხოლო, როგორც ითქვა, ამ რეგიონზე იმერეთის მეფესაც ჰქონდა პრეტენზია.

ერეკლეს მოთხოვნაზე ქობულაშვილმა უპასუხა, რომ იგი იმერელი არქიმანდრიტის გაჭიანურებლადაა გამოგზავნილი და ვალდებულია მას ჩაჰყვეს იმერეთში. ერეკლეს ამგვარი არგუმენტის უარყო-

---

[23] «е. и. в., всем. моя государыня, в несумненной находится изволит надежде, что в. св. с царем Соломсном го всех достохвальных предприятиях общее участвование возымеете и всем тем, в чем будет вам нужно помогать ему, неоставите». (А. Цагарели. Грамоты... т. I, с. 424).

[24] А. Цагарели. Грамоты... т. I, с. 56.

[25] იქვე, გვ. 36.

[26] იქვე გვ. 426.

ფა არ შეეძლო. რუსეთის წარმომადგენელი იმერეთში ჩავიდა და სოლომონ მეფეს წარუდგა.

ქობულაშვილმა იმერეთში ჩქარა გაარკვია საკითხები, სოლომონი სიხარულით იღებდა რუსეთის წინადადებას, მაგრამ ამავე დროს დამხმარე ჯარის გამოგზავნას ითხოვდა.

მარტის ბოლოს ელჩმა იმერეთი დატოვა და უკვე 14 აპრილს ერეკლეს შეხვდა. იგი შემზადებული იყო იმისათვის, რომ საიმპერატორო კარის წამოწყებაზე ერეკლეს დაყოლიებისათვის დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდებოდა. სრულიად მოულოდნელად და მისდა სასიხარულოდ, ერეკლემ აღფრთოვანებით მიიღო თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის ბოწოდება და თურქული ქალაქების თვით კონსტანტინოპოლამდე საკუთარი ძალებით დაკავებაც კი იკისრა. მხოლოდ ქვეშევრდომთა გასამხნევებლად და მტრის დასაშინებლად მცირერიცხოვანი რუსული რაზმისა და ეკატერინეს მიერ მოწერილი შესაბამისი მომართვის გამოგზავნა მიუჩნევია საჭიროდ, რითაც იგი მტრულად განწყობილ მეზობლებს დაანახვებდა, რომ რუსეთის მფარველობაშია შესული[27].

21 მაისს სოლომონი თბილისში ჩამოვიდა. მეფეებმა ერთობლივი მოქმედების შესახებ ითათბირეს. იმერეთის მეფე დედაქალაქში 4 ივნისამდე შეყოვნდა, მაშინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით ეს საკმაოდ დიდი დრო იყო. ჩანს ამ ხნის განმავლობაში მეფეები გულდასმით არჩევდნენ მოსალოდნელ ომში მონაწილეობის დეტალებს, მაგრამ ეტყობა, ყველაფერზე მათ საერთო პოზიციას ვერ მიაღწიეს. კერძოდ, გაურკვეველი დარჩა პირველი დარტყმის მიმართულების საკითხი; ერეკლე ახალციხეზე შეტევას უპირდა მხარს, სოლომონს უფრო შავი ზღვისპირეთის დაკავება აინტერესებდა.

თათბირის შემდეგ ერეკლემ რუსეთისადმი თავისი მოთხოვნები მნიშვნელოვნად გაზარდა და საქმეში მონაწილეობის პირობად რუსეთის მიერ 5—7 პოლკის გამოგზავნა და ომის დამთავრების შემდეგ სამშვიდობო ტრაქტატით რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა მოითხოვა. როგორც ჩანს, ერეკლე თანდათან გაერკვა სიტუაციაში და დაინახა, რომ რუსეთის ხელისუფლება საქმეში მის ჩარევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ ქვაბულოვს იმერეთში მგზავრობის შემდეგ სოლომონის შესაძლებლობებზე არასახარბიელო შთაბეჭდილება შეექმნა და დარწმუნდა, რომ საქართველოში მთავარი და რეალური ძალა ერეკლეა, რომ გათვალისწინებულ ღონისძიებაში ძირითადი მნიშვნელობა

[27] А. Цагарели. Грамоты... т. I, с. 428.

ბას უნდა მინიჭებოდა. ერეკლემ მოხერხებულად გამოიყენა შექმნილი წინაბეჭდილება, ხოლო შემდეგ, როცა საქართველოს საზღვრებში გენერალ ტოტლებენის მეთაურობით რუსეთის პირველი რაზმი შემოვიდა, კიდევ უფრო გააღრმავა.

1769 წლის გაზაფხულზე რუსეთის საიმპერატორო კარზე საქართველოში დამხმარე ძალის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღეს. მაისის ბოლოს ამის შესახებ საქართველოში შემოთვალეს, აგვისტოს ბოლოს კი 480-კაციანი რუსული რაზმი ტოტლებენის მეთაურობით საქართველოს საზღვრებში შემოვიდა. გენერალმა ამის შესახებ ერეკლეს შეატყობინა, მის ტერიტორიაზე გავლის და სურსათის შეძენის უფლება ითხოვდა და ერეკლესთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა, რაღაც საიდუმლო ცნობის გასანდობად[28].

ერეკლე ამ შეხვედრაზე კათალიკოსის, გიორგი და ლევან ბატონიშვილებისა და უპირველესი დიდებულების თანხლებით გაემართა. აგვისტოს ბოლოს ეს შეხვედრა სოფელ ხოდასთან ქართველების ბანაკში შედგა. ერეკლემ იგი საგანგებო ცერემონიალითა და იშვიათი დიდებით მოაწყო, რითაც გენერალს მარტო პატივისცემა კი არ დაუდასტურა, არამედ უფრო მეტად თავისი სიძლიერე და კარის დიდებულება აჩვენა და ეტყობა, მასზე ნავარაუდევი შთაბეჭდილებაც მოახდინა.

საბუთებიდან არ ჩანს, რა „საიდუმლო" ჰქონდა ტოტლებენს ერეკლესთვის გასამჟღავნებელი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ რაც ამის შემდეგ მოხდა, სწორედ ხოდასთან შეხვედრების დროს დაიგეგმა. მოხდა კი ის, რომ 26 სექტემბერს ტოტლებენი იმერეთში ჩავიდა. 27 სექტემბერს რუსეთის წარმომადგენლები სოლომონ მეფეს შეხვდნენ. აქ გენერალმა საზეიმო განცხადებები გააკეთა, რომ იგი ეკატერინეს დავალებითაა მოსული, რათა იმერეთიდან თურქები გაყაროს და სოლომონს მთელი იმერეთი დაუმორჩილოს, ხოლო თუ ეს არ მოხერხდა, იმერეთის მეფე მთელი ოჯახით რუსეთში წაიყვანოს, სადაც იგი იმპერატრიცას მიერ მისი მეფური ღირსების შესაბამისად იქნება მიღებული. ამის შემდეგ ტოტლებენი დიდხანს არ შეყოვნებულა და სოლომონის თანხმობით პირდაპირ შორაპნის ციხისკენ გაემართა, სადაც თურქული გარნიზონი იდგა. 3 ოქტომბერს შეერთებული რაზმი შორაპნის ციხეს შემოადგა. სოლომონმა საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტა სცადა და გარნიზონს, რომელმაც დანებებაზე უარი განაცხადა, ციხის დატოვება შესთავაზა იმ გარანტიით, რომ ციხის მცველთა რაზმი თავისუფლად

[29] А. Щагарели. Грамоты... т. I, с. 69; ვ. მაჭარაძე. ასპინძის ბრძოლა. თბ., 1957. გვ 37.

იქნებოდა გაშვებული. გარნიზონმა არც ეს წინადადება მიიღო; ამასობაში კი მეფეს ცნობა მოუვიდა იმერეთის დასავლეთ საზღვარზე შექმნილი გართულების შესახებ — დადიანი და თურქები იმერეთის საზღვრებში შემოიჭრნენ. ამის გამო იგი შორაპნიდან მტრის დასახვედრად გაეშურა. ოცდასამკაციანი გარნიზონის წინააღმდეგ ბრძოლა, ცხადია, ამ საქმეში მეფის პერსონალურ მონაწილეობას არ მოითხოვდა. ამის შემდეგ, გენერალმა კიდევ ოთხი დღე გაატარა ციხესთან. 13 ოქტომბერს კი მოულოდნელად ალყა მოხსნა და იმერეთის საზღვრები დატოვა.

29 ოქტომბერს ტოტლებენი და მოურავოვი თავიანთი რაზმით ცხინვალში არიან და ახალციხის მიმართულებით გალაშქრების სამზადისს იწყებენ, რისთვისაც პირველ რიგში რუსეთიდან დამატებითი ჯარის მიღება იყო აუცილებელი. ნოემბრის განმავლობაში ტოტლებენი მოზდოკიდან დამატებითი ჯარის მიღების საქმის მოგვარებას წერილობითი მიმოწერის მეშვეობით ცდილობდა, დეკემბერში კი თვით გაემგზავრა აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად და 1770 წლის 3 თებერვლისათვის საქართველოში მყოფი რუსული რაზმის მებრძოლთა რიცხვი 1228 კაცამდე გაიზარდა[29]. იმავე წლის მარტისათვის ქართველთა ჯარიც მზად იყო რუსებთან ერთად ახალციხის მიმართულებით გასალაშქრებლად. 14 აპრილს მოკავშირეები სადგერში იყვნენ. 17 აპრილს კი აწყურის ციხეს მიადგნენ. აქ ტოტლებენსა და ერეკლეს შორის მეორე გაუგებრობა მოხდა.

პირველმა შეუთანხმებლობამ ჯერ კიდევ სადგერთან იჩინა თავი, როცა გენერალმა ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილის ამ ციხეში დატოვება არჩია, რაზედაც ერეკლე იძულებული იყო დათანხმებულიყო. აწყურთან ტოტლებენმა ციხის აღება გადაწყვიტა, ერეკლემ მიიჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა ციხისათვის გვერდის ავლა და საფაშოს ტერიტორიაზე ღრმად შეჭრა, რითაც გარნიზონი ზურგს და შესაბამისად სურსათისა და დამხმარე ძალის მიღების საშუალებებს მოწყვეტილი იქნებოდა. გენერალმა შეტევა დაიჭინა. ერეკლე აქაც მის ნებას დაჰყვა, მაგრამ ჩქარა გამოირკვა, რომ ტოტლებენის გეგმა მცდარი იყო. ციხეზე შეტევა ისე დაიწყეს, რომ მისი ალყა არ გაუხორციელებიათ. აშან ტერს საშუალება მისცა ციხის დამცველები დამხმარე რაზმებითა და მასალებით გაემაგრებინა. ორი დღის ბრძოლამ შედეგი არ გამოიღო.

---

[29] ვ. მაჭარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

19 აპრილს კი ტოტლებენმა ციხე მიატოვა და რაზმებით უკან გამობრუნდა[30].

ქართველთა ლაშქარი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვიდრე უკან გამობრუნებას საბოლოოდ გადაწყვეტდა, ტოტლებენი მანამდეც აუჩქარებლად და უგულოდ მოქმედებდა. ამით ახალციხის ფაშას მთელი ძალების მობილიზების საშუალება მისცა. ახლა, რაკი რუსთა რეგულარული რაზმი თავიდან მოიშორა, ფაშას შეეძლო ქართველებისათვის ჭარბი ძალებით შეეტია. ერეკლემ გაცლა ამჯობინა და ასპინძის მიმართულებით დაიძრა. ახალციხის ფაშამ კი მისთვის გზის გადაჭრა დააპირა და ასპინძასთან ძლიერ ლაშქარს მოუყარა თავი. ქართველების ბრწყინვალე გამარჯვება ასპინძასთან, სადაც ერთდროულად გამოჩნდა ერეკლეს დიდი სამხედრო ნიჭიცა და ქართველი მხედრობის მამაცობაც, საკმაოდ კარგადაა გაშუქებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ამიტომ აქ ამ საკითხზე სიტყვის გაგრძელება აუცილებელი არ არის. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ, მართალია, ქართველებმა მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს რიცხვმრავალ მტერზე, მაგრამ ძირითადი ამოცანა, სამცხე-ჯავახეთის დაკავება, განუხორციელებელი დარჩა.

ძნელი სათქმელია, რა შედეგს გამოიღებდა აღნიშნული ლაშქრობა, ტოტლებენს რომ გადაწყვეტილება არ შეეცვალა და ქართველები არ მიეტოვებინა. ამ უკანასკნელთ მიაჩნდათ, რომ ამ დიდი წამოწყების ჩაშლის მიზეზი სწორედ გენერლის ღალატი იყო. ასეა შეფასებული ეს აქტი ანტონ კათალიკოსის წერილში ნ. ი. პანინისადმი: „გენერალი, რომელიც თავისი ფიცის საწინააღმდეგოდ იქცევა, გენერალი, რომელმაც ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე მიატოვა ბრძოლის ველი, დიდ ზიანს აყენებს საქართველოს. ეს გარემოებები აფერხებს ჩემს ძმას, მეფე ერეკლეს, რომელიც მტრის წინააღმდეგ იბრძვის და სისხლისმღვრელი შეტაკების (ასპინძის) შემდეგ ბრწყინვალე გამარჯვებას აღწევს და მას მტრის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლებისაგან აკავებს, რადგან რუსი გენერალი თვითონ გარბის და რუსულ ჯარს ნებას არ აძლევს მტერი უკუაგდოს და მალავს არტილერიას, რათა იგი მტრის წინააღმდეგ ვერავინ გამოიყენოს, ამის შედეგად კი მისი ი. უ. სამსახურიც არ სრულდება“[31].

---

30 А. Цагарели. Грамоты... т. I, с. 461—463; т. II, ст. 28—29; ვ. მაჭარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 60—62.

31 А. Цагарели. Грамоты,..т. II, с. 249 (წერილის რუსული ვარიანტი თარგმნილია ჩვენს მიერ—მ. ს.).

ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ რუსეთის სამსახურში მყოფი გერმანელი გენერლის საქციელის მარტო მისი ხასიათის თვისებებით ახსნა, რასაც ხშირად ადგილი აქვს ჩვენს ისტორიოგრაფიაში, საქმის გამარტივებულად წარმოდგენა იქნებოდა.

როგორც ითქვა, ტოტლებენის იმერეთიდან ასეთი გაუმართლებელი გამობრუნება, ჯერ კიდევ 1769 წლის აგვისტოს ბოლოს ადოს მინდორზე (ხოდასთან) ერეკლესთან მისი შეხვედრის დროს დაიგეგმა. ეს გადაწყვეტილება საიმპერატორო კარის მიერ გაცემული ინსტრუქციიდან გადახვევას ნიშნავდა: გენერალს, ქართულ ლაშქარზე დაყრდნობით, ევალებოდა დივერსიები ეწარმოებია თურქების წინააღმდეგ, რათა აქ მტრის ძალები დაებანდებინა და ძირითად ფრონტზე მოქმედი შეიარაღებისათვის მეტი თავისუფლება მიეცა. ამდენად, რუსეთი ამიერკავკასიაში ტერიტორიების დაკავებას არ გეგმავდა. ერეკლეს მიზანი კი პირველ რიგში ახალციხის საფაშოს შემოერთება იყო.

არ ვიცით, თუ როგორ მოახერხა ერეკლემ ტოტლებენისათვის თავისი გეგმის თავს მოხვევა, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ მან საქმეში მატერიალური დაინტერესებაც ჩარია. ამგვარი ბრალდების საფუძველს, გარდა იმისა, რომ ერთ საბუთში ამაზე პირდაპირი მითითებაც არსებობს[32], ისიც აძლიერებს, რომ ტოტლებენისათვის, როგორც ცნობილია, ამგვარი რამ უცხო არ ყოფილა. ხოლო თავის მხრივ, ერეკლესათვის იგი საჭიროების შემთხვევაში ზემოქმედების იძულებითი ფორმა იყო. ყოველ შემთხვევაში უფრო გვიან, ტოტლებენის შემცვლელ გენერალ სუხოტინს იმისათვის, რათა ამ უკანასკნელს ტოტლებენის მსგავსად ინსტრუქცია დაერღვია და ახალციხეზე გაელაშქრა, მან ფულით პატივისცემა შესთავაზა. ამ შემთხვევაში მიღებულმა ზომამ არ გაჭრა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ტოტლებენმა ხასიათის ასეთი სიმტკიცე ვერ გამოიჩინა და შეთანხმებაც მოხდა. ცხადია, შეთანხმება საიდუმლო იყო. მაგრამ მისი დამალვა დიდხანს არ შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი გარიგება რამდენიმე კაცს მაინც უნდა სცოდნოდა. მათ შორის ერთი ან ორი თარჯიმანი იქნებოდა, რადგან ერეკლემ რუსული და გერმანული არ იცოდა, ტოტლებენმა კი ქართული და რუსული ენები.

პირდაპირი მასალების უქონლობის გამო მთელი ეს ისტორია ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, ხოდის თათბირზე ერეკლემ ახალციხეზე გალაშქრების გეგმა წამოაყენა და დაასა-

[32] А. Цагарели. Грамоты... т. I, с. 249.

ბუთა, რომ ამით მტერს უფრო მეტ ზიანს მიაყენებდნენ. ამგვარი ახსნა საიმპერატორო კარის მოხელეების თვალის ასახვევად იყო შემუშავებული. ფაქტობრივად კი მის მიზანს რუსეთის ჯარების მხარდაჭერითა და მონაწილეობით ახალციხის საფაშოს დაპატრონება შეადგენდა. ამ ამოცანის განხორციელებისათვის იგი მზად იყო გენერლისათვის სათანადო პატივისცემა შეეთავაზებინა. საფიქრებელია, რომ ტოტლებენს ეს ამბავი ჰკუაში დაუჯდა, მაგრამ რაკი იგი ცენტრიდან პირდაპირ იმერეთში იყო გაგზავნილი, იქ ჩაუსვლელობა არ შეიძლებოდა. ამიტომ, იგი ერეკლეს შეუთანხმდა, რომ იმერეთში დიდხანს არ შეყოვნდებოდა, ჩქარა უკანვე გამობრუნდებოდა ახალციხეზე გასალაშქრებლად და ერეკლეს მხრიდან დაპირებული პატივისცემის დასამსახურებლად, მაგრამ ამგვარი გარიგება დიდხანს არ დაიმალებოდა, დღეს თუ ხვალ გამჟღავნდებოდა და გენერალს ხელმძღვანელობისათვის პასუხის გაცემა მოუწევდა. თუკი პეტერბურგში ტოტლებენისადმი მიცემული ინსტრუქციის გადახვევასა და ახალციხეზე გალაშქრების განზრახვას ამ გეგმის განხორციელებამდე შეიტყობდნენ, ამას წამოწყების აკრძალვა მოჰყვებოდა და შესაბამისად მისი გარიგება ქართლ-კახეთის მეფესთან ჩაიშლებოდა. მაშასადამე, საჭირო იყო ლაშქრობის დაუყოვნებლივ დაწყება და იქ სრული წარმატების მიღწევა, რაც გენერალს, როგორც ეტყობა, საკმაოდ მარტივ საქმედ ესახებოდა, მით უმეტეს, რომ ერეკლეს, მისი ვარაუდით, სულ ცოტა 30000-იანი ლაშქარი მაინც უნდა გაეწყვანა. საბოლოოდ, საიმპერატორო კარი ყველაფერს შეიტყობდა, მაგრამ „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“ და ალბათ ტოტლებენს იმედი ჰქონდა, რომ პეტერბურგთან საქმეს ადვილად მოაგვარებდა.

ძნელი სათქმელია, რამდენად იყო ერეკლე საკითხის ამგვარად გადაწყვეტის თაობაზე ინფორმირებული; მოსალოდნელია, რომ ბუნებით პატივმოყვარე და მკვეხარა გენერალმა მას ვითარება ისე დაუხატა, თითქოს იგი საიმპერატორო კარის მიერ საქართველოში განუსაზღვრელი უფლებებით იყო აღჭურვილი და შეეძლო საბრძოლო ოპერაციების მიმართულება თავისი შეხედულების მიხედვით განესაზღვრა. ყოველ შემთხვევაში, ერეკლესთვის მთავარი და ძირითადი პრობლემა, ახალციხის საკითხის გადაწყვეტა იყო და თუ ამის შემდეგ მას რუსეთის ხელისუფლებისაგან გარკვეული საყვედურიც შეხვდებოდა, ამას იგი როგორმე აიტანდა.

ტოტლებენი ხედავდა, რომ დასახული გეგმის განხორციელება სიძნელეებით იყო დამოკიდებული; იგი მანამდე უნდა განხორციელებულიყო, ვიდრე ცენტრი ამას შეიტყობდა და აკრძალავდა. იგი ახალციხეზე

გალაშქრებას ჩქარობდა, მაგრამ, ერეკლე დამატებითი რუსული რაზმების მიღებამდე საქმის დაწყებას არ აპირებდა. ერეკლეს პოზიცია გასაგებია, მან ხომ იცოდა, რომ ჯარის იმ რაოდენობას, რომელსაც ტოტლებენი მისგან მოელოდა, იგი ვერ გამოიყვანდა. მაშასადამე, ბრძოლის სიმძიმე მნიშვნელოვანწილად რუსულ შენაერთებს უნდა ეტვირთათ. მათი რაოდენობა კი საქართველოში ერთობ მცირე იყო (სულ 480 ჯარისკაცი) და მისი იმედით ახალციხის დამარცხება საეჭვო ჩანდა.

გენერალი იძულებული იყო მეფის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე სასწრაფოდ ეზრუნა. მის მიერ ამ მიზნით გაგზავნილი რატიევი 10 სექტემბერს ყიზლარში ჩავიდა და კომენდანტ პოტაპოვს ჯარის გაზრდის თაობაზე გენერლის წერილი გადასცა. მართალია, 29 ოქტომბერს ტოტლებენმა დამატებითი რაზმი მიიღო (დრაგუნთა 158-კაციანი ესკადრონი და 70 კაზაკი), მაგრამ ეს უმნიშვნელო რიცხვი იყო. ამიტომ 3 ოქტომბერს იგი ყიზლარის კომენდანტს დამატებით რაზმებს თხოვს და ახალციხეზე გალაშქრების განზრახვას უმხელს. როგორც აღვნიშნეთ, დეკემბერში იგი თვითონ მიემგზავრება ხაზზე; 1770 წლის 1 იანვარს მოზდოკშია. ხოლო იმავე წლის 3 თებერვლისათვის საქართველოში რუსის ჯარის რიცხვი 1228 კაცამდე გაიზარდა. მაგრამ ერეკლე თავის მოთხოვნებს თანდათან აფართოებდა. როგორც ვნახეთ, მან ჯერ ყოველგვარი პირობის გარეშე იკისრა თურქეთის წინააღმდეგ გამოსვლა. შემდეგ მცირე რუსული რაზმის მონაწილეობის საკითხი დააყენა, უფრო გვიან აუცილებლად ჩათვალა 5—7 პოლკის გამოგზავნა, ბოლოს კი ეკატერინეს ჯარის 10—15 პოლკით გაძლიერება მოსთხოვა.

ეტყობა, ტოტლებენი ქართლ-კახეთის მეფის ამგვარმა სიჯიუტემ მოთმინებიდან გამოიყვანა. მან იმერეთის ოპერაცია ახალციხეზე გალაშქრებისა და იქ მოსალოდნელი წარმატების იმედით მოშალა, რის გამოც მას ცენტრთან განმარტების მიცემა მოუხდებოდა. ეს განმარტება მით უფრო უსიამოვნო იქნებოდა, თუ ახალციხეზე ლაშქრობასაც ვერ განახორციელებდა. ამიტომ, როგორც ჩანს, მან ერეკლეს გარეშე მოქმედება გადაწყვიტა. ცხადია, 1228 კაცით იგი ასეთ დიდ ოპერაციას ვერ წამოიწყებდა. საჭირო იყო დამხმარე ძალა და აი 1770 წლის ზამთარში (დაახლოებით თებერვლის ბოლოს) იგი ახალციხეზე ერთობლივ ლაშქრობას დავით ქსნის ერისთავს სთავაზობს, თან პირდება, რომ წარმატების შემთხვევაში დაპყრობილი ქვეყნის გამგებლობას მისცემს[33]. დავით ქსნის ერისთავმა ამგვარი გარიგებისაგან ერეკ-

[33] ვ. მაჭარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

ლეს შიშით და, შესაძლოა, ტოტლებენის უკვე საკმაოდ გაფუჭებული რეპუტაციის გამოც, თავი შეიკავა.

ბოლოს და ბოლოს ერეკლე არსებული ძალებით ახალციხეზე გალაშქრებას დათანხმდა.

როგორც ითქვა, 1770 წლის 17 მარტს მეფე ლაშქრით სურამში მივიდა. მისი ძალები ნავარაუდევზე გაცილებით ნაკლები იყო. თავდაპირველად, არსებული ცნობების მიხედვით, მას 50000 კაცის გამოყვანა უნდა შეძლებოდა. შემდეგ, ეს რიცხვი 40000-ზე დავიდა, საბოლოოდ რუსები ვარაუდობდნენ, რომ მისი ლაშქარი 30000 კაცს მაინც დაითვლიდა. სწორედ ეს რიცხვი იყო დასახელებული ეკატერინე II-ის წერილში, როცა იგი რუსული შენაერთების 15 პოლკამდე გაზრდაზე ერეკლეს უარს უთვლიდა. ეტყობა, ქართული ლაშქრის სიმცირემ მაშინვე ტოტლებენის უკმაყოფილება გამოიწვია. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ერეკლეს მისთვის განმარტების მიცემა მოუხდა, საიდანაც საბუთებში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ გარდა 7000 კაცისა, იგი კიდევ ელის 2000 კაცს, 4000 კაცი მან ყარაბაღის ხანს მიაშველა, დანარჩენი ლაშქარი კი ქვეყნის დასაცავად დატოვა[31]. ამგვარი განმარტება ტოტლებენს არავითარ შეღავათს არ აძლევდა. იგი რეგულარული ჯარის გენერალი იყო, მას დიდი ექსპედიცია და დიდი ბრძოლები ელოდა; რუსული ლაშქარი მცირე იყო, ქართველებმა კი შეპირებულზე 4-ჯერ ნაკლები ჯარი გამოიყვანეს.

ერეკლეს მდგომარეობა გაცილებით მარტივად ჩანდა. თურქეთის წინააღმდეგ ომში იგი უკვე ჩაბმული იყო. მას იმედი ჰქონდა, რომ მოულოდნელი თავდასხმით არსებული ძალებითაც მიაღწევდა თავდაპირველ წარმატებას. მოითარეშებდა ქვეყანას, შეიძლება ზოგიერთი ციხეც ჩაეგდო ხელში, ჯარი დიდ ნადავლს იშოვნიდა; ამის შემდეგ მას უკანაც რომ დაეხია, მისი გეგმის ნახევარი მაინც განხორციელებულად ჩაითვლებოდა, რადგან რუსეთი ჩართული იქნებოდა ახალციხის დაკავების ოპერაციაში და უკანდახევა მისი რეპუტაციის შებღალვას გამოიწვევდა. ამდენად, რუსეთი პრესტიჟისათვის ეცდებოდა საქმე ბოლომდე მიეყვანა. ტოტლებენს ამგვარი ფინალი, ცხადია, არ აწყობდა. იგი ხომ ამ ლაშქრობას საკუთარი ინიციატივით, საიმპერატორო კართან შეთანხმების გარეშე ახორციელებდა და ამგვარი თვითნებობა მას მხოლოდ იმ შემთხვევაში ეპატიებოდა, თუ დიდ და საბოლოო გამარჯვებას მოიპოვებდა. საბოლოო გამარჯვება კი არსებული ძალებით

---

[31] А. Цагарели, Грамоты...т. I, с. 216.

შეუძლებელი ჩანდა. უნდა ვიფიქროთ, სხვა საკითხებთან ერთად, თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, როცა ორივე ლაშქარი სურამში იდგა, ამ საკითხზე მიდიოდა დავა.

ტოტლებენი ოდიოზური პიროვნება იყო, ხასიათის მძიმე თვისებების გამო მან, როგორც ჩანს, რაზმის შეკრებისთანავე, ჯერ კიდევ ყიზლარიდან მოიმდურა ოფიცრები. წარმატებითი ოპერაციების შემთხვევაში, მას იქნებ ამგვარი განწყობილებისათვის ყურადღება არც მიექცია; რეგულარულ ჯარში სუბორდინაციისა და დისციპლინის დარღვევა არავის ეპატიებოდა. მაგრამ გენერალს არ შეიძლება არ დაენახა, რომ საბოლოო წარმატებას იგი ვერ მიაღწევდა. იმერეთის მიტოვებისთვის მას პასუხი უნდა ეგო, ახალციხეში წარმატებით იგი თავს იმართლებდა, მაგრამ, როგორც ითქვა, ეს წარმატება საეჭვო ჩანდა.

მოსალოდნელი უსიამოვნო დასასრულისათვის იგი წინასწარ უნდა მომზადებულიყო და თავის დაზღვევაზე ეზრუნა. ამ თვალსაზრისით, მის წინააღმდეგ ოფიცერთა შეთქმულების შეთხზვა ორ მხრივად მომგებიანი ჩანდა: ჯერ ერთი, ახალციხის ლაშქრობის მარცხი მას შეეძლო ოფიცრების მის საწინააღმდეგო მოქმედებით აეხსნა, მეორეც, ამით მისი უკანონო მოქმედებების მოწინააღმდეგე ოფიცრებისათვის ობიექტურ მოწმეთა უფლებები ჩამოეცილებინა. ამგვარი ინსინუაციის საფუძველს კი მას ის გარემოება აძლევდა, რომ ოფიცრები, როგორც ითქვა, გენერლით უკმაყოფილონი იყვნენ და მისი შეცვლა სასურველ და საჭირო საქმედ მიაჩნდათ. რაკი მათ რიცხვში მეტად გავლენიანი და საიმპერატორო კართან დაახლოებული პიროვნებებიც ერივნენ, მოსალოდნელია, ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებიც გადადგეს და პეტერბურგში გენერლის შეცვლის საკითხი დააყენეს. ამრიგად, ტოტლებენს შეეძლო რუსი ოფიცრების მისდამი საწინააღმდეგო განწყობა თავისსავე სასარგებლოდ გამოეყენებინა. მანაც არ დააყოვნა: ის, რაც სინამდვილეში იყო და ის, რაც მას მისი ეჭვიანი ბუნების გამო ეჩვენებოდა, საგანგებოდ გაბერა, გააზვიადა და ისეთი ფორმა მისცა, თითქოს ოფიცრებმა მის წინააღმდეგ პირი შეკრეს, აპირებდნენ მის გადაყენებას, მოკვლას და ა. შ. ყველაფერი ეს საკუთარი ინტერპრეტაციით ცენტრს აცნობა და მთავარი „დამნაშავეები" პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი და მაიორი რემენნიკოვი დააპატიმრა. ამავე დროს, ყოველმხრივ ცდილობდა საიმპერატორო კარის თვალში მოურავოვის რეპუტაცია შეელახა, რომლის მიმართ მას რადიკალური ზომების მიღება არ შეეძლო, რადგან მოურავოვი საქართველოში რუსეთის მთავრობის სამოქალაქო წარმომადგენელი იყო. ასევე მეთოდურად ცდილობდა

ერეკლეს რეპუტაციის შელახვასაც და თავის მდივანს — დეგრალს აწერინებდა ერეკლეს საწინააღმდეგო წერილებს, რომლებშიც მეფეს ათასგვარ ცილს სწამებდა.

1770 წლის 26 მარტს ტოტლებენის ბანაკში კაპიტანი ლვოვი მოვიდა. იგი პეტერბურგიდან ერეკლესათვის წმინდა ანდრიას ორდენისა და 50000 მანეთი ფულის გადასაცემად იყო გამოგზავნილი. საბუთებიდან არ ჩანს, თუ რა ცნობები ჩამოუტანა ცენტრიდან მან გენერალს, მაგრამ ის ამბავი, რომ რუსი ოფიცრების წინააღმდეგ მოქმედების დაწყება ლვოვის ჩამოსვლას დაემთხვა, გვაფიქრებინებს, რომ უკმაყოფილო ელემენტებმა ტოტლებენის უღირსი მოქმედების შესახებ დედაქალაქამდე მიიტანეს ხმა და იქედან ცდილობდნენ საწადელის (ტოტლებენის შეცვლის) მიღწევას; ის გარემოება, რომ იმ პერიოდში რუსეთში ტოტლებენთან ნამსახურ ოფიცერთაგან მხოლოდ მაიორი რატიევი იმყოფებოდა, ხოლო გენერალმა იგი თავის მთავარ მოწინააღმდეგედ მიიჩნია და ერთ-ერთ პირველთაგან მახვილი მის წინააღმდეგ მიმართა, თითქოს იმის დასტური უნდა იყოს, რომ ოფიცრების დავალებითა და სახელით, იგი რუსეთში ტოტლებენის წინააღმდეგ მოქმედებდა.

თუ რა ძირითად ბრალდებას უყენებდნენ ოფიცრები გენერალს ამის შესახებ წარმოდგენა შეიძლება იმ გარემოებამ შეგვიქმნას, რომ თავდაპირველად, 8 აპრილის წერილით, ტოტლებენი ერეკლეს აცნობებდა, რომ მისი ოფიცრები და თავადები ერეკლესა და ტოტლებენის წინააღმდეგ არიან შეთქმულნი; მაშასადამე, ოფიცრების საქმიანობა, პირველ ხანებში მაინც ერთდროულად ერეკლესა და ტოტლებენის საწინააღმდეგო იყო. ეს კი აძლიერებს ვარაუდს, რომ საქმე ხოდასთან შეხვედრის დროს გენერლისა და მეფის გარიგებას ეხებოდა, რის საფუძველზეც უკანასკნელმა იმერეთში ლაშქრობა მიატოვა და მეფესთან ერთად ახალციხეზე შეტევის გადაწყვეტილება მიიღო.

ტოტლებენმა ოფიცრების წინააღმდეგ პირველი ოპერაცია ჩაატარა, მაგრამ ახლა საჭირო იყო მისი მაქინაციების ძირითადი მოწმის — დეგრალის თავიდან მოცილება და წყნარად თამაშიდან გაყვანა. დეგრალი გენერლის მდივანი იყო და როგორც ჩანს, ერთდროულად მთარგმნელის ფუნქციას ასრულებდა. ასე რომ, მას უნდა ცოდნოდა არა მარტო ის სიყალბეები, რომელთაც ტოტლებენი პეტერბურგში გაგზავნილ წერილებში უხვად აბნევდა, არამედ, მოსალოდნელია, იგი ერთერთი იმათგანი იყო, რომელიც გენერალსა და ერეკლეს შორის ხოდასთან მიღწეული შეთანხმების შინაარსს იცნობდა, ე. ი. აუცილე-

ბელი იყო მისი ჩამოშორება ისე, რომ მისთვის განაწყენების საბაბი არ მიეცა და მოწინააღმდეგის ბანაკისაკენ არ ებიძგა. ამიტომ ტოტლებენმა იგი, „თავისივე სურვილით“ გაათავისუფლა, მაგრამ ოფიცრის ჩინი მიანიჭა, რაც მას დიდ პატივად უნდა მიეღო. თუმცა, როგორც ბოლოს გამოირკვა, დეგრალზე ამ ზომამ არ იმოქმედა და ჩქარა იგი განძდგარ და შერისხულ ოფიცრებს შეუერთდა.

ამის შემდეგ გენერალს ახალციხეზე ლაშქრობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა. ერეკლესთან მისმა დავამ შედეგი არ გამოიღო. ქართველებს ლაშქრის გაზრდა არ შეეძლოთ. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, ქართველთა ლაშქარი დღითი დღე ილეოდა და მცირდებოდა. ამაში არაფერია მოულოდნელი, ერეკლეს ხომ რეგულარული ჯარი არ ჰყავდა. ლაშქარს სახელდახელოდ კრებდნენ ისე, რომ სათანადო აღრიცხვაც არ წარმოებდა. მოლაშქრეებს სურსათი არ ეძლეოდათ, მათ იარაღიცა და სურსათიც შინიდან უნდა წამოეღოთ, ამიტომ მისი რაოდენობა და შესაბამისად ლაშქრად ყოფნის ვადაც განსაზღვრული იყო. თუ რაზმები შეტევით ოპერაციებში მონაწილეობდნენ, მათ შეეძლოთ ნადავლით გაეტანათ თავი, ერთ ადგილზე გაჩერებულნი კი სწრაფად იშლებოდნენ. ეს მარტო ქართული ლაშქრის ნაკლი არ ყოფილა, ასე იყო ყველა არარეგულარული შენაერთი. როგორც ჩანს, ამჯერადაც იგივე გამეორდა. ერთი თვის სურამთან ყოფნის განმავლობაში ქართული ლაშქრის რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამგვარი დასკვნის საშუალებას ჩვენ ის გარემოება გვაძლევს, რომ ასპინძის ბრძოლაში სულ 3000-მა ქართველმა მიიღო მონაწილეობა[35]. უნდა ვიფიქროთ, რომ ერეკლეს ნავარაუდევი 2000 დამატებითი მებრძოლი არ მოუვიდა. უფრო მოსალოდნელია, რომ ამ რაზმს იგი არც ელოდა და მხოლოდ ტოტლებენის დასაწყნარებლად ასახელებდა. მაგრამ სად წავიდა 4000 მებრძოლი? სურამთან ხომ 7000 კაცი მიიყვანა ქართლ-კახეთის მეფემ. აწყურის ციხესთან მას რაიმე არსებითი ხასიათის ზარალი არ მოსვლია; ცხადია, ქართველთა ლაშქარი თანდათანობით დაიფანტა.

ტოტლებენი, ეტყობა, საგონებელში ჩავარდა. ახალციხეზე ლაშქრობა იშლებოდა, ასე რომ, მის მიერ იმერეთის მიტოვების გამართლება შეუძლებელი ხდებოდა და, როგორც ჩანს, მან გადაწყვიტა ლაშქრობა დაეწყო, შემდეგ კი სურსათის ნაკლებობის მიზეზით იგი მიეტოვებია. მას რომ ლაშქრობის მიტოვება და ამის გასამართლებელი მიზეზი წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული იქიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ ოპერაციის დაწყებამდე შეადგინა საბუთი მოურავოვის წინააღმდეგ იმის

[35] А. Цагарели. Грамоты... т. I, с. 107.

თაობაზე, თითქოს უკანასკნელი სურსათის საკითხის მოგვარებაზე არ ზრუნავდა, რაც, როგორც დადგენილია, სინამდვილეს არ შეეფერებოდა[36]. ამდენად, ტოტლებენის ე. წ. ღალატი შემთხვევითი არ ყოფილა, იგი წინასწარ დაგეგმილი და ამდენად, მოკავშირეობის თვალსაზრისით, კიდევ უფრო სამარცხვინო და მძიმე იყო, მაგრამ ტოტლებენს იმჯერად მოკავშირეობის საკითხი სულაც არ აწუხებდა, იგი საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობდა; ხოლო ერეკლე მისი (ტოტლებენის) მორალისა და თვალსაზრისის მიხედვით დამსახურებულ სასჯელს მიიღებდა, რადგან მან შეცდომაში შეიყვანა გენერალი და საიმპერატორო კარიც იმით, რომ ახალციხის წინააღმდეგ აქციაში ჩაითრია და შეპირებულზე გაცილებით ნაკლები ძალები გამოიყვანა.

ახალციხის ოპერაცია ჩაიშალა. ასპინძასთან გამარჯვებამ ქართველებს სავარაუდო ნადავლისა და მორალური სიამაყის გარდა ვერაფერი სარგებელი მოუტანა, ხოლო ტოტლებენი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გააღიზიანა. მისი ერეკლეს წინააღმდეგ ამხედრება ადრევე დაწყებული იყო. ახლა ეს გრძნობა მას კიდევ უფრო გაუმწვავდა. მაგრამ ერეკლეს საწინააღმდეგო მის მოქმედებას, რაზედაც ქვევით იქნება საუბარი, მარტო მისი გრძნობები არ განსაზღვრავდა.

ტოტლებენს, როგორც ითქვა, საომარი ოპერაციების ცენტრში მიღებული გეგმიდან გადახვევის ბრალდებაზე პასუხისგება მოელოდა. ამ ბრალდების მოხსნა მას მხოლოდ ქართლ-კახეთის მეფესთან დაპირისპირებით შეეძლო. ცხადია, ამასობაში იგი ცენტრს სათანადო ინფორმაციებს აწვდიდა: მისი მდივნის — დეგრალის განცხადებით ტოტლებენი მას ერეკლეს საწინააღმდეგო ყალბ წერილებს აწერინებდა. ამ კორესპონდენციებმა, როგორც აღინიშნა, პეტერბურგში სათანადო შთაბეჭდილება მოახდინეს, საიმპერატორო კარი ქართლ-კახეთის მეფის საწინააღმდეგოდ განაწყეს და მისი დასჯის აუცილებლობაში დაარწმუნეს. სასჯელის ფორმა კი ტოტლებენს უნდა გადაეწყვიტა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებისა და სარგებლობის შესაბამისად.

დაინტერესებულმა პირებმა რომ მართლაც მოახერხეს საიმპერატორო კარის ერეკლეს წინააღმდეგ განწყობა, აშკარად ჩანს იმ დამოკიდებულებიდან, რომელიც ასპინძასთან ქართველთა გამარჯვებაზე პეტერბურგში გამოამჟღავნეს. აქ ერეკლეს ბრწყინვალე წარმატება ზომაზე მეტად ცივად იქნა მიღებული. ერეკლე იმედოვნებდა, რომ აღნიშნული გამარჯვების შემდეგ, საგანგებო ელჩობის ხელით ნადავლი

---

[36] ვ. მაჭარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

დროშებისა და ტყვეების გაგზავნით იმპერატრიცის მადლობასა და წყალობას დაიმსახურებდა, მაგრამ საიმპერატორო კარმა მას ამის შესახებ პასუხიც კი არ აღირსა. რაც იმის ნიშანი იყო, რომ მას საქციელი არ მოუწონეს და რუსეთის პოლიტიკის მესვეურები მას შემოსწყრნენ.

ქართლ-კახეთის მეფეს ცარიზმის ხელისუფლებასთან ურთიერთობა გაურთულდა. ამან თავადური ოპოზიციის გამოცოცხლება გამოიწვია და, რაც მთავარია, შექმნილ ვითარებაში გამოიკვეთა, გამქრავნდა მისი დამოკიდებულება და მიზნები ქართლ-კახეთის სამეფოს შემდეგ ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ქართული გაერთიანების — იმერეთის სამეფოსადმი.

7. საქართველოს სამეფო-სამთავროები 1708—1774 წწ. ომის პერიოდში

ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის იმისა, რომ უზარმაზარ, მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოებსა და იმპერიებს ათეული წლების მანძილზე სუსტი, უნებისყოფო, ამორალური ან გონებაჩლუნგი მეფეები თუ იმპერატორები განაგებდნენ. საქართველოში კი ისე მოხდა, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ორი დიდი პიროვნება, ბრწყინვალე პოლიტიკოსი, შეუპოვარი მებრძოლი და ნიჭიერი სარდალი მეფობდა: აღმოსავლეთში — ერეკლე II, დასავლეთში (იმერეთში) — სოლომონ I. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ თითოეული მათგანი გაცილებით დიდი მასშტაბისა და გაქანების მოღვაწე იყო, ვიდრე ისტორიულმა პირობებმა მათ არგუნა. ორივე მეფე თავდაუზოგავად ემსახურებოდა პროგრესის საქმეს, — ქვეყნის „აღდგომისა“ და „გამოხსნის“ საქმეს და ორივე დარწმუნებული იყო, და გარკვეულად მათ ამის საფუძველიც ჰქონდათ, რომ ამ მიმართულებით მათი გეგმა უფრო სწორი და მისაღები იყო. ამან განსაზღვრა მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი. ისინი ერთდროულად ურთიერთის მოკავშირეებიც იყვნენ და მოწინააღმდეგენიც, მტრებიც და მოკეთენიც. თითოეულ მათგანს ერთი მიზანი ამოძრავებდა — საქართველო მტრისაგან თავდახსნილი, ძლიერი და ერთიანი ეხილა და ორივე ისე თავდაუზოგავად მიისწრაფოდა ამ დიდი მიზნისაკენ, რომ ხშირად ერთმანეთს ხელსაც უშლიდნენ. მათ მეტად რთულ და ძნელ პირობებში მოუხდათ მოღვაწეობა და ამან განსაზღვრა მათი ურთიერთდამოკიდებულების სირთულეც. ამ დამოკიდებულებამ გარკვეული დაღი დაამჩნია განსახილველი ხანის ქვეყნის ისტორიას და მისი საბოლოო ბედის გადაწყვეტაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

სოლომონ I იმერეთში მაშინ გამეფდა (1752 წ.), როცა თეიმურაზსა და ერეკლეს, საქართველოს გაერთიანების პროგრამა სავარაუდოა, უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდათ და მის პირველ ეტაპს (ქართლ-კახეთის გაერთიანებას) ახორციელებდნენ. ქართლ-კახეთის მეფეებს თავგანწირული ბრძოლა უხდებოდათ მაჰმადიანური მეზობლებისა თუ ურჩი შინაფეოდალების წინააღმდეგ ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის განსამტკიცებლად და ამიერკავკასიაში წამყვანი

პოზიციის დასამკვიდრებლად. მიუხედავად ამისა ისინი გამახვილებული ყურადღებით ადევნებდნენ თვალს დასავლეთ საქართველოს ვითარებასაც და თუმცა ფორმალურად ეს რეგიონი სხვა პოლიტიკურ სფეროში იყო მოქცეული (ოსმალეთის გავლენაში ითვლებოდა), მაინც ცდილობდნენ მის მიმართ ერთგვარი მფარველის, არბიტრისა და შუამავლის როლი შეესრულებინათ. თავის მხრივ, ხედავდნენ რა ქართლ-კახეთის სამეფოს ძალასა და ავტორიტეტს, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები თუ ფეოდალები ურთიერთდამოკიდებულებაში სიამოვნებით ანიჭებდნენ მათ ამგვარ უფლებას.

ქვეყნის „გამოხსნისა" და „აღდგომის" ჩამოყალიბებული პროგრამა თეიმურაზსა და ერეკლეს დასავლეთ საქართველოსადმი დამოკიდებულების ხასიათს კარნახობდა რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ გაეფართოებინათ რეგიონში ქართლ-კახეთის მეფეთა გავლენა და ავტორიტეტი, არ დაეშვათ რომელიმე ადგილობრივი პოლიტიკური ერთეულის (უპირატესად იმერეთის სამეფოს) აშკარა გაძლიერება და აღეკვეთათ მისი გამაერთიანებელი წამოწყებები; შეენარჩუნებინათ ძალთა თანასწორობა და ხელი შეეშალათ აქ გარეშე ძალის (ძირითადად თურქეთის) სრული გაბატონებისათვის, ე. ი. წაექეზებინათ ანტითურქული მოძრაობა. ეს ამოცანები განსაზღვრავდა იმერეთის სამეფოსთან ერეკლე II-ის ურთიერთობის გაორებულ ხასიათს განსახილველ ხანაშიც. ერთი მხრივ, იგი მხარს უჭერდა დასავლეთ საქართველოს მთავრებისა თუ დიდი ფეოდალების ცენტრიდანულ მისწრაფებებს, რაც სოლომონ I-ის გამაერთიანებელ პოლიტიკას უპირისპირდებოდა, მეორე მხრივ, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ამ უკანასკნელს თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში. საერთო სიტუაციის ცვალებადობისა და თვით იმერეთის მეფის პოლიტიკური მდგომარეობის ცვლის შესაბამისად ეს პოლიტიკაც იცვლებოდა.

აღვნიშნეთ, რომ გამეფების პირველ ხანებშივე იმერეთში სოლომონის წინააღმდეგ ძლიერი ოპოზიცია შეიქმნა. მასში მონაწილეობდნენ გურიის მთავარი მამია IV, რაჭის ერისთავი როსტომი, როსტომის ძმა, აფხაზ-იმერთა კათალიკოსი ბესარიონი და სხვა ძლიერი ფეოდალები. სოლომონი ტახტიდან ჩამოაგდეს. ახალგაზრდა მეფემ დიდი დიპლომატიური ნიჭი გამოიჩინა, ოპოზიციონერთა წინააღმდეგ ახალციხის ფაშას დაუკავშირდა და ტახტი დაიბრუნა. ახლა მას შეეძლო მტრებს გასწორებოდა. პირველ რიგში მან მამია გურიელს სამ-

თავრო ჩამოართვა და მის ძმას გიორგის გადასცა[1]. მამია გურიელმა თავი შეაფარა რაჭის ერისთავს, რომელიც რაჭის მთებში ჩაკეტილიყო და წინააღმდეგობას განაგრძობდა[2]. ოპოზიციონერები შეშფოთდნენ და დახმარებისათვის ქართლ-კახეთს მიადგნენ. „ქორონიკონსა უმდ (1756 წ.) ...მოვიდა გურიელის ბიძა შემოქმედელ ეპისკოპოსი, შემოეხვეწა მეფეთა ჩვენთა შველად გურიელისად. ჩამოსდგომოდნენ ურუმნი და მეფე იმერეთისა სოლომონ, გარდმოეგდოთ გურიელი მაშია, დაესვათ უმცირესი ძმა გურიელისა, უწყრებოდა ფაშა ახალციხისა და თუ ხელთ ეგდო, გურიელს სიკვდილსაც უპირებდა“. ახალციხის ფაშასთან საშუამდგომლოდ მეფეებს ელიზბარ თაქთაქიშვილი და პაპუნა გაბაშვილი გაუგზავნიათ წერილით; „რა მივიდნენ მოციქულნი შეიწყნარა ფაშამ ბრძანება (!) ქართველ ბატონისა, მოსწერა ფიცი გურიელისა მოუკლელობისათვის: „რომელიც თქვენი ნება იყოსო, ჩვენ თქვენის სიტყვის წინააღმდეგობა არ შეგვიძლიაო“[3].

როგორც აღინიშნა, გურიელი რაჭის ერისთავთან იყო შეფარებული. ფაშასაგან დადებითი პასუხი მოუვიდა თუ არა, სასწრაფოდ იმერეთის კათალიკოსის ბესარიონისა და დიდი ამალის თანხლებით ქართლისაკენ გამოეშურა. მეფეებმა იგი დიდი პატივით მიიღეს, ანადიმეს, ანადირეს, დაასაჩუქრეს, შემდეგ კი სახლთუხუცესი კონსტანტინე მუხრანბატონი გაატანეს და ფაშასთან შესარიგებლად ახალციხეს გაისტუმრეს. ამრიგად, სოლომონის სურვილის საწინააღმდეგოდ მამია გურიელმა ტახტი დაიბრუნა.

გურიელის ტახტზე აღდგენის საკითხში იმერეთის მეფეს უკმაყოფილება არ გამოუმჟღავნებია. 1758 წელს კი სოლომონ I-მა, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ გორში მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადეს: „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველნეთო“. მაგრამ როცა ამ ამბის შემდეგ ჩქარა იმერეთში ხუნძახის ბატონი შეიჭრა ლაშქრით, ქუთაისი დაიკავა და ქვეყანა ააოხრა, სოლომონმა რატომღაც ქართლ-კახეთის მეფეებისთვის დახმარების თხოვნა არ ისურვა[4].

თავისი პროგრესული პოლიტიკით თურქეთისადმი დაპირისპირებულ სოლომონს კარგად ესმოდა, რომ იმჯერად ქართლ-კახეთი რე-

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 636.

2 პ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. აშბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 237—238.

3 იქვე, გვ. 238.

4 იქვე, გვ. 246.

ალტრად ერთადერთი პოლიტიკური ერთეული იყო, საიდანაც მას მეტ-ნაკლებად ეფექტიანი დახმარების მიღება შეეძლო, ამის გამო იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა ქართლ-კახეთის მეფეებისათვის ერთგულება და მასთან კავშირის სარგებლიანობა დაემტკიცებინა. იგი სრული მზადყოფნით პასუხობდა ერეკლესა და თეიმურაზის ყველა თხოვნაზე. იმერელი მეომრები ხშირად ჩანან ქართლის ტერიტორიაზე შემოჭრილი ლეკებისა თუ ახალციხელების წინააღმდეგ მებრძოლებად. 1759 წელს, ატოცთან ლეკების წინააღმდეგ ომში, სოლომონი აქტიურად მიეშველა ერეკლეს. კიდევ უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა მისი დახმარება 1760 წელს, განჯის ლაშქრობის დროს[5]. ქართლ-კახეთიდან კი საპასუხო ღონისძიებები ფერხდებოდა.

რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში დასაზვერად გამოგზავნილი მანგოვის ცნობით თურქეთის მიმართ იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოების განსხვავებული ურთიერთობა მათ დამოკიდებულებას ართულებს. სოლომონი თურქეთს ებრძვის, ერეკლეს კი მის მტრებთან მშვიდობიანი ურთიერთობა აქვს და ამას უფრთხილდება. ამიტომ იგი მოკავშირეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში სამხედრო დახმარებაზე უარს ეუბნება. სამაგიეროდ, შერიგების თაობაზე შუამავლობას სთავაზობს[6].

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ერეკლემ იმერეთისადმი ერთგვარი ლოიალური დამოკიდებულება გარკვეულად შეცვალა. ყოველ შემთხვევაში, 1762 წლიდან მოკიდებული მისი ურთიერთობა იმერეთის მეფესთან აშკარად გაცივდა. მართალია, 1765 წელს მან უარი უთხრა ახალციხის ფაშას იმერეთის დასასჯელად წამოსული ლაშქრის ქართლის ტერიტორიაზე გატარებაზე, ხოლო 1766 წელს სულთნის კარზე იშუამდგომლა, რის შედეგადაც პორტა დათანხმდა იმერეთზე ტრადიციულად შეწერილი ყოველწლიური ხარკი 60 გოგონა არაქართველები ყოფილიყვნენ. მაგრამ, როგორც გამოირკვა, სოლომონს აღებული შუამდგომლობა მაინცდამაინც სასიამოვნოდ არ დარჩენია. ყოველ შემთხვევაში, მან უარი განაცხადა შეესრულებია იგი. როგორც რუსეთის კარზე იმერეთის ელჩი მიტროპოლიტი მაქსიმე 1768 წელს განმარტავდა, სო-

---

[5] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 414; ო. სოსელია. რაჭის ერისთავთა სათავადო (ცრებული: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ. 1970, გვ. 54).

[6] ვ. მაჭარაძე, მასალები... გვ. 557,

ლომონს ერეკლესათვის პორტასთან ამგვარი შეთანხმების სანქცია არ მიუცია[7].

როგორც ითქვა, 60-იანი წლების მეორე ნახევარში სოლომონი პორტას წინააღმდეგ აშკარა საომარ მდგომარეობაში იყო. ერეკლე ოფიციალურად ამ საქმეში არ ერეოდა (იგულისხმება რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე), მაგრამ, როგორც ჩანს, გარკვეულ მორალურ თუ ფაქტიურ მხარდაჭერას იმერეთის მეფე ქართლ-კახეთის მხრიდან მაინც გრძნობდა, თუმცა საბუთები არაფერს ამბობდნენ იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატებოდა ეს დახმარება.

რაც შეეხება, თავადურ ოპოზიციას, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა სოლომონმა გამეფებისთანავე წამოიწყო, აქ ერეკლე უკეთეს შემთხვევაში ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, თუმცა მთელი მისი საქციელი იმას მიგვანიშნებს, რომ მისი სიმპათიები ამ ბრძოლაში ოპოზიციის მხარეზე იყო. ერეკლემ არათუ რაიმე დახმარება გაუწია მოკავშირეს, როცა იგი 1766 წელს შემოჭრილმა თურქთა რაზმებმა და განმდგარმა თავადებმა დროებით ტახტიდან ჩამოაგდეს, არამედ ტახტი რომ დაიბრუნა და განმდგარი თავადების დასჯა დაიწყო, შეფარვით ამის წინააღმდეგ მოქმედებდა.

მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლად გაართვა თავი საშინაო სირთულეებს, სოლომონი უწინდებურად დიდ ანგარიშს აღარ უწევდა ქართლ-კახეთის მეფეს. მათ შორის ურთიერთობა თანდათან მწვავდებოდა. იმერეთში განსაკუთრებული პატივით მიიღეს პაატა ბატონიშვილის შეთქმულების მონაწილე, თბილისიდან გამოქცეული ალექსანდრე ამილახვარი. მას ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინეს, სარეკომენდაციო ბარათები გაატანეს და მისი სურვილისამებრ ჩერქეზეთში გაისტუმრეს. სოლომონმა კარგად იცოდა, და ეს მისთვის არც ალექსანდრე ამილახვარს დაუფარავს, რომ იგი ჩერქეზეთში იმისათვის მიდიოდა, რომ ერეკლეს საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩაბმულიყო[8].

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ როცა სოლომონმა ტახტი დაიბრუნა, განმდგარი თავადების დასჯას შეუდგა და იმერეთის ოპოზიციის ლიდერ როსტომ რაჭის ერისთავზე გადამწყვეტი შეტევა დაიწყო, ამ უკანასკნელმა დახმარებისათვის ერეკლეს მიმართა. ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ერეკლეს მისთვის არავითარი დახმარება

---

[7] А. Цагарели. Грамоты..., т. I, с. 16.

[8] ა. ამილახვარი. გეორგიანული ისტორია.., მნათობი, 1939, № 8, გვ. 154.

არ გაუწევიათ[9]. საბუთებში ამაზე არაფერია ნათქვამი, ასე რომ ძნელია დაბეჯითებით იმის მტკიცება დაეხმარა თუ არა ქართლ-კახეთის მეფე რაჭის ერისთავს, მაგრამ თვით დახმარების თხოვნის ფაქტი იმას მოწმობს, რომ მთხოვნელს დადებითი პასუხის რაღაც შანსი უნდა ჰქონოდა. ამავე დროს, ვიცით, რომ რაჭის ერისთავის წინააღმდეგ სოლომონმა ლეკთა რაზმი გამოიყენა. იმერეთიდან გამობრუნებულ ლეკებს კრეკლემ იორში გასასვლელი გზები შეუკრა, უდაბნოს თავს ჩაუსაფრდა და გაანადგურა. წყაროების ცნობით, ამ ბრძოლაში 300 ლეკი დაიხოცა, ბევი დაატყვევეს[10]. ეს აქცია სოლომონის ინტერესების საწინააღმდეგოდ იქნა გაგებული. ყოველ შემთხვევაში, ერეკლეს რაზმში მყოფმა იოსებ ემინმა ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღო, რადგან მიაჩნდა, რომ სოლომონის მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლა იმერეთის მეფის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება იყო[11]...

ერთი სიტყვით, ერეკლესა და სოლომონს შორის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული ჩანს იმ პერიოდში, როცა ისინი რუსეთ-თურქეთის ომში ებმებოდნენ. ეს არ იყო ორი ძლიერი პიროვნების ამბიციებიდან გამომდინარე წვრილმანი უსიამოვნება და კინკლაობა როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ერეკლეცა და სოლომონიც დიდი მასშტაბის ადამიანები იყვნენ და მათ არ გაუჭირდებოდათ პირადი წყენა და წვრილმანი უსიამოვნება ისე ჩაეხშოთ, რომ იგი საგარეო პოლიტიკაზე არ გამოეტანათ. როგორც ჩანს, აქ პრინციპული მნიშვნელობის დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე.

ერეკლე II მისი დიდი პაპის ვახტანგ VI-ის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო. მას შემდეგ, რაც მან ქართლ-კახეთის გაერთიანება შეძლო, ამიერკავკასიაში უდიდესი და უძლიერესი პოლიტიკური გაერთიანების მეთაურობას მიაღწია, ხოლო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფორმალურ მფლობელთან — ირანთან ურთიერთობა [illegible] უკანასკნელმა მისი ფაქტიური დამოუკიდებლობა და [illegible] აზრით, ირანის გავლენის სფეროში მოქცეული ამიერკავკასიის ნაწილის ლიდერობა აღიარა. ერეკლეს უკვე შეეძლო [illegible] სა“ და „გამოხსნის“ პროგრამის შემდგომი ეტაპის განხორციელებაზე ეზრუნა.

---

[9] ო. სოსელია. დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

[10] თ. ჟორდანია. ქრონიკები... III, გვ. 296.

[11] А. Иоаннисян. Иосиф Этиц, Ереван, 1945, с. 250.

ქართლ-კახეთის მეფე ბრწყინვალედ ერკვეოდა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკისა და დიპლომატიის საკითხებში. იგი ხედავდა, რომ ოტომანთა პორტას სიძლიერე დღითი დღე ქრებოდა. მის მფლობელობაში მყოფი ქრისტიანი ხალხები (სომხები, ასირიელები) ეროვნული განთავისუფლების ბრძოლებისათვის ემზადებოდნენ. ამ ბრძოლაში მათ ქართლ-კახეთის მეფისაკენ ეჭირათ თვალი და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. თანამედროვეთა რწმუნებით, საკმარისი იყო ერეკლეს ერთი დაძახება, რომ თურქეთის იმპერიის მრავალრიცხოვან სომხურ და ასირიულ მოსახლეობას ანტითურქული აჯანყების დროშა აეფრიალებინა[12]. ერეკლეს ამგვარი ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო (თუმცა მას ამას ბევრი ურჩევდა და თხოვდა), ვიდრე საქართველოს არ გააერთიანებდა. მხოლოდ ერთიან საქართველოს შეეძლო დაპირისპირებოდა თუნდაც დასუსტებულ თურქეთს. მაგრამ საქართველოს გაერთიანება მას ძმათა შორის სისხლისღვრის თავიდან აცილებით უნდა განეხორციელებინა, ან ამის საშიშროება მინიმუმამდე დაეყვანა. ამიტომ, ამ საქმეში უცხო ხელის ჩარევა გონივრულიც იყო და მისაღებიც.

ახლა ძნელია იმის გარკვევა, თუ რა აზრები უტრიალებდა თავში ქართლ-კახეთის სახელოვან მეფეს, რა გეგმებს აწყობდა და პრაქტიკულად როგორ აპირებდა ამ დიდი პრობლემის გადაწყვეტას, მაგრამ ასეთი გეგმები მას რომ ჰქონდა, ეს დღეს თითქოს საეჭვო არ უნდა იყოს. ალ. ორბელიანის ერთ ცნობაზე დაყრდნობით, გ. ლეონიძე აღნიშნავდა, რომ „საქართველოს გაერთიანებისა და ერთმთავრობის მიზნით ერეკლეს გადაწყვეტილი ჰქონდა იმერეთის შემოერთება და სოლომონ მეფის მაგიერ იმერეთის მეფედ თავისი ნიჭიერი შვილის ლევანის დანიშვნა“[13]. ალ. ორბელიანის ცნობები საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვან წყაროდ ვერ ჩაითვლება. ბევრი მათგანი დამატებითი შემოწმებისა და შეჯერების გარეშე სახიფათო გამოსაყენებელია, მაგრამ 60-იანი წლების საქართველოს მთელი ისტორიული სიტუაცია გვიკარნახებს, რომ ამ ცნობას გარკვეული საფუძველი აქვს. ამიტომ, ერეკლეს ქორწინება სამეგრელოს მთავრის დაზე, ერეკლეს დის — ელენეს (რომელიც მან ამილახვარს წაართვა) ქორწინება კაცია დადიანზე; მისი დამოკიდებულების ხასიათი დადიანთან, გურიელთან, რაჭის ერისთავთან და სხვა ღონისძიებები ამ დიდი გეგმის განხორ-

---

12 А. Иоаннисян. Иосиф Этнн, Ереван, 1945, с. 147, 149, 241—242.

13 გ. ლეონიძე. გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 370.

ციელებიწ გზაზე გადადგმულ ნაბიჯებად მოჩანს. ქართლ-კახეთის მეფე მეთოდურად აძლიერებდა თავის გავლენას დასავლეთ საქართველოზე და ასევე მეთოდურად აბრკოლებდა სოლომონ I-ის მისწრაფებას — მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებასა და მის მფლობელობაში მოქცევას რომ გულისხმობდა.

ერეკლესა და დადიანის კავშირი და სოლომონის ინტერესების საწინააღმდეგო ხასიათი არც რუსეთის ხელისუფლებისათვის დარჩენილა შეუმჩნეველი. ნ. ი. პანინის გვიანდელ, 1772 წლის წერილში ლვოვისადმი აღნიშნულია: „ისე ჰგვავს, ერეკლე და დადიანი თითქმის ესწრაფვიან, რომ სოლომონს მთლიანად ჩამოართვან სამფლობელო“[14].

რამდენადაც პროგრესული არ უნდა იყოს სოლომონ I-ის მეფობა იმერეთში და რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს მისი მართლაც თავდაუზოგავი ბრძოლის მნიშვნელობა ქვეყნის „გამოხსნისა“ და ქართველობის გადარჩენის საქმეში, ერეკლეს გეგმა მაინც უფრო პროგრესული იყო, რადგან საქართველოს მხოლოდ გაერთიანება გადაარჩენდა. ცხადია, ასევე პროგრესული და მისასალმებელი იქნებოდა საქართველოს გაერთიანება, ვთქვათ, იმერეთის სამეფოს რომ ეთავა, მაგრამ მას, ჩანს საამისოდ ძალა ნაკლები ჰქონდა, სურვილი კი ვინ იცის... საგულისხმოა იმავე ალ. ორბელიანის ცნობა: „მეფე ირაკლის, იმერთა დიდი მეფის სოლომონის გადაგდება განეძრახა, იმერეთის და ქართლ-კახეთის შესაერთებლად. მეფე სოლომონს ეს ამბავი შეეტყო და შემოუთვლია: მეფე ირაკლიო, შენ გინდა ხლინკი გამიკეთო და მე უფრო ადრე მოგვერდზე წამოგიყვანო“[15]. ამ ფამილარული და ერთგვარად ანეკდოტური ცნობის უკან არ შეიძლება, რაღაც სერიოზული ამბავი არ დავინახოთ. არ შეიძლება არ გავიხსენოთ საინტერესო ცნობაც, რომელსაც იესე ოსეს ძე ბარათაშვილი გვაწვდის თავის ცნობილ „ცხოვრება-ანდერძში“: ზაალ ორბელიანს ქართლ-კახეთის მეფემ ორგულობა შეამჩნია და გაუწყრა, ორბელიანი ახალციხეში გაიქცა „ახალციხიდამ ჩამოვიდა. წარუდგნენ პირს, დაიჭირეს, თვითონც ხელით წერილი ასე მოსცათ: — „მართალია, ბაკუნინს უთხარო ჩვენი ქვეყნის შებრალებაო. იმან მითხრა: — არ იცი, ხელმწიფე მეფეს ერეკლეს უწყრებაო? — მერე მე უთხარი: — თუ მეფეს ერეკლეს უწყრება, ან რუსს ვისმე უბოძის ქვეყანა და ან მეფეს სოლომონსაო“[16]. როგორც ვხე-

---

[14] А. Цагарели. Грамоты... т. I, с. 342.

[15] გ. ლეონიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 370, შენ. 1.

[16] იესე ბართაშვილის ცხოვრება-ანდერძი, 1950, ნაკვ. 28, გვ. 67.

დავთ, ქართული საზოგადოებრივი აზრისათვის იმერეთის სამეფოს მეთაურობით, საქართველოს გაერთიანების შესაძლებლობა უჩვეულოდ საოცარი და გაუგონარი რამ სულაც არ ყოფილა. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, ერეკლეს პოლიტიკით უკმაყოფილო ქართლის თავადებში არაერთი ისეთიც მოიძებნებოდა, რომლისთვისაც ამგვარი შესაძლებლობა მისაღები და სასურველი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, სოლომონი რუსეთ-თურქეთის ომისა და მის წინა პერიოდში ერეკლეს მარტო მოკავშირე კი არ ყოფილა, არამედ მეტოქეცა და მოწინააღმდეგეც.

თუ ამ დებულებას მივიღებთ, მაშინ შესაძლებლობა გვექნება მათ საქციელს, მოქმედებასა და ინტერესებს ამ ომის პერიოდში სხვა თვალით შევხედოთ და შეიძლება ზოგი ბუნდოვანი რამ უფრო ნათელიც გახდეს.

როგორც აღნიშნული იყო, 1769 წლის 21 მაისიდან 4 ივნისამდე იმერეთის მეფე თბილისში იმყოფებოდა და უნდა ვიფიქროთ, მეფეები და დიდებულები რუსეთ-თურქეთის ომში მათი მონაწილეობის საკითხს დეტალურად არჩევდნენ. მართალია, იმავე წლის ხუთ ივნისს გაგზავნილი წერილით ერეკლე რუსეთში ატყობინებდა, მე და სოლომონი ერთმანეთს შევხვდით და ფიცი მივეცით, რომ იმ სიყვარულსა და ერთგულებას, რომელიც ჩვენს შორის ადრეც იყო, განვამტკიცებთ ყოვლად მოწყალე იმპერატორის სამსახურად და მართლმადიდებლური სარწმუნოებისათვისო და ა. შ.[17], მაგრამ მეფეებმა, როგორც ჩანს, სრულ შეთანხმებას მაინც ვერ მიაღწიეს. გაურკვეველი დარჩა ახალციხის საკითხი, პირველი დარტყმის მიმართულების საკითხი, არ იყო ერთსულოვნება (უფრო ზუსტად სერიოზული წინააღმდეგობა იყო) დადიანისადმი დამოკიდებულების საკითხშიც.

როგორც ითქვა, დადიანი დასავლეთ საქართველოში ერეკლე II-ის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი იყო. სოლომონის პოლიტიკა კი მის მოსპობას გულისხმობდა. ვინაიდან თავიდანვე რუსეთის დიპლომატიას ძირითადი აქცენტი სოლომონზე ჰქონდა გადატანილი, არ იყო გამორიცხული, რომ რუსეთი დადიანის საკითხში იმერეთის მეფეს დაუჭერდა მხარს. ამიტომ ქართლ-კახეთის პოლიტიკოსები მოხერხებულ მანევრს მიმართავენ და ცდილობენ აღნიშნულ წამოწყებაში რუსეთის მოკავშირედ სამეგრელოს სამთავროს დამოუკი-

---

[17] А. Цагарели. Грамоты...т. I, с. 425.

დებლად ჩაბმას[18]. სოლომონს ამგვარი სვლა წინასწარ გაუთვალისწინებია და მის ბლოკირებას ცდილობდა, თანაც ისე, რომ ეს მისი შეფიცული მოკავშირისაგან ფარულად განეხორციელებინა. იმერეთის ელჩს რუსეთში საიდუმლო საუბარში განუცხადებია: „სამეგრელოსა და თაკვერის მეპატრონის დადიანის წერილები და ელჩები უმაღლეს კარზე მიღებული ნუ იქნება და რადგან ეს დადიანი მეფე ერეკლეს სიძეა, ჩემგან განსაკუთრებით საიდუმლოდ გიცხადებთ, რომ მეფე ერეკლესთან, მისი შეკითხვის გარეშე, ამ საკითხზე საუბარი არ აწარმოოთ“[19]. ამავე დროს, იმერეთის წარმომადგენელი სოლომონის სახელით ითხოვდა, რომ „მთავრები ახალციხის, დადიანი და აფხაზეთისა მის მორჩილებაში იყვნენ და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელით მათზე ძალაუფლების დიპლომი მიეცეს“[20]. მალე პოტაპოვმა მართლაც მიიღო დადიანის წერილი, სადაც იგი თურქეთის საწინააღმდეგო მოქმედებას თავაზობდა და საქმეში მისი მონაწილეობის სარგებლობასაც ასაბუთებდა: ჩემი სამფლობელოდან შავი ზღვის სანაპიროებზე შეტევის განხორციელება ადვილი და მოსახერხებელიაო[21]. ცხადია, რუსეთის დიპლომატიას თავისი ინტერესები ჰქონდა და სოლომონს იმდენად უჭერდა მხარს, რამდენადაც მისი პოლიტიკა ამ ინტერესებს ეთანხმებოდა, ამ შემთხვევაში კი დადიანისათვის ხელის კვრა საზიანოდ მოჩანდა. რუსეთის ხელისუფალთა ამგვარი პოზიცია ნათლად ჩანს იმ რესკრიპტში, რომელიც ასტრახანის გუბერნატორს პოტაპოვს ცენტრიდან გამოუგზავნეს იმის თაობაზე, როგორ უნდა მოქცეულიყო იგი იმ შემთხვევაში, თუ დადიანი ელჩებს გამოგზავნიდა და თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობას შესთავაზებდა. ნიშანდობლივია, რომ რესკრიპტის ავტორს შესანიშნავად ესმოდა, რომ დადიანი მისი ამგვარი ნაბიჯის საფასურად სოლომონისაგან დამოუკიდებლობის აღიარებასა და განმტკიცებას მოითხოვდა: „იმერეთის მეფის მცდელობა, რომ სამეგრელოს მფლობელს დადიანს უფლება არ მიეცეს უშუალო კორესპონდენციები იქონიოს ჩვენს კართან. მიზნად აქვს სოლომონის პირადი სარგებელი, მაგრამ ოტომანთა პორტასთან ეხლანდელი ომის ვითარებაში არაფერს არ გვპირდება; პირიქით, დადიანი ამისთვის შემოდის ურთიერთობაში და სურს, რომ ამ ომში გამო-

---

[18] А. Цагарели. Грамоты... т. II, с. 245.
[19] იქვე, ტ. I, გვ. 93.
[20] იქვე.
[21] იქვე, გვ. 68, 425.

ყენებულ იქნას; მოსალოდნელია, რომ ამასთან ერთად იგი შეეცდება ჩვენი მხრივ ითხოვოს, რათა თავი დაიხსნას იმერეთის მეფის მოძალებისაგან", მაგრამ ვინაიდან მისი გამოყენება ამჟამად რუსეთისათვის სახარგებლოა და სხვ. „ეხლა საჭიროა ჩვენ იგი დავაკმაყოფილოთ იმით, რომ მისგან გამოგზავნილნი დაშვებულ იქნას ჩვენს კარზე"[22].

როგორც ითქვა, საქართველოში პირველად შემოსულ ტოტლებენს, რომელიც ქართლის გავლით იმერეთში უნდა წასულიყო, ხოდასთან ერეკლე დიდი ამალით შეეგება. ტოტლებენი კარგა ხანს შეჩერდა აქ. მეფესთან მას ორი ოფიციალური და არაერთი არაოფიციალური შეხვედრა ჰქონდა. ამ შეხვედრების დროს ერეკლე თუმცა არწმუნებდა გენერალს, რომ იგი მზადაა მის მეგობარსა და მოკავშირეს სოლომონს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს, მაგრამ ამავე დროს, ამ ხანებში რუსთა ბანაკში მოდიოდა ხმები იმის შესახებ, რომ სოლომონი მეტად სუსტია, მას საშუალება არა აქვს ჯარი სურსათით მოამარაგოს, რომ ერეკლეს გარეშე მას არაფრის გაკეთება არ შეუძლია და ა. შ.[23] ცხადია, ეს ხმები სოლომონის საპირისპიროდ მისი მტრების მიერ ვრცელდებოდა, ხოლო 2 სექტემბერს მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ „სოლომონის უერთგულესი და ყველაზე საიმედო თავადები წერეთელი და იაშვილი მთავარმა დადიანმა სტუმრად მიიწვია და ვერაგულად დახოცა". ამ ცნობაში უჩვეულო თითქოს არაფერია, რადგან ფეოდალიზმის ეპოქაში ამგვარი ამბით ვერავის გააკვირვებდი. დადიანი სოლომონის მტერი იყო და მას რითაც შეეძლო მტრობდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ დადიანის ამ საქციელისათვის სოლომონი პასუხს ერეკლეს სთხოვდა[24].

უკვე ითქვა, და საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ ტოტლებენის იმერეთში ჩასვლა და იქედან გამობრუნება ხოდასთან შეხვედრისას დაიგეგმა. გენერლის ამ საქციელს და მით უმეტეს ერეკლეს მცდელობას არ შეეძლო სოლომონის აღშფოთება არ გამოეწვია. რუსის ჯარი საქართველოში მის დასახმარებლად შემოვიდა, გენერალმა კი მეფე კრიტიკულ მომენტში მიატოვა. იმერეთის მეფეს ამ აქციაში მაშინვე შეუმჩნევია ერეკლეს ხელი. მოგვიანებით ამის თაობაზე ერეკლეს საიმპერატორო კართან თავის მართლება მოუხდა. პანინისადმი 1770 წლის

---

[22] А. Цагарели. Грамоты... т. I, с. 67—68.

[23] იქვე, გვ. 65.

[24] იქვე.

5 ოქტომბერს მიწერილ წერილში იგი აღნიშნავდა: „გასულ წელს, როცა გრაფი ტოტლებენი იმერეთიდან ჩვენთან გამობრუნდა, სოლომონმა მაშინვე ჩვენთან თავისი ძმა — კათალიკოსი და ერთ-ერთი მისი ერთგული თავადი გამოაგზავნა აღშფოთებული დანაბარებით, თითქოს ჩვენ გრაფი ტოტლებენი ამაზე დიდი საჩუქრებით დავითანხმეთ". მართალია, ერეკლე ადრესატს არწმუნებდა „ჰეშმარიტად სოლომონმა ჩვენ ეს ტყუილად დაგვაბრალაო", მაგრამ ფაქტი ის არის, რომ გენერლის ამ მოქმედებაში ერეკლეს მონაწილეობას ვერ ფარავს არაერთი ქართული წყარო, მათ კი ერეკლეს საწინააღმდეგო განწყობილებაში ვერაფრით დავდებთ ბრალს, თუნდაც იმიტომ რომ ზოგიერთი მათგანის ავტორი მისი შვილიშვილები არიან: „ხოლო მეფე სოლომონ ევედრა კარსა რუსეთისასა, რათა მოსცენ მხედრობა შესაწევნელად და მოვიდა გრაფ ტოტლებენი... მხედრობითა რუსთათა... ჰსცნა რა მეფე-მან ირაკლიმ მიეგება კოპს, შეითქვნენ მეფე და ტოტლებენი, რომელიცა არღა-რა წარვიდა იმერეთად. არამედ წარვიდენ ორივ ახალციხესა ზედა"[25] („შედეგი ქახეთის ცხოვრებისა"). ამაკე აზრს ატარებს დავით ბატონიშვილიც[26].

როგორც ვხედავთ, სოლომონს საქმარისზე მეტი საფუძველი ჰქონდა ნაწყენი დარჩენილიყო. მასსა და ერეკლეს შორის ურთიერთობა მწვავდება. ახალციხეზე ლაშქრობა მისი ინტერესების საწინააღმდეგო წამოწყებაა. გამარჯვების შემთხვევაში სრულიად აშკარაა, რომ მის ნაყოფს ქართლ-კახეთის მეფე მოიმკის. ამიტომ იგი არა თუ მონაწილეობს მასში, არამედ დადიანსაც უკეტავს გზას და საშუალებას არ აძლევს რუს-ქართველთა შეერთებულ ლაშქრობაში მიიღოს მონაწილეობა[27]. ახალციხეზე ლაშქრობის ჩაშლა სოლომონის ინტერესებში შედიოდა და ამდენად ნიშანდობლივად მოჩანს ის ფაქტი, რომ ერეკლესა და ტოტლებენს შორის მომხდარ უთანხმოებას „ახალი ისტორიის" ავტორი, ერეკლეს შვილიშვილი დავით ბატონიშვილი ვერაც „ვერაგი ქართველების" მცდელობას აბრალებს: „წარმოიშო რომელთამე ვერაგთა ქართველთაგან შორის მეფისა და გრაფისა სამდურავი, სადაცა აწყურით დაბრუნდა ღრაფი"[28]. ერეკლეს მეორე შვილიშვილი,

---

25 ქართველოს ცხოვრება... გვ. 285 (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

26 Д. Багратиони. История Грузии, Тб., 1971, с. 163.

27 იქვე, გვ. 163.

28 დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია; ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, თბ., 1947, გვ. 11.

„ახალი მოთხრობის“ ავტორი ბაგრატ ბატონიშვილი კი, იმერეთის მეფეს პირდაპირ უყენებს ბრალდებას: „... მსმენელმან ახალციხის ფაშამ შეიკრიბნა სპანი დიდძალნი და წარმოემართა მეფეთა ზედა, გამოვლო მდინარე მტკვარი. მეფემან სოლომანმან მსმენელმან ამისმან უღალატა მეფესა ირაკლის, უკუნ იქცა თვითცა და უკუნ აქცია რუსეთის მხედრობაცა“[29]. მართალია, უკანასკნელ ავტორს ამბების აღწერისას ბევრი რამ ეშლება და ფაქტებს ერთმანეთში ურევს, მაგრამ აშკარად ეს არ არის მთავარი, არამედ ის, რომ, მისი აზრით, ახალციხის ოპერაციიდან რუსთა რაზმების გამობრუნების საქმეში სოლომონ მეფის ხელიც ერია.

ამის შემდეგ მალე ტოტლებენი ახალი შევსებით იმერეთში გადავიდა. მას, როგორც ჩანს, არაერთხელ მოუბოდიშებია იმერეთის მეფისათვის იმ წყენის გამო, რომელიც მას პირველად იმერეთის დატოვებით მიაყენა. თავნება გენერლის მხრიდან ამგვარი სრულიად მოულოდნელი საქციელი იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ მან საამისო მითითება ცენტრიდან მიიღო. 1770 წლის 13 ივლისის წერილით სოლომონი თავის ელჩს საიმპერატორო კარზე დ. კვინიხიძეს აცნობებდა, რომ ღვთის წყალობით ტოტლებენი შეპირებისამებრ მასთან მივიდა და ახლა იქ არის, რომ გენერალი ღირსეული და პატიოსანი პიროვნებაა, რომ მას სიყვარულით ეპყრობა და ა. შ.[30]

ერეკლესთან ტოტლებენის დაპირისპირება იმერეთის მეფეს თავისი პოლიტიკის გამარჯვებად მიაჩნია და იმ დროს, როცა ტოტლებენის აქციების გამო ერეკლე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება (რაზედაც ქვევით იქნება საუბარი) და გრაფის მოღალატურ მოქმედებაზე აღშფოთებულ წერილებს წერს საიმპერატორო კარს, სოლომონი სიტყვებს არ იშურებს ერეკლეს მტერი გენერლის საქებრად: ეკატერინე II-სადმი მიწერილ წერილში უწოდებს მას „ბრწყინვალე გრაფს“, „მამაც გმირს“, „დაუშარცხებელ მხედართმთავარს“ და „სამხედრო საქმეებში სრულიად გაწაფულ კაცს“. ხოლო ბაღდადის ციხის ოცდაათკაციანი გარნიზონის დამარცხებაში ტოტლებენს, სოლომონის რწმუნებით იმდენი დიდებული სამხედრო თვისება გამოუვლენია, რომ ალექსანდრე მაკედონელსაც კი შეშურდებოდა: „ამ დროს თქვენი დიდებულების სახელგანთქმულმა სამხედრო უფროსმა, გაგვაკვირვა თავისი

---

[29] დავით ბატონიშვილი, ბაგრატ ბატონიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

[30] А. Цагарели. Грамоты...т. I, с. 152.

შეუპოვრობით, მამაცობით, სამხედრო მოქმედების სრულყოფილი ცოდნით და კეთილგონივრული... განკარგულებებით"...[31]

ტოტლებენის იმერეთში დაბრუნება და საიმპერატორო კარის პირფერობა იმერეთის მეფემ თავის მიზნების განხორციელების გარანტიად მიიღო და ჩათვალა, რომ რაკი დადიანს ქართლ-კახეთის მეფე მფარველობდა, ხოლო საიმპერატორო კარი უკანასკნელს შემოსწყრა. ახლა მას რუსთა დახმარებით ადვილად შეეძლო სამეგრელოს მთავრის დამორჩილება. 1770 წლის 21 ივლისს მოურავოვისადმი მიწერილ წერილში იგი ამაყად აცხადებდა: „თქვენ გვწერდით დადიანზე, რომელსაც ჩვენს ქვეშევრდომობაზე სრულიად უარის თქმა და თვითმპყრობელად გახდომა სურს, მაგრამ ჩვენი ამაზე დათანხმება არაფრით არ შეიძლება და ვიდრე ცოცხალი ვართ ცდას არ დავაკლებთ, რათა იგი ჩვენდამი ისეთ ქვეშევრდომობაში ვიყოლიოთ, როგორც ადრე იყო. რაკი ჩვენ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ჩვენი მეზობლებისაგან განსხვავებული წყალობა მივიღეთ (მეზობლებში, ცხადია, ერეკლე იგულისხმება — მ. ს.), იმედი გვაქვს რომ ჩვენს სამფლობელოს ზიანი არ მიადგება და ქვეშევრდომები არ წაგვერთმევა"[31].

სოლომონი სასტიკად ტყუვდებოდა თავის ანგარიშში. მართალია, დადიანს ერეკლე მფარველობდა, მაგრამ სამეგრელოს საომთავროსადმი საიმპერატორო კარის დამოკიდებულებას ერეკლეს მფარველობა კი არ განსაზღვრავდა, არამედ თურქეთის წინააღმდეგ ომში მისი შესაძლებელი გამოყენების ინტერესები. რაკი ერეკლესთან ტოტლებენის ურთიერთობის გამწვავებას არ შეეძლო ეს ინტერესები შეეცვალა, დადიანის საკითხში სოლომონს მარცხი ელოდა. ტოტლებენი არა თუ მოეხმარა მას დადიანის დამორჩილებაში, არამედ სამეგრელოს მთავრის წინაშე პრეტენზიების წამოყენება იმერეთის მეფეს მოღალატურ საქციელად ჩაუთვალა და აგრძნობინა: შენს ინტერესებს თუ ცარიზმის ინტერესებს არ დაუმორჩილებ, შენს წინააღმდეგ ძალის ხმარებასაც არ დავერიდებიო. „დადიანთან მის დავაში, რომელიც გრძელდება, ჩარევა მე არ მსურს — წერდა ტოტლებენი სოლომონის მსახურთუხუცესს — მაგრამ ამასთან ერთად რადგან დადიანმა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ერთგულებაზე დაიფიცა, მე საჭირო შემთხვევაში მისი დაცვა ჩემს მოვალეობად მიმაჩნია. მე მოწინააღმდეგეს ყველგან ვეძებ. მეფისაგან კი ქედმაღლური სიამაყისა და მოტყუების მეტს ვერა-

---

[31] А. Цагарели. Грамоты... т. I. с. 152.

ფერს ვხედავ"[32]. უფრო მოგვიანებით, სოლომონის საქციელი გენერალმა იმპერატორისადმი მიცემული ფიცის გატეხვად მიიჩნია, დადიანისა და გურიელის საწინააღმდეგო მოქმედების შეწყვეტა კატეგორიულად მოითხოვა და დაემუქრა: „გირჩევთ თქვენი უკმაყოფილება, რომელიც გრძელდება დადიანისა და გურიელის მიმართ ამ წერილის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ და მათ არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნათ მტრის წინააღმდეგ სწრაფვაში, მით უმეტეს, რომ ჩემთან ერთად ეს ორნი არიან მტერზე ამხედრებულნი; ხოლო თუ თქვენ მიუხედავად ამისა, შემდგომშიც არ შეწყვეტთ მათ შეწუხებას, დარწმუნებული იყავით, რომ ასეთ შემთხვევაში მე თქვენ მიგიჩნევთ თურქად და მთელს ჩემს ძალებს, მისი უდიდებულესობის ბრძანებისამებრ თქვენ წინააღმდეგ მოვმართავ, მოგექცევით როგორც მტერს".[33]

ერთი სიტყვით, იმერეთის მეფისთვის ახლა ყველაფერი ნათელი იყო: ტოტლებენი იმერეთში იმიტომ კი არ გადმოვიდა, რომ სოლომონის ინტერესები დაეცვა, არამედ იმისათვის, რათა ქართველები თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა. ნათელი უნდა ყოფილიყო ისიც, რომ ამგვარი დამოკიდებულება გენერლის კაპრიზებისა და მისი ხასიათის თვისებებით კი არ იყო განპირობებული (იგი შეიძლება განსაზღვრავდა დამოკიდებულების ფორმას და არა შინაარსს), არამედ ცარიზმის მაგისტრალური პოლიტიკით. ტოტლებენი შემთხვევით არ ამბობდა: თუ ისე არ მოიქცევით როგორც მე გეუბნებით „მე თქვენ მიგიჩნევთ თურქად და მთელს ჩემს ძალებს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებისამებრ თქვენს წინააღმდეგ მოვმართავ".

სოლომონის მდგომარეობა გართულდა, მან ვერც ლიხთიმერეთის გაერთიანება მოახერხა და ერეკლესთანაც ურთიერთობა გაუმწვავდა. ახლა იგი, როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის მეფესთან შერიგებას საჭიროდ მიიჩნევდა და ტოტლებენს დებდა ბრალს იმაში, რომ ერეკლეს წაჰკიდა[34]. მაგრამ მათ შორის ძირითადი წინააღმდეგობა იმ ეტაპზე დადიანის გარშემო ტრიალებდა, რომლის ინტერესების დაცვაზე ხელის აღებას ერეკლე არ აპირებდა. ქართლ-კახეთის მეფე სოლომონს თავიდანვე აყენებდა: იმ დროს, როცა ყველა ქრისტიანი თურქეთის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს, იგი დადიანს მტრობსო. ასპინძასთან ომში არც თვითონ მიიღო მონაწილეობა, სამეგრელოს

---

[32] А. Цагарели. Грамоты... т. I, с. 160

[33] იქვე, გვ. 170.

[34] А. Цагарели. Грамоты..., т. II, с. 255—257.

მთვარსაც ჩაუკეტა გზა და ჩვენს დასახმარებლად არ გამოუშვა. ჩემსა და დადიანს შორის შიკრიკების მიმოსვლას აფერხებსო და ა. შ.

იმერეთში ერეკლესა და დადიანის კავშირს მეტად საშიშად მიიჩნევდნენ. ერეკლეს ხელში ჩაუვარდა იმერეთის კათალიკოსის წერილი არჩილ ბატონიშვილისადმი; თუ ჩვენი დაღუპვა არ გინდა ერეკლეს კაცი დადიანთან არ გაუშვაო[35]. ერეკლე რუსეთის კართან სოლომონს უჩივის: მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეცადინეობით დადიანი მას შეურიგდა, იმერეთის მეფემ პირობა დაარღვია, უკადრისად მექცევაო და ა. შ. საქმეს იმდენად სერიოზული ხასიათი მიეღია, რომ ერეკლე იარაღის გამოყენებასაც კი ფიქრობდა თურმე: „დამიჯერეთ, ორი მიზეზი გვაკავებს, რომ ჩვენდამი ამგვარი საქციელისათვის სოლომონს ჭკუა ვასწავლოთ — წერს იგი ნ. ი. პანინს, — პირველი, რომ არ გვინდა ქრისტიანთა სისხლი დავღვაროთ და მეორე, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისათვის არასასურველია. რომ ჩვენ... საშინაო ბრძოლაში ჩავებათ“[36].

სოლომონი კი სამეგრელოზე პრეტენზიას არ თმობდა და მის წინააღმდეგ მოქმედებაზე რუსეთის რიდითა და ერეკლეს შიშით იკავებდა თავს. 1770 წელს მან ასე თუ ისე მოახერხა გურიის სამთავროს საკითხის მოგვარება. ისარგებლა რა ტოტლებენის ფოთზე ლაშქრობის დროს შექმნილი სიტუაციით, გურიაში შეიჭრა იმ მოტივით, რომ ფოთის გარნიზონის გასაძლიერებლად გამოგზავნილი თურქული ძალებისათვის გზა ჩაეკეტა, გადააყენა მისი მოწინააღმდეგე გიორგი გურიელი და მის ნაცვლად მისთვის სასურველი კანდიდატურა — მამია გურიელი გაამთავრა. 1771 წლის თებერვალში, აცნობებდა, რა ეკატერინე II-ეს თავისი წარმატების ამბავს, სოლომონი კვლავ იმეორებდა თხოვნას სადადიანო მუდამ ჩემი იყო და თქვენც მიწყალობეთო[37]. ცხადია, აქ რუსეთის მიერ დადიანის წინააღმდეგ მისი მოქმედების დასტური და ქართლ-კახეთის მეფის საპასუხო აქციის ნეიტრალიზება იგულისხმება, თორემ ეკატერინეს როგორ შეეძლო სადადიანო სოლომონისთვის ეწყალობებია, როცა დადიანი თავს დამოუკიდებლად თვლიდა და უნდოდა რუსეთის მხარეს დადგებოდა და უნდოდა თურქეთისა. რაკი პირდაპირი გზით საწადელს ვერ მიაღწია, იმერეთის მეფეს შემოვლითი გზების ძიება დაუწყია: 1771 წლის ივლისში იგი რუსეთის კარ-

---

[35] А. Шагарелли. Грамоты... т. II, с. 457; იქვე, ტ. I, გვ. 262.

[36] იქვე, ტ. I, გვ. 467—468.

[37] იქვე, გვ. 289—290.

ზე ვიღაც ანონიმურ ადრესატს (ცხადია, მეტად გავლენიანს) 100 ქისა ვერცხლს ჰპირდება იმ შემთხვევაში, თუკი იგი მოახერხებს დადიანზე მისი უფლებების აღდგენას (თუ აღიარებას)[38]. სოლომონს არც ამჯერად არაფერი გამოუვიდა. სამეგრელოს მთავარი არც მის ქვეშევრდომად თავის აღიარებას აპირებდა და არც მიტაცებული რაჭის სოფლების დაბრუნებას.

ამასობაში ქართლ-კახეთის მეფე დარწმუნდა, რომ რუსეთის ჯარის დახმარებით იგი თავის დასახულ გეგმებს (ახალციხის შემოერთება) ვეღარ განახორციელებდა, ამიტომ, მისი მოქმედებისადმი თითქმის ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. დამახასიათებელია მის მიერ მოურავოვისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც იგი ჩივის, ტოტლებენი იმერეთში ომობს, სურსათსა და აღალს კი მე მთხოვს, სხვის ნაცვლად ყოველივე ეს მე რატომ უნდა ვიხადო, როცა ჩემი ქვეყანა გაჩანაგებულიაო.[39] მისი სამეფოს ინტერესების თვალსაზრისით ამგვარი პოზიცია თითქოს გასაგებია, მაგრამ სადღაა მისი მოკავშირეობრივი ვალი და თავდადება ქრისტიანობის მტრის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში?

ერეკლეს, ისევე როგორც ტოტლებენს, საკუთარი ამოცანები ჰქონდა და მისი განხორციელებისათვის იბრძოდა, საერთო ინტერესები კი იმდენად იზიდავდა, რამდენადაც ისინი მის სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემთხვეოდნენ და განხორციელებაში ეხმარებოდნენ.

ერეკლესა და სოლომონის შემდეგ ტოტლებენმა დადიანთან წაჩხუბებაც მოახერხა და საიმპერატორო კარი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ იგი დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად საქართველოში არ გამოდგებოდა. გენერალი რუსეთში გაიწვიეს, მის ნაცვლად კი სუხოტინი დანიშნეს. 1771 წლის მაისში სუხოტინი საქართველოში ჩამოვიდა.

ქართლ-კახეთისა და იმერეთის მესვეურთ კიდევ ერთხელ გაეღვიძათ რუსეთის ჯარის დახმარებით საკუთარი მიზნების განხორციელების იმედები. ერთხელ კიდევ ატყდა ჭიშპი სოლომონსა და ერეკლეს შორის იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით უნდა განხორციელებულიყო შეტევა თურქეთის წინააღმდეგ — ახალციხიდან, თუ შავი ზღვისპირეთიდან. რაკი სოლომონი ახალციხეზე ლაშქრობის მოწინააღმდეგეა, როგორც ჩანს, იგი დარწმუნებულია, რომ წარმატების შემთხვევაში ახალციხის შემოერთებული ტერიტორიები ერეკლეს დარჩება. ამ უკა-

---

[38] Л. Шагарели. Грамоты..., т. II, с. 260.

[39] იქვე, გვ. 258—259.

ნასკნელმა ერთხელ კიდევ სცადა საჩუქრების ძალით სუხოტინისათვის ახალციხეზე ლაშქრობის თავს მოხვევა. მაგრამ ჩქარა ყველაფერი აშკარა გახდა. სახელდობრ, ის, რომ ტოტლებენის მთელი მოღვაწეობა საქართველოში ძირითადად სამეფო კარის მიერ დასახული გეგმით მიმდინარეობდა. თუკი მას რაიმე ბრალი მიუძღოდა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, მხოლოდ ის, რომ ამ გეგმას საკმარისად მოქნილად ვერ ახორციელებდა. მან ვერ მოახერხა საქმის ისე წარმართვა, რომ ქართლ-კახეთისა და იმერეთის მესვეურთათვის მოეჩვენებინა, თითქოს თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის იბრძოდნენ, ფაქტობრივად კი რსინი ამ გეგმის განხორციელებისათვის გამოეყენებინა. მიზანი სუხოტინსაც იგივე ჰქონდა და თუმცა იგი, როგორც პიროვნება, ტოტლებენზე გაცილებით მაღლა იდგა, მაგრამ მიზნის მიღწევაში მასზე ბედნიერი არ აღმოჩნდა. სუხოტინმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ ფოთის უშედეგო გარემოცვას ასობით რუსი ჯარისკაცის სიცოცხლე შესწირა და რამდენიმე თვის შემდეგ (1771 წ. ოქტომბერში) ალყა მოხსნა.

რუსეთ-თურქეთის ომი კი დასასრულს უახლოვდებოდა და ასეთ ვითარებაში ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკის გამგებლებმა გადადგეს მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც საიმპერატორო კარზე „უცნაურად“ და „სრულიად არადროულად“ იქნა მიჩნეული და შეფასებული, ხოლო ისტორიოგრაფიაში მისი ახსნა, ჩვენი აზრით, მთლად ნათლად არ გამოიყურება: 1771 წლის დეკემბერში ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის მეთაურობით პეტერბურგში გაემგზავრა ქართლ-კახეთის სამეფოს საგანგებო ელჩობა, რომელმაც ეკატერინე II-ს საქართველოს რუსეთის მფარველობაში მიღება სთხოვა. რამ განაპირობა ასეთი თითქოსდა მოუმზადებელი ნაბიჯი?

ინტერესთა შეუსაბამობის, საერთო საქმეში შეუთანხმებლობისა და ზოგჯერ დაპირისპირებულობის გამო, მოკავშირეთაგან საქართველოში ვერც ერთმა ვერ მიაღწია დასახული მიზნის საბოლოო განხორციელებას: რუსეთმა ვერ შეძლო თურქეთისათვის არსებითი ზიანის მიყენება არა თუ ქართველთა ხელით, როგორც ამას თავდაპირველად გეგმავდა, რაშიც რუსთა მცირერიცხოვან რაზმს მხოლოდ წამახალისებლისა და მაგალითის მიმცემის როლი უნდა ეთამაშა, არამედ ათასობით რუსი ჯარისკაცის სიცოცხლის ფასადაც კი. მან ვერ მოახერხა ხელში ჩაეგდო შავიზღვისპირა ციხეები, გურიაში კი თურქებმა რიგი ახალი სოფლებიც დაიკავეს.

სოლომონმა გაანთავისუფლა იმერეთის ციხეები თურქული გარნიზონებისაგან, მაგრამ რამდენად არამყარი იყო მისი მდგომარეობა

თუნდაც იქედან ჩანს, რომ მან ეს ციხეები კი არ გაამაგრა, არამედ დანგრია, რათა კვლავ თურქებს არ ჩაეგდოთ ხელში. მართალია, მან ასე თუ ისე, მოაგვარა ურთიერთობა გურიელთან, მაგრამ გადაუჭრელი დარჩა დადიანის საკითხი.

მოკავშირეთაგან ყველაზე რთული მდგომარეობა მაინც ქართლ-კახეთის მეფეს შეექმნა. ერეკლემ არათუ ახალციხის შემოერთება და იმერეთში გავლენის გაძლიერება ვერ შეძლო, არამედ თითქმის ყველა მეზობელი სახანო თუ სამეფო მოიმდურა. სოლომონისათვის არ შეიძლება მისი განზრახვები ცნობილი არ ყოფილიყო და ამიერიდან განსაკუთრებული სიფრთხილითა და ეჭვით მოეკიდებოდა მასთან ყოველგვარ ურთიერთობას (მართალია, 1772 წელს ერეკლემ და სოლომონმა მოახერხეს ახალციხეზე ერთობლივი ლაშქრობის მოწყობა, მაგრამ, როგორც ჩვენვით დავინახავთ, ეს სულ სხვა გარემოებასთან იყო დაკავშირებული და საბოლოოდ მაინც, ჩვენი აზრით, ამ უნდობლობის გამო ჩაიშალა).

ერეკლემ მოიმდურა ირანიც (ჯერჯერობით მაინც მისი ფორმალური სიუზერენი), რადგან ყურად არ იღო ქერიმ-ხანის თხოვნა არ გაეჩერებინა მის სამფლობელოში რუსთა ჯარი, ოსმალეთის ინტერესების საზიანოდ.[40]

რუსეთ-თურქეთის ომსა და მასში ქართლ-კახეთის პოზიციას შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს ქართლ-კახეთის დამორჩილებული თუ „შეკავშირებული“ ამიერკავკასიის სახანოები, რომელთა საქართველოს წინააღმდეგ წასაქეზებლად ოტომანთა პორტა ძალღონეს არ იშურებდა. ერეკლეს განმარტებით: „ლეკთა და სხვა ბარბაროსთა გარდა, რომლებიც ჩვენ გვაკრავან, ჩვენი მოწინააღმდეგე შეიქმნა ერევნის ხანიც. მან არად ჩააგდო მოცემული ფიცი, ჩვენი მფარველობისაგან განდგა და თურქეთის მხარე დაიკავა. ამის წინ ყარსში მოსულ სერასკირს სურსათით და სხვა ყველაფრით ეხმარება, აქეზებს რა სულთანისაგან ჩვენს წინააღმდეგ მეტი ჯარები მოითხოვოს: ასევე ცდილობს ქერიმხანი და ყუბის ხანი ჩვენს წინააღმდეგ იარაღის გამოყენებაზე დაიყოლიოს. თურქები, სარგებლობენ რა ერევნის ხანის მათდამი ამგვარი ერთგულებით, მისი და დიდი საჩუქრების საშუალებით კიდევ რამდენიმე ხანის გადაბირებას ცდილობენ“[41]. ეს სიტყვები 1770 წელსაა დაწერილი, შემდგომ ხანებში მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა.

---

[40] А. Шагарелли. Грамоты...т. I, с. 174.

[41] იქვე, გვ. 244.

1772 წელს, მაგალითად, ხუნძახის ბატონს, საქართველოზე გამოსალაშქრებლად ჯარების შეკრება დაუწყია, მაგრამ შემდეგ ვეღარ გაუბედავს[42].

ვიდრე თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ ომში იყო ჩაბმული, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე რუსული რაზმები მოქმედებდნენ, ერეკლე ამ საქმეებს აგვარებდა. მაგრამ რა მოხდებოდა, მდგომარეობის შეცვლის შემდეგ, ძნელი სათქმელია. ერეკლე ხომ მარტოდმარტო რჩებოდა გაავებული მტრებით გარემოცული. მას იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ სულთნის კარი უპასუხოდ დატოვებდა მისი არაერთი თხოვნის იგნორირებას, ზავის დარღვევასა და რუსეთის მხარეზე იარაღით გამოსვლას, იმ სირცხვილს, რომელიც ერეკლემ მას ასპინძასთან აჭამა.

ქართლ-კახეთის მეფე არც საშინაო საქმეებში იყო გულმოცემულად. რუსის ჯარის გაყვანის შემთხვევაში იგი შიშობდა, რომ ხალხში პანიკა გავრცელდებოდა. ერეკლეს რუსოფილურ პოზიციას ქართლ-კახეთის მმართველ წრეებშიც ჰყავდა მოწინააღმდეგენი. მარცხის შემთხვევაში ეს ძალები გამოცოცხლდებოდნენ, გამოცოცხლდებოდა თავადური ოპოზიციაც.

შექმნილ ვითარებაში ერთადერთ იმედად „მფარველი“ და „მოკავშირე“. რუსეთის საიმპერატორო კარი მოჩანდა, მაგრამ საქმეც ის იყო, რომ ქართლ-კახეთის მეფეს მასთან ურთიერთობა გაფუჭებული ჰქონდა.

1770 წლის აპრილში ახალციხის ლაშქრობიდან რუსეთის ჯარის მოულოდნელი უკუქცევის შემდეგ ერეკლესა და ტოტლებენს შორის დამოკიდებულება უაღრესად გამწვავდა. გენერალმა ისარგებლა ზოგიერთი ქართველი თავადის ოპოზიციური განწყობილებით, ერეკლეს ტახტიდან გადაყენება და ძალაუფლების ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. თავისი გეგმა საიმპერატორო კარს აცნობა და მისი განხორციელება დაიწყო. ციხე-ქალაქების დაკავებასა და ხალხის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცებას შეუდგა. ერეკლემ სასწრაფო, ენერგიული ზომებით მოახერხა ამ ავანტიურის აღკვეთა. ტოტლებენის მოწინააღმდეგე რუს ოფიცრებზე დაყრდნობით ერთი პირობა გენერლის დაპატიმრებაც კი განიზრახა, მაგრამ ვეღარ გაბედა. მდგომარეობა უაღრესად დაიძაბა. ორივე მოწინააღმდეგე ერთმანეთზე რუსეთის საიმპერატორო კართან ჩიოდა. ტოტლებენი ცარიზმის ინტერესების დამცველი და გამომხატველი იყო და მხარიც იმას დაუჭირეს, ერეკლეს საპასუხო ღონისძიებები კი „მოწყალე იმპერატორისადმი“ უმადურობად და მო-

---

[42] Л. Цагарели. Грамоты... т. I. с. 364.

ღალატურ საქციელად ჩაუთვალეს. ტოტლებენი ყველაფერში გაამართლეს. მთავარი ის კი არაა, რომ ქართლ-კახეთის მეფეს მისი ასაკისა და მდგომარეობისათვის სრულიად შეუფერებელი დატუქსვა აკადრეს, არამედ ის, რომ საიმპერატორო კარმა სრულიად ნორმალურად მიიღო ერეკლეს ტახტიდან შესაძლებელი გადაყენების ცნობა. ნ. ი. პანინმა საქმეების გასარკვევად საქართველოში გამოგზავნილ კაპიტან იაზიკოვს ერეკლესადმი ორი სიგელი გამოატანა, რათა ადგილზე ადრესატისათვის ერთ-ერთი გადაეცა იმის მიხედვით, იგი გადაყენებული იქნებოდა, თუ ისევ ტახტზე დახვდებოდა. ამასთან სიგელში, რომელიც გადაყენებული მეფისთვის იყო გამიზნული, რუსი დიდმოხელე მშვიდად ამართლებდა ტოტლებენის ნაბიჯს: გენერალი იძულებული იყო თქვენ მთელი სიმკაცრით მოგექცეოდათო[43]. იაზიკოვისათვის მოცემული ინსტრუქცია ერეკლეს ტახტზე დაბრუნებასაც ითვალისწინებდა (იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაყენებული იყო), მაგრამ ეს საკითხი ტოტლებენსა და იაზიკოვს ადგილზე უნდა გადაეწყვიტათ თურქეთის წინააღმდეგ მათი მოქმედების ინტერესების შესაბამისად და სასარგებლოდ[44]. ამასთან, თუ ერეკლესადმი მიწერილ წერილში ერეკლეს ტახტზე ყოფნა-არყოფნაზეა საუბარი, ტოტლებენისადმი მიცემულ ინსტრუქციაში საკითხი სხვაგვარადაა დასმული: შეერთებული იქნეს თუ არა საქართველო რუსეთთან[45]. მაგრამ ეს ერთი და იგივე არ არის და, როგორც ჩანს, ცარიზმის ხელისუფლება ორგვარ შესაძლებელ ვარიანტს ამუშავებდა: 1. ერეკლეს ტახტიდან გადაყენებას, მის ნაცვლად სხვა სასურველი კანდიდატურის შერჩევასა და საქართველოს დაძოუკიდებლად დატოვებას და 2. საქართველოს რუსეთთან შეერთებას (მეფობის გაუქმებას).

ეს ამბები ერეკლესთვის, ცხადია, საიდუმლოს არ წარმოადგენდა. საიმპერატორო კარის ერეკლეზე გაწყრომისა და მოსალოდნელი გადაყენების საკითხი, ამავე დროს ორი ვარიანტით, ქართველ თავადთა წრეებში ჩვეულებრივი საუბრის საგანი გამხდარიყო. მოვიგონოთ ცნობა, იესე ოსეს ძე ბარათაშვილს რომ მოაქვს თავის „ცხოვრებაანდერძში“: „... მართალია, ბაკუნინს ვუთხარი ჩვენი ქვეყნის შებრალებაო. იმან მითხრა არ იცი, ხელმწიფე მეფე ერეკლეს უწყრებაო. მერე მე უთხარო: — თუ მეფე ერეკლეს უწყრება ან რუსს მისცეს ქვეყა-

---

[43] А. Цагарели. Грамоты...т. I, с. 134—139.

[44] იქვე, გვ. 139—141.

[45] იქვე, გვ. 154—156.

ნა (საქართველოს რუსეთთან შეერთება — მ. ს.). და ან მეფე სოლომონსო“ (ერეკლეს გადაყენება და მის ნაცვლად სხვა კანდიდატურის გამეფება).

მართალია, ტოტლებენი სუხოტინით რომ შეიცვალა, პანინმა ერეკლეს მიულოცა, იმპერატრიცამ შეცდომები გაპატია და აბა შენ იცი როგორ გაამართლებ მის ნდობასო, მაგრამ ეს თურქეთის წინააღმდეგ ქართველების მეტად წაქეზებისათვის იყო გაკეთებული. ცარიზმის პოლიტიკის მესვეურნი შემდგომშიც ხშირად აღნიშნავდნენ ქართლ-კახეთის მეფის მხრიდან იმპერატრიცას ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებას, რაც მას არაერთხელ დააყვედრეს.

ამრიგად, ერეკლეს მდგომარეობა თითქოს გამოუვალი ჩანდა. თურქეთის გამარჯვების ან თუნდაც ამიერკავკასიაში მისი გავლენის შენარჩუნების შემთხვევაში, მას პასუხის გაცემა მოუწევდა გარემომცველ მაჰმადიანურ სამყაროსთან, ხოლო რუსეთის გამარჯვებისა და ამიერკავკასიაში მისი პოზიციის გაძლიერება-განმტკიცების შემთხვევაში ქართლ-კახეთის მეფის ყოფნა-არ ყოფნის საკითხი გაურკვეველი იყო. არავინ იცის, ისურვებდა თუ არა საიმპერატორო კარი ურჩი ქვეშევრდომის ტახტზე დატოვებას. ქართლის ტახტის პრეტენდენტები საქართველოშიც მოიძებნებოდა და რუსეთშიც. ალექსანდრე ბაქარის ძეს ყოველთვის შეეძლო ასპარეზზე გამოსვლა. ერეკლე ხომ რუსეთის მიერ ქართლის ტახტზე დამტკიცებას ჯერ კიდევ ვერ ეღირსა.

რაც შეეხება სოლომონისათვის ქართლ-კახეთის მიცემის ვარიანტს, ეს უფრო ქართველების შემუშავებული ვერსია უნდა იყოს იმერეთის მეფისადმი საიმპერატორო კარის უფრო ლოიალური დამოკიდებულების საფუძველზე შექმნილი და ქვეყნის პროგრესულ ნაწილში საქართველოს გაერთიანების საკითხის მომწიფებულობის დამადასტურებელი.

ამგვარ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართლ-კახეთის მეფე, როდესაც ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის ელჩობა პეტერბურგში გაგზავნა და რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა ითხოვა. შექმნილ ვითარებაში ეს ნაბიჯი ერთადერთ გამოსავლად მოსჩანდა. თუკი რუსეთი ერეკლეს საზეიმოდ მიიღებდა მფარველობაში, ეს ქართლ-კახეთის ტახტზე მის აღიარებას ნიშნავდა და, ე. ი. საიმპერატორო კარის მხრივ საშიშროება მექანიკურად იხსნებოდა. გარდა ამისა, რუსეთი ვალდებული იქნებოდა, რომ ქვეშევრდომი მაჰმადიანი მეზობლების შემოტევისაგან დაეცვა, ეს უკვე მისი პრესტიჟის საქმე იყო.

მთხოვნელობითი პუნქტების ტექსტი ქართული დიპლომატიის მაღალი დონის ნიმუშია. იგი იმგვარადაა შედგენილი, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესები მფარველისათვის მისაღები და სასურველი გახდეს. პირველი ძირითადი საკითხი, ესაა: ერეკლე უცვლელად თავის ღირსებაში დატოვებულ იქნეს მეფედ, თუმცა რუსეთის საიმპერატორო კარის მორჩილად. შემდეგი ძირითადი პუნქტი საქართველოს ისტორიული ტერიტორიის აღდგენას ეხება. ქართველი დიპლომატები ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ რუსეთი ვალდებული არაა ქართული ტერიტორიების გაფართოებისათვის მატერიალური და ფიზიკური ხარჯი გაწიოს. ამიტომ სთავაზობენ, ამ საქმეში რა მატერიალურ ზარალსაც ნახავს, ქართველები მას რამდენიმე წლის განმავლობაში აუნაზღაურებენ. ერეკლე ითხოვს ახალციხის საფაშოს საკითხის სასწრაფო, რუსეთ-თურქეთის მიმდინარე ომის ფარგლებში გადაწყვეტას და რუსეთსა და თურქეთს შორის გაფორმებულ საზავო ხელშეკრულებაში დაფიქსირებას. იმისათვის, რათა ამ საკითხის გადაწყვეტაში საიმპერატორო კარის დაინტერესება გააძლიეროს, ქართველი დიპლომატები მას, გარდა ჩვეულებრივი გადასახადისა, რაც საქართველომ მფარველის სასარგებლოდ უნდა იკისროს, ახალციხის ხარჯზე დამატებით ყოველწლიურად 200 ფუთი აბრეშუმის გადახდას პირდებიან. თავისთავად, როგორც ჩანს, ხარკის შეთავაზება მარტო საიმპერატორო კარის დაინტერესებას არ ითვალისწინებდა. მას სხვა პრინციპული მნიშვნელობაც ჰქონდა. ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მშვენივრად იცოდნენ, რომ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა ალტრუისტულ საფუძველზე არ მყარდება. თვით მიმდინარე ომის მაგალითებიც იმის დასტური იყო, რომ ერთმორწმუნეთა დაცვისა და ქრისტიანობის გაძლიერების მოტივები, მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, რომლებითაც ფისკალური მოსაზრებები და სხვა სახელმწიფო ინტერესები ინიღბება. ფეოდალურმა სახელმწიფომ მასზე მინდობილი ან მის მიერ დამორჩილებული ქვეყანა ან უნდა შეიერთოს, ან უნდა დახარკოს (კოლონიალური სისტემა უფრო გვიან ჩამოყალიბდა, იგი განვითარებული კაპიტალიზმის პირმშოა). ამავე დროს, ამგვარი დამოკიდებულების ხარისხსა და დონეს აღნიშნული ქვეყნის ძალთა რეალური შეფარდება და საერთაშორისო სიტუაცია განსაზღვრავს. აქ უჩვეულო არაფერი იყო. საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სიუზერენიც ბევრი ჰყოლია და ვასალიც. მისი დამოკიდებულება ვასალებისადმი ისეთივე იყო, როგორც სიუზერენთა მისდამი დამოკიდებულება. აქ რომ, მას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, ცა-

რიზმის ხელისუფალთაგან სხვაგვარი ურთიერთობა და პირობები მოეთხოვა. ამიტომ, ხარკის შეთავაზება, თუ ერთი მხრივ, საიმპერატორო კარის დაინტერესებას გულისხმობდა, მეორე მხრივ, იგი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტიაც უნდა ყოფილიყო. ქართლ-კახეთის სამეფო ცდილობდა, ახალი სიუზერენისადმი მისი დამოკიდებულება იმთავითვე გარკვეულ ჩარჩოებში ჩაეყენებინა, რომ ყველაფერი თავიდანვე ნათელი ყოფილიყო, რომ სიუზერენს სხვა ილუზიები არ გაჩენოდა.

მთხოვნელობითი პუნქტები რუსეთში არსებული რეკრუტის წესით ჯარისკაცის გაყვანას და საქართველოს წიაღისეულთა რუსეთის სპეციალისტების მეშვეობით დამუშავებასაც ითვალისწინებდა. ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ამ წინადადებებშიც საქართველოს ინტერესების დაცვა მოჩანს. რეგულარული ჯარის შექმნა და ქვეყნის წიაღისეულის გამოყენება სამეფოს ეკონომიკური გაძლიერებისათვის ერეკლეს დიდი ხნის მიზანი და სურვილი იყო, მაგრამ მათი მოგვარება ქართლ-კახეთის მეფეს უჭირდა. ახლა იგი ამ საკითხის გადაწყვეტას რუსეთის ხელით ცდილობდა, თანაც ისე, რომ რუსეთის მმართველ წრეებს ამაში საკუთარი სარგებელი დაენახათ[46].

საქართველოს ინტერესების დაცვად მოჩანს საიმპერატორო კარზე ერთ-ერთი ქართველი ბატონიშვილის მუდმივ საცხოვრებლად გაგზავნის შეთავაზებაც. თუ, ერთი მხრივ, ქართველი ბატონიშვილის რუსეთის კარზე ყოფნა რუსეთის ხელისუფალთათვის ერეკლეს ერთგულების გარანტია იქნებოდა, მეორე მხრივ, ეს თვითონ ერეკლესთვისაც საინტერესო იყო. რადგან რუსეთის კარზე მას უნდა გაენეიტრალებინა იქ ვახტანგის სახლისშვილთა — ქართლის ტახტის პრეტენდენტთა — ყოფნის ფაქტი, ერეკლეს საწინააღმდეგო მოქმედების ეფექტი გაებათილებინა და მათი პოზიცია შეესუსტებინა. საიმპერატორო კარზე ერეკლეს სახლისშვილის (მეფისწულის) შესაფერისი პატივით ყოფნა ქართლ-კახეთის სამეფოსა და მისი მფლობელის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ოფიციალური აღიარება იქნებოდა.

1772 წლის იანვარში ქართლ-კახეთის ელჩობა უკვე ასტრახანში იყო, მაგრამ პეტერბურგში წასვლის ნება მას არ მისცეს. ამ ნებართვას ერთი წელიწადი ელოდნენ ანტონ კათალიკოსი და ლევან ბატონიშვილი. საქმის ამგვარი გაჭიანურების მიზეზი ჩვენს ისტორიოგრაფიაში ახ-

---

[46] ი. ც ი ნ ც ა ძ ე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, გვ. 74; 80.

სნილია[47], მაგრამ ვფიქრობთ, მთავარ საკითხზე მაინც არ არის ყურადღება გამახვილებული.

იმ დროისათვის საიმპერატორო კარი საქართველოზე თავისი მფლობელობის გავრცელებისათვის ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული. ტოტლებენისადმი 1770 წლის 16 ივლისს მიწერილ წერილში გრაფი ნ. ი. პანინი, სხვათაშორის, ამ საკითხსაც ეხებოდა და აღნიშნავდა, რომ „... საქართველოს სიშორე და მიმოსვლის სირთულე ორი გარემოებაა, რომელიც ამ მიწის მითვისებას არამყარს ხდის, შეიძლება დროთა განმავლობაში აღმოჩნდეს საშუალება, რომლის ძალითაც ეს უხერხულობები ამგვარად აღარ მოგვეჩვენოს, მაგრამ ამჟამად მთავარი საჭიროებაა, რომ ქართველები ჩვენ ომში მოგვეხმარონ“[48]. რუსეთს აღნიშნულ ომში სხვა მიზნები ჰქონდა, საქართველოს საკითხი მისთვის მომავლის საქმე იყო. ამდენად, როგორც ჩანს, ასტრახანში ელჩობის ჩამოსვლის ამბავი რომ აცნობეს, პეტერბურგში მაშინვე ჰქონდათ გადაწყვეტილი საქართველოს მფარველობაში მიღებაზე უარის თქმა; მაგრამ თურქეთთან ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, ამ ომში საქართველო ცარიზმს ჯერ კიდევ სჭირდებოდა. თუ საიმპერატორო კარი ელჩობას პეტერბურგში მიიღებდა, მისთვის პასუხიც უნდა მიეცა, პასუხი კი უარყოფითი იყო. რუსეთის დიპლომატია შიშობდა, და არც უსაფუძვლოდ, რომ მფარველობაზე უარის მიღების შემთხვევაში, ქართლ-კახეთის მეფე თურქეთთან ურთიერთობის მოგვარებას შეეცდებოდა და ამრიგად, მისი საქმეში გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა. ასეთ ვითარებაში ცარიზმის პოლიტიკოსები ამჯობინებდნენ სხვადასხვა არგუმენტის მომიზეზებით საქმე გაეჭიანურებინათ, რათა შერისხული მთხოვნელისათვის დრო მიეცათ, რომ მას თავისი „დანაშაული“ საერთო მტრის წინააღმდეგ თავდადებული, შეურიგებელი ბრძოლით გამოესწორებია და მფარველის გული მოელბო (დანაშაული გამოესყიდა). მაშინაც კი, როცა საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანას აცნობებდა, პანინი ერეკლეს იქვე თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას ავალებდა. მტერი ახლა დასუსტებულია და ჩვენი ჯარის დახმარების გარეშეც შეგიძლიათ მას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოთო[49]. და მართლაც, მთელი იმ პერიოდის განმავლობაში ვიდრე რუსეთიდან თავის თხოვნაზე უარყოფითი პასუხი არ მიიღო, ეს კი 1773

[47] ი. ცინცაძე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. თბ., 1960, გვ. 74, 80.

[48] А. Цагарели. Грамоты..., т. I, с. 155.

[49] იქვე, გვ. 333—334.

წლის ბოლოს მოხდა, ერეკლე ენერგიასა და მეცადინეობას არ იშურებდა, რათა საიმპერატორო კარისათვის ერთგულება და თავდადება დაემტკიცებინა.

1772 წელს რუსეთმა საქართველოდან ჯარი გაიყვანა და ქვეყნის ბედიღბლის გამგებლები თავისი თავის იმედზეღა დატოვა. ისინი დიდი განსაცდელის მოლოდინში იყვნენ და ამას მათთვის დროებით მაინც უნდა დაევიწყებია ურთიერთპრეტენზიები თუ საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის მისწრაფებები.

სოლომონი, ყველაფერთან ერთად, იმითაც უნდა ყოფილიყო შეფიქრიანებული რომ, ერეკლეს განზრახვები იმერეთის მიმართ ამ ომის განმავლობაში გამოაშკარავდა. მომდურებულ ქართლ-კახეთის მეფეს, მართალია, საკუთარი საზრუნავიც ბევრი ჰქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, სოლომონი არც მის საწინააღმდეგო აქციებს გამორიცხავდა ერეკლეს მხრიდან. ამ საშიშროებას ისიც ამწვავებდა, რომ დასავლეთ საქართველოში სოლომონს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა როგორც იმერეთში, ისე მის გარეთ. ყველაფერს ისიც დაემატა, რომ იმ ხანებში მას საკუთარი ძმები კათალიკოსი იოსები და არჩილ ბატონიშვილი აეშალნენ[50]. არსებული საბუთების მიხედვით არ ჩანს, აღნიშნულ ინციდენტში ერია თუ არა ქართლ-კახეთის მეფის ხელი, გარდა იმისა, რომ არჩილ ბატონიშვილი ერეკლეს სიძე და მასთან დაახლოებული (ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მის კარზე ცხოვრობდა) კაცი იყო. მაგრამ სოლომონს შეეძლო იმის საშიშროება დაენახა, რომ ერეკლე ამ ფაქტს მის წინააღმდეგ გამოიყენებდა. ამიტომ მან გარკვეული დათმობებით მოახერხა განმდგართა დაშოშმინება და საიმპერატორო კარის წარმომადგენლის კაპიტან პორუჩიკ ლვოვის მეშვეობით, რომელიც ჯარის გაყვანის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების განკარგულებით საქართველოში დარჩა, ერეკლესთან შერიგება ითხოვა. ამ წინადადებით მაშინვე ისარგებლა ერეკლემ და იმერეთის მეფე ახალციხეზე ერთობლივ ლაშქრობაზე დაითანხმა. უნდა ვიფიქროთ, ამ ლაშქრობით ერეკლე რამდენიმე საკითხის გადაწყვეტას აპირებდა: ჯერ ერთი, რუსეთს ერთგულებას დაუმტკიცებდა და იქ გაგზავნილი ელჩობის წარმატებას შეამზადებდა (მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ საიმპერატორო კარმა მფარველობაში მიღებაზე მას უარი უთხრა), მეორეც, თურქეთს თავის ძალას დაანახებდა და მისდამი ანგარიშის გაწევის აუცილებლობაში დაარწმუნებდა. წარმატების შემთხვევაში რუსეთ-

---

[50] А. Цагарели. Грамоты... т. I, გვ. 361—362.

თურქეთის მოლაპარაკების დროს შეიძლება ახალციხის საფაშოს საკითხი დამდგარიყო და მთლიანად თუ არა მისი გარკვეული ნაწილი მაინც, შემოეერთებინა.

1773 წლის ივნისის ბოლოს ერეკლე და სოლომონი ერთმანეთს შეხვდნენ და მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულება გააფორმეს. ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ მეფეები დაივიწყებდნენ ურთიერთსამდურავს, დაეხმარებოდნენ ერთმანეთს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში (როგორც ჩანს, აქ იგულისხმებოდა არა მარტო თავდაცვითი, არამედ შეტევითი ბრძოლებიც), გადასცემდნენ ერთმანეთს განმდგარ ქვეშევრდომებს, დაეხმარებოდნენ შინაამბოხების აღკვეთაში, გაუწევდნენ ერთმანეთს ყოველგვარ საჭირო დახმარებას[51]. ამ ხელშეკრულების ძალით, აღნიშნულ შეხვედრაზე გადაწყდა ახალციხის საფაშოზე ერთობლივი შეტევაც.

1773 წლის ოქტომბერში მოკავშირეები გორთან შეერთდნენ, აქედან კი 11-ათასიანი ლაშქრით თრიალეთიდან ჯავახეთში შეიჭრნენ. უცნობია, ლაშქრობის როგორი გეგმა შეიმუშავეს მეფეებმა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ტოტლებენთან ერთად განხორციელებული ლაშქრობის დროს, ერეკლეს გეგმა, რომელიც გენერალმა უარყო, იმაში მდგომარეობდა, რომ მოკავშირეთა ჯარები უნდა შეჭრილიყვნენ მტრის ტერიტორიაზე, დაეკავებინათ რაც შეიძლება მეტი სოფლები, აქედან აეღოთ სურსათი, და ამის შემდეგ დაეწყოთ ციხეების გარემოცვა. საკვირაუდოა, რომ ამჯერად ლაშქრობა ერეკლეს გეგმით ხორციელდებოდა. ყოველ შემთხვევაში, მის პირველ ეტაპზე ქართველები ძირითადად თარეშის ხასიათის ოპერაციებს აწარმოებდნენ და არტაანამდეც კი მივიდნენ. როგორ წარიმართებოდა საქმე შემდგომში ძნელი სათქმელია, მაგრამ აქ მეფე სოლომონის მოულოდნელი ავადმყოფობის გამო ლაშქრობა შეწყდა.

არავინ იცის, რამდენად გულწრფელი იყო სოლომონის ავადმყოფობა. თუ მოკავშირეები თარეშითა და ნადავლით დაკმაყოფილებას არ ფიქრობდნენ და ახალციხის საფაშოს (ან მისი ნაწილის) დაკავებას სერიოზულად აპირებდნენ, მაშინ ნაკლებად დასაჯერებელია, რომ სოლომონი მის წარმატებაში დაინტერესებული ყოფილიყო. ამ ლაშქრობის ინიციატივა, გეგმა და მარშრუტი ერეკლეს შედგენილი იყო, სოლომონი 1773 წლის ხელშეკრულების ძალით თითქოს ერეკლეს დამხმარის როლში გამოდიოდა. თუ ეს ასეა, მაშასადამე, შემოერთებულ

[51] А. Цагарели. Грамоты... т. I, с. 337—338.

ტერიტორიებსაც ქართლ-კახეთის მეფე დაიკავებდა, მათზე კი, როგორც აღინიშნა, პრეტენზია (ამჯერად აშკარად თუ ფარულად) სოლომონსაც ჰქონდა.

ქართლ-კახეთისა და იმერეთის კავშირმა დადიანის მდგომარეობა გაართულა. ერეკლეს მხარდაჭერის გარეშე მას სოლომონის წინააღმდეგობა გაუჭირდებოდა, ამიტომ ერეკლეს რჩევით და, უნდა ვიფიქროთ, საკუთარი სურვილითაც, მან, მიუხედავად თურქეთის მხრიდან სათანადო მოწოდებისა, მონაწილეობა არ მიიღო ახალციხის საფაშოს მიერ იმერეთში მოწყობილ დამსჯელ ექსპედიციაში, რამაც სოლომონს დიდად შეუწყო ხელი 3700-კაციანი დამსჯელი რაზმის სასტიკად გაანადგურებაში.

მაგრამ ერეკლესა და სოლომონის კავშირს დიდი დღე არ ეწერა. ამასობაში ქართლ-კახეთის მეფეს საიმპერატორო კარისგან მფარველობაში მიღებაზე უარი მოუვიდა. მალე საქართველოში რუსეთსა და თურქეთს შორის გაფორმებული საზავო ხელშეკრულების ამბავიც შეიტყვეს. მართალია, ამ ხელშეკრულებაში ერეკლეს ინტერესები, რომლებისთვისაც იგი ამ ომში ჩაება, გათვალისწინებული არ ყოფილა, მაგრამ ახლა ისიც დიდი საქმე იყო, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატის XXIII მუხლი მას საშუალებას აძლევდა თურქეთთან ურთიერთობა მოეგვარებინა. კერძოდ, მოცემულ მუხლში აღნიშნული იყო, რომ „... ბრწყინვალე პორტა თავის მხრივ ვალდებულებას კისრულობს, პირველი არტიკულის შინაარსის მსგავსად, მისცეს სრული ამნისტია ყველა იმას, ვინც იმ მხარეში ამ ომის მსვლელობაში იგი შეურაცხყო“.[52]

არსებობს ცნობა, რომ როდესაც რუსეთის წარმომადგენელმა ერეკლეს ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების პირობები გააცნო, მეფეს კმაყოფილება გამოუმჟღავნებია. რაკი ხელშეკრულებაში საქართველო ნახსენები არ არის, ერეკლეს კმაყოფილების საფუძველი თითქოს არ უნდა ჰქონოდა. ამიტომ ვარაუდობენ, რომ მას ტრაქტატის ტექსტი ზუსტად არ აცნობეს და რაღაც შეცვლილი ვარიანტი შეაჩეჩეს. საქმე კი ის არის, რომ მართალია, იმ მიზნების თვალსაზრისით, რომლებისთვისაც ერეკლე ომში ჩაება, ხელშეკრულება კმაყოფილების საფუძველს მართლაც არ იძლეოდა, მაგრამ თუ იმ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, რომელშიც ქართლ-კახეთის მეფე ომის შედეგად ჩავარდა და იმ საშიშროებებს, რომელიც მას დაემუქრა, ამ დოკუმენტის გაც-

---

52 ი. ც ი ნ ც ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

ნობით მას არ შეიძლება ერთგვარი შვება არ ეგრძნო. ერთი მხრივ, მართალია, საიმპერატორო კარმა იგი მფარველობაში არ მიიღო, მაგრამ ლმობიერად მოექცა და საჩუქრები გამოუგზავნა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას „შეცდომები“ შეუნდვეს და ტახტიდან გადაყენებას არ უპირებდნენ; მეორე მხრივ, აღნიშნული მუხლის ძალით, იგი პორტასგანაც შეწყნარებული იყო. და, ამრიგად, მასთან შერიგების გზა ეხსნებოდა. ახლა ერეკლეს თურქეთის განაწყენება აღარ აწყობდა და მისდამი პოლიტიკის შეცვლას იწყებდა. ამით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ იმერეთში შემოჭრილი ახალციხის ლაშქრის განადგურებაში მან მონაწილეობა არ მიიღო. მართალია, როგორც ხელშეკრულება ვალდებდა, იმერეთის მოწოდებისთანავე მან ჯარები შეკრიბა, მაგრამ ადგილზე მაშინ ჩავიდა, როცა სოლომონს საქმე უკვე დამთავრებული ჰქონდა. არ ვიცით სოლომონმა როგორ შეაფასა ერეკლეს მოქმედება, მაგრამ, ფაქტია, იმერეთის მეფეს რაიმე უკმაყოფილება არ გამოუმჟღავნებია. მას შეეძლო ამისთვის ყურადღება არც მიექცია, მით უმეტეს, რომ ერეკლემ მას გარკვეული მხარდაჭერა მაინც აღმოუჩინა იმით, რომ დადიანს იმერეთის წინააღმდეგ გამოსვლის უფლება არ მისცა. სოლომონმა კი დამოუკიდებლად მოახერხა ბრწყინვალე გამარჯვების მოპოვება და, სრულიად უმნიშვნელო ზარალის ფასად, მეტად დიდი ნადავლიც ჩაიგდო ხელში, რომელიც, ისევე როგორც გამარჯვების დიდებაც, შეეძლო სხვისთვის არ გაენაწილებინა.

აღვნიშნეთ, რომ რუსეთ-თურქეთის ომის (1768—1774 წწ.) პერიოდში საქართველოში ერთმანეთს გადაეჯდო იმპერატრიცა ეკატერინე II-ის, ერეკლე II-ის, სოლომონ I-ის, დადიანისა და გურიელის ინტერესები. თითოეული მათგანი განსხვავებული (ტერიტორიით, ქვეშევრდომებით, პოლიტიკური ძალაუფლებით, სამხედრო პოტენციალით) მფლობელები იყვნენ, მაგრამ მათ ერთი ტრადიციული მტერი — ოტომანთა პორტა ჰყავდათ, რომლის განადგურებას, დასუსტებასა და მის ხარჯზე გაძლიერებას ისახავდნენ მიზნად. მათ ინტერესთა ერთობა აკავშირებდათ. მაგრამ როცა საქმე ამ ამოცანების განხორციელებასა და იმ სარგებლის განაწილებაზე მიდგა, რომელიც ამის შედეგად თითოეულს შეიძლებოდა მიეღო, გამოირკვა, რომ მოკავშირეთა შორის თანხმობა არ იყო. ყოველი მათგანი ცდილობდა, რომ ნაკლები მატერიალური თუ ფიზიკური ზარალის ფასად, მეტი სარგებლობა ენახა. ამან განსაზღვრა მათ შორის უკმაყოფილება და ზოგჯერ შუღლიც. ამაში მოულოდნელი და უჩვეულო არაფერია, კლასობრივი და, მით უმეტეს, ფეოდალური სახელმწიფოების ურთიერთობა არასოდეს დამ-

ყარებულა საერთო იდეის, კაცთმოყვარეობისა თუ სხვა ალტრუისტური მისწრაფებების საფუძველზე. ამგვარი ლოზუნგების უკან ჩვეულებრივ სხვადასხვა მფლობელთა ეგოისტური (საკუთარი თუ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით) მისწრაფებები იმალება. ამგვარი მისწრაფებებით მოდიოდა საქართველოში ცარიზმის ხელისუფლება. ამან განაპირობა ის ურთიერთობა, რომელიც მან ადგილობრივ ხელისუფლებთან დაამყარა, რომლებიც მას ამ თვალსაზრისით მხოლოდ იმიტომ ჩამორჩებოდნენ, რომ გაცილებით სუსტები იყვნენ, მისწრაფებები მათაც იგივე ჰქონდათ. მაგრამ მეფეების, დინასტიებისა თუ ხელისუფალთა ურთიერთობების იქით ისახებოდა და მტკიცდებოდა ურთიერთობა უბრალო, მშრომელი ადამიანებისა, ხალხებისა, რომელთა იდეალები ყოველთვის, ყველგან მსგავსი იყო — სურვილი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისა, მატერიალური კეთილდღეობისა და ეროვნული, რელიგიური თუ სოციალური თავისუფლებისა.

რუს ხალხს საქართველოში წარმოადგენდა არა ტოტლებენი, სუხოტინი თუ სხვა უცხოელი და არაუცხოელი რეაქციულად განწყობილი ოფიცერი, არამედ ის რუსი ჯარისკაცები, რომლებიც საქართველოს საზღვრებთან, ქართულ ციხეებთან ჩაუცმელი, ფეხშიშველი, ხშირად მშიერიც კი, საქართველოს ტრადიციულ მტრებს ებრძოდნენ, გმირობისა და მამაცობის სასწაულებს ახდენდნენ და ხელმწიფე იმპერატორის სახელით, ქართულ ეროვნულ საქმეს აკეთებდნენ, რითაც ქართველ და რუს ხალხს შორის დიდი ხნის წინად აგებული მეგობრობის ხიდს საკუთარი სისხლით ადუღაბებდნენ და ამტკიცებდნენ.

ქართველები მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობით იგონებდნენ ათასობით რუს ჯარისკაცს, რომლებიც ფოთის, ქუთაისისა და სხვა ქართულ ციხეებთან დაეცნენ და სამშობლოდან დაშორებით, ქართულ მიწაში პოვეს საუკუნო განსასვენებელი. ქართველები მადლიერების გრძნობითა და აღფრთოვანებით უყურებდნენ იმ 200 რუს ჯარისკაცს, რომელმაც პალიასტომის ტბასთან 6000-იანი თურქული ლაშქარი უკუაქცია; ამგვარი ეპიზოდები ამ ომის მსვლელობაში არაერთი იყო. თავის მხრივ, რუს ჯარისკაცებს არ შეეძლოთ არ დაენახათ ის თავდადება, რომლითაც ქართველი მეომრები მამაცურად შეიჭრნენ თურქული ლაშქრის ზურგში, რომელიც ფოთის ციხესთან დაბანაკებული რუსული რაზმების წინააღმდეგ მოემართებოდა და ამით მოკავშირეები და მოძმეები განადგურებას გადაარჩინეს; ასევე არ შეეძლოთ არ დაეფასებინათ ის თავგანწირვა, რომლითაც ღარიბ-ღატაკი ქართველი გლეხები თავისთვის, თავისი ოჯახისთვის ისედაც მცირე ულუფას იკლებდ-

ნენ, რათა პური, ხორცი თუ სხვა სანოვაგე რუსი თანამოძმეებისათვის გაენაწილებინათ. ეს იყო გულწრფელი, უანგარო და ამდენად მტკიცე და სამუდამო მეგობრობა მშრომელი ადამიანებისა, რომელთაც გულით ესმოდათ ერთმანეთის, და მათ კეთილგანწყობილებას ვერავითარი პოლიტიკა, ვერავითარი ბრძანებები ვერ შეცვლიდა. ამიტომ იყო, რომ ბევრმა რუსმა ჯარისკაცმა საქართველოში დარჩენის, ქართველი თანამოძმეების გვერდით ცხოვრების სურვილი გამოთქვა და, როდესაც რუსული რაზმები უკან სამშობლოში გაიწვიეს, ისინი ათასგვარი საშუალებებით ცდილობდნენ საქართველოში დარჩენას. საგულისხმოა, რომ ქართველი გლეხები, მებატონეები და თვით ხელისუფლებაც კი რუს ჯარისკაცთა მისწრაფებას სიამოვნებით უწყობდნენ ხელს და ცდილობდნენ ამგვარი სურვილის მქონე რუსი ადამიანები დაემალათ, შეეფარებინათ. ურთიერთსიახლოვის, ურთიერთგაგების, ერთად ცხოვრებისა და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მისწრაფება და მონდომება რუს და ქართველ მშრომელებს შორის ძლიერი იყო. ამიტომ იყო, რომ ქართველმა ხალხმა უდიდეს ტრაგედიად მიიღო რუსეთის ხელისუფალთა გადაწყვეტილება საქართველოდან რუსი ჯარის გაყვანისა: თქვენი უდიდებულესობის გასვლამ ჩვენ უდიდეს უბედურებაში ჩაგვაგდო და ამის გამო, ჩვენ ისეთ მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში ვართ, როგორც სულით ხორცისაგან დაცილების დროს ხდება ხოლმე[53] — სწერდა ერეკლე II რუსეთის იმპერატრიცას და ამით მთელი ქართველი ხალხის აზრს გამოხატავდა.

რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა, დამტკიცდა და გაძლიერდა რუსი და ქართველი ხალხების საუკუნო მეგობრობა.

---

[53] А. Цагарели. Грамоты..., т. I, с. 328.

8. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების ცდა

რუსეთ-თურქეთის ომმა გამოამჟღავნა და გაამწვავა თურქეთის სახელმწიფოს დიდი ხნით ადრე დაწყებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი.

თურქეთის ძლიერების დაცემა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დაიწყო, XVII საუკუნეში კი ეს პროცესი მნიშვნელოვნად გაღრმავდა.

საუკუნეების მანძილზე თურქ ფეოდალთა სიმდიდრის მთავარი წყარო სამხედრო დავლა, ტყვეები და ხარკი იყო, ხოლო სახელმწიფოს ფუნქცია დაპყრობილ ხალხებსა და თურქ მშრომელებზე პირდაპირ სამხედრო ძალადობაში გამოიხატებოდა. ყველაფერი ეს დამყარებული იყო თურქული არმიის ბრძოლისუნარიანობასა და ძლევამოსილებაზე. ეს არმია მიწისმფლობელობის ლენურ სისტემას ეყრდნობოდა, რომელიც თანდათანობით იშლებოდა. ამ სისტემის არსი და სიმტკიცე თავისთავად სამხედრო ფეოდალური სახელმწიფოს ხასიათით იყო განპირობებული. რაკი ფეოდალის ძირითადი შემოსავალი ომები და სამხედრო ნადავლი იყო, შესაბამისად ერთგვარად შერბილებული იყო საკუთრივ ფეოდალური ექსპლოატაცია და ამ გზით მიღებული დოვლათი ფეოდალისათვის დამატებით ხასიათს ატარებდა. მაგრამ დაპყრობითი ბრძოლების ასპარეზი თანდათან მოისპო, დაპყრობილი ხალხების წინააღმდეგობა კი განუზომლად ძლიერდებოდა, შესაბამისად მცირდებოდა ქვეყნის გარედან მუქთი დოვლათის მიღების შესაძლებლობა, ეს კი ქვეყნის შიგნით ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერებას განაპირობებდა, რაც, თავის მხრივ, საპასუხო ღონისძიებებს იწვევდა.

სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი თანდათან ღრმავდებოდა. იმის გამო, რომ ეს კრიზისი წარმოების წესში მიმდინარე ცვლილებებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ თვით ამ წესში არსებული წინააღმდეგობით, იგი ახალი ურთიერთობის წარმოშობას არ იწვევდა და ამდენად ფეოდალიზმის ჩარჩოებში იკეტებოდა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ აღნიშნული პროცესი გახანგრძლივდა და მთელი XVIII საუკუნის განმავლობაშიც გრძელდებოდა.

საშინაო-ლენური სისტემის დაშლა თურქეთის სამხედრო ძლიერების დაცემას განაპირობებდა. ამასობაში კი ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება გაცილებით სწრაფად მიდიოდა წინ, ახალი ურთიერთობები აქტიურად იკაფავდნენ გზას და თანდათანობით თურქეთი სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ჩამორჩა არათუ ევროპის მოწინავე ქვეყნებს, არამედ მის ქვეშევრდომ თუ შემადგენლობაში მყოფ ხალხებსაც კი. ცალკეულ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა ღონისძიებები, ქვეყნის სამხედრო პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებას რომ ისახავდნენ მიზნად, დროებით ხასიათს ატარებდნენ და ჩქარა ფერხდებოდნენ მმართველ წრეებში გაბატონებული მომხვეჭელობის, გახრწნილობის, კორუპციისა და ფეოდალური სეპარატიზმის დამღუპველი სენის გამო.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თურქეთის სახელმწიფოს ყველა ტრადიციულმა მანკმა უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ბევრი ოლქის გამგებელი ნახევრად დამოუკიდებელ მმართველებად ქცეულიყვნენ და ცენტრალური ხელისუფლებისადმი დამორჩილებას არც აპირებდნენ, საკუთარ ფულს ჭრიდნენ და ძალაუფლებას მემკვიდრეობით გადაცემდნენ. მაგალითად, ბაღდადის ახმედ-ფაშამ თავი ფაქტობრივად დამოუკიდებლად გამოაცხადა, პორტას არავითარ გადასახადს არ უხდიდა, არ აწვდიდა სამხედრო კონტინგენტს, ხოლო როცა სულთანმა მისი გადაყენება და დასჯა დააპირა, მან სულთნის მოხელე დაიჭირა, და მისი მოჭრილი თავი კონსტანტინოპოლში გაგზავნა. ბაღდადის ფაშას სეპარატისტულ განწყობილებაში არც სხვა ფაშები ჩამორჩებოდნენ. ანალოგიურ მასშტაბს მიაღწია კორუპციამ. უმაღლესი თანამდებობებიც კი ოფიციალურად იყიდებოდა. მაგალითად, მოლდავეთის ან ვლახეთის გოსპოდარობა 5-6 მილიონი მანეთი ღირდა. ოფიციალურად იყიდებოდა მსაჯულის თანამდებობა. მოსამართლეთა მოქრთამვა აშკარად ხდებოდა. სახელმწიფო დაწესებულებებში ქრთამი ოფიციალურად იღებოდა და აღრიცხებოდა. უმაღლესი ვეზირის თანამდებობაზე 2-3 წელი თუ შეიძლებოდა გაჩერება. ხშირად წელიწადში რამდენიმე უმაღლესი ვეზირი იცვლებოდა, ამიტომ ვინც ამ თანამდებობაზე მოხვდებოდა, პირველ რიგში, იმას ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ქონება მოეხვეჭა, ხოლო რადგან ჩვეულებრივ მათი გადაყენება სიკვდილით დასჯით მთავრდებოდა, ასევე სასწრაფოდ ცდილობდა მოპოვებული ქონების ფუფუნებასა და გახრწნილებაში გაფლანგვას.

გლეხობა ფეოდალური ექსპლოატაციის ქვეშ გმინავდა. მას 100-მდე დასახელების ბეგარა-გადასახადი აწვა კისერზე. მათ სიმძიმეს კი-

დევ უფრო აძლიერებდა გადასახადების საიჯარო სისტემა, რომელიც რამდენჯერმე გადაიყიდებოდა და ამდენჯერვე მძიმდებოდა. განსაკუთრებით მძიმე იყო ქრისტიანი მოსახლეობის მდგომარეობა. გლეხთა სტიქიური გამოსვლები ერთმანეთს ცვლიდა და მათში უკვე მუსულმანური მოსახლეობაც მონაწილეობდა. მაგალითად, 1767 წელს აჯანყებები მოხდა ყარსსა და აიდანში, ყარსში აჯანყებულებმა ფაშა მოკლეს, აიდანში — გადასახადის ამკრეფი.

კრიზისმა განსაკუთრებით თურქეთის სამხედრო პოტენციალში იჩინა თავი. გადმოგვცემენ, სულთნის სამხედრო მრჩეველი ბარონი ტოტი კონსტანტინოპოლის არსენალში რომ შევიდა, გაოგნებული დარჩა თურქული იარაღის უსუსური მდგომარეობით. ოდესღაც განთქმული თურქული არტილერია 200 წლით ჩამორჩებოდა ევროპულ დონეს. განსაკუთრებით გაიხრწნა არმია. იანიჩარია კორპუსი, რომელიც სულთნის ძირითადი დასაყრდენი იყო, თავხედობის, ძალადობის, ძარცვა-გლეჯის რეაქციის ბუდედ ქცეულიყო. მკვეთრად იყო შემცირებული სხვა შენაერთების დისციპლინა და ბრძოლისუნარიანობა. რუსეთ-თურქეთის ომმა გამოამჟღავნა თურქეთის ერთ დროს სახელგანთქმული ფლოტის უსუსურობაც.

რუსეთის წინააღმდეგ ომი ოტომანთა პორტამ საფრანგეთის წაქეზებით წამოიწყო, რათა რუსეთის მხრიდან შავ ზღვაზე თურქეთის მონოპოლიური მდგომარეობის ხელყოფა არ დაეშვა, მაგრამ სულთნის კარმა სისუსტის გამო, საომარი მოქმედების დაწყება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეძლო. რუსეთი თურქეთზე გაცილებით ძლიერი იყო როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად და, ცხადია, თურქეთს ვერც საფრანგეთის ფინანსურმა და ვერც სხვა ქვეყნების მორალურმა მხარდაჭერამ უშველა. მართალია, ამიერკავკასიის ფრონტზე რუსეთმა არსებითი წარმატება ვერ მოიპოვა, მაგრამ სამხრეთ (ყირიმი) და სამხრეთ დასავლეთის (დუნაი) ფრონტებზე მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებებმა და ხმელთაშუა ზღვაში რუსეთის ფლოტის მოქმედებამ. თურქეთის სრული მარცხი განაპირობა. საქმეში ავსტრიისა და პრუსიის ჩარევამ და რუსეთში გლეხთა ომის მოახლოებამ გაუადვილა ოტომანთა პორტა სრულ კატასტროფას.

1774 წელს, 10 ივლისს ქუჩუკ-კაინარჯთან დადებული ზავით რუსეთმა გამარჯვება იზეიმა. მან არა მარტო ტერიტორიები მიიღო (დნეპრსა და სამხრეთ ბუგს შორის არსებული მიწები, აზოვისპირა მიწების ნაწილი ქერჩითა და ენიკალეთი, აგრეთვე ყაბარდო), არამედ აზოვისა და შავ ზღვაში ნაოსნობისა და სრუტეებში დაუბრკოლებლად

გასვლის უფლებაც დაიკანონა. თურქეთმა სცნო ყირიმის დამოუკიდებლობა (რაც ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის რუსეთის მიერ მომავალი შემოერთების საწინდარი იყო) და 4,5 მილიონი მანეთის კონტრიბუცია იკისრა.

1774 წელს თურქეთში სულთანი შეიცვალა. ტახტზე ავიდა აბდულ ჰამიდი, უსუსური და უპრინციპო ადამიანი. იგი მანამდე, პოლიტიკური იზოლაციის მიზნით, 38 წლის განმავლობაში საპყრობილეში იყო და ამის გამო სახელმწიფოს მართვის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა. ასეთ ვითარებაში დამარცხებულ თურქეთს არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაც სანატრელი ჰქონდა ისე, რომ მისი მოწინააღმდეგეებისა და განმდგარი ქვეშევრდომების დასჯას არც აპირებდა. თუ ამ მიმართულებით დასავლეთ საქართველოში რაიმე აქციას მაინც ჰქონდა ადგილი, ეს მხოლოდ ახალციხის ფაშას ინიციატივით ხდებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ერეკლეს პორტასთან ურთიერთობის მოგვარება არ გასჭირვებია, ახლა მას შეეძლო სახანოებთან და ირანთან ურთიერთობისათვის მიეხედა და საშინაო მდგომარეობის განმტკიცებაზე ეზრუნა.

პოლიტიკური ძალაუფლების სისუსტე და მოსალოდნელი შინაამღილობის შიში ირანის ქერიმ-ხანს აიძულებდა ამიერკავკასიის საქმეებში ლოიალობა გამოეჩინა. ამიერკავკასიის ბევრი სახანო საერთოდ, გამოვიდა მისი ქვეშევრდომობიდან. ერეკლე უფრო დიპლომატიურად მოიქცა: ფორმალური სიუზერენისათვის განაწყენების საბაბი რომ არ მიეცა, რუსეთს თავიდანვე ირანზე დიპლომატიური ზემოქმედება მოსთხოვა, რათა საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლა მას თავის საწინააღმდეგო აქციად არ მიეღო. თავის მხრივ, ირანი, რომ არ გაენაწყენებინა და საწინააღმდეგო მოქმედების საშიშროება აღეკვეთა, ომში მონაწილეობის წინ ერეკლემ მოიგონა ქერიმ-ხანის არაერთგზისი თხოვნა და მას „60 მეომარი და სამი ოფიცერი“ გაუგზავნა, რითაც ირანს გამგებელი დიდად გაახარა. ქართველი მეომრები ქერიმმა თავის პირად გვარდიაში ჩარიცხა და მათ განსაკუთრებული პატივით ექცეოდა[1].

მართალია, ერეკლე რუსეთთან ერთად ირანის ტრადიციულ მტერს — თურქეთს ებრძოდა, მაგრამ „ქვეშევრდომის“ ზედმეტი გაძ-

---

[1] О. Маркова. Россия, Закавказье и Международные отношения в XVIII веке, М., 1966, с. 145.

ლიერება ირანს არ აწყობდა და ერეკლეს თურქეთთან შერიგებას ურჩევდა, თუმცა რუსეთისადმი ლოიალური დამოკიდებულებისა და თავისი სისუსტის გამო უფრო შორს მიმავალი აქციებისაგან თავს იკავებდა. ამიტომ მან არ მიიღო სულთნის არაერთგზისი თხოვნა რუსეთის საწინააღმდეგო კავშირის შეკვრის შესახებ. ომის შემდგომ კი ქართლ-კახეთის მეფეზე თავისი განაწყენება მხოლოდ იმით გამოხატა, რომ თავშესაფარს აძლევდა ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც ქართლის ტახტის დაბრუნების პრეტენზიას არ თმობდა.

ამასობაში ირანს ბაღდადის ომერ-ფაშასთან, რომელიც ოსმალეთის მორჩილებიდან გამოსულიყო, დამოკიდებულება გაურთულდა და 1775 წლის დასაწყისში მის წინააღმდეგ 30000-იანი ლაშქარი გაგზავნა. მართალია, ამ ომში ქერიმ-ხანმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა და 13-თვიანი ალყის შემდეგ ქალაქი ბასრაც აიღო, მაგრამ ამას დიდი ფიზიკური და მატერიალური ძალები შეალია და საქართველოსათვის უკვე აღარ ეცალა.

ერეკლეს შეეძლო მეტნაკლებად დამშვიდებით ქვეყნის საშინაო საქმეებისათვის მიეხედა.

რუსეთის ჯარის საქართველოში ყოფნით ქართველებმა თვალნათლივ დაინახეს და საქმეში გამოცადეს, თუ რას წარმოადგენდა რეგულარული არმია და მის უპირატესობაში დარწმუნდნენ.

რეგულარული ლაშქრის შექმნის თავისებური ფორმების ძიებას საქართველოში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 50-იან წლებში ჰქონდა ადგილი. 60-იან წლებში ერეკლე ლაშქრის ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნისათვის ღონისძიებებს იღებს და ამ საქმეში იყენებს ევროპელ სომეხს — იოსებ ემინს, რომელსაც სამხედრო განათლება ინგლისში ჰქონდა მიღებული[2]. 1773 წელს კი სახელმწიფო დარბაზმა შეიმუშავა და დაამტკიცა „მორიგე ლაშქრის“ დაარსების განაჩენი, ანუ წესდება, რომელიც 1774 წლის დასაწყისიდან ძალაში შევიდა[3]. „მორიგე ლაშქრის“ ორგანიზაციის საქმეს ქართლ-კახეთის მეფემ სათავეში ჩაუყენა ნიჭიერი და ენერგიული ბატონიშვილი ლევანი, რომელიც, როგორც ჩანს, რუსეთის საიმპერატორო კარზე ელჩად ხანგრძლივად ყოფნის პერიოდში დროს უქმად არ კარგავდა და რუსეთის სახელმწიფოს პროგრესულ სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხებს

---

[2] А. Иоаннисян. Иосиф Эмин. Ереван. 1945. с. 137.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 529—530.

გულდაცით სწავლობდა[4]. ერეკლემ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიების შედეგად მოახერხა 5000-იანი ლაშქარი მუდმივ მზადყოფნაში ჰყოლოდა.

ქართლ-კახეთის მეფე ჯერ კიდევ 50-იან წლებში ცდილობდა არტილერიის შექმნას და საქართველოში ზარბაზნების ჩამოსხმის საიდუმლოების მოგვარებას. საქართველოში რუსული კორპუსის მოქმედების პერიოდში ქართლ-კახეთის მეფე შეეცადა ამ საქმეში რუსი და რუსეთში განათლება მიღებული (გადასახლებული) ქართველი სპეციალისტები გამოეყენებინა და ამ მიმართულებით ნაბიჯებიც გადადგა. მაგრამ ერეკლეზე განაწყენებულმა ეკატერინე II-ის მთავრობამ, რომელსაც მომავალი ქვეშევრდომის ზომაზე მეტად გაძლიერება არ აწყობდა, ეს საქმე მოხერხებულად ჩაშალა. მიუხედავად ამისა ერეკლემ ენერგიული ზომებით მაინც შეძლო აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა და 80-იანი წლებისათვის მას უკვე ჰქონდა ევროპულად გამართული არტილერია.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამთამადნო საქმის მოგვარებას, რომელსაც ერეკლემ საფუძველი 1774 წელს ჩაუყარა. სპილენძისა და ვერცხლის მადნების დამუშავებამ ქვეყნის ხაზინა მნიშვნელოვნად გაამდიდრა. ამ გზით სახელმწიფო შემოსავალი დაახლოებით 20%-ით გაიზარდა. მადნების დამუშავებამ შესაბამისი ხელოსნობის გაძლიერებასაც მისცა დასაბამი. ყველაფერ ამას ემატებოდა ღონისძიებები სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების, ვაჭრობის გამოცოცხლების, სოციალურ ურთიერთობათა მოწესრიგების, პოლიტიკური წყობილების გაუმჯობესების, დაცლილი და გაპარტახებული სოფლების მოშენების საქმეში. ამ ღონისძიებების შედეგად ქვეყანას შესაძლებლობა მიეცა წარმატებით ებრძოლა ლეკთა გამუდმებული. გამანადგურებელი შემოსევების წინააღმდეგ, ამ პროცესის დამღუპველი შედეგები აღეკვეთა და ამიერკავკასიაში აქტიური პოლიტიკის განხორციელება დაეწყო.

ერეკლესა და სხვა ქართველ პროგრესულ მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ საშინაო საქმეებში მიღებული წარმატებები, შექმნილი ხელსაყრელი საგარეო ფაქტორებით იყო გაადვილებული. მათ შეცვლას, რაც ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი, შეეძლო ამ წარმატე-

---

4 ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. თბ., 1914, გვ. 11.

გათა მნიშვნელობა ნულამდე დაეყვანა. დაშლილი და დაქუცმაცებული ქვეყანა ყოველი მხრიდან შემომდგარ ბეტერს ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომ ისინი ერთი წუთითაც არ ივიწყებდნენ ქვეყნის გაერთიანების დასახულ პროგრამას. რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობამ ამ თვალსაზრისით მათ არსებითი წარმატება ვერ მოუტანა. მიუხედავად ამისა, ისინი რუსეთის ამ საქმეში გამოყენების იმედს არ ჰკარგავდნენ. მაკრამ რუსეთის საიმპერატორო კარი ამ ომის შემდგომ საქართველოსადმი ინტერესს აღარ იჩენდა. იგი დარწმუნდა, რომ იმჟამად თავის მიზნებს ამიერკავკასიაში მარტო ქართლ-კახეთის ხელით ვერ განახორციელებდა. ომის შემდეგ საქართველომ რუსეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა დაკარგა, ხოლო მისი შემოერთების საკითხი მომწიფებული არ იყო. საიმპერატორო კარსა და ერეკლეს ხელისუფლებას შორის ურთიერთობა შენელდა. მეტიც, ძველი მოკავშირეები ახლა ერთმანეთზე უმზრახად იყვნენ.

XVIII საუკუნის 70-იან წლებში აზერბაიჯანის სახანოებში პირველობისათვის ბრძოლაში ერეკლეს ძლიერი კონკურენტი გაუჩნდა ფათალი-ხანის სახით. ამ რეგიონში თანდათანობით ძალაუფლების განმტკიცების მიზნებმა საიმპერატორო კარისა და ფათალი-ხანს ინტერესები ერთმანეთს დაუკავშირა. 1775 წელს რუსთა ჯარმა ფათალი-ხანის მიწვევით დარუბანდი დაიჭირა. ერეკლემ სწრაფად შეაფასა ვითარება. მან ამ აქტში რუსეთის მხრიდან ირანის საწინააღმდეგო მოქმედება დაინახა და მისი საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება სცადა: ქართლ-კახეთის მეფემ რუსეთის ჯარის გენერალს დე მედემს ერთობლივი მოქმედება შესთავაზა, შირვანისკენ გამოლაშქრება და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობის შესაძლებლობა დაუმტკიცა. ერეკლეს პირველი მიზანი ამ ლაშქრობით დაღესტნის შევიწროება და ამის შედეგად ჭარ-ბელაქნის შემოერთების საკითხის გადაწყვეტა იყო[5]. პეტერბურგში კი მედემის მოქმედება თვითნებობად მიიჩნიეს და მას სასწრაფოდ დარუბანდის დაცლა უბრძანეს. საიმპერატორო კარის დამოკიდებულება ერეკლეს წინადადებებისადმი სრულიად გარკვეული იყო: „ირაკლი დღესაც იმას ცდილობს, რომ აქაური (იგულისხმება რუსეთის — მ. ს.) დახმარებით საკუთარი ძალაუფლების მოყვარულობა დაიკმაყოფილოს, რაც ჯერ კიდევ ნაწილობრივ ჩვენი ჯარების საქართველოში ყოფნის დროსაც გამომჟღავნდა

---

5 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, 1973, გვ. 446.

და უკვე არავითარ ყურადღებას არ იმსახურებს"[6]. საიმპერატორო კარის დიდი მოხელეები ერეკლეს არაერთხელ იმპერატრიცას ინტერესებისადმი ორგულობაზეც კი მიუთითებდნენ.

ამასობაში კი ირანსა და თურქეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ორივე მხარე საომრად ემზადებოდა. მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რა პოზიციას დაიჭერდა ამ ომში ქართლ-კახეთის მეფე. საკუთარი ინტერესების, მოწინააღმდეგეთა ძალებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ერეკლეს თავისი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი უნდა დაეზუსტებინა. ირანიცა და თურქეთიც დესპანების, საჩუქრებისა და დაპირებების საშუალებით თავგამოდებით ცდილობდნენ ქართლ-კახეთის გაძლიერებული მეფის მიმხრობას.

ერეკლემ ოსმალეთის მიმხრობა გადაწყვიტა.

ეს ნაბიჯი იმდროინდელ ვითარებაში თითქოს არალოგიკური იყო. ირანის შაჰი ოფიციალურად ჯერ კიდევ ქართლ-კახეთის ხელმწიფედ ითვლებოდა. ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობის ტრადიციების მიხედვით ქართველებმა იცოდნენ, რომ ქართლ-კახეთისათვის ირანის ბატონობა უფრო იოლი ასატანი იყო, ვიდრე ოსმალეთისა. მაჰმადიანობის სუნიტური სექტა გაცილებით შემტევი და სხვა სარწმუნოებისადმი შეურიგებელი იყო. ირანი, მის გავლენაში ჯერ კიდევ მყოფი სახანოების მეშვეობით უშუალოდ ესაზღვრებოდა საქართველოს და ამდენად, მათზე დაყრდნობითა თუ საკუთარი ძალებით, მას ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება შეეძლო.

ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, თითქოს ქართლ-კახეთის მეფე ძალთა შესაძლებელ დაპირისპირებაში უპირატესობას ოსმალეთს ანიჭებდა, რამაც მისი ოსმალეთისადმი მიმხრობა განაპირობა. ვფიქრობთ, ამგვარი ახსნა საფუძველს მოკლებულია, რადგან რუსეთ-თურქეთის ომმა გამოააშკარავა, თუ რას წარმოადგენდა თურქეთის სამხედრო ძლიერება, ხოლო ბასრის აღებით ნათელი გახდა, რომ დასუსტებული ირანის ლაშქარი, ყოველ შემთხვევაში ოსმალეთისაზე სუსტი არ იყო. არც ის მოსაზრება უნდა იყოს სწორი, თითქოს ერეკლეს ნაბიჯი ირანის გავლენის სფეროდან გამოსვლით იყო ნაკარნახევი. ამგვარი მისწრაფება ცხადია არსებობდა, მაგრამ ამას მაშინ ექნებოდა აზრი, თუ იგი ქვეყნის სრული განთავისუფლებით, ან, ყოველ შემთხვევაში, უფრო პროგრესული ქვეყნის მფარველობაში შესვ-

---

[6] П. Бутков. Материалы для новой исторiи Кавказа, т. I, СПБ, 1869, с. 26.

ლით დაგვირგვინდებოდა. ყველა პირობა კი იმას მიგვანიშნებს, რომ ერეკლე არა მარტო გამოდიოდა ირანის ქვეშევრდომობიდან და მის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა ოსმალეთს, არამედ, ფორმალურად მაინც, სულთნის კარის უზენაესობასაც აღიარებდა.

დაბოლოს, ერეკლეს არ შეიძლება ანგარიში არ გაეწია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორისათვის, როგორიც ალექსანდრე ბატონიშვილი იყო. ქართლის ტახტის ეს უკვე რეაქციონერი პრეტენდენტი, ირანის კარზე იმყოფებოდა, ქართლის ტახტის ხელში ჩაგდების იმედს არ ჰკარგავდა, გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ემზადებოდა და საქართველოს რეაქციულ წრეებში მომხრეებს იკრებდა. ალექსანდრე ბატონიშვილის ნეიტრალიზება ადვილი საქმე არ იყო. ერეკლემ კარგად იცოდა და იგი ჩქარა ამაში თვალნათლივ დარწმუნდა, რომ ირანის დახმარებითა და ბხარდაჭერით მას დიდი ზიანის მოტანა შეეძლო.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ერეკლემ მაინც მიიღო ეს თითქოსდა არალოგიკური გადაწყვეტილება. ჩანს, ეს საკითხი მას უფრო ღრმად და შორს გამიზნულად ჰქონდა მოფიქრებული.

დასავლეთ საქართველოს დამორჩილების მრავალწლოვანმა ცდებმა თვალსაჩინოდ დაარწმუნა, რომ ამ საქმეში არსებითი წარმატების იმედი არ შეიძლებოდა ჰქონოდა. მას შეეძლო იმერეთის წინააღმდეგ ლაშქარი გამოეყვანა, შეეძლო ცალკეულ შეტაკებაში გამარჯვებისთვისაც მიეღწია (რაც ბოლო ხანებში მას სოლომონ ბეფის მოხერხებული საბრძოლო ტაქტიკისა და თავგამოდების გამო, სულ უფრო მეტად უჭირდა). შეეძლო დროებით ციხეები და ქალაქებიც დაეკავებინა. მაგრამ აქედან იგი ვერავითარ სარგებელს ნახულობდა. იმერლები, თავისი მამაცი და თავდადებული მეფის წინამძღოლობით, ბრძოლის ყოველგვარ ფორმას იყენებდნენ და დამორჩილებას სულაც არ აპირებდნენ. რამდენად სუსტი ვეზირებიც არ უნდა ჰქოლოდა სულთანს, იმის ანგარიში მაინც შეეძლოთ, თუ რა უჯდებოდა მას იმერეთის საწინააღმდეგო აქციები და რა სარგებელს იღებდა მათგან. როგორც მატერიალური ისე ფიზიკური და მორალური თვალსაზრისით ბალანსი სრულიად უარყოფითი იყო. რუსეთის წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლის გამოცდილებამ ოტომანთა პორტა იმაშიც დაარწმუნა, რომ მოწინააღმდეგე მასზე გაცილებით ძლიერი იყო, და მას ევროპის ქვეყნების დახმარებაც ვერაფერს შველიდა. რუსეთი შავ ზღვაზე გაბატონებისათვის იბრძოდა, ამ მიმართულებით მეთოდურად მიიწევდა წინ და საბოლოოდ თურქეთის სრულ განადგურებას ისახავდა მიზნად. რამდენად სუსტიც არ უნდა ყოფილიყო სულთნის დიპლომატია, იმას

ნაინც აშკარად ხედავდა, რომ რუსეთს საქართველოს სახით მის წინააღმდეგ მტკიცე დასაყრდენი ჰყავდა, რომლის მნიშვნელობა რუსეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში წინსვლის შესაბამისად თანდათან იზრდებოდა. მაშასადამე, საქართველოს საწინააღმდეგო პოლიტიკით თურქეთი ორმაგად ზარალდებოდა: ერთი მხრივ, მატერიალურ და ფიზიკურ სახსრებს ხარჯავდა ისე, რომ ქვეყნის დამორჩილების საქმეში არსებით წარმატებას ვერ აღწევდა, მეორე მხრივ, რუსეთს საშუალებას აძლევდა ამ რეგიონში ფეხი მოეკიდებინა და აქედან მის წინააღმდეგ გამანადგურებელი შეტევა ეწარმოებინა. ასეთ ვითარებაში, ცხადია, პორტას ერჩია ამიერკავკასიაში მეზობლად ჰყოლოდა ძლიერი ქართული სახელმწიფო, რომელიც მისდამი რაიმე ტერიტორიულ პრეტენზიას არ წამოაყენებდა, ხოლო თავის მხრივ მოცემულ რეგიონში თურქეთსა და რუსეთს შორის ბარიერის ფუნქციას შეასრულებდა და რუსეთის ფეხს მოკიდებას არ დაუშვებდა.

ჩვენი აზრით, ამგვარი ლოგიკით უნდა ყოფილიყო განპირობებული ქართლ-კახეთისა და ოსმალეთის დაახლოებისაკენ გადადგმული ნაბიჯები 70-იანი წლების მეორე ნახევარში.

1776 წლის ზაფხულში ერეკლე მეფის ელჩები სტამბოლში ჩადიან. დიდმა ვეზირმა ქართლ-კახეთის ელჩობა მიიღო „და დიდი პატივსცა: თუცა აქვნდა მრავალი წყენა მეფის ირაკლისა-გან გარნა დიდად მხიარულ-იქმნა ვეზირი მისვლისა-თვის ირაკლის ელჩისა, ცნობილ იყო მეფე ირაკლი ფრიად წინა-აღმდგომ ყოველსა ხვანთქრისა საბრძანებელთა შორის და ამის-გამო ესე ვითარითა პატივითა შეიწყნარეს, რომელ უმეტესისა წადილი არღა-რა აქვნდა ელჩსა მეფისა ირაკლისასა“ — გადმოგვცემს მდივან-ბეგი ომან ხერხეულიძე[7], მემატიანე იმას კი გვამცნობს, რომ ელჩმა „ყოველივე დაბარებული მეფისა ირაკლის მიერ განუცხადა ვეზირსა ხვანთქრისასა“, მაგრამ არ გვეუბნება, კერძოდ, რა დააბარა მას ქართლ-კახეთის მეფემ და იძულებულს გვხდის ეს საკითხი ვარაუდებითა და არაპირდაპირი მასალის მოშველიებით გავარკვიოთ.

პირველი ელჩობა სტამბოლში 1777 წლის იანვრამდე დარჩა და ჩანს, ამ ხნის განმავლობაში ურთიერთობის დეტალების დაზუსტება ხდებოდა. 1777 წლის აგვისტოში ერეკლე სულთნის კარზე უფრო მრავალრიცხოვანსა და წამომადგენლობით ელჩობას აგზავნის. როგორც ჩანს, ამჯერად ხელშეკრულებაც გაფორმდა. მისი ტექსტი საბჭო-

7 საქართველოს ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 270.

თა ისტორიკოსებისათვის ცნობილი არაა. ამიტომ მის შესახებ ზუსტად საუბარი შეუძლებელია. მეორადი წყაროებით ის კი უეჭველი უნდა იყოს, რომ ერეკლე, გარკვეული ფორმით, ხონთქრის უზენაესობას აღიარებდა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ომან ხერხეულიძე ზემოთ მოყვანილ ციტატში ქართლ-კახეთს ხონთქრის საბრძანებლოში შემავალ რეგიონად ასახელებს, რაც, ცხადია, შეცდომაა, რადგან საერთაშორისო სამართლის ძალით ეს ასე არ იყო და ამგვარი შეცდომა ერეკლეს მდივანბეგს, წარმოუდგენელია, შემთხვევით მოსვლოდა. აქვე უნდა მიუთითებდეს ის გარემოება, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) მომზადების პერიოდში, ამ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, პორტა ქართლ-კახეთზე პრეტენზიას აცხადებდა. ერეკლე თითქოს ვალდებულებას კისრულობდა ირან-თურქეთის მოსალოდნელი ომის პირობებში თურქეთის ლაშქრისათვის საქართველოზე გავლის ნება მიეცა[9]. მაგრამ რამდენად პირობითი იყო ერეკლეს მიერ თურქეთის უზენაესობის აღიარება, იქედან ჩანს, რომ ქართლ-კახეთის მეფეს ოდნავადაც არ შეუზღუდავს თავისი უფლებამოსილება და საკუთარ პოლიტიკას სრულიად დამოუკიდებლად ატარებდა: როდესაც ირან-თურქეთის საზღვარზე ჯარების მთავარსარდლად დანიშნულმა ცნობილმა და ძლიერმა ტრაპიზონის ჯანიკლი ალი-ფაშამ ერეკლეს ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე მის მიერ მიწვეულ ლეკთა გატარება მოსთხოვა, ამაზე კატეგორიული უარი მიიღო, ხოლო როდესაც ლეკებმა მისი ნებართვის გარეშე დააპირეს გასვლა, ერეკლე მათ თავს დაესხა და გაანადგურა. თურქეთის კარმა ამ საკითხზე ღუმილი არჩია.

ქართლ-კახეთის მეფემ საქართველოს ტერიტორიაზე ასევე არ გაატარა თურქეთის ორი ფაშა, რომლებიც ლაშქრით ქერიმ-ხანის წინააღმდეგ მიდიოდნენ[10]. ყოველივე ამის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ თურქეთი კმაყოფილდებოდა ერეკლეს მიერ სულთნის უზენაესობის ფორმალური აღიარებით და რაც მთავარი და ძირითადია, იმით, რომ ერეკლე საშუალებას არ მისცემდა რუსეთის საიმპერატორო კარს, თავის სამფლობელოდან თურქეთის საწინააღმ-

---

8 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, გვ. 166.

9 ო. გიგინეიშვილი. საქართველო ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, თსუ შრომები, 73, 1959, გვ. 224.

10 ო. მარკოვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

დეგო სამხედრო ოპერაციები ეწარმოებია და ქვეყანაში რუსული ჯარის შენაერთები ჰყოლოდა.

მაგრამ რას იღებდა სამაგიეროდ ქართლ-კახეთის მეფე? ამის შესახებ წყაროები საერთოდ, არაფერს ამბობენ. ის კი ცხადია, რომ ერეკლე საკმაოდ დიდ რისკზე წავიდა. აღნიშნული ნაბიჯით მან მოიმდურა როგორც ჯერ კიდევ ოფიციალური სიუზერენი ირანი, ისე მომავალი და სასურველი მფარველი — რუსეთი (ერთმა და მეორემაც არ დააყოვნეს მისთვის სამაგიეროს გადახდა). ერეკლე ისეთი პოლიტიკოსი არ იყო ამგვარი რამ ასჯერ გაზომვისა და განსჯის გარეშე ემოქმედა. მან იმდენად სერიოზული ნაბიჯი გადადგა, რომ უეჭველია, ამით დიდი და პრობლემატური საკითხის გადაწყვეტას გულისხმობდა.

ისტორიკოსები, რომლებიც აღნიშნულ საკითხს ეხებიან, უპირატესად იმ აზრს იზიარებენ, თითქოს ოტომანთა პორტა აღნიშნული გარიგებით ქართლ-კახეთის მეფეს ახალციხის საფაშოს უთმობდა. ძნელი დასაჯერებელია, ოტომანთა პორტას ასე ადვილად დაეთმო მის სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი და უკვე ფაქტობრივად გამაჰმადიანებული ოლქი. ის გარემოება, რომ ახალციხის სულეიმან-ფაშა ერეკლესა და პორტას მოლაპარაკებაში შუამავლის როლს ასრულებდა, სწორედ ამგვარი შესაძლებლობის საწინააღმდეგოზე მოწმობს. ნაკლებად დამაჯერებელია დებულება იმის შესახებ, თითქოს აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება განაპირობა ახალციხის სულეიმან-ფაშას მისწრაფებამ, ერეკლეს მფარველობაში შესვლით თავი დაეღწია თურქეთისაგან[11].

სულეიმან-ფაშა ჭკვიანი და მოხერხებული პოლიტიკოსი იყო, იგი ოტომანთა პორტას შემადგენლობაშიც ახერხებდა საკმაოდ მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას. რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების პერიოდში, განსაკუთრებით 80-იან წლებში (როცა მისი მდგომარეობა რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში საეჭვო იყო, რადგან გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით ახალციხის საფაშო ერეკლეს უნდა გადასცემოდა), სულეიმანი მართლაც ცდილობდა ორმხრივი პოლიტიკა განეხორციელებინა და რუსეთისაგან დამოუკიდებლად შეერთებისა და ავტონომიის გარანტია მიეღო. მაგრამ ეს მისი იძულებითი მანევრი იყო და ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ გამაჰმადიანებულ ფეოდალს ქრისტიან ფეოდალებზე მეტი პატრიოტიზმი გამოეჩინა და ქვეყნის გაერთიანების ინტერესებისათვის საკუთარი ფე-

---

11 ო. გიგინეიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

ოდალური ინტერესები დაემორჩილებინა. მთელი მისი საქმიანობა, განსაკუთრებით, 80-იან წლებში, სრულიად საწინააღმდეგო დასკვნის საფუძველს იძლევა. იმ ხანებში საქართველოსა და მის გარშემო ქვეყნებში შექმნილი ისტორიული სიტუაცია გვიკარნახებს ვივარაუდოთ, რომ ქართლ-კახეთის პოლიტიკოსთა მხრივ დათმობების საძაგიეროდ სულთნის კარი ერეკლეს დასავლეთ საქართველოზე გაბატონების სანქციას აძლევდა. ამგვარი მსხვერპლი პორტას შეეძლო უმტკივნეულოდ გაეღო, რადგან ლიხთიმერეთი მისი გავლენიდან გამოსული იყო და მასზე უფლებების ფაქტობრივი აღდგენის პერსპექტივა თითქმის არ ჩანდა.

ქართლ-კახეთის მეფეს თავისი მაგისტრალური გეგმის განხორციელებისათვის ხელსაყრელი მომენტი დაუდგა: რუსეთი საქართველოს საქმეებით დაინტერესებას იმდენად აღარ იჩენდა. სოლომონს დასავლეთ საქართველოში ძლიერი ოპოზიცია ჰყავდა სამეგრელოსა და გურიის სამთავროების სახით. ოპოზიცია იყო თვით იმერეთშიც. ბევრი ძლიერი თავადი იმერეთში ერეკლეს უმხრობდა. მართალია, ერთხანს სოლომონმა თითქოს მდგომარეობა განიმტკიცა, ზოგი გამდგარი ქვეშევრდომი დაიმორჩილა და პორტასთანაც თითქოს მის ურთიერთობას გამოკეთების პირი უჩანდა, მაგრამ შემდეგ ეს ურთიერთობა ჩვეთრად გამწვავდა, რაც სრულიად აშკარად უკავშირდება ქართლ-კახეთის მეფესა და სულთნის კარს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებაში სოლომონმა აშკარა თავისი საწინააღმდეგო აქცია დაინახა და სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებისათვის განეწყო. საკითხი რომ მხოლოდ ახალციხის საფაშოთი ყოფილიყო განსაზღვრული, იმერეთის მეფის ამგვარი რეაქცია სრულიად გაუგებარი იქნებოდა. რუსეთ-თურქეთის ომისა და მის მომდევნო პერიოდში, როდესაც ერეკლე სულაც არ მალავდა ახალციხისადმი თავის პრეტენზიებს, სოლომონი ამ საკითხს ლოიალურად (ყოველ შემთხვევაში გარეგნულად), მშვიდად უყურებდა და თითქოს მისდამი შეგუებული იყო. ახლა მისი განწყობილება რადიკალურად შეიცვალა. ჩანს, მან აშკარად დაინახა, რომ მთელი ძალღონის დაძაბვისა და ენერგიული ზომების მიუღებლად ტახტის საბოლოო დაკარგვა ემუქრებოდა.

როგორც ითქვა, ოსმალეთის კართან ქართლ-კახეთის სამეფოს ხელშეკრულების ტექსტი საბჭოთა ისტორიკოსებისათვის ხელმიუწვდომელია, მაგრამ მოცემულ პერიოდში საქართველოში ისტორიული მოვლენების განვითარება აშკარას ხდის, რომ ეს ხელშეკრულება სო-

ლომონ I-ის წინააღმდეგ იყო მიმართული და ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ იმერეთის (და მომავალში, ალბათ, მთელი დასავლეთ საქართველოს) შემოერთებას გულისხმობდა. ხსენებულ პერიოდში კი მოვლენები ასეთი თანამიმდევრობით განვითარდა:

ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ რუსეთმა იმერეთისადმიც ინტერესი დაკარგა. ყოველ შემთხვევაში, მასთან ურთიერთობა თავისი პოლიტიკისათვის საზიანოდ მიიჩნია და დამოკიდებულება იმით ამოწურა, რომ სოლომონს ურჩია, ისე მოიქეცი, თურქეთს განაწყენების საფუძველს ნუ მისცემო[12]. ამავე მოტივით ასტრახანის გუბერნატორს მიუთითეს საქართველოდან წამოსული ელჩები დედაქალაქში სპეციალური შეთანხმებისა და ნებართვის გარეშე არ გამოეშვა[13]. ამგვარი რჩევისა და შექმნილი საერთაშორისო სიტუაციის საფუძველზე იმერეთსა და ოტომანთა პორტას შორის დაისახა დამოკიდებულების მოწესრიგების პერსპექტივები და, როგორც ვნახეთ, პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა: 1776 წლის ოქტომბერში იმერეთში თურქეთის დიდი ელჩობა მოვიდა საჩუქრებით[14]. როგორც ითქვა, იმავე 1776 წლის მიწურულში თურქეთის კარზე აქტიურ მოქმედებას იწყებენ ერეკლე II-ის ელჩები, ხოლო 1777 წელს იმერეთსა და თურქეთს შორის სამშვიდობო სიტუაცია მოულოდნელად დაირღვა. იმავე 1777 წელს იმერეთის საეკლესიო წრეებსა და სამეფო ხელისუფლებას შორის რაღაც უკმაყოფილება გაჩნდა. ამ მოვლენის შესახებ წყაროების ბუნდოვანი მინიშნება საშუალებას არ იძლევა იგი რომელიმე სხვა ისტორიულ ფაქტს დავუკავშიროთ. სამაგიეროდ, იმავე ხანებში გიორგი ყულარაღასის (ქსნის ერისთავის) გამოსვლა[16] ერეკლე II-ის წინააღმდეგ აშკარად იმერეთ-ქართლ-კახეთის ურთიერთობის გამწვავებას უკავშირდება. გიორგი სოლომონ I-ის მძახალი იყო. მარცხის შემდეგ მისმა ვაჟმა იმერეთს შეაფარა თავი. როგორც ჩანს, ამავე მოვლენას უკავშირდება იმერეთის ბატონიშვილის ალექსანდრე სოლომონის ძის გამოსვლა მამის წინააღმდეგ, რომელიც თავადების შეთქმულების მონაწილეთა შორის აღმოჩნდა. ამგვარი დაკავშირება კიდევ

---

[12] А. Цагарели. Грамоты... т. I, с. 411; т. II, с. 9.
[13] იქვე, ტ. II, გვ. 10.
[14] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 664.
[15] თ. ჟორდანია. ქრონიკები..., III, გვ. 353.
[16] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 81.

უფრო გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ალექსანდრე სოლომონის ძე ერეკლეს სიძე იყო და მის კარზე იზრდებოდა. იგი ცნობილი იყო, როგორც ერეკლეს ორიენტაციის მომხრე, რომ მარცხის შემდეგ მან ქართლ-კახეთის სამეფო კარს მიაშურა, სადაც სიამოვნებით მიიღეს. მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით ერეკლესა და სოლომონს შორის არსებული უთანხმოება მაინც ერთგვარად ფარული, ბუნდოვანი ხასიათისა იყო, მხარეები თავის მისწრაფებებს აშკარად არ ამჟღავნებდნენ, ამიტომ სოლომონის პრაქტიკული დახმარება გიორგი ერისთავისადმი არ დასტურდება, ხოლო მარცხის შემდეგ გორში მოსულ ალექსანდრე სოლომონის ძეს, თანამედროვეთა რწმუნებით, თითქოს ერეკლეს წინაშე თავის მართლებაც კი დასჭირდა — მამის მოღალატე არა ვარო[17].

მაგრამ 1778 წლის გაზაფხულზე, როგორც ჩანს, თურქეთსა და ქართლ-კახეთს შორის ხელშეკრულება საბოლოოდ გაფორმდა. ალბათ, ჩქარა მისი შინაარსი სოლომონისთვისაც ცნობილი გახდა და აშკარა შეიქნა, თუ სასწრაფო ღონისძიებებს არ მიიღებდა, ტახტის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დადგებოდა.

მწერალი გ. ქიქოძე ასე ახასიათებს იმ დროის საქართველოში შექმნილ ვითარებას: „ქართლ-კახეთის მოწინავე მოღვაწეები კარგად გრძნობდნენ, რა დამღუპველი იყო ქართველი ერისთვის მისი დაყოფა ორ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ, ამიტომ მათ შორის თავი იჩინა ეროვნული გაერთიანების იდეამ. ამ იდეას დასავლეთ საქართველოს მოწინავე წრეებშიც აღმოუჩნდა აღფრთოვანებული მიმდევრები. ერეკლე მეფე მზად იყო პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგა საქართველოს გასაერთიანებლად, მაგრამ ის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა სოლომონ პირველის სახით“[18].

დრო არ ითმენდა, საჭირო იყო გადამჭრელი მოქმედება და, როგორც ჩანს, ერეკლე არც აპირებდა დაყოვნებას. იესე ოსეს ძის მოწმობით, იგი „იყო დიდს მზადებაში და ჰყვა ჯარი დაბარებული ლეკისა, ოსისა, ჭისტისა, ქართლისა, კახეთისა და არავინ იცოდა, თუ სად ნებავს წასვლა და იყო დიდს საქმეებში შესული“[19]. თანამედროვეთა ცნობითა და თვით იესე ოსეს ძის დასტურით, ერეკლე მოცლილი და დასვენებული არავის უნახავს. იგი დღენიადაგ ბრძოლაში თუ შრომა-

---

17 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 81.

18 გ. ქ ი ქ ო ძ ე. ერეკლე მეორე, თბ., 1941, გვ. 107—108.

19 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 87—88.

ში იყო, მაგრამ რადგან ავტორმა ამის საგანგებოდ აღნიშვნა საჭიროდ დაინახა, როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის მეფე მართლაც საგანგებო მზადებაში იყო და დიდი საკითხის გადაწყვეტის მიჯნაზე იდგა. ძნელია იმის თქმა, მართლა არ იცოდა იესე ოსეს ძემ რისთვის ემზადებოდა ერეკლე მეფე, თუ განგებ არ ამხელს ამას; ცხადია, ერეკლე თავის განზრახვას საიდუმლოდ ინახავდა, მაგრამ ეტყობა, სოლომონისათვის ეს საიდუმლოს არ წარმოადგენდა, რაც საფუძველს აძლევდა ერეკლეს მზადება თავის საწინააღმდეგოდ მიეჩნია.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, სოლომონმა კარგად იცოდა ქართლ-კახეთისა და თურქეთის ხელშეკრულების შინაარსი, რაც როგორც ვივარაუდეთ, იმაში მდგომარეობდა, რომ ერეკლე II უარს ამბობდა ირანის ქვეშევრდომობაზე, აღიარებდა სულთნის უზენაესობას, კისრულობდა თავის სამფლობელოში არ დაეშვა რუსეთის ფეხის მოკიდება. სამაგიეროდ, სულთნის კარი მას „უთმობდა“ თავის უფლებებს დასავლეთ საქართველოზე, პირველ რიგში, იმერეთის სამეფოზე, ე. ი. დასტურს აძლევდა ქართლ-კახეთის მეთაურობით საქართველოს გაერთიანებაზე. მთელი ეს პროექტი დამყარებული იყო ირანის სისუსტეზე, საქართველოს საქმეებისადმი რუსეთის გულგრილობასა და იმერეთში ოპოზიციური განწყობილებისა და გაერთიანებისაკენ მისწრაფების მომწიფებაზე.

რა უნდა მოემოქმედა ასეთ ვითარებაში სოლომონ I-ს, რათა ტახტი გადაერჩინა? ცხადია, პირველ რიგში უნდა დაკავშირებოდა იმ ძალებს, რომელთა ინტერესების წინააღმდეგაც აღნიშნული კავშირი იყო მიმართული (ასეთი იყო ირანი და რუსეთი); ამასთან, უნდა ეცადა შეერყია ერეკლე II-ის სამეფოს საშინაო სიმტკიცე, რათა მას შორსმიმავალი პრობლემების გადაწყვეტისათვის ვერ მოეცალა. და აი, იმავე 1778 წლის აგვისტოში იმერეთის სამეფოდან რუსეთის გავლით ირანში გაიგზავნა ელჩობა, რომელსაც ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) მეთაურობდა. აღნიშნული ელჩობა, როგორც დადგენილია, დაახლოებით 1778 წლის 20 აგვისტოს გავიდა იმერეთიდან (საინტერესოა, რომ იმავე აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან იწყება ერეკლეს გაცხოველებული საომარი მზადება. ასე, რომ ქართველ მეფეთა ურთიერთსაწინააღმდეგო აქციები თითქმის დღეებით ემთხვევა ერთმანეთს).

ელჩობის ოფიციალური მიზანი ჩანს იმ წერილიდან, რომელიც სოლომონ I-მა ასტრახანის გუბერნატორს გაუგზავნა. იგი გუბერნატორს ორ რამეს სთხოვს: პირველი, საიმპერატორო კარზე ელჩების გაგზავნის ნებართვას. ამგვარი ნებართვა, როგორც ზევით აღინიშნა,

აუცილებელი იყო, რადგან ცენტრალურმა ხელისუფლებამ, თურქეთთან სამშვიდობო მდგომარეობის გამო, სანაპირო ზოლის ხელმძღვანელობას საგანგებო მითითების გარეშე საქართველოდან ელჩობების ცენტრში გამოშვება აუკრძალა და მეორე, ბესარიონ გაბაშვილის დაუბრკოლებლივ ირანში გამგზავრებას[20].

საიმპერატორო კარზე ელჩობის გაგზავნის სურვილს იმერეთის მეფე რუსეთის ტახტის მემკვიდრის, დიდი მთავრის ალექსანდრე პავლეს ძის დაბადების გამო მილოცვის სურვილით ხსნიდა, რაც, როგორც საძართლიანად აღნიშნა ვ. მაჭარაძემ, სრულიად არადამაჯერებელი არგუმენტია, რადგან ამისათვის არც ასეთი ბეჯითი თხოვნა-მუდარა იყო აუცილებელი და არც ამგვარი სიჩქარე[21]. ისტორიოგრაფიაში არც ის არის ცნობილი, გაგზავნა თუ არა ელჩები იმჯერად სოლომონმა რუსეთს და არც ის, თუ რა საკითხთან იყო ეს მისწრაფება დაკავშირებული. შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით კი, რაც დღემდე ზევით იყო საუბარი, თითქოს სრულიად უეჭველად მოჩანს ის, რომ სოლომონ I-ს უნდოდა რუსეთისათვის ქართლ-კახეთისა და თურქეთის შეთანხმების ანტირუსული და ანტიიმერული შინაარსი ეცნობებინა, საპასუხო ღონისძიებათა გეგმა შეეთავაზებინა და საიმპერატორო კართან ერთობლივი მოქმედების პროგრამა შეეთანხმებინა.

1778 წლის 11—14 ოქტომბერს იმერეთის ელჩობა ასტრახანიდან გაემგზავრა, 21—23 ნოემბერს იგი ენზელშია, ხოლო, 1778 წლის დეკემბრის ბოლოს შირაზში ჩადის[22]. ავტორთა უმრავლესობა, რომელიც კი ბ. გაბაშვილის ირანში ელჩობის საკითხს ეხება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ აღნიშნული ელჩობის მისიას ალექსანდრე ბაქარის ძის იმერეთში ჩამოყვანის საკითხს უკავშირებს[23].

როგორც თავის ადგილას აღნიშნული იყო, ვახტანგ მეექვსის შვილიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა და იმპერატორის სამსახურში იმყოფებოდა, 1766 წელს ერთობ საეჭვო ვითარებაში რუსეთიდან გამოაძევეს. იგი თავს ქართლის ტახტის მემკვიდრედ თვლიდა და ამის იურიდიული საფუძველიც ჰქონდა; ერეკლე მეორე, რომელმაც ფაქტიურად მოახერხა ქართლ-კახეთის

---

20 ვ. მაჭარაძე. ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968, გვ. 35.

21 იქვე, გვ. 36.

22 იქვე, გვ. 22—23.

23 მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე სხვადასხვა დროს გამოთქმული აქვთ: ზაქარია ჭიჭინაძეს, მარი ბროსეს, ალექსანდრე ბარამიძეს, გიორგი ლეონიძეს, ხარგის ცაიშვილსა და სხვ.

შეერთებაზე, ოფიციალურად მხოლოდ სანახევროდ იყო მიჩნეული ქართლ-კახეთის მეფედ და ამის გამო იგი მიღებული წესით კურთხეული არ ყოფილა. თავის მიზნების განხორციელებაში პირველი წარუმატებელი ნაბიჯების შემდეგ, ალექსანდრემ ირანს შეაფარა თავი, მაგრამ ქართლის ტახტის დაბრუნების იმედს არ კარგავდა, რაშიაც მას ერეკლეს უკმაყოფილო ოპოზიციური თავადების მხარდაჭერაც აქეზებდა. ლოგიკურია, რომ რაკი სოლომონი ხედავდა ერეკლესა და თურქეთის კარის მის წინააღმდეგ შეთანხმებას შეეცდებოდა ერეკლეს ასეთი სერიოზული მეტოქე მათი აქციების ჩასაშლელად გამოეყენებინა და ქართლის ტახტის მემკვიდრე ერეკლე II-ისთვის დაეპირისპირებინა. ამის გამო, მკვლევართა ცდა, საქმე ისე დახატონ თითქოს ბესიკის ელჩობას ალექსანდრეს იმერეთში მოსვლასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია, ხოლო სოლომონი იმას კი არ ცდილობდა, რომ იგი ერეკლეს წინააღმდეგ გამოეყენებინა, არამედ, უბრალოდ, შეიფარა, როგორც ნათესავი[24], ჩვენ დაუსაბუთებლად გვეჩვენება.

სრულიად აშკარაა, რომ სოლომონ I-მა თავისი ელჩობის ნამდვილი მიზნების საქმის კურსში ჩააყენა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელი. თვით ის ფაქტი, რომ საიმპერატორო კარმა ამგვარი ელჩობის მოწყობა არ დააბრკოლა და ხელიც კი შეუწყო მას, იმის მაჩვენებელია, რომ ეს მისია რუსეთის ინტერესებს ემთხვეოდა. ეს ინტერესები მოითხოვდა, არ დაეშვა ქართლ-კახეთისა და თურქეთის დაკავშირება, რომელიც საქართველოს გაერთიანებასა და აქ თურქეთის გავლენის ერთგვარ გაძლიერებას ითვალისწინებდა. სოლომონ I-მა, როგორც ჭკვიანმა დიპლომატმა, ყველაფერი განსაზღვრა და იგი წინასწარ დარწმუნებული იყო ამ მისიის წარმატებაში. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ რუსეთის ხელისუფლება ელჩობის გამგზავრებას არ დააყოვნებდა და მის წარმატებას ყოველნაირად ეცდებოდა (სხვა შემთხვევაში ამგვარი რამ ხომ გამორიცხული იყო, რადგან იმერეთისადმი, ისევე როგორც მთელი საქართველოსადმი, საიმპერატორო კარს თავისი მიზნები ჰქონდა და აქ ირანის გავლენის გაძლიერება მისთვის ისევე საშიში იყო როგორც თურქეთისა). სოლომონს არც იმაში ეპარებოდა ეჭვი, რომ ირანი ყოველმხრივ ეცდებოდა ქართლ-კახეთისა და თურქეთის შეთანხმების ჩაშლას, რადგან იგი მისი გავლენის სფეროს შესუსტებასა და ოფიციალური ვასალის განდგომას ითვალისწინებდა. სწორედ ამიტომ სწერდა სოლომონი ასტრახანის გუბერნატორს

---

24 ვ. მაჭარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 45—46.

ასე დაბეჯითებით: „ადაიად-ხანს ზოგიერთი რამ ვსთხოვე და წიგნი მაგ ჩვენს კნიაზს გამოვატანე იმასთან და, რაც მითხოვნია, ვიცი, გამომიგზავნის (თითქოს საეჭვო არ უნდა იყოს, რომ აქ სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილის გამოგზავნაზეა საუბარი, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, იმჟამად გილანის ხანის კარზე იმყოფებოდა — მ. ს.); და გეევედრები სიყვარულისა და მეგობრობისათვის, წყლით იყოს თუ ხმელით, გამსტუმროთ და მშვიდობით იქამდინ მივიდეს და, როდესაც რომ იქიდამ მანდ გიახლებათ, აქეთაც კეთილის გზის წყალობა უყოთ, რომ რაც წამოიღოს აქ, ჩემამდინ მოაწევინოთ, დიდად მმადლობელი და მოსამსახურე მამყოფეთ მეც“[25]...

1779 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე ბესიკი იმერეთში დაბრუნდა. ამავე დროს ჩნდება ასპარეზზე ალექსანდრე ბატონიშვილიც, რაც მათ ერთად დაბრუნებაზე შიუთითებს.

ალექსანდრეს გამოჩენამ და ერეკლეს საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩაბმამ მოსალოდნელი შედეგი გამოიღო. ერევნის ხანის დასასჯელად გალაშქრებული ქართლ-კახეთის მეფე იძულებული იყო ერევნის საქმეები ნაჩქარევად მოეგვარებინა და თბილისში დაბრუნებულიყო. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით „... მეფემან ირაკლიმ ინება წასვლა ერევანს ზედა დასაპყრობელად. შეიკრიბნა თვისნი მხედრობანი, წარემართა და მოადგა ერევნის ციხესა 4 თვე. ერევნის ხანი უსეინ-ალი მრავალჯერ შემოება, გარნა ძლეულმა იწყო ციხეთა მაგრობაი. შეამჭირვა ფ-დ ციხე ერევნისა, კნინღა ლამობდა დაპყრობასა, რომლისა გამო მეფემან სოლომან იმერთამან უბრკა მეფესა ირაკლის, მოიყვანა ბაქარიშვილი ალექსანდრე სპარსეთით და აღუდგინა შფოთი ქართლსა შინა. ამისი მსმენელი მეფე ირაკლი და უსეინ-ალი დაზავდნენ... ხოლო მეფემ ირაკლიმ აჰყარნა ხალხნი მუნებურნი სომეხნი და დაასახლა ყარაიასა და ავლაბარსა და შემოიქცა გამარჯვებული. მსმენელი ალექსანდრე ბაქარის ძე უკუნ იქცა იმერეთით უქმი“...[26]

ქართლ-კახეთის მეფის მდგომარეობა სწრაფად გართულდა. საქართველოს მიმართ რუსეთის ერთგვარი ინდიფერენტულობაც, რომელიც, როგორც ითქვა, ერეკლეს ახალი ტაქტიკური სვლების გარკვეული საფუძველი უნდა ყოფილიყო, მოჩვენებითი აღმოჩნდა. ცხადია, რუსეთი, რომელიც წინა აზიაში და შავ ზღვაზე გაბატონების პროგრა-

---

25 ვ. მაკარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

26 დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია; ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 56.

მის განხორციელებაზე ხელის აღებას სულაც არ აპირებდა, თურქეთისა და ქართლ-კახეთის კავშირს, მით უმეტეს თუ იგი ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციის ხელყოფას ითვალისწინებდა, არ დაუშვებდა. ამიტომ საიმპერატორო კარი ამ მიმართულებით ზომების მიღებას არ აყოვნებს: ცდილობს შეასუსტოს ერეკლეს სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი, რათა მან გადამწყვეტ უპირატესობას არ მიაღწიოს სოლომონთან შედარებით, რომელიც იმჯერად საქართველოში რუსეთის პოლიტიკის ძირითადი დასაყრდენი იყო. ყოველივე ამის გამო, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები თავის უარყოფით დამოკიდებულებას მარტო ბესიკის ელჩობის მიზნების წარმატებით განხორციელების ხელშეწყობაში როდი გამოხატავენ. მათ მაშინვე აჩვენეს ქართლ-კახეთის მეფეს თავისი ძალა და განწყობილება და დიპლომატიურად ჩაუკეტეს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების გზები. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საიმპერატორო კარმა ნება არ მისცა მედემის კორპუსს ჩრდილოეთ კავკასიაში ერეკლეს ინტერესების სასარგებლოდ ემოქმედა, ხოლო ეკატერინე II-მ ქართლ-კახეთის მეფის არასანდოობასა და რუსეთის ძალების საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენების მისწრაფებაზე მიუთითა; ორჯერ ჩაშალა ერეკლეს შორსგამიზნული ღონისძიება ყაბარდოელთა საქართველოში გადმოსახლებას რომ ისახავდა მიზნად; აკრძალა ქართლ-კახეთის პოლიტიკოსთა მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში ჯარების დაქირავება, რითაც არსებითი დარტყმა მიაყენა ქვეყნის სამხედრო პოტენციალს[27].

უნდა ვიფიქროთ, სოლომონ I-ის მომხრეებმა დასავლეთ საქართველოს მთავრებშიაც აქტიურად გააჩაღეს ერეკლეს პოლიტიკის საწინააღმდეგო პროპაგანდა. მათ არ გაუჭირდებოდათ იმის დაბეჯითება, რომ ერეკლესა და თურქეთის კარის გარიგება მათ წინააღმდეგაც იყო მიმართული და რომ მთელი საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ ქართლ-კახეთის მეფე მარტო იმერეთის შემოერთებით არ დაკმაყოფილდებოდა. როგორც ჩანს, ამ აგიტაციამ თავისი შედეგი გამოიღო და სამეგრელოსა და გურიის მთავრები ერეკლეს პოლიტიკას დროებით მაინც ჩამოაცილა. ამით უნდა აიხსნას ერეკლეს ტრადიციული მოკავშირისა და სოლომონ I-ის მოწინააღმდეგის — სამეგრელოს მთავრის რუხის ბრძოლაში იმერეთის მხარეზე მონაწილეობა.

ამგვარ ვითარებაში ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ იმერეთის შემოერთებაზე ლაპარაკი შეუძლებელი შეიქნა.

---

27 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, გვ. 44.

კიდევ ერთხელ ჩაიშალა საქართველოს გაერთიანებისა და ამიერკავკასიაში გაბატონების ერეკლესეული დიდი ეროვნული გეგმა. ჩანს, ქართლ-კახეთის მეფე სოლომონ I-საგან ასეთ მედგარ წინააღმდეგობასა და საშიშ კონტრზომებს არ მოელოდა. მართლაც, მეფეებს შორის ურთიერთობა ადრეც არაერთხელ გართულებულა, მაგრამ სოლომონი, ქართლ-კახეთის მეფის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას ყოველთვის ერიდებოდა, ჩანს, მდგომარეობის სერიოზულობამ და ტახტის დაკარგვის რეალურმა საფრთხემ იგი იძულებული გახადა გადამჭრელი ზომები მიეღო. ამას დაერთო რუსეთისა და ირანის ერეკლეს საწინააღმდეგო პოლიტიკა და სახანოების ანტიქართული განწყობილების გაღვივებაც.

სულ რაღაც ორიოდე წლის განმავლობაში ერეკლეს პოლიტიკამ არაერთი მნიშვნელოვანი დარტყმა და მოულოდნელი მარცხი განიცადა. 1781 წელს კი მოხდა ქართლ-კახეთის მეფის დიდი პირადი ტრაგედია და მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დანაკლისი — საეჭვო, დღემდე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ერეკლეს რჩეული ვაჟი და იმედი ქვეყნის „გამოხსნისა“ და „აღდგომის“ გზაზე — ბატონიშვილი ლევანი. მემატიანის გადმოცემით, ეს უდიდესი ტრაგედია იყო ქვეყნისათვის, რადგან ერეკლეს მრავალრიცხოვან შვილთაგან ქვეყნის ნამდვილი ბურჯი და იმედი ლევანი იყო: „არამედ მოჰსცა ღმერთმან მეფესა ირაკლის ძე ერთი სახელად ლეონ, რომელიცა ემსგავსება მამასა თვისსა სიმხნითა“... ერეკლეს უბედურების ამბავი რომ გაუგია, ახალციხის ხულეიმან ფაშას სინანულით უთქვამს: „მოხუცების ჟამსა მეფეს ირაკლისსა ერთი ფარდა აქვნდა საქართველოს, რომელიცა ოთხ კერძოვე იგურდივ იფარებდა და აწ დიდი შემწე მოეშალა ირაკლი მეფესაო“[28].

შეუძლებელია, ლევან ბატონიშვილის ტრაგედია ზემოაღწერილ ამბებს დავუკავშიროთ. ალბათ, ეს მხოლოდ უბედური შემთხვევა და საბედისწერო დამთხვევაა, მაგრამ ერეკლეს გეგმების ჩაშლაში რომ ამ ტრაგედიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ეს აშკარაა. ლევანი, როგორც ითქვა, ერეკლეს პოლიტიკის დასაყრდენი იყო და, ერთი ცნობით, მისი გეგმის განხორციელების შემთხვევაში ქართლ-კახეთის მეფეს იგი იმერეთის გამგებლად ჰყავდა გათვალისწინებული.

მოხუცი ერეკლესათვის (ქართლ-კახეთის მეფე ამ დროს 61 წლის იყო) ეს დარტყმა საბედისწერო გამოდგა. ერეკლე მოტყდა. თითქოს

---

28 საქართველოს ცხოვრება, გვ. 271, 274.

აპათიაშიც ჩავარდა. იესე ოსეს ძის მოწმობით, იმ ხანებს ეკუთნის მისი პესიმისტური და გმირი მეფისათვის სრულიად შეუფერებელი გამონათქვამი: „ახლა მე აღარავის გადიობა აღარ შემიძლიაო“[29]. ომან ხერხეულიძის გადმოცემით, მაშინ „მეფე მგლოვიარე ძისათვის ლეონისა დამცხრალ იყო ომებისათვის და აღარ ნებავდა, არცა ერთსა მხარესა“...[30]

ამრიგად: ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდგომ საქართველოს გარშემო შექმნილმა საერთაშორისო სიტუაციამ, რუსეთის ერთგვარმა, მოჩვენებითმა ინდიფერენტულობამ საქართველოს საკითხებისადმი, ირანისა და თურქეთის სისუსტემ და მათმა ურთიერთდაპირისპირებულობამ, იმერეთის მდგომარეობამ და ქვეყნის პროგრესულ წრეებში გაერთიანების მისწრაფების გაძლიერებამ, ენერგიული ღონისძიებების შედეგად ქართლ-კახეთის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის განმტკიცებამ ერეკლე II-ს საშუალება მისცა ქვეყნის გაერთიანების საკითხი პრაქტიკულად დაეყენებინა. ამ დიდი ეროვნული პრობლემის გადაჭრის მიზნით ქართლ-კახეთის მეფე იძულებული შეიქნა ქვეყნის ისტორიულ მტერთან — ოსმალეთთან დროებით კომპრომისზე წასულიყო. 1776—1777 წლებში ქართლ-კახეთისა და თურქეთის წარმომადგენელთა ხანგრძლივი მოლაპარაკება საბოლოოდ ხელშეკრულებით გაფორმდა, რომელიც, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, გულისხმობდა თურქეთის მიერ საქართველოს ქართლ-კახეთის მეთაურობით გაერთიანების დასტურს; რის სამაგიეროდ, როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის მეფე აღიარებდა სულთნის უზენაესობას, კისრულობდა ირან-თურქეთის მოსალოდნელ ომში თურქეთის მხარის დაჭერას, ირანის ქვეშევრდომობიდან გამოსვლას და საქართველოში რუსეთის პოზიციების შესუსტებას (ჯარის შემოყვანის დაუშვებლობას და ა. შ.). სოლომონ I-ის მიერ მიღებულმა ენერგიულმა ზომებმა, დასავლეთ საქართველოს მთავართა სეპარატისტულმა პოლიტიკამ, სახანოების ანტიქართული მისწრაფებების გაძლიერებამ და, რაც მთავარია, ირანისა და განსაკუთრებით რუსეთის ხელისუფალთა მიერ დაკავებულმა გადამჭრელმა ნეგატიურმა პოზიციამ, რომელიც ქართლ-კახეთში თავადური პარტიკულარიზმისა და სეპარატისტული ძალების აქტიურობას ემყარებოდა, აგრეთვე ისტორიულ მოვლენათა არახელსაყრელმა განვითარებამ, ეს საქმე ჩაშალა.

---

29 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი..., გვ. 84.
30 საქართველოს ცხოვრება, გვ. 274.

ამასობაში საქართველოს გარშემო საერთაშორისო ძალთა განლაგება კიდევ ერთხელ შეიცვალა. საიმპერატორო კარის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ტაქტიკური ხასიათის კორექტივები მოხდა. საქართველოს საკითხი იქ ახლა უკვე სხვაგვარად დაისვა, რამაც ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა და დასახული ისტორიული პერსპექტივის მოახლოვება დააჩქარა.

9. 1788 წლის ტრაქტატი და საქართველოს გაერთიანების პროგლემა

ქუჩუკ-კაინარჯის ზავით გამოცხადებული ყირიმის დამოუკიდებლობა ფიქცია გამოდგა. საიმპერატორო კარიცა და თურქეთიც აქ თავისი მომხრე-გამგებლის დასმას ცდილობდა და ერთმანეთს აშკარად თუ ფარულად ებრძოდა. 1778—1779 წლებში ამ საკითხის გამო საქმე კინაღამ რუსეთსა და თურქეთს შორის ომამდე მივიდა. იმჯერად კონფლიქტი მოწესრიგდა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი ამოსუნთქვა იყო. სულ მალე ვითარება ისევ დაიძაბა. აშკარა გახდა, რომ თუ რუსეთი ყირიმს არ შემოიერთებდა იქ თურქეთის გავლენა ძველებურად აღდგებოდა, რის გამოც ეს საკითხი რუსეთის პოლიტიკაში გადაუდებლად დაისვა.

იმ ხანებში რუსეთის საგარეო პოლიტიკაშიც გარკვეული ცვლილებები მოხდა. 1781 წელს ნ. ა. პანინი ჩამოსცილდა საგარეო საგანგიოს საქმეებს და გადამწყვეტი პოზიცია გ. პოტიომკინმა და ა. ბეზბოროდკომ დაიკავეს, რომლებიც თურქეთის მიმართ აქტიური, შემტევი პოლიტიკის მომხრეებად ითვლებოდნენ. ამასთან დაკავშირებით, წინა პლანზე წამოიწია საქართველოს საკითხმაც. ახლა, როცა თურქეთთან ურთიერთობის გართულება და შესაძლებელია ომიც, კარზე იყო მომდგარი, რუსეთის პოლიტიკის მესვეურებს შეეძლოთ მისთვის ყველა არსებული და მომწიფებული პრეტენზია წაეყენებინათ. მით უმეტეს, რომ ერეკლეს თავისუფალი საგარეო პოლიტიკა და რუსეთის ინტერესების გარკვეული იგნორირება საიმპერატორო კარისათვის დამაფიქრებელი ჩანდა და საქართველოს საკითხის გადაწყვეტის დაჩქარებასაც მოითხოვდა. მართალია, რადგან სოლომონის კონტრღონისძიებების, ცარიზმის უარყოფითი დამოკიდებულებისა და სახანოებთან ურთიერთობის გართულების გამო ერეკლემ იმერეთის შემოერთება ვერ მოახერხა, თურქეთთან გაფორმებულ მის ხელშეკრულებას ძალა თითქმის დაეკარგა, მაგრამ ამასობაში ქართლ-კახეთის მეფემ ევრო-

პასთან ურთიერთობის განახლება და იქ შესაძლებელი დახმარების მიება დაიწყო[1].

ყირიმის გამო თურქეთთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში რუსეთისათვის საქართველოს მხრიდან მატერიალური და ფიზიკური მხარდაჭერა სასურველი იყო. განსაკუთრებული იყო ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობაც, რადგან რუსეთის დიპლომატია და სამხედრო ხელმძღვანელობა, რომელსაც ერთად ეწეოდა თავადი გრიგოლ პოტიომკინი, ფრონტის გახსნას ამიერკავკასიაშიც ვარაუდობდა; მაგრამ არანაკლები როლი ენიჭებოდა, როგორც ჩანს, საკითხის გადაწყვეტის მორალურ მხარეს.

თურქეთი სუსტი იყო. ეს არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა. ამდენად, მოსალოდნელ ომში გამარჯვების სიძნელე იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად დაუჭერდნენ პორტას მხარს და რა დახმარებას აღმოუჩენდნენ ევროპის სახელმწიფოები. მაჰმადიანური ყირიმისათვის ბრძოლაში რუსეთს ევროპის საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერის იმედი არ შეიძლება ჰქონოდა. სულ სხვა იყო ქრისტიანული საქართველო, რომელსაც (განსაკუთრებით მის მრავალრიცხოვან ბრძოლებს მაჰმადიანურ სამყაროსთან) ევროპაში კარგად იცნობდნენ. მეტად პოპულარული იყო იქ ერეკლე II, რომლის საბრძოლო წარმატებების ექო ევროპის ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაზვიადებული ვრცელდებოდა და, საზოგადოებრივი აზრის განწყობილების შესაბამისად, სრულიად არარეალური ფაქტებით ივსებოდა. ამის მაგალითად თუნდაც იმ ნაშრომების სათაურების დასახელებაც კმარა, რომლებიც ევროპაში გამოდიოდა: „ახალი ცნობები სახელოვან ბრძოლასა და ბრწყინვალე გამარჯვებაზე, რომელიც სახელგანთქმულმა ქართველმა მეფემ ერეკლემ მოიპოვა თურქეთის თავხედი სულთნის საშინელი ჯარის წინააღმდეგ“, ან კიდევ „ახალი ცნობები წარმატებით გამარჯვებაზე, რომელიც მეფე ერეკლეს ჯარებმა 1766 წლის 16 ივლისს (?!) მოიპოვეს ქალაქ ტრაპიზონის აღების დროს“ და ა. შ. ევროპის მხატვრულ ლიტერატურაში კი ერეკლე იხსენიება „აღმოსავლეთის დიდ გმირად“, „მამაც ვაჟკაცად“, „რომელმაც სპარსეთი დაიპყრო და დღეს, თუ ხვალ თურქეთის კარიბჭეში შეიჭრება“[2] და ა. შ.

---

1 მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 398—403; ი. ციცაძე. 1783 წლის ტრაქტატი, გვ. 87.

2 ი. ტაბაღუა. საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 58—59.

მაშასადამე, თუკი რუსეთი თურქეთთან მოსალოდნელ ომში მაჰმადიანთაგან შევიწროვებული საქართველოს დახმარებისა და თავდახსნის ლოზუნგით გამოვიდოდა, ეს მისთვის ევროპის საზოგადოებრივი აზრის კეთილგანწყობის გარანტია იქნებოდა და თურქეთისათვის აქედან დახმარების მიღების შანსებს მნიშვნელოვნად შეამცირებდა.[3]

ასეთ ვითარებაში საიმპერატორო კარმა სასწრაფოდ „დაივიწყა", ერეკლეს „უმადურობა", „საკუთარი ინტერესებისადმი იმპერიის ინტერესების დაქვემდებარება" თუ სხვა ურჩი მოქმედებები და მასთან ურთიერთობის განახლებას განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდა. 1781 წელს კავკასიის ხაზის ჯარების მთავარსარდლად რომ ნიშნავდნენ, გენერალ პ. პოტიომკინს უპირველეს ამოცანად ძირითადად ერეკლესთან, აგრეთვე ამიერკავკასიის სხვა ქრისტიან მფლობელებთან ურთიერთობის მოწესრიგებასა და გამოსწორებას უსახავდნენ და საამისო მეთოდებსაც კარნახობდნენ: „სხვადასხვა საბაბით ხშირი ურთიერთობა იქონიეთ მათთან, თავი გააცანით, რის მეშვეობითაც მოემზადეთ კიდეც მომავლისათვის გათვალისწინებული მიზნებისა და წამოწყებისათვის"[4].

ახლა, როცა თურქეთთან შეთანხმებით საქართველოს გაერთიანების გეგმა ჩაიშალა, როცა სახანოებში ანტიქართული განწყობილება გაძლიერდა და იმერეთთანაც ურთიერთობა გაუმწვავდა, საიმპერატორო კართან დამოკიდებულების გამოსწორება და ძველებური ურთიერთობის აღდგენა ერეკლესთვისაც სასურველი უნდა ყოფილიყო; მაგრამ რუსეთის დიპლომატია ჩქარობდა, დაძაბული ვითარება არ ითმენდა და ამიტომ პ. პოტიომკინმა შერიგებისაკენ პირველი ნაბიჯის გადადგმა არ დააყოვნა. რუსეთის დიპლომატია ყველა საშუალებას იყენებდა დასახული მიზნის მისაღწევად, რათა ერეკლეს რუსეთის მფარველობაში მიღება ეთხოვნა. პ. პოტიომკინმა, ერეკლეს კარზე მყოფი ი. რეინეგსი, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში აქ, კარის ექიმის მოვალეობას ასრულებდა და გარკვეული გავლენაც ჰქონდა, თავისთან გამოიძახა და 1782 წლის შემოდგომაზე რუსეთის არმიის პოლკოვნიკის ჩინით კვლავ საქართველოში გამოისტუმრა ვითარცა კო-

---

[3] ი. ტაბაღუა. საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 102-103, 105-108, 109, 110.

[4] «Частые, под разными предлогами, иметь с ним сношения и поставить себя в знакомство, чрез что и приготовиться для видов и предприятии в предъназначаемых»—ЦГВИА, ф. «Государственный архив», р. XXIII, д. 13, ч. 2, л. л. 15—16; О. Маркова. указ. соч..., с. 160.

მისიოხერი და დაავალა, რათა „წაექეზებინა ერეკლე, ფორმალურად ეთხოვა რუსეთის თვითმპყრობელის მფარველობა, რაზედაც უმაღლესი სურვილი გამოითქვა“[5]. უფრო მეტიც, თვით გრიგოლ პოტიომკინის ბრძანებით, ერეკლეს გადმობირებასა და მფარველობაში მიღების თხოვნის გაგზავნაზე დიდად გარჯილა სომეხი არქიეპისკოპოსი იოსებ არღუთინსკი[6]. ერთი სიტყვით, ის რაც ათი წლის წინათ რუსეთის დიპლომატიას „უცნაურად“ და „სრულიად არადროულად“ ეჩვენებოდა, სასურველი და დროული გამხდარიყო და მის მისაღწევად საიმპერატორო კარი პირდაპირ და შემოვლით გზებს ეძებდა. ამგვარ საშუალებად კი იგი, ერთი მხრივ, ფათალი-ხანის, ხოლო მეორე მხრივ, ალექსანდრე ბატონიშვილის გამოყენებასაც არ მოერიდა.

1781 წელს სოლომონისა და ერეკლეს შეთანხმების საფუძველზე (ეს იყო სწორედ შეთანხმება და არა შერიგება) ალექსანდრე ბატონიშვილმა იმერეთი დატოვა. ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი რაჭის გზით ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა და ერეკლეს საწინააღმდეგო მოქმედებაზე ოსებსა და ყაბარდოელებს აგულიანებდა, ერთობლივი მოქმედების შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებდა ტარკის შამხალთან, საბოლოოდ კი მოკავშირედ და თანამზრახველად დარუბანდის ფათალი-ხანი გაიჩინა, რომელმაც 1782 წლის ზაფხულში იგი თავისთან მიიღო და შეიფარა. ამრიგად, ერეკლეს ორი დაუძინებელი მტერი შეკავშირდა და მას მეტად სერიოზული საფრთხე შეუქმნა.

ფათალი-ხანი ამიერკავკასიის უძლიერესი მაჰმადიანი მფლობელი იყო, აზერბაიჯანის სახანოების გაერთიანებისთვის იბრძოდა, ამ რეგიონში ერეკლეს პირველობას ეცილებოდა და ერევანსა და განჯაზე მისი უფლებების აღკვეთას ცდილობდა. რადგან ალექსანდრე ბატონიშვილს ქართლში სერიოზული ძალები უჭერდა მხარს, ამ ორი მტრის ერთობლივი შეტევა ქართლ-კახეთის მეფისათვის ერთობ საშიფათო იყო.

ერეკლე II-ისთვის ალექსანდრე ბატონიშვილისა და ფათალი-ხანის კავშირის დარღვევა სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა და ამ საქმეში მისთვის რეალური დახმარების აღმოჩენა მხოლოდ რუსეთის დიპლომატიას შეეძლო.

ამ პერიოდში რუსეთის გავლენა დარუბანდის სახანოზე საკმაოდ ძლიერი ჩანს. ო. პ. მარკოვის აღნიშვნით: „ფათალი-ხანის საგარეო პო-

---

5 პ. ბუტკოვი. დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 118.

6 ო. მარკოვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

ლიტიკა მარტო რუსეთთან დაახლოების მისწრაფებით კი არა, არამედ კავკასიაში თურქთა ხრიკებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებითაც ხასიათდებოდა... რუსეთისა და აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკური ინტერესები წინააღმდეგობრივი არ ყოფილან"[7].

ნ. ბერძენიშვილი, აფასებს რა იმ ხანებში საქართველოში შექმნილ ვითარებას, ლაპიდარულად აჯამებს: „რუსეთის მთავრობამ სწრაფად და ენერგიულად სცადა საქმის (შეცდომის) გამოსწორება. მან ორმხრივი იერიში მიიტანა ერეკლეზე. თავადები, აშვებული ალექსანდრეები, ფათალი-ხანი, ჩერქეზთა გადმოსახლებისათვის ხელის შეშლა, იმიერკავკასიაში ჯარების დაქირავების შესაძლებლობის მოსპობა ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, აგენტები მრავლად ამოქმედდა ერეკლეს კარზე („ბროდიაგა" რეინეგსიც კი...) უხვი დაპირებებით...

და ერეკლემ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება..."[8]

ქართლ-კახეთის მეფემ რუსეთის მფარველობაში მიღება ითხოვა.

ყურადსაღებია, რომ ზოგიერთი ავტორი ერეკლეს ამგვარ გადაწყვეტილებას, საერთოდ, ალექსანდრე ბატონიშვილის მოქმედებითა და მისი ნეიტრალიზაციის სურვილით ხსნის. მაგალითად, რუს მკვლევარს პ. ბუტკოვს მიაჩნდა, რომ „მეფე ერეკლემ შეიტყო რა, თუ რას უმზადებდნენ მას დარუბანდსა და დაღესტანში, თავისი შიში რუსეთის მთავრობას განუცხადა და რათა თავისი სახლისათვის ქართლის მფლობელობა შეენარჩუნებინა, რუსეთის მფარველობის ძიებისკენ გადაიხარა"...[9]

რა თქმა უნდა, ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქართლის ტახტის შენარჩუნების საკითხი ერეკლეს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ერთადერთი არ ყოფილა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მოვლენათა მთელ კომპლექსში, რომელზედაც ზევით იყო საუბარი, ამ ფაქტმაც გარკვეული როლი შეასრულა და ერეკლეს საიმპერატორო კარის მიერ შემოთავაზებული მფარველობის ოფიციალურად თხოვნა გადააწყვეტინა. ეს რომ ასეა იქიდან ჩანს, რომ ქართლ-კახეთის კარზე შემუშავებულ და 1782 წლის 21 დეკემბრით დათარიღებულ შესაბამის დოკუმენტში, ქართლის ტახტისა და ალექსანდრე ბაქარის ძის საკითხს

---

7 ო. მარკოვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

8 ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 170—171.

9 პ. ბუტკოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. ერეკლეს მიერ ხელმოწერილ თხოვნაში, ერთი მხრივ, დასაბუთებულია ერეკლეს ოჯახის კანონიერი უფლებები ქართლის ტახტზე, ხოლო, მეორე მხრივ, დასმულია აღნიშნული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტის საკითხი: „ქართლი ძველადაც ჩემი პაპების სამკვიდრო იყო და მასუკან ნადირშაჰ მამაჩემს უბოძა, — აცხადებს ერეკლე და განაგრძობს — იმ ჟამად მტრისაგან გაოხრებული და გახარაბაბებული იყო მამა ჩემი და მე დიდის ღვაწლის დადებით ამ ქვეყნის აშენებას ვეცადენით მრავალჯერ ამ ქუეყანაზედ წასახდენათ მოსულნი სპარსეთის დიდ დიდი ჯარები დავამარცხეთ და აგრეთვე თურქეთის სულტანის ჯარს წასახდენათ არ დავანებეთ და იმის ჯარები დავამარცხეთ და რამდენჯერ დაღისტნის შეყრილი დიდრონი ჯარები დავამარცხეთ და ეს ქუეყნები ღთის მოწყალებით და მათის იმპერატორობის დიდებულების ბედნიერობით და ჩუენის გარჯით ავაშენეთ და ამ ქუეყნებს გარდა სპარსეთის სახელმწიფოს ალაგები ერევანი და განჯა ჩუენს ქუეყანას შევმატეთ და დავადევით: წარსულს წელიწადებში ბაქარიშვილი ალექსანდრე იმერეთს მოვიდა და ცდილობდა, რომ ჩვენი ქვეყნები აერია. მე დაღისტნიდამ და სხვა ალაგებიდან ჯარები მოვიყვანე ბევრი დავხარჯე იმ ალექსანდრე ბაქარის შვილმა ჩემი წინააღმდეგობა ვეღარ შეიძლო, იმერეთიდან წავიდა კაკის უფროსებს დაღისტანში და ფათალი-ხანს შეეხვეწა და ახლაც იქ არის. მე ჩემის ყდ მოწყალის ხელმწიფისაგან აჰ წყალობას ვითხოვ: ჩემი ძველთაგან პაპების სამკვიდრო და ჩემგან ამდენის გარჯით და ღვაწლის დადებით აშენებული ქუეყანა ჩემს შვილებს და ჩამომავლობას არ დაეკარგოს და არ მოეშალოს და საბოლოოთ ისე დაუმტკიცდესთ და ყოველნი ჩემნი ჩამომავალნი რუსეთის მონარხის ერთგულნი მონანი და მოსამსახურენი იყუნენ. და ეს მათის დიდ-ის ჩვენზე და ჩუენს ჩამოვალობაზედ მოწყალება გამოცხადებული იყოს, რომ უჭკუოს ბაქარისშვილს ალექსანდრესავით გამოჩნდეს ვინმე უმეცარი ხალხი არ აჰყუეს“[10].

განიხილავს რა საკითხს, თუ რამ უბიძგა ქართლ-კახეთის მეფეს ამგვარი გადამწყვეტი ნაბიჯის გადებაზე, ო. მარკოვა აღნიშნავს: „ერეკლე საქართველოს მის ისტორიულ საზღვრებში აღდგენაზე — დიდ საქართველოზე ოცნებით სულდგმულობდა.. სამცხე-საათაბაგოს სამ-

---

[10] ი. ც ი ნ ც ა ძ ე. 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960, დამატება, გვ. 195—196.

ფლობელო ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი, საქართველოს საზღვრებს გარეთ იყო დარჩენილი. მისი დაბრუნების იმედს ერეკლე მთელი მისი მეფობის მანძილზე არ კარგავდა.

ყუბისა და დარუბანდის ფათალი-ხანის ირანის ხარჯზე გაძლიერების შესაძლებლობა, ერეკლეს განჯისა და ერევნის დაკარგვით ემუქრებოდა. რუსეთის მხარდაჭერას შეეძლო ერეკლეს პოზიციები განემტკიცებინა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლეკებთან ბრძოლისათვის...

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საშინაო ხასიათის მიზეზებსაც, 70-იანი წლების დასასრულს ქართლის ფეოდალთა მეთაურმა ალექსანდრე ბაქარის ძემ, ვახტანგ VI შვილიშვილმა, ქართლის ტახტზე პრეტენზია წამოაყენა"...[11]

მართლაც, ზემოთ აღნიშნულ „სათხოვრის პუნქტებში" ქართლ-კახეთის მეფის პოზიცია ამგვარადაა წარმოდგენილი: 1. მფარველობა ირანისა და თურქეთისაგან და კავშირი მათ წინააღმდეგ შესაძლებელ ომში. 2. ქართლის ტახტის დამტკიცება, 3. ქართული ისტორიული ტერიტორების — სამცხე-საათაბაგოსა და ჭარბ-ბელაქნის შემოერთება და 4. ქვეყნის ბინაგანი უშიშროების დასაცავად საქართველოში რუსული რაზმის შემოყვანა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართლ-კახეთის მთლიანობა, მთელი საქართველოს გაერთიანების საფუძველი უნდა ყოფილიყო, ხოლო განჯა-ერევნის შემომტკიცება სამხრეთიდან მოსალოდნელი საშიშროების შემთხვევაში სერიოზული ფორპოსტი და ამავე დროს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლის ძირითადი მოტივი ქართლ-კახეთის ხელისუფალთათვის მთელი საქართველოს გაერთიანების პრობლემის გადაწყვეტას უკავშირდებოდა. თავისთავად, ქვეყნის გაერთიანება ქართველობის ეროვნული გადარჩენის, მისი როგორც ერის კონსოლიდაციის უპირველესი პირობა იყო. ეს კარგად ესმოდათ ქართველ პოლიტიკოსებს და სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ XVIII საუკუნის შუა ხანებში ქვეყნის „გამოხსნისა" (განთავისუფლების, გადარჩე-

[11] О. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966, с. 166.

ნის) და „აღდგომის“ (გაერთიანების) საკითხს ერთ ასპექტში. ერთად განიხილავდნენ.

მაგრამ საქართველოს გაერთიანება ხომ დასავლეთ საქართველოს გარეშე არ მოხდებოდა, დასავლეთ საქართველო კი (მისი ძირითადი, ქრისტიანული, ნაწილი) არც „სათხოვარ პუნქტებში“ და არც მის საფუძველზე შედგენილ 1783 წლის ტრაქტატში მოხსენიებული არ ყოფილა. ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით. აქ კი აღვნიშნავთ, რომ რუსეთის დიპლომატიას ხელთ ჰქონდა 1773 წელს ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის ელჩობის მიერ პეტერბურგში ჩატანილი ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღების „სათხოვარი პუნქტები“, რაზეც საიმპერატორო კარმა იმჯერად ერეკლეს დელიკატურად უარი უთხრა და რომლის საფუძველზეც ქართლ-კახეთის მეფეს 1782 წელს უკარნახეს განმეორებით ეთხოვა მფარველობა. როგორც აღინიშნა, ამ წლის ბოლოს ერეკლემ „ახალ სათხოვარ პუნქტებს“ მოაწერა ხელი. მალე ამის შემდეგ გრიგოლ პოტიომკინმა, რომელსაც ამიერკავკასიის საქმეების გაძღოლა და ტრაქტატის ორგანიზება ჰქონდა დავალებული, მიიღო დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება „უზენაესად მითითებული საფუძვლები რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დასადებად მიწერილი გრ. ა. ა. ბეზბოროდკოს მიერ თ. გრ. ალ. პოტიომკინისადმი“. როგორც აღნიშნულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ამ თავისთავად საინტერესო დოკუმენტის მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ იგი ოფიციალურად გამოსაქვეყნებლად კი არ იყო განსაზღვრული, არამედ სამუშაო პროგრამის ხასიათს ატარებდა, რომელიც იმპერატრიცამ მისცა საქართველოსთან გასაფორმებელი ხელშეკრულების მომზადებისათვის თავის დიდმოხელეს. ამდენად, მასში საიმპერატორო კარის პოზიცია გულწრფელად, შეუნიღბავად

აღნიშნული დოკუმენტი ალ. ცაგარელმა გამოაქვეყნა, რომელიც არის წარმოდგენილი[12].

დათარიღებულია 1782 წლის 29 დეკემბრით[13]. პროფ. ი. ცინცაძემ მიიჩნია, რომ ამგვარი დათარიღება სწორი არ არის. ეს მოსაზრება მის კვალდაკვალ გაიზიარა თითქმის ყველა მკვლევარმა, რომელიც კი ამ საკითხს შეეხო. მკვლევარები ამგვარ ეჭვს იმის საფუძველზე გამოთქვამენ, რომ ზემოხსენებულ დოკუმენტში, სხვათაშორის, საუბარია ერეკლე II-სა და ავსტრიის იმპერატორს შორის წამოწყებულ დიპ-

---

[12] ი. ც ი ნ ც ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 99—100.

[13] А. Ц а г а р е л и. Грамоты...т. II с. 30—31.

ლომატიურ ურთიერთობასა და რუსეთის ინტერესებისადმი მის საწინააღმდეგო ხასიათზე. ამ ურთიერთობის, კონკრეტულად კი იმის შესახებ, რომ ავსტრიის იმპერატორთან საქართველოდან ელჩი და წერილი გაიგზავნა სესხის სათხოვნელად, თვით ერეკლემ აცნობა რუსეთის საიმპერატორო კარს 1782 წლის 21 დეკემბრის წერილით. რაკი 21 დეკემბერს გაგზავნილი წერილი 29 დეკემბერს პეტერბურგში ვერ ექნებოდათ, ამის საფუძველზე ი. ცინცაძემ ჩათვალა, რომ „უზენაესად მითითებული საფუძვლები“... შედგენილი უნდა იყოს 1783 წლის თებერვალ-მარტში. რაც შეეხება ა. ცაგარელთან მოცემულ დათარიღებას, მკვლევარები მიიჩნევენ, რომ გამომცემელს ხელთ ჰქონდა საბუთის დაუთარიღებელი ეგზემპლარი და შინაარსის მიხედვით მან ვარაუდით თვითონ დაათარიღა.

მთელი ეს მსჯელობა არადამაჯერებლად მოჩანს შემდეგი გარემოების გამო: 1. არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ ცნობილ მეცნიერს საბუთის თვითნებურად დათარიღება დავაბრალოთ. თუ ხელთ დაუთარიღებელი საბუთი ექნებოდა, იგი მას ასევე უთარიღოდ შეიტანდა თავის ცნობილ პუბლიკაციაში. ყოველ შემთხვევაში, უთარიღო საბუთის სავარაუდოდ დათარიღება მიახლოებით შეიძლება (ისიც, რა საკვირველია, სათანადო აღნიშვნით) წლის ან ვთქვათ თვის ფარგლებში, მაგრამ ასეთი ზუსტი თარიღის დასმა (29 დეკემბერი) სათანადო დასაბუთების გარეშე მეცნიერულად სრულიად გაუმართლებელია, რაც ალ. ცაგარელს არ შეეძლო გაეკეთებინა.

2. რაც შეეხება განსახილველ დოკუმენტში ავსტრიის იმპერატორთან ერეკლეს დიპლომატიური ურთიერთობის ფიქსირებას, ამის ახსნა არც ისე რთულია: ქართლ-კახეთის მეფემ თავდაპირველად ევროპაში წერილები 1761 წლის ზაფხულში გააგზავნა კონსტანტინოპოლის გავლით[14]; მაგრამ მისიონერი დომინიკე, რომელსაც კორესპონდენცია მიჰქონდა, იმავე წლის 3 ივლისს კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა; ხოლო რა ბედი ეწია ერეკლე II-ის წერილებს, უცნობია. ერთი წლის შემდეგ, 1782 წლის 18 ოქტომბერს, ერეკლემ ხელმეორედ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი დასავლეთ ევროპაში რამდენიმე კორესპონდენციით. თუ როგორი ძლიერი აგენტურა ჰყავდა რუსეთის დიპლომატიას საქართველოში და მით უმეტეს, კონსტანტინოპოლში, ეს კარგადაა ცნობილი და ამაზე არ შევჩერდებით. საკმარისია აღინიშნოს, რომ რუ-

---

[14] ი. ტაბაღუა. საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 62.

სეთის დიპლომატიამ როცა სჭირდებოდა, დაწვრილებით იცოდა, თუ რაზე ლაპარაკობდნენ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო კარზე თუ დიდებულთა ოჯახებში. ამიტომ წარმოუდგენელია, რომ რუსეთის აგენტურას საქართველოსა და კონსტანტინოპოლში, იმ დროს, როცა საიმპერატორო კარი ასე დაინტერესებული იყო საქართველოს საკითხითა და ქართველ ხელისუფალთა პოლიტიკური ორიენტაციით, ევროპის მონარქებთან ერეკლეს ურთიერთობა, რომელსაც, ცხადია, წინ ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა უსწრებდა, მხედველობიდან გამორჩენოდა და ამის შესახებ ცენტრი მაშინვე საქმის კურსში არ ჩაეყენებინა.

ამდენად, სავარაუდოა, რომ აღნიშნული ურთიერთობის შესახებ პეტერბურგში ცნობები უკვე 1781 წელს ჰქონდათ. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, მას შემდეგ რაც კონსტანტინოპოლის გზით გაგზავნილმა ელჩობამ მარცხი განიცადა, 1782 წლის 18 ოქტომბერს ერეკლემ ახალი წარმომადგენელი გაგზავნა, მაგრამ ახლა უკვე არა კონსტანტინოპოლის, არამედ რუსეთის გზით. პატრ მავრო ვერონელს, რომელსაც კორესპონდენციები მიჰქონდა, მთელი რუსეთი უნდა გადაეკვეთა, რომ პოლონეთის გავლით ავსტრიაში ჩასულიყო. როგორც ცნობილია, იმ დროს რუსეთში ამგვარი მგზავრობა ადვილი საქმე არ იყო. სასაზღვრო ხაზზე, და შემდეგაც არაერთხელ, მგზავრები უნდა წარდგომოდნენ ადგილობრივ ხელისუფალთ, უნდა ეცნობებიათ ვინ არიან, საიდან მოდიან, სად მიდიან, რა მიაქვთ და ა. შ. და მგზავრობის უფლება და დახმარება (სურსათი, ტრანსპორტი და სხვ.) ეთხოვათ: ასე რომ, ელჩობისა და ერეკლეს წერილების შესახებ ოქტომბერში, ყოველშემთხვევაში, 1782 წლის შემოდგომის მიწურულს, რუსეთის ხელისუფლება ოფიციალურად ინფორმირებული უნდა ყოფილიყო.

შეიძლება დავუშვათ, რომ ქართლ-კახეთის ხელისუფლება ცდილობდა ელჩობის გასაიდუმლებას და წერილებს არაოფიციალურად აგზავნიდა, მაგრამ თუ რუსეთის აგენტურა საქართველოსა და კონსტანტინოპოლში ამგვარ ურთიერთობას მხედველობის გარეშე დატოვებდა, რუსეთში მოგზაურობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ელჩობის ნამდვილი მიზნების დადგენა, ცხადია, მას არ გაუჭირდებოდა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ქართლ-კახეთის მეფე თავის მომწერას სულაც არ ასაიდუმლებდა. პირიქით, თვით ი. ციცქაძე სავსებით სამართლიანად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ ერეკლე, როდესაც რუსეთის კარს ავსტრიის სახელმწიფოსთან სესხის მიღების თაობაზე დიპლომატიური ურთიერთობის დაწყების შესახებ ცნობას აწვდიდა,

ამით მასში ერთგვარად შურის აღძვრასა და საქართველოს საკითხით მეტ დაინტერესებას ესწრაფოდა, რადგან ამგვარი ურთიერთობა, როგორც ქართლ-კახეთის მესვეურებმა შესანიშნავად იცოდნენ, საიმპერატორო კარს სასიამოვნოდ არ დაურჩებოდა[15]. უფრო მეტიც, ერეკლეს წერილების (ზოგიერთის მაინც) შინაარსის გაცნობა, რომლებიც გადატვირთულია რუსეთის იმპერატრიცას გადაჭარბებული ქებით, იმ ამაგის გაზვიადებულად წარმოდგენით, რომელიც ვითომც მას საქართველოზე მიუძღვის და ა. შ.[16], გვაფიქრებინებს, რომ ქართლ-კახეთის მესვეურებს ისინი რუსეთის ხელისუფალთა გასაგონად (წასაკითხად) ჰქონდათ გაძიზნული, ე. ი. მათი შინაარსის რუსეთის მმართველი წრეებისათვის გაცნობა ადრესანტთა (წერილების გამგზავნთა) ინტერესში შედიოდა.

ამრიგად, ის არგუმენტი, რომ „უზენაესად მითითებულ საფუძვლებში..." დასავლეთ ევროპასთან ერეკლეს დიპლომატიური კავშირის შესახებაა საუბარი, მის გადასათარიღებლად არ გამოდგება. უეჭველია, რომ 1782 წლის 29 დეკემბერს და გაცილებით ადრეც, ესე იგი მანამდე. ვიდრე მას ამის შესახებ თვით ერეკლე ოფიციალურად შეატყობინებდა. საიმპერატორო კარისათვის ეს ურთიერთობა ცნობილი იყო. ამრიგად, საფუძველი არ არსებობს ალ. ცაგარელის მიერ მოტანილი თარიღის შეცვლისა.

აღნიშნული დოკუმენტის თარიღის შესახებ ამდენი მსჯელობა შეიძლება საჭირო არც იყოს, იგი სხვა, უფრო მნიშვნელოვან საკითხს რომ არ უკავშირდებოდეს. საქმე ის არის, რომ დღემდე ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული და გაზიარებულია მოსაზრება, რომლის მიხედვით „უზენაესად მითითებული საფუძვლები"... შედგენილია ორი დოკუმენტის—ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან 1771—1773 წლებში წამოყენებული მფარველობაში მიღების პირობებისა და 1782 წელს შედგენილი „ახალი სათხოვარი პუნქტების" გათვალისწინების საფუძველზე; უფრო მეტიც, რომ მეორე (1782 წ. დოკუმენტი) პირველის (1771—1773 წწ. დოკუმენტის) დამატებას წარმოადგენს. ორივე ეს დებულება ძნელი მისაღებია.

როგორც ნაჩვენები იყო, პეტერბურგში შედგენილი საბუთის გადასათარიღებლად საფუძველი არ არსებობს, ხოლო რაკი, როგორც ითქვა, ახალ სათხოვარ პუნქტებს ერეკლემ 1782 წლის 21 დეკემბერს

---

15 ი. ციცაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

16 ი. ტაბაღუა. დასახ. პუბლიკაცია, გვ. 20—21, 108, 109 და ა. შ.

მოაწერა ხელი, ამიტომ „უზენაესად მითითებული საფუძვლების...“, რომელიც იმავე წლის 29 დეკემბრითაა დათარიღებული, შემდგენლებს იგი ხელთ ვერ ექნებოდათ. მაგრამ ეს მოტივიც რომ მოიხსნას და დავიჯეროთ, რომ პეტერბურგში საბუთი შეადგინეს არა 1782 წლის დეკებერში, როგორც ეს სათანადო პუბლიკაციაშია მითითებული, არამედ 1783 წლის თებერვალ-მარტში, როგორც ამას პროფ. ი. ცინცაძე და სხვა მკვლევარები მიიჩნევენ, თვით აღნიშნული დოკუმენტების შედარება აშკარად გვიჩვენებს, რომ „უზენაესად მითითებული საფუძვლების“... შემდგენელს „ახალი სათხოვარი პუნქტების“ შინაარსი გათვალისწინებული არა აქვს.

მით უმეტეს, არ უნდა არსებობდეს საფუძველი, რომ „ახალი სათხოვარი პუნქტები“ 1771—1773 წწ. დოკუმენტის დამატებად მივიჩნიოთ, რადგან მასში არაფერია დამატებული. ფაქტობრივად მეორე პირველის პირობათა ერთი ნაწილის შეცვლილ და რამდენიმე სხვაგვარად ფორმულირებულ გადმოცემას წარმოადგენს. სხვა პირობები კი მასში საერთოდ, არ არის შეტანილი[17]. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება შეიძლებოდა იმის დამადასტურებლად მიგვეღო, რომ ახალი სათხოვარი პუნქტები ძველის დამატებაა. იქნებ ვგულისხმობთ, რომ 1782 წლის საბუთით ქართველი პოლიტიკოსები 1771—1773 წლის დანარჩენ (მოუხსენიებელ) მუხლებს ძალაში ტოვებენ: მაგრამ ეს ვარაუდი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ჯერ ერთი, ამგვარი გარემოება საბუთში შესაბამისად უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული და ხაზგასმული, რასაც ადგილი არა აქვს; მეორეც, ეს ვარაუდი იმითაცაა გაუმართლებელი, რომ იმ ცვლილებებს, რომლებიც ახალი სათხოვარის ზოგიერთ მუხლშია შეტანილი ავტომატურად, სხვა მუხლების კორექტირებაც უნდა გამოეწვია, რაც არ მომხდარა. მაგალითად, 1771—1773 წწ. პირობებით ქართლ-კახეთის ხელისუფალნი ახალციხის საფაშოს შემადგენლობაში მყოფი ქართული ტერიტორიების დაბრუნების მოთხოვნას რომ აყენებდნენ, სანაცვლოდ ამ რეგიონში საიმპერატორო კარის სასარგებლოდ საგანგებო გადასახადის დაწესებასა და რუსეთის ხაზინაში ყოველწლიურად 200 ფუთი აბრეშუმის შეტანას კისრულობდნენ. 1782 წლის დოკუმენტით ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიული პრეტენზიები მნიშვნელოვნადაა გა-

---

17 მაგალითად, ფინანსური დამოკიდებულების, რეკრუტის, გადასახადების, ღვინისა და ცხენების შეთავაზების და სხვა საკითხები, რომლებსაც 1771—1773 წწ. დოკუმენტში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭებოდათ.

ფართოებული და ისინი ყარსის საფაშოსაც კი წვდებიან[18]; თუკი ეს დოკუმენტი პირველის დამატებაა, სათანადო ცვლილებები უნდა განეცადა საიმპერატორო კარის დამაინტერესებელი მატერიალური პატივისცემის შესაბამის მუხლებსაც, რაც არ მომხდარა. დაბოლოს, კიდევ ერთი არსებითი მნიშვნელობის გარემოება, რომელსაც მკვლევარები სრულიად გაუმართლებლად უყურადღებოდ ტოვებენ: 1771—1773 წწ. პირობებში, როგორც აღინიშნა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ ფინანსურ და მატერიალურ ვალდებულებებს, რომლებსაც ქართველი პოლიტიკოსები რუსეთის იმპერიის მფარველობაში ქვეყნის მიღებისა და შესაბამისად გაწეული ამაგის სანაცვლოდ, რუსეთის ხელისუფლებას სასარგებლოდ კისრულობენ. მსგავსი ვალდებულებები გათვალისწინებულია (თუმცა ერთგვარად შერბილებული სახით) „უზენაესად მითითებულ საფუძვლებშიც...“, ეს დოკუმენტი კი, როგორც ვიცით, ეკატერინე II-ის კარნახით ნ. ა. ბეზბოროდკომ გ. პოტიომკინისათვის გასაგზავნად შეადგინა. 1783 წლის ტრაქტატის პროექტში და შესაბამისად ტრაქტატის დამტკიცებულ ტექსტში კი ქართლ-კახეთის სამეფოს ფინანსურ და მატერიალურ ვალდებულებებზე სიტყვაც არ არის ნათქვამი.

ყოველივე ზემოთქმული გვარწმუნებს, რომ 1782 წელს ქართლ-კახეთის სამეფო კარზე შედგენილი „ახალი სათხოვარი პუნქტები“ 1771—1773 წწ. შესაბამისი პირობების დამატება კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი დოკუმენტია იმ პირობებისა, რომლებიც ახალ ვითარებაში ქართლ-კახეთის დიპლომატიამ მფარველობაში შესვლისათვის საიმპერატორო კარს წარუდგინა. ამგვარ მოსაზრებას ის გარემოებაც აძლიერებს, რომ თავისი ხასიათით ეს ორი დოკუმენტი ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდება.

ეს განსხვავებულობა სრულიად კანონზომიერია. როგორც ნაჩვენები იყო, 1771—1772 წლებში, როდესაც ერეკლე II-მ რუსეთის ქვეშევრდომობა ითხოვა, ქართლ-კახეთში მეტად მძიმე ვითარება სუფევდა. ქვეყანა გაპარტახებული იყო, სოფლები დაცლილი და გაველანებული, ხაზინა ცარიელი, ყმები გაორგულებული, მეზობლები გამდგარი. რუსეთ-თურქეთის (1764—1774 წწ.) ომში მონაწილეობამ ქვეყნის ხელისუფალთ გათვალისწინებული სარგებლის მაგიერ უდიდესი ზიანი მოუტანა. ამ ომში ერეკლემ ნავარაუდევი ტერიტორიული პრეტენზიები ვერ დაიკმაყოფილა, საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა

[18] ი. ცინცაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 196.

კი უაღრესად გაირთულა და უკლებლივ ყველა მეზობელი აიმხედრა. თურქეთი მის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების სამაგიერო შურისძიებისათვის ემზადებოდა; ირანი, იმის გამო, რომ ერეკლემ არად ჩააგდო შაჰის თხოვნა — შეეწყვიტა თურქეთის საწინააღმდეგო მოქმედება, რუსეთს დაუახლოვდა და ირანის მტრის ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა, ქართლ-კახეთის მეფის დასჯას ფიქრობდა. მეზობელი სახანოები ქართლ-კახეთის მხრიდან, როგორც მათ მიაჩნდათ, მათი საწინააღმდეგო პოლიტიკისათვის სამაგიეროს გადასახდელად ემზადებოდნენ. ლეკებს ხომ საქართველოს სარბევად წაქეზება არც აღრე სჭირდებოდათ, ახლა კი, სულთნის კარისაგან მხარდაჭერილნი და გულგრილობით შეპყრობილნი, ქართლ-კახეთის განადგურებას მეთოდურად ანხორციელებდნენ. ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცის შერყევა რომ იგრძნეს, შინაური ოპოზიციური ძალებიც გამოცოცხლდნენ და აქტიური მოქმედების დაწყების მომენტს ელოდნენ. ხოლო, ყველაფერთან ერთად, რაც მთავარია, ქართლ-კახეთის მეფეზე შემომწყრალი იყო, ერთადერთი იმედი და თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელმძღვანელი და მოკავშირე — რუსეთის საიმპერატორო კარი, რომლის უარყოფითმა დამოკიდებულებამ ერთი პირობა (ტოტლებენის ავანტიურის დროს) ერეკლე II-ს კინაღამ ტახტი დააკარგვინა.

ასეთ ვითარებაში, რუსეთის საიმპერატორო კარის ქვეშევრდომობაში შესვლა ქართლ-კახეთის ხელისუფალთ ქვეყნის გადარჩენისა და ტახტის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად მიაჩნდათ. იმისათვის, რომ საიმპერატორო კარის გული მოელბოთ, მისი მოწყალება დაემსახურებინათ და რუსეთის მფარველობა მიეღოთ, უკიდურეს დათმობაზეც კი მზად იყვნენ. რუსეთის საიმპერატორო კარის დაინტერესებისათვის ერეკლე ყველაფერზე მიდიოდა: თავისი მეფური უფლებების უკიდურეს შეზღუდვაზე, ყოველგვარ სამსახურზე, რასაც რუსეთის საიმპერატორო კარი უბრძანებდა, ხარკზე ცხენების, ღვინისა, თუ აბრეშუმის სახით, რუსეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ საგანგებო გადასახადის შემოღებაზე, მადნების დამუშავების შედეგად მიღებული შემოსავლის ნახევრის საიმპერატორო ხაზინაში გადაცემაზე, რეკრუტის მიცემაზე და ა. შ.

ყველაფერმა ამან და აგრეთვე ერეკლეს სრულიად არაორაზროვანმა განცხადებამ 1771 წლის 30 დეკემბრის საიმპერატორო კარისადმი მიწერილ წერილში იმის შესახებ, რომ იგი მის მიერ გაგზავნილი პირობების დაკმაყოფილებას ითხოვს, „რათა ყველამ, ჩვენმა როგორც კეთილმსურველმა, ისე მტერმა დაინახოს, რომ მე რუსეთის სახელმ-

წიფოს ნამდვილი ქვეშევრდომი ვარ და ჩემი სამეფო შეერთებულია (შემატებულია) რუსეთის იმპერიასთან..."[19], მკვლევარებს საშუალება მისცა გაეკეთებინათ სრულიად ლოგიკური და, ჩვენი აზრით, სწორი დასკვნა, რომ 1771 წელს შედგენილ „პირობებში" „პრაქტიკულად საუბარი იყო დაქვემდებარებაზე, რომელიც ინკორპორაციას უახლოვდებოდა. მაგრამ ერეკლე თავისი ნებით მიდის თავისი ფისკალური უფლებების შეზღუდვაზე, რუსეთის მონარქიის ისეთი უზენაესობის აღიარებაზე, რომელიც ქართლ-კახეთს მხოლოდ ერთგვარ შინაპოლიტიკურ ავტონომიას უტოვებს, უსპობს რა მას სუვერენული სახელმწიფოს ხასიათს და პრივილეგირებული პროვინციის თანრიგში გადაჰყავს"[20].

აღრიგად, პოლიტიკური მდგომარეობის უკიდურესმა სიმწვავემ 1771—1773 წლებში, ქართლ-კახეთის ხელისუფალთა მხრიდან უკიდურესი დათმობების გზით რუსეთის ქვეშევრდომობის ძიება განაპირობა.

სულ სხვაგვარი ვითარება იყო 1781—1782 წლებში. 1774—1779 წლები ქართლ-კახეთის სამეფოს მნიშვნელოვანი წარმატებების პერიოდია. როგორც აღინიშნა, ამ ხნის განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკოსებმა არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გადაჭრეს. თანდათანობით მოაგვარეს ურთიერთობა ირანთან და თურქეთთან. განამტკიცეს გავლენა მეზობელ სახანოებზე და კვლავ დაიქვემდებარეს განჯა და ერევანი; მორიგე ჯარის შემოღებით, არტილერიის ორგანიზებითა და სხვა ღონისძიებებით აამაღლეს ქვეყნის სამხედრო პოტენციალი და არსებითად შეანელეს მეზობელ მთიელთა შემოსევების გამანადგურებელი ძალა. სამთამადნო საქმის ორგანიზებით კი შესამჩნევად გააძლიერეს სახელმწიფო ხაზინა. სამეფოში ვითარების მნიშვნელოვანი გამოსწორება მაშინვე იგრძნეს ქვეყნის ქვეშევრდომებმა. თანამედროვეთა აზრით, ერეკლეს მდგომარეობა იმ ხანებში სანატრელი და განსაცვიფრებელი იყო (ცხადია, ეს მდგომარეობა იდეალური არ ყოფილა, მაგრამ წინა რთულ პირობებთან შედარებით იგი, ეტყობა, ერთობ, მიმზიდველად მოჩანდა): „განცვიფრდა ყოველი სული და ადიდებდნენ ღმერთს (ჰეფსა) ამის ესეთს ბედნიერობას: — ხონთქარი ესრეთ, ყეენი ესრეთ, რუსეთის იმპერატორი ესრეთ, შვილნი მორჩილნი ესრეთ, ყმა დამონებული ესრეთ, მეზობელნი მორჩილნი ესრეთ და სხვა მრავალი ბედ-

[19] Л. Цагарели. Грамоты... т. I, с. 332—333.

[20] Л. Алексидзе. Взаимоотношения Грузии с Россией в XVI—XVIII вв., თსუ, შრომები 94, თბ., 1963, გვ. 66.

ნიერება აურაცხელი...“[21] — აღფრთოვანებით აცხადებს იესე ოსეს ძე და ამით თანამედროვეთა საერთო განწყობას გამოხატავს. მართალია, 1778—1780 წლებში ქვეყნის გაერთიანების მარცხიანმა ცდამ, ამის შედეგად სოლომონ I-ის კონტრზომებმა, რუსეთის საიმპერატორო კარის დიპლომატიურმა დაწოლამ და ამიერკავკასიაში ფათალი-ხანის მტრულმა წამოწყებებმა იმ ხანებში ერეკლეს მდგომარეობა ერთგვარად გაართულა, მაგრამ ეს გართულება შედარებით ადვილად მოსაწესრიგებელი იყო და, ცხადია, მისი შედარება 1771—73 წლების მდგომარეობასთან არ შეიძლება.

ბუნებრივია, ამგვარ ვითარებაში მყოფი ქართლ-კახეთის მეფისათვის ის პირობები, რომლებითაც მან 1773 წელს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა ითხოვა, მიუღებელი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ერეკლე შესანიშნავად ხედავდა, რუსეთი ამჯერად მეტად დაინტერესებული იყო საქართველოსთან კავშირით და შესაბამისი დოკუმენტის იურიდიულად გაფორმებას ჩქარობდა. დიპლომატ მეფეს არ შეიძლება ამგვარი ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენება არ ეცადა. ამის ნაყოფია ის „ახალი სათხოვარი პუნქტები...“, რომელსაც, როგორც აღინიშნა, ერეკლემ 1782 წლის 21 დეკემბერს მოაწერა ხელი.

1771—1773 წლის სათხოვარი პუნქტებისაგან განსხვავებით, ამჯერად ერეკლე რუსეთის ქვეშევრდომობას კი არ ითხოვდა, არამედ მფარველობას. „ყოველად მოწყალის დიდებულის ხელმწიფისაგან ჩუენ და ჩუენი ქუეყანა მათის საფარველით დაფარულნი ვიყუნეთ, რომ არც თურქის სულტანს და არც სპარსეთის ხელმწიფეს ჩუეთან საზღვროთ ხელი არა ჰქონდესთ, თუ რომ ისინი რუსეთის დიდებულის ხელმწიფის აშლილნი არ იყუნენ“[22]... ამ წინადადების შემდგომ ნაწილზე დაკვირვება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ქართლ-კახეთის დამოკიდებულება რუსეთისადმი გათვალისწინებულია მხოლოდ საომარ პერიოდში: მშვიდობიანობის შემთხვევაში ქართლ-კახეთის ხელისუფლება თითქოს სრულ დამოკიდებულებას ინარჩუნებს: „... და როდესაც აშლილნი ჩუენ მათის დიდებულების მონანი ვიქმნებით და მშველელიც ის იქნება ჩუენი“. მაშასადამე, ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორის მორჩილია („მონა“) მაშინ, როდესაც უკანასკნელი საომარ მდგომარეობაში („აშლილნი“) იქნება თურქეთთან თუ ირანთან. ამ მოსაზრებას თითქოს ეწინააღმდეგება ახა-

---

21 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 86.

22 ი. ც ი ნ ც ა ძ ე. დასახ. ნაშრომი (საბუთები), გვ. 195 (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

ლი „სათხოვარი პუნქტების“ მომდევნო აბზაცი: „რომელიც რუსეთის ყოვლად მოწყალის ხელმწიფისაგან აქეთ მხარეს სამსახური გვებძანება ჩვენის თავით, ჩვენის შვილებით ჩემის ქვეყნით ყოვლის ჩემის ძალით და შეძლებით ჰაზს სამსახურზე მზა ვარ და არც ჩემს თავს ჩემს შვილებს და ჩემს ქვეყანას დავზოგავ“[23]. მაგრამ თუ ამ ნაწილს აბზაცის გარეშე წავიკითხავთ, მაშინ მთელი ეს ვალდებულებითი პირობა კვლავ საომარი მოქმედების ვითარებას დაუკავშირდება. ხოლო, ამგვარი დაკავშირების შესაძლებლობა, რომ გამორიცხული არაა, ეს, ვფიქრობთ, კარგად ჩანს, იმ პუნქტის შინაარსიდან, რომელშიც ქართლ-კახეთის მესვეურები, საომარი მოქმედების შემთხვევაში, მტრის ხელთ არსებული ქართული ტერიტორიების დაბრუნებას ითხოვენ: „ვინ რუსეთის ყოვლად მოწყალის ხელმწიფის შერიგებული არის იმისი ჩვენც უთუოდ მეგობარი ვიქმნებით, მაგრამ თუ როდესმე რუსეთის დიდებულის ხელმწიფისაგან თურქის სულტანზედ საფარი ებრძანება დაიმპერატორობის დიდებულების ჯარი ჩვენ შეგვიერთდება, ჩვენ და ჩვენს ქვეყანას რაც შეძლება გვაქვს სამსახურზე მზანი ვიქმნებით და არც ჩუენს თავს დავზოგავთ“...[24] „და თუ როდესმე მათის დიდებულების რუსეთის ყ[ო]ვლად მოწყალის ხელმწიფის საფარი სპარსეთის მხარს მოხდეს, რაც სამსახური მათის დიდებულებისაგან გვებრძანება ჩვენ ჩვენის ძალით და შეძლებით მზანი ვართ და სამსახურზე თავს არ დავზოგავთ“...[25]

აღვნიშნეთ, რომ ახალი „სათხოვარი პუნქტების“ ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას ქართლის ტახტის შემომტკიცება, ვახტანგ VI-ის სახლისშვილთა ამ მხრივ პრეტენზიების სრული აღკვეთა და ამავე დროს ომის შემთხვევაში ქართული ისტორიული ტერიტორიების დაბრუნება შეადგენდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ აშკარა უნდა იყოს, რომ 1782 წლის ახალი „სათხოვარი პუნქტები“ პრინციპულად განსხვავდება 1771—1773 წლის ქვეშევრდომობაში მიღების პირობისაგან და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ქართლ-კახეთის მეფე ამჯერად ფორმალურად აღიარებს რუსეთის იმპერატორის უზენაესობას,

---

23 ი. ცინცაძე. დასახ. ნაშრომი (საბუთები), გვ. 195 (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

24 იქვე, გვ. 196 (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

25 იქვე (ხაზი ჩვენია —მ. ს.).

მშვიდობიანობის ვითარებაში არსებითად ინარჩუნებს სუვერენიტეტს, ხოლო ირანთან ან თურქეთთან ომის შემთხვევაში იგი უმორჩილდება (ექვემდებარება) რუსეთის იმპერატორს, ყოველგვარი შესაძლებელი საშუალებით თავდაუზოგავად მონაწილეობს სამხედრო მოქმედებაში, რის საჩაცვლოდაც ითხოვს: 1. ქართლის ტახტის საკითხის საბოლოო გადაწყვეტას, 2. ირანისა და თურქეთის მოსალოდნელი აგრესიისაგან რუსეთის მხრივ დიპლომატიურ დაცვას, 3. საომარი მოქმედების პირობებში ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებას, 4. ხოლო მშვიდობიან პერიოდში მთიელთა შემოსევების ასალაგმავად ორი პოლკის გამოგზავნას საერთო ხარჯით (ჯამაგირი რუსეთის ხელისუფლებამ უნდა გაიღოს, სურსათს კი ქართველები კისრულობენ). დაბოლოს, ქართლ-კახეთის დიპლომატია მიიჩნევს, რომ ორი მხარის ინტერესები ამგვარ შემთხვევაში თანაბრად დაკმაყოფილებულია და ამის საფუძველზე მ თ ლ ი ა ნ ა დ ხ ს ნ ი ს თავის მხრივ ფინანსურ თუ მატერიალურ ვალდებულებებს, რასაც 1771—1773 წწ. პირობებით ასე უხვად სთავაზობდა საიმპერატორო კარს. სწორედ ამ პრინციპული განსხვავების გამო არ არის საფუძველი იმისა, რომ 1782 წლის „ახალი სათხოვარი პუნქტები“ 1771—1773 წწ. ქვეშევრდომობაში მიღების „სათხოვარი პუნქტების“ დამატებად მივიჩნიოთ.

როგორც ჩანს, ცარიზმის ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ქართლ-კახეთის მეფე არსებითად „1771—1773 წლის პირობების“ შესაბამის მოთხოვნებს წამოაყენებდა. აღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებითაა შედგენილი 1782 წლის „უზენაესად მითითებული საფუძვლები...“. დოკუმენტზე დაკვირვება ისეთი შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ა. ბეზბოროდკო მუხლობრივად აცნობდა იმპერატრიცას დასახელებულ საბუთს და იქვე აფიქსირებდა მის აზრს ამა თუ იმ პუნქტის შესახებ. ევროპისა და ურთიერთდაკავშირებული ხალხების საზოგადოებრივი აზრის ანგარიშგაწევის მიზნით იმპერატრიცამ 1771—1773 წწ. ქართველი პოლიტიკოსების მიერ წამოყენებული მძიმე პირობები მნიშვნელოვნად შეარბილა. ამით იგი ქართლ-კახეთის მიმართ უფრო ადვილად და ბუნებრივად შეინარჩუნებდა, კ. მარქსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ „განმათავისუფლებლის პოზას“. არც ისაა გაბრიცხული, რომ საიმპერატორო კარისათვის, არაოფიციალურად ცნობილი იყო ერეკლეს განწყობა, გარკვეულად შეეზღუდა 1771—1773 წწ. პირობებით ნაკისრი შორს მიმავალი ვალდებულებები. ყოველივე ამის გამო, „უზენაესად მითითებულ საფუძვლებში“ ეკატერინე II კარნახობს, რომ უმჯობესია ქართლ-კახეთი ტრაქტატში მოხსენიებულ იქ-

ნას „მოკავშირედ“ და არა „ქვეშევრდომად“, უარს აცხადებს ფულადი გადასახადის მიღებაზე. აღნიშნული „დათმობებით“ იმპერატრიცას რომ საქართველოს მიმართ თავისი დამოკიდებულების უანგარობაში საზოგადოებრივი აზრის დარწმუნება სურდა, ეს ჩანს მისი განცხადებიდან საქართველოდან ყოველწლიურად შეთავაზებული ორი ათასი ვედრო საუკეთესო ღვინის თაობაზე: „კიდევ უფრო მეტად წარმოჩინდება უანგარობა, თუ ვუბრძანებთ, რათა ღვინოც გარკვეულ ფასად იქნას აღებული, მით უმეტეს, რომ ეს უბრალო ხალხს ეხება“[26]. როგორც ჩანს, იმპერატრიცა შეუშფოთებია ევროპასთან ქართლ-კახეთის ურთიერთობას და ამის აღსაკვეთად საგანგებო მუხლის შეტანა ჩაუთვლია საჭიროდ; ხოლო რათა ამ მიმართულებით დასახული მიზანი ეფექტიანად განახორციელოს, „საფუძვლებში“ აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკლესიის იერარქია საეკლესიო სინოდს დაუკავშირდეს და მისი კათალიკოსი რუსეთის ეკლესიის პირველი რანგის მწყემსმთავრების რიგში მოექცეს. ამით, როგორც ეკატერინე II-ს დიპლომატიას მიაჩნდა „რაკი სასულიერო წოდების მხრივ ისინი უწმინდეს სინოდზე იქნებიან დამოკიდებული, ამის შესაბამისად (საქართველოში) კათოლიკურ სამღვდელოებასაც რუსეთისგან მიიღებენ, ამით კი დამთავრდება ურთიერთობა (რომის) იმპერატორთან, რომლის მიზეზიც მისიონერებია“[27].

მთიელთა წინააღმდეგ ეფექტიანი მოქმედების მიზნით იმპერატრიცას საქართველოში ორი ბატალიონისა და ოთხი ზარბაზნის გამწესება ჩაუთვლია საჭიროდ. ასევე საჭიროდ მიუჩნევია საგანგებოდ აღენიშნა, რომ აუცილებელია საბოლოოდ მოხდეს შეთანხმება ერეკლესა და სოლომონს შორის და ამ საკითხის მოგვარება პ. პოტიომკინს დაავალა[28].

როგორც ვხედავთ, „უზენაესად მითითებულ საფუძვლებში“... არაფერია ნათქვამი ქართლ-კახეთის სამეფოს ძირითად მოთხოვნაზე, ქვეყნის ერთიანობის აღდგენის საკითხს რომ უკავშირდებოდა და მტრისაგან მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას გულისხმობდა.

ამრიგად, 1783 წლის დასაწყისში რუსეთის დიპლომატიას ხელთ ჰქონდა ორივე დაკავშირებული ქვეყნის მმართველთა პოზიციებისა და სურვილის გამომხატველი დოკუმენტები, ერთი „უზენაესად მითი-

---

[26] А. Цагарели. Грамоты... т. II, с. 30—31.

[27] იქვე.

[28] იქვე.

თებული საფუძვლები“, ხოლო მეორე, „ახალი სათხოვარი პუნქტები“, რომლებიც თითქმის ერთდროულად, 1782 წლის დეკემბერში იქნა შედგენილი რუსეთის საიმპერატორო კარისა და ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკოსთა მიერ.

ამ ორი დოკუმენტის შეჯერების საფუძველზე ჩანს შედგენილი ტრაქტატის პროექტი (რომელიც საბოლოოდ უმნიშვნელო შესწორებით იქნა მიღებული), რომლის ავტორია ა. ბეზბოროდკო.

ერეკლეს „ახალი სათხოვარი პუნქტების“ საფუძველზე ტრაქტატის პროექტში, შემდეგ კი თვით დამტკიცებულ ტექსტში არ შევიდა მატერიალური ვალდებულებები, რომლებიც ქართლ-კახეთის სამეფოს უნდა ეკისრა. რაკი ახალ, 1782 წლის შედგენილ საბუთში ქართლ-კახეთის მესვეურები აღნიშნულ ვალდებულებებზე არაფერს ამბობენ, პროექტის შემდგენელი იძულებული იყო იგი საერთოდ ვოეხსნა.

ცარიზმის დიპლომატიის გამარჯვებად და ერეკლეს „ახალი სათხოვარი პუნქტებიდან“ მისი ინტერესების საწინააღმდეგო გადახვევად მოჩანს ტრაქტატის პირველი არტიკული. აღნიშნული მუხლის ძირითადი ნაწილი იმის შესახებ, რომ ერეკლე საზეიმოდ აცხადებს უარს ყოველგვარ დამოკიდებულებაზე სპარსეთისა, თუ რომელიმე სხვა სახელმწიფოსადმი და მთელი ქვეყნის წინაშე აღიარებს, რომ არ ცნობს არავითარ თვითმპყრობელობას, გარდა რუსეთის იმპერატორის უმაღლესი ძალაუფლებისა და მფარველობისა, ცხადია, ორივე მხარისათვის ერთნაირად მისაღები იყო; მაგრამ ამას მოყვება დებულება „და მზადყოფისა შეწევნისათვის სარგებელსა სახელმწიფოისა (რუსეთისა) ყოველსა შინა შემთხუევასა, და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი“. თუ სწორია ზემოთ მოყვანილი მსჯელობა იმის შესახებ, რომ „ახალი სათხოვარი პუნქტებით“ ქართლ-კახეთის ხელისუფლება საიმპერატორო კარს მხოლოდ ომის შემთხვევაში დაექვემდებარებოდა, ტრაქტატის პირველი არტიკულის ბოლო დებულებით ეს დაქვემდებარება აშკარად გაზრდილია, იგი არ იფარგლება მხოლოდ საომარი პერიოდით, იგი მშვიდობიან დროზეც ვრცელდება.

კიდევ უფრო მეტადაა შეზღუდული ქართლ-კახეთის მეფის სუვერენული უფლებები ტრაქტატის მეოთხე არტიკულით, რომლის ძალითაც მას საიმპერატორო კარი საგარეო ურთიერთობების საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინა და მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხები რუსეთის სათანადო რწმუნებულთან უნდა შეეთანხმებინა. პროფ. ი. ციცაძის სამართლიანი დაკვირვებით, აქ სხვა გამოსავალი არც იყო. რაკი ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვას რუსეთი კისრულობ-

და, ცხადია, ნას არ შეეძლო დაეშვა ქვეშევრდომის ინიციატივით რაიმე სამხედრო გართულება[29]. აღნიშნული არტიკული ერთგვარად ეხმიანება და ავრცელებს ეკატერინე II-ის მითითებას იმის შესახებ, რომ ქართლ-კახეთის ხელისუფალთ აღეკვეთოთ ყოველგვარი ურთიერთობა ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებთან.

„უზენაესად მითითებული საფუძვლებიდან“ გამომდინარეობს მესამე არტიკულიც: ქართლ-კახეთის მეფე ტახტზე ადის მემკვიდრეობის წესით, მაგრამ ამის შესახებ მან საიმპერატორო კარს უნდა აცნობოს და მეფედ დამტკიცება ითხოვოს. საიმპერატორო კარიდან იგი მიიღებს სამეფო ნიშნებს (სიგელი, დროშა, ხმალი, კვერთხი, მანტია), რის შემდეგაც რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე უნდა დაიფიცოს ფიცის შეთანხმებული და დადგენილი ტექსტის მიხედვით.

ტრაქტატის მეშვიდე არტიკული მოითხოვს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიისადმი სამხედრო დაქვემდებარებას: „რათა იყოს ნიადაგ მზად სამსახურსა ზედა მისისა დიდებულებისასა მხედრობითა თვისითა“...[30] მას ევალება რუსეთის მეფის წარმომადგენლის წინადადებების შესაბამისად მოქმედებდეს იმ საქმეების აღსრულების დროს, რომლებიც რუსეთს შეეხება; ამავე დროს, მაღალ სახელმწიფოებრივ თანამშრომლობაზე დაწინაურების დროს უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი კანდიდატის რუსული ორიენტაცია და მისი დამსახურება რუსეთის იმპერიის წინაშე.

ქართლ-კახეთის ხელისუფლებამ სამშობლოში უნდა დააბრუნოს სხვადასხვა საშუალებებით ტყვეობიდან გამოხსნილი რუსეთის ქვეშევრდომები (არტ. X), ხელი შეუწყოს რუსეთის ვაჭრებს (არტ. XI) და ა. შ. სამხედრო დაქვემდებარებას შეეხება ტრაქტატის მეორე ნაწილის მესამე სეპარატული არტიკული, რომლის ძალითაც გათვალისწინებულია ქართული სამხედრო შენაერთების ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რუსეთის ინტერესების შესაბამისად გამოყენება. ამასთან, საქართველოს სამფლობელოების დასაცავად წარმოებული ბრძოლების დროს მოკავშირეთა ძალების მოქმედება ქართველი მეფის მიერ რუსეთის სათანადო სარდალთან უნდა იქნას შეთანხმებული.[31]

„უზენაესად მითითებული საფუძვლების“ მოთხოვნათა მიხედვითაა შედგენილი პირველი სეპარატული არტიკული, რომლითაც ერეკ-

---

[29] ი. ც ი ნ ც ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 121—122.

[30] იქვე, გვ. 224.

[31] იქვე. გვ. 120.

ლეს ევალება მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნოს სოლომონ I-თან, ხოლო ურთიერთობის გართულების შემთხვევაში არბიტრობა რუსეთის დედოფალს ეკისრება.

ყველა ზემოჩამოთვლილი დათმობის საფასურად ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის საიმპერატორო კარის მხრიდან იღებს აგრესორთა შემოტევისაგან დაცვის გარანტიას, ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნებისა და ისტორიული საზღვრების თანდათანობით აღდგენის დაპირებას.

როგორც აღნიშნული იყო, „ახალ სათხოვარ პუნქტებში“ ძირითადი ადგილი ეკავა ქართლის ტახტის დამტკიცებისა და ალექსანდრე ბაქარიძის ამ მხრივ პრეტენზიების აღკვეთის საკითხს. ბუნებრივია, რომ ეს მოთხოვნა ორი სახელმწიფოს ურთიერთობის ოფიციალურ დოკუმენტში იმ სახით, როგორადაც ერეკლემ წარადგინა, ვერ დაფიქსირდებოდა. მაგრამ იგი მთლიანადაა დაკმაყოფილებული ტრაქტატის მეორე არტიკულით. სადაც რუსეთის იმპერატორი ერეკლე II-ეს გარანტიას აძლევს იმის შესახებ, რომ მისი არსებული სამფლობელოს მთლიანობა შენარჩუნებული იქნება: „დიდებულება მისი აძლევს იმპერატორებრსა თავს-მდებობასა თვისსა მრთლად (და დაუკლებლად) დაცულსა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა, უვანათლებულესობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა“...[32]

ამავე არტიკულის მეორე ნაწილით დაკმაყოფილებულია ქართლ-კახეთის მეფის მეორე ძირითადი მოთხოვნა, საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენას რომ გულისხმობს: „... და წინადაჰსდებს განვრცელებასა ესე ვითარისა თავსმდებობისასა ესეგუარსა ზედა სამფლობელოსა, რათა რომელნიცა წარმდინარეობასა შინა დროთასა გარემოებითა, და განრჩევითითა ხატითა შესაბამად სამფლობელოჲსა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელოჲსა მისისა მიშართ დამტკიცებიან“[33]. ესე იგი, საიმპერატორო კარი გარანტიას იძლევა, რომ ეს თავმდებობა (მთლიანობის შენარჩუნების შესახებ) ვრცელდება იმ სამფლობელოებზე, რომლებიც დროთა განმავლობაში მოპოვებული და მასზე (ქართლ-კახეთის მეფეზე) დამტკიცებული იქნება. მაგრამ როგორც ჩანს, ქართველი დიპლომატები არ დაუკმაყოფილებია აღნიშნული არტიკულის ერთგვარ ბუნდოვან დაპირებას და უფრო ზუსტი და კონკრეტული პირობა მოუთხოვიათ. ამის საფუძველ-

---

[32] ი. ციცაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

[33] იქვე. გვ. 221—222.

ზე გაჩნდა მეოთხე სეპარატული არტიკული, რომლითაც: „დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღჰსთქუამს, რათა დროსა ბრძოლისასა იხმაროსმცა ყოველი შემძლებლობაჲ მეცადინეობისა ღონითა საჭურველისათა: ხ-დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკუმოქცევისათვის ქუეყანისა, და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა, და ძუელადვე სამეფოისა მიმართ ქართლისა და კახეთისა, შერაცხილთა. ესენი უკუე დაშთებიან სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა. საფუძუელსა ზედა თქმულთა ჰაზრთასა, რომელნიცა ითქუნენ მფარუელობისათვის, და უზენაესისა ხელმწიფებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთა“[34]: მაშასადამე, რუსეთის იმპერატორი კისრულობს ომის შემთხვევაში იარაღის ძალით, ხოლო მშვიდობიანობის დროს დიპლომატიური საშუალებით, დაუბრუნოს ის მიწები, რომლებიც უწინ ქართლ-კახეთს ეკუთვნოდა. ისინი, აქაური მეფის მფლობელობაში შევლენ და მათზეც გავრცელდება ის მფარველობა, რომელიც რუსეთის იმპერატორმა ივალდებულა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართლ-კახეთის პოლიტიკოსები, რომლებიც ქვეყნის ისტორიული ტერიტორიის აღდგენას გეგმავდნენ, 1771-1773 წლებში ოფიციალურად აყენებდნენ საკითხს ახალციხის საფაშოს შესახებ. 1782 წელს მათ თავიანთი მოთხოვნები გაზარდეს და პრეტენზია გამოთქვეს ყაკ-ენისელისა და ყარსის საფაშოს ქართულ ტერიტორიებზე. ტრაქტატის ზემოგანხილულ მუხლში არც ახალციხე, არც ყაკ-ენისელი და არც ყარსი ნახსენები არ არის, მხოლოდ აღნიშნულია ის მიწებ-, რომლებიც ადრე ქართლ-კახეთს ეკუთვნოდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამგვარი ზოგადი ფორმულირება საქართველოს იმ მეზობელი აგრესორი სახელმწიფოების ზედმეტი გაღიზიანების თავიდან ასაცილებლადაა ჩამოყალიბებული, რომელთა სამფლობელოშიაც იმჟამად აღნიშნული მიწები იმყოფებოდა. გარკვეული აზრით, ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ დასახელებული მუხლი სხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებასაც იძლევა. თუკი საუბარია იმ მიწებზე, რომლებიც უწინ ქართლ-კახეთს ეკუთვნოდა, საჭიროა გაირკვეს რა მიწები ეკუთვნოდა უწინ ქართლ-კახეთს. ქართლი ისტორიულად ერთიანი საქართველოს ცენტრი იყო. შესაბამისად, რაკი ერთიან საქართველოს ბაგრატიონთა ქართლის შტო განაგებდა, შეიძლება მსჯელობა იმაზე, რომ საქართველოს ერთიანობის ეპოქაში მას ყველა ქართული მიწა ეკუთვნოდა.

---

[34] ი. ც ი ნ ც ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 232.

პირველი რეგიონი, რომელიც ამ ერთიანობას გამოაკლდა, სწორედ ის მხარე (სამცხე-საათაბაგო) იყო, რომელიც განსახილველ ხანაში ახალციხის საფაშოს ტერიტორიის ბირთვს შეადგენდა. მაშასადამე, თუკი ქართლ-კახეთის ხელისუფალთ პრეტენზია შეიძლება ჰქონოდათ ახალციხის საფაშოზე (სამხრეთ საქართველოზე), როგორც ძველთაგან მათ კუთვნილ ტერიტორიაზე, მით უმეტეს გამართლებულად შეიძლება იქნას მიჩნეული ამგვარი პრეტენზია დასავლეთ საქართველოზე. ამგვარად, აღნიშნული არტიკულის დებულება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იგი პერსპექტივაში გულისხმობდა მთელი საქართველოს, მათ შორის დასავლეთ საქართველოს, გაერთიანებას ქართლ-კახეთის მეთაურობით. როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი გეგმა ერეკლე II-ეს ჰქონდა და მისი განხორციელებისათვის ენერგიული ნაბიჯებიც გადადგა, თუმცა წარმატებას ვერ მიაღწია; ამგვარი ფინალი (მთელი საქართველოს ვაერთიანება ქართლ-კახეთის მეთაურობით), თუკი ეს გაფორმებული ტრაქტატის ფარგლებში მოხდებოდა, მისაღები და სასურველი უნდა ყოფილიყო ცარიზმის ხელისუფლებისთვისაც.

ამგვარ გაგებას თითქოს ეწინააღმდეგება იმავე სეპარატული ნაწილის პირველი მუხლი, რომლის ძალითაც: „ჰაზრი მტკიცე მისისა იმპერატორების დიდებულებისა, რათა ერთ-მორწმუნენიმცა ერისა მისისანი ესოდენ მჭირსითა საკრუელითა შეერთებულნი მისისა თანა იმპერიისა ეგნენ ურთიერთარს მეგობრობასა შინა, და სრულსა თანხმობასა საშიშრად მოშურნეთა მეზობელთა მათთა და მოსაწყლუელად შეერთებულით ძალითა, მათდა, რომლნიცა შეეხებიან ვნებად თავისუფლებასა, განსუენებასა და კეთილდღეობასა მათსა, რომლისათვის უკუე აღიძრვის დიდებულება მისი, მისის უგანათლებულესობისადმი მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, მიცემად მეგობრობითისა ჰაზრისა, და განზრახვისა (ესე იგი ჰრჩევისა) დაცვისათვის მეგობრობისა, და კეთილისა თანხმობისა უგანათლებულესისა მეფისა მიმართ იმერთასა სოლომონისა..."[35] მაგრამ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აღნიშნულ არტიკულში საუბარია არა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოს მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებაზე (და არც აღნიშნული სამეფოების მეფეთა მეგობრობაზე), არამედ კონკრეტულად ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს შორის დამოკიდებულების მოწესრიგებაზე. ამავე დროს, ტრაქტატი ერეკლე II-ს

---

35 ი. ც ი ნ ც ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 230.

ავალებს კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას. ცხადია, ამგვარი დავალება სოლომონის მიმართ გამორიცხულია, რადგან ხელშეკრულება მხოლოდ ერეკლესთან ფორმდება, მაგრამ თავისთავად ამ ფორმულირებაში თითქოს უნდა ჩანდეს ერეკლეს გარკვეული პრეტენზია. ყოველ შემთხვევაში, მისი აქტიურობა დასავლეთ საქართველოს მიმართ. მაგრამ, ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ ტრაქტატი ერეკლესა და სოლომონის სიცოცხლის მანძილზე კი არ იყო გათვალისწინებული, არამედ სამარადისოდ. მაშასადამე, გამოდის, რომ ერთი ან მეორე პიროვნების სიკვდილის შემთხვევაში აღნიშნული მუხლი ძალას ჰკარგავდა. მართალია, ერეკლე სოლომონზე 9 წლით უფროსი იყო და, რა მოხდებოდა შემდგომ, ამის განსაზღვრა არავის შეეძლო, მაგრამ ყველასათვის ცნობილი იყო, რომ იმერეთის სახელოვანი მეფე მძიმედ იყო ავად და მას დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. მაშასადამე, მისი არყოფნის შემთხვევაში ქართლ-კახეთის ხელისუფალთ იმერეთის მიმართ მოქნილი პოლიტიკა ხელები ეხსნებოდათ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტრაქტატი პერსპექტივაში მთელი საქართველოს გაერთიანების შესაძლებლობას გულისხმობდა ერეკლესა თუ მის მემკვიდრეთა მეთაურობით. თავისთავად, როგორც ზემოთ ითქვა, სამხრეთ საქართველოს შემოერთება, ფაქტობრივად მთელი დასავლეთ საქართველოს საკითხის გადაჭრაც იქნებოდა, რადგან ეს რეგიონი ქართლ-კახეთის დაქვემდებარებული ტერიტორიებით გარემოცული რჩებოდა.

ტრაქტატი საქართველოს გაერთიანების პერსპექტივას რომ ითვალისწინებდა, ამისი ძალით ქართლ-კახეთს ყველა დანარჩენი ქართული ერთეულები და ტერიტორიები უნდა შეერთებოდა, ვფიქრობთ, აშკარად ჩანს ყოფილი სამეფო სახლის წევრთა სახელით XIX საუკუნის დასაწყისში შედგენილ დეკლარაციაში: „ჟამსა ამას შინა მყუდროებით ცხოვრების ჩვენისასა, — ვკითხულობთ აღნიშნულ დოკუმენტში, — მოგვებოძნეს წერილნი და ელჩნი მისისა დიდებულებისა ღ(ვ)თისადმი განსვენებულისა იმპერატორის ეკატერინა ალექსივნასაგან პირისპირ ოხოვნა მეფისადმი ჩვენისა, რათა მეფე ირაკლი შემოვიდეს საფარველსა ქვეშე რუსეთისასა და მან აღუთქვა ღრამატით და სხვითა წერილებით, რომელნიცა რომე ნაწილნი საქართველოსნი იყვნენ სხვის მონებასა შინა, ანუ თავისუფალი, ყოველსავე დაიპყრობდენ შეწევნითა მხედრო-

ბათა თვისითა და უკმოსცემდენ უკანვე მეფესა ჩვენსა[36].

როგორც ვხედავთ, აქ საუბარია მთლიანად საქართველოს კუთვნილ ტერიტორიებზე როგორც სხვა სახელმწიფოთა მფლობელობაში მყოფ, ისე თავისუფალზე და ქართლ-კახეთისათვის მათ შეერთებაზე. ნათელია, რომ ქართლ-კახეთის გამგებლები გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით საქართველოს გაერთიანების საკითხის გადაწყვეტასაც ვეგმავდნენ.

თუ ყველაფერი ასე იყო, ცხადია, იმერეთის პოლიტიკოსები ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში თავის საწინააღმდეგო აქტს დაინახავდნენ და მისდამი უარყოფითად განეწყობოდნენ, რაზედაც ქვევით შევაჩერებთ ყურადღებას. მანამდე კი საჭიროა დასრულდეს საუბარი 1783 წლის ტრაქტატის გაფორმების თაობაზე.

1783 წლის დასაწყისისათვის ტრაქტატის პროექტი მზად იყო. იმავე წლის 9 მაისს იგი საიმპერატორო კარმა მოიწონა და პოლკოვნიკ ტამარას ხელით საქართველოში გამოაგზავნა[37].

რუსეთის დიპლომატიას საკითხი გადაწყვეტილად მიაჩნდა, რადგან, როგორც იმპერატრიცა ფიქრობდა, პროექტი სრულიად ეთანხმებოდა ერეკლეს სურვილებს „შეიცავდა რა ყველა იმ პუნქტს, რაც კი ამ მფლობელის მხრიდან ჩვენდამი თხოვნაში იყო გამოხატული“[38]. მაგრამ ერეკლე დუმდა და ტრაქტატის გასაფორმებლად თავისი წარმომადგენლების გაგზავნას არ ჩქარობდა. პეტერბურგში კი ნერვიულობენ და პოლკოვნიკ ტამარას ავალებენ დაწვრილებით გაარკვიოს მეფის ყოყმანის მიზეზი. ტამარამ, როგორც ჩანს, ნამდვილი მიზეზი ვერ შეიტყო და ყველაფერი ალმოსავლურ სიზანტესა და სახელმწიფო დოკუმენტების შედგენაში ქართველი დიპლომატების გამოუცდელობას დააბრალა. სამაგიეროდ პ. პოტიომკინისადმი წარდგენილი მისი პატაკიდან[39] კარგად ჩანს, თუ როგორი აიფრთხილით, დაკვირვებით, გულდასმითა და ჩაკირკიტებით განიხილავდა ქართლ-კახეთის მეფე პროექტის ყოველ მუხლს, ყოველ წინადადებას.

---

[36] ე. ხოშტარია. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებული რამდენიმე დოკუმენტი, მრავალთავი, თბ. 1984, № X (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

[37] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 286, л. 66.

[38] ЦГВИА, ф. 52. оп. 2/203, д. 28, л. 2; О. Маркова. указ. соч., с. 167

[39] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 286, л. 85.

ცხადია, პოლკოვნიკი ტამარა თავის განმარტებაში მართალი არ იყო. მაგრამ ქართლ-კახეთის მეფის ამგვარი საქციელის ნამდვილი მიზეზის დაბეჯითებით ახსნა დღესაც შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, აქ მიზეზთა მთელ კომპლექსთან უნდა გვქონდეს საქმე.

1783 წლის 8 აპრილს ეკატერინე II-ის მანიფესტით ყირიმი რუსეთთან შეერთებულად გამოცხადდა. მართალია, სულთნის კარი იძულებული იყო ეს აქტი უპასუხოდ დაეტოვებინა, რადგანაც იმჯერად ომისათვის მზად არ იყო, მაგრამ ვითარება უკიდურესად დაიძაბა.

ტრაქტატის პროექტით საქართველოში გამოგზავნილ ტამარას ერეკლე II-სთან მოჰქონდა პ. პოტიომკინის წერილიც, რომლითაც გენერალი მეფეს იმპერატრიცას მოწყალებას ულოცავდა და იქვე აცნობებდა: პოლკოვნიკი გადმოგცემთ იმ სურსათის სიას, რომელიც საჭირო იქნება რუსული კორპუსისათვის, რომლის თქვენს სამფლობელოში შემოყვანა შეიძლება საჭირო გახდესო[40]. აშკარა იყო, რომ რუსეთი თურქეთთან ომს ელოდა. ეს რომ უბრალო საკითხი არ იყო, კარგად ჩანს იმ ინსტრუქციებიდან, რომელთაც ცენტრი პოლკოვნიკ ტამარასა და ქართლ-კახეთის მეფის კარზე რუსეთის წარმომადგენელს ს. ბურნაშოვს აძლევდა, სადაც დაწვრილებით იყო მითითებული ის ღონისძიებები, რომლებიც რუსული კორპუსის მისაღებად იქნებოდა აუცილებელი (სურსათის, ფურაჟის, გზების, ტრანსპორტის საკითხი და ა. შ.).

თურქეთი აშკარად ხედავდა, რომ რუსეთი ყირიმის შემოერთებით არ დაკმაყოფილდებოდა და შიშით ადევნებდა თვალს მოწინააღმდეგის დიპლომატიის წარმატებებს ამიერკავკასიაში. ჯერ კიდევ 1783 წლის დასაწყისში პორტა ამ რეგიონში ანტირუსული მოძრაობის ორგანიზებას იწყებს. ამ წამოწყების ცენტრი მაჰმადიანური სახანოები უნდა ყოფილიყვნენ. ახალციხის სულეიმან-ფაშა დარუბანდის ფათალიხანს აღშფოთებულ წერილს წერდა, აზერბაიჯანის ხანები ურთიერთმტრობაში არიან იმ დროს, როდესაც რუსეთის ჯარები სპარსეთისაკენ მიიწევენ და მაჰმადიანური სამყარო ამ საერთო უბედურების წინააღმდეგ უნდა გაერთიანდესო[41]. ცხადია, სულთნის კარი ერეკლესაც არ აკლებდა შეგონებას თუ მუქარას. ქართლ-კახეთის მეფეს ცნობები მოსდიოდა საქართველოს წინააღმდეგ ლეკთა დიდი ლაშქრობის მზადების შესახებ[42].

[40] ЦГВИА, ფ. 68.

[41] იქვე. ფ. 33.

[42] იქვე. ფ. 111.

ერეკლეს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების, საქართველოში რუსული ნაწილების შემოყვანისა და აქედან საომარი მოქმედების წარმართვის საწინააღმდეგო არაფერი უნდა ჰქონოდა. ამგვარი შესაძლებლობა ტრაქტატით გათვალისწინებული იყო და ძირითადად სწორედ ამ ფორმით მოელოდა მეფე, საქართველოს ტრადიციული მტრისაგან მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნებას; ამიტომ მას ენერგიულად დაუწყია მუშაობა რუსული კორპუსის დასახვედრად. მაგრამ რუსის ჯარი ჯერ არ ჩანდა, საქართველოს გარშემო კი ვითარება უაღრესად იძაბებოდა. საკუთარი ძალებითა და ვერც ორი რუსული ბატალიონით ერეკლე ყოველი მხრიდან მოწოლილ მტერს ვერ გაუმკლავდებოდა. როგორც ჩანს, მან იცოდა, რომ ტრაქტატის ხელმოწერისთანავე, მტერი მის წინააღმდეგ მოქმედებას დაიწყებდა (მართლაც ასე მოხდა). ამას ქართლ-კახეთის მეფე არ შეეძლო სერიოზულად არ დაეფიქრებინა. ეტყობა, მანამდე იგი იმედოვნებდა, რომ რუსეთის მფარველობაში შესულ ქვეყანას მაჰმადიანური მეზობლები ვერაფერს გაუბედავდნენ. ახლა დარწმუნდა, რომ ეს ასე არ იყო. მოსალოდნელია სწორედ ეს მოსაზრებები იყო მეფის ყოყმანის ერთ-ერთი მიზეზი.

მაგრამ, ეტყობა, საქმე მარტო ამაში არ იყო. როგორც აღინიშნა, ერეკლეს მიერ 1782 წლის 21 დეკემბერს ხელმოწერილი „ახალი სათხოვარი პუნქტების“ (რომელიც ტრაქტატის პროექტის გაფორმების საფუძველი იყო მისი მხრიდან) ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა ქართლის ტახტის მაძიებლის ალექსანდრე ბაქარის ძის ნეიტრალიზება და მისი ერეკლეს საწინააღმდეგო მოქმედების აღკვეთა იყო. მაგრამ ტრაქტატის გაფორმების საკითხი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, ალექსანდრე ბაქარის ძე კი ფათალი-ხანთან იმყოფებოდა, მასპინძელთან ერთად საომარ სამზადისს აწარმოებდა და ქართლ-კახეთის მთლიანობას საფრთხეს უქმნიდა. საფიქრებელია, რომ გენერალმა პ. პოტიომკინმა სწორედ ეს გარემოება მიიჩნია ერეკლეს აუჩქარებლობის მიზეზად და თავის დიდმოხელე ბიძაშვილთან გრიგოლ პოტიომკინთან ფათალი-ხანისაგან ალექსანდრე ბაქარის ძის გამოწვევის საკითხი დააყენა, მაგრამ ამ საკითხის გადაჭრას თავის მხრივ გრიგოლ პოტიომკინიც არ ჩქარობდა, როგორც ჩანს ტრაქტატის გაფორმებას ელოდებოდა.

დაბოლოს, არ არის გამორიცხული, რომ ერეკლეს ტრაქტატის ყველა მუხლი ერთნაირად არ მოსწონდა. სახელდობრ, ქართლ-კახეთის მეფის ყურადღება არ შეიძლება არ მიექცია ტრაქტატის მე-8, მე-9 და მე-11 მუხლებს, რომელთა ძალითაც საქართველოს კათალიკოსი რუ-

სეთის მღვდელთავართა იერარქიაში იღებდა საპატიო მერვე ხარისხს და უწმინდესი სინოდის წევრად ირიცხებოდა, ხოლო ქართველი თავადაზნაურობა და ვაჭრები რუსეთის შესაბამის წოდებებს უთანაბრდებოდა და რუსეთის იმპერიაში სათანადო პრივილეგიებით სარგებლობის უფლებას იძენდა. საიდან გაჩნდა ამგვარი მოწყალება? ერეკლეს ხომ არც ერთ საბუთში ამგვარი რამ არ უთხოვია? კათალიკოსის შესახებ მითითება თვით ეკატერინე II-ისაგან მოდიოდა, როგორც აღინიშნა, იმისათვის, რომ ქართველები უფრო მტკიცედ დაკავშირებოდნენ რუსეთს. ცხადია, ასეთივე მოსაზრებით იყო დაყენებული თავადაზნაურობისა და ვაჭრების საკითხიც. მაგრამ მოკავშირე ქვეყნებს შორის, როგორადაც იმპერატრიცა ქართლ-კახეთს მოიხსენიებდა, ამგვარი გათანაბრება სრულიად ზედმეტი იყო და ამ აქტში ერეკლეს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მიერ მომავალი ინკორპორაციის მომზადების საშიშროება შეიძლებოდა დაენახა. მაგრამ აღნიშნული მუხლები ისე დიპლომატიურად იყო შედგენილი, რომ ქართლ-კახეთის პოლიტიკოსებს მისი გაპროტესტების მორალური უფლება არ ჰქონდათ. მფარველის თვალში იგი უმადურობის გამოხატულება იქნებოდა.

აი რა აზრები შეიძლება უტრიალებდა თავში მეფეს, როდესაც ?ფარველობითი ტრაქტატის პროექტის მუხლებს ასე ჩაკირკიტებით სწავლობდა. ყოველ შემთხვევაში, ცხადი ისაა, რომ აღნიშნულ პროექტში ერეკლემ თავისი უფლებების სასურველზე მეტად შეზღუდვა დაინახა და უკანასკნელ მომენტში ახალი მოთხოვნები წამოაყენა, რომლებიც მისი მეფური სუვერენიტეტის განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად: 1. ტრაქტატის პროექტში ქართლ-კახეთის მეფე იხსენიებოდა ტიტულით „უგანათლებულესობა“, მას უფრო მაღალი სამეფო ტიტული მოუთხოვია — „უმაღლესობა“; 2. ვინაიდან ერეკლე ქართლ-კახეთის ტახტზე ასვლისას გვირგვინდასმული არ ყოფილა, მას დაუყენებია საკითხი, რომ ეს პროცედურა ქართული ტრადიციული წესით შეესრულებია, რომელიც მირონის ცხებასა და გვირგვინის კურთხევას გულისხმობდა; 3. დაუსვამს საკითხი საკუთარი ფულის მოჭრის უფლების შენარჩუნების შესახებ.

პ. პოტიომკინს, რომელსაც ერეკლემ აღნიშნული მოთხოვნები გაუგზავნა, ამ საკითხების გადაწყვეტის უფლება არ ჰქონდა, ხოლო პეტერბურგში მიმოწერის დრო აღარ იყო, ამიტომ მან მეფეს პირობა მისცა, რომ მის მოთხოვნებს ცენტრთან შეთანხმებით დააკმაყოფი-

ლებდა. ბოლოს და ბოლოს, ერეკლემ ტრაქტატის გასაფორმებლად თავისი წარმომადგენლები დანიშნა.

1783 წლის 24 ივლისს ქ. გეორგიევსკში, კავკასიის ხაზის ჯარების სარდლის გენერალ პ. ს. პოტიომკინის შტაბ-ბინაში, გაფორმდა ისტორიული დოკუმენტი, რომელმაც არსებითად განსაზღვრა მთელი საქართველოს მომავალი განვითარების პერსპექტივა. ეს იყო რუსი და ქართველი დიპლომატების დიდი გამარჯვება. ტრაქტატის პირველი მუხლით, ქართლ-კახეთის მეფემ — ერეკლე II-მ მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ იგი თავის სამეფოზე არც ერთი მონარქის უზენაეს უფლებას არ ცნობს, „თვინიერ უზენაესისა ხელმწიფებისა, და მფარუელობისა მისისა იმპერატორობის დიდებულებისა და მაღალთა მისთა მემკვიდრეთა, და მენაცულეთა“[43]...

ტრაქტატის რატიფიკაციის ვადა 6 თვით იყო განსაზღვრული, მაგრამ ერეკლეს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას რუსეთი არ ჩქარობდა და ქართლ-კახეთის მეფემ დიპლომატიურად აგრძნობინა მას თავისი განწყობილება. აღსანიშნავია, რომ სწორედ იმ ხანებში პ. პოტიომკინი ს. ბურნაშოვს საქართველოში შეშფოთებული წერდა: „ჩემთვის ერთობ საკვირველია, რომ ტრაქტატის დადების შემდეგ მეფე ერეკლემ მე ერთი სიტყვაც კი არ მომწერა, რასაც თვით მართებულობა ითხოვდა, მაცნობეთ კმაყოფილნი არიან თუ არა მისი ელჩები აქაური დახვედრით, მისალმებით და საჩუქრებით“[44]. რასაკვირველია, ელჩების დახვედრა და საჩუქრები (რაც, რაკი სიტყვამ მოიტანა აღვნიშნავთ, რუსმა გენერალმა მართლაც სანიმუშო დიდებულებით მოაწყო) არაფერ შუაში იყო. ერეკლეს, როგორც ჩანს, ის აწუხებდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ჯერ კიდევ ფათალი-ხანთან იმყოფებოდა და შექმნილ ვითარებაში, როდესაც გაფორმებული ტრაქტატის გამო საქართველოს მაჰმადიანური გარემოცვა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ შეტევისათვის ემზადებოდა, მას მეტად სერიოზული ზიანის მოტანა შეეძლო, რადგან, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ქართლის ტახტის ამ მაძიებელს ქართლ-კახეთის რეაქციულ თავადობაში მრავალი მომხრე ჰყავდა.

ამავე დროს, რაკი რუსეთი საქართველოში ჯარის შემოყვანას აპირებდა, რატომ არ უნდა დასმულიყო საკითხი ქვეყნის ერთიანობის

---

43 ი. ც ი ნ ც ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, დამატება, გვ. 221.

44 С. Бурнашов. Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашова, 1901, с. 2.

აღდგენის შესახებ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ იკისრა? მართალია, თურქეთთან ომი ჯერ არ დაწყებულიყო და, ამდენად, მის სამფლობელოში მოქცეულ ქართულ მიწებზე საუბარი ჯერ შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ ირანი ხომ დაუძლურებული იყო დ ფორმალურად მის საზღვრებაში მყოფი ჰარ-ბელაქნის შემოერთების საკითხი გადაწყვეტას თითქოს არაფერი უშლიდა ხელს. მით უმეტეს, რომ საქართველოზე ლეკთა თავდასხმის ამ ძირითადი ბუდის მოშლა და მისი შემოერთება, ქართველ პოლიტიკოსებს ქვეყნის დაცვისათვის საჭირო და გადაუდებელ ამოცანად ესახებოდათ.

1783 წლის შემოდგომაზე ერეკლეს რუსეთის ხელისუფალთათვის ჰარ-ბელაქანზე გალაშრებისა და მისი შემოერთების გეგმა შეუთავაზებია. ჩანს, პ. პოტიომკინს ამგვარი გეგმა მისაღებად მიუჩნევია და საკითხის შესწავლას შედგომია; იმავე ხანებში კავკასიის ხაზის სარდალი ს. დ. ბურნაშოვს წერდა: რა ხალხია ჰარელები, რა ძალები გააჩნიათ მათ, ვის ემორჩილებიან და „რა მხრიდან და როგორ იქნება მათი დამორჩილება უფრო მოსახერხებელი, გთხოვთ ამის შესახებ ნათლად და დაწვრილებით მაცნობოთ“[45]. როგორც ეტყობა, შეთანხმება თითქმის მიღწეული იყო, ერეკლე ჩქარობდა. 1783 წლის ბოლოს ერეკლე კვლავ მიმართავს პ. პოტიომკინს: ამჟამად ჰარზე შეტევისათვის ყველაზე ხელსაყრელი დროა, შემდეგ შეიძლება სხვა საქმეებმა სხვა მხარეს გადაიტანოს ჩვენი ყურადღება, ამიტომ საჭიროა, ეს საკითხი დაუყოვნებლად გადაწყდესო[46]. მაგრამ ამასობაში ვითარება შეიცვალა. 1784 წლის 8 იანვარს თურქეთმა რუსეთის მიერ ყირიმის შეერთება ცნო და რუსეთთან დადებული ყველა ხელშეკრულების დაცვა იკისრა[47]. ეს ფაქტმა მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის დიპლომატიის შემდგომი ტაქტიკა განაპირობა. მას თურქეთის ზედმეტი გაღიზიანება უკვე აღარ აწყობდა და, ცხადია, ამიერკავკასიაში საქმის გამწვავებას უნდა მოერიდებოდა, მით უმეტეს, რომ ჰარზე ლაშქრობა ამიერკავკასიის სახანოებს რუსეთის საწინააღმდეგო განწყობას კიდევ უფრო განუმტკიცებდა. როგორც ჩანს, ტაქტიკის ამგვარ შეცვლას შეეწირა ჰარ-ბელაქნის შემოერთების კარგად დამუშავებული გეგმა.

სამაგიეროდ, საიმპერატორო კარმა ერეკლეს სხვა სიამოვნება მიანიჭა: 1783 წლის ნოემბერში ქართლ-კახეთის მეფემ მფარველო-

---

[45] С. Бурнашов. Новых материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашова. 1901, с. 111.

[46] ЦГВИА, ф. 52. оп. 1/194, д. 286, л. 362.

[47] ო. მარკოვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 168.

ბითი ტრაქტატის იმპერატორის მიერ რატიფიკაცია და მასთან ერთად ინვესტიტურის ნიშნები მიიღო. ქართველ დიდებულებს 35000 მანეთის საჩუქრები გამოუგზავნეს, დარეჯან დედოფალს წმ. ეკატერინეს ორდენი ბრილიანტის ვარსკვლავით და 5.500 მანეთად ღირებული ბეჭედი. ერეკლეს აცნობეს, რომ მას მიენიჭა „უმაღლესობის“ ტიტული, დაკმაყოფილებულია მისი მოთხოვნა გვირგვინის კურთხევისა და ფულის მოჭრის შესახებ და, რაც მთავარია ის, რომ ალექსანდრე ბაქარის ძე გამოწვეულია ფათალი-ხანისაგან და უკვე რუსეთში იმყოფება[48].

ამრიგად, ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლა, რაც თავისთავად ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის ძირითად პირობას შეადგენდა, იყო ერთ-ერთი ძირითადი მოტივი, რომელმაც ქართლ-კახეთის სამეფო 1783 წელს რუსეთის მფარველობაში შეიყვანა. ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით ამ აქტის უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა უეჭველია. მაგრამ როგორი იყო ამ მოვლენის კონკრეტულ-ისტორიული შედეგი? როგორც ნაჩვენები იყო, საიმპერატორო კარმა ქართლ-კახეთის მეფის ყველა მოთხოვნა უკლებლივ დააკმაყოფილა. მართალია, საქართველოს ისტორიული ტერიტორიების შემოერთება, ხოლო ამის საფუძველზე ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება, შექმნილი საერთაშორისო ვითარების გამო, გაჭიანურდა და რუსეთს ამ პირობის შესასრულებლად თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდა, მაგრამ ტრაქტატში ეს საკითხი დროით განსაზღვრული არ ყოფილა და ამდენად პრეტენზიის წაყენების უფლება ქართველ პოლიტიკოსებს არ ჰქონდათ. სამაგიეროდ, ტრაქტატმა საბოლოოდ დააკანონა და იურიდიულად დაამტკიცა ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანება, რომლისთვისაც თეიმურაზი და ერეკლე 1744 წლიდან მოყოლებული თავგამოდებით, მაგრამ უშედეგოდ იბრძოდნენ. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ქართლ-კახეთის ფაქტობრივი გაერთიანების არსებობის პირობებში მის ფორმალურ დამტკიცებას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ეს ასე არ არის. ამ აქტით არსებითად მოისპო თავადური პარტიკულარიზმის ძირითადი საფუძველი ვახტანგის სახლისშვილთა ქართლის ტახტზე იურიდიულ უფლებებს რომ ემყარებოდა. ამან კი ქვეყნის ცენტრალისტური ხელისუფლების მნიშვნელოვანი განმტკიცება განაპირობა.

---

[48] ს. ბურნაშოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

ქართველობა საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა მაჰმადიანური აღმოსავლეთის გარემოცვიდან თავის დასაღწევად და ქრისტიანულ ევროპასთან დასაკავშირებლად. ახლა ეს გარემოცვა გარღვეული იყო. ქრისტიანული რუსეთის სახით საქართველო ევროპულ ცივილიზაციას უკავშირდებოდა.

დიდი პრობლემები დიდი სირთულეების გარეშე არ წყდება. ქართველობას, მისი სახელოვანი მეფის მეთაურობით, კიდევ ბევრი განსაცდელის, ბრძოლისა თუ გაჭირვების გადატანა მოუხდა, სანამ დასახულ მიზანს საბოლოოდ განახორციელებდა.

10. 1783 წლის ტრაქტატი და იმერეთის სამეფო

ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ტრაქტატის მომზადების პერიოდში ლოგიკურად უნდა დასმულიყო იმერეთის საკითხიც. მით უმეტეს, რომ მფარველობაში შესვლა სოლომონმა სრულიად გულწრფელად და ყოველგვარი შეგონების გარეშე, იმ ხანებში სულ ცოტა ორჯერ (1781 და 1782 წწ.) მაინც ითხოვა.

თავის დროზე ალ. ცაგარელს მიაჩნდა, რომ ქართლ-კახეთთან მფარველობითი ტრაქტატის პროექტის მომზადებისას „გათვალისწინებული იყო ერთდროულად ამგვარიეე დოკუმენტი მეფე სოლომონთანაც გაფორმებულიყო“[1]. ეს აზრი გაიზიარა და სათანადო მსჯელობით გაამაგრა ივ. ჯავახიშვილმა[2]. ამგვარი შეხედულების საფუძველი ის იყო, რომ აღნიშნული დოკუმენტის შავ ეგზემპლარში, რომელიც ალ. ცაგარელმა გამოაქვეყნა. ყველგან ქართლ-კახეთის სამეფოს მოხსენიების დროს დამატებულია „იმერეთის სამეფო“, ხოლო ერეკლე II-ის მოხსენიებისას ასევე დამატებულია „იმერეთის მეფე სოლომონ“. ი. ცინცაძე, შემდეგნაირად მსჯელობდა: ერეკლეს „ახალი სათხოვარი პუნქტები“ შედგენილია არა 1782 წლის დეკემბერში, არამედ 1783 წლის თებერვალ-მარტში, ხოლო ტრაქტატის პროექტი აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზეა შექმნილი და, მაშასადამე, იგი 1783 წლის აპრილამდე ვერ დამუშავდებოდა; ხოლო, რაკი არსებობს 1783 წლის 3 აპრილით დათარიღებული საბუთი, რომლიდანაც აშკარად ჩანს, რომ საიმპერატორო კარს, მართალია, გადაწყვეტილი ჰქონდა იმერეთთან ტრაქტატის გაფორმება, მაგრამ იმ დროს ეს შეუძლებლად მიაჩნდა, ი. ცინცაძე ასკვნიდა, რომ საკითხი იმის შესახებ, თითქოს საიმპერატორო კარი ორივე ქართულ სამეფოსთან ხელშეკრულების გაფორმებას ერთდროულად გეგმავდა, სადავოა[3]. ვ. მაჭარაძე თვლის, რომ 1782 და 1783 წლის დასაწყისში გათვალისწინებული იყო ტრაქტატის იმერეთთანაც დადება, მაგრამ 1783 წლის აპრილისათვის შეცვლილმა საერთაშორი-

---

[1] А. Цагарели. Грамоты... т. II, с. 32.

[2] ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 1919, გვ. 27.

[3] ი. ცინცაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 112—113.

სო ვითარებამ იმერეთთან ამგვარი დოკუმენტის გაფორმება დღის წესრიგიდან მოხსნა.

აღვნიშნეთ, რომ ერეკლეს „ახალი სათხოვარი პუნქტების“ ი. ციცაძისეული გადათარიღება უსაფუძვლოა. შესაბამისად, მოხსნილად უნდა ჩაითვალოს მისი არგუმენტაცია, რომელიც საეჭვოდ ხდიდნენ მოსაზრებას, რომ 1783 წლის დასაწყისში, როცა ი. ციცაძის აზრით, ტრაქტატის პროექტის შავი ეგზემპლარი იქნა შედგენილი, საიმპერატორო კარი იმერეთთანაც აპირებდა მსგავსი დოკუმენტის გაფორმებას. მაგრამ აქ სხვა გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: ტრაქტატის პროექტი, როგორც ცნობილია, ა. ბეზბოროდკომ შეადგინა, შესაბამისად იგი მისი შეხედულებების გამომხატველია, ხოლო, როგორც ჩანს, ამ საკითხში საიმპერატორო კარის დიდმოხელეებს შორის ერთიანი აზრი არ ყოფილა. ბეზბოროდკო 1783 წლის ზაფხულის ბოლოსაც მიიჩნევდა, რომ, რადგან იმ ხანებში თურქები ცდილობდნენ სოლომონი თავის მხარეს გადაებირებინათ, იმერეთთან დაუყოვნებლივ უნდა გაფორმებულიყო ისეთი ხელშეკრულება, როგორიც ერეკლესთან დაიდო, მაგრამ ცარიზმის მეორე დიდმოხელე ამაზე არ თანხმდებოდა და მიიჩნევდა, რომ „ჯერჯერობით ამგვარი ნაბიჯი არასაიმედოა“[4]. ამრიგად, ბეზბოროდკოს მიერ შედგენილ პროექტში იმერეთისა და იმერეთის მეფის მოხსენიება არ ნიშნავს, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო და პროექტის შავი ეგზემპლარი საიმპერატორო კართან შეთანხმებულ შეხედულებას გამოხატავდა; თუმცა, როგორც აღინიშნა, ხსენებული დოკუმენტი 1782 წლის ბოლოს უნდა იყოს შედგენილი და 1783 წლის აპრილამდე რუსეთის დიპლომატიას საკმარისი დრო ჰქონდა იმისათვის, რომ საერთაშორისო ვითარების ცვლის შესაბამისად თავის გადაწყვეტილებაში გარკვეული კორექტივი შეეტანა.

აქ სხვა, უფრო მნიშვნელოვან, გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება: საქმე ის არის, რომ ბეზბოროდკოს მიერ შედგენილი ტრაქტატის პროექტი ორივე ქართული სამეფოსთვის ერთნაირად არ გამოდგებოდა. მაგალითად, გაურკვევლად რჩებოდა ტრაქტატის მეორე არტიკულის დაპირება შემოერთებული ტერიტორიების დამკვიდრების შესახებ, ვის უნდა მიკუთვნებოდა ისინი ქართლ-კახეთსა თუ იმერეთს? გაურკვეველია, როგორ შევიდოდა რუსეთის სასულიერო იერარქიაში ქართლ-კახეთისა და იმერეთის კათალიკოსები თანაბარი უფლებით და

---

[4] ЦГВИА, Ф. 52, оп. 1/194, д. 310, ч. 1, л. 73; О. Маркова. указ. соч. с. 194.

ა. შ. მაშასადამე, თუ ტრაქტატის გაფორმება იმერეთთანაც გადაწყდებოდა, ქართლ-კახეთისათვის განკუთვნილ პროექტთან შედარებით, მას-ში მნიშვნელოვანი კორექტივები უნდა შეეტანათ; მაგრამ ამ შემთხვევაში, საკითხავი იყო, მიიღებდა მას სოლომონ I? როგორც აღინიშნა, იმერეთის მეფე თავდაპირველად მთელ ახალციხის საფაშოზე აცხადებდა პრეტენზიას. შემდეგში თითქოს იგი იძულებული გახდა თავისი მოთხოვნები შეეკვეცა და მხოლოდ გურიისა და სამეგრელოს შემოერთებას ითხოვდა. 1782 წელს კი საკითხს აყენებდა ფოთისა და ბათუმის შემოერთებაზე და ამით, როგორც ჩანს, საქართველოს მთელი შავი ზღვისპირეთის შემომტკიცებაზე: „განცხადებულად მოგეხსენებათ, — წერდა სოლომონი გრ. პოტიომკინს, — რომ ფოთი ჩვენის მამულის მიწა არის ეგრეთვე ბათომი და ამ მხარეს მოსადგურენი უსჯულონი აგარიანნი, რომელთაგანაც რომ თქვენკენ მახლობელობის გზები დაპყრობილი არის და მარადის ჩვენს ქვეყნებზედ ამათგან აღდგება საცთური და განსაცდელი და ვითარცა მგელნი დაუძინებლად სიმარჯვის ჟამს ეძიებენ და გვექადიან. ამას ვითხოვთ ფრიად მხურვალეს გულით თუ ითქმოდეს რომ ამათზედ შეგვეწიენეთ და ესენიც სხვათა აქა მდგომთა თათართაებრ აღმოიფხვრნენ და განიდევნენ და დაგვრჩეს ეს მხარე უფიქროდ“[5]. ერთი სიტყვით, იმერეთის მეფე თუ მთლიანად არა, ახალციხის საფაშოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს მაინც ითხოვდა. ცხადია, სოლომონმა კარგად იცოდა ამ მიწებზე ქართლ-კახეთის მეფის პრეტენზიებიც, ამიტომ, როგორც ჩანს, მას, არცთუ უსაფუძვლოდ, მიაჩნდა, რომ ორი ქართული სამეფოდან ვინც რუსეთთან პირველი გააფორმებდა ხელშეკრულებას, მას უკეთესი და სასურველი პირობები გარანტირებული ექნებოდა; შექმნილმა საგარეო ვითარებამ განაპირობა ის, რომ საიმპერატორო კარმა ჯერ ქართლ-კახეთი მიიღო მფარველობაში. შესაბამისად, მტრისაგან მიტაცებული მთელი ქართული მიწების დაბრუნების პირობაც მან გაიანაღდა. სოლომონმა დიპლომატიური ბრძოლა წააგო. ცხადია, იგი უკმაყოფილოდ იქნებოდა, მაგრამ ახლა მისთვის ტრაქტატის გაფორმებაზე აჩქარებას ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა.

ქართლ-კახეთის სამეფოსთან ტრაქტატის გაფორმების პერიოდში და შემდეგაც, რუსეთის დიპლომატია შიშობდა, რომ სოლომონს შეეძლო აღნიშნული დოკუმენტი „საწყენად“ და „შეურაცხმყოფელადაც“ კი მიეღო. როგორც ჩანს, მათი შიში უსაფუძვლო არ ყოფილა. ამ გა-

---

[5] ი. ცინცაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 271.

რემოების სოლომონის ამბიციებით ახსნა საქმის გამარტივებულად წარმოდგენა იქნებოდა. სოლომონს შეეძლო დადებული ხელშეკრულება მისი მეფური ინტერესების საწინააღმდეგოდ მიეჩნია.

ძნელია იმის გარკვევა, თუ როდის გაეცნო იმერეთის მეფე ქართლ-კახეთთან გაფორმებული ტრაქტატის შინაარსს; მაგრამ 1783 წლის 23 აგვისტოს იგი პ. პოტიომკინს კიდევ ერთხელ სწერდა: მე და ჩემი ქვეყანა დიდი ხანია თავს რუსეთის მფარველობაში მყოფად ვთვლით, ბევრჯერ გაგვიცხადებია მზადყოფნა, ჩვენი თავი და ქვეყანა რუსეთს შევწიროთ როგორც მისმა ნამდვილმა ერთგულმა ქვეშევრდომმა და, გაუგებარია, ერეკლემ, როგორ მიაღწია, რომ ხელმწიფის საფარველ ქვეშ იმყოფება: უმორჩილესად გთხოვთ, ამაზე დაწვრილებით გვაცნობოთ „რათა ჩვენც ჩვენის მხრივ ყველაფერში მისი თანასწორი ვიყვეთ და როგორ სწრაფადაც თქვენი მაღალმატებულებისაგან დარიგებას მივიღებთ, ყველაფერს ყოველგვარი შეყოვნების გარეშე შევასრულებთ“[6]. მაგრამ მაშინ ერეკლესთან თანასწორი მდგომარეობა უკვე დარღვეული იყო, რადგან დაკარგული ქართული ტერიტორიების დაბრუნების გარანტია რუსეთის დიპლომატიამ მთლიანად ერეკლეზე გასცა, ასე რომ სოლომონისათვის აღარაფერი დარჩა. მაშასადამე, თანასწორ მდგომარეობაზე საუბარი აღარ შეიძლებოდა, მაგრამ საკითხის სირთულე ამით არ ამოიწურებოდა; როდესაც საიმპერატორო კარი ერეკლეს დაკარგული ქართული ტერიტორიების დაბრუნებას ჰპირდებოდა, იქ კონკრეტულად დასახელებული არ ყოფილა თუ რა იგულისხმებოდა ამ დაპირების ქვეშ. ამგვარად, არაფერი არ ეღობებოდა წინ იმას, რომ შესაფერის მომენტში, ერეკლეს დღის წესრიგში გურია-სამეგრელოსა (მას შემდეგ რაც ახალციხის საფაშოს წემოერთვნა) და თვით იმერეთის შემოერთების საკითხიც დაეყენებინა: ვით უვიტეს, რომ გაფორმებული ტრაქტატის პრეამბულაში თურქეთისადმი ადამიანების ხარკის საკითხი რომ შევიდა, ამით ერთგვარად ქართლ-კახეთის მეფის უფლებები დასავლეთ საქართველოზეც გავრცელდა, რომელსაც აღნიშნული პუნქტი ეხებოდა. უნდა ვიფიქროთ, სწორედ ამ გარემოების გამო, რუსეთისა და ქართლ-კახეთის დიპლომატია არ ჩქარობდა სოლომონისათვის დადებული ტრაქტატის შინაარსის გაცნობას (ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მას მისი შინაარსი არაოფიციალურად გაგებული არ ჰქონდა).

---

[6] ЦГВИА, ф. 52, оп. I/194, д. 286 I, л. 261; ვ. მაჭარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

რა გეგუებიც არ უნდა დაესახა ცარიზმის დიპლომატიას 1782 წელს, აშკარაა, რომ 1783 წლის აპრილში იმერეთის სამეფოსთან ტრაქტატის გაფორმების საკითხი მოხსნილი იყო. „ქართლის მეფის მაგალითისათვის შეეძლო მიებაძა იმერეთის მეფე სოლომონსაც — სწერდა ეკატერინე II გრ. პოტიომკინს — ოტომანთა პორტასადამი მისი ერთგვარი დამოკიდებულება... გვარწმუნებს ამის განხორციელებისაგან თავი შეიკავოთ“[7]. იგივე აზრი რამდენადმე განსხვავებული ინტერპრეტაციით გატარებულია იმ ინსტრუქციაში (ორდერში), რომელიც გრ. პოტიომკინმა ს. ბურნაშოვს მისცა, როცა მას ქართლ-კახეთის სამეფო კარზე რუსეთის წარმომადგენლად ამწესებდა: „მეფე ერეკლე უკვე მიღებული იქნება მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის უზენაეს მფარველობაში, რაზედაც მასთან ჩქარა ტრაქტატიც გაფორმდება, მაგრამ რაც შეეხება მეფე სოლომონს, ჯერ კიდევ არის ზოგიერთი პოლიტიკური გარემოება, რომელიც ხელს უშლის მასთან მსგავს დადგენილებას“[8].

არსებობს არაერთი ობიექტური გარემოება, რომლებმაც რუსეთის დიპლომატიას ხელი შეუშალეს იმერეთის მიმართ აღნიშნული ნაბიჯის გადადგმაში. აქ არის თურქეთის ზედმეტი გაღიზიანებისაგან თავის შეკავებაც, რადგან სურდათ და ივედიც ჰქონდათ, რომ ყირიმის შემოერთებისა და ქართლ-კახეთის მფარველობაში შეყვანის საქმეს უფრად მოაგვარებდნენ; ყირიმიცა და ქართლ-კახეთიც იურიდიულად თურქეთისაგან დამოუკიდებელი იყო, ხოლო იმერეთი, ქუჩუკ-კაინარჯის ზავით (გარკვეულად მაინც) თურქეთის ხელდებულად რჩებოდა. აქ არის ევროპის სახელმწიფოების განწყობილების ანგარიშის გაწევის მოტივიც: მაგრამ უადგილო არ უნდა იყოს საკითხის დასმა იმის შესახებ, თუ როგორი პოზიცია შეიძლებოდა დაეკავებინა ამ საქმეში ერეკლე II-ს? როგორც აღინიშნა, ერთდროულად ორ ქართულ სამეფოსთან ტრაქტატის გაფორმება, აუცილებლად გამოიწვევდა იმ დოკუმენტის შინაარსის მნიშვნელოვან შეცვლას, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოსთან 1783 წლის ივლისში გაფორმდა. შეცვლილ შინაარსს კი ერეკლე II, ეტყობა, არ დათანხმდებოდა. არც ერთი დოკუმენტიდან არ ჩანს, რომ რუსეთის დიპლომატიას ამგვარი არგუმენტისათვის ანგარიში გაეწიოს, არც ის, რომ ერეკლე II-ს იმერეთთან ტრაქტატის გაფორმებისათვის რაიმე ხელშემშლელი ღონისძიება მიე-

---

[7] ЦГВИА, ф. 52, оп. 2/203, д. 28, л. 21; ო. მარკოვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

[8] С Бурнашов. Новые материалы...с. 2.

ღოს, მაგრამ თვით პრობლემის არსი ამგვარი დაეჭვების საფუძველს იძლევა. ორ ქართულ სამეფოსთან ერთგვაროვანი დოკუმენტის გაფორმება შეუძლებელი იყო.

რუსეთსა და თურქეთს შორის დაძაბული ურთიერთობა გრძელდებოდა და თანდათან მწვავდებოდა კიდეც. 1783 წლის აგვისტო-ოქტომბერში საიმპერატორო კარს სისტემატურად მოსდიოდა ცნობები თურქეთის საომარი მზადების შესახებ, მაგრამ აქვე მოდიოდა ცნობები იმის შესახებაც, რომ ამ საკითხზე თურქეთის მმართველ ზედაფენაში ერთნაირი აზრი არ ყოფილა: თურქეთის სახელიერო წრეები რუსეთთან დაუყოვნებელ ომს მოითხოვდნენ, ხოლო სულთანი და საგარეო საქმეთა განმგებლები მის თავიდან აცილებას ესწრაფოდნენ. ასეთი სიტუაცია იყო 1783 წლის სექტემბერში[9]. რუსეთს, ცხადია, ომი არ უნდოდა, ვინაიდან ყირიმისა და ქართლ-კახეთის საკითხის უსისხლოდ მოგვარება რუსეთის დიპლომატიის დიდი გამარჯვება იქნებოდა. ვითარება ბუნდოვანი იყო. არავინ იცოდა, რით დამთავრდებოდა ძალთა ჭიდილი სულთნის კარზე. ამიტომ რუსული დიპლომატიის წინაშე იმერეთის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. თუ თურქეთი მაინც გაბედავდა ომის დაწყებას, მაშინ საიმპერატორო კარს შეეძლო იმერეთის საკითხის გულდამშვიდებით გადაწყვეტა, ხოლო სანამ პორტა ყოყმანობდა, მას უნდა სცოდნოდა, რომ ომის დაწყების შემთხვევაში, ყირიმის დაკარგვასა და ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში შესვლას შესაძლებელია მისთვის იმერეთზეც საბოლოოდ ხელის აღება მოჰყოლოდა.

ამგვარად, საჭირო ხდებოდა იმერეთთან ტრაქტატის გაფორმების საკითხი რადიკალურად დასმულიყო, რომ საიმპერატორო კარს სოლომონ I-ის შესაბამისი თხოვნა ხელთ ჰქონოდა, რათა იგი ვითარების მიხედვით გამოეყენებინა. თუმცა, როგორც ითქვა, იმერეთის საკითხში არც რუსეთის დიდმოხელეებს შორის ყოფილა ერთიანი აზრი: იმავე სექტემბერში ბეზბოროდკო იმერეთთან ტრაქტატის დაუყოვნებლად გაფორმების წინადადებას აყენებდა, პოტიომკინი კი ამ აზრის წინააღმდეგი იყო, რაზედაც საბოლოოდ ბეზბოროდკოც დაითანხმა.

რუსეთის დიპლომატიას თურქეთ-იმერეთის ურთიერთობის მოსალოდნელი გაუმჯობესებაც აფიქრებდა. თუმცა სოლომონი რუსეთის წარმომადგენლებისადმი კეთილ განწყობილებას ამჟღავნებდა და საიმ-

---

[9] ЦГВИА, ф. ВУА, д. 243, лл. 247—248; ე. მაკარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

პერატორო კარისადმი თავისი ერთგულების გამოსახატავად სიტყვებს არ იშურებდა, მაგრამ ქართლ-კახეთთან გაფორმებული ხელშეკრულება მას რომ არ მოსწონდა, ეს აშკარა იყო; ამავე დროს, ყუბანსა და ყირიმში განცდილი მარცხის შემდეგ თურქეთი იმერეთის მეფეს განსაკუთრებით დაუტკბა. კავკასიის ხაზზე და აქედან პეტერბურგში მიდიოდა ცხობები იმის შესახებ, რომ სოლომონის კარზე თურქეთისა და ავალიხის ფაშის დელეგაციებს პატივით იღებდნენ. ერთდროულად თურქეთი იმერეთზე დაწოლის სხვა ზომებსაც იყენებდა, ციხეებს ამაგრებდა, ჯარის ნაწილებს ზრდიდა და ჯაშუშების ქსელს აბამდა, რათა იმერეთის ნამდვილი განწყობილება დაედგინა, იგი ხელიდან არ გასხლტომოდა და ამით რუსეთის იმპერიასთან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი არ მოშლოდა.

რუსეთისათვის საჭირო იყო იმერეთ-თურქეთის დაახლოების საშიშროების თავიდან აცილება. ამ მიზნით, სოლომონ I-თან საგანგებოდ აგზავნიან კაპიტან შტედერს, ხოლო თბილისში მყოფ ბურნაშოვს ავალებენ, სოლომონ მეფეს ყურადღება არ მოაკლოს და ურჩევენ თავისი ადგილსამყოფელი ერთხანს იმერეთში გადაიტანოს[10].

1783 წლის 6 სექტემბერს პ. პოტიომკინმა სოლომონის თხოვნა მიიღო: ჩემთანაც ისეთი ხელშეკრულება (ტრაქტატი) გააფორმეთ, როგორიც ერეკლესთანო.

სოლომონი იქვე აუწყებდა პოტიომკინს, ერეკლესთან გაფორმეული ტრაქტატის შინაარსს ნე არ ვიცნობ და გთხოვთ მისი პირი გამომიგზავნოთო[11]. როგორც ითქვა, არაოფიციალური წყაროებით მისი შინაარსი სოლომონისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმერეთის მეფე, როგორც ჩანს, ეშმაკობდა; როცა შტედერმა მას პოტიომკინის წინადადება გადასცა, ტრაქტატის თაობაზე მოსალაპარაკებლად წარმომადგენელი გამომიგზავნეო, იმერეთის მეფემ კონტრწინადადება წამოაყენა: მანამდე ერეკლესთან შემარიგეთო.[12] ეს მოთხოვნა მარტო მეზობელ ქართულ სამეფოსთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარების სურვილით გამოწვეული არ ყოფილა. აქ უფრო პრინციპული საკითხის შორსმჭვრეტელურად გადაწყვეტის ცდასთან უნდა გვქონდეს საქმე და იგი რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის გაფორმებული ტრაქტატის შინაარსით ნაკარნახევი ჩანს. სოლომონ I-ის მოთხოვნები იმის

---

[10] ЦГВИА, ф. 52, оп. I/194, д. 286. ч. I, л. 261.

[11] იქვე.

[12] ვ. მაჭარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

შესახებ, რომ ერეკლე მეფეს ვალდებულება ეკისრა არც პირდაპირი და არც გარეშე საშუალებებით არ ჩარეულიყო გურიისა და სამეგრელოს საქმეებში. მხარი არ დაეჭირა იმერეთის ოპოზიციისათვის და დანათესავებოდა სოლომონ I-ს, ფაქტობრივად ნიშნავდა დასავლეთ საქართველოზე ერეკლეს იმ პრეტენზიების მოხსნას, რომლებიც 1783 წლის ტრაქტატით თითქოს ივარაუდებოდა; ხოლო სოლომონ I-ის მემკვიდრედ ერეკლეს შვილიშვილის (და სოლომონის ძმისშვილის) დავით არჩილის ძის დანიშვნა იმის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, რომ მომავალში (სოლომონის სიკვდილის შემდეგ) საქართველოს გაერთიანების საკითხი თუ დაისმებოდა, ეს უფრო კონფედერაციის ფორმით იქნებოდა შესაძლებელი. ერეკლეს დაყოლიება იმერეთის ხელისუფლებთან ხელშეკრულების გაფორმებაზე ადვილი საქმე არ ყოფილა და ამიტომ საქართველოში რუსეთის წარმომადგენლებს ამ საკითხის გადაწყვეტისათვის დიდი გარჯა დასჭირვებიათ.

როგორც აღნიშნული იყო, ქართლ-კახეთიცა და იმერეთიც რუსეთის ერთგულნი იყვნენ და მის მფარველობაში შესვლას ესწრაფოდნენ. რუსეთის დიპლომატიას კი ქართველ მეფეთა შორის შუღლი და მტრობა არ აწყობდა; ეს ამიერკავკასიაში მისი პოზიციის შესუსტებას გამოიწვევდა; ამიტომ, ჯერ კიდევ ტრაქტატის მომზადების პერიოდში, ქართლ-კახეთისა და იმერეთის მორიგება, მათ შორის უთანხმოების აღკვეთა და მათდამი ერთგვარი არბიტრის როლი, უმაღლესი მითითებით, გრ. პოტიომკინს დაევალა „... მისმა უდიდებულესობამ (ეკატერინე II-მ. ს.) ინება შეენიშნა, განა არ არის საჭირო თქვენი თავმდებობით ერეკლესა და სოლომონს შორის ნათელი და ზუსტი მშვიდობის დამყარება, დაუდგებით რა თქვენ, როგორც თავმდებად ისე არბიტრად მომავალში ახალი ურთიერთსაწინააღმდეგო საჩივრების შეთხზვაში“[13]. — სწერდა ბეზბოროდკო გ. პოტიომკინს. ხოლო, საქართველოში რომ აგზავნიდნენ, ს. დ. ბურნაშოვს, სხვათაშორის ამოცანად დაუსახეს „დაიყოლიოს ისინი (სოლომონი და ერეკლე — მ. ს.) მშვიდობიანობაზე და კავშირზე და ეცადოს წაშალოს მათ შორის დიდი ხნის მტრობა, შეათანხმოს რა ისინი“.[14]

ამდენად, სოლომონის მოთხოვნა რუსეთის დიპლომატიის ინტერესებს სრულიად ეთანხმებოდა და მაშასადამე, მისი განხორციელება გადაუდებლად უნდა დაწყებულიყო.

---

[13] А. Цагарели. Грамоты...т. II, с. 31.

[14] ЦГВИА. ф. 52, оп. I/194, д. 286, ч. I лл. 67—59.

მართალია, 1783 წლის 22 ივლისის პატაკში ს. ბურნაშოვი პ. პოტიომკინს ოპტიმისტურად აუწყებდა: „მე იმედი მაქვს, უშუალო პატივი და უმაღლესი სიამოვნება მექნება, ორივე მეფის შეთანხმებას მივაღწიო, მაქვს რა ამ საქმეში მათი თხოვნა ვიშუამდგომლო ურთიერთპრეტენზიებზე, რომლებიც მათ თანხმობას არღვევენ, თუმცა კი ორივენი ერთგვარი მეგობრული ენით ლაპარაკობენ. ორივე მხარის დასაკმაყოფილებლად მე ისეთი წინადადება მივეცი, რომლითაც არა მარტო დავიწყებას მიეცემა ძველი უკმაყოფილებები, მოესპობათ უმცირესი ეჭვიც კი, რითაც მათი მფლობელობითი უშიშროება ქვეშევრდომი თავადობის ურჩობისაგან განმტკიცდება“[15], მაგრამ ასეთი რა მაგიური წინადადება შეიმუშავა რუსმა პოლკოვნიკმა, არაფერს ამბობს. ის კი ცნობილია, რომ საქართველოში თავისი მოღვაწეობის როლს და მნიშვნელობას იგი ერთგვარად გადაჭარბებულად აფასებდა. ყოველ შემთხვევაში, ერეკლე სოლომონთან შერიგებაზე ადვილად არ თანხმდებოდა; საფიქრებელია, რომ იგი ამ აქტში ტრაქტატით მიღებული გარანტიების ერთგვარ შელახვას ხედავდა. ამიტომ საიმპერატორო კარი იძულებული გახდა მისთვის ტრაქტატის ის მუხლი მოეგონებინა, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის მეფეს საგარეო ურთიერთობის საკითხებში დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების უფლება არ ჰქონდა: ამაზე მიუთითებს გრ. პოტიომკინის ინსტრუქცია, რომელსაც იგი ს. ბურნაშოვს აძლევდა: „ორივე მეფეს შორის მშვიდობიანობის ხელსაყრელად დამყარებისათვის, აქვე გიგზავნი ჩემს წერილს მეფე ერეკლესთან. იმედი მაქვს, რომ ჩემი რჩევა-დარიგება ხელს შეუწყობს მის დაყოლიებას შეთანხმებაზე, რადგან თავად ერისთავის თხოვნის გარდა, რომელიც მართლაც მის განწყობაზეა დამოკიდებული, სხვა მუხლები მეფე ერეკლემ უნდა შეასრულოს, რამდენადაც ისინი ტრაქტატის ვალდებულებებში შედის. მეფე ერეკლემ სრულიად რუსეთის ტახტის უმაღლესი უფლება რომ იცნო, ხოლო მისმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ თავისი თავი ორივე მეფის არბიტრად რომ გამოაცხადა, ამით უკმაყოფილების ყოველგვარი საბაბი მოხსნილი უნდა იქნას“[16].

ერეკლესა და სოლომონის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც იმერეთის სამეფო კარზე იქნა შემუშავებული, შემდეგ პირობებს ითვალისწინებდა: 1. სოლომონი ერეკლეს შვილიშვილს, თავის ძმისშვილს — დავით არჩილის ძეს იმერეთის მემკვიდრედ აღიარებდა და

---

[15] ЦГВИА, ф. 52, оп 1/194, д. 286, л. 189 об.

[16] იქვე, ფურც. 322.

ითხოვდა, რომ იგი აღსაზრდელად იმერეთში გაეგზავნათ (დავით არჩილის ძე იმ დროს 11 წლის იყო და ერეკლეს კარზე იზრდებოდა); 2. შეირიგებდა და სამფლობელოებს დაუბრუნებდა თავის ბიძაშვილს დავითს, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ოჯახით თბილისში ერეკლეს კმაყოფაზე ცხოვრობდა. სამაგიეროდ, იმერეთის მეფე წინადადებას აყენებდა: 1. მეფე ერეკლეს მისი სიძის მკვიდრი ძმის, თავადი ერისთავისათვის მიეთხოვებინა თავისი ქალიშვილი, რომელიც ადრე მაზე იყო დანიშნული და დაებრუნებია მამულები; 2. არ ჩარეულიყო და არ გაეძლიერებინა მთავრები დადიანი და გურიელი არც პირდაპირი და არც გარეშე საშუალებებით; 3. არ მიეღო გამოქცეულები და დამნაშავეები იმერეთიდან[17]. თუმცა ბურნაშოვი ირწმუნება, რომ ერეკლე სიხარულით შეხვდა სოლომონის წინადადებებსო, მაგრამ, ის ფაქტი, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებას ორთვე-ნახევარი მაინც დასჭირდა და საქმეში გრიგოლ პოტიომკინის ჩარევა შეიქნა აუცილებელი, იმაზე მიუთითებს, რომ ერეკლე ამ წინადადებაზე საკმაოდ სერიოზული ყოყმანის შემდეგ დათანხმდა. როგორც აღვნიშნეთ, სოლომონთან ამგვარი ხელშეკრულების გაფორმება ტრაქტატით გათვალისწინებული მოთხოვნებიდან გარკვეული გადახვევა იყო. ამის დასტური უნდა იყოს ის, რომ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (ვ. მაჭარაძის გამოანგარიშებით, ეს დაახლოებით 1784 წლის იანვარში უნდა მომხდარიყო) სოლომონმა მალე აჭარაზე გაილაშქრა და მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწია (როგორც ირკვევა, იგი ამ მხარის შემოერთებას აპირებდა). 1784 წლის 11 მარტს სოლომონი ბურნაშოვს აჭარაზე თავისი წარმატებითი ლაშქრობის ამბავს რომ ამცნობდა, იქვე აუწყებდა, აჭარის მფლობელი რომ არ გაეფრთხილებინათ, ჩვენ მთელ ამ მხარეს შავი ზღვის სანაპირომდე გავწმენდდითო[18]. არ არის ცნობილი ვინ გააფრთხილა აჭარლები სოლომონის მოსალოდნელი გალაშქრების შესახებ, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ აჭარა, როგორც ახალციხის საფაშოს შემადგენელი ნაწილი, 1783 წლის ტრაქტატის ძალით, ერეკლეს მფლობელობაში უნდა გადასულიყო. მაშასადამე, რაკი სოლომონი აჭარის შემოერთებას გეგმავდა, ჩანს, ეს საკითხი რუსეთის ხელისუფლებასთან ჰქონდა შეთანხმებული და ერეკლესთან გაფორმებული ხელშეკრულებაც, რაღაც ფორმით, ამ ლაშქრობის სანქციას ითვალისწინებდა.

---

[17] ЦГВИА, ф 52, оп. I/194, д. 236, л. 326.

[18] ვ. მაჭარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

თუ ეს ყველაფერი ასეა, მაშინ მიუხედავად იმისა, რომ „სოლომონისა და ერეკლეს შერიგება იმერეთის შინა პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებას ხელს ...უწყობდა“[19], მთელი საქართველოს გაერთიანების ერეკლესეული გეგმის თვალსაზრისით ეს ხელშეკრულება მნიშვნელოვანი უკანდახევა იყო. ეს იყო პირველი სერიოზული დათმობა ამ თვალსაზრისით. ორიოდე წლის შემდეგ ერეკლე მზად იყო მეორე უფრო სერიოზულ დათმობაზე წასულიყო, რაზედაც ქვევით იქნება ყურადღება შეჩერებული. მანამდე კი საჭიროა დასრულდეს მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორ განვითარდნენ მოვლენები რუსეთ-იმერეთს შორის მფარველობითი ტრაქტატის გაფორმებისა და ერეკლესა და სოლომონს შორის ურთიერთობის თვალსაზრისით.

1783 წლის ნოემბერ-დეკემბერში რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელი ომისა თუ ზავის საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ იყო. როგორც აღინიშნა, ომის შემთხვევაში რუსეთი ავტომატურად დააყენებდა იმერეთის მფარველობაში მიღების საკითხს. ასე რომ, შესაბამისი ფორმით შესრულებული თხოვნა იმერეთის ხელისუფალთაგან მას თადარიგში უნდა ჰქონოდა. ამგვარი თხოვნის აუცილებლობას ისიც აძლიერებდა, რომ თურქები სოლომონთან ურთიერთობის მოგვარებისათვის ენერგიას არ ზოგავდნენ. სოლომონი მძიმედ იყო ავად. რუსეთში ეს ამბავი კარგად იცოდნენ და ამის გამო სერიოზულად შიშობდნენ. იმერეთის მეფეს პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა, მემკვიდრედ აღიარებული ერეკლეს შვილიშვილი დავით არჩილის ძე 11 წლის ბავშვი იყო. პეტერბურგში ისიც იცოდნენ, რომ იმერეთის გავლენიან თავადებში თურქული ორიენტაციის არაერთი მომხრეც ერია. ს. ბურნაშოვის პატაკის შესაბამისად, მათ კატეგორიაში ჩათვლილია ორი გავლენიანი თავადი — ძმები წულუკიძეები[20]. ასე, რომ სოლომონის სიკვდილის შემთხვევაში იმერეთში დიდი არეულობა იყო მოსალოდნელი და როგორ კურსს აიღებდა ახალი ხელმძღვანელობა, ძნელი განსასაზღვრავი იყო. ამიტომ, რათა მოსალოდნელი საშიშროება თავიდან აეცდინა, პ. პოტიომკინმა სოლომონის მფარველობაში მისაღები თხოვნის შესაბამისი ფორმა შეადგინა და გამოაგზავნა. პ. პოტიომკინი ამ თხოვნის თაობაზე მოსალაპარაკებლად იმერეთში რომ ისტუმრებდა ტამარას ასეთ ინსტრუქციას აძლევდა: „რადგან მისი (სოლომონის — შ. ს.) ჯანმრთელობის უკიდურესი სისუსტე და ავადმყოფობის ხში-

---

[19] ЦГВИА, ф 52, оп. 1/194, д. 286$_1$, л. 344.

[20] იქვე, ფურც. 285.

რი შეტევები, მას რომ მოსდის, გვაიძულებს გვეშინოდეს, რომ მისი სიცოცხლის შეწყვეტასთან ერთად არ შეწყდეს საქმეების მთელი კავშირი, რომლის ამჯერად გადაწყვეტის საშუალებას პოლიტიკური ვითარება არ იძლევა, მე საჭიროდ დავინახე მასთან თქვენი მაღალშობილების გაგზავნა, რათა მას გამოთხოვოთ წერილი ყველა მთავრისა და მისი ახლობელი დიდებულების ხელმოწერით, რომელშიაც იგი აღნიშნავს რა თავის სიბერეს და ავადმყოფობას, უმდაბლესად ითხოვს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მფარველობას და მის დაქვემდებარებაში იმერეთის სამეფოს მიღებას, რათა ეს წერილი, ვიდრე პოლიტიკური გარემოება არ გახსნის გზას საკითხის მოსაგვარებლად, ყოველთვის შემთხვევის პირობებში საბაბად გამოვიყენოთ იმ მიზნებისათვის, რომელიც სამეფო კარს წამოეჭრება"[21].

1784 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ტამარა, აღნიშნული მისიით იმერეთში ჩავიდა. მართალია, სოლომონს რუსეთის კარისადმი ერთგულებასა და მფარველობაზე დიდი მისწრაფება გამოუმჟღავნებია, მაგრამ ამგვარი ხასიათის წერილის დაწერაზე უარი განუცხადებია. მას შესაძლებლად მიუჩნევია ისეთი თხოვნის დაწერა, რომელიც მხოლოდ მის სურვილზე იქნებოდა დამყარებული და ხელსაც მხოლოდ თვითონ მოაწერდა[22]. დიდი შრომა დასჭირდებოდა რუსეთის წარმომადგენლებს, რომ იმერეთის მეფე ხსენებული ფორმით მფარველობაში მიეღების თხოვნის შედგენაზე დაეყოლიებინათ. საბოლოოდ, 1784 წლის 4 მარტს სოლომონმა ამგვარ თხოვნას ხელი მოაწერა, თუმცა მასში არაფერი იყო ნათქვამი იმერეთის მეფის სიბერესა და უძლურებაზე და არ იყო სამეგრელოს მთავრის ხელმოწერა[23]. ასე თუ ისე, რუსეთის წარმოადგენლებმა იმერეთის კარზე დავალება შეასრულეს, თუმცა ამ დროს იმერეთის მეფის ხსენებულ თხოვნას პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

1784 წლის 11 მარტს სულთნის კარმა დააჩქარა შეთანხმება რუსეთთან, რომლის ძალითაც ორ სახელმწიფოს შორის სასაზღვრო ხაზი მდინარე ყუბანზე დადგინდა[23]. თურქეთმა აღიარა რუსეთის მიერ ყირიმისა და ყუბანის შეერთება. შესაბამისად, თურქეთთან ომის საშიშროება მოიხსნა. მაშასადამე, მოიხსნა იმერეთთან ტრაქტატის გაფორმების საკითხიც.

---

[21] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 286, л. 344.

[22] იქვე, საქმე 331/3, ფურც. 57; ვ. მაჭარაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 87,

[23] ო. მარკოვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

აღვნიშნეთ, რომ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლობას აფიქრებდა თურქეთის ძიებები იმერეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ამის გამო პ. პოტიომკინი ს. ბურნაშოვს კატეგორიულად უბრძანებდა, ყოველგვარი ზომა მიიღეთ, რათა სოლომონის სიმტკიცე ჩვენს ერთგულებაზე არაფერმა არ შეარყიოსო. რუსეთის დიპლომატიის აქტიურმა მოქმედებამ სასურველი შედეგი გამოიღო. იმ ხანებში სოლომონმა შეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა თურქეთთან და ეს თავის ქვეშევრდომებსაც აუკრძალა[24]. თავის მხრივ, პორტამაც არ დააყოვნა — დასავლეთ საქართველოს სანაპირო რაიონების რბევა განაახლა[25]. როგორც ითქვა, ამას მოყვა სოლომონის ლაშქრობა აჭარაზე.

ეს ლაშქრობა იმერეთის მეფემ წარმატებით ჩაატარა, თუმცა თვითონ დაიჭრა, მაგრამ მალე გამოჯანმრთელდა. აპრილის დასაწყისში მან ერეკლეს მდივანს თ. ბეგთაბეგოვს მოსწერა, რომ ერეკლესთან გადაუდებელ საკითხებზე შეხვედრა სურდა და ითხოვა, ეს შეხვედრა გორში ან სურამში დანიშნულიყო. შეხვედრის წინადადება ერეკლეს სიხარულით მიუღია და გადაუდებელი საქმეების გამო სოლომონი თბილისში მოუწვევია. მაგრამ ამ შეხვედრას განხორციელება არ ეწერა. 1784 წლის 23 აპრილს იმერეთის მეფე მოულოდნელად გარდაიცვალა.

ასე დასრულდა ორი ქართული გაერთიანების, — ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ურთიერთობის რთული და მნიშვნელოვანი 30-წლიანი ეტაპი. ამ ურთიერთობის ხასიათს, ისევე როგორც ქართული სამეფოების საერთო პოლიტიკას, არსებითად განსაზღვრავდა მათი მეთაურების, ორი სახელოვანი მოღვაწის, მეფისა და სარდლის — ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის პიროვნებები. ორივე მათგანს სწორად ესმოდა საერთო ქართული საქმის ინტერესები და თავდადებით იბრძოდა მათი განხორციელებისათვის, ამ გზაზე რთულ, მაგრამ მტკიცე პოლიტიკას ატარებდა და საშინაო თუ საგარეო ძალების გამოყენებას გეგმავდა. ქვეყნის „გამოხსნისა“ და „აღდგომის“ საქმეში უპირველესი და იმჟამად უმთავრესი ღონისძიება, მისი გაერთიანება უნდა ყოფილიყო. აქეთკენ მიისწრაფოდა ორივე მეფე. ამ მისწრაფებამ და საღმა პოლიტიკურმა განსჯამ ისინი რუსეთის დიდ ქრისტიანულ სახელმწიფოს დაუკავშირა.

---

[24] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194. д. 286₁, л. 322.

[25] იქვე, საქმე 331/3, ფურც. 27.

შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ და რიგმა სხვა ფაქტორებმა განაპირობეს ის, რომ ქვეყნის გაერთიანების საქმეში ერეკლე II-მ, რომელმაც შედარებით ძლიერი და მტკიცე მემკვიდრეობა მიიღო, უფრო მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. მან მოახერხა ქართლ-კახეთის სამეფოების ფაქტობრივი და იურიდიული გაერთიანება; მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სამეფოს საზღვრების გაფართოების გზაზე და ქვეყნის ისტორიული საზღვრების აღდგენისა და მთელი საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდა. აქ იგი სოლომონ I-ის ინტერესებს დაუპირისპირდა, რომელიც თავის მხრივ, იმავე პოლიტიკას ახორციელებდა დასავლეთ საქართველოში (საფიქრებელია, რომ არც მთელი საქართველოს მეთაურობას შეუშინდებოდა, თუ ისტორიული სიტუაცია მას ამის საშუალებას მისცემდა), თუმცა ნაკლები წარმატებით, რადგან სოლომონს საწყისი პოზიცია გაცილებით სუსტი ჰქონდა, ხოლო დასავლეთ საქართველოს თავადურ-პარტიკულარისტულ ძალებს გაცილებით უფრო შემტევი, აგრესული და ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაინტერესებული ძლიერი ოსმალეთის იმპერია უმაგრებდა ზურგს. მიუხედავად ამისა, დასავლეთ საქართველოს გაერთიანების გზაზე სოლომონმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, მაგრამ საქმე ვერ დაასრულა. საბოლოოდ კი წინ აღუდგა ქართლ-კახეთის მეფის გამაერთიანებელ მისწრაფებებს იმერეთის მიმართ. თუმცა ერეკლეს ენერგიულ პოლიტიკას მან ერთგვარად თავდაჭერილი და მორიდებული ხასიათის საპასუხო ღონისძიებები დაუპირისპირა. სწორედ მისი გონივრული პოლიტიკის შედეგი იყოს ის, რომ მიუხედავად მრავალწლიანი და სერიოზული წინააღმდეგობებისა, ორ ქართულ სამეფოს შორის ურთიერთობის გამწვავება აშკარა შეჯახებამდე არასოდეს მისულა და ისინი მაინც ახერხებდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედების ორგანიზებას. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მიუხედავად იმისა, რომ ქართლ-კახეთის მეფის პოლიტიკა ხშირად აშკარად მის წინააღმდეგ იყო მიმართული, იმერეთის მეფე ერთგვარი პატივისცემითა და გაგებით ეკიდებოდა მას, რადგან ხედავდა, რომ ეს პოლიტიკა საერთო ქართული ინტერესებით იყო განპირობებული.

ორსაუკუნოვანი დისტანციიდანაც კი ძნელი სათქმელია, სად იყო გამოსავალი. დიდი პრობლემა უმსხვერპლოდ არ წყდება. ალბათ უფრო ლოგიკური იქნებოდა ქართველთა ერთიანობის დიდ საქმეს რომელიმე მოქმედი პირის ლეგიტიმისტური ამბიციები შესწიროდა, მაგრამ ამგვარი მსხვერპლის გაღებას რომელი მათგანი იკისრებდა, როცა თითო-

ეული ცალ-ცალკე დარწმუნებული იყო, და არც უსაფუძვლოდ, რომ ქართველობის გამარჯვებას ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდა.

ძნელია ვადაჭარბებით შეფასდეს ისტორიული პიროვნების მოღვაწეობის მნიშვნელობა, რომელსაც თვით ხალხმა გამოუტანა პირუთვნელი შეფასება, როცა მას მადლიერებით ზედწოდება „დიდი“ მიანიჭა. სოლომონ დიდის როლი ქვეყნის „აღდგომისა“ და „გამოხსნის“ საქმეში, ქართველობის შენარჩუნებაში, თავადური ოპოზიციისა თუ ქვეყნის საგარეო მტრების წინააღმდეგ თავდაუზოგავ ბრძოლაში განუზომელია, მაგრამ ისტორია ულმობელია, მისთვის არ არსებობს აბსოლუტური კატეგორიები და ამდენად, სადაც სოლომონ I-ის პოლიტიკა ქართლ-კახეთის სამეფოს, მთელი საქართველოს გამაერთიანებელ პოლიტიკას დაუპირისპირდა და წინ აღუდგა, იქ იგი მხოლოდ რეგრესულად შეიძლება იქნეს შეფასებული, რადგან ქვეყნის გაერთიანება, გარდა შინა კულტურულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობისა, დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ერთადერთი რეალური გზა იყო.

იქნებ გამოსავალი ის იყო, რომ ორივე სამეფოს ერთი მემკვიდრე გასჩენოდა (მსოფლიოს ისტორიამ ეროვნული სახელმწიფოების ამ ფორმით გაერთიანების არაერთი მაგალითი იცის). ამ მიმართულებით ხომ არ იყო გადადგმული სოლომონ I-ის მნიშვნელოვანი ნაბიჯი, როცა ტახტის მემკვიდრედ მან ერეკლეს შვილიშვილი დავით არჩილის ძე აღიარა? იქნებ ამ საკითხის დასმა და გადაწყვეტა უნდოდა იმერეთის მეფეს, როცა სიკვდილის წინ ასე დაბეჯითებით ითხოვდა ერეკლე II-სთან შეხვედრას რაღაც დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად? ქართლ-კახეთის მეფეს ხომ, მიუხედავად მრავალრიცხოვანი შთამომავლობისა, აღიარებული და ღირსეული მემკვიდრე, გულახდილად რომ ვთქვათ, აღარ ჰყავდა...

ცხადია, ყველაფერი ეს ვარაუდებია, დიდი საქმის უმტკივნეულოდ და კეთილად გადაწყვეტის სურვილით გამოწვეული, რომელსაც არსებული ფაქტობრივი მონაცემები ვერ ამაგრებენ. სოლომონ I კი გარდაიცვალა და დაგვიტოვა ამოუხსნელი საიდუმლოება იმ საქმისა, რომლის ერეკლე II-სთან ერთად გადაწყვეტას ასე ეშურებოდა. აღსასრულის მოახლოება რომ იგრძნო.

1783 წლის 20 აგვისტოს ქართველებმა აღფრთოვანებით იზეიმეს ტრაქტატის გაფორმება. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მრა-

ვალსაუკუნოვანი ტანჯვით გაწამებული საქართველოს მოსახლეობა დიდი რუსეთის კალთის ქვეშ მშვიდობიანი ცხოვრების ნანატრი ჟამის დადგომას ეგებებოდა. მაგრამ ზეიმი ნაადრევი აღმოჩნდა. საქართველოს მტრული მაჰმადიანური გარემოცვა, რომელიც ამიერკავკასიაში რუსეთის ფეხის მოკიდებას თავისი ბატონობის აღსასრულის დასაწყისად მიიჩნევდა, პოზიციების დათმობას აგრე ადვილად არ აპირებდა.

11. 1784—1787 წლების რთული ვითარება და საქართველოს გაერთიანების საკითხის დროებით მოხსნა

რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმებული ტრაქტატით ოტომანთა პორტამ აშკარად დაინახა, რომ მას შემდეგ, რაც ყირიმი და ყუბანი დაკარგა, მას რუსეთის პირისპირ კიდევ ერთი ბარიერი — საქართველო ეცლებოდა ხელიდან. ეს ამიერკავკასიაზე მისი გავლენის მოსპობასთან ერთად, თვით თურქეთში მშვიდობიან არსებობასაც ეჭვის ქვეშ აყენებდა. მას არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ „საბერძნეთის პროექტით“, რომელიც რუსეთში ყირიმისა და ყუბანის შემოერთების წინა ხანებში მუშავდებოდა, წინა აზიის ამ აგრესიული ქვეყნის მოსპობა და მის ნანგრევებზე დიდი საბერძნეთისა და სომხეთის სახელმწიფოების აღდგენა იყო გათვალისწინებული. ამ ბარიერის შენარჩუნებისათვის ოსმალეთის კარზე შესაბამისი პოლიტიკის ძიებაში იყვნენ. ერთი პირობა სულთნის დიდმოხელეებს მიუჩნევიათ, რომ შექმნილ ვითარებაში საქართველოსთან კეთილგანწყობითი ურთიერთობის დამყარება უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, რათა შეწუხებულ მეზობელს ძლიერ რუსეთთან კავშირში მეტად არ განემტკიცებინა და ამით თურქეთისათვის რეალური საფრთხე არ შეექმნა. იმ ხანებში (ყირიმის კონვენციის გაფორმების შემდგომ) ახალციხის სულეიმან ფაშას სულთნის ფირმანი მოსვლია, რომ მას საქართველოსთვის არავითარი ზიანი არ მიეყენებინა[1]. მაგრამ ახალციხის ფაშა, რომელიც დიდი გავლენითა და საკმაოდ თავისუფალი პოლიტიკის გატარების უფლებით სარგებლობდა, საქმეს სხვაგვარად უყურებდა. მას მიაჩნდა, რომ ამიერკავკასიაში თურქეთის პოზიციის შენარჩუნების მთავარი გარანტია საქართველოს დასუსტება იყო, რომელსაც საშუალება მოესპობოდა მხარდაჭერა აღმოეჩინა ძლიერი მფარველისათვის, ურომლისოდაც ამ რეგიონში რუსეთის ფეხის მოკიდება შეუძლებელი იქნებოდა. საქართველოს რაც შეიძლება მეტი უნდა ვავნოთ, რათა მისი გაძლიერება არ დავუშვათო, უპასუხია სულეიმან ფაშას სულთნის აღნიშნულ ფირმანზე[2]. ამის შემდეგ ოტომანთა პორტამ საქართველოსთან ურთიერთობის საკითხი ძირითადად სულე-

---

1 ЦГВИА, ф. 52, оп. I/194, д. 350, ч. 5, л. 68.

2 პ. ბუტკოვი. დასახ. ნაშრომი, II, გვ. 130.

იმან ჯაყელის კომპეტენციაში მოაქცია და ისიც, თავისი შეხედულებისამებრ, საქართველოს საწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზებას შეუდგა.

ახალციხის ფაშას, გარდა საერთო საიმპერიო ინტერესებისა, ქართლ-კახეთის მიმართ საკუთარი ანგარიშებიც ჰქონდა, რადგან ქართველი პოლიტიკოსები ამ რეგიონს ყოველთვის ისე უყურებდნენ, როგორც დროებით მათგან ჩამოცილებულ სამფლობელოს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ძლიერი და სახიფათო იყო ერეკლე II-ის პრეტენზიები, რაც 1783 წლის ტრაქტატშიც აისახა. ხოლო ერეკლეს ტიტულატურით სამცხე-საათაბაგო (ძირითადად ახალციხის საფაშო) საქართველოს შემადგენლობაში იგულისხმებოდა[3]. მაშასადამე, ამიერკავკასიაში რუსეთის დამკვიდრების შემთხვევაში, სულეიმან ჯაყელის სამფლობელო, მის გვარს აგერ ათეული წლების მანძილზე რომ ეკავა, ერეკლეს სახელმწიფოს ფარგლებში მოექცეოდა. ცხადია, ამ საშიშროებას არ შეეძლო არ გამოეწვია მისი განსაკუთრებული მონდომება და შემართება ამგვარი შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ იყო მეორე გარემოებაც. რუსეთის ძალა და მისწრაფებები ცნობილი იყო. სულეიმან ჯაყელი ჭკვიანი პოლიტიკოსი გახლდათ. მას ესმოდა, რომ რუსეთთან დაპირისპირებაში თურქეთს შეეძლო (და მოსალოდნელიც იყო) მარცხი განეცადა; ამიტომ რუსეთთან ურთიერთობის ისე გამწვავება, რომ საქმე ომამდე მიეყვანა, მას ხელს არ აძლევდა. არც რუსეთის ხელისუფლების გადაკიდება აწყობდა, რადგან მარცხის შემთხვევაში, მას პასუხისგება და სასჯელი არ აცდებოდა. ამისათვის იგი დიპლომატიურად მოქმედებდა, ოფიციალურად საქმეში ჩარევას თავს არიდებდა, შეფარვით კი ქართლ-კახეთის სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობას თავის ინტერესებისათვის სასარგებლოდ მიიჩნევდა, რადგან თვლიდა, რომ დასუსტებული და დაუძლურებული ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის თვალში მოკავშირისა და დასაყრდენის ფუნქციას ვერ შეასრულებდა. იმ შემთხვევაში, თუ ალაჰი ისე გასწირავდა, რომ რუსეთი ახალციხის საფაშოს თურქეთს წაართმევდა, იგი იმედოვნებდა, შესაბამისი ტაქტიკის განხორციელებით, რუსეთთანაც ის უფლებები და მდგომარეობა შეენარჩუნებინა, როგორც პორტასთან გააჩნდა.

ვითარების სირთულე და მომავლის გაურკვევლობა განსაზღვრავდა ქართლ-კახეთის მეზობელი მაჰმადიანური სახანოების პოლიტიკასაც. ირანი, რომლის ოფიციალურ ქვეშევრდომებადაც ისინი ითვლე-

---

[3] პ. ბუტკოვი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 130.

ბოდნენ, დასუსტებული იყო და არათუ დაცვა, მათ საქმეში ჩარევის საშუალებაც არ ჰქონდა. (ამ საფუძველზე იყო აგებული სახანოების ფაქტობრივი დამოუკიდებლობაც). ერთმორწმუნეობისა და პოლიტიკური ინტერესების გამო, მათი დაცვის პრეტენზიას თურქეთი აცხადებდა, მაგრამ საეჭვო იყო, რომ იგი ნაკისრი მისიის შესრულებას შეძლებდა.

ამიერკავკასიაში დიდი რუსეთი მოდიოდა; მისი დასაყრდენი აქ ერთმორწმუნე ქართლ-კახეთი იყო; მაშასადამე, რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში ერეკლეს ძალა და გავლენა ამ რეგიონში განუსაზღვრელად იზრდებოდა; ბევრ მათგანზე (ერევანი, ნახიჭევანი, განჯა და ა. შ.) ერეკლე პრეტენზიას იურიდიულად აცხადებდა (იმ მოტივით, რომ ეს უფლება თავის დროზე მან საერთო სიუზერენისაგან — ირანისაგან მიიღო). შესაბამისად მათი ფაქტობრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროება, როგორც მათ მიაჩნდათ, ქართლ-კახეთიდან მოდიოდა; ასე რომ, მაჰმადიანურ სახანოთა ინტერესებიც ქართლ-კახეთის განადგურებას ან ყოველ შემთხვევაში მის უკიდურეს შესუსტებას მოითხოვდა; ამავე დროს, რუსეთის მოსალოდნელი შემოსვლისა და განმტკიცების შიშით, თვითოეული მათგანი საიმპერატორო კარის წარმომადგენლებს ერთგულებას ეფიცებოდა და ერეკლეს მსგავსად მფარველობაში მიღებასაც კი ითხოვდა.

მაშასადამე, ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ბრძოლა გარემომცველი მაჰმადიანური სამყაროს საერთო ინტერესებს შეადგენდა; ამიტომ სახანოები მეტ-ნაკლები მისწრაფებით უერთდებოდნენ აბალციხის საფაშოს წამოწყებებს, იმის შესაბამისად, თუ როგორი პრაქტიკული კონტაქტები ჰქონდათ მოახლოებულ რუსეთთან და რა უშუალო საშიშროების წინაშე აყენებდა მათ ამგვარი მისწრაფება.

ამრიგად, ანტიქართული მოძრაობის მედროშე სულთნის კარი იყო, მისი ცენტრი და ორგანიზატორი კი ახალციხის საფაშო.

ტრაქტატის გაფორმებისთანავე პორტამ არ დააყოვნა მოწოდებების გაგზავნა აზერბაიჯანისა და დაღესტნის ყველა მფლობელთან, რათა გაერთიანებულიყვნენ და ამიერკავკასიაში რუსები არ შემოეშვათ. განსაკუთრებული შიში გამოიწვია დარიალის გზის მოწყობის ღონისძიებებმა, რომელიც ამიერკავკასიაში დიდი რუსული შენაერთების ოპერატიულად შემოყვანის შესაძლებლობას ჰქმნიდა: „დაწყევლილმა რუსებმა — იწერებოდა ახალციხის ფაშა — გზა გაიყვანეს კავკასიაზე. ეხლა წამოვა არტილერია და ჯარები, შეიჭრებიან სპარსეთში და თურ-

ქეთში და ყველაფერს ჩაყლაპავენ"[4]. სულეიმან ჯაყელი აღნიშნული გზის თაობაზე ერეკლესაც უცხადებდა პროტესტს, „რისთვის შემოჰყავთ ჯარი საქართველოში? — კითხულობდა იგი ერეკლესადმი მიწერილ წერილში — თუ ეს სპარსეთის საწინააღმდეგო ღონისძიებაა, მაშინ არ ურჩევნიათ მოზდოკიდან დარუბანდისაკენ წავიდნენ, იქიდან ხომ ზღვითაც შეიძლება და ხმელეთითაც? ხოლო რაკი თბილისისაკენ მიდიან მაშასადამე თურქეთის საწინააღმდეგოდ ყოფილა მიმართული"[5]. თურქეთის აგენტურა, როგორც ჩანს, ტრაქტატის გაფორმებამდეც საქმის კურსში იყო, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, ამიტომ ჯერ კიდევ მაშინ ახალციხის ფაშა ფათალი-ხანისადმი წერილში შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ იმ დროს, როცა რუსეთის ჯარები სპარსეთისაკენ მიიწევენ და ამ დიდი უბედურების თავიდან ასაცილებლად ყველა მუსულმანის გაერთიანებაა საჭირო, აზერბაიჯანელი ხანები ერთმანეთის ჭირობაში არიანო.

ახალციხის საფაშოდან ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ფარული მოქმედება უკვე 1783 წლის მაისიდან დაიწყო. ამ თვალსაზრისით იმჯერად ყველაზე მძიმე და ეფექტიანი ღონისძიება ლეკების წაქეზება იყო. საქართველოს ამ დაუძინებელ მტრებს ახალციხის საფაშოს სახით საიმედო დასაყრდენი და თავშესაფარი გაუჩნდათ.

დაღესტნელი ფეოდალების შემოტევებს ქართლ-კახეთის ბარის მოსახლეობასთან თავისი სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები ჰქონდა და ამდენად იგი კანონზომიერი მოვლენა იყო, მაგრამ ახლა ეს ბრძოლა გეგმაზომიერ და სისტემატურ ხასიათს იღებდა, რადგან სოციალ-ეკონომიკურ საფუძველს დაემატა პოლიტიკური (ქართლ-კახეთის მბრძანებლის შემოერთების პრეტენზიის სახით) და მატერიალური, რადგან ახალციხის საფაშოში ერეკლე II-ის სამეფოზე გამანადგურებელი თავდასხმებისათვის ლეკთა ურდოებს აძლევდნენ თავშესაფარს, სურსათსა და ჯამაგირსაც კი, ასეთი სტიმულის არსებობა განსაზღვრავდა ამ თავდასხმების მიზანსწრაფულობასა და სიმძიმეს.

ახალციხიდან ლეკთა თავდასხმები თანდათან ძლიერდებოდა, ფაშა კი გაიძვერულ წერილებს იწერებოდა და აქეთ ადანაშაულებდა ერეკლე II-ს. ლეკები ჩემს სამფლობელოში შენს ქვეყანაზე გავლით გადმოდიან და მაწუხებენ, ზომები მიიღეო. სირთულე იმაში მდგომარეობ-

---

[4] ЦГВИА, ф. 52, оп. I/194, д. 331, ч. 3, л. 67.

[5] იქვე, საქმე. 286, ფურც. 210—211.

და, რომ ქართლ-კახეთის პოლიტიკოსებს ახალციხიდან დაღესტნელი ფეოდალების თავდასხმის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება უშვირდათ. ცნობილია, როცა ლეკები თავიანთი სოფლებიდან კახეთსა და ქიზიყს ავიწროვებდნენ, ქართველები მტრის სათანადო დახვედრის გარდა, მათ სოფლებზე საპასუხო თავდასხმების ღონისძიებებსაც ეფექტიანად იყენებდნენ. ახლა, რაკი შეხორცებები ახალციხიდან ხდებოდა, ამ რეგიონში შეჭრა ქართველებს არ შეეძლოთ, რადგან ეს თურქეთის ტერიტორია იყო. რუსეთს კი თურქეთთან ზავი ჰქონდა და ეს პორტას საპასუხო პროტესტს გამოიწვევდა. ერეკლეს, ტრაქტატის ძალით ამ გარემოებისათვის ანგარიში უნდა გაეწია. ამის გამო, მას ისღა რჩებოდა, რომ სამხედრო და დიპლომატიური დახმარებისათვის სასაზღვრო ჯარების უფროსისათვის მიემართა. იქიდან კი ქედმაღლური, თვითდაჯერებული და დამამშვიდებელი პასუხის მეტს ვერაფერს იღებდა: „... სულაც არ ვფიქრობ, რომ იგი (სულეიმან ფაშა.—მ. ს.) ეძიებდეს შემთხვევას, რათა მტრობა დაიწყოს, მით უმეტეს, როცა გაიგებს, რომ ჩვენმა კარმა საქართველოს სამეფო უმაღლეს მფარველობაში მიიღო“[6], სწერდა პ. პოტიომკინი ს. ბურნაშოვს იმ დროს, როცა სისტემატურად მისდიოდა ცნობები ახალციხის საფაშოს მტრული მოქმედებისა და საომარი მზადების შესახებ. უფრო გვიან პ. პოტიომკინი გ. პოტიომკინისადმი მიწერილ პატაკში კომენტარს უკეთებდა რა ს. ბურნაშოვის ცნობებს ომარ-ხანის საქართველოზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, ასკვნიდა: ამგვარი და საერთოდ, ერეკლეს წინააღმდეგ ლეკების მზადების შესახებ (იგულისხმება ერთიანი დიდი ლაშქრობა — მ. ს.) ცნობები ადრეც მქონდა, მაგრამ მათ დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი და არ ვაქცევ. რადგან დარწმუნებული ვარ ლეკები საქართველოს წინააღმდეგ ვერაფერს ვერ გაბედავენო[7]. რუსეთის სასაზღვრო უფროსების ასეთი დამოკიდებულება საქართველოდან მიღებული შემაშფოთებელი ცნობებისადმი ერთეული შემთხვევა არ ყოფილა.

უკვე 1783 წლის ზაფხულში ახალციხე ლეკთა რაზმების შესაკრებ პუნქტად იქცა. წვრილ-წვრილი პარტიებით დაღესტნიდან განუწყვეტლივ მოეშურებოდნენ ლეკთა გუნდები, აქ იღებდნენ იარაღს, ფულს, ინსტრუქციებს და საქართველოზე აწყობდნენ სისტემატურ, გეგმაზომიერ, გამანადგურებელ თავდასხმებს. არღვევდნენ ქვეყნის ცხოვრების ნორმალურ რიტმს, შეუძლებელს ხდიდნენ გზებზე მოძრაობას, ყანებ-

[6] ЦГВИА, ф. 52, оп. I/194, д. 286,, л. 240.

[7] იქვე, ფურც. 284.

სა და ბაღ-ვენახებში შრომას, ოჯახში ძილსა და მოსვენებას. ამგვარი ვითარება თითქმის 4 წელი გრძელდებოდა და ქვეყანას აუწერელ ზიანს აყენებდა. 1784 წლის დასაწყისში ერეკლეს განზრახული ჰქონია სპეციალური ნუსხა შეედგინა იმ ზარალისა, რაც მას 1783 წლის მაისიდან მოყოლებული ახალციხის საფაშომ ლეკთა შემოსევების მეშვეობით მიაყენა[8]. ამგვარი განზრახვა ზარალის მნიშვნელოვანი მასშტაბის მაჩვენებელია. შემდგომ პერიოდში კი აღნიშნული გამანადგურებელი პროცესი თანდათანობით ძლიერდებოდა.

ლეკთა შემოსევების ორგანიზება თურქეთისა და ახალციხის საფაშოს ანტიქართული ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა იყო მხოლოდ. მის მიზანს ქართლ-კახეთის სამეფოს დასუსტება და დაუძლურება, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის მოშლა შეადგენდა, ხოლო ქვეყნის სრულ განადგურებას ეს აგრესორები საქართველოს წინააღმდეგ მეზობელი მაჰმადიანური სახანოების საერთო ამხედრებით გეგმავდნენ.

1783 წლის შემოდგომასა და 1784 წლის გაზაფხულზე თურქეთის ემისრები აზერბაიჯანის სახანოებს მოედვნენ სულთნის ფირმანებით, მოწოდებებითა და რუსეთის იმ ნოტის ასლებით, რომლითაც საიმპერატორო კარი პორტას საქართველოს რუსეთის მფარველობაში მიღებას აუწყებდა და, რომელშიაც, ამ მფლობელებსა და ფეოდალებს რუსეთის „აგრესიული ზრახვები" უნდა დაენახათ. მხოლოდ სასაზღვრო უფროსებისა და პირადად პ. პოტიომკინის საქმეში ჩარევამ დროებით შეაჩერა სამხედრო კავშირის შეკვრა და საქართველოზე გამოლაშქრება. აზერბაიჯანის მფლობელები პ. პოტიომკინის ერთგულებას უდასტურებდნენ, მაგრამ ამავე დროს საქართველოს საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის ემზადებოდნენ. ამ პერიოდში თურქებმა ერეკლე II-ეს მისი ხელდებული სახანოები განჯა და ერევანი ფაქტობრივად ჩამოაცილა, რითაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მიაყენა და სტრატეგიული მდგომარეობა გაურთულა.

1784 წელს თურქეთი კიდევ უფრო აძლიერებს თავის ანტიქართულ მოღვაწეობას ამიერკავკასიაში. შემოდგომაზე აქ 61-კაციანი ელჩობა ჩამოდის იბრაჰიმ ეფენდის მეთაურობით და რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ „წმინდა ომის" პროპაგანდასა და ორგანიზებას იწყებს. ამ ელჩობის აქტიური მოქმედების შედეგად 1785 წელს

---

[8] ო. მარკოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 203.

საბოლოოდ ფორმდება ახალციხის, აზერბაიჯანის სახანოებისა და დაღესტნის მფლობელთა სამხედრო კავშირი საქართველოს წინააღმდეგ[9]. დაძაბულმა ვითარებამ კრიტიკულ წერტილს მიაღწია. 7 აგვისტოს ს. დ. ბურნაშოვი კავკასიის ხაზის უფროსს ატყობინებდა, რომ მაჰმადიანი მეზობლების სამზადისი საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც 2 წელია მიმდინარეობს, დასრულდა[10]. შემოსევა, რომელსაც ამჯერად ავართა ომარ-ხანი ამზადებდა კარზე იყო მომდგარი: „აზერბაიჯანის ყველა ხანმა, გარდა ერევნისა, საერთო კავშირი შეკრა დაღესტანთან, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ რუსთა საქმიანობას და ხელსაყრელ შემთხვევაში ფენერალური თავდასხმა მოაწყონ საქართველოზე“[11]. მდგომარეობა კრიზისული იყო, საგარეო გართულებების შედეგად საშინაო უკმაყოფილებებიც გახშირდა. ბრძოლაში დაღლილ და გაწამებულ მეფეს არც დრო, არც ენერგია და არც ძალა ყოფნიდა ქვეყნის შინაური ვითარების მისახედად, იგი სასოწარკვეთილების მიჯნაზე იდგა და მფარველისაგან დახმარებას ითხოვდა. „... მას იმედი არა აქვს თავისი ქვეშევრდომი ქართველებისა, განსაკუთრებით კი ქართლელებისა — წერდა ბურნაშოვი მეფე ერეკლეს შესახებ — რომლებიც მისდამი კეთილგანწყობილნი არ არიან, ბრავალ მათგანს მართლაც აქვს ურთიერთობა სულეიმან-ფაშასთან და თუ რუსეთისაგან ჩქარა არ მიიღებს დახმარებას, უყურებს იგი თავის თავს ვითარცა ბალახს. რომელიც ამოთხრილი იქნება თავისი სამეფოს შუაგულში. ხოლო არქიმანდრიტ გაიოზს გაუმჟღავნა, რომ მისი ყველაზე უახლოესებიც კი საუვედურობენ რუსეთთან კავშირის გამო და არ სურთ იგი, თვლიან რა ახლანდელი მათი აოხრების (განადგურების) მიზეზად“[12], დახმარება კი არ ჩანდა. ცარიზმის დიპლომატიამ ქართლ-კახეთთან გაფორმებული ტრაქტატით მიმდინარე ხასიათის ამოცანები გადაწყვიტა. ვიდრე თურქეთთან მშვიდობა იყო, ხოლო ირანისაკენ წინსვლის პერსპექტივები კარგა ხნით გადაიდო, საქართველომ მისთვის იმ მომენტში არსებითი მნიშვნელობა დაკარგა; ამ რეგიონისადმი ინტერესი მმართველ წრეებში მნიშვნელოვნად შენელდა.

---

[9] ЦГВИА, ф 52, оп. 1/194, д. 350/5, л. 63—64; ო. მარკოვა. დასახ ნაშრომი, გვ. 207.

[10] იქვე. საქმე 350/9, ფურც. 113.

[11] იქვე. ფურც. 14.

[12] იქვე, ფურც. 15.

ქართველმა ხელისუფლებმა და საქართველოში რუსეთის წარმომადგენლებმა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ჯერ კიდევ 1784 წლის ზაფხულში საქართველოში რუსეთის ჯარის კონტინგენტის გაზრდის საკითხი დააყენეს. ამ ხანებში გენერალი პ. პოტიომკინი თვითონ იყო საქართველოში და დარწმუნდა, რომ აქ მოვლენებული ორი რუსული ბატალიონი შექმნილ რთულ პირობებში საქმეს ვერ შველოდა. ამის საფუძველზე ამავე წლის 10 ოქტომბერს იგი გ. პოტიომკინის წინაშე აღნიშნული ბატალიონების ახალი პოლკით შეცვლას ითხოვდა[13]. უფრო ადრე გ. პოტიომკინი იმპერატრიცას საქართველოში ჯარის ნაწილების გაზრდის შესახებ მოახსენებდა, მაგრამ ამ წარდგინებას შედეგი არ მოჰყოლია. 1785 წლის 7 აგვისტოს ს. ბურნაშოვმა კავკასიის ხაზიდან ცხენოსანთა თუნდაც სულ მცირე რაზმის გამოგზავნაზე იშუამდგომლა. კავკასიის ხაზის სარდლის მოვალეობის შემსრულებელი გენერალი ლეონტიევი კი პასუხობდა, რომ არაფრით შეეძლო დახმარებოდა და ურჩევდა: ხმა გაავრცელე რუსეთის დიდი ჯარი მოდის საქართველოში, იქნებ მტრები შეშინდნენ და ბრძოლისგან თავი შეიკავონო. 1785 წლის ოქტომბერში ჯარის მომატებას ცალ-ცალკე ითხოვენ საქართველოში რუსეთის მინისტრ-რეზიდენტი ს. ბურნაშოვი, პეტერბურგში მყოფი გარსევან ჭავჭავაძე და თვით მეფე ერეკლე: ჯარი თუ ახლავე არ მოგვაშველეთ საქართველო დაიღუპება და ბერე გვიან იქნებაო[14]. შედეგი იგივე იყო.

რასაკვირველია, კავკასიის ხაზიდან ჯარების გამოგზავნის შეფერხებას თავისი ახსნა აქვს: 1785 წლისათვის კავკასიის ხაზის სარდალს პ. ს. პოტიომკინს თავის განკარგულებაში სულ 14000-მდე ჯანმრთელი ჯარისკაცი ჰყავდა, იმ დროს, როდესაც კავკასიის მთიანეთის თითქმის ყველა ხალხები აჯანყებული იყვნენ, ეს ერთობ მცირე რიცხვი იყო და მისი, საქართველოს დასახმარებლად შემცირება გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული; სირთულეები იყო ჯარის გადაყვანის, მისი მომარაგებისა და სხვა საკითხებიც[15], მაგრამ ორი წლის განმავლობაში, როცა საქართველოდან დახმარების გაზრდის მოთხოვნები მოდიოდა, ამ საკითხების გადაწყვეტისათვის სამხედრო კარს საკმარისი დრო ჰქონდა.

---

[13] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 350, с. 9, л. 113.

[14] ო. მარკოვა. დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

[15] იქვე, გვ. 213.

ფაქტი ისაა, რომ ცარიზმის წარმომადგენლებმა ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულება, საქართველოს მტრისაგან დაცვის შესახებ, არ შეასრულეს და ამის გამართლება იმით, ვითომ ეს თურქეთთან ომის დაწყების საშიშროებით იყო გამოწვეული, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი მიიჩნევს, ყოვლად დაუსაბუთებელია. მფარველობაში მიღებული ქვეყანა მფარველობას ითხოვდა, ჰაგრამ იგი არსაიდან ჩანდა.

ერთადერთი, ვისაც გულთან ახლოს მიჰქონდა მინდობილი ქვეყნის გაჭირვება და პასუხისმგებლობას გრძნობდა მოკავშირედ მიღებული მოძმე ხალხის ბედისადმი, ეს რუსი ხალხი, რუსი მშრომელი ადამიანი იყო. ეს უდიდესი მნიშვნელობის ძალა და მხარდაჭერა იყო, მაგრამ მისი წარმომადგენლები, ფარაჯაში გადაცმული გლეხკაცები, რუსი ჯარისკაცები, საქართველოში სულ ორ ბატალიონს (2000 კაცზე ნაკლებს) შეადგენდნენ და, ცხადია, მათ მთელი საქართველოს დაცვა არ შეეძლოთ რაგინდ დიდი სურვილი ჰქონოდათ და რაგინდ არნახული გმირობა გამოეჩინათ. დახმარების სურვილი, გმირობა და შემაცობა კი რუს ჯარისკაცებს მართლაც გოლიათური ჰქონდათ. საქართველოში ფეხის შემოდგმისთანავე რუსული რაზმები თავდაუზოგავად ჩაებნენ ქართველთა ისტორიული მტრების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში და შიშის ზარი დასცეს. ქართველებმა მაშინვე დააფასეს რუსი თანამოძმეების გულგაშლილი ერთგულება და ვაჟკაცური, უანგარო შემართება, რასაც არაერთი ფაქტი ადასტურებს: 1784 წლის 27 აპრილს ლეკთა 800-კაციანი ცხენოსანი რაზმი თავს დაესხა კახეთში მინდვრად მომუშავე გლეხებს. საგარეჯოში ამ დროს კაპიტან ტოლმაჩოვის ბატალიონი იდგა, მაგრამ მან ამ თავდასხმის შესახებ ცნობა გვიან მიიღო და ამის გამო, თუმცა გამოელენა მომხვდურებს, მაგრამ ვერ დაეწია. ეს ამბავი სასწრაფოდ აცნობეს ქიზიყში მდგარ რუსულ რაზმს, რომელსაც კვაშკინ-სამარინი მეთაურობდა. ამ რაზმმა, ქართველი მოხალისეების დახმარებით, გზა გადაუჭრა ნადავლითა და ტყვეებით უკან მიმავალ მტერს, უთანასწორო ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა იგი და დიდძალი ტყვე და ნადავლი დაატოვებინა. გამარჯვებულ რუს მეომრებს კახელებმა, აქ არსებული ტრადიციული წესის თანახმად, გასამრჯელოდ მტრისაგან წართმებული ნადავლის ნაწილი შეაძლიეს, მაგრამ რუსმა ადამიანებმა არათუ გასამრჯელო არ მიიღეს, არამედ დიდსულოვნად უარი თქვეს ქართველი თანამოძმეებისაგან საკვებად შეთავაზებულ საქონელზე, იმ დროს, როცა უთანასწორო ბრძოლაში არაჩათგამოცლილებსა და მშივრებს ორცხობილას გარდა სხვა სურსათი თურმე არ გააჩნდათ. ქართველებმა ღირსეულად დააფასეს მეომ-

რების ვაჟკაცური საქციელი. ამ გამარჯვებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია მთელს ქართლ-კახეთში. „ამ ცნობის მიღებისას თბილისში ქვემეხების შედლუხი მოეწყო და სასახლის კარზე შუაღამემდე უკრავდნენ სასულე მუსიკას, ხალხი, ერთობ გამოცოცხლებულია თავიანთ სოფელში მშვიდად ყოფნის იმედსა და მოლოდინში“[16]. ხალხი საერთო სიხარულმა მოიცვა: ქვეყანა ზეიმობდა და რუსი ჯარისკაცების უანგარო მხარდაჭერითა და სიმამაცით დაიმედებული მომავალს მხნედ შეჰყურებდა.

1784 წლის მაისში თბილისში მიიღეს ცნობა, რომ ლეკთა 900 და 500 მეომრისაგან შემდგარი ორი რაზმი საქართველოში შემოსაჭრელად ემზადებოდა. რუსული ბატალიონი, ერეკლეს სურვილის შესაბამისად, საგარეჯოსკენ გაეშურა რათა მტერი იორის ავლით თბილისისაკენ არ წამოსულიყო, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ქიზიყსაც მიშველებოდა. მოწინააღმდეგემ ჩანს, შეიტყო რუს-ქართველთა ძალების ენერგიული მოძრაობა და იძულებული შეიქმნა განზრახვაზე ხელი აეღო.

ახალციხეში დაბანაკებული ლეკთა მრავალრიცხოვანი ურდოები განსაკუთრებით ქართლის სოფლებს ავიწროვებდნენ, ერთი მხრივ, მათი შემოტევების ორგანიზებულობის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ რეგიონში ლეკებთან ბრძოლის ნაკლები (კახეთთან და ქიზიყთან შედარებით) გამოცდილების გამო. ლეკებმა მათივე შემოსევების შედეგად გაპარტახებულ საგურამოს მიდამოებში გაიჩინეს ბუდე, აქედან ჩუმად არაგვზე გადმოდიოდნენ და მცხეთის ირგვლივ სოფლებს ავერანებდნენ. რუსთა ერთი ბატალიონი საქართველოში შემოსვლისთანავე სოფელ საგურამოსთან ჩადგა, რითაც მნიშვნელოვანი შვება მისცა არა მარტო ახლომახლო მდებარე სოფლებს, არამედ ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად არტერიაზე მგზავრებსა და მექარავნეებსაც[17].

რუსული შენაერთები ერთი ადგილას დიდი ხნის განმავლობაში გასაჩერებლად ვერ იცლიდნენ. მტერი ქვეყანას ხან ერთი, ხან მეორე კუთხიდან უტევდა, ასე რომ, საჭირო ხდებოდა ბატალიონების ერთი ადგილიდან სასწრაფოდ სხვა ადგილას გადასვლა და ასე გაუთავებლად.

1784 წლის ივნისში ცნობა მოვიდა, რომ ალაზნის გაღმა 5000-მდე ლეკმა მოიყარა თავი, ამის გამო მთიელთა რუსული ბატალიონი სასწრაფოდ ქიზიყში გაამწესეს. მტერმა თავდასხმა ვერ გაბედა და გაბრუნდა.

[16] ЦГВИА, ф. 52, оп. I/194, д. 331, ч. 5, л. л. 11—12.

[17] იქვე, საქმე 331/7, ფურც. 17.

ბატალიონები ჭეშეით შენაერთებს წარმოადგენდნენ, ამის გამო მოქმედებისას მათ ჩვეულებრივ ქართული ცხენოსანი რაზმები ახლდნენ და ერთობლივი ძალით სადაც კი მიასწრებდნენ, მუსრს ავლებდნენ მტერს. ქართულმა ცხენოსანმა პატრულმა საგურამოსთან ლეკების რაზმი შეამჩნია, სასწრაფოდ აცნობა რუსული შენაერთების უფროსს და მათ წინააღმდეგ გაეშურნენ. მოწინააღმდეგეებმა რუს-ქართველთა მოძრაობა რომ შენიშნეს, სასწრაფოდ „დაყარეს არა მარტო სურსათ-სანოვაგე, არამედ ნაბდები და ქუდებიც კი, ტყეებსა და მთის მიუვალ უფსკრულებში გაუჩინარდნენ, ხოლო მათგან მოკლულ იქნა I, ხოლო დაჭრილი — 4“[18] — ვკითხულობთ ერთ-ერთ საბუთში.

იმის გამო, რომ ლეკთა ძირითადი რაზმები ახალციხეში იყრიდნენ თავს, ერეკლეს მიუჩნევია, რომ ასეთ ვითარებაში კახელები თვითონ შეძლებდნენ მტერთან გამკლავებას, ამიტომ რუსული ბატალიონების ქართლში გადმოსროლა გადაუწყვეტია.

ქართლში, სურამის მახლობლად, რუსული ბატალიონის განლაგებამ სათანადო შედეგი გამოიღო, „გაიგეს რა ჩვენი ჯარების იქ ყოფნის შესახებ, ლეკები ზემო ივერიაში ვახანიდან მოყოლებული თვით ბამბაკამდე გამოჩენასაც კი ვერ ბედავენ“[19] — წერს პოლკოვნიკი ბურნაშოვი ერთ-ერთ იმდროინდელ პატაკში. ეს აზრი, ცხადია, ლეკთა შედარებით ნსხვილ პარტიებს შეეხება, წვრილ-წვრილი ქურდული შემოპარვები მაინც გრძელდებოდა.

რაკი რუსული რაზმების ძალა ნახეს, ლეკთა ურდოები საგანგებო მომზადების გარეშე მართლაც, ვეღარ ბედავდნენ საქართველოში შემოჯრას. 1785 წლის 19 აპრილს თბილისში ცნობა მიიღეს, რომ თურქთა და ლეკთა გაერთიანებულმა 3000-იანმა ლაშქარმა თავდასხმა მოაწყო ზემო ქართლის სოფლებზე, ააოხრა ისინი და 600-მდე ტყვე წაიყვანა. იმავე დღეს ამ ცნობის მიღებიდან სამი საათის შემდეგ, თბილისში მეორე შიკრიკი მოვარდა და სასიხარულო ამბავი მოიტანა: ლეკებისა და თურქების ეს ხროვა სურამში მდგარმა ათასეულებმა გაანადგურეს და ყველა ტყვე გაანთავისუფლესო[20]. ჩქარა თბილისელები თვალნათლივ დარწმუნდნენ ამ ცნობის სიმართლეში. მდინარე მტკვარს თურმე მტრის მრავალი გვამი ჩამოუტარებია. როგორც გადმოგვცემენ ამ ბრძოლის შემდეგ მტრის 3000 მეომრიდან ახალციხეში მხოლოდ 200 ლეკი დაბრუნებულა; თურქები კი ყველა დახოცილა. ამ მნიშვნელო-

[18] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 331/8 л. 12.

[19] იქვე, საქმე 350/გ, ფურც. 4—6.

[20] იქვე, საქმე 350/ნ, ფურც. 57.

ვან გამარჯვებას დავით ბატონიშვილი შემდეგნაირად აღწერს: „განერცნა უკუე ტყვენვაი ახალციხით ლეკთაგან, სადაცა კვალად შეკრბნენ უმეტეს ორი ათასისა მხედრობისა, მოვიდნენ და აღიღეს საქაშეთი დღესა დიდ ხუთშაბათსა ვნების კვირიაკისასა და ტყვე ჰყვეს სახლეულნი დიასამიძისა. სცნეს სურამს მყოფთა რუსთა და ქართველთა... მორიგეთა, მოეგებნენ ჰალას. იქმნა მუნ ბრძოლა. მხნედ ბრძვეს ქართველთა, იძლივნენ ლეკნი და ესრეთ შიშვნეულ იქმნენ, რომელ მტკვართა შიგან შესრულნი მოიშთვნენ უმეტეს ათასისა კაცისა. მუნ დიაცმან ერთმან ტყვეთაგანმან ქართველმან შეიპყრა შემპყრობი თვისი ლეკი და მოიყვანა მხედრობასა შინა ქართველთასა“[21].

იმავე წლის 9 მაისს ახალციხიდან გადმოსულმა 3000-იანმა ლაშქარმა სოფელ ჰალის მიდამოები დაარბია და მთელი საქონელი თავის მწყემსებიანად მოიტაცა. რუსთა 3 ასეული ისე ენერგიულად დასდევნებია რიცხვმრავალ მომხდურებს, რომ ისინი იძულებულნი გამხდარან მთელი ნადავლი მიეტოვებინათ და თავი ტყისთვის შეეფარებინათ. 1 ივნისს რუს-ქართველთა და ლეკ-ოსმალთა ლაშქარს შორის კვლავ დიდი შეტაკება მოხდა, რომელიც მტრის სასტიკი დამარცხებით დამთავრდა: „კვალად შეკრბნენ ლეკნი და თათარნი და მოვიდნენ ფხვენისს და ვინაითგან მუნ ვერარაი ჰყვეს, უკუნ იქცნენ, სადაცა მოხისს შეემთხვათ რუსნი და ქართველნი, და ძლევა შეიმოსეს ფრიად მათ ზედა და უკუნ იქცნენ სირცხილლეულნიო“[22] — მოგვითხრობს დავით ბატონიშვილი. ამ გამარჯვებების ეფექტი მეტად დიდი იყო. რადგან გარდა იმისა, რომ მტრის დასუსტებას იწვევდნენ, მათ უდიდესი მორალური მნიშვნელობა ჰქონდათ თვით ქართველი ხალხისათვის, რომელიც ყოველი მხრიდან მტრული შემოსევების საშიშროების გამო სასოწარკვეთის მიჯნაზე მყოფი, ხედავდა, რომ მარტო არ იყო, მის გაჭირვებას, მის ბრძოლას ძმურად ინაწილებდნენ მოძმე ხალხის შვილები — რუსი ჯარისკაცები. ამდენად, თუმცა ცოტა გადაჭარბებულად, მაგრამ ძირითადად სწორად გამოიყურება რუსი პოლკოვნიკის სიტყვები: „ამ მეორე გამარჯვებამ საბოლოოდ დაარწმუნა ქართველები, იმერლები და საერთოდ ახლობელი ოლქები, რომ მცირერიცხოვან რუსის ჯარს ყოველთვის შეუძლია დაამარცხოს მრავალი ათასები... გაახარა მისი უმაღლესობაც (ერეკლე მეფე — ბ. ს.), რადგან ვბედავ მოგახსენოთ ჭეშმარიტება, რომ ასეთმა გამარჯვებამ დაიფარა არა მარტო საქართველო

---

21 დავით ბატონიშვილი. ახალი ისტორია... გვ. 17.

22 იქვე.

(იგულისხმება ქართლ-კახეთი — მ. ს.), არამედ იმერეთიც ბევრი უსიამოვნო შედეგისაგან"[23].

შედარებით მცირე 300—500—700-კაციანი რაზმებით ლეკები მაინც დათარეშობდნენ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიდამოებში და მოსახლეობას შრომისა და მოსაელის აღების საშუალებას არ აძლევდნენ. რუსული რაზმები დაუღალავად მოძრაობდნენ ერთი საბიფათო ადგილიდან მეორისაკენ. 1785 წლის 16 ივლისს ლეკთა რაზმები კავთისხევს დასხმიან, მაგრამ იქეთკენ მიმავალი რუსული რაზმები რომ დაუნახავთ გაქცეულან[24]: „დღეს კავთისხევში ერთი ასეული გავგზავნე ქართული ზარბაზნებით პურის ამღებთა დასაცავად, რომლის მოსავალიც წელს საუცხოოა. — უპატაკებს ს. ბურნაშოვი პ. პოტიომკინს. — ხვალ მე მის უმაღლესობასთან ერთად, სოფელ ტაბახმელისკენ გავდივარ, თბილისიდან 8 ვერსის დაშორებით, საიდანაც შეიძლება მხვნელ-მთესველთა დაცვა მდინარე ალგეთზე..."[25] და ასე გამუდმებით. ყველაფრის ჩამოთვლა ძნელია. აქ მხოლოდ მცირე ნაწილია გადმოცემული იმ თავდადებული ბრძოლისა და გმირული გამარჯვებებისა, რომელსაც რუსული რაზმები, ქართველ მოლაშქრეებთან ერთად, მოცემულ პერიოდში საქართველოს გაავებული მტრების წინააღმდეგ აწარმოებდნენ.

წლების განმავლობაში დაძაბულმა ბრძოლებმა რუსული ბატალიონები დაღალა და დაასუსტა. პ. პოტიომკინი, როგორც აღინიშნა, ჯერ კიდევ 1784 წლის ზაფხულში დასვენებული რაზმებით მათ შეცვლას ითხოვდა. შეცვლა არ ჩანდა, არ ჩანდა არც არაერთხელ ნათხოვნი დამხმარე შენაერთები. დაღლილობა ქართველთა ლაშქარსაც დაეტყო; მათი გამუდმებული მოწყვეტა ყოველდღიური შრომისაგან ისევე, როგორც მტრის გაუთავებელი თავდასხმები, ქვეყნის ეკონომიკის შოშლას იწვევდა. ქართლ-კახეთის მდგომარეობა უაღრესად რთული იყო, ამ ვითარებაში კი საქართველოზე დიდი კომბინირებული გენერალური თავდასხმა მზადდებოდა, ერთი მხრივ, ავარ-ხანისა და აზერბაიჯანელი მფლობელებისა, მეორე მხრივ, ახალციხის საფაშოსი.

„მათი სამზადისი უკვე ორი წელია მიმდინარეობს — უპატაკებდა ხაზს ს. ბურნაშოვი 1785 წლის 7 ივლისს, და ყოველთვის იდებოდა, ამჟამად კი ყველა ცნობის მიხედვით ზუსტად სწორია: მათი დარტყმა როგორც ჩანს გარდუვალია"[26].

---

[23] ЦГВИА, Ф. 52, оп 1/194, д. 350/7, л. 22—23.

[24] იქვე.

[25] იქვე, საქმე 350/9, ფურც. 113.

[26] იქვე.

საჭირო იყო მთელი ძალების ორგანიზება ომარ-ხანის მოსალოდნელი შემოსევის დასახვედრად, მაგრამ ახალციხეშიც გაცხოველებული მზადება იყო, ჯარები საომარ მდგომარეობაში იდგნენ და ყოველ წუთს შეეძლოთ ქართლში შემოჭრილიყვნენ. ეს გარემოება რუს-ქართველთა ძალების გათიშვის აუცილებლობას იწვევდა: „საქართველოში მყოფი ეგერთა ორი ბატალიონიდან — ატყობინებდა პოლკოვნიკი ბურნაშოვი ხაზის უფროსობას — თუმცა ისინი შეერთებულნი უნდა იყვნენ, რადგანაც ახალციხის მხრიდან ზემო იმერიას საფრთხე ემუქრება, მისი უმაღლესობის — მეფის აუცილებელი სურვილით იძულებული ვარ ოთხი ასეული ერთი ქვემეხითა და ორი ქართული ზარბაზნით სურამში დავტოვო. ამავე დროს დანარჩენ 8 ასეულითა და სამი ქვემეხით... ღვთის დახმარებით დაღესტნის მხრისაკენ წავალ“[27].

მოახლოებული საშიშროების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო სწრაფი ზომების მიღება. ბურნაშოვი ხაზზე დამატებით ჯარს ან თუნდაც მცირე ცხენოსან რაზმს ითხოვდა. ერეკლე ინგუშებისა და ოსების დამხმარე ჯარის დაქირავებას ცდილობდა. ამასთანავე დახმარებისათვის მიმართავდა იმერეთის მეფეს — დავით გიორგის ძეს. იმერეთის არეულობის გამო, აქედან დახმარების იმედი ჩქარა გაქარწყლდა არც კავკასიის ხაზიდან ჩანდა დამხმარე ჯარი. ამავე დროს თბილისში ყოველ დღე ახალი ცნობები მოდიოდა მტრის საომარი მზადების შესახებ: რომ ომარ-ხანი მთიელებს რაზმავს და ბელაქანს უახლოვდება, რათა სულეიმან ფაშასთან ერთად დაესხას საქართველოს; რომ მას შეუერთდნენ ქართლ-კახეთში მცხოვრები მაჰმადიანი ხალხები (ყაზახი, ბორჩალო) და მტერს იმ დროს ბორჩალოში მყოფი გიორგი ბატონიშვილის დატყვევებაც კი დაპირდნენ და ა. შ.

ერეკლემ გიორგი ბატონიშვილი სასწრაფოდ თბილისში გამოიძახა. „ყველა ადგილებში დაგზავნა ბრძანებები, რათა ყველა სოფლებიდან ქალებისა და ბავშვებისათვის გამაგრებულ ადგილებში მოეყარათ თავი, ხოლო ვისაც იარაღის ტარება შეუძლია მზად ყოფილიყვნენ პირველსავე დაძახებისთანავე“[28]. მიღებულმა ზომებმა შედეგი არ გამოიღო. აგვისტო-სექტემბერში ომარ-ხანმა ქართლ-კახეთზე ილაშქრა და დიდი ზიანი მიაყენა. 18 აგვისტოს მიიღეს ცნობა, რომ ომარ-ხანი დიდი ლაშქრით ალაზნისაკენ წამოვიდა. მეფემ ლაშქრის შესაკრებად 4 ადგილი დანიშნა — თბილისი, გორი, თელავი და სიღნაღი. რუსის ჯარის ერთი

---

27 იქვე, საქმე 350/9, ფურც. 34—35.

28 იქვე.

ნაწილი თბილისში შეიყვანა, მეორე კი ტაბახმელასთან განალაგა, რათა ახალციხიდან თავდასხმის შემთხვევაში საქართველოს ცენტრისაკენ გზა გადაეჭრათ. შექმნილი ვითარებით მაშინვე ისარგებლეს ახალციხეში დაბუდებულმა ლეკთა რაზმებმა: „ახალციხელი ლეკები მთელს საქართველოში გაიფანტნენ სხვადასხვა გუნდებად და რადგან იშვიათი სიცხეების გამო, ახლა ყველა მდინარე დაშრა, მათ მეტად ხელსაყრელი პირობები შეექმნათ ძარცვისათვის და თითქმის არ არის დღე, სადმე საქონელი და ხალხი არ გაიტაცონ. ამასთან ისინი პურს უკიდებდნენ ცეცხლს რასაც ადრე არ აკეთებდნენ“[29]. 19 აგვისტოს მოვიდა ცნობა, რომ ლეკთა ლაშქარს 3000-ანი რაზმი გამოეყო, რათა კახეთის სოფლები დაერბია. მეფე კახეთის დასაცავად გაეშურა. 22-ში ქიზიყში მდგარმა პოლკოვნიკმა სამარინმა შემოთვალა, რომ მტრის მთავარი ძალა ალაზანს მოადგა და ურდოს ფონთან განლაგდა. 23 აგვისტოს მან ალაზანზე გადმოსვლა დაიწყო. 28-ში ერეკლემ კახეთიდან ბრძანება შემოთვალა, რომ რუსული რაზმები და ქართული ლაშქარი ქიზიყში ჩასულიყო. იმავე დროს ცნობა მიიღეს, რომ ომარ-ხანს ახალციხეში შეუთვლია, შეტევისათვის მზად ვარ და ან მანდ მყოფი ლეკთა რაზმები სასწრაფოდ ჩემთან გამოგზავნეთ, ან ერთდროულად დავიწყოთ შეტევაო. სულეიმან ფაშამ ლეკთა რაზმები არ გაგზავნა და შეტევისთვის მოუყარა ლაშქარს თავი. ქართლ-კახეთზე, ორმხრივი დარტყმის საშიშროება გაძლიერდა. 3 სექტემბერს რუსული ბატალიონები ქიზიყში ჩავიდნენ. ომარ-ხანი 20,000-იანი ლაშქრით კვლავ ურდოს ფონთან იდგა და, როგორც ჩანს, ახალციხიდან ერთობლივი მოქმედების შესახებ ცნობას უცდიდა. მეფე ლაშქრით კახეთში იდგა, რადგან მტრის ამ მიმართულებით შემოტევას ელოდა. ამავე დროს, დამხმარე ძალების მოლოდინში დროის მოგების მიზნით მას ომარ-ხანთან დაზავებაზე მოლაპარაკება გაუმართავს. 10 სექტემბერს საბოლოოდ გამოირკვა, რომ მოლაპარაკება ჩაიშალა, დაზავება არ შედგა[30].

13 სექტემბერს რუსული ჯარები ბურნაშოვის მეთაურობით და ერეკლე ქართველ ცხენოსანთა მცირე რაზმით სიღნაღში შეიყარნენ. საფიქრებელია, რომ სწორედ აქ მოხდა დიდი ბჭობა მტრის წინააღმდეგ შემდგომი მოქმედების გეგმის შესამუშავებლად. რუსი ოფიცრები, პოლკოვნიკ ბურნაშოვის მეთაურობით, მტერთან დაუყოვნებლივ პირისპირ შებმას მოითხოვდნენ. როგორც ჩანს, ამავე აზრზე იდგა ქართ-

---

29 იქვე, საქმე 350/9, ფურც. 17.

30 იქვე, ფურც. 106—107.

ველ სარდალთა მნიშვნელოვანი ნაწილიც. ერეკლემ ამგვარი გაბედული ნაბიჯი სახიფათოდ მიიჩნია. „ჩემმა, როგორც რუსის ჯარის უფროსის, ვერავითარმა დარწმუნებამ ვერ წააქეზა მეფე მოსულიყო ქიზიყში და მტრისათვის მდინარე ალაზნის ფონთან შეეტია, რადგან მას მარცხისა და საბოლოო განადგურების ეშინია"[31] — გვარწმუნებს რუსი პოლკოვნიკი.

„ხოლო წელსა 1785 ხუნძახის ერისთავმა ომარ ძემან მუცალისამან მოიკრიბნა დაღისტნისა ბნედრობა ვიდრე ოკი ათასამდე, წარმოემართა საქართველოსა ზედა, ჩამოსული მთით დადგა ალაზნისა კიდესა. მეფემან ირაკლიმ შეიკრიბნა მხედრობანი თვისნი და ეგრეთვე რუსთა მხედრობითა, რომელიცა ჰყვანდა დროსა მას მეფესა ირაკლის ორი ბატალიონი იეგრისა წინამძღომითა პოლკოვნიკის სტეფან დანილიჩის ბურნაშოვისათა, მოვიდა და დასდგა ქიზიყსა. ომარ-ხან ალაზანს გამოვიდა. მეფესა მისი შებძა ენება. ყორჩიბაშიშვილმა ივანე ნაზირმან მეფე არ შეაპა მას ჟამსა. ეს იყო მეფისა დიდად მისანდო"[32], გვაცნობებს ბაგრატ ბატონიშვილი.

როგორც ვხედავთ, ორი ავტორიდან ერთი ერეკლე მეფეს გაუბედაობაში ადანაშაულებს, მეორე კი — სხვისი სიტყვის აყოლაში. არც ერთი და არც მეორე არ უნდა იყოს მართალი. 65 წლის მრავალჭირნახულ მეფეს გამოცდილება და წინდახედულება საქართველოს საქმეებში ჩაუბედავ რუს პოლკოვნიკზეც მეტი ჰქონდა და ახალგაზრდა ბატონიშვილებზეც. პოლკოვნიკი ბურნაშოვი ორი რუსული ბატალიონის ბედზე აგებდა პასუხს, ერეკლეს გადაწყვეტილებაზე კი მთელი ქართლ-კახეთის და შეიძლება მთელი საქართველოს ბედი იყო დამოკიდებული. ეს დიდი პასუხისმგებლობა მხცოვანი მეფისაგან დიდ წინდახედულებას მოითხოვდა.

ერეკლეს მდგომარეობა რთული იყო. როგორც ითქვა, ომარხანთან ერთდროულად ახალციხიდან ქართლზე გამოლაშქრება იყო დაგეგმილი. სულეიმან ფაშას ეს განზრახვა კიდევ ერთხელ და საბოლოოდ იმით დაბრკოლდა, რომ მან მოთხოვნილებისამებრ მოკავშირეს თავისთან მყოფი ლეკთა რაზმები არ გამოუგზავნა; მაშასადამე, იგი მათ ქართლზე თავდასხმისათვის ინახავდა. ასეთ ვითარებაში ქართლის დაუცველობა დამღუპველი იქნებოდა და ს. ბურნაშოვის სამართლიანი შენიშვნით, „მეფე შიშობდა რა ერთდროულად ახალციხის მხრიდან თავდასხმას, ვერ

---

31 С. Бурнашов. Картина Грузии... Курск, 1793, с. 29.

32 ბაგრატ ბატონიშვილი. ახალი მოთხრობა, გვ. 59.

გაბედა ქართლიდან ლაშქრის შეკრება"[33] და თუ სულეიმან ფაშამ საბოლოოდ მაინც არ მოაწყო გენერალური თავდასხმა ქართლზე ამის ერთერთი მიზეზი, ცხადია, აღნიშნული ზომის მიღებაც იყო.

როგორც ითქვა, ოსმალეთის და ახალციხის ფაშის ხრიკებისა და შეგონების გამო მეფეს განუდგნენ მისი მაჰმადიანი ქვეშევრდომები ყახახი, შამშადილუ, ბორჩალუ, რის გამოც აქედან დამხმარე ჯარის მიღება შეუძლებელი შეიქნა. ნავარაუდევი დამხმარე ლაშქარი ვერ მოვიდა იმერეთიდან. როგორც შემდგომ გამოირკვა, იმერთა ლაშქარი მზად იყო ქართლ-კახეთში წამოსასვლელად, მაგრამ მეფესა და ფეოდალებს შორის ატეხილმა ახალმა არეულობამ ეს საქმე ჩაშალა. დამხმარე ჯარი ვერ მოვიდა ვერც ოსეთ-ინგუშეთიდან, სადაც მეფემ ლაშქრის დასაქირავებლად აგენტები გაგზავნა. კავკასიის ხაზიდან რუსთა დამატებითი რაზმების მიღების იმედიც გაქრა. ერეკლემ იქედან ნათხოვნი 200 ფუთი დენთიც ვერ მიიღო სრულად, ხოლო თვით ამგვარი თხოვნის ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ქართველები ტყვია-წამლის ნაკლებობასაც განიცდიდნენ.

ამრიგად, მეფე მხოლოდ კახეთში შეკრებილი ლაშქრის იმედზეღა რჩებოდა; მაგრამ კახეთი ხომ უშუალო დარტყმის საშიშროების ქვეშ იდგა. არავინ იცოდა, რა მანევრს მიმართავდა მტერი და სად შეუტევდა მოულოდნელად. ამდენად, მებრძოლთა სრული მობილიზება კახეთშიც შეუძლებელი შეიქნა. საბოლოოდ ქიზიყში მისული ქართული ლაშქარი ერეკლეს განცხადებით 6000 მებრძოლს ითვლიდა. მაგრამ ეტყობა ეს ცნობა ქართველებმა მტრის დასაშინებლად და მოკეთეთა გულის გასამაგრებლად გაავრცელეს, რადგან ბურნაშოვის რწმენებით ეს რიცხვი აშკარად გადაჭარბებული იყო. ამიტომ, ქართლ-კახეთის მეფეს მტრის 20000-ანი ლაშქრის წინააღმდეგ დაახლოებით 1500 რუსი ჯარისკაცის და 5000-მდე ქართველი მებრძოლის იმედი შეიძლება ჰქონოდა[34]. მაგრამ ქართული ლაშქრის რაოდენობა მტკიცე არ იყო. იგი პერიოდულად კლებულობდა და მატულობდა. ამრიგად, მტერი დამცველს სულ ცოტა 3-ჯერ ჭარბობდა რიცხობრივად, მართალია, რესული რეგულარული რაზმების ბრძოლისუნარიანობა მაღალი იყო. მაგრამ, როგორც ითქვა, ხანგრძლივი, დაუსვენებელი ომების გამო რუსული შენაერთები დაღლილი და დასუსტებული იყვნენ, ხოლო ტყვია-

---

33 ს. ბურნაშოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

34 გ. ციციშვილის ვარაუდით, ქართველი ლაშქარი 3—5 ათასს შორის მერყეობდა. დასახ. ნაშრომი, გვ. 124.

წამლის ნაკლებობამ არტილერიის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეამცირა. ყოველივე ამის გამო, პირისპირ შეტაკებაში გამარჯვება გარანტირებული არ იყო, მარცხს კი შეეძლო დიდი მატერიალური და განსაკუთრებით მორალური ზარალი გამოეწვია. ამგვარი მარცხი შეიძლება დამღუპველი გამხდარიყო. მეფეს უფლება არ ჰქონდა რისკი გაეწია.

17 სექტემბერს მტერმა ალაზანი გადმოლახა, მაგრამ რუს-ქართველთა ლაშქარზე თავდასხმა ვერ გაბედა და ისეთი გეზი აიღო თითქოს თბილისზე აპირებდა შემოტევას; ამ დროს მეფის ლაშქარი 3000 კაცით ითვლიდა, ამიტომ იგი ბატალიონებთან ერთად თბილისისაკენ გამოეშურა რათა მტერი ავლაბარს არ დასხმოდა თავს. ომარ-ხანი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა და სოფელ მარნეულის ქვევით ალგეთი გადალახა. რაკი მტრის მოძრაობის მიმართულება გაირკვა, რუს-ქართველთა ჯარიც აქეთ გამოემართა და 20 სექტემბერს მარნეულში იყო. მტერმა კი ააოხრა ბორჩალოს სოფლები, წაიყვანა მძევლები და დებედას ხეობით ვერცხლის მადნებისაკენ აიღო გეზი. 21 სექტემბერს ერეკლეც ბორჩალოში მოვიდა, მაგრამ მტერმა გაასწრო და ხეობას შეაფარა თავი. ხეობაში არტილერიითა და აღალით მოძრაობა შეუძლებელი იყო. მოკავშირეთა შეფერხებამ ომარ-ხანს საშუალება მისცა აეფეთქებინა ახტალის დიდებული ციხე, გაეძარცვა და გაენადგურებინა ვერცხლისა და ოქროს ქარხნები, დაენგრია ეკლესია, დაეხოცა 640 სული ქალი და კაცი, ვინც კი წინააღმდეგობა გაუწია, 860 სულამდე ტყვედ წაესხა. ამის შემდეგ გაანადგურა ლორეს მახლობელი სოფლები, გადაწვა პური და თივა, ააოხრა ყველაფერი, რაზდაც კი ხელი მიუწვდა.

3 ოქტომბერს ლეკთა ლაშქარი თაფარავნის ტბასთან იყო, აქედან კი ახალქალაქისაკენ აიღო გეზი. ერეკლეს ცნობა მოუვიდა, რომ ახალციხის საფაშოში შესულმა მტერმა აქ ზარბაზნები მიიღო, ლაშქარი გააძლიერა და აქედან თბილისზე აპირებდა თავდასხმას, ამის გამო მეფემ ბანაკი თბილისთან გაშალა[35].

ოქტომბრის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ ომარ-ხანი იმერეთზე აპირებდა გალაშქრებას; რუს-ქართველთა ჯარი იმერეთის დასახმარებლად მოემზადა და სურამში მოვიდა. აქვე გამოცხადდა დავით მეფეც იმერთა 12-ათასიანი ლაშქრით. ომარ-ხანმა ქართველთა დიდი ძალების შიშით სასწრაფოდ მიატოვა ვახანის ციხე, რომლის აღებაც მან ცბი-

[35] П. Бутков. Материалы... ч. II, с. 180—184.

ერებით მოახერხა, ახალციხისაკენ გაიქცა და ახალქალაქსა და მის ახლო-მახლო სოფლებში განლაგდა. აქ მან სულთნის კარისა და ახალციხის ფაშისაგან საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის გასამრჯელოდ 100 ქისა ოქრო, ხოლო ჯარის გამოსაზამთრებლად სურსათ-სანოვაგე მიიღო და შემდგომი მოქმედების შესახებ თურქეთიდან ბრძანების მოლოდინში დაბანაკდა[36].

ომარ-ხანის თავდასხმის საფრთხე კვლავ გრძელდებოდა და მას ყოველდღე მოელოდნენ. ამავე დროს არავინ იცოდა საით აიღებდა გეზს: მტკვრის მარჯვენა სანაპიროთი ყაზახ-ბორჩალოსა და თბილისისაკენ წამოვიდოდა, თუ ზემო ქართლის აოხრებას გააგრძელებდა. ამიტომ ერეკლეს გადაუწყვეტია რუსული ჯარის ნაწილი სურამში დაეტოვებია, ნაწილი კი თბილისში შემოიყვანა.

ზამთრის განმავლობაში შენელებული ლეკთა შემოსევები 1786 წლის გაზაფხულის დადგომისთანავე ახალი ძალით განახლდა.

ერეკლე 1785—1786 წწ. ზამთრის განმავლობაში ომარ-ხანთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ ამ მოლაპარაკებას სასიკეთო პირი არ უჩანდა. ერთ წერილში ომან-ხანს ისიც კი გაუმეღავნებია, ვიდრე რუსის ჯარი მანდ იმყოფება მე პორტასაგან უფლება არა მაქვს საქართველო მოვასევნოო[37].

ასეთი მძიმე პირობები შეიქმნა საქართველოში 1785—86 წლებში: ქვეყანა დასუსტდა, ხაზინა დაიცალა: ვერცხლის ქარხნების განადგურება და განსაკუთრებით იქ მომუშავე სპეციალისტი ბერძნების დახოცვა-დატყვევება აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო. ხალხი სასოწარკვეთას მიეცა, ერეკლეს შინაურები და მოხელეები მისი პოლიტიკისადმი უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ. კრიზისულ ვითარებაში მოხუცმა მეფემ საქართველოს გაერთიანების თავისი მაგისტრალური გეგმიდან უკვე მეორე დიდი უკანდახევა გადაწყვიტა.

1786 წლის გაზაფხულის ერთ დღეს, ქართლ-კახეთის მეფეს ბურნაშოვისათვის ოფიციალურად განუცხადებია: „რომ შეიძლებოდეს სულეიმან-ფაშა ჩვენს მხარეს გადმოვიბიროთ, იგი სიამოვნებით დათმობდა თავის მოთხოვნებს სამცხე საათაბაგოს სამთავროზე, იმ იმედით, რომ სამაგიეროდ რუსეთის უმაღლესი კარის განსაკუთრებულ კეთილგანწყობილებას მიიღებს და ამაში იგი როგორც თავისი, ისე მისი

---

[36] П. Бутков, Материалы..., ч. II, с. 180—184.

[37] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 250/11, л. 217.

მემკვიდრეების სახელით ფიცით დაარწმუნებს სულეიმან-ფაშას"[38], ეს არსებითი ხასიათის უკანდახევა იყო. ეს ნაბიჯი ერეკლეს ბემთხვევით არ გადაუდგამს.

რუსეთ-თურქეთის ახალი ომის მოახლოვებასთან ერთად ახალციხის ფაშამ თავისი მფლობელობის დასასრულის მოახლოებაც იგრძნო. ამიტომ არსებითად დამოუკიდებელი მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით სულეიმან ჯაყელი ახლაც აგრძელებდა იმ სეპარატისტულ პოლიტიკას, რომელიც მას ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის გასული ომის პერიოდში შეუმუშავებია: „მე რომ დარწმუნებული ვიყო ჩემი სამფლობელოს სიმტკიცეში რუსეთის მფარველობის ქვეშ, უეჭველად დავიხურავდი ჩემი წინაპრების ჩუდს"[39], რაც იმას ნიშნავდა, რომ თუ რუსეთი სულეიმან ჯაყელს სამცხე-საათაბაგოს და მის მფლობელობაში მყოფი ტერიტორიების ავტონომიური მართვის უფლების შენარჩუნების გარანტიას მისცემდა, იგი მზად იყო მაჰმადიანობა უარეყო და ქრისტიანობა მიეღო.

მოსალოდნელმა ომმა ქართლ-კახეთისადმი ოტომანთა პორტას დამოკიდებულებაშიც შეიტანა კორექტივი. ჩანს, სტამბოლში ჩათვალეს, რომ ამდენი უბედურების შემდეგ ტრაქტატის გაფორმებიდან საქართველოს რომ დაატყდა თავს, ერეკლეს უკვე ჰკუა უნდა ესწავლა. 1786 წლის აპრილში საქართველოში მოვიდა ცნობა, რომ ომარ-ხანი და სულეიმან-ფაშა ერთობლივი თავდასხმისათვის ემზადებიან, მაგრამ ეს ცნობა არ გამართლდა. მალე ომარ-ხანმა ახალციხის საფაშო დატოვა, ხოლო სულეიმან ჯაყელმა 16 მაისს პორტას დავალებით ერეკლეს შიკრიკი გამოუგზავნა და შემდეგი წინადადებები შეამოუთვალა: 1. თუ ერეკლეს არ შეუძლია უკან გაბრუნოს რუსთა რაზმები, მეტი არ მოითხოვოს, 2. ეკატერინე II-ს მიერ ტრაქტატის გაფორმების შედეგად საჩუქრად ბოძებული არტილერია საქართველოში არ შემოიტანოს, 3. რუსის ჯარი საზღვართან არ მიიყვანოს და გარეშე მტრის წინააღმდეგ მხოლოდ ქართული ლაშქრით იომოქმედოს. სამაგიეროდ, ახალციხის ფაშა კისრულობდა: 1. არ იყოლიებდა ახალციხეში არც ერთ ლეკს; 2. თურქეთის ჯარი ქართლ-კახეთის მეფეს დაუმტკიცებდა განჯისა და ერევნის სახანოების მფლობელობას. 3. შეაკავებდა ლეკთა საქართველოზე თავდასხმებს, 4. ხოლო თუ მეფე მთლიანად უარს იტყოდა რუსეთთან კავშირზე, პორტა დიდ საჩუქრებსა და სამფლობელოდ ბევრი

---

[38] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 363/2, л. 6.

[39] იქვე, ფურც. 27.

მეზობელი მიწების მიცემას პირდებოდა. უკანასკნელ პუნქტში დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებია ნაგულისხმევი. სხვა მიწების გადაცემა პორტას ერეკლესთვის არ შეეძლო, მაგრამ არც ერეკლეს შეეძლო მიეღო ამგვარი შემოთავაზება ოსმალეთისაგან, რადგან რუსეთთან საუკუნო ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული. ერეკლე საქართველოს გაერთიანებასთან ერთად მისი პროგრესული განვითარების გზაზე გამოყვანისათვის, ევროპეიზაციისათვის იბრძოდა. ამდენად მას ტრაქტატისაგან არსებითი გადახვევის არც სურვილი და არც უფლება ჰქონდა. ამიტომ ქართლ-კახეთის მეფე რთულ მდგომარეობაში ჩაეყარდა. შექმნილი ვითარება ფაშასთან მოლაპარაკების გამართვის აუცილებლობას კარნახობდა, მაგრამ ტრაქტატის ძალით ეს მას არ შეეძლო. ამიტომ გამოსავალი იმაში ნახა, რომ უბრალო შიკრიკი საგანგებო პატივით მიეღო, რითაც სულთნის კარს პატივისცემა დაუდასტურა. ამავე დროს წინადადებებზე უარყოფითი პასუხი დაებარა: მე რუსეთის ქვეშევრდომი ვარ, რუსეთსა და თურქეთს შორის კი საუკუნო ზავია, ამიტომ პორტას შეუძლია პირდაპირ საიმპერატორო კარს მიმართოს მე კი ხელშეკრულების გაფორმების უფლება არა მაქვს[40].

თავის მხრივ, სულეიმან-ფაშას ერეკლესათვის, რუსეთ-თურქეთის მომავალი ომის მოლოდინში თავიანთი სამფლობელოების ხელშეუხებლობის ურთიერთგარანტიის ხელშეკრულების დადება შეუთავაზებია; ერეკლე ამაზე დათანხმებულა და ფაშასთვის შეუთვლია: ჩქარა გიორგი ბატონიშვილი ახალციხის საზღვარზე, ლორის ციხეში იქნება და იქ შეიძლება მოლაპარაკების დაწყებაო[41].

სულეიმან-ფაშასა და ერეკლეს შორის მოლაპარაკება ჯერ დაწყებული არ იყო, რომ სტამბოლიდან ელჩები მოვიდნენ, რომლებიც ცდილობდნენ ქართლ-კახეთის მეფე კავშირზე დაეყოლიებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ომით იმუქრებოდნენ. მათი ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანა იყო.

საქართველოში რუსეთის საიმპერატორო კარის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ს. დ. ბურნაშოვიც რთულ მდგომარეობაში ჩავარდა. მას, როგორც რუსეთის მთავრობის წარმომადგენელს, ტრაქტატით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულება ეკისრებოდა, იმ მცირე რაზმით კი, რომელიც მის განკარგულებაში იყო, ამას ვერ ახერხებდა. ერეკლეს საგარეო ურთიერთობები ტრაქტატის ძალით მასთან უნდა

---

[40] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 366/2, л. 6.

[41] იქვე, საქმე 366/3, ფურ. 5.

შეთანხმებია, აქ იგი გამოსავალს ვერ პოულობდა, რადგან პორტასთან კონტაქტის გარეშე ქართლ-კახეთის გადარჩენა საეჭვო იყო, ამგვარი კონტაქტების სანქციის მიცემის უფლება კი მას არ ჰქონდა: „აუცილებლად საჭიროა აღმოუჩინოთ ამ ქვეყანას გაძლიერება და ამით იმედი გაუღვივიოთ ქართველ ხალხს რომელიც სასოწარკვეთაშიაო“[42]. აცნობებდა იგი საქართველოდან პეტერბურგს.

თურქეთი ერეკლესაგან შეთანხმების თაობაზე პასუხის მოლოდინში საბაზრო ოლქებში გაცხოველებულ სამხედრო სამზადისს აწარმოებდა. 17 აგვისტოს საქართველოში მიიღეს ცნობა, რომ არზრუმსა და ახალციხეში დიდძალი ჯარი და საჭურველი იყრის თავს, რომ ახალციხის ფაშამ ომარ-ხანი გამოიძახა ლაშქრით და იგი მზად იყო წამოსასვლელად, მაგრამ სასაზღვრო ხაზიდან დაღესტნის მიმართულებით რუსეთის ჯარის მოძრაობამ შეაჩერა.

29 აგვისტოს გიორგი ბატონიშვილი ლორედან დაბრუნდა და თან ყარსისა და ახალციხის ფაშების ელჩები ჩამოიყვანა. რაკი ერეკლეს ტრაქტატის ძალით რუსეთის უნებართვოდ მოლაპარაკების დაწყება არ შეეძლო, სასწრაფოდ გრ. პოტიომკინთან გააგზავნეს ცნობა. ამ უკანასკნელმა ჩათვალა, რომ შექმნილ რთულ ვითარებაში, როცა რუსეთს ქართლ-კახეთის დასახმარებლად ძალები არ ჰყოფნიდა, ფაშასთან მოლაპარაკება ერთად-ერთი გამოსავალი იყო. ამის თაობაზე თავადი პოტიომკინი იმპერატრიცას მოახსენებდა, რომ მისი დასტურით, დროის მოგების მიზნით, ერეკლე ახალციხის ფაშას შეურიგდაო[43].

ოქტომბრისათვის სულეიმან ფაშასა და ერეკლეს შორის მოლაპარაკება დამთავრდა. სეპარატული შეთანხმება ორივე მხარის უსაფრთხოებას ითვალისწინებდა.

1786 წლის 5 დეკემბერს საქართველოში მიიღეს ცნობა იმის შესახებ, რომ უმაღლესმა ვეზირმა სულეიმან-ფაშას ნება დართო საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების საქმეში თავისი შეხედულებით ემოქმედა.

ამავე ხანებში რუსეთის დიპლომატიამ სულთნის კარზე საქართველოს დაცვის საკითხი დააყენა[44]. ს. დ. ბურნაშოვი მიიჩნევს, რომ ომარ-ხანის მიერ ახალციხის დატოვება სწორედ ამ მოლაპარაკების შედეგად მოხდა. სამწუხაროდ, აღნიშნული მოლაპარაკების შესახებ ჯერჯერო-

---

[42] იქვე, საქმე 366/14, ფურც. 47.

[43] ო. მარკოვა. დასახ. ნაშრომი გვ. 228.

[44] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 416/г., л. 21.

ბით ცნობები არ ჩანს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მასში, რაღაც ფორმით, საქართველოში რუსის ჯარის ყოფნაზეც უნდა ყოფილიყო საუბარი. არაა გამორიცხული, რომ თურქეთის დიპლომატიამ საკითხი ასე დააყენა: ჩვენ იმ შემთხვევაში გავიყვანთ ახალციხიდან ლეკთა რაზმებს, თუ რუსეთი საქართველოში თავის ჯარს არ გაზრდისო (მოსალოდნელია, რომ საკითხი დასმულიყო საქართველოდან რუსის ჯარის საერთოდ გაყვანის შესახებაც). ასეა თუ ისე, იმ ხანებში ერეკლესთან მოვიდა სულეიმან-ფაშას მიერ გამოგზავნილი თავადი აბაშიძე, რომელიც „მეფეს დაბეჯითებით არწმუნებდა, ფაშამ საიდუმლოდ გამიმხილა, რომ სულ მალე რუსები საქართველოდან თავის ჯარს გაიყვანენო“[45].

1786 წლის ნოემბერ-დეკემბრიდან მოკიდებული ახალციხის საფაშო სულეიმან ჯაყელის მეთაურობით შემთხვევას არ უშვებდა, რომ ერეკლესადმი თავისი კეთილი განწყობილება დაედასტურებინა. ამავე დროს ხელშეკრულების დაურღვევლობის გარანტიად მძევლების გაცვლას დაბეჯითებით ითხოვდა.

ახალციხის საფაშოსთან მძევლების გაცვლის საკითხმა რუსეთის დიპლომატია საგონებელში ჩააგდო. მას, როგორც ჩანს, თავისი პრესტიჟისათვის საჩოთიროდ მიაჩნდა მის მფარველობაში მყოფი ქვეყნის ამგვარი დამოკიდებულება მტრულად განწყობილი მეზობლისადმი, ამიტომ პოლკოვნიკი ს. დ. ბურნაშოვი თავგამოდებით ცდილობდა ერეკლე ამგვარი ნაბიჯის გადადგმისაგან შეეკავებია. „მე არაერთხელ მჭონდა პატივი მომეხსენებია მისი უმაღლესობისათვის, რომ მძევლების მიცემა უკადრისიც. რომ არ იყოს, არავითარ სარგებლობას არ გამოიწვევს, გარდა ნათლად განჭვრეტილი ზიანისა; ვრცლად ვუხსნიდი რა ახალციხის ფაშის მავნე განზრახვებს და ვერაგულ ჩანაფიქრებს და, რომ არ არის ჯერ იმისი უკიდურესობა, რომ მტრის თავდასხმამდე კაპიტულაცია მოახდინოს“. — სწერდა იგი გენერალ პ. პოტიომკინს. ბურნაშოვის სიტყვებით: „... ქართველების მთავარი დამამტკიცებელი საბუთი, რაზედაც ისინი ამყარებენ მძევლების მიცემის აუცილებლობას, იმაში მდგომარეობს, რომ ახალციხე მძარცველების ისეთი ბუდეა, რომლის აოხრებას და ფაშაზე შურისძიებას მათი ახლანდელი მდგომარეობა უკრძალავს, ხოლო თავისი სოფლების დაცვა ავაზაკი მეზობ-

[45] ЦГВИА, ф. 52, оп 1/194. д. 416/г., л. 21.

ლებისაგან მუდმივი ჯარის უყოლობის გამო არ შეუძლიათ. მძევლების მიცემით კი ისინი იმედოვნებენ თავიდან აიცილონ განადგურება"[46].

საბოლოოდ, მძევლების საკითხი ერეკლემ დიპლომატიურად მოაგვარა. მან ახალციხეში ორი თავადი გაგზავნა, თუმცა არა ისეთი გამოჩენილი გვარებისა, როგორსაც თურქები მოითხოვდნენ. ამავე დროს მათ მძევლები კი არ უწოდა, არამედ კომისრები, რომელთაც სასაზღვრო მოსახლეობის ურთიერთდავა და უკმაყოფილობები უნდა გაერჩიათ და მოეგვარებინათ[47].

ამგვარად, ქართლ-კახეთის მეფემ ქვეყნის სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოება მიაღწია. ახლა მას შეეძლო ყურადღება სხვა მხარეს გადაეტანა. პირველ რიგში მას განმდგარი ქვეშევრდომები უნდა მოეყვანა მორჩილებაში და ამიერკავკასიაში თავისი ჩვეული გავლენა და პოზიცია განემტკიცებინა. ამ საკითხების გადაჭრა ახლა ისეთ სირთულეს აღარ წარმოადგენდა, რადგან ახალციხის ფაშამ არათუ თვითონ შეწყვიტა საქართველოს წინააღმდეგ მოქმედება, არამედ ამგვარი საქციელი ამიერკავკასიის მასზე დამოკიდებულ მფლობელებსაც აუკრძალა[48].

ერეკლესათვის პირველი რიგის ამოცანა განჯის სახანოს ძველებურად დამორჩილება იყო. ამიტომ მან ქართული ლაშქრით და რუსული რაზმებით აქეთკენ გალაშქრება გადაწყვიტა. მაგრამ აღნიშნული ლაშქრობა დაწყებულმა რუსეთ-თურქეთის (1787—1789 წწ.) ომმა ჩაშალა.

ორივე მეომარი ქვეყნისათვის ამიერკავკასიაში ბრძოლის ასპარეზის გაწლა არასასურველი იყო. რუსეთისათვის იმიტომ, რომ აქ დიდი ძალებისათვის უნდა მოეყარა თავი. ამგვარი ძალები კავკასიის ხაზზე მას არ გააჩნდა და ცენტრიდან შევსება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. თურქეთისათვის კი იმიტომ, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში ახალციხის საფაშოს დაკარგვის საშიშროება ემუქრებოდა, რაც მთელ რეგიონში მისი გავლენის მოსპობას გამოიწვევდა. ამიტომ იყო, რომ ტრაქტატის გაფორმებიდან მოკიდებული სულთნის კარი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა რათა საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანისათვის მიეღწია. რაკი ცარიზმის დიპლომატიამ გადაწყვიტა, საქართველოში ბრძოლის ასპარეზი არ გაეშალა, ამ ორი გადაღლილი და დაქანცული რუსული ბატალიონის ადგილზე დატოვე-

[46] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 416/г., л. 56.

[47] იქვე, ფურც. 352.

[48] იქვე, საქმე 416/გ, ფურც. 26—27.

ბას აზრი ეკარგებოდა, რადგან მტერს შესაძლებელია იგი საქართველოზე თავდასხმის საბაბად გამოეყენებინა; ამის გამო მიღებულ იქნა დადგენილება ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსული რაზმების გაყვანის შესახებ.

1787 წლის შემოდგომაზე რუსულმა ბატალიონებმა პოლკოვნიკ ს. დ. ბურნაშოვის მეთაურობით საქართველოს საზღვრები დატოვეს, რითაც არა მარტო ქართველი მეფისა და დიდებულების, არამედ ქართლ-კახეთის მთელი მოსახლეობის გულის წუხილი გამოიწვიეს. ქართველებმა თითქმის ოთხწლიანი ერთობლივი ცხოვრებისა და საერთო მტრის წინააღმდეგ თავდაუზოგავი ბრძოლის განმავლობაში კარგად გაიცნეს და დააფასეს რუსი ადამიანების თავდადება და სიმამაცე, ის შემართება, რომლითაც ისინი ქართველების ისტორიულ მტრებს ებრძოდნენ, გმირობისა და მამაცობის საოცრებებს ახდენდნენ და ძმად შეფიცულ ქართველ ხალხს მეგობრობასა და ერთგულებას ქართულ მიწაზე დაღვრილი სისხლით უდასტურებდნენ.

რაკი ამიერკავკასიაში თურქეთის წინააღმდეგ ომის წარმოების საკითხი მოიხსნა, ამით ახალციხის საფაშოს შემოერთების საკითხიც ობიექტურად მოხსნილი იყო. ამ ფაქტში ისტორიკოსებმა 1783 წლის ტრაქტატიდან გადახვევა დაინახეს, რადგან მისი ერთ-ერთი მუხლი, როგორც აღნიშნული იყო, თურქეთთან ომის შემთხვევაში ამ ძველისძველი ქართული მხარის დედაბაშმობლოსთან შეერთებას გულისხმობდა. ეს მოსაზრება გარკვეული აზრით მართალია. მაგრამ ამაში რუსეთის საიმპერატორო კარის დადანაშაულება მთლად სწორი არ უნდა იყოს, რადგან, როგორც დავინახეთ, ქართლ-კახეთის მეფემ ჯერ კიდევ 1786 წლის გაზაფხულზე თვითონ უარყო თავისი პრეტენზიები ამ რეგიონზე, ხოლო ახალციხის საფაშოსთან ხელშეკრულების დადებით ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა. სხვა საკითხია, თუ რამ აიძულა იგი ამგვარი ნაბიჯი გადაედგა. შეიძლება გვეფიქრა, რომ ერეკლეს მხრივ ეს მხოლოდ დროებითი უკან დახევა, ტაქტიკური სვლა იყო და შესაფერის პოლიტიკურ სიტუაციაში იგი თავის მოთხოვნებს კვლავ წამოაყენებდა, მაგრამ ამგვარი ხელსაყრელი ვითარება მას აღარ შეექმნა. ერეკლე II-ის მოღვაწეობის შემდგომი პერიოდი და ის მოვლენები რასაც საქართველოში XVIII საუკუნის 90-იან წლებში ჰქონდა ადგილი, გვარწმუნებს, რომ ქართლ-კახეთის მრავალ ჭირგადატანილმა მეფემ საბოლოოდ დაინახა, რომ საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანებას იგი ვეღარ შეძლებდა და იძულებული გახდა თავისი დიდი გეგმის განხორციელება გადასაწყვეტად შთამომავლობისათვის დაეტოვებინა.

12. საქართველოს გაერთიანების საკითხი XVIII საუკუნის 90-ან წლებში

წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად დასაბუთებული იყო, რომ თითქმის მთელი მეთვრამეტე საუკუნის მანძილზე პროგრესულ ქართველ მოღვაწეთა საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად კურსს საქართველოს გაერთიანების ინტერესებიც განაპირობებდა. ამ ინტერესებმაც უბიძგეს ერეკლე II-ეს გადაედგა ის დიდი ისტორიული ნაბიჯი, რომელმაც საბოლოოდ მთელი საქართველოს მომავალი პროგრესული განვითარების ბედი გადაწყვიტა. ამ მტკიცების ფონზე ერთგვარად პარადოქსულად გამოიყურება ფაქტი, რომელსაც 1790 წელს ჰქონდა ადგილი. ამ წელს ქართლ-კახეთის მეფეს იმერეთის სამეფოს დიდებულთა დელეგაცია ეწვია და აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება შესთავაზა. ერეკლეს დარბაზის სხდომა მოუწვევია და იმერელ დიდებულთა წინადადება განსახილველად დაუყენებია. ორ დღეს გრძელდებოდა ცხარე კამათი და მსჯელობა ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის გარშემო. დარბაზის წევრთა დიდი ნაწილი გაერთიანების მომხრე იყო, ნაწილი წინააღმდეგი. ერეკლემ ყველას გულდასმით მოუსმინა, დიდხანს იფიქრა და ბოლოს, დარბაზის წევრებსა და იმერელ დელეგატებს თავისი უარყოფითი გადაწყვეტილება აუწყა. იმერეთის სამეფოს შემოერთება მან შეუძლებლად მიიჩნია. ისტორიოგრაფიაში ქართლ-კახეთის მეფის ამგვარი გადაწყვეტილება დიდ შეცდომადაა ჩათვლილი. იმის გასარკვევად, თუ რამ განაპირობა ერეკლეს უარყოფითი გადაწყვეტილება, საჭირო იქნება იმ მოვლენებისათვის თვალის გადევნება, რომლებიც განსახილველ ფაქტს წინ უსწრებდნენ.

სოლომონ I-ის გარდაცვალებიდან მეორე დღეს, 1784 წლის 30 აპრილს დიდებულებმა იმერეთის ტახტზე გარდაცვლილი მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე აიყვანეს. როგორც აღინიშნა ერეკლესა და სოლომონ I-ს შორის დადებული ხელშეკრულებით იმერეთის მეფის მემკვიდრედ ერეკლეს შვილიშვილი და სოლომონის ძმისწული დავით არჩილის ძე იქნა გამოცხადებული. მაშ, როგორ მოხდა რომ ტახტი სხვა პრეტენდენტებმა დაიკავა?

პირველ ხანებში გავრცელებული ხმების მიხედვით, მემკვიდრის შეცვლა თვით სოლომონის ანდერძის საფუძველზე მოხდა. 2 მაისს თბილისში „.... იმერეთიდან ჩამოსულმა თავად აბაშიძის აზნაურმა მოიტანა ცნობა, რომ აპრილის 23-ს მეფე სოლომონი გარდაიცვალა თითქმის უეცრად, მაგრამ ანდერძის დატოვება მაინც მოასწრო, დაუტოვა რა მემკვიდრეობა თავის ძმისწულს, მცირეწლოვან პრინცს დავითს, მეფე ერეკლეს მკვიდრ შვილიშვილს, ხოლო მის სრულწლოვანებამდე განმგებლობა თავის ბიძაშვილს, ბატონიშვილს დავითს უბოძა“[1]. ტახტზე ასვლის პირველსავე დღეს კავკასიის ხაზის უფროსისადმი იმერეთიდან გაგზავნილ ოფიციალურ ცნობებში ერეკლეს შვილიშვილზე — დავით არჩილის ძეზე, არაფერია ნათქვამი. თვით გამეფებული დავით გიორგის ძე მბოლოდ იმას უსვამს ხაზს, რომ „... ვითარცა ბრძანება და ანდერძი გვებრძანა მისის სიმაღლისაგან (სოლომონ მეფისაგან — მ. ს.), იგი ყოველივე აღასრულეს ყოველსავე ქვეყნის ჩვენისა ერთობილთა დიდთა და მცირეთა და ღ[ვთ]ის მინდობით აღმირჩიეს და აღმიყვანეს სამეფოსა გვარისა და სახლისა და ქვეყანისა მეფეთა ხარისხსა და ვალი საუკუნო დამდევს პატრონობისა და ყოველის ესოდენის წმინდის ეკლესიებისა და ყოვლისა ამის ერისა საკვიდრებელისა“[2]. იმერეთის წარჩინებულთა წერილში, იმავე ადრესატისადმი დასაბუთებულია, თუ რატომ მოხდა აღნიშნული კანდიდატის გამეფება: „ამის შე[მდგომა]დ ღ[ვთ]ის მინდობილის განზრახვით, ჩვენის მეფის ანდერძის მსგავსად აღვირჩიეთ და მეკვიდრე, რომელიც უფროსი და მოსწრებული ბრძანდებოდა, რომ ჩვენი შემოვლა და პატრონობა და მეფობაჰას შეუძლიან“[3]. თვით ამგვარი განმარტება იმაზე მიანიშნებს, რომ სოლომონის ანდერძის საქმე მთლად ისე არ უნდა ყოფილიყო, როგორც დაინტერესებულ მხარეს სურს წარმოადგინოს, რადგან ანდერძით დამტკიცებულ მემკვიდრეს არჩევა არ სჭირდება, მას ავტომატურად უნდა დაეკავებინა კუთვნილი ტახტი. რამდენიმე დღის შემდეგ ს. დ. ბურნაშოვისადმი მიწერილ წერილში იმერეთის დიდებულები საჭიროდ არ მიიჩნევენ იმის მოხსენიებას, რომ დავით გიორგის ძის გამეფება სოლომონის ანდერძის მიხედვით მოხდა: „...ყოველთა მკვიდრთა ამა ქვეყნისათა სამღვდელო და საეროთა ურთიერთისა თანაგანზრახვით აღვირჩიეთ და ავაწიალით სამეფოსა ტახტსა

---

[1] ЦГВИА, ф. 52. оп. 1/194. д. 331/5. л. 6.

[2] იქვე, ფურ. 41.

[3] იქვე, ფურც. 46—47 (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

ზედა დავით მეფე დავითიანი ძე გიორგისა და რომლითაცა აღთქმითა და ფიცითა აღვიარეთ და დავემორჩილენით"[4]. ცოტა მოგვიანებით კი თბილისში პირდაპირი ცნობა ჰქონდათ იმის შესახებ, რომ სოლომონ I-ს დავით გიორგის ძის თაობაზე სიკვდილის წინ არავითარი განსხვავებული განკარგულება არ გაუცია: „... მეფე სოლომონი გარდაიცვალა თავისი სარდლის, თავადი პაპუნა წერეთლის ხელზე (ხოლო მეფის ცოლისძმა თავადი ბერი წულუკიძე უკანასკნელ საომარ ექსპედიციაში მიღებული მძიმე ჭრილობის გამო ავად არის) დაავალა რა მას მცირეწლოვანი პრინცის დავითის ყურისგდება, იგი (პაპუნა წერეთელი — მ. ს.) თითქმის მეფედ დაინიშნა თავის შემდეგ, მაგრამ იგი არ იხსენიებს, რომ მმართველობა მეფის ბიძაშვილისთვის (დავით გიორგის ძისთვის — მ. ს.) დაეტოვებიოს"[5].

ამრიგად, ცხადია, რომ დავით გიორგის ძის გამეფება იმერეთში სოლომონის ანდერძის მიხედვით არ მომხდარა, იგი იმერეთის გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ იყო ორგანიზებული.

წერილს, რომლითაც იმერელი წარჩინებულები კავკასიის ხაზის უფროსს დავით გიორგის ძის გამეფებას ატყობინებდნენ, ხელს აწერდნენ: მიტროპოლიტი დოსითეოზ ქუთათელი, მიტროპოლიტი ექვთიმე გენათელი, მთავარეპისკოპოსი იოანე, ქსნის ერისთავის ძე ელიზბარი, ბერი წულუკიძე, სარდალი პაპუნა წერეთელი, გიორგი წულუკიძე, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სარდალი ქაიხოსრო აგიაშვილი, ზურაბ მაჩაბელი, მდივანბეგი „კნიაზი" დავითი [კვინიხიძე?] და მდივანი-მწსაიდუმლე ბესარიონ გაბაშვილი[6]. ისინი მეფის უახლოესი პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ, მაგრამ მათი სოციალური მდგომარეობა და პოლიტიკური წონა იმერეთის სამეფოში განსხვავებული იყო. ასევე განსხვავებული უნდა ყოფილიყო მათი შეხედულებები და მიზნები დავით გიორგის ძის გამეფების აქტში. მაგრამ გადამწყვეტი როლი ამ საქმეში, ეტყობა, სარდლებმა პაპუნა წერეთელმა და ბერი წულუკიძემ შეასრულეს. ეს აშკარად ჩანს დავით მეფის მიერ პოტიომკინისადმი გაგზავნილი წერილიდან, სადაც იგი რუს გენერალს დაბეჯითებით სთხოვს, რომ იმერეთის მფარველობაში მიღების შემთხვევაში, რუსეთის საიმპერატორო კარმა აღნიშნული თავადების ღვაწლი შესაფერისად დააფასოს: „... რომელთაც წაინებეს დაიწადეს სა-

---

[4] ЦГВИА, ф. 52 оп. 1/194, д 331/5, л. 45.

[5] იქვე, ფურც. 6.

[6] იქვე, ფურც. 45.

მეფოსა კათედრასა ზედა დაწიაღება ჩუენი და ყოვლისა საქმისა ჩუენისა წარმმართებელნი დაქუეყანიისაამის განმგენიმხოლოდ ესენი გვიჳის. და უკეთუ ყოველად მოწყალემან ხელმწიფემან წყალობით მოხედვა ჰყოს ჩუენისა,... ამას ვედრებასაცა ვჰყოფთ წინაშე უგანათლებულესობისა თქუენისა, რათა ჩვენნი ესე გულითადნი კაცნი და მეფობისა ჩუენისა წარმმართებელ-განმამტკიცებელნი, პირუელნი თავადნი და სარდარნი წულუკიძე და წერეთელი, მაგათის ხელმწიფობისაგან შეწყალებულ იქმნენ და რომელიცა პატივისცემა, ანუ ქუეყნის განმგეობა რწმუნებიათ ამათ მისგანი არარაჲ მოაკლდეს“[7]. დასახელებული თავადები სოლომონ I-ის დროსაც უალრესად დიდი გავლენით სარგებლობდნენ. საკმარისია მოვიგონოთ, რომ თვით სოლომონ დიდი, თურმე „ასე სადმე ბრძანებდა: ბერი არის მეფე, მე არა ვარო“[8]. წერეთელთა საგვარეულო ეწინაც იმერეთის „უწარჩინებულეს და შემძლებელ“ გვარად ითვლებოდა. სოლომონ I-ის მეფობაში კი სამი ძმა წერეთლებისა იყვნენ კიდევ უფრო დიდი პოლიტიკური ძალა და ეკონომიკური წვლილი მოიპოვა[9].

ასეთი წონისა და გავლენის პიროვნებებისაგან იმის განცხადება, რომ დავით გიორგის ძე იმიტომ ავირჩიეთ მეფედ, რომ მოწიფულია და ჩვენი პატრონობა და მოვლა უფრო შეუძლიაო, არაგულწრფელი ჩანს. ცხადია, მათ ის უფრო აწყობდათ იმერეთის ტახტზე ნაკლებად

---

[7] ЦГАДА Госархив, разр. XI ф II), д. 943, лл. 101—102 ციტ. მ. მაჭარაძე. ბესიკი... დამატება, გვ. 249 (ხაზი ჩვენია — მ. ს.). პროფ. ვ. მაჭარაძეს მიაჩნია, რომ დავით გიორგის ძის ტახტზე აყვანის საკითხი ელიზბარ ერისთავს და ბესარიონ გაბაშვილს უნდა გადაეწყვიტათ (დასახ. ნაშრ. გვ. 109). ზემომოყვანილი ციტატიდან აშკარაა თუ ვინ შეასრულა მთავარი როლი ამ საკითხში. მაგრამ თავისთავადაც ამგვარი დიდი პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტა იმას შეეძლო, ვისაც საამისო ძალა და გავლენა ჰქონდა. სწორედ ასეთი პოლიტიკოსები იყვნენ წერეთელი და წულუკიძე. რაც შეეხება ელიზბარ ერისთავსა და ბესარიონ გაბაშვილს, ისინი იმერეთში თავშეფარებული და მთლიანად იმერეთის მეფეზე დამოკიდებული პირები იყვნენ. რასაკვირველია, თავის განათლებისა და ინტელექტის წყალობით სამეფო კარზე მათ გარკვეული ავტორიტეტი მოიპოვეს, მაგრამ ძალა, რაც ასეთ შემთხვევაში მთავარია, მათ თითქმის არ გააჩნდათ. სხვა საქმეა, რომ მათი მდგომარეობის გამო, ისინი დავით გიორგის ძის მხურვალე მომხრეები და მისი ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლნი იყვნენ.

[8] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 87.

[9] ი. ს ო ს ე ლ ი ა. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (საისტორიო), II, თბ., 1981, გვ. 102—108.

შოწაფული და სუსტი მეფე ჰყოლოდათ, რომელიც მათ მდგომარეობას ვერაფრით შეზღუდავდა. მაშ, რამ განაპირობა ამგვარი არჩევანი?

აქ ორი გარემოება უნდა იქნას გათვალისწინებული: პირველი, მცირეწლოვანი უფლისწულის აღზრდა და პატრონობა პაპუნა წერეთელს ჰქონდა მინდობილი. ეს გარემოება თავის დროზე თვით სოლომონსაც აფიქრებდა. როცა მას ეს გადაწყვეტილება მიუღია, როგორც კადმოგვცემენ, მაშინვე უზრუნვია, რომ წულუკიძეებს ეს საწყენად არ დარჩენოდათ, „... მცირეწლოვანი მემკვიდრე, რადგან იგი მხოლოდ 11 წლისაა აღსაზრდელად მიენდოს უფროს თავად წერეთელს ისე, რომ არავითარი უნდობლობა არ ეუჩვენოთ თავად წულუკიძეს“ — უბრძანებია თავის დროზე იმერეთის მეფეს. მცირეწლოვანი უფლისწულის გამეფების შემთხვევაში, წერეთლებისა და წულუკიძეების ფეოდალურ ოჯახებს შორის ძალთა ერთგვარი პარიტეტი მოსალოდნელია პირველთა სასარგებლოდ დარღვეულიყო. მაშასადამე, წულუკიძეები უკვე ამ არგუმენტის გამო შეიძლებოდა დავით გიორგისძის ბანაკისაკენ გადახრილიყვნენ. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ართულებდა ვითარებას. მაგრამ არსებობდა მეორე, უნდა ვიფიქროთ, უფრო სერიოზული გარემოება: საქმე ისაა, რომ დავით არჩილის ძე ერეკლეს შვილიშვილი იყო. მისი გამეფება იმერეთზე ერეკლეს გავლენის განუსაზღვრელად გაზრდასა და აქ მისი პოლიტიკის გატარებას ნიშნავდა. ეს პოლიტიკა კი თავადური ოპოზიციის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლით გამოირჩეოდა. ერეკლე ერთმმართველი იყო და თვითმპყრობელობისაკენ მიისწრაფოდა, აქეთკენ მიისწრაფოდა სოლომონ I-ც, მაგრამ მას ამ საქმეში გაცილებით ნაკლები წარმატებები ჰქონდა. ამრიგად, პარტიკულარისტულად განწყობილი თავადების მიერ იმერეთის ტახტზე დავით გიორგის ძის აყვანა ერეკლეს გამაერთიანებელი პოლიტიკის საწინააღმდეგო აქტად მოჩანს. რაც შეეხება ამ საქმეში ელიზბარ ერისთავისა და ბესარიონ გაბაშვილის მონაწილეობას, ეს სრულიად ნათელია. ისინი ერეკლეს მიერ შერისხულნი და მისგან გამოქცეულნი იყვნენ. იმერეთში ერეკლეს შვილიშვილის გამეფების შემთხვევაში მათ ალარც აქ დაედგომებოდათ. ამის გამო, ისინი თავიდანვე უყოყმანოდ უნდა დამდგარიყვნენ დავითი გიორგის ძის მხარეს და თავიანთი ნაფიცისა და მოხერხების შესაბამისად საქმის ორგანიზაციაში აქტიური როლი ეთამაშათ.

თავადური ოპოზიცია ვარაუდობდა, რომ იმერეთის ტახტზე დავით გიორგის ძის აყვანით, რომელსაც ქვეყანაში ძლიერი დასაყრდენი არ გააჩნდა და არც გარეშე ძალები უმაგრებდა ზურგს, თავისი პოლი-

ტიკის გამარჯვებას იზეიმებდა. ფეოდალები იმედოვნებდნენ, რომ მათ მიერ უკანონოდ გამეფებული პრეტენდენტი დამჯერე და მათი პოლიტიკის გამტარებელი იქნებოდა; მაგრამ დავით გიორგის ძის ბანაკი მარტო აღზევებული თავადებისაგან არ შედგებოდა, ამიტომ თავისი მდგომარეობის სტაბილურობისათვის, როგორც ჩანს, მეფობის სასურველ კანდიდატს დიდმა ფეოდალებმა შესაბამისი გარანტიები მოსთხოვეს რუსეთის ხელისუფლებისათვის გასაგზავნი საგანგებო წერილის სახით, რომელშიც საზგასმული იქნებოდა მათი დამსახურება ახალი მეფისა და რუსეთის იმპერატორის წინაშე. ამავე დროს, აღნიშნულმა თავადებმა მეფობის კანდიდატს წინასწარ გელათში ფიცი დაადებინეს, რომ იგი მათი პოლიტიკის გამტარებელი დარჩებოდა. ჩვენს ხელთ აღნიშნული ფიცის გვიანდელი, ეგრეთწოდებული „განახლებული“, ვარიანტია: „ჩვენ ნებითა ღ[მრ]თისათა მეფე ყოვლისა იმერეთისა დავით დავითიანი, უწინარეს ამის ჟამისა, ოდეს აღმირჩიეთ და დამადგინეთ მემკვიდრედ მეფედ იმერეთისა. მას ჟამსა ფიცითა მტკიცითა აღმითქუამს... აწ კ[ვალა]დ ერთგულთა ჩვენთა სარდალთა და თავადთა და მოხელეთა ჩვენთა და ჩვენ მიერ მ[ე]ბრ და თანაძმებრ მისახვედრელთა თქვენ ბატონს სარდალ-მოურავს და ბოქაულთ-უხუცესს წულუკიძეს ბერს და ბატონს ჩვენს სიძეს სარდალ მოლარეთ-უხუცესს წერეთელს პაპუნას, სარდალ წულუკიძეს გიორგის, სარდალ ქეშიკთ-უხუცესს აგიაშვილს ქაიხოსროს, ჩვენს სახლთუხუცესს წერეთელს ზურაბს, მდივანბეგს კნიაზს დავითს და სხუათა ჩვენთა მოხელეთა და მოურავთა. კ[ვალა]დ განგიაბლებთ... რათა აქუნდეს მას ჩვენ მიერ გელათს დადებელს წიგნს სიმტკიცე და თქვენთვისაც... ესრეთ აღგვითქუამს და ესრეთ დაგვირწმუნებია... რომ თუ თქვენ ჩვენის მეფობის მდომელნი იქმნეთ, ანუ ჩვენი საქმისა და ჩვენს სიტყვის რიგისაებრ მიმლებელნი და აღმასრულებელნი იქმნებოდეთ. ანუ თუ ჩვენის მეფობის განძლიერებისა და სარგებლის განმგებელნი და წარმართებელნი იყოფებოდეთ, ანუ სხვებს საკეთილოს და ქ[ვე]ყნის შესამატებელს საქმეში მოგვყუებოდეთ, ღ[მრ]თის სახელით გარწმუნებთ და ჭ[ე]შმარი[ტ]ებით ესრეთ აღმითქუამს შ[ორი]ს ცისა და ქვეყნისა, რომ რას რიგითაც და პატივით, ან სახელოებით, ან კაის ყმობით, ან სითამამით, ან სიმდიდრით, ან სიმხიარულით, ან კადნიერებით და ან რომლითაც გულგაერთებით ქ[ურთხ]ეუ[ლ]ს ჩვენს ძმას მეფე სოლომონთან იყავით და ყოფილხართ, ეგრეთვე მის მსგავსად მოუშლელის პირობით ჩვენთან იყოფებოდეთ. და ჩვენგანაც

არაფერი არ მოგეშალოსთ და უფროსადცა თქვენს შემატებას და სიკეთეს ვეცადო..."[10] და სხვ.

მოყვანილი ტექსტი როგორც ითქვა, გვიანაა შედგენილი, მას შემდეგ, რაც ბაგრატ და თავადები ურთიერთს წაეჩხუბნენ, შემდეგ კი შერიგდნენ. ამ დროს დავითი უკვე მეფეა, რომელსაც გარკვეული მღვდელმარკვია განჭვრეტილი აქვს. ამდენად, იგი და თავადური ოპოზიცია ორი მხარე, ორი ძალაა, ხოლო თავდაპირველი ფიცი, რომლის პირობებს უცვლელად დატოვება მოტანილ ტექსტში ნავარაუდევია, მაშინაა შედგენილი, როცა დავით გიორგის ძე ჯერ კიდევ არსებითად არავითარ ძალას არ წარმოადგენდა; შესაბამისად, მასში ოპოზიციის ინტერესები გაცილებით უკეთ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. მაგალითად, დოკუმენტიდან ირკვევა, რომ აქ პაპუნა წერეთლისათვის ციხეების გადაცემა იყო ნაგულისხმევი, რომლის შეუსრულებლობა განხეთქილების ერთ-ერთი მიზეზი გამხდარა.

ამრიგად, იმერეთის ტახტზე დავით გიორგის ძის აყვანა თავადური ოპოზიციის მიერ იყო ორგანიზებული. იგი იმ პოლიტიკის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, რომელსაც ერეკლე მეფე ქართლ-კახეთში ახორციელებდა და რომლისთვისაც მას არაერთი ენერგიული ღონისძიების გატარება და ბრძოლა მოუხდა. ოპოზიცია შიშობდა, რომ ქართლ-კახეთის მეფე ამგვარ საქციელს უპასუხოდ არ დატოვებდა და თავისი შვილიშვილის (დავით არჩილის ძის) ინტერესების დაცვას შეეცდებოდა. ამის გამო, რაკი იცოდა, რომ 1783 წლის ტრაქტატის ძალით ქართლ-კახეთის მეფე საგარეო პოლიტიკაში რუსეთის ხელისუფლებს ემორჩილებოდა, ხოლო იმერეთში მშვიდობის შენარჩუნება მათი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო, ოპოზიციამ დაუყოვნებლივ გაგზავნა შესაბამისი ცნობა კავკასიის ხაზზე, რათა იქიდან ახალი მეფის ტახტზე დამკვიდრების დასტური მიეღო, ხოლო ქართლ-კახეთში ოფიციალური ცნობის შემოთვლა მანვე განგებ დააგვიანა, ერთდროულად კი გაავრცელა ხმა, რომ ეს ამბავი სოლომონ I-ის ანდერძის შესაბამისად მოხდაო[11].

დავით გიორგის ძეს და მის მომხრეებს კარგად ესმოდათ მათი პოზიციის არამყარობა. ამიტომ, პ. პოტიომკინისადმი მიწერილ წერილ-

---

[10] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 331/7, л. 25; ვ. მაჭარაძე. ბესიკი... გვ. 106—107.

[11] სამართლიანია, ვ. მაჭარაძის აზრი იმის შესახებ, რომ თბილისში ცნობის გამოგზავნის დაგვიანება ერეკლეს საქმეში ჩარევის საშიშროებით იყო გამოწვეული, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

ში ისინი დაბეჯითებით აცხადებდნენ: „თუ ამაზედ არ გაირჯება თქვენი აღმატებულესობა, რომ საჩქაროდ არ მოგვივიდეს თქვენი ამბავი, ქეთილი საქმეები შეიცვლება და ქვეყნების ამრევნი მტერნი ჩვენნი არ დასცხრებიან მტერობას და არეულობას ეცდებიან"[12].

უეჭველია, იმერეთის სამეფოში იყვნენ ძალები, რომლებიც დავით გიორგის ძის გამეფებას მტრულად შეხვდებოდნენ (უნდა ვიფიქროთ რომ ეს ძალები საშუალო და დაბალ თავადაზნაურობაშია საძებნი), მაგრამ ძირითადი ხაშიშროება აღნიშნულ პოლიტიკურ აქტს ქართლ-კახეთიდან ეხუქრებოდა. მაგრამ როგორი იყო ერეკლე II-ის პოზიცია?

1784 წლის 8 მაისს პ. პოტიომკინისადმი მიწერილ წერილში, ერეკლემ დავით გიორგის ძე იმერეთის მეფედ აღიარა, თუმცა გარკვეული პირობით: „... ახლა იმერეთის მეფეთ-მეფის სოლომონის ბიძაშვილი დავით გიორგის შვილი დაუსვამთ. რადგან ჩემი შვილისშვილი დავით ჯერ ყმაწვილი არის და ქვეყნის მოვლა არ შეუძლია, მეც ეს ვიფიქრე, რომ იმერეთში თარაფობა არ შეიქმნას და ოსმალთ მხარისაკენ არ მიიწიონ, ამისათვის ეს უმაღლესი კარის საერთგულოთ დავინაბე და დავით გიორგისშვილის მეფობას თანახმა ვექმენ. და ღ[მრ]თის ნ[ებით], როცა ჩემი შვილისშვილი დავით გაიზარდოს, მაშინ რომელიც რუს[თის] უმაღლესის კარის ნება იყოს, ასე აღსრულდეს"[13].

თავის დროზე შ. ბურჯანაძე ფიქრობდა რომ ერეკლემ ამგვარი გადაწყვეტილება ს. ბურნაშოვის ზეგავლენით მიიღო. ვ. მაჭარაძემ ამგვარი შეფასება გადაჭარბებულად ჩათვალა და მიიჩნია, რომ ერეკლეს მიერ დავითის მეფედ ცნობა მისი საკუთარი ნებითა და სურვილით მოხდა. უკანასკნელი შეფასება, როგორც ჩანს, სწორია, თუმცა ერთგვარ კორექტივს უნდა მოითხოვდეს ის მოტივირება, რომლის მიხედვითაც, ვ. მაჭარაძის აზრით, ერეკლემ ეს მოიმოქმედა.

სოლომონის გარდაცვალების შემდგომი 8 დღე, როგორც ჩანს, იმერეთის მმართველ წრეებში დიდი პოლიტიკური ბრძოლით აღინიშნა. 1784 წლის 30 აპრილს საქმე დამთავრებული იყო და დავით გიორგის ძე ტახტზე იჯდა. თბილისში კი ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის ცნობები მხოლოდ 2 მაისიდან იწყებენ მოსვლას. ამ დღეს მიღებული არაოფიციალური ცნობით, სოლომონი გარდაიცვალა და დატოვა ან-

---

[12] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 331/у, л. 42; ვ. მაჭარაძე, ბესიკი.. გვ. 99.

[13] იქვე, ფურც. 53; იგივე აზრია განმეორებული ს. ბურნაშოვისადმი მიწერილ წერილში, იქვე, ფურც. 54.

დერძი, რომლის ძალითაც მემკვიდრედ დავით არჩილის ძე (ერეკლეს შვილისშვილი) გამოაცხადა, მის სრულწლოვანებამდე კი განმგებლობა დავით გიორგის ძეს დაავალა. 3 მაისს მეორე ცნობა მოსულა, რომ სოლომონი გარდაიცვალა სარდალ პაპუნა წერეთლის ხელზე, რომელსაც მცირეწლოვანი უფლისწულის ყურის გდება დაავალა, ე. ი. ფაქტობრივად იგი იმერეთის გამგებლად დანიშნა, ხოლო 4 მაისს ქართლ-კახეთის მეფის კარზე დავით არჩილის ძის ოფიციალური შიკრიკი მოვიდა დაწვრილებითი ცნობებით, რომ სოლომონი გარდაიცვალა მოულოდნელად ისე რომ, არა თუ ანდერძის დატოვება, ზიარებაც კი ვერ მოასწრო. იმერეთში ერთხმად მეფედ აირჩიეს დავით გიორგის ძე, ხოლო ერთგულების ფიცი ერთდროულად სამ მემკვიდრეს მისცეს დავით გიორგის ძეს (უკვე მეფეს), დავით არჩილის ძესა და ბატონიშვილ გიორგის, სოლომონის ძის — ალექსანდრეს, უკანონო შვილს[14].

როგორც ვნახეთ, თბილისში იმერეთის ამბები მაშინ გაარგეს, როცა იქ საქმე უკვე დამთავრებული იყო, დავით გიორგის ძე იმერეთის ტახტზე იჯდა. მას ქვეყნის ყველაზე გავლენიანი წრეები უჭერდნენ მხარს. ქართლ-კახეთის პოლიტიკოსთა მხრიდან მოვლენებზე ზემოქმედება მხოლოდ სამხედრო მუქარის გზით თუ შეიძლებოდა, ძალის გამოყენების პირველივე ცდა კი საქმეში თურქეთის ჩარევას გამოიწვევდა. ამის დაშვება არ შეიძლებოდა.

მაგრამ გულწრფელად სურდა კი ერეკლეს იმ დროს იმერეთის ტახტზე თავისი შვილიშვილის აყვანა? თუ ამ საკითხს სხვა კუთხით შევხედავთ, შეიძლება ერეკლეს მოქმედებაშიც განსხვავებული მოტივები დავინახოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ხანებში ქართლ-კახეთის მეფეს რუსეთის მხარდაჭერით მთელ საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანება რეალურ შესაძლებლობად ესახებოდა; ამ შემთხვევაში კი მორალურად მისთვის გაცილებით უმჯობესი იქნებოდა იმერეთის ტახტი ნაკლებად ძლიერს და, შესაბამისად, ადვილად გასაწირ პიროვნებას სჭეროდა. თუ ეს ასეა, მაშინ კიდევ უფრო ბრძნულად და შორსმჭვრეტელურად მოჩანს ერეკლეს სტრატეგია. 1784 წელს ბურნაშოვისადმი მიწერილ წერილში იგი დავით გიორგის ძის მეფედ ცნობის პირობად მეტად სერიოზულ მოთხოვნებს აყენებდა: „... ჩვენ თანახმა ვიქნებით დავით გიორგიშვილის მეფობისა, მაგრამ შემდგომის სამის საქმით უნდა კმა ყოს ჩვენი შვილისშვილი დავით მეფემ.

---

[14] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 331/у, л. 6, 56.

პირველი, თავისის მამის საკუთარი მამულები უნდა თავისის შვილისაგან და სარგებლით საკუთრად დაანებოს და, ამასთან, სხვადასხვა ეგრედწოდნი კმა საყოფელნი მამულნი მისცეს, როგორც მეფის ალექსანდრეს დროს აქვდნენ კმად ძმასა მისსა ბატონიშვილს მამუკას.

მეორედ, რათა მისი უგანათლებულესობა მეფე დავით პატივსცემდეს შვილისშვილსა ჩემსა დავითს ძმად და მემკვიდრედ თვისად სამეფოსა ზედა იმერეთისასა და იმერნიცა ეგრეთ პატივ სცემდნენ, ვითარცა მემკვიდრესა თვისსა მეფისასა, რადგან ანდერძი ნეტარად ბჭობებულის მეფის სოლომონისა ასე არის;

მესამედ, ორი აშენებული ციხე უნდა სხვა მისცეს თავისის შესაბამის მამულებით, თავისის საკუთარს მამულს გარდა, პირველი ამისთვის, რომ ჩემს შვილიშვილს დავითს იქაურის გარემოებით უფრო სიმტკიცე და საიმედო ყოფა ექნება იმერეთში და უფრთხილებელიც და მეორე, მომავლის დროსაც გაფრთხილება იქნება ამით, თუ ეს ციხეები ჩემს შვილისშვილს დავითს ექნება. ვერმე თუ როგორმე მეფე სხვის მხრისაკენ მოინდომებს დადგომას, აღარ შეეძლება, რადგან ძალი დასუსტებული ექნება და თავისი მოპირდაპირე ძალაც შინვე ეყოლება"[15].

აი როგორი ვითარება აწყობს ქართლ-კახეთის მეფეს იმერეთში: მეფე განახევრებული ძალით იჯდეს ტახტზე, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის შეუძლია ძლიერი ძალა — ტახტის მემკვიდრე პრეტენდენტი დავით არჩილის ძე დაუპირისპიროს; ქვეყანაში მშვიდობა შეინარჩუნოს; თურქეთს საქმეში ჩარევის საშუალება არ მისცეს და ყველაფერი ეს რუსეთის მომადლიერებით გააკეთოს. თუ ამგვარ ვითარებას მიაღწევდა, ერეკლეს შესაფერის სიტუაციაში ადვილად შეეძლო აქტიურად ჩარეულიყო იმერეთის საქმეებში და იქ თავისი პოლიტიკა გაეტარებინა თვით მეფობის გაუქმებამდე და მთელი საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანებამდე. მაგრამ შემდგომ პერიოდში სხვა ხელშემშლელი გარემოებები წამოიჭრა.

დავით მეფეს იმ პირობების შესრულება, რომელსაც მას იმერელი დიდებულები და ერეკლე II უყენებდნენ, არ შეეძლო; ეს ფაქტობრივად მეფობისაგან ხელის აღებას ნიშნავდა. ამის გაკეთებას კი იგი არ აპირებდა და, როგორც ჩანს, სიტყვიერ დაპირებებს რომ არიგებდა, ამით მხოლოდ დროის მოგებას, ტახტზე გამაგრებასა და რუსეთის მხრივ იურიდიულ ცნობას ელოდებოდა. იმერეთის დიდმა თავა-

[15] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 331/5, л. 113.

დებმა მალე დაინახეს, რომ მათი იმედები იმერეთის ახალი მეფის მიმართ საეჭვო იყო. ტახტზე ასვლის შემდეგ ჯერ ერთი თვეც არ იყო გასული, რომ დავით მეფესა და წერეთლების ოჯახს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. მეფე პაპუნა წერეთელს ფიცით გათვალისწინებულ ციხეებს არ აძლევდა; როგორც გამოირკვა ის ციხეები თურმე ელიზბარ ერისთავის საბრძანებელოებში შედიოდა[16]. მეზობლად ახალ მეფეს წულუკიძეთა ოჯახიც დაუპირისპირდა.

იმერეთში ვითარება დაიძაბა. ამგვარი მდგომარეობა მეტ-ნაკლები სიმწვავით 5 წელიწადი გრძელდებოდა. დავით გიორგის ძის წინააღმდეგ ძლიერი ოპოზიცია შეიქმნა, რომელიც დავით არჩილის ძეს — ერეკლეს შვილიშვილს — დაუკავშირდა და ახლა მის გამეფებას ცდილობდა. მაგრამ დავით გიორგის ძემ მაინც მოახერხა გარკვეული ძალების შემოკრება და თავგამოდებით იბრძოდა მდგომარეობის შესანარჩუნებლად. მოწინააღმდეგეები თავიანთ ბრძოლაში არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ და ხშირად საერთო ქართული საქმის საწინააღმდეგო ბრძოლის აშკარა რეაქციულ ფორმებსაც მიმართავდნენ: უკავშირდებოდნენ ლეკთა ურდოებს და მათ იმერეთში იწვევდნენ, ცდილობდნენ ურთიერთობა გაებათ თურქეთთან (ახალციხის საფაშოსთან) და მისი დახმარებით საწადელისათვის მიეღწიათ. ახალი მეფე კი, ცდილობდა რა თავისი სუსტი ბანაკის გაძლიერებას, დათმობებზე მიდიოდა სამეგრელოსა და გურიის სამთავროების მიმართ; აღადგინა რაჭის საერისთაო, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ასე გაუძნელდა სოლომონ დიდს და რომლის გაუქმებაც პროგრესული ძალების მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო იმერეთში.

მოწინააღმდეგეები მცირე ხნით მორიგდნენ, მაგრამ ერთმანეთს ვერ ენდობოდნენ და ამის გამო ეს შერიგება ყოველთვის არა მყარი იყო. ამ მდგომარეობით, შედარებით წვრილი თავად-აზნაურობაც ცდილობდა ხელის მოთბობას, იჭერდნენ და იტაცებდნენ ერთდროს ჩამორთმეულ თავისსავე სოფლებს თუ სხვის ადგილ-მამულებს, გაძლიერდა ძარცვა-გლეჯა. ქვეყნის საგზაო მაგისტრალებზე საფრთხემ იმატა[17]; ყველაფერ ამას კი გლეხთა დიდი სოციალური მოძრაობაც დაერთო. ხანგრძლივმა საგარეო და საშინაო ხასიათის გართულებებმა: შემოსევებმა, აოხრებებმა, შინა ომებმა, ფეოდალური ექსპლოატაციის ზრდამ, და სხვ. გააუარესა იმერეთის მშრომელი მოსახლეობის

[16] ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 331/5, лл. 100—102.

[17] იქვე, ფურც. 6.

ისედაც დუბჭირი მდგომარეობა. დავით მეფე დიდ ეკონომიკურ ხელმოკლეობას განიცდიდა, ხოლო მისი ხარჯები კიდევ უფრო იზრდებოდა. იგი შეეცადა ქვეყნის გარეთ ეძებნა ფინანსური დახმარება, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა; ხაზინის ერთგვარი შევსებითაც უნდა იყოს ნაკარნახევი მისი დამოკიდებულება დადიანთან, რომელსაც მან ჩუმად რამდენიმე სასაზღვრო სოფელი მიჰყიდა, რითაც ქვეყანაში თავისი ისედაც არამყარი ავტორიტეტი კიდევ უფრო დასცა[18]. რაკი სხვა გზა ვერ მონახა, იგი იძულებული შეიქმნა გლეხთა ისედაც მძიმე გადასახადები აუტანელ ზომამდე გაეზარდა. ამან ხალხის მოთმინების ფიალა აავსო და საქმე შეირაღებულ აჯანყებამდე მიიყვანა. აჯანყებულებმა ერთიანი გადასახადების დადგენა და მისი ფულადი განსაზღვრა მოითხოვეს. სოციალური თვალსაზრისით ყოველივე ეს დიდმნიშვნელოვანი და პროგრესული ფაქტია, მაგრამ წინამდებარე ნაშრომის ხასიათი მისი ანალიზის საშუალებას არ იძლევა. მთავარი ისაა, რომ დავით არჩილისძის ბანაკელები მოხერხებულად დაუკავშირდნენ სოციალურ ბრძოლას და იგი თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელების ინტერესებისათვის გამოიყენეს.

რა პოზიცია ეჭირა ასეთ ვითარებაში რუსეთს იმერეთის მიმართ? როგორც აღინიშნა, ტახტზე ასვლისთანავე დავით გიორგის ძემ პირველ რიგში კავკასიის ხაზზე პ. პოტიომკინთან გაგზავნა შიკრიკი, თავისი გამეფება აუწყა და არსებითად ამ აქტის ცნობა ითხოვა. რაკი დავით მეფემ პ. პოტიომკინისგან სათანადო საბუთი ვერ მიიღო, ამას ახლა უკვე იმერელი დიდებულები ითხოვენ 1784 წლის 22 მაისს ს. დ. ბურნაშოვისადმი მიწერილი წერილით: „... აწ თქვენს ღ[ვ]თისმოყვარე გონიერებას როგორც ეკადრებოდეს, ისე იზრუნეთ ჩვენის ბატონის უმაღლესის მეფის[ა]თვის და ჩვენის ქვეყნის შემატებისა და მშვიდობისათვის, რომლისთვისცა უმხურვალესად ა მ ა თ ი ს მ ე ფ ო ბ ი ს დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა ს, თ ქ ვ ე ნ მ ი ე რ ვ ი თ ხ ო ვ თ, თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ს დ ა გ ვ ი დ ვ ი ა ე ს ვ ა ლ ა დ და ჩვენც ერთგულად და ძმად და მოსამსახურედ თქვენდა ვიქნებით განუყრელითა სიყვარულითა“[19].

მთელი თავისი მეფობის მანძილზე დავითი ამაოდ ეძიებდა რუსეთის ხელისუფალთა რეალურ დახმარებას, აგზავნიდა წერილებს, აგ-

[18] ЦГВИА, Ф. 52, оп. 1/194, д. 350/5, л. 58—70.

[19] ვ. მაჭარაძე, ბესიკი... გვ. 103 (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

ზავნიდა ელჩობებს, მაგრამ იქიდან არსებითი მხარდაჭერა არ ჩანდა. ცარიზმის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ დააყოვნეს და იმერეთის ახალ მეფეს მფარველობაში შესვლის თაობაზე შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი მოთხოვეს, და კიდეც მიიღეს, ახლა კი დაბეჯითებით ცდილობდნენ, რომ იმერეთში შინაამლილობა ჩაეჭროთ, რადგან მოწინააღმდეგე ძალთგან ერთ-ერთი აუცილებლად თურქეთისაგან ეცდებოდა მხარდაჭერის მიღებას, ეს კი რუსეთის პოლიტიკისათვის მთავარ საშიშროებას წარმოადგენდა.

თავისი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, იმისათვის რათა მტერ-მოყვრისათვის თავისი მდგომარეობის სიმყარე ეჩვენებინა დავით გიორგის ძე, თურმე იძულებული გამხდარა ხალხში ყალბი წერილის შინაარსი გაევრცელებინა, რომელიც ვითომ მას რუსეთის ხელისუფლებისგან ჰქონდა მიღებული. იმერეთის დედოფალი კი კავკასიის ხაზის უფროსს ერთ რუსულ კაბას სთხოვდა, ალბათ, იმისათვის რომ, რუსულ კაბაში გამოწყობილი, იგი ხალხს რუსეთის მხარდაჭერას დაანახვებდა.

თურქეთი მზად იყო ხელი მოეთბო იმერეთში დაწყებული არეულობით, ამიტომ მოწინააღმდეგე ძალთაგან არავის უკავებდა შესაძლებელ მორალურ, მატერიალურ თუ სამხედრო დახმარებას. ერთი პირობა პორტამ იმერეთში საკუთარი კანდიდატის, თავად ქაიხოსრო აბაშიძის გამეფებაც კი დააპირა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. იმერეთში კარგად იცოდნენ, რომ თურქობა ქართველების მოსისხლე ისტორიული მტერი იყო და ხალხის მასები ავტომატურად იმ მხარეს იჭერდა, რომელიც თურქეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

შექმნილმა გამოუვალმა მდგომარეობამ, როცა შველა არსაიდან ჩანდა, ეტყობა, იმერეთის მეფე აიძულა ოპოზიციონერი ფეოდალების მიმართ დათმობაზე წასულიყო. თუ რაში გამოიხატა ეს დათმობები, ამის დაწვრილებითი დადგენის საშუალება ამჟერად არ არსებობს, მაგრამ ჩანს, იგი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. თავადები დაკმაყოფილებულან და 1788—1789 წლებში იმერეთში თითქმის მშვიდობიანი ვითარება დამყარდა. ფეოდალთა დავით გიორგის ძისადმი განწყობაში, უნდა ვივარაუდოთ, მნიშვნელოვანი როლი იმანაც ითამაშა, რომ ამასობაში თავისი შვილიშვილის ინტერესების დასაცავად ქართლ-კახეთის მეფემაც აიმაღლა ხმა.

სოლომონ I-ის გარდაცვალებიდან თითქმის ორი წლის განმავლობაში ქართლ-კახეთის მეფე იმერეთში მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა. მან, როგორც აღინიშნა, პირველი ცნობისთანავე

აღიარა დავით გიორგის ძე იმერეთის მეფედ, თუმცა კი სათანადო პირობები წაუყენა. მან უარი უთხრა თავის შვილიშვილს დახმარების თხოვნაზე და შემდგომშიც მუდამ მშვიდობიანად ყოფნას ურჩევდა და წინააღმდეგე ბანაკების შერიგებისა და მათ შორის ზავის ჩამოგდებისათვის არც დროსა და არც ენერგიას არ იშურებდა. ქართლ-კახეთის მეფის ამგვარ პოზიციას ალბათ, არაერთი მიზეზი განსაზღვრავდა და ახლა იმის დადგენა, თუ რომელი იყო მთავარი, ძნელია: 1. ერეკლე რუსეთის მფარველობაში იყო და შესაბამისად რუსეთის სასურველი პოლიტიკა უნდა გაეტარებინა; ეს პოლიტიკა კი, როგორც აღინიშნა, იმერეთში შინაომის აღკვეთას და იქ მშვიდობიანობის ჩამოგდებას ითხოვდა; 2. 1784—1785 წლებში ქართლ-კახეთს ისეთი მძიმე მდგომარეობა და საკუთარი გაჭირვება ჰქონდა, რომ იმერეთის საქმეებში აქტიური ჩარევისათვის მას არ ეცალა; ერეკლეს შვილიშვილი დავით არჩილის ძე მცირეწლოვანი იყო და შესაბამისად დამოუკიდებლად ქვეყნის მართვა მას არ შეეძლო. ასე რომ, მისი ტახტზე აყვანისათვის ბრძოლას აზრი ეკარგებოდა, რადგან ქვეყნის მართვა-გამგეობა სხვას უნდა ჩაეარდნოდა ხელში; დაბოლოს; 3. არც იმ მოტივის გამორიცხვა შეიძლება, რომელზედაც ზემოთაც იყო აღნიშნული და რომელიც მთელი საქართველოს გაერთიანების ინტერესებს გულისხმობდა.

1786 წლის იანვარში იმერეთში კვლავ დაირღვა მშვიდობა. წერეთელი და წულუკიძე ლეკთა და თურქთა 1500-იანი ჯარით, ხოლო ტახტის პრეტენდენტი დავით არჩილის ძე ბორჩალოელთა რაზმით იმერეთში შემოვიდნენ დავით გიორგის ძის ტახტიდან ჩამოსაგდებად. აი აქ, იმერეთის შინააშლილობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, პირველად გამოჩნდა ერეკლე II-ის ტახტის პრეტენდენტი შვილიშვილისადმი მისი დახმარების ხელი, თუმცა ფარულად, შენიღბულად: დავით არჩილის ძის ლაშქარში ბორჩალოელთა რაზმის მონაწილეობა ერეკლეს დასტურის გარეშე შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. და რომ ეს მართლაც ასე იყო, ამის საბარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ, როცა ამ წამოწყებამ მარცხი განიცადა, ერეკლემ საჭიროდ დაინახა იმერეთში სპეციალური დელეგაცია გაეგზავნა, რომელმაც იმერეთის მეფეს დატყვევებული ბორჩალოელებისა და თავისი შვილიშვილის თბილისში გამოგზავნა მოსთხოვა[20].

თუ ყველაფერი ეს მართლაც ასეა, მაშინ გასარკვევია, რა შეიცვალა ამ დროისათვის იმ ფაქტორებიდან, რომელზედაც ზევით იყო სა-

20 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 748.

უბარი და რომლებიც, როგორც სავარაუდოა, ერეკლეს ამგვარ მოქმედებას აქამდე აკავებდნენ: რუსეთთან ერეკლეს დამოკიდებულება უცვლელი რჩებოდა. მაშასადამე, მას რუსეთის სასურველი პოლიტიკა უნდა გაეტარებია. სწორედ ამით უნდა აიხსნას მისი მოქმედების ფარული ხასიათი. 1784—85 წლის მძიმე მდგომარეობა ქართლ-კახეთში 1786 წლის დასაწყისშიც გრძელდებოდა, მართალია, ზამთრის განმავლობაში ლეკთა შემოსევებმა ჩვეულებრივ იკლო, მაგრამ გაზაფხულის დადგომისთანავე მისი განახლება იყო მოსალოდნელი. ომარ-ხანი თავისი ლაშქრით ახალციხეში იდგა და ახალი თავდასხმისათვის ემზადებოდა. არც ერეკლეს შვილიშვილის ასაკობრივი მდგომარეობა შეცვლილა იმდენად, რომ მას დამოუკიდებლად ქვეყნის მართვა შეძლებოდა, ამ დროს იგი დაახლოებით 13 წლის უნდა ყოფილიყო.

ერთადერთი არსებითი ხასიათის ცვლილება ამ პერიოდში, ის მოხდა, რომ ერეკლემ თავის პოლიტიკაში, როგორც ჩანს, გარკვეული კორექტივი შეიტანა. იმ ხანებში, 1786 წლის დასაწყისში, ერეკლემ თითქმის ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი მზადაა დათმოს თავისი პრეტენზიები ახალციხის შემოერთების თაობაზე. ეს კი, როგორც აღინიშნა, პაელი საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანების ერეკლესეული დიდი გეგმის ფაქტობრივად უარყოფა იყო. შექმნილმა საგარეო და საშინაო ვითარებამ, სავარაუდოა, ქართლ-კახეთის მეფე საბოლოოდ დაარწმუნა, რომ საქართველოს იგი ერთ სამეფოდ ვერ გააერთიანებდა და, მოსალოდნელია, თავისი გეგმა ქართულ სამეფო-სამთავროთა კონფედერაციულ საფუძველზე შეკავშირების პროექტით შეცვალა. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება იმერეთის მიმართ მისი პოლიტიკის შეცვლაც ამ ამბავს დაუკავშირდეს.

1786 წლის 26 იანვრის შეტაკებაში იმერეთის მეფემ მოწინააღმდეგეთა სრული დამარცხება მოახერხა. ციხეებში შეკეტილმა მეამბოხეთა უმრავლესობამ დავით გიორგის ძეს მორჩილება გამოუცხადა. ამის შემდეგ იმერეთში კარგა ხანს არ დარღვეულა მშვიდობიანობა. უნდა ვიფიქროთ, ამ პერიოდში მოხდა მეფისა და იმერეთის დიდი ფეოდალების მორიგებაც.

ამასობაში ქართლ-კახეთის საგარეო მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნა. ერეკლესა და ახალციხის ფაშას შორის სეპარატული ხელშეკრულება დაიდო. სულეიმან ჯაყელმა ლეკთა რაზმები თავისგან გაიშტუმრა და მათ საქართველოს შეწუხება აუკრძალა. ქართლ-კახეთის მეფეს საშუალება მიეცა სახანოებთან თავისი დამოკიდებულება მოეგვარებინა და ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონში

თავისი ძველი პოზიციები განემტკიცებინა. დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი და ორივე მეომარი მხარის ინტერესების შესაბამისად ომის ასპარეზი ამიერკავკასიაში არ გაიშალა. საიმპერატორო კარმა საქართველოდან რუსული ბატალიონები გაიწვია. ქართლ-კახეთის მეფეს საშუალება მიეცა საგარეო საკითხები საკუთარი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა.

ამის საფუძველზე 1788 წელს გაფორმდა ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულება ოტომანთა პორტასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. ჩვენ არ ვიცით ამ ხელშეკრულებაში სხვა საკითხებიც იყო თუ არა განხილული, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ 1785—1786 წლებში, როდესაც ერეკლეს სამეფოს დიდი გასაჭირი ადგა, პორტა მას ქართლ-კახეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანის საფასურად ძველ სამფლობელოებზე მისი გავლენის განმტკიცებას და ახალი მნიშვნელოვანი ტერიტორიების მიცემასაც თავაზობდა. მაშასადამე, მოსალოდნელია, რომ აღნიშნული (1788 წ.) ხელშეკრულება იმასაც ითვალისწინებდა, რომ ერეკლე II-ს სრული უფლება ეძლეოდა დასავლეთ საქართველოს მიმართ საკუთარი შეხედულების მიხედვით ემოქმედა და იქ ის პოლიტიკა გაეტარებინა, რომელსაც საჭიროდ დაინახავდა.

ასეთ ვითარებაში, ერეკლემ გამოიყენა სამეგრელოს ახალგაზრდა მთავრის გრიგოლ დადიანის თხოვნა, რომელსაც იმერეთის მეფესთან ბრძოლა ჰქონდა. იმერეთის ტახტის პრეტენდენტი დავით არჩილის ძე, რომელიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდა მასთან გააგზავნა და ლაშქარიც მიაშველა. 1789 წლის 11 ივლისს ქართლ-კახეთისა და სამეგრელოს ჯარებმა სოფელ მათხოჯთან დავით მეფე დაამარცხეს და იმერეთის ტახტი ერეკლეს შვილიშვილმა დავით არჩილის ძემ დაიკავა (სოლომონ II-ის სახელით).

დავით გიორგის ძე ახალციხეში გაიქცა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ მან იმერეთის ტახტის დაბრუნება მოახერხა. სოლომონ II-მ (დავით არჩილის ძემ) ქართლ-კახეთის სამეფო კარს მიაშურა. ერეკლე შვილიშვილის დასახმარებლად სამზადისს შეუდგა და ეი ამ დროს მოხდა ის ფაქტი, რომლის გასარკვევადაც აღნიშნული ამბების გადმოცემა გახდა საჭირო. ერეკლესთან იმერელ დიდებულთა დელეგაცია გამოცხადდა და იმერეთის შეერთება შესთავაზა.

როგორც აღინიშნა, 1787—1788 წლებში იმერეთის დიდ ფეოდალებსა და დავით გიორგის ძეს შორის მორიგება მოხდა. შექმნილმა რთულმა და თითქმის გამოუვალმა მდგომარეობამ, როცა ვერსაიდან რეალური დახმარება ვერ მიიღო, იმერეთის მეფე აიძულა ფეოდალების

მიმართ დათმობაზე წასულიყო. ჩვენ არ ვიცით, რა პოლიტიკა გაატარა ახალგაზრდა სოლომონ II-ემ (დავით არჩილის ძემ) იმ ერთი წლის განმავლობაში (1789 წ.) როცა იგი იმერეთის ტახტზე იჯდა, მაგრამ რაკი შემდგომი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მისი პოლიტიკა ცნობილია, შეიძლება შეუცდომლად ვივარაუდოთ, რომ ტახტზე ასვლისთანავე, იგი ცენტრალისტური ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებას შეეცადა, სადაც მისი დასაყრდნი წვრილი თავადაზნაურობა და მშრომელი ხალხის მასები უნდა ყოფილიყო (მოვიგონოთ მისი პოზიცია იმერეთში 1786 წლის სახალხო გამოსვლების პერიოდში). ამ პოლიტიკით იგი მაშინვე დაუპირისპირდა სამეფოს მსხვილ ფეოდალებს, რომლებსაც სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში, განუსჯელად შეეძლოთ ქვეყანაში ეპარპაშათ.

მას შემდეგ, რაც საქმეში, ერთი მხრივ, ერეკლე II, ხოლო, მეორე მხრივ, სამეგრელოს ძლიერი მთავარი ჩაერია, იმერეთის დიდებულებს ახლა უკვე სასურველი კანდიდატის — დავით გიორგის ძის ტახტზე შენარჩუნების იმედი დაეკარგათ. ისინი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, ან ახალგაზრდა სოლომონ II-ის ენერგიული და შემტევი ხელისუფლება მიეღოთ, ან ქართლ-კახეთის მეფისათვის იმერეთის შეერთება შეეთავაზებიათ, რასაც იგი ასე დაბეჯითებით ცდილობდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

მათ უკანასკნელი გამოსავალი ამჯობინეს და ეს შესანიშნავად ჩანს, იმერეთის ფეოდალთა წარმომადგენლების მიერ საკითხის დაყენებაში: „ესენი ითხოვდნენ, რა დგანაც არა ჰსურს მეფესა ირაკლის მეფე დავით... ინებოს და შეიერთოს თვისად სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა...“ და შემდეგ „თვით მთავართა გურიისაჲ და ოდიშისაჲ სურთ და სწყურიანთ ესე. მცხოვრებთა გლეხთაც იციან ესე და უხარიან ბატონობა თქვენი იმერეთსა, მტერთაგან ჯარისა გაოხრებულსა“[21].

გლეხობისა და პროგრესული ძალების, თვით ოდიშისა და გურიის მთავრების პოზიცია მეტნაკლებად გასაგებია, მაგრამ რატომ ერჩიათ იმერეთის დიდებულებს, ვინც ეს საქმე წამოიწყო, ერეკლეს ქვეშევრდომობა მისი ახალგაზრდა შვილიშვილის ქვეშევრდომობას? თავის დროზე მათ დავით გიორგის ძე ხომ სწორედ ერეკლეს პოლიტიკის საწინააღმდეგოდ გაამეფეს?

---

21 პ. იოსელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 9 (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

საქმე ის არის, რომ 1790 წელს ერეკლე ის აღარ იყო, რაც 5 და მითუმეტეს 10 წლით ადრე. მოხუც მეფეს ქვეყნის მართვა რთულ საგარეო და საშინაო პირობებში სულ უფრო და უფრო უჭირდა და მისი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრები თავიანთი ვიწრო პირადული ინტერესების წინ წამოწევით მას ამ საქმეში დახმარების მაგიერ ხელსაც კი უშლიდნენ. ერეკლეს ოჯახის წევრებს შორის ურჩობა და უკმაყოფილება გაცილებით ადრე ჩაისახა და ამის ერთ-ერთ საფუძვლად ის მოჩანს, რომ ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის პატივმოყვარე, ენერგიული და ძლიერი დედოფლის — დარეჯანის გერი და შესაბამისად დანარჩენი ბატონიშვილების ნახევარძმა იყო. ამასთან, სამეფოდ განსაზღვრული პიროვნებისათვის შესაფერისი მონაცემებითაც არ გამოირჩეოდა.

სავარაუდოა, რომ ზოგიერთ ბატონიშვილთა ურჩობის გამოვლინებებს უკვე 70-იანი წლების ბოლოს ჰქონდა ადგილი, აქ, საინტერესოა მოვიგონოთ იესე ოსეს ძე ბარათაშვილის ერთი ცნობა, რომელიც სწორედ იმ პერიოდს შეეხება და ზევითაც იყო მოტანილი. ქართლ-კახეთის სამეფოსა და თვით მეფე ერეკლეს მყარი საშინაო და საგარეო მდგომარეობის დასადასტურებლად აღნიშნული ავტორი აღფრთოვანებული აცხადებს: „განცვიფრდა ყოველი სული და ადიდებდნენ ღმერთსა მეფისა ამის ესეთს ბედნიერებას: — ხონთქარი ესრეთ, ყეენი ესრეთ, რუსეთის იმპერატორი ესრეთ, შ ვ ი ლ ნ ი მ ო რ ჩ ი ლ ნ ი ე ს რ ე თ, ყმა დამონებულ ესრეთ, მეზობელნი მორჩილნი ესრეთ და სხვა მრავალი ბედნიერობა აურაცხელი“[22]. ის გარემოება რომ მეფის შინაურ საქმეებში საკმაოდ გათვითცნობიერებული სახელმწიფო მოხელე, შვილების მორჩილებას, რაც ნორმალურ ოჯახში ჩვეულებრივი ამბავი უნდა იყოს, მეფის დიდ ბედნიერებად მიიჩნევს და ისეთ მართლაც და სახელმწიფო მნიშვნელობის მოვლენათა კატეგორიაში ასახელებს, როგორიც თურქეთთან, ირანთან, რუსეთთან და მეზობელ სახანოებთან დამოკიდებულებაა, იმის მანიშნებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ ამგვარი „ბედნიერი“ ვითარების დადგომას წინ ერეკლეს ოჯახში რაღაც მნიშვნელოვანი განხეთქილება უსწრებდა, რომელიც ქართლ-კახეთის მეფეს, სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, წარმატებით მოუგვარებია.

ლევან ბატონიშვილი მარტო თავისი მართლაც არაჩვეულებრივი პირადი თვისებებით კი არ იყო ერეკლეს მთავარი დასაყრდენი და მარ-

22 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1950, ნაკ. 28, გვ. 86.

ჯვენა ხელი, არამედ იმითაც. რომ იგი დარეჯან დედოფლის უფროსი შვილი იყო და თავის და-ძმებში გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობდა. თავის უფროს ძმასთან გიორგი ბატონიშვილთან მართლაც ძმური დამოკიდებულებით, ეს ჭეშმარიტი პატრიოტი, რომელიც თავის პირად ინტერესებს ქვეყნის, სამშობლოს ინტერესებს უპირჩილებდა, მეფის ოჯახში ჯანსაღი, ნორმალური ურთიერთობის დამყარდენი იყო. მისი დაღუპვა ამ მხრივაც აუნაზღაურებელი დანაკლისი გამოდგა ქართლ-კახეთის მეფისთვის.

ამასობაში ცმცროსი ბატონიშვილები თანდათან წამოიზარდნენ, ოჯახებს ქმნიდნენ, შესაბამისად მოსხრეებს, წამქეზებლებს იძენდნენ და საკუთარ ინტერესებსა და პრეტენზიებს აყალიბებდნენ, რაშიც მათ დარეჯან დედოფლის პოზიციაც უწყობდათ ხელს. ამ მხრივ, საგულისხმოა პლატონ იოსელიანის დაკვირვება: „...სიმრავლემან ძეთა და ასულთა დაბადეს შური და მტერობა ურთიერთისადმი. დაჰყვეს ოჯახები და დაბადეს ურჩება და მედიდურობა სახლსა მწევრთა შორის, სადაცა იყოფოდა მეფის ასული რძალად და ანუ რომლისგანცა წარიყვანდნენ მეფის ძენი ქალთა სასძლოდ თვისად. თავადნი ესენი, დამოკიდებულნი მოყვარეობითა მეფეთა თანა, არღა ემორჩილებოდნენ მეფისა მოხელეთა, რომელნიცა იყვნენ მდივან-ბეგად, მდივნად, მოურავად, ციხეთა-მცველად და სხვად სამეფოჲსა საქმეთა განმგედ. დასტურად ჰაზრი და მნიშვნელობა პირმშოობისა, ეცილოდნენ მემკვიდროებასა: არა პატივ-სცემდნენ პირველობასა და თვითეული წევრი სამეფოისა სახლისა ჰგონებდა თავსა თვისსა მეფობისათვის განწმადებულად. სჯული არღა ჰსჯულობდა სამეფოში სადაცა უფლებდნენ მეფის ძენი და კარისკაცნი მათნი“[23].

ვითარება ისე გამწვავებულა, რომ 80-იანი წლების დასაწყისში ქართლ-კახეთის გარკვეულ წრეებში თურმე სამეფოს საუფლისწულოებად დანაწილებაზე ფიქრობდნენ. ეს ამბავი ისე გახმაურებულა, რომ საიმპერატორო კარსაც კი გაუგია. ამიტომ საქართველოში წამოსასვლელად გამზადებულ პოლკოვნიკ ტამარას სპეციალური ინსტრუქცია მისცეს, რომელშიც კატეგორიულად ავალებდნენ, ყოველი ღონე ეხმარა, რათა ქართლ-კახეთის მეფეს ეს აზრი სისრულეში არ მოეყვანა[24].

---

23 პ. იოსელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

24 ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 286, л. 70.

პოლკოვნიკს ამ საკითხზე ჩამოსვლისთანავე გაუბამს საუბარი მეფესთან, მაგრამ მას იგი აღნიშნული ცნობის უსაფუძვლობაში დაურწმუნებია. ამის გამო, პოლკოვნიკი ტამარა, პეტერბურგში გაგზავნილ პატაკში ოპტიმისტურად ირწმუნებოდა, რომ „ამჟამად არავითარი საშიშროება არ არსებობს იმისა, რომ მან (ერეკლემ — მ. ს.) სამეფო თავის 6 ვაჟს შორის (თუ ბერს არ ჩავთვლით) დაანაწილოს, პირიქით, მან მე ერთხელ განმიცხადა, რომ ეს მავნე წესი მათში დიდი ხანია აღკვეთილია“[25]. მოტანილი ცნობიდან არ ჩანს, ერეკლემ რუსების რჩევითა და ჩაგონებით გადაიფიქრა ამ მართლაც „მავნე წესის“ განხორციელება, თუ არც მანამდე აპირებდა ამას. ის კი აშკარაა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გარკვეულ წრეებს, ამგვარი დაყოფის სურვილი ჰქონდათ და უნდა ვიფიქროთ, მათი ცენტრი დარეჯან დედოფლის გარშემო ტრიალებდა. 1785—86 წლების პოლიტიკური გართულების პირობებში ეს ძალები მნიშვნელოვნად გამოცოცხლებულა და გაძლიერებულა. ისინი ქართლ-კახეთის მეფეს მაგისტრალური საგარეო თუ საშინაო კურსს უწუნებდნენ და მის შეცვლას თუ არა, კორექტირებას მაინც მოითხოვდნენ. ამგვარი ტენდენციების გაძლიერება აშკარად მოჩანს ს. დ. ბურნაშოვის მიერ საქართველოდან გაგზავნილ პატაკებში[26]. ყველაფერმა ამან საბოლოოდ ერეკლე II ქვეყნის დანაწილების გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, რასაც იგი სულ რამდენიმე წლის წინათ „მავნე წესად“ თვლიდა. 1794 წელს მან სამეფო თავის ვაჟიშვილებს შორის საუფლისწულოებად დაყო. ბაგრატ ბატონიშვილი ისე გადმოგვცემს, თითქოს აღნიშნულმა ფაქტმა ბატონიშვილებს შორის შუღლი და განხეთქილება გამოიწვია. თვით ერეკლეს მიერ შედგენილ დოკუმენტზე დაკვირვება კი აშკარად გვარწმუნებს, რომ ერეკლე ამ უკიდურესად რეაქციულ და მავნე გადაწყვეტილებაზე იძულებით წასულა, რათა ბატონიშვილებს შორის უკვე არსებული შუღლი და ჭიშპი აღეკვეთა, რომელიც თურმე თითქმის სისხლის ღვრამდე მიდიოდა. ყოველ შემთხვევაში, ამისი საშიშროება აშკარად არსებობდა.

ამგვარი ვითარება იყო 90-იანი წლების დასაწყისში ქართლ-კახეთის სამეფო კარზე. ეს ამბები არ შეიძლება არ სცოდნოდათ იმერელ დიდებულებს. მეფე რომელიც იძულებული იყო ცენტრალიზებული ქართლ-კახეთის სამეფო საუფლისწულოებად (ფაქტობრივად სამთავროებად) დაენაწილებია, იმერეთში ცენტრალისტურ პოლიტიკას ვერ

---

[25] ЦГВИА, Ф. 52, оп. 1/194, д. 286, л. 85.

[26] იქვე, ფურც. 288, 289.

გაატარებდა. ამიტომ ერჩივნათ პარტიკულარისტულად განწყობილ ფეოდალებს მოხუცი და უკვე საკმაოდ დაღლილი ერეკლე II ახალგაზრდა, ენერგიულ და შემტევ დავით არჩილის ძეს (სოლომონ II-ს). ამ ფონზე სრულიად ლოგიკურია დარბაზის სხდომაზე იოანე მუხრანბატონის განცხადება: „დაკავშირება იმერეთისა დიახ ძნელია. ჩვენ ქართველთა ვერ მოგვივლია ჩვენთვის, ვითარ მოვუაროთ იმერეთსა?“[27]

ამრიგად, მიუხედავად საქართველოს სამეფო-სამთავროების პროგრესიული ძალების გულწრფელი და ძლიერი სურვილისა, იმ მომენტში საქართველოს გაერთიანება შეუძლებელი ჩანდა. იმერეთის ფეოდალთა მხრიდან ეს თხოვნა ქვეყნის ცენტრალიზაციის ინტერესებით კი არ იყო განპირობებული, არამედ მის საწინააღმდეგოდ, ეს ამბავი კიდევ ერთხელ აშკარად გამოჩნდა ქაიხოსრო წერეთლის სიტყვებში შეერთების საკითხის განხილვის დროს რომ განუცხადებია: „უკეთუ ვერ დამტკიცდება ერთობა და შეუდგება უწესობა, სავნო ქართლისათვის და შეფობისა თქვენისათვის, — მაშინ დატევეთ იმერეთისა მეფობა. მაშინ თქვენც უბოძეთ იმერთა ნებაიყოლიონ თვისად მეფე თვისი“[28].

აი სად გამოჩნდა იმერ დიდებულთა ჭეშმარიტი სურვილები. აი საითკენ მიისწრაფოდა თავადური ოპოზიცია.

ეს ყველაფერი შესანიშნავად იცოდა მრავალნაცადმა ერეკლე მეფემ. მან ისიც იცოდა, თუ რა ზიანი მიაყენა იმერეთს ტახტისათვის ბრძოლამ და შინააშლილობამ, თუნდაც სულ ბოლო წლების მანძილზე. მას არ შეეძლო არ გაეთვალისწინებია, თუ რა მოჰყვებოდა მის მიერ იმერეთის ტახტის დაპატრონებას. სრულიად აშკარაა რომ მთელი ეს წამოწყება ერეკლეს შვილისშვილის — დავით არჩილის ძის გამეფების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამდენად, სწორია ერეკლეს საბოლოო გადაწყვეტილება: „თხოვასა ამას ვერ მივიღებ: მტერი მადგას კარსა: ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიცა უნდა იყოს შვილისშვილი ჩემი იმერთა ტახტისათვის განვზადებული, — დესპანნო წარვედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილისშვილსა ჩემსა და ესრეთისა კავშირითა თავით-თვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა“[29].

---

27 პლ. იოსელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

28 იქვე, (ხაზი ჩვენია — მ. ს.).

29 იქვე, გვ. 21.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, თავისთავად ფაქტის მნიშვნელობა მეტად დიდია. ქართველთა ერთობის შეგნება ქართულ სამეფო-სამთავროებში არასოდეს შეწყვეტილა და პროგრესული ძალები ამ ერთობის რეალური განხორციელებისაკენ ისწრაფოდნენ. უეჭველია, რომ ეს პროგრესული ძალები XVIII საუკუნის II ნახევარში, როცა, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური ვითარებისა, ქვეყანა მაინც მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას განიცდიდა, შესამჩნევად მომძლავრდნენ და თანდათანობით გაერთიანების იდეა ფართო მასებშიც იწყებს გავრცელებას. მაგრამ განსახილველ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში გარეშე ძალების აქტიური მხარდაჭერის გარეშე საქართველოს რეალური გაერთიანება, ეტყობა, შეუძლებელი იყო. ერეკლემ ფაქტობრივად იმაზე თქვა უარი, რისთვისაც იგი მთელი თავისი ხანგრძლივი მეფობის მანძილზე თავდაუზოგავად იბრძოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი მას, როგორც ჩანს, არ ჰქონდა და ამდენად მისი გადაწყვეტილება სწორი იყო.

ამ ამბების შემდეგ მალე ქართლ-კახეთსა და სამეგრელოს პოლიტიკოსთა აქტიური ჩარევით სოლომონ II-მ იმერეთის ტახტი საბოლოოდ დაიბრუნა, ხოლო იმავე 1790 წელს ქართულ სამეფო-სამთავროთა კონფედერაციული შეკავშირება მოხდა.

ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურიისა და ოდიშის მთავრებმა ხელშეკრულებით ქვეყანას ამცნეს „... ვინაიდგან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთ-მორწმუნება, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავსახელობითიცა სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის...“ ამიერიდან საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ძალით, შეთანხმებულად იმოქმედებდნენ. მათ კავშირის ხელმძღვანელად ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II აღიარეს და მთელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი კურსის განსაზღვრა მას მიანდვეს. შესაბამისად მას მიანდეს აგრეთვე მთავარი როლი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებშიც, რომლისმფარველობას საქართველოს ყველა სამეფო-სამთავრო ერთხმად აღიარებდა. ხელშეკრულების მეხუთე მუხლით ერეკლე II მოკავშირეებს ჰპირდებოდა, რომ „უზენაესისა შიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, ვითარცა მაქვნდეს შეკრულება, ვიყო მწადნელი თქვენდაცა უბედნიერესსა შინა მდგომარეობასა მოყვანებად მფარველობითა ერთბამად ერთისა უაღლუსტესისა კარისა-

თა". თავის მხრივ, მოკავშირეები ქართლ-კახეთის მეფეს არწმუნებდნენ „უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, ვითარცა აქუნდეს უმაღლესობაჲსა თქუენსა შეკრულება, ვიყო თქუენთანა მგონებელი, თანხმობისა უბედნიერისასა მდგომარეობისა ჩუენისათუის, მფარველობითა ერთბამად ერთისა უავღუსტეტისა კარისათა"[30].

აღნიშნული დოკუმენტის მომზადება ქართულ სამეფო-სამთავროებში ერთიანობის მისწრაფების გაძლიერების მომასწავებელი და ამ გზაზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. მაგრამ ეს ჯერ კიდევ მთელი საქართველოს გაერთიანებას არ ნიშნავდა, რადგან, ერთი მხრივ, სამეფო-სამთავროები თავიანთ სახელმწიფოებრივ სტატუსს ინარჩუნებდნენ, მეორე მხრივ, მის გარეთ რჩებოდა ქართული მიწებისა და ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი სამხრეთ საქართველოს სახით.

* * *

შექმნილმა საგარეო და საშინაო ვითარებამ და მოწინააღმდეგე ძალების აქტიურმა ბრძოლამ შეაფერხა ერეკლე II-ის დიდი პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის გაერთიანებისკენ იყო მიმართული. ქვეყნის სავალალოდ ეს შეფერხება ხანგრძლივი აღმოჩნდა და დამოუკიდებელ საქართველოს ეს პრობლემა ბოლომდე გადაუჭრელი დარჩა. მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთის შემადგენლობაში მოხერხდა ამ დიდი ისტორიული საქმის მოგვარება და სწორედ ამაშიც გამოიხატა უპირატესად ის პროგრესული როლი, რომელიც რუსეთის საიმპერატორო კარმა საქართველოს სინამდვილეში შეასრულა.

საქართველოს ისტორიული განვითარება ისე წარიმართა, რომ ის რასაც ქართველი პროგრესული მოღვაწეები რუსეთის დახმარებით გეგმავდნენ, მხოლოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში განხორციელდა. რუსეთმა XIX საუკუნის განმავლობაში თავის შემადგენლობაში მყოფი საქართველო მის ისტორიულ საზღვრებში აღადგინა.

ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით განუზომლად დიდი იყო პროგრესული მნიშვნელობა იმისა, რომ ქართველ მოღვაწეთა ჯან-

---

30 პლ. იოსელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 22—23.

საღმა პოლიტიკამ ქართველი ხალხი რუს ხალხთან დააკავშირა და ამიერიდან ეს ორი მოძმე ერი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ რიგში ჩააყენა.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ (1918 წ.) განხორციელდა პროგრესული ძალების მრავალსაუკუნოვანი ოცნება და მისწრაფება — აღდგა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობა.

შინაარსი

წინათქმა 3
1. XVIII საუკუნის საქართველოს საგარეო ორიენტაციის გარკვევისათვის 5
2. ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი პროგრამა და საგარეო-პოლიტიკური კურსი 29
3. ქართლისა და კახეთის შეერთება 57
4. ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა და 1752 წლის ელჩობა . 81
5. 1760 წლის ელჩობა რუსეთში 103
6. რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომი და ქართველ პოლიტიკოსთა გეგმები 135
7. საქართველოს სამეფო-სამთავროები 1768—1774 წწ. ომის პერიოდში . 166
8. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების ცდა . 197
9. 1783 წლის ტრაქტატი და საქართველოს გაერთიანების პრობლემა . 220
10. 1783 წლის ტრაქტატი და იმერეთის სამეფო 253
11. 1784—1787 წლების რთული ვითარება და საქართველოს გაერთიანების საკითხის დროებით მოხსნა 269
12. საქართველოს გაერთიანების საკითხი XVIII საუკუნის 90-იან წლებში 294

რედაქტორი ც. თოფურიძე
მხატვარი რ. შაჰარაშვილი
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ე. ქვანია
გამომშვები მ. მჭედლიძე

ს.ბ. № 6441

გადაეცა წარმოებას 29.9.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.03.88წ. საბეჭდი ქაღალდი № 1; 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 18,6. პირ. საღ. გატარება 18,6. საღრ.-საგამომც. თაბახი 16,98. უე 01960.

ტირაჟი 2000. შეკვ. № 3195

ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19